

114/3
1970/3

ქართული
ენების ინსტიტუტი

ბეჭდვა

1

1970

მნათობი

საქართველოს
განმანათლებლო
მინისტრის

11608
80911

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 45-ე

№ 1

იანვარი, 1970 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

რამაზ ჯაფარიძე — მინების კვირა. რომანი, წიგნი პირველი	3
ვახტანგ ჯავახიძე — ლექსები	35
დავით კვიციანი — მწვერვლით, უსიყვარულ ტყუილთ! რომანი	37
ნაზი კილაშვილი — გახსოვდეთ მარადის!	67
კლიმენტი გოგიანი — ილიაობა. ბიოგრაფიული რომანი	74
იარო იოსელიანი — ავარიის შიშვენი. მოთხრობა	90

100 ვ. ი. ლენინი 100

შალვა კვასიანი — ლენინი ქართულ საზოგადოებაში	126
გიორგი ბაქრაძე — ვ. ი. ლენინი იმპერიალიზმის იმპერიატორული და ანტი-იმპერიატორული ბუნების შესახებ	133

გ ე ტ ნ ი ე რ ე ბ ა

შოთა მესხია — შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან	143
ლევან გომიანი — „ქართული კულტურის მომყვარებელთა საზოგადოების“ მოღვაწეობის ისტორიიდან	168

წიგნების მიმოხილვა

თამაზ მხეცელი — ფსუარი შხის ნახევარი	177
ბ. შრიფა — „ახალი ფილოსოფიის ისტორია“	181
შალვა კაფიანი — საინტელიგენტო საზოგადოება	184
ქრისტე „მნათობის“ 1969 წლის ნომერის შენაარსი	187



საქართველოს კავშირის საბჭოთა კომიტეტის გამომცემლობა



მთავარი რედაქტორი ელგუჯა შალრაძე

ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა :

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. ვამეზარდაშვილი, შ. ლებანიძე, ბ. უდენტი,
ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. უიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენ-
გელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაკვატაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11,
პ/მგ. მდივნის — 98-55-13, განყოფილებე-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 24/XI-69 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 4/I-70 წ., ასაწყობის ზომა
7 $\frac{1}{4}$ ×12, ქაღალდის ფორმატი 70×108 $\frac{1}{16}$,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16.8.
№ 01902. ტირაჟი 12.000. შეკვ. № 3770.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



შენის კვირა

კ მ მ ნ ი

წიგნი პირველი

ქარი პირველი

თავი I

— დაჯექით, ბიჭო, რას წამოიშალეთ?

— ვიშლით რამეს?

— ეგ შენი საქმე არ არის, ის გააკეთე. რასაც გეუბნებიან!

— ხელქვეითები შინ გეყოლება. თუ დაბრუნება გელირსა, მიდი და იმათ უბრაძანე!

— არტემიძე!

— ბატონო!

— მაგ ღრანკის მოქცევას თავს არ დაანებებ? ისედაც წუწკი ღორის დინგს მიგიგავს. რამდენჯერ ვითხარი!

— შენ გამისწორე, ექიმი არა ხარ?

— გეუბნები, ხმა ჩაიკმინდე და შენს ადგილზე დაჯექი. ადგომის დრო როცა იქნება, გეტყვიან. ნუ გეშინია, აქ არავინ დაგტოვებს.

— ვაითუ დამტოვონ, ბიჭო, რაღა ვქნა მერე...

— მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, მე შენთვის მითქვამს!

— იქნება სხვასაცა აქვს მოთმინება...

— მე შენი დედის... არ გესმის, რას გეუბნები?

— კარგი ახლა, რა მოგივიდათ, ხომ არ უნდა შექამოთ ერთმანეთი?

— შექვამ კი არა, გულ-ღვიძლს ამოვუღებ, მე მაგისი... ვინ მაგინებს დე-

დას? მაგის საგინებელი დედა მყავს შენ? ამ სიტყვებზე ტამბურის ფანჯარასთან მდგომმა არტემიძემ, ოცი-ოცდაორი წლის ტანხელმა, შვეგვრემანმა ახალგაზრდამ, რომელიც გერმანული ვერმახტის უნტეროფიცერის საველე ფორმაში იყო გამოწყობილი და მარჯვენა მკლავზე, იქ, სადაც ჭარების გვარეობის ემბლემას იკეთებენ, სამფეროვანი ალაში — დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლო — ეკერა, მხრებზე წამოკიდებული სალდათური ზურგჩანთა მოიხლიწა, იქვე მიაგდო და, ვიდრე ამხანაგები რასმე მოისაზრებდნენ, გაალმასებული კუბეში შევარდა.

მატარებელი დიდი სისწრაფით მიჰქროდა განიერი მდინარის რკინის ხაზიხებიდან ხიდზე და თვლების ჩვეულებრივ ზათქსა და დგანდგარს ხიდის ყრუ გუგუნიც უერთდებოდა. მოძალბებული გაზაფხულის თაკარა მზის სხივები, მდორედ მიმავალი თუ ერთ ადგილზე გაჩერებული წყლის სარკეში ხანძარი რომ დაენთოთ, ფანჯრის მინებში იჭრებოდნენ და იქაურობას დამაბრმავებელი სინათლით ანათებდნენ.

ხამალალ ლაპარაკს, გაუგებარ უცხო ენაზე რომ მიმდინარეობდა, მთელმა ვაგონმა მიაქცია ყურადღება და თუმ-

ცა ყველა მიხვდა, უცხო ენაზე მოლაპარაკენ ერთმანეთს საწყენ სიტყვებს ეუბნებოდნენ, ჩხუბში ჩარევა ვერაინ ვაბედა და ბრძნული ანდაზის კარნახით — მოჩხუბარს ათი მოხვდა, გამშველებელს კიდევ ათასიო, საკუთარ ტყავში დატევა არჩია.

ვაგონი საიდანღაც მომავალი დაბალი ზინის სამხედროებით, დიდი ხნის წვერგაუპარსავი, თავზე კოტელოკჩამოფხატული დაღვრემილი გლეხებით, დღემუდამ გზებზე გაკრული ქორვაჭრებით, სხვადასხვა ასაკისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ხორცსავსე დედაკაცებით და ისედაც ვიწრო გასასვლელში ჩახერგილი ფუთებით, მუშაბაშემოტყავებული ჩემოდნებით და თოკებით გამობორკილი უბრალო ხის ყუთებით იყო სავსე.

თავისი ფიქრითა და საზრუნავით შეპყრობილი მგზავრები გულგრილად ადევნებდნენ თვალს იმას, რაც ბარგით ჩახერგილ ტალანში დატრიალდა. გერმანელმა სამხედრო პირებმა, რომლებიც სკამის საზურგით გამოყოფილ მუშობელ კუბეში ისხდნენ და თვალის სერიას თავის უპირატესობაში ღრმად დარწმუნებული კაცის არხეინი ღიმილით უყურებდნენ, მაშინღა იკადრეს ზეზე წამოხტომა, როცა გაცეცხლებულმა უნტეროფიცერმა ჯიბიდან პატარა ბელგიური პისტოლეტი იძრო და მათთვის გაუგებარ უცხო ენაზე სამხედრო ექიმის ახალთ-ახალ ფორმაში გამოწყობილ ქერა ოფიცერს რაღაც შეურაცხყოფელი დაუყვირა.

— ევგენი, რას შვრები, ჭკუაზე შეიშალე? — სხვადასხვა მხრიდან შეუძახეს ამხანაგებმა უნტეროფიცერს და დიდი ვაივაგლახით ის ხელი გადაუგრიხეს, რომელშიაც მას სასროლად შემართული პისტოლეტი ეჭირა. ევგენი გაცეცხლებული იყო. არა და არ ნებდებოდა, მთელი ძალით ცდილობდა ამხანაგების ხელიდან გაძვრომას მაგრამ ბოლოსდაბოლოს სამი მოსხლელი ვაქცის ღონემ სძლია ერთის ძალას და ისიც აძლებული გახდა მარჯვენა ხელის თი-

თები გაეშალა. პისტოლეტი მამიწვე გამოპვლიჯეს, ერთმანეთს ხელდებნი ხელში გადასცეს და ისე [გააქრეს] თავალიც კი ვერაინ მოატანა, ფანჯარაში გადაადგეს თუ იქვე გადამაღეს სადმე, — Was ist los?!

ახლა კი ამოიღეს ხმა მოულოდნელი ფათერაკის შიშით ფერწასულმა გერმანელებმა, რომელთაგან ერთი ფელდფებელი იყო და დარწმუნებულმა, რომ მოჩხუბარი უცხოტომელი შეკითხვას ვერ გაიგებდნენ, — ხომ არ აურია? — ხელის მოძრაობით ევგენიზე ანიშნეს.

— Das geht euch nicht an. Setzt da ruhig!²

ეს ისე მედიდურად, თითქმის ზიზლით, თანაც სუფთა გერმანულ ენაზე, წარმოთქვა იმან, რამდენიმე წუთის წინ რომ მოჩხუბრების შერიგებას აპირებდა, გერმანელებს ენა მუცელში ჩაუვარდათ და ერთხანს გამტკრებული დარჩნენ. ფელდფებელს ჯერ მიწისფერი დაედო სახეზე, მერე სიწითლემ აუარდაურა. წამიერ სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ თვლების დგანდგარი და ხიდის ყრუ გრუნსუნი არღვევდა, გერმანელებმა, ეტყობა, თავიანთი ძალები შეაფასეს და ჯარისკაცის უტყუარი ალლოთი მიხვდნენ, რომ ამ ხალხთან წაიწყლება და შებმა სახეიროს არაფერს მოიტანდა. ფელდფებელი უხმოდ გაბრუნდა და დაჯდა. დანარჩენმა სამმა გერმანელმაც მის მაგალითს მიჰბაძა. ისინი ჩუმად ისხდნენ, პირი ფანჯრისაკენ მიებრუნებინათ და ვითომაც აქ არაფერი მომხდარაო, ზღვასავით წყალუხვ მდინარეს გასცქეროდნენ.

მაგრამ მოხდა ის, რაც მსგავს შემთხვევაში ყოველთვის მოსალოდნელია. ვაგონში მყოფმა კატელოკიანმა გლეხებმა, ხის ქოშებში წადგმული ფეხები რომ გაეჩაჩხათ და ანტვერპენიდანვე კისერმოწყვეტილებივით ყვინთავდნენ, და თითქოსდა ჯოჯოხეთური სიცხითა და ვაგონის სიმყრალით დაბანგულმა

1 რა მოხდა? (გერმ.).

2 არ არის თქვენი ჭკუის საქმე. წყნარად ისხედით მან! (გერმ.)

დედაკაცებმა თავები წამოჰყვეს და ბაყაყის ცივი თვალები დააქუციტეს. უსაშველოდ გამხდარი ახალგაზრდა მღვდელი, რომელიც ბელგიის სასაზღვრო ქალაქ ესსენში ამოვიდა და ორ თეთრბილაბანდიან მონაზონთან ერთად ფანჯარასთან გაუნქრეველად იჯდა, თვალებად გადაიქცა.

ვინ იყვნენ ნეტავ გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი უცხო ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცები, რომლებმაც სუფთა სისხლის გერმანელ სამხედრო პირებს სიტყვის შებრუნება და დამუქრებაჲ კი გაუბედეს? რას გაუჩუბდნენ გერმანელები? ისინი ხომ ამგვარ მოთმინებას და შეურაცხყოფის გადაყლაპვას ჩვეული არ არიან! ნუთუ ქვეყნად არის კიდევ ვინმე, არის კიდევ რაიმე ძალა, გარდა ყოვლის მხილველი და ყოვლის შემძლე ღმერთისა, ვისიც ამ თავზეხელაღებულ ვანდალებს ეშინიათ? მტრები არიან ესენი გერმანელებისა თუ მოყვრები? თუ მტრები არიან, მათ წყუულ სამხედრო ფორმას რისთვის ჩაიცვამდნენ და მათსავე განმასხვავებელ ნიშნებს რად დაიკრებდნენ? მაგრამ უცხო იერის ახალგაზრდა კაცები არც მათ მოყვრებს ჰგავდნენ. იმ პირტიტველა ჰაბუჟის თვალებიდან გადმოღვრილმა ზიზღმა, ფელდფებელს რომ შეუტია, ყოველგვარ ზომას გადააჭარბა და ეშვიც გააქარწყლა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, უფრო კი ატლანტის ოკეანის სანაპიროებზე, სადაც გერმანიის შეიარაღებული ძალების სარდლობას მტრისათვის მიუდგომელი საზღვაო და სახმელეთო თავდაცვა ჰქონდა მოწყობილი. ცოტას როდი წააწყდებოდი გერმანულ მუნდირში გამოწყობილ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომელთაც გერმანული ენისა იჩიბინიცი არ გაეგებოდათ. იმპერიის თავზე საავდრო ღრუბლები მომრავლდა. პიტლერმა უკანასკნელი რესურსები დასძრა აღმოსავლეთის ფრონტზე რუსების შესაჩერებლად. ხვალ კიდევ უარესი დღე იყო მოსალოდნელი. რაიხსკანცლერმა უკიდურეს ზომას მიმარ-

თა: მტერსა და მოყვარეს უმღეველი ვერმახტის ჯარისკაცის მუნდირი ჩააცვა და იარაღის ძალით თავის სამსახურში ჩააყენა. ამიტომაც აკრულდა ოდესღაც ერთ ენაზე მოლაპარაკე და სუფთა სისხლის გერმანელებისაგან შემდგარი ვერმახტი, ამიტომაც ძნელი გასაგები გახდა, ვინ ვისი მტერია და ვინ ვისი მოყვარე...

გამხდარმა მღვდელმა მზის სათვალე ამოიღო, თვალებზე ხელის შესამჩნევი კანკალით მოირგო და სცადა თავი ისე დაეჭირა, თითქოს ვერმახტის ამ ახალბურჯებს ვერც კი ხედავდა. სამაგიეროდ, გლეხები და თვინათ ბარგიბარხანაზე გადაფოფრებულ დედაკაცები აჲ მალავდნენ ცნობისმოყვარეობას, თვით მონაზვნებიც მალულად აქეთ იყურებოდნენ, თუმცა ისინიც გრძნობდნენ, რომ უცხოელებისადმი ზედმეტი ყურადღების გამოჩენას შეიძლება რაიმე უსიამოვნება მოჰყოლოდა.

მოჩხუბრები როგორღაც დაშოშმინდნენ. უნტეროფიცერმა ისევ აიღო ტალანში მიგდებული თავისი ზურგჩანთა, კედელზე მიაყუდა და თვითონ კი ფანჯარაში გადააყო თავი. უშველ სიკვდილს გადარჩენილი ექიმი გაბურტული იჯდა თავის ადგილზე. ფანჯარაში მოუთმენლად იყურებოდა. უთუოდ ერთი სულს ჰქონდა, როდის მიაღწევდნენ დანიშნულების ადგილს.

— Was war das für ein Fluß?¹

უმისამართოდ იკითხა იმავე პირტიტველა ჯარისკაცმა, წელან რომ ფელდფებელს შეუტია და მკლავზე, თავისი ამხანაგების მსგავსად, სამფეროვანი ალაში ჰქონდა დაკერებული.

— Der Maas?²

— Der Maas ist noch weit. Wir sind über den Holandsch-Diep gefahren³. აყაყანდნენ უმცროსი გერმანელები.

— Holandsch-Diep—მორჩილად გაიმეორა ფელდფებელმაც და ხმის კილო-

¹ რა მდინარე იყო? (გერმ.)

² მაასი?

³ მაასი ვერ შორს არის, ჰოლანდშ-დიეები გადავიარეთ.

თი, რომლითაც ეს სიტყვები წარმოთქვა, ჯარისკაცს აგრძნობინა რომ წელანდელი უნებლიე ნაწყენობა უკვე დავიწყებული იყო, — Fahrt ihr nach Rotterdam?¹

— Nein, noch weiter² — გაურკვევლად მიუგო ჯარისკაცმა და უცებ შეეტყო, რომ გერმანელი ნამდვილად არ იყო. — Wir haben gedacht, das sei der Maas³.

— Bald sind wir da⁴. — გარეგნულად პირქუში ქერა გერმანელი მიეთმეთის მოყვარული აღმოჩნდა, — როტერდამის ბაქანზე ჩასვლას არ გირჩევთ. ბევრი პატრულებია შეიძლება, უსიამოვნებას გადაეყარათ.

— პატრულებით რას მაშინებ! — პირტიტველა ჯარისკაცმა მისი ასაკისათვის დამახასიათებელი თავდაჭერებით გაიღიმა და ახლა პირში შემოჩერებულ სხვა მგზავრებსაც მოაგლო მოწყალე მხერა. შავსათვალეზიანი მღვდელი დაინახა. ფანჯარას რომ დაყინებით გაპყურებდა და მაგიდის ლინზე ხმელი ნიდაყვებით დაყრდნობილი ნება-ნება ირწყოდა. შემდეგ დამორცხვებული ახალგაზრდა მონაზვნებიც შეათვალეიერა და ისევე ფელდფებელს მოუბრუნდა, ისე კი საეკვოდ გაყუჩებული ახალგაზრდა მღვდლის გასაგონად ამბობდა, — საბუთები წესრიგზე გვაქვს, გამოპარულები კი ნურავის ვეგონებით!

მღვდელი შეიშმუნა. მას. რასაკვირველია, ყველაფერი ესმოდა, რასაც ნაცემი ძალლივით მოთვინეირებული ფელდფებელი და ეს პირტიტველა ჯარისკაცი ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამის გამომფლავნება საქიროდ არც ახლა ჩათვალა და კვლავ ფანჯარაში ცქერა დაიწყო.

— საიდან მოდიხართ? — უფრო შორს შესტობა მიეთმოეთის მოყვარულმა ფელდფებელმა.

— ანტვერპენიდან, როგორც თქვენს იქ პარიზიდან ჩამოვედით. დაკვირვებულელია თქვენი ცნობისმფლობელთაგან რომ არ იცითხავთ, პარიზში როგორ მოვხვდით? თუ გულით გაინტერესებთ, ამასაც ჩავიკვლავთ!

— გივი! — მოისმა ნაცნობი ხმა ვაგონის წინა ნაწილში. უნტეროფიცერს თავი გამოეყო ფანჯრიდან, გამარჯვებული მთავარსარდლის პოზა მიეღო და თითქოს ხელქვეითი რაღაც შეუფერებელ საქციელში დაიჭირო, შებლშეკარული აქეთ იყურებოდა, — რა ძაღლის ყბა გამოიბი! — კვლავ დანარჩენებისათვის გაუგებარ ენაზე მიმართა მან თავის უმცროს ამხანაგს, — რა უნდათ, რას გეკითხებიან?

— წავიდნენ. ამათიცი... — ჯარისკაციმა ხელი ჩაიჭნია, ერთხელ კიდევ აღმაცერად გაჰხედა შავსათვალეზიან მღვდელს, არასგზით რომ არ უნდოდა მისი შემჩნევა, ალუმინის მათულოთ გულმოდგინეთ შებორაკილ ყუთს გადააღაჯა და ტალანისაკენ წავიდა. გერმანელებმა თვალი გააყოლეს. პირტიტველა და უნტეროფიცერი ფანჯარასთან კარგა ხანს იდგნენ და ჩურჩულებდნენ. მალე მათ ორი სხვა ამხანაგიც შემოუერთდნენ. კუბეში მარტო ექიმი დარჩა. ის გარიყულივით იჭდა მარტოდმარტო და არავის ელაპარაკებოდა.

— რა ვქნათ, ბიჭებო? — ოდნავ ხრინწიანი ხმით ჰკითხა ამხანაგებს არტემიძემ. — ჩავიდეთ როტერდამში?

— იქ რა დაგრჩენია! — მხრები აიჩეჩა პირტიტველამ.

— ამ ოხერს მოვიშორებთ, — ევგენიმ ხმას დაუწია და თვალით კუბეზე ანიშნა, სადაც მარტოდმარტო მიტოვებული ექიმი ეგულებოდა, — გინდათ, ვესტაბოს ხელში ჩამავდოს? ჰკუა დაუშლის თუ? არც თქვენ დაგიწყებთ ბევრ მობოდიშებას. ახლა გაყუჩებულელია. იცის, ჩვენს ხელშია. რა წუთშიაღ მინდა, ამოვხდი სულს. აბა, ერთი, თავისიანები დაიგულოს ახლოს, მერე ნახავთ! მაგას ამსტერდამიდან აქვს მივლინება. ასე არ თქვა პარიზში? როპც

¹ როტერდამში მიმგზავრებით?

² არა, უფრო შორს.

³ ჩვენ ეს მასი ვეგონა.

⁴ მალე იქნება.

მოკლა, როტერდამში ფეხს ვერ ჩაადგმევიანებ. გზას არ გაიმრუდებს. სამსახურის კაცია. უ, მაგის... ჩვენ აქ ერთი დამე გავათიოთ კობტად. პა, ცუდია? წავიდეს, მოშორდეს აქაურობას! გზას უმავისოდაც კარგად გავაგნებ. ეგ არა გვეყოლია, მაგრამ ქვეყანაზე არ დაეკარგულვართ. არც ახლა დაეიკარგებით. დილას ისევ მატარებელში ჩაგსხდეთ და გავაგრძელოთ გზა. მანქანაც ბევრი დადის, ალბათ. ხვალ საღამოს, თუ გინდა დავნაძღვედეთ, ამსტერდამში ვიქნებით, ზეგ ამ დროს — ჰარლემში. იქიდან ზანდფორტამდე თორმეტი კილომეტრი ყოფილა. აგერ მითხრეს. რა გვეჩქარება, მე შენ გეტყვი, ვინმე გავვიწყრება და მშობლებს მოგვაყვანინებს!

— მერე საბუთები? — გივი ისევ დაეჭვდა.

— გამოვართვათ მაგ შობელქალს, რა ჩემ ფეხებზე უნდა, ჭიბეში რომ უყროა!

— გამოატანეს და რა ქნას, ხომ ვერ გადაყრის. უნდა ჩაბაროს ადგილზე.

— ადგილზე კი არა, ის დამიწყეთ კიდევ! — გაუჭილიკა მეგობარს ნათქვამი არტემიძემ, — ვინ კითხავს მაგას ჩვენს უფროსობას. ვინ მიგდია! სად ექიმი და სად ჩვენს! თუ გინდა, სანაძღოლოს დაედებ, ექიმიც არ იქნება. შეამოწმებ თუ? მეც დავიკვრებ ექიმის საბეჭურებს და ვიტყვი, ექიმი ვარ-მეთქი, დამიჯერებთ? ვინც უნდა, ის იყოს, მე მაგისი პირშავი დედა... ეგ სულაც რომ არ გამოჩენილიყო, გგონიათ, საბუთებს თვითონ არ გვანდობდნენ? შემოეხეტა! ხომ გაგიგონიათ. ვირს საპალნე მოინატრა და სასახლის წინ აიტუხაო!..

— მოიცათ. მე შევალ და ვეტყვი.

— შენ ნუ, აგერ შურა შევიდეს, თუ შენ შეხვალ, მიტო?

— სულ ერთია, — პირხმელმა, მაღალ-მაღალმა, სუფთად წვერ-ულვამ-გაპარსულმა ეფრეიტორმა, ანამყოლ შეთხლებული წაბლისფერი თმა უქან რომ გადაევიარცხნა, მეოთხე ამხანაგს — ქალივით ნაზსა და თვალბეჩამუქებულ შურა ჩილაჩავას გადახედა და მერე ისევ ევგენის მოუბრუნდა: — გივის რას უწუნებ, ვითომ? მივიდეს და ყველას მაგიერად მოელაპარაკოს. აგრე არ ჯობია, ბიჭებო? მიდი, გივი!

— რომ არ მომცეს?

— არ მოგცემს და... — ევგენიმ თვლებიდან ნაპერწყლები წამოჰყარა და დაიხმუვლა, — რომელმა ჩაიდევით ჭიბეში ჩემი პისტოლეტი?

— მე მაქვს, რად გინდა? — გამომცდელად დააქქვრდა მიტო.

— მოიტა აქ!

— რად გინდა, გეკითხები.

— ჩემია და მინდა, რად უნდა მინდოდეს!

— პოდა, იყოს, სადაც არის. მივალთ ადგილზე და მოგცემ. დედა მომიკვდეს, თუ არ მოგცე. რად მინდა, ბიჭო შენი პისტოლეტი! სულელი ხარ, კიდევ სადმე ამოიღებ და დაიწყებ ტურტურს. შენი გულისთვის ყველას ციხეში ჩაგვყრიან. ეი, ონოფრე, შეუშვი მაგ გამოყრუებულ თავში! ხომ იცი, იარაღის ტარების ნება არა გაქვს...

— მე თუ არა მაქვს ნება, შენ ვინდა მოგცა? — ხელახლა აენთო უცნაურად ფიცები და ხმელი თივის ბულუღივით მუდამ ცეცხლის მოსაკიდებლად აპარპალებული არტემიძე, მაგრამ ამხანაგები, ვისთანაც ფუთი მარილი შეეჭვა და ბევრი ჭირი და ეაება გამოეველო. მიხვდნენ: ამჭერად მას გული არ მოსდოდა, მხოლოდ ის არ უნდოდა, ერთბაშად გადასულიყო თავის სიტყვას...

თ ა ზ ი ი I

კუპეში როზენდალიდან მომავალი ყველის ქარხნის მუშები თვლებდნენ. მათ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ნივ-

თებს დ თვითონ მათაც ამქალებული რძის სუნი ასდიოდა. ტალანის სუფთა და გრილი ჰაერის შემდეგ გივიმ ხელახ-

ლა იგრძნო ეს გულისამრევი სუნი, მძინარეებს სახე მოარიდა და კუპეში ისე შევიდა.

— რისთვის მოხვედი? — დაუფარავი ათვალისწინებით ჰკითხა ექიმმა ისე, რომ ფანჯრის ვადაღმა მიმჭროლავ მწვანე მინდვრისათვის თვალი არ მოუშორებია. — წადი შენც, რაღას უცდი?!

— ბიჭებმა გამომგზავნეს, — თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიღინჩით მიუგო მოსულმა და ყური არ ათხოვა დამხედურის გამომწვევ კილოს.

— მოსაკლავად გამომეტეს და ახლა მოციქულს მიგზავნიან? ადვილი საპატიებელია, თქვენ ნუ მომიკვდებით! კაცები მეგონეთ ყველა. თქვენ კი ვინ ყოფილხართ? ჩიბიდან გავარდნილი თაღლითები! გორი გგონიათ ეს თუ მანგლისი? აქ თქვენი ბრეკიობა და მუშტებზე ყურება არ გავა. გამომიგზავნეს მოციქული, ბოდიშს მიხდიან...

— მოიცა, შოთა, ბოდიშს არავინაც არ გიხდის, — კვლავ მშვიდად შეაწყვეტინა მოსულმა, — მე სხვა საქმისთვის შემოვედი.

— როგორ, — გულწრფელად განცვიფრდა ექიმი და ისედაც მწითური ყურებადღე წამოჰარხლდა. — მე, გერმანიის შეიარაღებული ჯარების ოფიცერს, ვილაც ცხვირმოუხოცელმა სერვანტმა შეურაცხყოფა მომაყენა, ისიც ამდენი ხალხის, სამოქალაქო მოსახლეობის თანადასწრებით და ბოდიშსაც არ იხდის? გივი ანთიქე, შენ იცოდე, მე ამ ამბავს ასე არ დავტოვებ.

— საქმეს ნუ გავამწვავებთ, შოთა მომისმინე! ერთი მიწაწყლის შვილები ვართ, რაც უნდა იყოს...

— მერე?! — რა გინდა მაგით თქვა?

— რა უნდა ვთქვა... თვითონ არ იცი, რა უნდა ვთქვა? ეგ, თუ გინდა, არაფერი. ხომ იცი, გიეთა. მაგასთან სერიოზული ლაპარაკი შეიძლება? ნახე შენც...

— თუ გიეთა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოვათავსებთ! — თქვა ესა და სიბრაზისაგან აკანკალებულმა ექიმმა პორტუპეი მუხლზე შემოიღო, თითქოს ახლავე აპირებდა ეგვენი არტემიძისა-

თვის ფსიქიატრიული საავადმყოფოს საგზურის გამოწერას. *გარკინეშვილი*

— ბიჭებმა შემოგითქალეს, ჩემნი საბუთები და კელიას გამოტანებული წერილი მოგვეცესო, — უცებ მოსჭრა ანთიქემ.

— კიდეც რა უნდათ? — ექიმმა დამცინავად გაიღიმა და მარჯვენა მხარეს ოქროს კბილი გამოუჩინდა, — მაშინ მე რაღასი მოხელე ვარ აქ! შენ რას იზამდი, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი?

— არაფერს, მივეცემდი, რასაც მთხოვდნენ.

— მერე დისციპლინა?

— რა დისციპლინაზე ლაპარაკობ, თუ კაცი ხარ. მართლა და მართლა... — გივი ანთიქეს უწვევრული ლოყები შეეფაკლა და წამის წინ წყნარმა თაფლისფერმა თვალებმა ბრწყინვას მოუმატეს, — შენ სულაც შემთხვევით შეგვეხვდი პარიზში.

— მე არ ვყოფილიყავი, სხვა იქნებოდა. გგონიათ, თქვენს ნებაზე გამოვიშვებდნენ, წადით, გენაცვალებთ, აღმადამა იყანყალეთო? არ გიცნობდეთ მაინც! თქვენ არ იყავით, ბიჭო, ღვინით საესე ცისტერნა რომ გახვრიტეთ მონსში და იმდენი ღვინო დააქციეთ?

— შენ შარზე ხომ არა ხარ? — ანთიქის წამონთებულ დაწვებს ახლა წამიერმა სიყვითლემ გადაჰკრა. — ახლა... ბოლოსდაბოლოს... თვალში ხომ არ გეპატარავები!

— აა, გენიშნა? — ექიმმა კვლავ ნიშნისმოგებით გაიღიმა და თავის მსხვერპლს, რომელიც უკვე დაჰქერილი ჰყავდა და ველარსად წაუფიქოდა, ჯერაც ბავშვური გულუბრყვილობით საესე თვალბში შეაჩერდა, — გინდა, ყველაფერი დალაგებულად მოგიყვე, რა როგორ იყო? ცისტერნა შენ და არტემიქემ გახვრიტეთ. ანდა არტემიქემ და მიტოვი გიგაშვილმა, ჩემთვის სულ ერთია. მატარებელი რომ მონსში გაჩერდა, გახვრეტილი ცისტერნიდან ღვინო აღარც კი წვეთავდა. ვაგონების კარები ძლივს გააღეს გარედან. ბიჭები, ქართველებიც და გერმანელებიც, გალუშვილი მთვრალეები იყვნენ და ეძინათ.

თქვენ ოთხმა ამით ისარგებლეთ და ისევე პარიზში დაბრუნდით ბედის საძიებლად, თავს კი იმით იმართლებდით, სადგურში წყლის დასალევად წამოვედით და მატარებელმა გაგვასწროო. სარგებლობთ კულტურული ხალხის ლმობიერებით, რა გენდღვლებათ! მამა აბრამის ბატყეები! რა შეიღებს გაასწრო მატარებელმა! თუ მოინდომებთ. ბიჭო, მატარებელს კი არა, გასროლილ ტყვიას დაეწვეით თქვენ.

— მოკლედ მითხარი, მაძლევ საბუთებს და წერილს თუ არა! — თქვა ანთიქემ და ერთბაშად წამოდგა, — შოთა მამალაძე, ნურც შენ დაგაიწყებდა: ერთი დრო არავის შერჩენია. ამოალაგე და დააწყე ყველაფერი! — ამ სიტყვებზე ანთიქემ ხელი დაჰკრა მაგიდას და ის თითქოს სულ სხვა კაცად იქცა.

ყველის ქარხნის მუშებს, აქამდე რომ გუნებოვრად ფშვინავდნენ და, ვინ იცის, ტყილი სიზმარიც ესიზმრებოდათ, უეცრად გამოვლვიდათ, თვალები მოიფშვინებდნენ და მაშინვე თავ-თავის ბარგს მოუფათურეს ხელი, ზომ ყველაფერი ადგილზეაო. მერე ყველამ ღია კარს შეხედა. იქ ახმახი ფელდფებელი იდგა და პოლიციელის მედიდურობით. რაც სამხედრო ჩინით უფროსის წინაშე მოწიწებასთან იყო შერწყმული, ერთი წუთით ენაჩაგრდნოლ სამხედრო ექიმს მისჩერებოდა.

— Was wünschen Sie! — მკვეთრი ზემოდავარიული აქცენტით ჰკითხა მას შოთა მამალაძემ.

— Ich dachte, Herr Leutnant unsere Hilfe...² — ფელდფებელი ოდნავ მიბრუნდა და კუბეში მყოფთ მის უკან მდგომი სამი გერმანელი ჯარისკაცი დაახანა.

— Wir brauchen nichts!³ — მოუკრა მამალაძემ, უბის ჯიბიდან რაღაც გაზეთში შეხვეული ამოიღო, მაგიდაზე ხმაუ-

რით დაახეთქა და ისევე ფელდფებელს მიმართა:

— Was stehen Sie da? Haben Sie ab!¹

კუბედან გამოსულ გივი ანთიქემ ბიჭები ხელებში ეცნენ. შტამპიანი მორგრო ჰაკეტი, რომელზედაც გარკვეული მოწაფური ხელით ფრანგულად ეწერა ობერლეიტენანტ ვასო ინჯიას სახელი და გვარი და ზანდფურტული მისამართი, არტემიძემ იტუცა ჯიბეში. დანარჩენი საბუთები კი უმალ დაინაწილეს და გასასვლელს მიაშურეს, რადგან მატარებელი მაასის ხიდს უახლოვდებოდა და სულ მალე როტერდამის სადგურში უნდა შეჩერებულიყო.

— ამდენ ხანს რას გელაპარაკებოდა? — ჰკითხა გივის შურა ჩილაჩავამ, როცა საბუთები საიმედოდ შეინახა უბეში და გიმნასტურის ღილები შეიბნია, — არაო?

— რა ჰქუა აქვს მაგის ლაპარაკს. ხომ გამოვართვით, მთავარი ეს არის!

— არაფერი იყისროს, თუარა, ხომ იცის, რაც მოუვა... — თითქოს არა გივი ანთიქემ, არამედ თვით შოთა მამალაძეს ეუბნებო, თქვა ევგენი არტემიძემ.

— არ გესმოდათ, როგორ დავიტაკეთე ყველამ გივის შეხედა.

— ლენის ცისტერნის ამბავი სცოდნია. ვინ ეშმაკმა უთხრა! პირდაპირ ჩვენ გვადებს ხელს.

— ცისტერნის? — შურა ჩილაჩავა და მითო გივამვილს, რომლებიც ევგენი არტემიძესთან და გივი ანთიქესთან ერთად, ამ გახმაურებული ამბის მონაწილენი იყვნენ, ფერი ეცვალათ.

— ისე მომიყვა, თითქოს თავადაც იქ ყოფილიყოს.

— ვერაფერი უთხარი?

— რა უნდა მეთქვა, დარწმუნებულია.

— როგორ ატყობ, გაგვემს? — ახლა ისევე არტემიძემ იკითხა.

— არა მგონია. დღევანდელმა შემთხ-

¹ რას ვენბავთ?
² მე ვფიქრობდი, ჩვენი დახმარება, ბატონო ლეიტენანტო...
³ ჩვენ არაფერი გვჭირდება.

ვევამ ძალიან შეაფიქრია. თავი ვის მოძულეობია! რიხს, მართალია, არ იტეხდა, მაგრამ ვე უკვე სხვა რიხი იყო.

— რომ გვაფიქრებოდა? — მიაწოდა ამხანაგებს აზრი ჩილაჩავამ.

— არა! — ეგვინიმ გადაქრით იუარა, — მაგით უფრო დავიღუპავთ თავს. მიხედება, რომ გვეშინია. სწორედ ეს არ უნდა ვაგრძნობინოთ. ჯობია იფიქროს, მართლა თავზე ხელაღებულები არიან და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ.

— რა ვიცი, ახლა, გაცემასაც თუ იკისრებს... — ფიქრიანად თქვა ფანჯარასთან მიმდგარმა გივიმ და უეცრად განცვიფრებისაგან თვალები გაუფართოვდა, — შეხედეთ ამას, ბიჭებო, ეს რა ამბავია!

ყველა ფანჯრისაკენ შემობრუნდა. მათ წინაშე, რამდენიმე ტოტად დაყოფილი თვალუწყდენელი მასის ორივე ნაპირზე, უმოწყალოდ დანგრეული და მიწასთან გასწორებული უზარმაზარი ქალაქი იდო. წუთით ხუთივეს მიავიწყდა თავისი პირადი გასაჭირი. უცხო მიწაზე ბედის უკუღმართობით მოხვედრილი ხუთივე ვაჟკაცი შეძრწუნებული მიანერდა ოდესღაც მშვენიერ, მშრომელ, მდიდარ და აყვავებულ ქალაქს, რომლისგანაც ახლა მხოლოდ ქვისა და ლორღის ვეებერთელა გორები დარჩენილიყო. მასი დინჯად მოიზღაზნებოდა ბეტონის კედლებამოშენებულ ფართო აუზებში, სადაც ჯერ კიდევ იდგნენ დიდი დაბომბვის წინ აქ მდგომი ადგილობრივი და უცხო სახელმწიფოთა საოკეანო ხომალდები, კრეისერები და დრედნოუტები, ნავთობის საზიდო და უბრალო სატვირთო გემები, ბარჯები, მოტორიანი ნავეები და მოხდენილი იახტები. ბევრი დიდი და მცირე ხომალდი დამწვარ-დაღწილი იყო, მაგრამ წყალში მაინც ზვიადად იდგა და ჩაძირვისაგან თავს როგორღაც ინარჩუნებდა. ბევრი კი უკვე ჩაძირული იყო და წყლიდან მხოლოდ გროტანძის წვერი მოუჩანდა.

ბეტონის კედლების გასწვრივ, რომლებისთვისაც ბომბის აფეთქების ტალ-

ღას ვერაფერი დაეკლო, ბეტონისკვე განიერ ბაქნებზე გაყოლებულ ცხლებით ამწეს ხელები ცად აღეპყრდნენ მათთვის შევლასა და შემწეობას ზენაარს თხოვდა. როტერდამის სახელგანთქმული ნავსადგური, ომის წინ რომ თვით ტოკიოს, ლონდონსა და ნიუ-იორკს უწევდა მეტოქეობას და კიდევაც ჯობნიდა, ახლა უთვალავი ჯვრებით მოფენილ სასაფლაოს მიაგავდა. მატარებელი დინჯად მიიზღაზნებოდა ქვა-ლორღის გროვებს შორის და თვალწინ ნგრევისა და გაუდაბურების ახალ და ახალ სურათებს შლიდა.

მას შემდეგ, რაც პოლონეთის პატარა ქალაქ კრუშინაში დაბანაკებული ქართული ეროვნული ლეგიონი დაიშალა და ბატალიონები დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში დაქსაქსეს, ბიჭებს უკვე აღარსად შეხედროდათ საზარელი ნგრევის ამგვარი კვალი. დასავლეთს, თუმცა მოკავშირეთა ავიაციის თვდასხმებში ხშირი იყო, ნამდვილი ომი ჯერაც არ ენახა. როტერდამის ნანგრევები ეგვენისა და მის ამხანაგებს ნახშირად და ფერფლად ქცეულ ვარშავას აგონებდა. უფრო ადრე მათ ამავე დღეში ნახეს მინსკი და სმოლენსკი, კიევი და სევასტოპოლი. მაგრამ როდის მოხდა ეს: ნუთუ ქალაქმა როტერდამმა წინააღმდეგობა გაუწია გამხეცებულ მტერს, იმ დროს როდესაც ევროპის ქალაქებში, თვით თავმომწონე ვენასა და პარიზშიც კი, გერმანიის არმია გაშლილი დროშებითა და სამხედრო ორკესტრის ძლევამოსილი გრილით შევიდა?

ბიჭებმა თავისდაუნებლიეთ ქულები მოიხადეს და ერთხანს ასე გარინდებულნი დარჩნენ, თითქოსდა გულით საყვარელი ადამიანის უსიცოცხლო გვამის წინაშე იდგნენ და კრიჭამეკრულნი შეპყრებდნენ მტრისაგან მორეულ, შევიწებულ და გაპარტახებულ ქალაქს.

— რას იზამდით, თბილისი რომ ამ დღეში გენახათ? — ყველას სათქმელი გივი ანთიძემ ამ შეკითხვაში გამოხატა და პასუხსაც აღარ დაუცადა, — დავი-

ჯერო, ყველა ამოწყდა, აღარავინ დარჩა სამაგიეროს გადახედელი?

— ჩუმად, ბიჭო, არ გაიგონოს, — შურა ჩილაჩაევას მართლა შეეშინდა და უკან მიიხედა. ყველის ქარხნის მუშებში უკვე ტალანში იდგნენ და თავიანთი ბარგიბარხანით ჩასასვლელად ემზადებოდნენ. აქოთებუელი სუნი, მათ ტანსაცმელს რომ ასდიოდა, აქამდეც კი აღწყვედა.

თ ბ ვ ი

ნანგრევების გაწმენდა აზრადაც არავის დაჰბადებოდა. გაწმენდილი მხოლოდ ქუჩის სავალი ნაწილი იყო, რათა ქვასა და ღორღს ქალაქში ტრანსპორტის მიმოსვლა არ შეეფერხებინა. თვით ნანგრევებზე კაცის ჰაჭანებას ვერ დაინახავდი. სამაგიეროდ, ქუჩები სავსე იყო მწვანედ ან ნაცრისფრად შეღებილი სამხედრო მანქანებით და ჯავშანტრანსპორტიორებით, რომლებშიაც თავზე ჩაქანდახურული, სავსე ფორმაში გამოწყობილი, კბილებამდე შეიარაღებული სამხედროები ისხდნენ და თოშკა დაღვრემილ სახეზე ვერავის შეამჩნევდი თუ სადმე ეჩქარებოდა, მაინც სადაც მიიჩქაროდნენ. ისედაც ვიწრო ქუჩები, სადაც მანქანა მანქანას გვერდს ძლივს უვლიდა, სამუშაოზე მიმავალი თუ სამუშაოდან ან შრომის ბირჟიდან შინ მომავალი ველოსიპედისტებით და მოტოციკლისტებით იყო გაჭედილი. ველოსიპედებზე ყველა შესაქის ქალები და კაცები ისხდნენ. უმრავლესობას ველოსიპედის უკანა თვალის ზემოთ მოწყობილ დასაჯდომზე კალათი ან აბჯა მოეთავსებინა და წინ ისე თავდაჭერებულად მიაქროლებდა თავის უტყუარ ორთვალას, თითქოს ახლომახლო მის მეტი არც არავინააო.

ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადასვლას მთელი საათის ლოდინი სჭირდებოდა. ავტომანქანებისა და ველოსიპედების უწყვეტ მდინარეს მხოლოდ დიდ გზაჯვარედინებზე აწესრიგებდნენ,

ევგენის, გივის, მიტოს და შურას არ შეუნიშნავთ, როგორ შევიდა მანქანებზელი გადახურული პლატფორმის ქვეშ და როგორ გაჩერდა. ვაგონში მგზავრების ყაყანი ატყდა. ბიჭებს სწორედ ამან მოაგონა, რომ უკვე მისული იყვნენ და ხალხმრავალ ბაქანზე ჩასასვლელად ნახევრადჩახნელებული ტამბურისათვის უნდა მიემართათ.

III

იქამდე კი ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით მოძრაობდა.

მინებჩალეწილ და მტვერში ამოვანგულულ ქუჩის ფარანთან, რომელიც თუჩის ძველებურ ბოძზე იდგა, თითქოს მიწიდან ამოძვრნენ მკლავზე ლურჯ ლენტშემოხვეული პატრულები და ალალებდნენ მიმავალ ქართველებს გზა გადაუღობეს.

— პაილ ჰიტლერ! — მკახე ხმით შესძახა ავადმყოფური შესახედაობის სათვალეებიანმა სერჟანტმა და მარჯვენა ხელი წინ გადმოისროლა.

— პაილ ჰიტლერ! — ბიჭები მუხლებმოკვეთილებივით შეჩერდნენ და იგივე გაიმეორეს, რაც სერჟანტმა და მისმა თანმხლებმა ჯარისკაცებმა ჰქნეს.

— Ausweisel! ბრძანა პატრულების უფროსმა.

იმის მაგიერ ხელი ჯიბისაკენ წაეღოთ, შემკრთალი ბიჭები ევგენის მიაჩერდნენ, თითქოს იმისაგან ელიან სასწრაფო რჩევა-დარიგებას, როგორ მოვიქცეთო. ევგენიმ, რომელიც თავადაც შემკრთალი ჩანდა, საბუთები დინჯად ამოიღო და სერჟანტს გაუწოდა.

— Genosse? Genazwale? — შესძახა სერჟანტმა, როგორც კი არტემიძის პირადობის მოწმობას დახედა, მაგრამ საუბედუროდ ქართული ენის ცოდნა ამით ამოსწურა: — Batum... Hafen... Wie kommt hier?

— Im vorüberfahren Herr - Unter-

¹ საბუთები!

² ამაზიანი? გენაცვალე? ბათუმი... პორტი... აქ საიდან მოხვდით?

offizier¹, — ევგენი შეეცადა თავისი სიტყვებისათვის რაც შეიძლება მეტი დამაჯერებლობა მიეცა, — ესელონს ჩამოვრჩით და... ხვალ ზანდფორტში უნდა ვიქნეთ, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე...

— საბუთებში ეს პუნქტი აღნიშნული არ არის!

— რომელი, ბატონო უნტეროფიცერო?

— ქალაქი როტერდამი, სადაც ამჟამად იმყოფებით!

— როგორ არა... — ევგენიმ ხელები ვაიწყვდინა თავისი საბუთების გამოსართმევად, — აქ...

— მე ნუ მასწავლით, გერმანული წერა-კითხვა თქვენზე უკეთესად ვიცი! აქ ამსტერდამია აღნიშნული და არა როტერდამი. „ამსტერ“ და არა „როტერ“. ეს ორი სხვადასხვა რამ არის. რა უფლების ძალით ჩამოხვედით მატარებლიდან? ჩვენ მოვალე ვართ დაგაგვოთ და დაპატიმრებული ვაგზავნოთ თქვენს ნაწილში. გასაგებია?

— დიახ, გასაგებია, ბატონო უნტეროფიცერო.

— ამას გარდა უცხო ქალაქში უგზო-უკვლოდ დაეხეტებით.

— დამნაშავე ვართ, ბატონო...

— Schweigt! Schweichelt nicht!² უნტეროფიცერმა ზიზღით, ქვეშ-ქვეშ გაიღიმა, არტემიძის საბუთები მოკეცა და პატრონს უკან დაუბრუნა, — როტერდამში საალყო წესებია გამოცხადებული. იცით? თვითვე ჩვენს ჯარისკაცზე ყოველი ქვის და კედლის უკანედან ნაღირობენ. უიარაღოდ ნაბიჯსაც ვერ ვდგამთ ქუჩაში. თქვენ ბედი გქონიათ, რომ აქამდე თავი არავინ გაგიხვრიტათ. უპატრონო ღორებივით დაყანყალვებთ. Schweine!³ აბა, ახლავე მოკურცხლეთ აქედან!

— სად წავიდეთ, ბატონო სერჯანტო?

— თვალუბგადმოკარკლული არტემიძე

ძლივსდა იცავებდა ყელზე მოწოლილ ბოლმას და ახლა უზომოდ წყნარად იყო, რომ მისი პისტოლენი მძიმად გაშვილს ედო ჯიბეში.

— თუ მოსვლა მოახერხეთ, წასვლასაც მოახერხებთ!

— თავისუფალი ვართ?

— ჰაილ ჰიტლერ! — შესძახა უნტეროფიცერმა და გამოშვილობების ნიშნად გაკეძული მარჯვენა ხელი კვლავ წინ გადმოაგდო.

ბიჭებმა ფეხი აითრიეს და როგორც გალახულებმა გზა განაგრძეს.

— მადლობა ღმერთს, გადავრჩით, — წაილაპარაკა შურა ჩილაჩაევამ, როცა ქუჩის ნათურის ბოძს კარგა მანძილით ვასცდნენ და თავი ნანგრევებით შემოზღუდულ მომცრო მოედანზე ამოჰყვეს.

— ჯერ სადა ხარ! — ნაღვლიანად შენიშნა მიტო გიგაშვილმა და ამოიოხრა. — ახლა ჩემს ვენახში მქნა და ჩემი დღე შუაზე გაჰყო.

— რა გინდა, ბიჭო, ვენახში? — გაეცინა არტემიძეს, რომელსაც ჯერ კიდევ წურწურით ასხამდა შუბლზე სიმწრის ასხამდა ~~შუბლზე წურწურით~~ სიმწრის ოფლი.

მიტო გიგაშვილს თავისი ვენახი ეს პირველად როდი უხსენებია. ვაზი ომის დაწყების წინა წელიწადს ჩაეყარათ ზედ წყლის პირზე, ატენის მონასტრის ჩამოსწვრივ და ახლა აღბათ კიდევაც ისხამდა.

— შენც მეკითხები, რა, ევგენი! — მიმართა მან არტემიძეს, — თავად არ გინდა შინ იყო, ჭრელ ფარდაზე გულაღმა იწვე და ეს ყველაფერი სიზმარი აღმოჩნდეს? რამდენჯერ მიფიქრია. ბევრჯერ თავიც კი დამიჯერებია, სიზმარიამეთქი, აბა, თუ სიზმარი არ არის-მეთქი. რომ დარწმუნდები, ყველაფერი ცხადშია და არავითარი სიზმარი არ არის, გულზე შემოგდის და სუნთქვა გეხუთება. არა, გვივი? ამ ავყია ტიპისა არ იყოს. ახლა რომ შეგვხვდა, აქ მართლა რამ მოგვიყვანა, რას დავეხეტებით, რას ვეძებთ? რა დამრჩენია, ბიჭო, აქ? ახლა, ეს უბედურება რომ არ დაგტეხოდ,

¹ ზნად გამოვიარეთ, ბატონო უნტეროფიცერო.

² ჩუმაღ! ნუ მღიქვნილობთ!

³ ღორები!

ხომ კაცი ვიქნებოდი. ცოლს შევირთავ-
დი. გორში ახალი სახლი გვაქვს მოსა-
თავებელი. იმას მოვათავებდი. შერე
შვილები გამიჩნდებოდნენ. რისთვის უნ-
და მესროლოს, ბიჭო, ტყვია აქაურმა
კაცმა, ან სხვამ, ვინც არ უნდა იყოს,
რა დამიშავებია?

— ეჰ, ჩემო მიტო, მაგნაირი ფიქრი
შორს წაგვიყვანს, — ეგგენი არტემი-
ძემ შარვლის ჯიბიდან კოპლებიანი
ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე ისე
შაგრაღ მოისვა, კინალამ ვახურებული
სველი კანიც ოფლს ააყოლა, — თუ შე-
ნი თავი შენ არ გეკუთვნის?

— მეც სწორედ მაგის თქმა მინდა.

— კაცურ კაცს, შე ასე გეტყვი, თა-
ვისი თავი არასოდეს არ კუთვნებია. აბა,
დააკვირდი, თუ ასე არ არის და შითხა-
რი.

— რას ფილოსოფოსობთ მანდ?! —
საუბარში ახლა გივი ანთიძეც ჩაერია
და რაკი ვიწრო ტროტუარზე ყველა
გვერდი-გვერდ ვერ დაეტივნენ და გამ-
ვლელ-გამომვლელს ხელს უშლიდნენ.
ამხანაგებს წინ გადაუსწრო.

— არც ერთი კაცური კაცი თავის
თავს არ ეკუთვნის-მეთქი, — უფრო მე-
ტი დამაჯერებლობით გაიმეორა არტემი-
ძემ, — რატომ, თუ იცით? ვთქვათ ოპია,
როგორც ახლა, მთელი სოფელი ჯარში
გაიწვიეს და შენ სახლის თავზე ხარ და-
მალული, კაცი გქვია? ვთქვათ, სო-
ფელს სული ხდება შიმშილისაგან, შენ
კი თავზე საყრელი გაქვს საქმელ-სასმე-
ლი და ჩუმად, სხვებისგან დამალულად
იყორაგ მუცელს, შეგერგება?

— აგრე თუ ვიტყვით, რასაკვირვე-
ლია, — უყოყმანოდ დაეთანხმა თავისი
სახლ-კარის, თავისი კუთხის, დიდი ხნის
წინათ დატოვებული სამშობლოს გახ-
სენებით გულდამწვარი მიტო ვიგაშვი-
ლი, — თუ ქვეყანა გასაჭირში იქნება,
პარტო შე ღმერთმა ნუ მაყოფოს ნურც
მძღარი და ნურც სალსალამათი. რაც
ყველას, ის მე!

— ჰოდა, აგრეა! — ეგგენი არტემიძე
გახალისდა და ისე ჩანდა, სულ გადა-
ვიწყდა გულისფრიალი, რაც სულ რამ-

დენიმე წუთის წინ შეხედათ, — კაცუ-
რი კაცი შენს თავს არ ეკუთვნის, —
გინდა ეკუთვნოდე. ხომ მართალია? —
ბიჭო?

დამჯერე ბავშვებით გაჩუჩებულ
ვივის და შურას ხმა არ ამოუღიათ. წინ
თავჩალუნულები მიდიოდნენ.

— მაგრამ კაცს ნატვრას მაინც ნუ
წაართმევ, — თქვა უცებ ანთიძემ და
გულლიად, როგორც ყოველთვის სჩეე-
ოდა, გაიციან, — არც ჰქონდეს და არც
ინატროს? ეგ რანაირი სამართალია, ბი-
ჭო?

— მე არ ვართმევ, — სიცილი ეგვე-
ნისაც გადაედო, — ინატროს, რამდენ-
ნიც უნდა. ახალშენია შენი ვენახი? —
ის ისევე ფიქრში წასულ მიტოს მიუბ-
რუნდა. ეგგენიმ კარგად იცოდა, რომ
მიტოს ვენახი ახალშენი იყო. ვენახის
ამბავი, ვინ იცის, რამდენჯერ მოესმი-
ნა, მაგრამ მაინც იკითხა, თითქოს ამით
შეუმჩნევლად გაჩენილი სიცარიელის
ამოვსებას ლამობდა.

— ახლა ოთხი წლის იქნება — სე-
რიოზულად მიუგო მიტომ, — ოცდა-
ცხრამეტში არ ჩაფყარეთ. გაზაფხულზე,
სანამ მე კადრის სამსახურში გამოვი-
წვევდნენ?

— წილს აბა უკვე მოისხამდა.
— შარშან გამოიტანდა ნიშანს. ნერგი
ღონიერი იყო. სანდო კაცისაგან შევი-
ძინეთ.

— რა ჯიშებია?
— რქაწითელია უმეტესობა. გაჩერ-
დი, თუ ძმა ხარ ნულარ მომავონებ...
— მიტომ სიტყვა ძლივს დაამთავრა,
თვალეში მოენისლა და ხმა ჩაუწყდა.

- - აი, ბიჭებო, ნამდვილი გლეხი! —
ისევე სიცილით თქვა ეგგენიმ, რათა უდ-
როო დროს გულაჩუყებული მეგობა-
რი შემოძახებით გაემხნევებინა, —
არც მამა აგონდება ამ კაცს, არც დე-
და. არც სხვა ვინმე და ვენახის გახსე-
ბაზე ცრემლები დაპალუბით ჩამოსდის.
რა მესაკუთრე იქნებოდა, ძველ დროს
რომ შესწრებოდა! ისე ამბობს, ბიჭო.
ახლა ოთხი წლის იქნებაო, თითქოს დე-
დის მუცელში ბავშვი დაეტოვებინოს.

ეს ვინ ყოფილა! შენ თვითონ ონოფრეც, რას იფიხალები დაბროწებული წაბლის ბუძევივით! აბა, ასწი თავი, ასწიე ახლავე თავი, მე შენ გეუბნები!

ეს სიტყვები, რაღა თქმა უნდა, ხუმრობით ითქვა, მაგრამ მიტო გიგაშვილი მართლა ტიროდა. ტიროდა უხმოდ, დაუკენესებლად, ცრემლებს ყლაპავდა, ისე როგორც გარეგნულად გულქვა, თავშეკავებული მამაკაცები ტირიან. ბიჭებმა ნაძალადევი ოხუნჯობა შეწყვიტეს. ევგენიმ დაირცხვინა. გულში ყველა თანაუგრძნობდა მიტოს ტკივილს და შიშობდა, ზედმეტი სიტყვით ეს ტკივილი, რომელიც თვით მისი ტკივილის განუყოფელი ნაწილი იყო, უცაბედად არ გაელხიანებინა და ამით მთლად აუტანელი არ გაეხადა.

სწორედ ამ დროს ისინი გავიდნენ კერამიკული აგურით მოქედილ ოთხკუთხა მოედანზე, რომლის ცალი გვერდი თლილი ქვისაგან აგებულ და მეორედმოსვლის დროს უვნებლად გადარჩენილ შვიდ თუ რვაასართულიან მკვიდრ შენობას ეკავა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს მრავალი ამბის გადამტანი ზვიადი შენობა საცხოვრებელი სახლი არ იყო.

— ქალაქის რატუშა იქნება, — ყველას გასაგონად თქვა გივი ანთიმემ და შენობის ღრმა ნიშებში შედგმულ ბრინჯაოს ქანდაკებებს დააკვირდა. ერთი მოხდენილი ქანდაკება სახლის გუმბათის წვერზე იდგა. ეს იყო ფრთებდაშვებული ღმერთი თუ ანგელოსი, რომელსაც ცალ ხელში ცად აღმართული გრძელი შუბი ეჭირა, ხოლო მეორე ხელში კი მინდვრის ყვავილების გვირგვინი და შემოგარენს ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა, — ქალაქის მფარველი ღვთაებაა, — თავის თავს განუმარტა გივი, — მაინც რომ ვერ დაუფარავს თავისი ქალაქი?

— თვით ეს შენობა რომ გადარჩა, არ გიკვირს? — თქვა შურამ, — ლამაზი სახლების მეტი რა გვინახავს, მაგრამ ეს მართლა კარგი რამეა.

— ნუ დაგავიწყდება, ნანგრევებში

დგას, — ჩაურთო ევგენიმ, რომელიც გივი ანთიმეს გულში უმდებლად საუბრის საგნის შეცვლის გამო, ყველაფერი შედარებითი არ არის?

— მაინც ძალიან მოშწონს, — განაგრძობდა ხუროთმოძღვრების დიდებული ნაწარმოებით აღფრთოვანებას გივი ანთიმე, — შენ გგონია, გუშინდელი აშენებული იქნება?

— თუ უკვირდებით, აქ ყველაფერი ძველია, — თქვა შურამ, — მაგრამ, ეტყობა, უფლიან სახლებს. ვერ ზედავთ, რაც ნგრევას გადარჩენია, მართლაც გუშინდელ აშენებულივით დგას? თუნდაც ეს რატუშა... რას იტყვით, ომი რომ დამთავრდება, ყველაფერს ისე ალაღვენენ, როგორც იყო, თუ სულ სხვანაირი სახლებს ააშენებენ?

— ძნელია მაგის თქმა, — ყველას მაგიერ მიუტო გივიმ, — რა იცი, რა დაინგრა. ჩვენ ქალაქის შუაგულში ვართ. აქ უბრალო შენობები არ იქნებოდა. ნავსადგურიც რა კარგად მოჩანს აქედან!

— სახლები აღარ ეფარება და გამოჩნდება. აბა, რა! — თითქოსდა ვილაყას უწყურებაო, უნდილად ისროლა ევგენიმ, — რა ექნათ ახლა, არ დაიდაღეთ?

— მერე? — შურა ჩილაჩავა და გივი ანთიმე არტემიმეს მიაჩერდნენ.

— კანტინაში ან ბარში შევიდეთ სადმე და თითო კიქა ლუდი დავლიოთ. ყელი გამიშრა. იქნებ რაიმე მისატანებელიც გამოვიგინოთ.

— სად ზედავ აქ ან ერთს ან მეორეს! — გივიმ დაკვირვებით მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ირგვლივ მსგავსი მართლაც არაფერი იყო.

— მომყეთ, მე ვიპოვი! — თქვა ევგენიმ და ამხანაგებს საგულდაგულოდ წინ გაუძღვა. რატუშის მარცხენა კუთხის პირდაპირ მოედნის მეორე მხარეზე გადავიდნენ და იქ ვიწრო ქუჩაში შეუხვიეს. ქუჩა გრძელი იყო და, ალბათ, ნავსადგურთან გადიოდა, რადგან სადღაც ბოლოში გარკვევით ხედავდნენ ლურჯ ცაში თავშერგულ მძლავრ ამწყებს, ბეტონის ბაქნებზე გუმბების დასაყენებელი აუზების გასწვრივ რომ იყო

გამწკრივებულს. ვიწრო ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებული სამ და ოთხსართულიანი აგურის სახლები, ისევე როგორც რატუსა, რაღაც მანქანებით დანგრევას გადაარჩენოდა, მაგრამ დაკვირვებული კაცი შიგნით შეუსვლელადაც კი მიხვდებოდა, რომ სახლების დიდი უმრავლესობა ცარიელი იყო და უპატრონოდ მიტოვებულ ბინებში კარგა ხანია აღარაინი ცხოვრობდა.

— იმ ოთხთვალს სერეანტმა მართალი გვითხრა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ევგენი არტემიძემ და დიდი ხნის გაუწმენდავ ფანჯრებს თვალი ააყოლა. — აქ მართლაც საშიში უნდა იყოს უიარაღოდ სიარული. ისე მოგვკლავენ, ვერც კი მიხვდები, საიდან გესროლეს. გულში კი არაინი გიზის...

— მოგვკლავს შენც ერთი! — შეუტია გივიმ, — მოგვკლავენ და მოგვკლავენ, დიდი ამბავი!

— ასე უბრალოდ რომ მოკვდე, თავი არ გენანება?

— გამიშვი, მე წავალ წინ, თუ აგრე გეშინია!

ევგენიმ წინააღმდეგობის გაწევა ან რისამე თქმა ვერც კი მოასწრო, გივიმ გვერდი საკვირველი სიმარჯვით აუტყცია და თვალის დახამხამებაში მის წინ გაჩნდა.

— მე მესროლონ, თუ კაი ბიჭები არიან!

— ვითომ შენ ვინ ხარ?

— ვინც ვარ, დაგანახებთ ყველას!

— ყველაფერს ვიფიქრებდი და შენ თუ ასე ბაქია იყავი, არ მეგონა!

— ჩემზე ამბობ მაგას, ხომ? მოიცა...

— გივი ამ სიტყვებზე მოწყვეტით შეჩერდა და თითქოს წინ ცხელ სილაში გაწოლილმა უხსენებელმა გაუარაო, უკან დაიხია. ევგენი ამას არ მოელოდა და ამხანავს ზედ წაემტვრა.

— ფუ... რა მოგივიდა, ბიჭო, რას გაჩერდი?

გივი ერთხანს ხმას არ იღებდა, მონუსხულივით იდგა იმავე ზღვილზე და არც წინ მიდიოდა, არც უკან. მერე გვე-

რდზე გადადგა ნაბიჯი და არტემიძეს გზა დაუთმო.

— მიდი... შენ იარე წინ, შენ უკან მოგყვები.

— რა მოგივიდა, აღარ იტყვი? — თავჩაღუნულ და სახელაღწილ გივის ამხანაგები გარს შემოუხევივნენ. — დაინახე რამე? — მიტო გიგაშვილმა ხელი ჩაიყო ჯიბეში და ევგენი არტემიძის ბელგიური პისტოლეტი მოსინჯა, — ბიჭო, რა ენა ჩაგივარდა?

— მიდი, შეხედეთ... — წაილულულა გივიმ და სირცხვილისაგან ყურებამდე წამოჭარხლებულმა დამნაშავესავით გაიღიმა.

ბიჭებმა წინ გაიხედეს, საითაც გივიმ ანიშნათ და თავადაც სახტად დარჩნენ.

სადარბაზო კარის მოსაზღვრე ვიტრინაში, სწორედ ქუჩის პირას, შუშის უკან, თეთრ ზეწარგადაფარებულ დაბალ სავარძელზე, სარკის წინ, რომლის ზემოთაც წითელი ნათურა ენთო, ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის ქერა ქალიშვილი იჯდა და ჯანღონით საცხე ახალგაზრდა ჯარისკაცების დანახვით აშკარად გახარებული მთელი სახით იღიმებოდა. ქალი დედამშობილა იყო, მხოლოდ სარცხვინელს და ჯერაც განუფითარებელ პაწია მკერდს უფარავდა წინწყლებიანი თხელი ქსოვილის ვიწრო ზოლი და ამიტომაც ის ევგენის, შიტოსა და შურას დახატული ეგონათ. ის იყო, არტემიძეს უწამაწური გინება უნდა წამოსცდნოდა „ამის დამხატავის“ მისამართით, რომ, ბიჭების გასაოცრად, ქალი, რომელიც, რასაკვირველია, ცოცხალი იყო, შეინძრა, მამაკაცების თვალწინ მუხლი მუხლზე გადაიდო, ჩამოქნილი, ხორციანი ბარძაყები უფრო თვალისმომკრელად გამოაჩინა და მხრებზე ჩამოყრილი ჩალისფერი თმა აიკრიფა,

— ფუ! — რომელიღაც ძველ ნაფიქრალს უბასუხა მიტომ და სცადა ამ მაცოტუნებელი და განუშეორებელი სანახაობისათვის თვალი მოერიდებინა, — ეს რა დაეინახე, კაცო!

ბიჭები აირღაირივნენ. აღარ იცოდ-

ნენ, გზა განეგრძოთ თუ ამ მომხიბლავი შიშველი ასულის ქვრეტი დატყაბარიყვენ. მათ ერთმანეთისა რცხვენოდათ და რამდენადაც უფრო დიდი იყო აქედან რაც შეიძლება უფრო ჩქარა წასვლის მისწრაფება, სურვილი შიშველი ქალის წინაშე თუნდაც წამის ერთი მეთათასედი კიდევ მდგარიყვენ, ასეთივე ძალით უკან ეზიდებოდათ. სურვილს ბოლოს ისევ მორცხვობამ სძლია და მათ გზა განაგრძეს, ოღონდ ამჯერად ერთმწყრივად გაიშალნენ ქუჩაში. ფეხს ითრევდნენ, ერთმანეთისაგან მალულად დროდადრო უკან იხედებოდნენ და ვიტრინაში გასაყიდად გამოდებულ საქონელივით მყოფ მუქ ქალს თვალს ადევნებდნენ და მის სახეს მესხიერებაში სამუდამოდ იბეჭდავდნენ. თავისი მაცთუნებელი დიმილითა და სიშიშვლით ჯარისკაცები რომ ვერ შეაჩერა, ქალმა ერთბაშად მოიწყინა. ის, ალბათ, ვერც კი მიხვდა, თუ რა მოხდა. ბოლოს, უთუოდ გადაწყვიტა, დამიწუნესო, ანდა დაწესებულების ხარჯების გასასტუმრებელი ფული არა აქვთო და უმალვე დაკარგა ყმაწვილკაცებისადმი ყოველგვარი ინტერესი. ის აქეთ უკვე აღარ იყურებოდა და მიყრუებული ქუჩის სიცარიელეში თავისი სხეულის მაცთუნებელი მშვენიერებით ვნებააშლილი მამაკაცის ხარბ მზერას ეძებდა.

ვიდრე ამ გრძელი, მიხვეულ-მოხვეული ქუჩის ბოლოში გავიდოდნენ, წითლად განათებული ვიტრინები ბიჭებს კიდევ ბევრი შემოხვდათ. ვიტრინებში სხვადასხვა ასაკის, კანის ფერის, სილამაზისა და მიზიდულობის მქონე დედიშობილა ქალები იხსდნენ და გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ყმაწვილკაცების დანახვით გამოცოცხლებულნი სასურველ სტუმრებს შიგნით ეპატიებოდნენ.

— იმ პირველისთანა არცერთი არ არის! — ბოდმასავით აღმოხდა მიტოვილი — აფსუს, რა გოგო იყო!

— დავბრუნდეთ, თუ გინდა, — ვი-

თომდა საიდუმლოდ უჩურჩულა გივი ანთიქემ და ამ სიტყვებით ყველამ გააციონა, — ცოლად ხომ არ შეირთქვით?

— შენ მასხარაობ და რატომაც არ შევირთავ, — აპყვა ხუმრობაში მიტო, — მაგისთანები ბოლოს, იცი, რა ოჯახის ქალები დგებიან?

— ისე დაგიშვენიდა შენ ცხვირ-პირი!

— უყურეთ ამას, ბიჭებო, კი არ სჯერა!

— თუ აგრე დარწმუნებული ხარ და ქალიც მოგწონს, მართლა დავბრუნდეთ. უარს გაგვიბედავს თუ? ცალკე ოთახი თვითონ ექნება. გუგულეზივით იცხოვრებთ. ყოველ შაბათ-კვირას მე და ევგენი მოვალთ სტუმრად, ხანდახან შურასაც წამოვიყვანთ და აბა, თქვენ იცით! ა, ონოფრე! არ გაახარებ მამაშენს, საროსკაოდან გამოყვანილი ქალი თუ ჩაგვარე?

— შენ ახლა ნამეტანს კი ნუ შემავლიანებ, თუ არა მე ქკუა კი არ დამიშლის! თქვენ ნუ გამამხვლეთ და...

— ასე უცებ გადაწყვიტე? არიქა, ბიჭებო!

— ცოლად შერთვის რა გითხრა და, — მსუნავი ხითხითით თქვა ევგენიმ, — ისე კი არ დაიწუნებოდა.

— ახლა ეს გადაგვერია! აგერ ნახეთ, თუ თქვენს შორის სისხლი არ დიღაროს სიყვარულის ნიადაგზე!

— ამას ვერ ხედავთ, აქ როგორ გაყოჩაღდა? — უცებ ხმა შეიცვალა ევგენიმ და თითქოს საჭიდაოდ იწვევსო, გივის თავიდან ფეხებამდე აჩხელ-დაჩხელდა, — შენ არ იყავი, ბიჭო, იმ ძღაბს თვალი რომ ვერ გაუსწორე და მე მეხვეწებოდი, წინ გაგვიძებო? ვერ უყურებთ ამას თქვენ? ახლა ყველაზე ყოჩაღი გამოდგა და აქეთ დაგვიცინის. მარტო ყოფილიყავი, მე ვიცი, რასაც იზამდი, როგორ გაიქცეოდი და ახლა რალა გითხრა.

— შენ რაღას იზამდი, მარტო რომ ყოფილიყავი? — გივიმ ხუმრობა შეიფერა, თუმცა ყურის ბიბილოები ჭარ-

ხალივით წამოუწითლდა. ევგენი თითქოს სულში ჩაუძვრა და გულისპასუხს მიუხედა, — მართალი თქვი!

— ხუსტად იმას, რასაც შენ იზამდი!

— მერე ფული?

— რა ფული?

— შენ გგონია, მაგ სიამოვნებას უფულოდ მოგართმევს? მარკები, ბიძა, მარკები! უმარკებოდ ახლა...

— თუ არც ფული მექნება, შე კაცო და არც თავი, მაშინ...

— მოპასანს აქვს ერთი მოთხრობა, — წუთიერი სიჩუმით ისარგებლა და უცებ დაიწყო შურა ჩილაჩაევამ, აქამდე რომ ღიმილით ყურს უგდებდა ამხანაგების ქილიკობას, — „ფუნთუშა“ ჰქვია. რომელს წაგიკითხავთ?

— გამოგვცადე ახლა! — აღმაცურად გაიღრჩია ევგენი.

— ფრანგები და ვერმანელები ეომებიან ერთმანეთს. გერმანელებს ფრანგები დაუმარცხებიათ და მათ მიწაზე თარეშობენ. საფრანგეთის ერთ ტრაქტირში დილიყანსი გაჩერდება. აქ, როგორც წესია, ცხენები უნდა შეიცვალოს და გზა განაგრძოს. ტრაქტირში გერმანელი ოფიცრები არიან ჩამომხტარი. ახალ მგზავრებს ათვალეირებენ. მოეწონებათ ერთი მწყერივით ჩაპუტუნებულ ახალგაზრდა გოგო, ისე მოეწონებათ, თვალს ვეღარ აშორებენ. მოითხოვენ, შემოგვიყვანეთ ოთახში, თუარა ისე ცხენებს არ მოგცემთო. გოგო გადაირევა, არ იზამს. არა და მეძავია. რა აქვს სხვა საქმე. არ შევბა, დამარცხებული ქვეყნის შვილია, რა ვუყოთ თუ მეძავია, გერმანელებს რა ხელი აქვთ მის პროფესიასთან! ხალხი გადარევას არი. უკვირს ყველას. და ასე დაღამებამდე.

— ქალი ის ყოფილა, ძმაო! — გულწრფელად თქვა ევგენიმ და მისმა სახემ თანდათან სერიოზული გამომეტყველება მიიღო, — რაკი გერმანელები იყვნენ, იმიტომ არ ქნა, სხვებს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, უარს არ ეტყოდა?

— მეძავი იყო.

— და მაინც არ ქნა!

— მგზავრებს გული მოსდიოდათ, ნეტავი რას გვაწვალებს, რადემდე უნდა და ვიყურყუტოთ ამ აშშორებულ ტრაქტირშიო.

— ფრანგები იყვნენ?

— ყველა. მაგრამ ვერაინ ვერ მიუხედა ქალს. ეგონათ, ტყუილა ჰირვეულობს ეს ნამუსგარეცხილიო. ის კი იბრძოდა...

— ვენაცაულე! ძეგლი უნდა დაუღვამისთანა ქალს. კაი შწერალია, ხომ იცი, ეს მოპასანი. ესენი კი რას შვრებიან, მე ამათი... — ევგენის უცებ გაახსენდა რამდენიმე წუთის წინ ნანახი სურათი და უცებვე აღშფოთდა, — ერთად არ უნდა დააყენო ყველა და ტყვიით არ უნდა დაცხრილო? გუშინ ქალაქი დააქციეს თავზე, ვინ იცის, რამდენი ადამიანი დაიღუპა, რამდენი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა, თვითონ ნანგრევებში არიან შემძვრალი და ორიოდ გროშის გამოსაძალავად მტრის ჯარისკაცებს ლოგინში ეპატივებიან! ფუ! მართლა არ ყოლია აქაურობას პატრონი! მტერს, კარგი, ვთქვათ, ვერ მოვერიე, პატარა ვარ, ძალა არა მაქვს და ვერ მოვერიე, მაგრამ ამ კახებს მაინც ვერ ავუგებ წესს, ამ პირველ გამყიდველებს, ამათზე მაინც ვერ ამოვიყარი გულისჯაგრს?

— ძალიან კი ნუ ადუღდები ახლა, ევგენი, — შუბლშეკრულად შეაწყვეტინა ანთიძემ, მიიხედა-მოიხედა და ნაბიჯი შეანელა, — შენ უკეთესი ხარ მაგ ქალეზე? როგორ გგონია?

— მე უკეთესი ვარ? — ევგენიმ უცებ ვერ გაიგო და თვალეები დაახამხამა, — როგორ, მე უკეთესი... მე და ეგ ქალები რა გვერდი-გვერდ დასაყენებელი გვნახე!

— შენ შენი სამშობლოს მტრის ჯარისკაცის ფორმა გაცვია. ხომ არ დაგავიწყდა? — შეუბრალებლად განაგრძო ანთიძემ, — მაგ მეძავეებს ეგ არ უქნიათ.

— მერე, მარტო მე მაცვია?

— ეგ რას გშველის. შენც გაცვია, მეც, ამასაც, იმასაც. მარტო შენ გაცვია

მეტი, იმას კი არ გეუბნები, საერთოდ ვამბობ. მეძვიე ქალის ღალატი მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ, ჩვენ კი, მე და შენ, პირდაპირ ვღალატობთ სამშობლოს.

— რას ამბობ, გივი, სრულ ვკუაზე ხარ? — ევგენი მუხლმოკვეთილივით შედგა და ცხელი ხელებით სახე მოისრისა, — შენ იმას ფიქრობ, რაკი მტრის ჯარისკაცის ფორმა ჩავეცვი და მის ჯარში ვმსახურობ, უკვე სამშობლოს მტერი ვარ?

— მაგაზე უარესი რაღა უნდა ჩაიდიწო! — გივი ალტყინებული იყო და აღარც თავს ზოგავდა, აღარც ამხანაგებს, — ჯარისკაცი უნდა მოკვდეს, თავისსავე ხიშტზე უნდა წამოეგოს და ის არ უნდა ქნას, რაც მე და შენ ვქმნით, ევგენი. უცხო ხომ არავინ გვისმენს. ოთხი ამხანაგი ვართ აგერ, ოთხივე ერთ ბედში მყოფი. ჩვენი კანონებით თვით ტყვედ ჩავარდნაც კი ღალატია სამშობლოსი. ჩვენ ტყვედ დანებების უფლება არ გვქონდა.

— მერე? ვის დავნებდით? — ევგენი ვერც კი მიხვდა, ხმას როგორ აუწია და ანთიძის მოულოდნელი შემოტევით როგორ გაცეცხლდა. — შენ დანებდი? შურა დანებდა? მიტო დანებდა? აღარ გახსოვს? სისხლისაგან დაცილილი გაგათრიეს ბრძოლის ველიდან და თვალი რომ გაახილე, ათასობით და ათიათასობით შენაირი დაჭრილის, დასახიჩრებულის და სნეულის გვერდით ბარაკში ეგდე. შიშველ მიწაზე. ტყვედ დანებდი? სად და როგორ დანებდი? ღონეგამოცლილს იმის თავიც აღარა გქონდა, წამოგეწია და შუშის ნატეხი გეპოვნა ყელის გამოსალიქანად. ამ დღეში ყოფნას სიკვდილი ათასწილ არ გერჩივნა? შენ არ იყავი, ოლტენიციის ტყვეთა ბანაკში მუცლის ტიფი რომ შეგეყარა? საკაცეზე დაგდეს ტიტველი და ფეხისადგილის ორმოში გიპირებდნენ ჩადგებას. არც პირველი იქნებოდი, არც უკანასკნელი. ყველას ასე უმასპინძლებოდნენ, როგორც კი ფერშალი დაგხედავდა და შე-

გატყობდა, საამქვეყნო პირი აღარა აქვსო. შენდა ბედად უკვე მონღოლ პოლიცაი-სანიტარს ფენი აქცურდა კიბეზე. შენ საკაციდან გადმოცურდი, კიბეზე დაგორდი და თოვლში ჩავარდი. გახსოვს? რა გეხსომება — სიცხით იყავი გათარანებული. კრიზისი სწორედ მაშინ გადაიტანე. ვიღაცა ღვთისნიერმა ბერიკაცმა გადაგარჩინა. თავის წილ ბალანდას გასმევდა. არც კი იცი, სიცოცხლეს ვის უნდა უმადლოდე. ხომ არ გგონია, სხვა უკეთეს დღეში იყო? იქნება ის დაგაფიქცა, საზარელი სიგამხდრისაგან უკანალზე რომ ხორცი აღარ გვქონდა და ველარ ვვლებოდით? გახსოვს, ერთხელ სირბილში რომ შეგვაჯობრეს და ჩვენი მაყურებელი რუმინელი მცველები და ვლასოველი პოლიცაეები სიცილით რომ იპაკებოდნენ და თან სტალინის შავარდნებს გვიძახდნენ? გორუალიან ბალანდას რომ ჩაგვიწიქციებდნენ ხოლმე კარდალში და იმის ასაღებად ერთმანეთს რომ ვსოცავდით? ერთ დღეს მუცელში რომ შეგვკრა ყველა და ველარ მოვისაქმეთ? რამდენი დაიღუპა მაშინ ფეხისადგილის მარგილზე დაყუნცული, რამდენი პოლიცაის ტყვისისა და მათრახის დაუხმარებლადაც ჩავარდა უწმინდურობის წუმპეში და იქიდან ველარ ამოობლდა! დახმარების და ხელის გაწოდების ღონე ვიღას ჰქონდა. ყველას თავისი გასაჭირი ადგა. არ ვადამრიოთ ახლა, თავი არ გამამეტებინოთ! რატომ იქვე არ მოკვდით? იმ უწმინდურობის წუმპეში რატომ ჩემის ნებით არ ჩავეარდი? მერე ამით სამშობლოს რა შეეძინებოდა, მე გეკითხებით თქვენ! მაშ, რაკი ეს არა ვქენი, მოლაღატე ვარ, არა? ორჯერ გამგზავნეს ჩვენების წინააღმდეგ საომრად. ერთხელ მოზღოკთან ვიყავი, მეორედ — პერეკობთან, ყირიმში. ორჯერვე დაეპირე ცეცხლის ხაზის იქით გადასვლა. ვერ გავბედე. სხვები, ვინც გადავიდა, იქვე დახვრიტეს ჩვენებმა, როგორც მოლაღატეები. ზურგში არც კი გაუყვანიათ. რით დამემტკიცებინა, მოლაღატე რომ

არ ვიყავი და თუ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების უფლებას მომცემდნენ, გერმანელის სისხლს დავლევდი. იმდენი მოვახერხე, ჩემიანებისათვის ტყვია არ მისვრია. როცა იმედი ვაღამიწყდა, თავი ძალად გავიხადე ავად და ორჯერვე წინა ხაზიდან უკან გამომბარუნეს ლაზარეთში დასაწოლად. რა მექნა, მითხარით თქვენ, ან აწი რა ვქნა. მითხარით, აწი რა ვქნა და ვიზამ. თქვენ გგონიათ, ეს ოხერი სიცოცხლე მეზოგება? არ მინდა უბრალოდ მოვკვდე. ისე როგორ მოვკვდე, მტერს ფასად არ დავუღსვა ჩემი სიკვდილი! შენ კი ამ კახებებს მადარებ, გივი და მეუბნები, ეგენი გჯობიან შენაო? ფუ შენს ვაქცაობას, თუ მაგას გულისთ ამბობ! ოხ, რად გავჩნდი, დედაჩემო, ამ ქვეყანაზე რად დავიბადე!...

ყველასათვის მოულოდნელად ევგენინს თავში ხელები წაიშინა, იქვე ჩაქდა, სადაც იდგა და შემზარავი ზღუქუნნი მორთო. ბიჭები გაშტერებული იდგნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. არტემიძის გულ-ღვიძლიდან მომავალ სიტყვებს მათთვის ყველა ძველი ჭრილობა გაეხსნა. ბედად, ქუჩა უკაცური იყო და ევგენინს ასე უეცარი გადარევის დანახვა არაფის შეეძლო. გივი ანთიქე ახალა მიმხედარიყო თავის დანაშაულს. ენაჩავარდნილს სიტყვა ველარ ამოვლო და ველარაფერი ეთქვა. «ევგენი ნამდვილად გავგიყდა!» — ფიქრობდა გივიზე არანაკლებ დაფეთებული მიტომ და აქეთ-იქით იყურებოდა, დემართი არ გაწყურეს და წედანდელი პატრულები ისევ თავზე არ წამოგვადგნენო. ისევ შურამ გაბედა — დაიხარა და მხარზე ოდნავ შეეხო ევგენინს, მერე სცადა მისთვის ხელები გაეკავებინა. ამან არტემიძე მთლად გადარია.

— მომწყვდით თავიდან! — დაიღრიალა მთელი ხმით და შურას ხელების მოსაშორებლად მხარი გამეტებით მოიქცინა, — მომშორდით, მომეშვით, წადით, საითაც გინდათ, მარტო დამტოვეთ!

— ევგენი!.. — ამჟერად საქციელწა-

მხდარმა გივი ანთიქემ სცადა რაიმე სახეზე ეთქვა და ეს ჯავრისაგან გადარეული კაცი როგორმე აქაურობისათვის მოეშორებინა, — ისეთი რა გითხარი?.. ერთ ბედში არა ვართ? თუკი შენ რაიმე ისეთი გითხარი, ჩემ თავს არ ვუბნები, ასე გგონია? ჩემი დანაშაული ის არის, რომ ხამაღლა ვთქვი, რასაც ვფიქრობდი. იმაზე მეტი ხომ არაფერი მითქვამს, რასაც შენ თვითონ ყოველდღე და ყოველდღე არ ფიქრობ. ამა, რა მოხდა! ბნელად მოვიარა? ადექი ახლა, თუ ჩვენი ძმობა გწამს, ეგ არის შენი ვაქცაობა? ადე და წავშავდე, ზანდფორტია თუ რაღაც ოხრობა. ბიჭები იქ დავგიხედებინ. რაც უნდა იყოს, ყველა ერთად ვიქნებით. ბევრი უფროსი კაცია. ზოგიერთს შეილად შეგვეფერებთ. სერგო გუჯაბიძე იქ არის, იაკიმე ჯანჭღავა იქ არის, ვახტანგ წამალაშვილი იქ არის, ნოე გონგლაძე იქ არის, კაკო მაჩაიძე იქ არის, შენი ძმაცაი შამში მღვდელაძე იქ არის... არ შეიძლება არ გამოჩნდეს რაიმე საშველი. ადე, მამის სულს გაფიცებ, ზეზე. ბავშვი ხარ ამხელა კაცი? წავედით ჩვენ. ამ ქუჩით ვივლით, დავეწვი!

შეშფოთებულმა მიტომ და შურამ თვალებით ანიშნეს გივის, წასვლა და ამის მარტო დატოვება როგორ შეიძლება. გივიმ მათ არაფერი უპასუხა, გზა განაგრძო, ცოტა გაიარა, შეჩერდა და უკან მოიხედა. ბიჭები ისევ იქ იდგნენ. გივიმ ხელი დაუქნია. მცირე ყოყმანის შემდეგ შურა და მიტომ ადგილიდან დაიძრნენ. მოდიოდნენ და თან უკან-უკან იყურებოდნენ. როცა გივისთან მივიდნენ, ევგენი ისევ იმ ადგილზე იჯდა.

— ევგენი! — დაუმახა მიტომ, — არ გესმის, ბიჭო?

— რა გინდა? — არტემიძემ წამოსივებული სახე ასწია. უთუოდ რცხვენოდა, რომ სისუსტე გამოიჩინა და მოშორებით მდგომ ამხანაგებს თვალებს არიდებდა.

— ღამდება, ხომ ხედავ, მალე კომე-

ნდანტის საათი დაიწყება, ვინდა, ქუჩაში გაგვათევიანო?

— არა, ბუმბულს დაგივებ, შენმა სიცოცხლემ, დაჩვეული მყავხარ!

— თუ ვინდა, დაბრუნდი უკან, მიტოს თავისი დანიშნული წამოუყვანე!

— მიტოს თუ არა, შენ კი დამიწუნებ, შენმა მზემ! — გიგაშვილმა იგრძნო, გამოიდარაო და სახეზე ღიმილი მოეფინა.

თ ა ბ ი

პირველი, რაც პარლემის სარკინიგზო სადგურის ბაქანზე ჩამოსვლისას დაინახეს, პირამდე წყლით სავსე განიერი არხი და ჩამავალი მზის სხივებზე აბრწყინებული ოქროს მამალი იყო. არხი სადგურიდანვე მიედინებოდა ქვის მოაჯირებიანი გრძელი ხიდის ქვეშ, მამალი კი უზარმაზარი ტაძრის ოქროსავე ჭავრზე იჯდა და ერთიმეორეზე მიჯრილ, სხვადასხვა მხარეზე დაქანებულ სახურავებს ზემოდან ამყავდ დადმოსცქეროდა. ამ მამალის გამო განცვიფრების დრო აღარ იყო, რადგან ვიდრე შუა საუკუნეების დროიდან უცვლელად შემორჩენილი ვიწრო და მისვეულ-მოხვეული ქუჩებით ზღვის მხარეს მიმავალ გზატკეცილთან კითხვა-კითხვით ვაგიდოდნენ, მზე თვალს მიეფარა და სადღაც სახურავების იქით ჩაეიდა. ქალაქში, ალბათ, შუქშენილბეა იყო. სინათლეს არ ანთებდნენ. ბიჭებმა ძუნძულთ გაიარეს სამი თუ ოთხი პატარა ქუჩა, შემდეგ მოედანნი, შემდეგ კიდევ ქუჩა და ისევ არხთან ვაგიდნენ. მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ქალაქს უამრავი არხი სერავდა და უკანაც დაბრუნდებოდნენ, ალლოთი რომ არ ეგრძნოთ: ეს სხვა არხი იყო, პირველზე კიდევ უფრო განიერი და წყალუხვი. არხს მთელ სიგრძეზე საბაბრო ქუჩა გასდევდა, რომელზედაც დროდადრო თავჩაჩქნიანი ჯარისკაცებით პირამდე გატენილი სატვირთო ავტომანქანები გაიბღულებდნენ ხოლმე

— ეპ, — ევგენის ჯერაც არ შემოობოდა პირზე უნებლიედ მონკვრისმილი. მან ერთი ღრმად ამოისუნთქა, რაც უფრო ახალი იმედის ვალვიძებას ჰგავდა, ვიდრე უიმედობის გამო წუხილს, ხელით აგურის ტროტუარს დაეყრდნო. წამოდგა და მთელი კვირის ნაკვეთით წელმოწყვეტილი, ამხანაგებისავე ათრეული ნაბიჯით წაეიდა.

და უმაღლე თვალთაგან იკარგებოდნენ. არხიც და გზატკეცილიც, თუ ვარაუდია არ ლალატობდათ, დასავლეთისაკენ მიემართებოდა.

— აქეთ ბლუმენდალია, — დარწმუნებით თქვა მიტომ და ხელი იმ მხარეს გაიშვირა, საითაც ჯარით დატვირთული ავტომანქანები მიჰქროდნენ, — შეიდეკლომეტრზე...

— რა იცი? — მოუტრიალდნენ მას ამხანაგები, — ან ეგ სახელი რა ეშმაკმა დაგამახსოვრა?

— ქარის წისქვილის ძირში, ხიდს რომ გამოვცდით, საგზაო ბოძი არ იდგა? იმაზე ამოვიკითხე.

— მე და შენ რომ ფლამანდიურს ვაბულბულეთ მიინც... — გულგარე გაიხუმრა გივიმ, რომელსაც დაღლილობა და უძილობა სხვეებზე მეტად შეტყობოდა — ვერ თქვი მაშინვე?

— მე შეგონა, თქვენც დაინახეთ. გერმანულად იყო, განა სხვა ენაზე.

— ეპოვნით, სად წაგვივა

— თუ სწორ გზას ვადგივართ, აქ ვინმე ჩვენთან არ უნდა გვენახა? — ეპვიანად იკითხა შურა ჩილაჩავამ.

— რანაირად, თუ აქედან ზანდფორტამდე მართლა თხუთმეტი კილომეტრია! — მიუგო გზის ერთფეროვნებით და გაუთავებელი უტყუო ვაკეებით გულგაწყალბებულმა ევგენი არტემიძემ, — გგონია, აგრე ადვილად გამოუშვებენ იქიდან აქ ხალხს? თუ ვინმე იყო,

უკვე წასული იქნება, კომენდანტის საათის დადგომას ხომ არ მოუცდიდა!

ამ ლაპარაკში იყვნენ გართული, როცა გზის მარჯვენა მხრიდან სატვირთო მანქანის გაბმული ბლუილი შემოესმათ.

— რა ვქნათ, აუწიოთ ხელი? — იკითხა ევგენიმ, თუმცა ამას კითხვაც აღარ უნდოდა, ნაბიჯი წინ გადადგა და მარჯვენა ხელი დაიქნია.

— უკან დაიწი! — დაუყვირა გვიგამი, — ხომ იცი, აქ რა გიყებივით დადიან!

შორეული მიმოსვლის სატვირთო მანქანა მძღოლმა შორიდანვე დაამუხრუქა, სვლა შეანელა და სწორედ მისკომლოდინე მგზავრების წინ გააჩერა.

— მძობილო! — გვიგის აღარ დაელოდა და ევგენიმ დამტვრეული გერმანულით ასძახა მძღოლს, — ოთხნი ვართ, — თან თითუბით ანიშნა, — ზანდფორტამდე წაგვიყვან? — ის დარწმუნებული არ იყო, რომ ზანდფორტისაკენ მიმავალ გზაზე იდგნენ, მაგრამ სხვაგვარ შეკითხვას ეს პირდაპირი თხოვნა ამჯობინა.

ტუნებმობუსსულმა ქერა მძღოლმა, ვისაც, ეტყობა, ქირივით ეჯავრებოდა ყველა ადამიანი, ვინც გერმანულ ლაპარაკში ბორძიკობდა, მდუმარედ შეავლო თვალი ოთხივე ჭარისკაცის მარჯვენა სახელოზე დაკერებულ სამფეროვანი ალმის ემბლემას, ზემოდან რომ წვრილი, ნახევარწრისებური ამოჭარბული წარწერა — „გეორგიენ“ გადაუღიოდა და თავის აქნევით ანიშნა ძარაში ასულიყვენ. ძარა ჭარისკაცებით იყო სავსე. თავზე ჩაჩქანი არცერთს არ ეხურა, ხელშიაც შაშხანებისა და ავტომატების ნაცვლად ხისტარაინი რკინის ნიჩბები, წერაქვები, ძალაყინები და ბარები ეკავათ. ეს, ალბათ, რომელიმე მუშა ბატალიონის ქვეგანაყოფი იყო და მიწის სამუშაოს შესრულებას შემდეგ შინ ბრუნდებოდა.

მანქანა დაიძრა. ძარაში მყოფთ არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ახალი მგზავრებისათვის. ზედაც არ შეუხედავთ. მალე კი სულაც მიივიწყეს მათი არსებობა. მანქანა დიდი სისწრაფით

მიექანებოდა დაცემულ ვაკეზე და საწინააღმდეგო მხრიდან მთელი ტოლის სულისშემხუთველი ხვატის შემდეგ სასიამოვნო პირქარი ჰქროდა.

— ეს რა ქვეყანა ყოფილა, კაცო, — უთხრა ევგენიმ იქვე ახლოს მდგომ გვიგის და თვალით კალსავეთ გლუვ, დაუსრულებელ ვაკეზე ანიშნა.

გვიგიმ ყურის ბიბილო ხელით წამოსწია და არტემიძის მხარეს მიაპყრო.

— ეს რა უცნაური ქვეყანა ყოფილამეთქი, — უფრო ხმამაღლა, თითქმის ყვირილით გაიმეორა ევგენიმ, — ერთი გორაკიც არსად არის წამლად, ერთი პატარა ტყე...

თითქოსდა მის გასამტყუხებლად, ქალაქის უკანასკნელი სახლი უკან დარჩა თუ არა, ასწლოვანი თელებისა და ცაცხვების ხეივანი დაიწყო. მალე ეს ხეივანი დაბურულ ტყედ იქცა. გაბარდნილ ფოთლოვან ტოტებს შორის ცაცკი აღარ მოჩანდა.

— რომელმა თქვით, ტყე არ არისო? — მოისმა ძარას მოპირდაპირე კუთხეში შურა ჩილაჩავას ხმა, — თქვენ ჭინაზე ახლა შეიძლება მთაც გამოჩნდეს!

— ვინა ხარ, ბიჭო, მანდ, ქართულად რომ ლაპარაკობ? — ახლა ძარას წინა ნაწილში, კაბინის მხრიდან იკითხა ვილაცამ.

ბიჭებს ეგონათ, რომელიმე ჩვენგანმა იხუმრაო და პასუხი არავის გაუცოი, მაგრამ უცხო ხმამ განმეორებით იკითხა:

— რა ენა ჩავივარდათ ყველას, რომელი ხართ ქართველი, დამენახვეთ!

ამის თქმაც იყო და ის, ვისც ამ სიტყვებს ამბობდა, თვითონ მოტრიალდა უკან, მოტრიალდა და ყველასდა გასაკვირლად ევგენი არტემიძეს არაადამიანური ყვირილი აღმოხდა:

— შამშე! შენა ხარ, შამშე?

— ევგენი! — დაიყვირა იმასაც, — აქ რა ვიხდა, შე ღმერთმაღლო, საიდახ მოეხეტები?

— შენ რაღა გინდა, შე ვირის თაუ-

ფეხო, აქ როგორ შეგვხვდები, ამდენ მუნჯებში ლაპარაკი როგორ არ დაგავიწყდა!

— ვინ არის კიდევ? ჩვენიანია ვინმე? ვის ელაპარაკებოდი?

— გივია ანთიძე, აგერ, ა, ვერ ხედავ? — ევგენიმ ახალ წამოზრდილ თმაში სტაცა ხელი გივის და მოქაჩა, — მანდ, შენკენ, შურა ჩილაჩავა და მიტო გიგამვილი არიან.

— ვაჰმე, თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო! მოიცა ერთი, ვადმოვიდე... — დაბალი ტანის, ჩაფსკენილმა, ბეჭებში ოდნავ მოხრილმა შამშემ გრძელ სკამზე მჯდომი გერმანელები გადასწვად-მოსწია, მათ ბუზღუნს ყური არ ათხოვა, ერთს, რომელიც მეტ უკმაყოფილებას ამჟღავნებდა, მუშტიც მოუღერა და უკან გადმოაღაჯა.

ერთმანეთს გადახევივნენ. ნამალევი ცრემლიც კი მოიწმინდეს. წინ მოხვედრილმა შურამ და მიტომაც იმარჯვეს და რის ვაივავლახით იმ კუთხეს მოაღწიეს, სადაც სიხარულისაგან მეცხრეცაზე აფრენილი ევგენი არტემიძე, შამშე მღვდელაძე და გივი ანთიძე იდგნენ და ერთმანეთს კითხვა-პასუხს აღარ აცდიდნენ.

შამშე მღვდელაძე ევგენის თანაპოლკელი იყო. ომის წინ ერთად მსახურობდნენ კაენეცკ-პოდოლსკში. ომის პირველ დღეებში, როცა ყველაფერი აირია და ორივე ტყვედ ჩაეარდა, დაშორდნენ, მაგრამ წლისა და ორი თვის შემდეგ ისინი ისევ შეახვედრა ბედმა, ამჯერად ბაქარაის მთებში, ქალაქ მიტელვალდის მახლობლად, რომლის გარეუბანშიაც მხოლოდ ქართველებისაგან შემდგარი და ფრანგულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ეროვნული ბატალიონი იდგა.

ორმოცდარობი წლის სექტემბერი ილეოდა. აღმოსავლეთის ფრონტი კავკასიის უღელტეხილებზე იყო ვაკეიმული, ცოტა უფრო ჩრდილოეთით კი სტალინგრადსა და შემდეგ ორიოლსა და კურსკს აღწევდა.

ქართულ სამთო ბატალიონს, რომელსაც შემოკლებულად „ბერეგმანებს“ ეძახდნენ, გამალებიან მსახურებში მალაღმთიან უღელტეხილებზე ბრძოლების გასამართავად. ბატალიონის სადესანტო თვითმფრინავებით უნდა გადაესხათ რაჭა-სვანეთის მთებში და უღელტეხილებზე გამაგრებული მტრისთვის უკანდასახევი გზები მოეპოვებინათ.

გერმანულ სამხედრო სპეციალისტებთან ერთად ბატალიონს ქართველი ოფიცრები უდგნენ სათავეში. სწორედ ფრონტზე გამგზავრების წინა დღეს ქართველი ოფიცრები დააბატიმრეს. ვილაც არამზადამ შიგნიდან გასცა დიდი სიფრთხილით მომზადებული შეთქმულება. ოფიცრები იმავე დამეს გაასამართლა საველე სასამართლომ და გამთენიისას საგარნიზონო ციხის ეზოში დახვრიტა.

ბატალიონი დაუყოვნებლივ დაშალეს და ფრონტზე მიმავალ სხვა სამხედრო ნაწილებს შეუერთეს. შამშე მღვდელაძემ როგორღაც მოახერხა გზიდანვე გაქცევა, როცა ეშელონი როდომში იდგა და ევგენის ხელახლა მხოლოდ კრუშინაში შეხვდა, როდესაც არტემიძე მოზღოვიდან დაბრუნდა და სამშობლოს ამბები ჩამოიტანა.

იმ პირველი განშორების შემდეგ ეს უკვე მეოთხე შეხვედრა იყო და ისინი, არტემიძეც და მღვდელაძეც, ოცი წლის უნახავი ძმებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს, გულში იხუტებდნენ, ანჯღრევდნენ, მხარზე მუშტს უბაგუნებდნენ და ისევ ეხვეოდნენ. გივი, შურა და მიტო შამშეს შორიდან იცნობდნენ. კრუშინიდან ახსოვდათ, სადაც ის სურსათ-სანოვაგის საწყობში მუშაობდა შალვა ნოზაძესთან ერთად და გულაძეგრიბოლნი შეჰყურებდნენ მრავალ ციციხლსა და ვაებაში გამოვლილი ორი მეგობრის სასიყვარულო შეხვედრას.

— შოთა მამალაძე ხომ არსად გამოჩენილა? — უმაღ როტერდამის სადგურში დატოვებული ექიმი მოიკითხა ევგენი არტემიძემ, როგორც კი შამ-

შესთან შეხვედრის პირველი სიხარულით გული იჭერა.

— პარიზშია წასული მივლინებითო.

— ერთად ჩამოვედით.

— ამსტერდამში დარჩა? ის იქ მსახურობს, ჰოსპიტალში...

— ჩვენ ამსტერდამში არ გამოგვივლია, პირდაპირ როტერდამიდან მოვედივართ.

— მერე მამალაძე?

— პარტო წავიდა.

— გლახა ხომ არაფერი უყისრია?

— სხვათაირად ეკირა თავი. კინალამ ტყვია გამომტყუა. მართლა გულით მსახურობს ამათთან?

— ვერ გეტყვი, ამბობენ კიო.

— მერე წესი ვერ აუგეთ აქამდე? რას ათელვინებთ ამ დედამიწას!

— ფრთხილობენ ბიჭები, — შამშემ თავის თავზე აღარაფერი თქვა, — ხომ იცი, ახალი ჩამოსულები ვართ. რატომ არ იტყვი, სად იყავი, საიდან მოდიხარ, აქ როგორ მოხვდი, ან ამ ბიჭებს სად გადაეყარე?

— ჩვენ სულ ერთად ვართ. ეშელონს ჩამოვრჩით.

— კასტრეციდან რომ მოდიოდა? კი, ჩამორჩებოდით თქვენ...

— აგრე გვითხრა შოთა მამალაძე-მაც. — გაიღიმა ევგენიმ და მეგობარს ჩამსტერდა, — შეთანხმებული ხომ არა ხართ?

— კი, ჩემი დარიგებული იყო. უჰ! — უცებ რაღაც გაახსენდა შამშეს და თვალეები გაუბრწყინდა, — ღვინის ცისტერნა რომ გახვრიტეს მონსში, თქვენც ხომ არ იყავით იქ?

— გახლდით! — მიუგო ევგენიმ, თავი მხრებში ჩარგო და ხმამაღლა აროხროხდა.

— მოიკათ, ვინჩვენებთ სეირს, — შუბლი შეიკრა მღვდელაძემ, თვალეები კი კვლავინდებურად უცინოდა, — სატრიბუნალო ხართ ოთხივე!

ბიჭებმა თავშეუქაყებელი ხარხარი ატეხეს. ტრიბუნალის ხსენებაზე გერმანელები შეიშმუშნენ და ცერად უკან მოიხედეს.

— აა, რას ყვლიმავთ თვალეებს! — ქართულად შეუტია მათ მღვდელაძემ, — ვერ გამოგზარდეთ შე თქვენ?

ამის გამგონე ბიჭები კიდევ უფრო ხმამაღლა ახარხარდნენ. გერმანელებმა ისევ მოიხედეს, იგრძნეს, რალაცის გამო სწორედ ჩვენ დაგვეცინიანო, მაგრამ მთელი დღის ნაჯაფთ გამოდავების თავი აღარა ჰქონდათ და უბრალოდ ხმის ამოღებას დუმილი არჩიეს.

— ახლა შენ გვითხარი შენი ამბავი, — მიმართა ევგენიმ შამშეს, — რადა ხარ მარტო, ან ამათთან რა გინდა? ხომ არ დაუშლიათ ბატალიონი?

— დაშლილი არ არის? მარტო შტაბი და მესამე ასეული დგას შიგ ზანდფორტში, დანარჩენი ასეულები ზღვის სანაპიროზე ვართ განლაგებული და ბუნეკრებში ვცხოვრობთ.

— ბუნეკრი რაღა ეშვავია!

— მიხვალ და ნახავ. რკინაბეტონის კედლებიანი საცხოვრებელია მოწყობილი მინაში. სახურავიც რკინაბეტონის აქვს. ტონიანი ბომბი რომ დაეცეს ზედ, ძვრას ვერ უხვამს.

— ყოფილხართ, აბა საიმედოდ.

— არა გვიშავს რა, სანამ მოკავშირეები მეორე ფრონტს გახსნიდნენ, მერე კი ვეღარც ბუნეკრი გიხსნის და ვეღარც ბერლინის მეტროპოლიტენი. ამბობენ, პიტლერი ახლა შიგ მეტროპოლიტენში ცხოვრობსო. ყოველდღე ურტყამს და ურტყამს ამერიკა. ნახევარი ქალაქი დანგრეული ყოფილა. ნოე გონგლაძე იყო წასული ორი დღით და იმან ჩამოიტანა ამბავი.

— ისმის რამე ახალი?

— ახალ ამბებს თქვენგან ველით.

— კურსკთან და ორიოლთან დიდი ქუქვა ყოფილა.

— მაგარი ხომ?

— უბედური!

— უკანასკნელი ცნობების მოსთენარად გინდა. უმაღლ შეატყობ: როგორ გუნებაზედაც არიან, ფრონტზედაც ზუსტად ის მდგომარეობაა.

— შენ ერთი ეს მითხარი, შამშე,

არც შოფრების სკოლა დგას ზანდ-ფორტში? ჩვენ ოთხივე, — ეგვინი თანამგზავრებს გადაჰხედა, — ხომ იცი, საშოფრო სკოლის კურსანტებად შეგვარჩიეს.

— სკოლა მანდ არის. ამბობენ, შეიძლება დაიშალოსო.

— რატომ, კაცო?

— სკოლის ჰაუბტმანს ვასო ინჯია ემტერება. პირში ეძახის ბოლშევიკების დამქაშს.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, ხომ არ მოგვეყუროო. საყთხის გარკვევის მიზნით ისევ არტემიძემ იკითხა:

— ინჯია ემტერება ჰაუბტმანს, თუ პირიქით?

— შენ მთვრალი ხომ არა ხარ! ვასო ინჯიასი საშოფრო სკოლის ჰაუბტმანს კი არა, მგონია, თვითონ პიტლერსაც კი ეშინია.

— ჩუ, ხმამალა ნუ ამბობ ძაგ სახელს. ვერ ხედავ, ყურს გვიგდებენ?

— სულ შენი ჭავრი აქვთ. ეს იმის-თანავე უბრალო ხალხია, რავარც მე და შენა ვართ, ანდა ეს ბიჭები. წაუღუნიათ თაყი და მუშაობენ ჩვესსაყით. ხუ იმუშავებ, თუ ბიჭი ხარ!

რა სამუშაოა?

— გამოგინახავეს, ნუ გეშინია! გიყვებენ თუ არა შენი სიბეჭითის ამბავს... აქამდე გზაში გვაჩერებდნენ და სულ გვეკითხებოდნენ, სად არის ევგენიო. აბა, შენ იცი, თუ არ გაუძტყუნებ იმელს!

კაი, კაი, ნუ გაიკრიფე ენად, ისე, რას აკეთებთ?

— ზღვის სანაპიროს ვამაგოებთ, ამერიკელებმა და ინგლისელებმა დესანტი რომ არ გადმოსხან და მეორე ფრონტი არ გახსნან ევროპაში. შენ მაშინ ხახე, რა ცირკი იქნება! ზღვის ფსკერს ენადმავთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, რკინაბეტონის ხიმიჩვებს ვასობთ

წყალში. კაცმა მარტო ის უნდა იკითხო, რასაც ჩვენ არა ვშვრებთ...

— ზღვის ფსკერს ჩაღმანბნავენა-ლდავთ, — გულუბრყვილოდ წამოსცდა არტემიძეს, — ყვინთავთ თუ?

შამშეს გაეცინა:

— ყვინთავთ არა, ვბუქხავთ... ჩვენი მყვინთაობის იმედად აშუოფა ესენი ველოეთის წმინდა გიორგიმ! სანამ ზღვის მოქცევა დაიწყებოდეს, ნაპირთან ფსკერი მოშიშვლებულია. აქედან და იქამდე, ე. მთელი ექვსასი-შვიდასი მეტრი! ეს ოკეანეა, ბიძი, შავი ზღვა კი არ გეგონოს. ან ის ვინ მოგაშავა მანგლისში! ექვსი საათის შემდეგ მოქცევა დაიწყება და მთელ ჩვენს, ნამუშევარს წყალი დაფარავს. დღის ბოლოს, აქეთ რომ მოვდივართ, წყალი უკან მოგვდევს...

— აუჰ, ძალიან სანახავი კი იქნებით! — კიდევ გაიკრიჭა არტემიძე და ამხანაგებს, რომლებიც ღიმილით უსმენდნენ და თქმით არაფერს ამბობდნენ, თვალი ჩაუკრა.

— რა გიხარია, შე ყარაჩო?

— ერთი მოგეწოვოდეთ წყალი, მეტა არაფერი მინდა...

— ყოველთვის აგრე მყრალი და გულღრძო იყავი. რას გვერჩი, ადამიანო?

— ის რომ არ გვითხარი, რატომ ხარ ამათთან?

— მიმამაგრეს, ხმა დამიყარეს, უდიდციპლინოაო, გარმანელებს შორის რომ ვიყოლიებთ, უფრო გულდადებით იმუშავენსო. ისე აუღდათ მაგათ გვერდები! მე მიამჩემს ვერ გამოვადექი და ამით გამოვადგები? რომ გამომენთებოდა ხოლმე საბრით... წინ მე და უკან ის! ზვალ შეიძლება სხვა ჭგუფში მოვხვდე. ყოველ ასეულში ნახევარი გერმანელებია, ნახევარი ჩვენ ვართ. აი, მიველით კიდევაც! ესეც შენი ზანდფორტი. ნეტა სადღა მივყავართ ამ ძალღიშვილს!..

თ ა 3 0 V



საქართველოს მწერთა კავშირი

ეს არც თუ ისე დიდი სააგარაკო დაბა თუ ქალაქი, რომელსაც არც სიპატარავე ეთქმოდა, პირველი ნახვისთანავე ხიზლავდა ადამიანს თავისი მოხდენილი მღებარეობით ჩრდილოეთის ზღვის მწვანედ მოხასხასე სანაპიროზე. რამდენიმე გამწვდომ და ვადაძვეთ ქუჩებზე ვანლაგებული დაბა გრძლად გასდევდა ზღვაში შეჭრილ პლაჟს, რომელიც მშვიდობიანობის დროს, ვინ იცის, საიდან ჩამოსული მოაგარაკებით არ იყო სავსე.

სიახლოვის გამო აქ უპირატესად პარლემელი და ამსტერდამელი შეძლებული მოქალაქეები ისვენებდნენ თავთავიანთ ოჯახებით. ბევრ მათგანს ზანდფორტში საკუთარი სააგარაკო სახლიც ჰქონდა, რომელიც ზამთრობით დაკეტილი იყო და მხოლოდ სააღდგომო დღასასწაულების შემდეგ იღებოდა თავისი პატრონებისა და მათი სტუმრების მისაღებად.

ნამდვილი ცხოვრებით ზანდფორტ პარტოიდენ ზაფხულობით ცხოვრობდა, როცა ის ავსებული იყო ამსტერდამიდან, პარლემიდან და ქვეყნის სხვა დიდი და მცირე ქალაქებიდან ჩამოსული დამსვენებლებით.

იმ დროს, როდესაც აქ ჩრდილოეთ საფრანგეთიდან ვადმოსროლილი ქართული ეროვნული ბატალიონი ჩააყენეს და საგარნიზონო სამსახურთან ერთად ფორტიფიკაციულ ნაგებობათა მშენებლობა დააკისრეს, ყოველთვის კოაშია, თვალწარმტაცი და ხალხმრავალი ზანდფორტი თავის თავს აღარ ჰგავდა. მტრის ჯარების შემოსვლისას, მართალია, ზანდფორტს დიდი ნგრევა არ ვანუცდია, მაგრამ ამ პაწაწინა ქალაქს მაინც ემჩნეოდა ომის დაღი. პირველი ნიშანი ყოფის ჩვეულებრივ წესის შეცვლისა ის იყო, რომ ბევრი ადგილობრივი მკვიდრისა და პარლემელ და ამსტერდამელ მოქალაქეთა სააგარაკო სახლებში ზამთარ-ზაფხულ აღარავინ ცხოვრობდა. სახლების მება-

ტრონეთაგან ბევრი საზღვარგარეთ იქრვახიზნული და ომის ბედის შემოტრიალებას უყვდიდა, სხვებს კი ომთან დიკავშირებით საზრუნავი ისედაც ბევრ გასჩენოდათ და სადღაც აგარაკზე მიტოვებული სახლის დასახედავად და მოსავლელად, აბა, სადღა ეცალათ!

გახიზნულთაგან უმრავლესობა ებრაელობა იყო, ებრაელობა კი ზანდფორტის მუდმივი მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტს შეადგენდა. ახლა მათი სახლები კარ-ფანჯრებმოფლეთილი და გაპარტახებული იყო. ჩალეწილ ფანჯრებსა და დღიან-ღამიანა მოფლეთილ კარებში ქარი დასეირნობდა და უკაცურ უბნებში ზანდფორტის ახლანდელი მკვიდრნი გასვლასაც კი ერიდებოდნენ.

ერთ-ერთ ასეთ მიტოვებულ მანსარდიან სახლში, ბაზრის მოედანზე, წითელი აგურით აშენებული საყდრის პირდაპირ, რომლის ჯვარზეც პარლემის იმ დიდი ტაძრისა არ იყო, პროტესტანტული ეკლესიის სიმბოლო — ოქროს მამალი იჭდა, პირველი სართულის სამი მოსაზღვრე ოთახი მეექვსე ქართული ბატალიონის შტაბს ეკავა. იქვე, გვერდით, ერთ ოთახში პარტოდმარტო ცხოვრობდა სამოცდაათ წელს მიტანებული მაღალ-მაღალი, პირსმეილი მოხუცი, ერთი შეხედვით დონის კაზაკთა ესკადრონის ყოფილი კავალერიისტი, ობერ-ლეიტენანტი ვასილ ინჯია, რომელსაც ბატალიონში მომსახურე ქართველები ჩვეულებისამებრ „ბატონ ვასოს“ ეძახდნენ.

ბატალიონში, სადაც მის გარდა კიდევ რამდენიმე ქართველი ოფიცერი მსახურობდა ყოფილ სამხედრო ტყვეთაგან, ინჯიას თანამედებობა მთლად გარკვეული არ იყო, მაგრამ იმ უფლებების მიხედვით, რითაც წარბშეუხრელად სარგებლობდა, შეიძლებოდა დავესკვნათ, რომ გერმანელთა სარდლობის უადრესი ნდობით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

სამშობლოდან ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს გადმოხვეწილი ინჯია, ვისი პაპა გიორგი დიდალ მამულებს, ტყესა და საძოვარს ფლობდა მთის სამეგრელოში და ბოლოს სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ წალენჯიხის მახლობლად სანიმუშო ცხენსაშენი მოაწყობ, ომამდე საფრანგეთში ცხოვრობდა და ჯერაც მარტოხელა და უცოლშვილოდ დაბერებული უბრალო საქმიანობას ეწეოდა. ომი დაიწყო თუ არა, მან საფრანგეთი დასტოვა, გერმანიის სამსახურში შევიდა და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მალე ობერლეიტენანტის სამხედრო ხარისხიც მიიღო.

მაიორ ფრიდრიხ ბრაიტნერის შემდეგ, რომელმაც მეთაურის პოსტზე არაკეთილსაიმედობაში ექვემდებარებული იოსტი შესცვალა, ბატალიონში ინჯია პირველი კაცი იყო. მეზრძოლები, ალბათ, არცთუ უსაბუთოდ ამბობდნენ, იოსტის მოულოდნელი გადაყენება და დაუყოვნებლივ ფრონტის წინახაზზე გაგზავნა, შესაძლოა, საჯარო ათასეულშიც, ვასო ინჯიას დაუხმარებლად არ მომხდარაო. ტყუილად როდი იყო გაწვეული ბერლინში მთელი რვა დღით. ბატალიონის მეთაურ იოსტისადმი უნდობლობას ის საჯაროდაც კი არ მალავდა. ყოველნაირად უშლიდა ხელს ბატალიონის მეზრძოლებთან მის დაახლოებას. გაფრთხილების მიზნით იოსტს ყოველთვის აგრძნობინებდა, იცოდე, ყურთბალიშზე არა მძინავს და ჩემს თვალს არაფერი გამოეპარებაო.

ყოფილი სამხედრო ტყვეებისაგან შედგენილი ნახევრად მუშა, ნახევრად სახაზო ბატალიონის თითოეული მეზრძოლი ვასოს ბოლშევიზმის შხამით მოწამლულ ადამიანებად მიიჩნდა და თავის პირველ ამოცანად თვლიდა ყველას გულში მოეკლა ბოლშევიზმის მავნე ბაცილა.

ვასო ინჯია შტაბის მოსაზღვრე თავის პატარა ოთახში მარტო იყო. საკმაოდ დაძველებული ლურჯი პიჯამა ეცვა

და ამ დილას მიღებულ ფრანგულ გაზეთებს ათვლიერებდა. კარზე მორიდებულად დააკაკუნეს და შემდგომ ვერც კარს შემოაღებდა, ვიღაცამ გერმანულად, რიხიანი ხმით შემოსვლის ნებართვა ითხოვა. უკმაყოფილო ინჯიამ, რომ ღამითაც არ ასვენებდნენ, პენსნე მოიხსნა, გაზეთი გვერდზე გადასდო და კარს მიაჩერდა, რადგან ჩვეულებრივად იცოდა, რომ ის, ვინც შემოსვლის ნებართვას თხოულობდა, მისი პასუხის მიუღებლადაც შემოვიდოდა. ასეც მოხდა. კარი მოწყვეტით გაიღო და ზღურბლზე უფროსთან წარსადგომად საგულდაგულოდ გამოწყვილი ოთხი გერმანელი სამხედრო პირი — ერთი სერჟანტი, ერთი ეფრეიტორი და ორი რიგითი ჯარისკაცი გამოჩნდა.

დაინახეს თუ არა ბატონი ობერლეიტენანტი შინ ბრძანდებოა, სერჟანტი დანარჩენებს გამოეყო, ოთახში, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, სამწყობრო ნაბიჯით შემობრავუნდა, სკამიდან, რომელზეც ეს ახმახი ბერიკაკი იჯდა, სამიოდე ნაბიჯზე შეჩერდა და შეძახილით — „ჰაილ ჰიტლერ!“ გაშლილი მარჯვენა ხელი წინ წამოაგდო.

ობერლეიტენანტს უკმაყოფილოდ დაეღმიჯა სახე. ის იძულებული გახდა წამომდგარიყო და გრძელი პატაკი ფეხზე მდგომს მოესმინა. პატაკი რომ დაამთავრა, სერჟანტმა უბიდან პაკეტი ამოიღო და თავაზიანად გადასცა. ღია კარს იქით, კერამიკული აგურით მოგებულ ეზოში ინჯიამ ბედად შამშე მღვდელაძე დაინახა და სანამ სერჟანტს პაკეტს ჩამოართმევდა და თვალეზზე პენსნეს მოირგებდა, თავის ოდნავი დაკვირვებით ანიშნა ოთახში შემოსულიყო.

მღვდელაძე იმავე წამს ოთახში გაჩნდა.

— აქ რისთვის ყურყუტებ? — ქართულად ჰკითხა მას ინჯიამ, — რატომ ასეულში არა ხარ?

— ბოდიში, ბატონო ვასო, კაცი მყავდა სანახავი.

— კაცს განახებ მე შენ! რამდენჯერ

უნდა დაგარიგო. ჰკუთით იყავი, თუ არა ბოლოს ინანებ. გესმის?

— მესმის, ბატონო ობერლეიტენანტო!

— თუ გესმის, კარგა დაიხსომე. ესენი ვინ ოხრები არიან? — თვალთ მოსულეებზე ანიშნა, — გადმომითარგმნე, რა ქირი და გადაშენება უნდათ!

— თვითონაც კარგად იციან ქართული, — შამშე მღვდელაძე მთელი ამ ხნის განმავლობაში ძლივს იკავებდა სიცილს და შიშით აღარ იყო, ღმერთი არ გამოწყრეს და სწორედ ახლა არ წამსკდესო, — ქართულად დაელაპარაკეთ.

მეგობარს ვასაქირი შეატყო და აღარც სერკანტს დაუყოვნებია: იმავე ყოჩაღური კილოთი, წყლან გერმანულად რომ ისროდა გაზეპირებულ სიტყვებს, იქნებ ვასო ინჯია ამით უფრო ვასიაშოვნოთ და მოეთაფლოთო, მასპინძელს ახლა ქართულად მიმართა:

— ოთხივე ქართველები ვახლავართ. ჰერო ობერლოიტნანტი! — არტემიძე, ანთიძე, გიგაშვილი და ჩილაჩავა. ჩვენთან სალაპარაკოდ თარჯიმანი რა საკიოა.

— მერე რა თავს იგდებ, გერმანულად რომ მახსენებ! — კვლავ უკმაყოფილოდ მიუჯო ინჯიამ სიმივით ვაჭიმულ ევგენი არტემიძეს და ზედაც არ შეხედა, — საიდან მოეთრევიო?

— პარიზიდან გვახელით, ჰერო ობერლოიტნანტი!

— შეახელით თუ არა... — ბიჭები ვერ მიხედნენ, ამით რის თქმა უნდაა. ინჯია დაჯდა და პაკეტი მუშაშობაგადაფარებულ მაგიდაზე დააგდო, — რა დროს მოსვლა იყო... — შემდეგ შამშე მღვდელაძეს მიმართა, ოღონდ შეხედვით არც მისთვის შეუხედავს, — გაუძეხი და შალიყო ლოლაძეს მიუყვანე ჩემი სახელით, თავის ასეულში ჩაიციხოს. ჩილაჩავა რომელია?

— მე ვახლავართ, ბატონო! — თავისი გვარის გაგონებაზე შურა ჩილაჩავა გაიმართა და ნაბიჯი წინ წამოდგა.

— რომელი რაიონიდან ხარ, ბიჭო?

— ეს უკანასკნელი სიტყვები ინჯიამ მეგრულად წარმოთქვა.

— მიხა ცხაკაიდან, ბატონო მღვდელაძე უპასუხა შურამ.

— თქვენი მიხა ცხაკაიაც და თქვენი...

— ინჯიამ ქართულად შეიგინა, რათა ყველას გაეგო და მღვდელაძეს მიუტრიალდა: — წაიყვანე, რაღას მომჩერებინხარ!

— წამოდით, ე!

— ჩვენ სამოფრო კურსების ხალხი ვართ, ბატონო... — სწორედ ადგილიდან დაძვრის წინ შენიშნა ევგენი არტემიძემ და მოუსვენრად გახედა მაგიდაზე უყურადღებოდ მიგდებულ პაკეტს, რომელზედაც ისიც და მისი ამხანაგებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ, თუმცა ობერლეიტენანტთან პირადად შეხვედრის შემდეგ ყველა იმედი დაკნინდა და გამკრთალდა.

აქ ყველაფრის ბატონ-პატრონი და ავიან-ჩავანი, როგორც ჩანდა, ვასო ინჯია იყო. იმის უფლებაც კი ჰქონდა მინიჭებული, თავისი ნება-სურვილით, ბატალიონის მეთაურის დაუკითხავად, ხალხი ჩაერიცხა ასეულში. ინჯია, ალბათ, ნაკლებად უწყევდა ანგარიშს ვისიმე აზრსა და სურვილს, თუნდაც ეს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის თავმჯდომარის მიხეილ კედიას სურვილი და პირადი აზრი ყოფილიყო.

არტემიძემ არც აცია, არც აცხელა და ვიდრე ამხანაგებთან ერთად შამშე მღვდელაძეს გაჰყვებოდა შალვა ლოლაძის ასეულში დასაბინავებლად, ვასო ინჯიას მორიდებულად ჰქადარა:

— ჰერო ობერლოიტნანტი, ამ პაკეტის თაობაზე, ალბათ, განმეორებით დაგვიძახებთ...

— პაკეტის თაობაზეო? — ინჯიამ უანგარიშოდ გაიმეორა ეს სიტყვები და ახლალა გაახსენდა პაკეტი, რომელიც, ეს იყო, მოუტანეს, — ვინ გამოგატანათ, ბიჭო, ეს? — ზიზღით იკითხა და მუშაშობაგადაფარებულ მაგიდიდან მოგროთეთრი კონვერტი ისე აიღო, თითქოს ხელს გამოწყლილ ბაყაყს ჰკიდებდნო. როცა ოქროს პენსნეც მოიარგო თვალუბ-

ზე და პაკეტი გახსნა, გოცებისაგან ხელები აუქანკალდა.

„ჩვენი საქმე ჭგიროდ არის!“ — გაიფიქრა ევგენიმ და ერთ ადგილზე გაქვავებულ ამხანაგებს თვალი უყო. ისინიც, რასაკვირველია, ამასვე ფიქრობდნენ და ხმისამოუღებელივ თვალს ადევნებდნენ, როგორ იცვლებოდა ვასო ინჯიას სახის გამომეტყველება მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის წერილის კითხვის დროს.

ევგენი არტემიძე და მისი სამი ამხანაგი მიხეილ კედიას სრულიად შემთხვევით გადააწყდა პარიზში, ქართველ ემიგრანტთა სათვისტომოს წინ, სადამდეც თბილისში ნაცხოვრებმა და ქართულის კარგად მცოდნე ხორციით მოვაჭრე სომეხმა მიიყვანა. კედიას შვედლიმუზინის კარი გამოედო და, ის იყო, ჩაჯდომას აპირებდა, როცა ხმამალალი ქართული ლაპარაკი შემოესმა და გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქართველი ბიჭებიც დაინახა. უმაღლესი უფერი გამოგზავნა, ოთხივე მანქანასთან მიიხმო და, თუმცა მალაიმალ საათს დასცქეროდა, წვრილად გამოიკითხა, ვინ იყვნენ და აქ ვის დაეძებდნენ.

ევგენიმ სომხისაგან უკვე იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და კედიას მაშინვე დახმარება სთხოვა: კაცი შემოგვაკვება. გერმანელები გადაციცებული დავედვენ და, თუ ღმერთი გწამთ, რაიმე გვისაშველეთ, ქართველ ემიგრანტებთან დაგვაკავშირეთ, იქნებ როგორმე თავი შევინარჩუნოთო.

ეს რომ გაიგონა, წუთის წინ გულისხმიერი და ყურადღებიანი მიხეილ კედია მსწრაფლ გამოიცვალა. მოუსვენრობა დაეტყო. ერთი დაპირება მანქანაში ჩაჯდომაც კი დააპირა, რათა ამ საეკვო ხალხთან ქუჩაში მოლაპარაკე არავის დაენახა, მაგრამ სიამაყემ განძრევის ნება არ მისცა და შეეცადა, გარეგნული ღირსება და თავშეკავება ბოლომდე შეენარჩუნებინა.

კედიას გასაჭირი ადვილად მისახვედრი და გამოსაცნობი იყო. ვიღაც საეკვო პირების გულისათვის, რომლებიც

თვითონვე ამბობდნენ, კაცი შემოგვაკვება და გერმანელებზე გადაციცებული დაგვედვენო. მას, თავმალცი ნაცხოვრებელი სოციალისტური პარტიის წევრს, გერმანიის მმართველ წრებთან მეგობრული ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა. თუკი მოინდომებდა, შეეძლო, რასაკვირველია, რაიხის ვინმე დიდი თანამდებობის პირთან, ეთქვათ, პიმლერთან ან რიბენტროპთან, შუამდგომლობა გაეწია, მაგრამ ყველაფერზე უმჯობესი სწორედ ის იქნებოდა, რაღაც არ უნდა დამჯდარიყო, საეკვო ახალგაზრდები დაუყოვნებლივ ჩამოეცილებინა და ამაღამვე პარიზიდან გაეგზავნა. ბიჭები მან მანქანასთან დასტოვა, თვითონ კი სათვისტომოს კარში შებრუნდა და რამდენიმე წუთის შემდეგ, ექიმ შოთა მამალაძის ხელით, ვასო ინჯიასათვის გადასაცემი პაკეტი გამოგზავნა. მამალაძემ, რომელიც ვინ იცის, საქართველოს ახალ მთავრობაში, თუკი ის ოდესმე ძალაუფლებას ხელში აიღებდა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პორტფელს უმიზნებდა, ამასთან ერთად ჯარისკაცებს ზეპირად გადასცა კედიას დანაბარები: ჩრდილოეთ ნიდერლანდების დაბა ზანდფორტში, სადაც ამჟამად ქართული ეროვნული ბატალიონი დგას, მსახურობს მბერლეიტენანტი ვასილ ინჯია, ვინც საქართველოს ემიგრანტული მთავრობის დავალებითა და საგანგებო მითითებით ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს რაიხის სამსახურში მყოფ ყველა ქართველ ახალგაზრდასო. მამალაძე თვითონ სამსახურის ადგილზე მიდიოდა და პაკეტის წაღებაცა და ბიჭების პოლანდიაში ჩაყვანაც, როგორც თვითონ თქვა, კედიას მისთვის მიენდო.

ვასო ღიღბანს და ხარბად კითხულობდა, თითქოს სურს, წერილის მიღებით გამოწვეული სიამოვნება რაც შეიძლება მეტად გაიხანგრძლივოსო. წუთით დავიწყდა კიდევ, მარტო რომ არ იყო და ოთხი უცხო ადამიანი პირში შემოსცქეროდა. ბოლოს, დაამთავრა,

თავი აიღო და თვალებით ეგვენი არტე-
მაზე მოძებნა.

— ბატონმა მიხეილმა ეს წერილი პი-
რადად გადმოგცათ?

— დიახ, პირადად, ბატონო ვასო, —
ეგვენიმ დრო იხელთა და ცოტა არ
იყოს, ფამილარულ ტონზე გადავიდა,
რაც ინჯიას როგორღაც შეუმჩნეველი
დარჩა, — თთხივე იქ ვიყავით, — ამ-
ხანაგებს მოავლო თვალი, მაგრამ ექიმი
შოთა მამალაძე წინდახედულად არ უხ-
სენებია.

— შერე რამ გაგაბედინათ იმასთან
მისვლა!

— გავეციტრდა და რა გექნა, ბატო-
ნო ვასო, — ეგვენიმ ერთხელ კიდევ
სახელით მიმართა უცნაურად დარბი-
ლებულ „ობერლოიტნანტს“, რომე-
ლიც ახლა ვაცილებით უფრო უძღური
და დაბერებული ეჩვენებოდა, ვიდრე
რამდენიმე წუთის წინ, პაკეტის გახს-
ნამდე, ჩანდა. — საკუთარი მოუხერხე-
ბლობის წყალობით, მოგესხენებათ, ნა-
წილს ჩამოვრჩით. ბიჭები აქეთ წამო-
ვიდნენ. გერმანელ კომენდატთან გა-
მოცხადებას ისევ ჩვენი მთავრობის თა-
ვმჯდომარის შეწუხება ვარჩიეთ.

— როგორ არის ჯანზე, ხომ არ მო-
ხუცებულა?

— კარგად, ისეა, როგორც თქვენ...

— ე, ბიჭო... — ვასოს ოდნავ შეშუ-
პებული მიმჭრალი თვალები წუთით გა-
უბრწყინდა და მზერა შორს გაექცა.
უთუოდ სამშობლოს და მიხეილ კედის
ძველ ნაცნობობას იგონებდა, მაგრამ
თავი დროზე შეიკაფა და ამის გამო მე-
ტი არაფერი უთქვამს. — წელანვე ვერ
მიტხარით, თქვე ძალიწვილებო? --
გინება ახლა აღერსით შეაფერადა. --
ვინ იყავით და ვისი სარეკომენდაციო
წერილი გქონდათ? მე რა არ ვიფიქრე...

— უცებ ვერ გაგიბედეთ, ბატონო
ვასო, გვიან არც ახლა არის, ბატონმა
მიხეილ კედამ ისე დაგვაიმედა, ისე
მამაშვილურად გამოგვისტუმრა, გვე-
გონა, ჰოლანდიაში კი არა, საქართვე-
ლოში მივდივართ მეთქი.

— ნუ გეშინიათ, — ინჯია ერთბაშად

შეიცვალა, გულთბილი და მოწყალე გა-
ხდა, წუთის წინ მოსისხლე მტრებზევით.
საძულველ ბიჭებს კედისაგან მავალით
წახალისებულმა მშობლიური ნუგეში-
სცემა დაუწყო, — საქართველოშიაც
მალე წახვალთ. ჩვენი საქმეების დრო-
ებითმა წარუმატებლობამ ხომ არ შე-
გაშინათ? ფიქრი ნუ გაქვთ, მალე ყვე-
ლაფერი გამოსწორდება და თქვენ კი-
დეე მოგვეცემათ შესაძლებლობა დედა-
სამშობლოს ერთგულება დაუშტო-
ოთ! ხომ ასეა?

— ჩვენ ამ წუთშიაც მზად ვართ, ბა-
ტონო ვასო! — ყველას მაგივრად ისევ
ეგვენიმ მიუგო სამშობლოს მოგონე-
ბით გულაჩუყებულ ინჯიას.

— მომწონს თქვენისთანა გაგებული
ახალგაზრდები. მე მომენდეთ, შეილე-
ბო, და მაღლა ღმერთმა იცოდეს და
დაბლა კაცმა, მრუდე გზაზე არ გა-
გატარებთ. დამიჯერეთ, ბოლოს მოგე-
ბული დარჩებით.

— ბატონმა მიხეილ კედამაც ასე
გვიბრძანა და თავს ბედნიერად ვრაცხთ
მეც და ჩემი ამხანაგებიც, რომ, ერთი
სიტყვით...

— კარგი, წადით ახლა, დაიძინეთ.
წაყევი, ბიჭო, შამშე! საქმეზე ზვალ ვი-
ლაპარაკოთ, გვიანია უკვე. ღამე მშვი-
დობის!

— ძალიან ბოდიში, ბატონო ვასო,
ერთი შეკითხვა თუ შეიძლება, — დაი-
ჯლანა ეგვენი.

— რაღა დროს შეკითხვაა. ხომ არ
უნდა გაშათენებინოთ. ბერიკაცი ვარ,
დასვენება მინდა, ზვალ!

— ბოდიში ბატონო, მშვიდობით
ბრძანდებოდეთ!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! —
წაიზუტბუტეს სხვებმაც.

— წადით, წადით, ჰო, — ჩაილაპარა-
კა ინჯიამ, გრძლად დაამთქნარა, კარს
სახელდახელოდ მორგებული ურდუ-
ლი გაუგდო, საქართველოში შუაცეცხ-
ლის კვამლით გამქვარტლული ძელური
სახლის კარს რომ უყრიან ბოლმე და
მაშინვე გახდას შეუღდა.



შამშე მღვდელაძემ ბიჭები ერთი მიტოვებული სახლის მეორე სართულზე მოათავსა, სწორედ ლოლაძის კანცელარიის მეზობლად, მაგრამ თვით ლოლაძე არ გაუღვივებია, ინჯიას ბრძანების გადაცემა რა გვეჩქარება, ხვალაც ამ თვის არისო. შამშე თვითონაც იმ მიტოვებულ სახლში ცხოვრობდა თავის ოცეულთან ერთად.

ახალმოსულებმა, რაკი ქვეშაგების ძებნა ახლა გვიანი იყო, იატაკზე ხელეების ფათურით დასაწოლი ადგილი მოძებნეს და მაზარები გაიშალეს. შამშე სადღაც გაიქცა დიდხანს მიბრაზუნობდა ეზოში ჩამავალ ხის კიბეზე. იქ სადღაც შევიდა და უდროოდროს ვილაყები დაადვიდა. ნახევარი სათის შემდეგ თავისი განუყრელი მეგობრები კაკო ცუცქირიძე, ნიკო მიქიაშვილი და შალიკო ნოზაძე მოიყვანა. ოდესღაც საქართველოს განთქმული ფალავანი თავისუფალ ჭიდაობაში, ნოზაძე, ყველა ამათზე ასაკით უფროსი იყო, მაგრამ გული ისევ ყმაწვილურად უცემდა და ასაკობრივი განსხვავებაც არავის აგონდებოდა. შალიკო აქაც სურსათ-სანოვავის საწყობში მუშაობდა და თუკაცა საწყობის გამგე არა თვით ის, არამედ წისქვილის ვირთხასავით გასიებუელი, სიტყვაძუნწი გერმანელი ეფრეთორი მაქს ბიდა იყო, ზედმეტი პურის, კონსერვებისა და მაგარი სასმელის ვამოტანას ყოველთვის ახერხებდა. ბნელ ოთახში, სადაც შამშემ ძმაცაცები დასტოვა, სანოვავით დატვირთულები შემოვიდნენ. შალიკოს ვისკის სამი ბრტყელი ბოთლიც გამოეყოლებინა. ბიჭებს უკვე ეძინათ. დაბაში შუქმწენიღების მკაცრი წესები იყო შემოღებული და მათორი ბრაიტნერი ღამით ასანთის გაცერასა და პაპიროსის მოკიდებასაც კი კრძალავდა, მაგრამ ნოზაძემ ჯიბეები მაინც მოიჩხრიკა და ქარისა და წვიმის ნათარეშევი ოთახი კარტოფილის სანთლით გაანათა. მიქიაშვილი სუფრის თა-

დარიგს სწევდა, შამშემ მის ცხვირში კი ბიჭები გამოადვიდეს.

ღამის სამი საათი იქნებოდა დაწყებული, ძირს, ქუჩაში რომ პატრულებმა გაიარეს და სტენა ასტენეს. აბრიალებული სანთლის სინათლე ამ უკუნეთ ღამეში, რალა თქმა უნდა, გარეთაც გავიდოდა. სხვა რალა გზა იყო, სანთელს ფეხი გაჭკრეს და ჩააჭრეს. ერთხანს სიბნელეში ისხდნენ და სულგანაბულება ყურს უგდებდნენ ღამის სიჩუმეს, რომელსაც დროდადრო ზღვის მშვიდობიანი ტლაშენი არღვევდა. პატრულები რამდენიმე წუთს ტროტუარზე იტყუებოდნენ, შემდეგ ნალებით დაქვდილი ჩექმების მწყობრი ბრახაბრუხი კიბეზე გაისმა.

— Wer ist hier?! — მქუქარე ხმით იკითხა ვილაყა გერმანელმა და კიბის საფეხურების ქრაქუნიც შეწყდა.

დილას, კარგად რომ გათენდა და მთელი ღამის განათებმა გივიმ, მიტომ და შურამ თავები წამოჰყვეს, უკარფანჯრო და კედლებჩამოტყავებულ ოთახში ეგვენისა დ მათ მეტი აღარავინ იყო შამშეს, შალიკოსა და ნიკო მიქიაშვილს წასვლის წინ იატაკზე გაშლილი სუფრაც აელაგებინათ, ნარჩენები, კონსერვის კოლოფები და ვისკის ბოთლებიც გადაეყარათ, ისე რომ წუხანდელი ღრეობისა უბრალო ნიშანიც კი არ დაეტოვებინათ.

— რა გვიქნეს მაგ რჯულძაღლებმა ეს! — თავი ისე საშინლად სტკიოდა, გივი თვალებს ვეღარ ახელდა, — ვისკის შენ მოერევი?

— რალაზე მიაკვდი ზედ! — ნიშნი მოუგო თავადაც თავატყივებულმა შურამ. დაძინების წინ მას ჰქუა ეხმარა და შუბლი ცხვირსახოკით გაეკრა, — ცოტას დავლევდი.

— შენსავით, არა? — გამოაჯავრო გივიმ, — ახია! რას შეგისხვევია თავი საფ-

ყალი ბეზიაჩევივით! ბარემ კვახის ფო-
თოლიც შემოგვფინა. რომ მოუღბინე,
აბა, რა გეგონა!

— ყველაფერი ყველაფერი და, სადა
ვართ, არ უნდა გავიგოთ მაინც? — მო-
ისმა კუთხეში მიტო გიგაშვილის ნამძი-
ნარევი ხმა, — სანაძლეოს ჩამოვალ,
თუ ვასო ინჯიამ მთელი ზანდფორტი არ
შემოატყავა ჩვენს ძებნაში.

— ხომ გეძინა გემოზე! — იატაკზე
გულაღმა გაშლართულმა გვიმ თვა-
ლები ისევ დახუჭა და თავქვეშ ხელები
ამოიღო, — პატრულები ხომ არ დაგე-
სიზმრა?

— მართლა, რა ქუეყნებით დათვრნენ
ის საწყლები! — მოაგონდა შურას და
გაეცინა, — ძლივს ჩავიყვანე კიბეზე.

— შენ და ინჯიას სტუმრის პატივის-
ცემა არ შეგეშლებათ, — თქვა მიტომ,
— თავს რომ ველარ მორეოდნენ და ის-
ინიც გვერდზე მოგწოლოდნენ, არ იქნე-
ბოდა სეირი?

— მერე ევგენი თულა გვიშველიდა.
მართლა, რას შვრება ეს, ხომ არ გაიგუ-
და ძილში? — გივი წამოჯდა და იქვე
მის გვერდით გამოტილ არტემიდეს მხა-
რზე ჭუსლი უბიძგა, — ეი, მანგლისე-
ლო, გაიღვიძე, სამტრედიაში შევდი-
ვართ, სამტრედიაში! შენს მამობილს,
ვასო ინჯიას, კაცი გამოუგზავნია, სა-
უზმზე მეწვიოსო. ეს რა ბიჭი გავიცა-
ნი, ხალხო, ვენაცვალე სიტყვა-პასუხ-
შიო. აბრძანდი ზეზე, ბატონო უნტერ-
ოფიცერო, ჩასახეთქი მოაცუნცულე
რამე, თუ არა აქედან ფეხის გადამდგმე-
ლი არა ვარ.

— რომელი საათია? — უეცრად გა-
მოღვიძებული ევგენი გველნაქბეხივით
წამოიჭრა და ძილნაკლულობისაგან
დაწითლებული თვალები ძლივს გამოა-
ხილა, — გათენდა უკვე?

— გათენებული არ იყო, ბიჭო, ჩვენ
რომ დავეყარეთ?

— ისინი სად არიან?

— ვინ? პატრულები? შენ და შურამ
არ ჩააცილეთ კიბეზე? რას ფიქრობ აშ-
ლა, შიმშილით უნდა ამოგვხოცო? თუ

ბელადობა გიკისრია, იბელადე, თუ არა
და გადადექი, ბელადობის მსურველი
ბევრია.

— ჩვენი ბიჭები სადღა არიან?

— წადი და კითხე!

— სადა ვართ ნეტა?

— სადაც წუხელ დავექით.

— აბა, ავდგეთ, ავდგეთ, ბიჭებო, ჩქა-
რა, ეს რა მოგვსვლია, მართლა ძებნას
დაგვიწყებენ და ეგ გვინდა კიდევ? —
ევგენი სულაც არ იყო ხუმრობის გუ-
ნებაზე.

— რა გინდოდა მაინც, რომ არ მო-
ასვენე კაცი, რას ეკითხებოდი?

— ვისა?

— ინჯიას.

— კაი, თუ ძმა ხარ, გივი, სახუმროდ
გვაქვს საქმე?

— ვიხუმროთ მტრის ჯინაზე! მაინტე-
რესებს, მართლა რას ეკითხებოდი?

— ამომიღე ტვინი! — ევგენიმ მის-
რესილ-მოსრესილი ტანსაცმელი შეი-
ბერტყა და მუცლამდე შეხსნილი გი-
ნასტურის ღილები სასწრაფოდ შეიბნია,
— როცა ვერაფერს ხელები, პირში წყა-
ლი მაინც უნდა ჩაიგუბო, ბოლოსდაბო-
ლოს საზღვარი აქვს ყველაფერს!

— იქნება ვხვდებით! — გივის სიტყ-
ვის ეს მოულოდნელი შემოტრიალება
ეწყინა და სახე ოდნავ მოექუთრა.

— აბა, რაღა გლაპარაკებს, იყავი
შენთვის: არ ვხუმრობ, იცოდე. ეგ კა-
ცი — ინჯია, ჩვენ გამოგვადგება. აგერ
ნახეთ თუ არა! ყველა ღონე უნდა ვიხ-
მაროთ, ტყავში უნდა გავძვრეთ და მა-
გისი ნდობა კი უნდა მოვიპოვოთ. ჰო,
ჰო, რას მიყურებთ? ძალიან გაგიკვირ-
დათ?

— შენ რომ კაცმა დაგიჯეროს, ხვალ
ეგებ მაიორ ბრაიტნერის ნდობის მო-
პოვებაც დაგვავალო! — ყველას მა-
გიერ ისევ ანთიძემ უპასუხა.

— მე არავის არაფერს ვავალებ,
გივი. გუშინდელისა არ იყოს, ძალიან
გთხოვ, მაგისთანა ლაპარაკს თავი და-
ანებო. რად გინდა? მე თუ ამას გეუბ-

ნები, შენ შენი თქვი. ვინმემ აგვიკრძალა?

— თუ აგრეა, აბა, ჰიტლერმა რა დააშავა, ის უფრო დიდი კაცი არ არის?

— როგორ თუ ჰიტლერმა?..

— თუკი ინჯიას და ბრაიტნერის ნდობა უნდა დაეიმსახუროთ...

— რახან ჩემი სიტყვა სამივეს უკუღმა გესმით, თქვენ მითხარით, ბატონო, უკეთესი და ეს უღუვაში გამპარსეთ, თუ არ დაგიჭერთ.

— პალოან კი წაუწიქი და... — გივი თავისას არ იშლიდა, — ასევე გიქნია ჩექმების მწმენდავდაც დადგომიხარ!

— გივი! — ერთხმად წამოიძახეს მიტომ და შურამ და ყურებწამოწითლებულ ევგენი არტემიძეს თვალი უყვეს, რა მოხდა ბოლოსდაბოლოს, რით ველარ მორიგებულხართო.

უწყინარი ზუმრობით დაწყებული საუბარი, შესაძლოა, ყველასათვის სანანებლად დამთავრებულიყო, ოთახში მყოფთა ყურადღება კიბეზე სირბილით ამომავალი კაცის ფეხისხმას რომ არ მიექცია. ოთხივემ ღია კარს მიაპყრო მხეჯრა. რამდენიმე წამის შემდეგ ოთახში სირბილისაგან სუნთქვაშორებული ნიკო მიქიაშვილი შემოიჭრა და წუხანდელი თანამეინახენი რომ იქვე ნახა, სადაც წუხელ დასტოვა, გულზე მოეშვა.

— რა მოხდა, ნიკო, რა ამბავია? — მიხალეს დამხედურებმა.

— შამშემ გამომგზავნა, ახლავე პლაცზე გამოვიდნენო.

— თვითონ სად არის? — ეს კართან ყველაზე ახლო მდგომმა მიტომ ჰკითხა მოსულს.

— ინჯიას ჰყავს ჩაეკტილი თავის ოთახში და არ უშვებს. ორდინარეცი მიუყენა ყარაულად.

— მოხდა რამე?

— რა ეშმაკად მოეხეტნენ წუხელ ის პატრულები, ნოზაძის ბრალია. სინათლე არ უნდა აენთო.

— რა მოხდა მაინც, აღარ იტყვი? — შეაწყვეტინა ევგენიმ მოსულს.

— ყველა დაპატიმრებულია, პარლე-

მის ჰაუბტვახტში გაუგზავნიან, ინჯიას საქმეა. ამ დილას იმას გადაყრიან, ქუჩაში. ფუ, მაგათი... შამშემ სცნობდათ და უთქვამთ, იმასთან ვიყავითო. კიდეც კარგი, ქუჩა და სახლის ნომერი არცერთს აღარ ახსოვდა, თორემ თქვენც მოგადგებოდნენ. ინჯიამ ჯერ არ იცის, რომ ყველა ერთად ვიყავით. ვერც უნდა გაიგოს, თუარა ვაი ჩვენი ბრალი! ბიჭებს მოგვაშორებენ და შეიძლება სადღაცა მარტო გაგვგზავნონ ფეხისადგილების საწმენდად. შამშე და კაკო ცუცქრიძე ჰყავდათ ასე გაგზავნილი. სამი დღის მობრუნებული არიან. ბრაიტნერმა ბრძანა, დღეს სამუშაოდ აღარავინ წავიდეს, ყველა პლაცზე დამიწყვეთ, ბატალიონის შემოწმება უნდა მოვახდინოო. რას აპირებს, არ ვიცი. ევგენი, შენ ამ დილას ინჯიამ გიკითხა.

— რა უნდა? — არტემიძეს ფერფურმა გადააჰკრა.

— მე ხომ არ მეტყოდა! უთხარით მწყობრის შემდეგ ჩემთან შემოვიდესო. აგერ ბიჭებთან გეუბნები, — მიქიაშვილმა ხმას დაუწია, — ფრთხილად იყავი. გლახა საქმეში არ გაგრიოს. მაგას ჯერ კიდეც არ იცნობთ. თუ რამე შეგნიშნა, არ დაგინდობს. ისე მოფერება და მოალერსებაც იცის. მტრისას მაგისი ფერება და აღერსი! ვიღაცამ თქვა, ამას წინათ, ისე, ალბათ, თვით ჰიტლერსაც კი არ ეჯაერება კომუნისტები, ე. ი. ჩვენი ხალხი, როგორც ინჯიასო. ხომ ბეზერია. კაი დაგეშილი მეძებარივით აქვს ყნოსვა გამახვილებული. ვერაფერს გამოაპარებ. რამდენი ვინმე მაგან იმსხვერპლა, ჩვენიც და თვით გერმანელებიც, ანგარიში აქვს? თუ მაგან ხელი დაგადო, მერე მორჩა, საქმეს კი აღარ იძიებენ, პირდაპირ ჩაგაყუდებენ. არც დახვრეტა ან საჯარიმოში გაგზავნა გაუჭირდებათ. არაფერში გაგაბას, ჩვენ ყველა, მეც, შამშეც და სხვებიც მაგას ისე ვერიდებით, როგორც ცეცხლს. ვის უნდა დაეიდარაბაში გაიბას თავი! ბოლიში, დარიგებასავით რომ გამომივიდა, კი არ გეწყინოს. ახლები ხართ. ზომ უნდა გაიგოთ, აქ რა ამბებია!

— უნდა გავიგოთ, აბა რა, — ევგენიმ ნიშნის მოგებით გახედა გივი ანთიმეს, თუ გესმის, რას ამბობსო? მაგრამ ის აქეთ არ იყურებოდა. მთელი გულსყურით უსმენდა სახეგაცრეცილ და ფერწასულ მიქიაშვილს.

— წავედით! — ნიკო აჩქარდა და გატრიალდა, — ნულარ ვაგვიანებთ, ბატალიონი უკვე ეწყობა. ჰო, მართლა! — კიბის ბაქანზე ის ერთხელ კიდევ შეჩერდა, — თუ გკითხონ, წუხელ სად გეძინათო, უთხარით, რომ ჩვენთან გეძინათ, ასეულში. ზურგჩანთები და მაზარები აქ დატოვეთ. ნუ გეშინიათ, არავინ მოიბარავს. ბიჭები გაფრთხილებული გვეყავს. ლოლაქემაც იცის. თუ შამშეზე გკითხონ რამე, ასეულში კი მიგვიყვანა და მერე აღარ ვიცი, სად წავიდათქო. ეშმაკის ერთია, როგორმე თვითონ გამოიხსნის თავს...

კერამიკული აგურით მოგებულ ძველებურ, ვიწრო ქუჩაში გამოვიდნენ, რომლის ორივე მხარე ოდესღაც ცინცხალი, ახლა კი დამსკდარი და გაბუნებული აბრებით იყო აჭრელებული, ინსტიტუტურად მიიხედ-მოიხედეს და ჩქარი ნაბიჯით აედევნენ წინ მიმავალ ნიკო მიქიაშვილს. სამი თუ ოთხი ასეთივე ვიწრო ქუჩა და ერთი პატარა მოედანი ისე გაიარეს, გზად კაციშვილი არ შეხვედრიათ.

— სულ ცარიელია, კაცო, ქალაქი? — წამოეწია და ჰკითხა გივი ანთიმემ ნიკო მიქიაშვილს, — ამისთანა მე არაფერი მინახავს ჯერ!

- არა, არ არის ცარიელი.
- აბა, ხალხი რატომ არა ჩანს?
- დამალულია ყველა.
- ვის ემალებიან?
- ვისა და ჩვენ!
- ხუმრობ თუ მართლა ამბობ?

— ნამდვილად ასეა. სანამ ჩვენი ეშელონი სადგურში გაჩერდებოდა, აქაურ ხალხს უკვე სამალავები ჰქონდა მოწყობილი. გერმანელებმა წინასწარ გააფრთხილეს მოსახლეობა — ქალაქში ველური კავკასიელი ტომისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილი უნდა დავაყენოთ

და მოერიდეთო. ჩვენი ბიჭების მოსახლეობასთან დაკავშირების ეშელონი რა ენაღვლებათ. სახელსუფამო ქუჩაში კრუშინას ამბები კარგად ახსოვთ. მთელი კვირა თურმე მეტს კი არაფერს აკეთებდა აქაური რადიოკვანძი. მოსახლეობას აშინებდა. ხალხი მართლა დაფეთებულა. კაცი იქნება თუ ქალი, მეტადრე ქალები, სანამ ქუჩაში ფეხს გამოდგამდეს, ჯერ კარგად მოათვალიერებს, ჩვენი ჯარისკაცი ხომ არ ჩანს სადმე. თუ ღმერთი გაწყრა და თვალი მოგლანდა, იმწამსვე შევარდება სახლში და კარს ჩაკეტავს. თუნდა საღამომდე გითვალთვალებს, სანამ იქაურობას გაეცლებოდე და რომ დარწმუნდება, წახვედი, მერე გამოვა.

— ეს რა გავიგონე! — წამოიძახა გივი და ასევე განცვიფრებულ ამხანაგებს გადახედა, — გესმით, ბიჭებო? თვითონ კაციჰამოა გერმანელებმა ჩვენზე გააფრცვლეს ხმა, რომ ქართველები ველური ტომი ვართ და ხალხს ჩვენი უნდა ეშინოდეს! ფუ!.. მერე ამათ როგორღა დაიჯერეს? — მან ისევე ნიკო მიქიაშვილს მიმართა, — თუ ჰკუთა აქვთ, გერმანელებს რაიმეს დაუჯერებს კაცი?

— დაუჯერეს. ომია. ომში რა არ ხდება!..

ამ დროს ორი თეთრხილბანდიანი მონაზონი გამოჩნდა ქუჩის ბოლოში. მიუხედავად იმისა, რომ გრძელი თალხი კაბა ფილაქანზე მისთრევდათ, ისინი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდნენ, დროდადრო ჩერდებოდნენ და რალაციის გამო გაცხარებული დავობდნენ. უკებ ჯარისკაცები დაინახეს, შეკვივლეს და თავიანთთავე ხმამ ისე დააფრთხოთ, აღარ იცოდნენ რა მოემოქმედათ. მათ შემხედვარე ბიჭებს სიცილი აუტყდათ. არიქა, თავს უშველეთ, თუარა სადღა გაგვექცევითო. ქართულად აქაქანდნენ. უბოროტო სიცილმა ქალები თანდათან დაამშვიდა. პანიკური გაქცევა იქით, საიდანაც მოდიოდნენ, სასიციხვოდ მიიჩნიეს, გადასახვევი კი ქუჩას ამ ადგილას არ ჰქონდა. მეტი რომ ველარაფერი მოახერხეს. ზვარაკებივით მორჩი-

ლად გაჩერდნენ, თითქოსდა ამით უნდოდათ ეთქვათ, დაე, მოხდეს, რაც მოსახდენიაო და, როგორც ჰეშმარიტად მორწმუნე მოკრძალებულ დედათა სქესის წარმომადგენლებს შეეფერება, თავები ჩაღუნეს. ამასობაში ბიჭებიც მოუახლოვდნენ და მხიარული ხორხოკით ვარს შემოეხვივნენ.

— ე, რა გოგოები ყოფილან, ვერ უყურებთ? — გივი ანთიქემ აღტაცება ხმამაღლა გამოხატა, — შევარცხვინე ამათთან მიტოს როტერდამელი საცოლე! — და იმით წათამამებულმა მართო რომ არ იყო, ერთ-ერთ მონაზონს, რომელიც მთლად ახალგაზრდა, თურაშაული ვაშლივით ლოყებდაბრაწული და მკერდათქვირებული აღმოჩნდა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა. — რის გეშინია, გენაცვალოს ჩემი თავი, განა მართლა კაციჭამია ვარ?

ქალი წამოენთო, თოვლივით ქათქათა, გახამებული ხილაბანდის ჩრდილში შეფარებული სახე ასწია და თუნცა

უცხო ენაზე ნათქვამი სიტყვებიდან ერთიც არ გაუგია, გუმანით *გერქნო* რასაც ეს პირტიტველა ლამაზი ბიჭი ეუბნებოდა და ღიმილი ველარ შეიკავა. მეორე მონაზონსაც ღიმილი გამოესახა მოჩვენებითად მკაცრ სახეზე და მეგობარს კეკლუცად, ქვეშ-ქვეშ გამოჰხედა. უცებ ორივეს გაახსენდა, რომ ქუჩაში გაჩერებისა და უცხო მამაკაცებთან ღლაბუცის ნებას მდგომარეობა არ აღლევდათ, ქორისაგან დაფეთებულ ჩიტუნებევით აწრიალდნენ, აქეთ-იქით გაძვრნენ, გამოძვრნენ და გზა უკანმოუხედავად, თითქმის სირბილით განაგრძეს.

ბიჭები შუაგულ ქუჩაში იდგნენ და სიცილითა და მოწონების შეძახილებით აყოლებდნენ თვალს მიმავალთ, სანამ ქალებმა მალულად უკან არ მოიხედეს და მონაზონისათვის სავესებით შეუფერებელი ტყრცილით რომელიღაც სახლის სადარბაზო კარი ფაცაფუცით არ გააღეს და შიგ არ შეცვივდნენ.

მოგონებებით მავსებს ყელამდე
და მიაღვილებს ხვალინდელ ავდარს
სამი მაისი, —

მე კი ყველა დღე
მახსოვდა,

სამი მაისის გარდა.

მე ჩემს იმედებს ღამეს ვუთევდი,
რომ ამერჩია ათასში ერთი,
მე გავიარე ოცდათხუთმეტი

სამი მაისის ახლოს და გვერდით.

ბევრჯერ ნანატრი სიტყვა წამომცდა,
რომელიც ახლა არავის ახსოვს.

მე გავიარე სამას სამოცდა
ხუთი შემთხვევის გვერდით და ახლოს.
და როგორც ბოლო სადღეგრძელომდე
კეთილშობილი სტუმარი იცდის,
მთელი სიცოცხლე ამ დღეს ველოდი.

...ღირდა სიცოცხლე ამ ერთი დღისთვის.

შემოდგომა.

დამსგავსებია

ვეებურთულა ბაზარს ქალაქი:

ყურძნით, ქიშმიშით, ჩირით, ჩამიჩით,
თაფლით, საფრანით, კომშით, პილპილით,
ბროწულებით, საზამთროებით,
ფორთოხლებით და მანდარინებით;

ხელით, ხელჩანთით, კასრით, კალათით,
ტიკით, ბადურით, საკვოიებით;
ფეხით, მანქანით, ეტლით, მეტროთი,
ტაქსით, ტრამვაით, ველოსიპედით,
მოტოციკლებით, მოტოროლერით,
ავტობუსით და ტროლეიბუსით —
მზეს ეზიდება ბაზრიდან ხალხი.

ეს არის ომი,

სისხლისმღვრელი,

ხანგრძლივი ომი,

სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო,

დაუნდობელი.

ერთ მხარეს დგანან: სერვანტესის

დედა და დები,

ვან-გოგის ძმა და სააკაძის უმცროსი ბიჭი,

დეკაბრისტების ცოლები და პუშკინის ძიძა,

არმსტრონგისა და გაგარინის ამზანაგები...

მეორე მხარეს ერთსულოვნად

ჩასაფრებულან:

ქრისტეს მოწაფე, აბელის ძმა,

მეფისტოფელი,

ოძელაშვილის ნათლიმაზა, ჰამლეტის ბიძა,

ქეროსტრატე და ნერონი და სალიერი და

ჯორდანო ბრუნოს ჯალათი და ლორკას

ჯალათი...

გრძელდება ომი,

სისხლისმღვრელი,

სასტიკი ომი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა


ვერ გაიტყუა სულმა სხეული,
ვერ გაიტაცა დედამიწიდან,
მხოლოდ სურვილად გადაქცეული —
იდგა კაცი და

ფეხს ვერ იცვლიდა. ბიბლიოთეკა
თითქოს დაადგეს რკინის უღელი,
თითქოს იჭერდნენ ავი სულები,
თითქოს გარბოდა ორი კურდღელი
საპირისპირო მიმართულებით.

• • •

ბოლო მოვლათ სახლ-მუზეუმებს,
ახლა ყველანი ერთად ცხოვრობენ,
ერთფეროვნება ყველგან ზეიმობს,
სახლები ყველგან ჰგვანან კოლოფებს.
ცეცხლგამძლე ყუთებს ჰგვანან ლიფტები,
სიცარიელე ავსებთ ყელამდე,

ერთფეროვნება დაბეჯითებით
ებრძვის ყველას და ებრძვის ყველაფერს.
მაგრამ ყოველგვარ სასოწარკვეთას
ხალხი ანელებს ტკბილი ოცნებით,
სამასბინიან სახლში ჩაკეტილ
გენიოსებსაც
ხალხი მოძებნის.



მუვილოვით, უსიარო ტყეაგო!

რ მ მ ნ ი

ავტორის ხაგან

სამამულო ომის დროს თითქმის ორი წელიწადი ბელორუსელ პარტიზანებთან ერთად ვიბრძოდი გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

მოწმე ვარ ოკუპაციის პირველი დღეებისა.

პირველი დღეები...

დროებითი წარმატებებით გათამამებული და გათავებდებული მტერი წინ მოიწედა, ანგრედა და ანადგურებდა საუკუნოვან კულტურას, სახალხო დოვლათს და სიკვდილის მუქარით ცდილობდა დაემონებინა ადამიანთა სული, რწმენა, გაეთელა მათი ღირსება.

იმ დღეებში მართლაც ბევრი რამ შეძლო მტერმა: მიწასთან გაასწორა, გადაწვა და გადაბუგა სოფლები და ქალაქები, მაგრამ ვერ დაიმონა, ვერ შეარყია ხალხის რწმენა და ვერც მის პატიოსან სულსა და ღირსებას მოუხერხა რამე.

სულ მალე ამოქმედდნენ იატაკქვეშა ორგანიზაციები, რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს მტრის ზურგში, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილმა წითელარმიელებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაეებმა. ამას მოჰყვა დიდი სახალხო პარტიზანული

ბრძოლა და შურისმაძიებელთა ცეცხლი მთელ ბელორუსიას მოედო.

სამი წლის მანძილზე ბელორუსიის უსიარო ტყეებში სხვებთან ერთად ვებრძოდი მტერს და ჩემი უბის წიგნაკიც ამ საბრძოლო ეპიზოდებითა და მოგონებებით არის აჭრელებული.

ჯერ კიდევ 1957 წელს „საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის“ გამოცემლობამ გამოუშვა ჩემი პირველი წიგნი „ორდიშევის ტყეში“ — პარტიზანის ჩანაწერები.

ეს არ ვახსლადთ მოთხრობა მამაც პარტიზან ვაჟაკებსა და ქალიშვილებზე. ეს უფრო მძიმე დღეების მოსაგონრად დაწერილი ნარკვევი იყო.

წიგნი რუსულ ენაზეც ითარგმნა.

1966 წელს ბელორუს მწერალთა ყრილობაზე ვიყავი მინსკში. შევხვდი ომისდროინდელ მეგობრებს, მოვიგონეთ დაღუბული ამხანაგები, ვინახულეთ სამშო საფლავები, დიდხანს ვისხედით გარინდებულნი ჩვენივე ხელით სახელდახელოდ გათხრილ სამარესთან, სადაც ახლა დიდებული ძეგლია აღმართული.

მე არასოდეს არ გამიწყვეტია კავშირი ბელორუსიასთან, იქ მცხოვრებ

ყოფილ პარტიზანებთან, მათს ოჯახებთან.

ხშირად ვიღებ ბარათებს, საახალწლო მოლოცვებს და როცა ამ ბარათებს ვკითხულობ, მავიწყდება ყველაფერი და იმ წუთებში მხოლოდ მოგონებები, მხოლოდ ჯოჯოხეთურ ბრძოლებში დაღუპული ამხანაგები მიდგანან თვალწინ.

ბევრი კარგი წიგნი დაიწერა ბელორუსულ პარტიზანებზე.

მე, რა თქმა უნდა, ყველა წიგნი დიდი ყურადღებით წავიკითხე და, როცა მათ ჩემი „ორდიშევის ტყეში“ შევადარე, გული დამწყდა.

მეტი მქონდა სათქმელი, მეტის გაცემა შემეძლო და მეკუთვნოდა.

ამას წინათ ჩვენი პარტიზანული ბრიგადის ყოფილი კომისრის ადამ კონსტანტინეს ძე სტელმახის ასეთი შინაარსის ბარათი მივიღე:

„ძმო დავით!

წავიკითხე შენი წიგნი „ორდიშევის ტყეში“. მე მუდამ მახსოვდი და მახსოვხარ შენ. მუდამ სიყვარულით გიგონებ და გხედავ:

ჩამქრალ კოცონთან პარტიზანები სხედან, ზოგს თავი ჩაუქინდრავს, თვლემს, ზოგი იარაღს სწმენდს, ზოგი ხალათს იკერებს და ზოგიც ნაღვლიანად ღიღინებს.

შენ კი ზიხარ და წერ.

გახსოვს? ერთხელ ხუმრობით გითხარი: „უცხო ენაზე“ წერას ვიკრძალავ-მეთქი.

არ ვიცი რა მხატვრული ღირებულებისა იყო შენი მაშინდელი ლექსები, რომლებსაც მორიდებით, მაგრამ დიდი შთაგონებით გვკითხავდი.

მერწმუნე, ჩვენ მაშინაც, იმ მძიმე პირობებშიც ვფიქრობდით შენზე, ქართულ ყმაწვილზე, ასე თავგამეტებით რომ იბრძოდი ჩვენს მხარდამხარ.

კარგია, რომ გადაურჩი იმ საშინელ დღეებს. მამაშვილობას გეფიცები, მე ეს ძალიან მიხარია.

შენი წიგნით კი, არ გეწყინოს და, მაინცა და მაინც კმაყოფილი ვერ დავრჩი.

ახლა მინდა ცოტა რამ შევახსენო მოგაგონო.

ვიტებსკის ოლქში მატანტრული ჯგუფები, რაზმები, რომლებიც დამოუკიდებლად ხელმძღვანელობის გაუწევლად მოქმედებდნენ, ჩვენ დავეუკავშირეთ ხალხს და ერთ მძლავრ, პარტიზანულ ბრიგადად ვაქციეთ, უფრო გვიან კი „ორშის პარტიზანული ზონაც“ შეიქმნა.

წიგნში მკრთალად არის აღწერილი მტრის შემოჭრა, ოკუპაციის პირველი მწარე დღეები, იატაკქვეშა ორგანიზაციების საქმიანობა, რომლის მონაწილე შენც იყავი.

რატომ დაივიწყე გოგუშევსკის რაიონი? სოფელი ბუდა, ერთად გატარებული დამეები. შენი გაიჭვერა გერმანელი დიასახლისი და მისი უწმინდური მეუღლე?

რად არ გაიხსენე ტყეში პირველი გასვლა? პირველი მიწური, ჩვენი საიმედო თავშესაფარი და ათასი სხვა რამე?

იქნებ გადაწყვიტო, ხელმეორედ გამოსცე ეს წიგნი და მაშინ ურიგო არ იქნება თუ ჩემს მეგობრულ შენიშვნებსაც გაითვალისწინებ.

მეც ბევრი მასალა დამიგროვდა, ვფიქრობდი მეცადა, ამეწერა ჩვენი ბრიგადის სახელოვანი გზა, მაგრამ წერის მადლით ყველა როდია დაჯილდოვებული!

იყავი მხნედ. წარმატებებს გისურვებ ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

შენი ადამ სტელმახი“.

„ბელორუსია, ქალაქი მირიანა გორკა, ძვირფასო ადამ კონსტანტინეს ძე!

წიგნი, რომელიც თქვენ წაიკითხეთ, დიდი ხნის წინათ გამოვიდა, იგი მორიდებითა და ერთგვარი შიშითაც არის დაწერილი. მას სხვა უფრო მნიშვნელოვანი ნაკლიც აქვს და ამიტომაც მისი ხელმეორედ გამოცემა არ მიმანია სწორად. ახლა ვზივარ და ვწერ მოთხრობას მამაც ბელორუსულ პარტიზანებზე.

მხოლოდ ზოგიერთი მეთაურის გვარს ეიხსენიებ უცვლელად, სხვა სიზუსტე

მოთხოვნისათვის არც არის საჭირო. მაპატიეთ, ჩემო საყვარელო კომისარო, იქნებ ვერც ახლა გაგიმართლოთ იმედი. მაპატიონ მეგობრებმა, სამცხო საფლავებში რომ განისვენებენ მშვიდად.

ამ მოთხოვნას მათს ადრე დამრწმუნებულ ყმაწვილკაცობას, მათს მამაკაცობას, მათს სულს ვუძღვნი.

დავით კვიციანი



ორი დღეა გადაუღებელი წვიმა. მზეს-დანატრებული ჭარისკაცები ცხვირჩამოშვებული დალაჯებენ დიდი ყაზარმის უსამულოდ გრძელ და ვიწრო დერეფანში. სავარჯიშოდ ტყეში აღარ გავყავართ. ტყე კი ხელის გაწვდენაზეა. სამხრეთის ალაყაფის კარს გასცდები, პატარა მდინარეზე ფიჭვის მორებისაგან უბრალოდ შეკრულ ხიდს გადაივლი და ფიჭვნარიც იწყება.

ოთახიდან-ოთახში დაალაჯებს და ყურადღებას არ გვაქცევს. წესრიგის ბიჭია, ახლა ჩვენ მისთვის არ ვარსებობთ.

მე თვალს ვაყოლებ ალიოშას განიერ ბეჭებს და მელიმება. ვიცი, სული კბილით უჭირავს, ერთი დალაპარაკება სიცოცხლედ უღირს, მაგრამ წესდებით მორიგეს სხვასთან დალაპარაკე ეკრძალება და რა ბიჭია, ალიოშა წესდებას დაარღვევს!

ამ ტყეში სულ ნაძვები და ფიჭვებია, თუმცა აქა-იქ არყის ხეც შემოგანათებს საქორწინოდ მორთული დედოფალივით.

ვასომ მეორედ წამიკითხა ერთი კვირის წინათ მიღებული დის წერილი. ფოსტა რომ მოიტანეს, ვასო იქ არ იყო წერილი მე მივიღე და მანამ არ მივეცი, სანამ „მთიულური“ არ იცევა. მე ტაბურეტზე ვატყავუნებდი ხელებს, ბიჭები ტაშს უკრავდნენ, ვასო „მთიულურს“ უვლიდა, მაგრამ შეცდა, ჩაბუქნა და ამის გამო წერილი აღარ მივეცი.

და მინც ამ ტყეს ყველა ან ნაძვარს ეძახის, ან ფიჭვნარს.

დიდი ყაზარმა ისეა ჩაფლული ხეებში, რომ ერთი შეხედვით დასასვენებელი სახლი გეგონებათ.

ყველას გაუკვირდა და მე ახსნა-განმარტება დამჭირდა, „მთიულურის“ ცეკვის დროს ჩაბუქნა არ შეიძლება-მეთქი. ვასოს გული მოუვიდა. ცეკვაუდა, თან მიბღვერდა, მაგრამ ამ სიმორიდან მოსულ წერილს ასე უბრალოდ ხომ არ მივაჩვენებდი ხელში!

ჩვენ ყაზარმას ეზოს ჭინკარი ჩრდილოეთითაც აქვს, ამ ჭინკრით გავდივართ პატარა ბელორუსულ დაბაში, ამ ჭინკრით ვუკავშირდებით ვარე სამყაროს.

— მიეცი, კაცო, ნუ შეიკალი ხელში! — იყვირა ალიოშამ. იგი ჩემს გვერდით იჯდა და „დოლის“ ხმას ისე აყოლებდა ტაშს, ყველაზე უნიჭო მუსიკოსიც ადვილად მიხვდებოდა, რომ მას სმენის ნატამალიც კი არ ვააჩნდა.

საარტილერიო პოლკის მეორე ბატარეაში ვმსახურობ.

წვიმს, წვიმს. ნეტავი თუ ოდესმე ეშველება და გადაიღებს.

სწავლავს ჭარისკაცები პოლკის კლუბში იკრიბებიან. ზოგი ჭადრაკის დაფას მიუჯდება, შუბლზე ხელს შემოიღებს და მართლა ფიჭობს. ზოგი შაშს თამაშობს, ზოგი გარმონის ჭყვიტინს უსმენს ან მღერის.

— კარგად კი ცეკვავს, — გაიციხა ზემდეგმა და შემომხედა. სხვა დროს თვალს ჩამიკრავდა, ახლავე მიეციო და მეც მისი თვალის ჩაკერა ბრძანებად უნდა მიმეღო, მაგრამ ახლა ზემდეგს, ცოტა არ იყოს, ჩემი ერიდება კიდევ.

მე და ვასო თორაძე მორიგის მაგიდას ეუსხედვართ და ვსაუბრობთ. დღეს მორიგე ჩვენი ახლო მეგობარი ალიოშა ტარანეკია. ალიოშას ხიშტიანი თოფი ისე კობტად უჭირავს ხელში, გეგონებათ ალღუმზე მიეჩქარებაო.

საშუალო მეთაურთა სკოლიდან ახალი დაბრუნებული ვარ. ადრე გამოგვიშვეს, ნაწილებში ჩამოგვარიგეს, ჩინსაც დღედღეზე მოველი და ზემდეგი ფრთხილობს, ვინ იცის იქნებ ჩემი ხელქვეითიც კი გახდეს ხვალ-ზეგ.

ვასოს წერილი მივეცი თუ არა, იმ წამსვე შებრუნდა და გაიქცა. მე დადევნება ვითაკილე და, ისე როგორც მომავალ მეთაურს შეშვენის, დინჯად მივყევი. მეგონა კვლავში შევიდოდა. მაგრამ ვასო იქ არ დამხვდა. ბევრი ვეძიე და ბოლოს თავის საწოლზე ჩამომჯდარს სწორედ მაშინ მივეუსწარი, როცა ცრემლს იწმენდა. ისედაც შეცვლილი და გაფითრებული მეჩვენა.

— ცუდი ამბავია თუ?

პასუხის მაგიერ ვასომ წერილი გამომიწოდა. წაეკითხე. მისი უფროსი დის წერილი იყო, შეფარვით ატყობინებდა დედის ავადმყოფობას. საგანგაშო მაინცდამაინც მე ვერაფერი ამოვიკითხე ამ წერილში. ვასოს კი, ეტყობა გულმა რაღაც უგრძნო და ერთბაშად შეიცვალა.

— ნუ გეშინია, ბიჭო, ახლა კარგად იქნება, ეს წერილი ბარე ორი კვირაა გზაშია და ამდენ ხანს... — ცუდად მისი დამშვიდება.

— საქმეც ეგ არის, ორ კვირაში რა იცი რა მოხდა! — ამოიხვნეშა და ისევ შეუდგა წერილის კითხვას. ყოველ სიტყვას ვუკირკიმალებთ. მისხალ-მისხალ ეწონით, ვფიქრობთ, ემარჩიელობთ.

— წითელარმიელი თორაძე მეთაურთან! — პირდაპირ კარებიდან დაიძახა ჭორფლიანმა ჯარისკაცმა, რომელსაც კოლია ერქვა.

წელმოწყვეტილი წამოდგა ვასო, ქამარი შეისწორა, ერთი შემომხედა და წავიდა. მის მოლოდინში ოთახიდან ფეხი არ მომიცვლია.

ვასო განსაკუთრებით მიყვარდა, კარგი გულის ბიჭი იყო, ზედმეტად დინჯი, აუჩქარებელი, თან უზომოდ კეთილი და მიმნდობი.

საშუალო სასწავლებელი ერთად დავათავრეთ, ჯერ ინსტიტუტში ვაპირებდით განცხადებების შეტანას, მერე ერთმა მეგობარმა ავუთქუთუნა დავაბოლისში სამხედრო-საატტაქტაჟის სასწავლებელში გადავწყვიტეთ შესვლა. ჩავედით კიდევ დედაქალაქში. მაგრამ მიმღებმა კომისიამ მეც უარი მითხრა და ვასოსაც. მერე სამხედრო-საავადმყოფო სასახურმაც მოგვისწრო და 1939 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან საღამოს ერთად დავტოვეთ ჩვენი საყვარელი ქალაქი.

სკოლაშიც განუწყრელი მეგობრები ვიყავით მე და ვასო. იგი თითქოს გულჩახვეული ჩანდა, საიდუმლოს თვით ღმერთსაც არ გაანდობდა, მაგრამ ჩემთან არასოდეს არაფერი დაუმალავს.

ცაცა ჩხეიძე მერვე კლასიდან უყვარდა. ჩრდილივით დაჰყვებოდა უკან, მე ვითომ ვერ ვამჩნევდი, თუმცა კარგად ვიცოდი, ადრე თუ გვიან თავით გამომიტყდებოდა. სხვა თუ არა, წერილი ხომ აუცილებლად უნდა მიეწერა და ჩემზე უკეთეს მრჩეველსა და დამხმარეს სად იშოვნოდა!

ეკ. რამდენი ბიჭისთვის გამოიპართავს ხელი და მათ მაგიერ მიწერია წერილი გოგონებისათვის...
წიგნი პატარაობიდანვე მიყვარდა და ეს მშველოდა. წერილს ხან ერთი წიგნიდან ამოღებული სიტყვებით შევალამაზებდი, ხან მეორედან და ასე ვიგებდი სხვათა გულს.

ვასომაც დიდხანს მიწრიალა. უნდოდა როგორმე უჩემოდ მოეხლაფორთებინა ცაცასათვის გასაგზავნი წერილი, მაგრამ ეტყობა ვერ გაბედა. ბოლოს გამომიტყდა და წერილი წამიკითხა.

რა თქმა უნდა, მაშინვე დაუუწუნე და ხელახლა დაეწერე.
ჩემი და დოდოს ამბავი ვასომ კი არა და, მთელმა სკოლამ იცოდა. ჩვენ სულ ერთად ვიყავით, მომღერალთა გუნდშიაც ერთად ვმღეროდით და სკოლიდან შინისაკენაც ერთად მივიდოდით.

ჩვენი წითელი არმიის რიგებში გამგზავრების დრო რომ მოახლოვდა, ცაცა და დოდო მაშინ მეათე კლასის მოსწავლეები იყვნენ. ორჯერ მოვატყუეთ



ჩენი გოგოები. პირველი ტყუილი მე ვიკადრე. სკოლაში ვასოსთან ერთად მივედი და დოდოსა და ცაცას განვუცხადე, ამაღამ მივემგზავრებით და იმედია გაგვაცილებთ-მეთქი. ორივე დანიშნულ დროს თაიგულებით მოვიდნენ სადგურზე. გამგზავრება რაღაც მიზეზის გამო „გადაიდო“, თაიგულები ვილაც-ვილაციეებს შევაჩეჩეთ ხელში და მერე დიდხანს დავედიოდით ქალაქის ქუჩებში.

მეორედ ვასოს ჭერი იყო, მას უნდა ეთქვა ტყუილი. მთელი საათი მაწვალა, ძლივს დავიყოლიე. აბა, მე რაღას დამიჭერებდნენ!

მესამედ რომ ვთხოვეთ გაცილება, უკვე ნამდვილად მივემგზავრებოდით.

სადგურში დიდი ეშელონი იდგა. გოგოები მოვიდნენ, მართალია, თაიგულები აღარ მოუტანიათ, მაგრამ რა კირად მინდოდა, ისიც დეკემბერში. გოგოებს ეგონათ კვლავ ვტყუოდით და დაგვეციოდნენ, მაგრამ როცა მათ თვალწინ საბარგო ვაგონებში შეგვერეკეს, მგონი გულიც კი დასწყდათ. გზაში მთელი ორი დღე სულ მათზე ვსაუბრობდით. ცაცას ვასოსთვის ფიცად უთქვამს, შენს დაბრუნებამდე არვისკენ არ გავიხედავო, სულ შენზე ვიფიქრებო...

მე გული დამწყდა. დოდოს ჩემთან ამის მსგავსი არაფერი წამოსცდენია. იდგა, თითებს იკენეტდა და ტირილს არაფერი უკლდა. შეიძლება იმ წუთში მართლაც ვუყვარდი, ან იქნებ სინანულით ეშვებოდა გული... მიცქერდა დაჩინებით, ეს იყო და ეს.

წერილებს ორივე გვწერდა. ჩვენც ყოველ წერილს ორი წერილით ვუპასუხებდით.

სამეთაურო სკოლაში წასვლის წინ დოდოს ოთხფურცლიანი წერილი გავუგზავნე. მეშველა, ჩემი დიდიხანის ნატვრა ახდა, მალე ოფიცერი გავხდები-მეთქი. როგორც კი ლეიტენანტის ფორმას ჩაიცვამ, იმ წუთში სურათი გადაილევ და გამომიგზავნეო, მომწერა.

მე გულისფანქვალით ველოდი იმ დღეს.

ერთხელ ფოტოგრაფთან ერთად წავიწიე, რომ სომეხ ლეიტენანტს შევჩვენებდი ჩემი გასაჭირი გავანდე. მამისთვის მითი გაიხადა და თავისი ხელით ჩამაცვია. იტოცხლე, მე ფოტოაპარატის წინ გავიჯგიმე. სურათიც კარგი გამოვიდა, მაგრამ გავზავნა მაინც შემრცხვა...

...მეთაურიდან მომავალი ვასო რომ დავინახე, მივხვდი, რა უბედურებაც იყო მის თავს. თვალები ტირილისგან დასიებოდა, ძლივს მოლასლასებდა. მივეგებე, მაგრამ ვაი ასეთ მიგებებას. მკერდზე მომეყრდნო და ბავშვივით აჭვითინდა.

თავი ვერც მე შევიკავე. ვასოს დედა ნამეტანი მიყვარდა, რამდენჯერ მიჰმია მისი ნახელავი, ნიგვზიანი ლობიო და მჭადი.

ვასო საწოლთან მივიდა, დაბალი კარადის უჭრა გამოალო და ტანსაცმელი ამოალაგა.

— როდის მიემგზავრები, ვასო? — ვკითხე.

— დღეს, დედაჩემი...

— რას იზამ, მარტო შენს თავზე ხომ არ არის...

— დასაფლავებას ჩავუსწრებ?

— რა ვიცი!

— ვერ ჩავუსწრებ, ხომ გახსოვს მაშინ რამდენი ვიარეთ.

— მაშინ სხვა იყო, ეშელონით მოვდიოდით. ზოგიერთ სადგურში ხანდახან მთელი დღე-ღამეც კი ვიდგმით. ისე დებეშა მაინც გავზავნე, იქნებ ცოტა გადასწონ დასაფლავება.

— გავგზავნი. შენც დაწერე წერილი, დედაშენს მივუტან!

— მაგის თავი გაქვს?

— დაწერე! დაწერე!

აღარ შევეცამათე, დავექვი და ორი წერილი გავამზადე, ერთი დედაჩემისათვის, მეორე — დოდოსათვის. მეორე წერილის გამხელა მომერიდა, მაგრამ თვითონ ვასომ შემახსენა:

— იქნებ დოდოც მოვიდეს დაკრძალვაზე, არაფერი ვუთხრა?

— მომიკითხე!

— წერილი?

— დაწერე, მაგრამ...

— მომეცი!

მე და ალიოშამ ვასოს ათ-ათი თუმანი მივეცი. თავი კინალამ მოკლა, არასგზით არ უნდოდა ალება, მაგრამ არ მოვეშვით, სადგურზეც გავაცილეთ.

...ვასო რომ დაბრუნდა, მე უკვე ოცეულის მეთაურის მოვალეობას ვასრულებდი. 16 ივნისს ჩამოვიდა. იმ დღეს უსაშველოდ ცხელოდა, ოცეული ნაძვნარში მყავდა გაყვანილი, იქ ვამეცადინებდი. ვასო მოვიდა, რალაც შეხვეული ძირს დადო, ფეხი-ფეხს მიართყა. ხელი აიღო და მომასხენა:

— წითელარმიელი თორაძე შვებულებიდან დაებრუნდი!

უცებ ყველაფერი დამივიწყდა. მეთაურობაც და მეცადინეობაც. ვასოს მივევარდი და გადავეხვიე. ალიოშა იმ დროს ქვემეხთან იდგა. უნებართვოდ ქვემეხის მიტოვებას ვერ ბედავდა. დავუძახე, ორი ნაბტომით ვასოსთან გაჩნდა. მასავით ზორბა მეგობარი ჯერ მკლავებში მოიმწყვდია, მერე ასწია და ხელი გაუშვა.

უმცროს მეთაურს ოცეულის ყაზარმაში წაყვანა ვუბრძანე. მე, ალიოშა და ვასო კი ნაძვის ძირას დავსხედით. ვასოს დაწერილებით მოვაცოლინეთ მგზავრობისა და დედის დაკრძალვის ამბავი. საუბრით გული რომ ვიჭერეთ, მერე ვასომ ფუთა გახსნა. მოხარული ქათამი, ბაღრიჯანის საცივი და ხილი პირდაპირ ბალახზე დააწყო, ამას ორი ბოთლი ხვანჭკარაც მოაყოლა. ჰიჭა დავიწყებოდა, ადგა, ყაზარმაში მივირბენ და მოვიტანო-თქვა. მაგრამ ჩვენ არ დავანებეთ, ღვინოს მორიგეობით. პირდაპირ ბოთლით ესვამდით.

ვასო გამხდარი მეჩვენა. დედამისის შესანდობარი რომ დავლიეთ, ამოიოხრა და ჯიბიდან ორი წერილი ამოიღო. ერთი დედაჩემისაგან იყო, მეორე— დოლოსაგან. ჯერ დედის წერილი წავიკითხე. ისეთს არაფერს მწერდა, მაგრამ ცრემლი მაინც მომერია. თვალწინ დამიდგა ჩემი სუსტი, კაფანდარა დედა ჩემი სახლი, ეზო და ბოსტანი. დედა-

ჩემსაც რომ რაიმე მოუვიდეს რა/მემ-ველება-მეთქი, გავიფიქრე.

დოდოს წერილი ერთხანს სხელში გატრიალე, ალიოშა ჩუმ-ჩუმად იცინოდა. გაგხსენი და სურათი ამოვიღე. ერთბაშად გაჭკრა დარდი და ნალველი.

სურათიდან ჩემი ლამაზი დოდო, ჩემი პირველი სიყვარული მიდიმოდა.

სურათი ალიოშას მივაწოდე, მე წერილის კითხვა დავიწყე.

...შაბათს საღამოს კინოში შევედი. უმცროსი მეთაურის ფორმაში გამოწყობილი ქალიშვილის გვერდით მოვხვდი, სანამ სინათლე ჩაქრებოდა, ქალიშვილი გულდასმით შევათვალეირე. ლამაზი გოგო იყო. პილოტურა ისე კოსტად მოგდო კეფაზე. თვით ალიოშა ტარანეკოსაც კი შემურდებოდა.

ალიოშა ყველასაგან გამოირჩეოდა სიკოსტავით. ლამაზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა, მისი ჩექმები მუდამ პრიალებდა, ყოველთვის გაქათათებული საყელო ეკეთა და პილოტურაც დარდიმანდულად. ზედ წარბებზე ჰქონდა ჩამოწეული. ეს მას ძალიან უხდებოდა.

ქალიშვილმა ერთი ორჯერ ისე გადმომხედა, როგორც მეთაური გადახედავს რიგითს, ცხვირი ააბზუა და პირი იბრუნა, რაღა ამ წითელარმიელის გვერდით მოვხვდიო, აშკარად ამბობდნენ მისი ღიდრონი, თაფლისფერი თვალები. რა იყოღა მან, თუ მე მეთაურობას სულ რაღაც ხუთიოდე წუთი მაკლდა.

— გამჩნევთ ჩემს გვერდით ყოფნა არ გსიამოვნებთ, მიბრძანეთ, და გადავჯდები! — ვუთხარი ქალიშვილს ხმადაბლა.

— სულერთია!

— აბა, ჭატომ მიბღვერით?

— ბევრს ნუ ლაპარაკობ!

— კიდევ კარგი, რომ თქვენი ხელქვეითი არა ვარ. თქვენ ისეთი მკაცრი იქნებით, მტრისას...

— როგორც წესია.

— იქნებ სახელი მაინც მოთხრათ.

ახლა მართლა შემომიბღვირა და უცებ გვერდზე გაიხედა. გამეცინა, მერე რატომღაც დოდო გამახსენდა, გულისჯი-

ბიდან სურათი ამოვიღე და დავაცქერდი.

„მაპატიე, ჩემო გოგონი, რა ვქნა, ჭერ ისევ თითქმის ჭარისკაცია ვარ. ისე გაივლის თვე, ქალის ლანდს ვერ მოვკრავ თვალს და... მაპატიე, ნუ გეშინია, შენ არავისზე არ გავცვლი. არც ამ გოგონაზე. ისე ლამაზი კია ეს სასიკვდილე, ლამაზი კი არა და, ძალიან ლამაზიც კი ეთქმის, მაგრამ შენ მაინც სულ სხვა ხარ, სულ სხვა“. სურათი ჭიბეში ჩავიდე და ქალიშვილს გავხედე. იღიმებოდა, ნუთუ სურათი დაინახა.

— რატომ იცინით? — ვკითხე.

— საცოლეს სურათია?

— არა. — არც კი შევყოყმანებულვარ, ისე ვუბასუხე.

— მაჩვენეთ და ამოვიცნობ.

— კი, ბატონო, ინებეთ, დასამალავი რა მაქვს — ერთხანს ვაფათურე ხელი ჭიბეში, დროს ვიგებდი, იქნებ ამისობაში სინათლე ჩაქრეს-მეთქი, ვფიქრობდი. ისემც ყველაფერი აგიხდინოთ ღმერთმა, მართლა არ ჩაბნელდა!

ქალიშვილმა გადაიკისკისა.

— იღბალი გქონიათ. — თქვა.

— იღბლიანი კი ვარ, — მივუგე სწრაფად. — ამას დღევანდელი საღამოც ადასტურებს. ბილეთი მოგვიანებით ავიღე, მაგრამ ბედმა მაინც თქვენისთანა ანგელოზის გვერდით მომიჩინა ადგილი, რა გქვიათ?

— ფილმს უცქირეთ!

ეკრანს გავხედე. სურათმა მართლა გამიტაცა და ერთხანს ქალიშვილი არც კი გამხსენებია, მაგრამ როცა ქერათმიანი ლეიტენანტი წითელ კაბაში გამოკვალულ გოგონას ჩაეხვია, ისევ გავაპარე თვალი ჩემი მეზობლისკენ, თან ნაღვლიანად ჩაეილაპარაკე:

— ნეტავი თქვენ.

— რა, გშურთ?

— მინდა იმ ლეიტენანტის ადგილას ვიყო.

— ჭერ აღრეა.

ჭერ აღრეაო, მივხვდი რასაც გულისხმობდა უმცროსი მეთაური. ჭერ ჩემს

წოდებამდეც არ მოგიღწევიაო, ეს გაიფიქრა.

— წოდებით მისი ტოლს ვარ უნაჩ, მაგრამ...

— ლეიტენანტი? — გაიკვირვა.

— დიახ!

— გადაცმული?

— მართალს ვამბობ, საყვარელო, მართალს, აქედან რომ გაეღო, მაშინვე დაგიმტკიცებთ. — ჩაეჩურჩულე ყურში და თან ხელი ხელზე მოვუჭირე. ცივად გამაშვებინა. მერე ფილმის დასასრულამდე არც ერთს არაფერი არ გვითქვამს.

თეატრიდან ერთად გამოვედით. ქალიშვილს გაცილება შეეთავაზე, მას უარი არ უთქვამს და მეც გაეყვი.

მივდიოდით, ნელა მიეყვებოდით ქუჩას, მე განგებ ვითრევედი ფეხს, მინდოდა რაც შეიძლება გაგრძელებულიყო გზა. ელაპარაკობდი გაუჩერებლივ ფილმს ვაქებდი, მსახიობთა თამაშს ვიწონებდი, ერთი სიტყვით, თავი ხელოვნების დიდ მკოდნედ მომქონდა. იგი არ შეკამათებოდა, ხანდახან თითო-ორილა სიტყვას შემაწევდა. ეტყობოდა ფილმით კმაყოფილი იყო.

— ახლა სახელიც მითხარით, თორემ როგორღა დავიხსოვო ეს მშვენიერი საღამო? — ეთხოვე ცოტა უფრო გაბედულად.

— ფილმი ხომ ნახეთ?

— მერე?

— ჰოდა იმ გოგონას სახელი გაიხსენეთ?

— ტანია.

— ტატიანა. — გამისწორა.

— მაპატიეთ, ტატიანა, ბარემ გვარიც მითხარით და უკვე ახლო ნაცნობები ვიქნებით.

— თქვენ თვითონ რა გქვიათ?

მე ჩემი სახელი და გვარი ვუთხარი.

— ქართველი ხართ?

— ქართველი ვარ.

— არ გამიკვირდა!

— რა გაგიკვირდათ, ტატიანა?

— სურათს რომ დასცქეროდით, რაღაცას თქვენებურად ჩურჩულებდით,

მაშინვე მივხვდი, რომ რუსი არ იყავით.

— განა ისე არ მეტყობა?

— ისე? — გაიცინა, შემათვალისწინებლად — ისე არა.

— ახლა გთხოვთ ხელი გამომიწოდოთ, ამხანაგო ტატიანა.

მისი პატარა თითები ჩემს ხელში მოვიქციე და მივუღალერსე.

— ტატიანა სვეტლოვა.

— ყველაფერად შემკული ბრძანდებით, სახელით, გვართ, სილამაზით...

გაიცინა და მკლავში ხელი გამომდო. ერთხანს უხმოდ ვიარეთ.

— მითხარით, ვის სურათს დასცქეროდით ასე დაეინებით, ან რას ეჩურჩულებოდით?

— მეორედ რომ შევხვდებით ერთმანეთს, მაშინ სურათსაც გაჩვენებთ და სიმართლესაც გეტყვით. ხომ შევხვდებით?

— მე უკვე მოვედი, — მითხრა მან.

— ასე მალე?

— მალეა? საათია მოვდივართ...

— ნახვამდის ტატიანა. ეს იღბლიანი საღამო მე არასოდეს არ დამავიწყდება. ოღონდ სიკეთე ჰქენით და ზვალაც შემხვდით.

— ზვალ? — ცოტახანს იფიქრა, — ზვალ შეიძლება.

— საღ?

— ისევ იმ კინო-თეატრში, იმავე სენსზე.

— მადლობთ, ტანია. მე არც ისე ურიგო ბიჭი ვარ, როგორც თქვენ თავიდან გეგონათ, ა, ნახათ.

ორივეს გაგვეცინა.

იმ ღამეს დოდო მესიზმრა. მაღალ მთაზე აედოდი. იგი წინ მიმიძლოდა, ხტუნვა-ხტუნვით მიკუნტრუშობდა, თან კისკისებდა. მე მივდევდი, ვცდილობდი დავწვოდი, შემეჩერებინა, მაგრამ სანამ სულ მაღლა არ ავიდა, ჩემკენ არც კი მოუხედავს. მთის წვერზე შედგა, მკლავები გაშალა, გრძნეული ქალივით გადაიკისკისა, თითქოს გაფრენას აპირებო, ფეხის წვერებზეც აიწია. მთის გადაღმა უფსკრული იყო და შემეშინდა. შევუძახე, არ გაინძრე-მეთქი, მაგ-

რამ ჩემი ყვირილი და შეშფოთება აინუნშიაც არ ჩაუგდია. უჩვეულოდ, მინდოდა ხელი მეტანსაშენად მიმეჭრა, მაგრამ სწორედ იმ წამს დაიგრგვინა, გაიღვა და მეზი გაეარდა. საშინელი გრიგალი ამოვარდა. გრიგალმა დოდო ჯერ აიტაცა, ერთხანს პაერში აფრიალა და მერე უფსკრულისკენ გააქანა. გული შემიღონდა, გრიგალის ღრიალთან ერთად დოდოს კისკისი კარგა ხანს მესმოდა, მერე წუთით ყველაფერი ჩაწყნარდა, აღარც დოდო ჩანდა, აღარც მთა და აღარც უფსკრული.

მალე ისევ დაიგრუხუნა, ისევ გაიღვა და ერთი მეორის მიყოლებით ბარე ათჯერ გაეარდა მეზი...

ვილაცამ ხელი წამკრა, მერე დამქანა. ფეხზე წამოვდექი. მთელი ყაზარმა უჩვეულოდ ზანზარებდა. ოთახებში და დერეფნებში მეთაურები და ჯარისკაცები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. მეთაურები გზადაგზა იხურავდნენ ქუდებს, ისწორებდნენ ქაბრებს და მოკლე-მოკლე ბრძანებებს იძლეოდნენ.

ისევ გაიღვა, ისევ გაეარდა მეზი და ჩემი სიზმარი უცებ ცხადად იქცა.

ვანგაში. ვანგაში! — ეს სიტყვები ისმოდა ყველგან. ჯარისკაცები ეზოში ჩაბოდნენ.

მეც საბოლოოდ მოვეგე გონს და დავცადურდი, ვცდილობდი რაც შეიძლება სწრაფად ჩამეცვა, ჩემს ოცუელთან მიმერბინა, მაგრამ შარვლის ტოტში ფეხი ვერასგზით ვერ გავატიე, მერე ერთხანს ფეხსახვევები ვეძიე...

თენღებოდა. ყაზარმას გრიალ-გრიალი გაუდიოდა. გეგონებოდათ ვილაცამ ცეცხლი წაუკიდა და სახურავზე მებანძრეები დაარბიანო.

ეზოში რომ ჩავედი, ჩემი ოცუელი უკვე ქვემეხებთან იღგა სრულ წესრიგში. ცაში სვასტიკიანი თვითმფრინავები დაბლაოდნენ, ქალაქს ბომბებს აყრიდნენ, ხალხს ტყვიას უშენდნენ. ჯერ კიდევ არავინ იცოდა რა მოხდა და ერთმანეთს შიშით შევცქეროდით.

პოლკი დაიძრა.

წესი არ არის მწყობრში იღგე და

თვალეში აქეთ-იქეთ აცეცო, მაგრამ ახლა წესი და კანონი არავის ახსოვდა. თვალმდამკვეთილები მივჩერებოდით ზეგას, საიდანაც თავზე სიკვდილი გვეფრქვეოდა.

ჩვენს ყაზარმას მთელი ესკადრილია უშენდა ბომბებს და მალე მისიგან მხოლოდ ნანგრევები დარჩა.

მივხვდით, სახუმროდ არ იყო ჩვენი საქმე. ამის დასტურად წინა რიგებიდან გადმოსცეს: ომი, ომი დაიწყო ფაშისტურმა გერმანიამ!

პოლკი ტყისკენ მიიწვედა. ოცეულეები და ბატარეები ერთმანეთში აირივნენ და მაინც ამ დაბნეულობის დროს ერთი საოცარი ამბავი მოხდა.

თითქოს უბრძანესო, მთელი პოლკი ერთბაშად გაწვა მიწაზე გულადმა. გაისმა ბათქი. შაშხანების ტყვიები ახალეს თვითმფრინავებს. შაშხანით აბარას დააკლებდი ჯავშანში გახვეულ ბომბდამშენებს, მაგრამ მაინც აზარტულად ისროდნენ, ერთბაშად, ზაღვით.

ტყეში დანაყოფებად განვლავდით. მალე პოლკის კომისარმა ჩამოიარა და გვაუწყა. ფაშისტები თავს დაგვესხნენო. არცერთ ჩვენთაგანს ხმა არ ამოუღია, არცერთს კომისარისათვის კითხვა არ მიუცია. ან რა უნდა გვეკითხა, ყველაფერი ისედაც თვალნათლივ ჩანდა.

ისევ დავიძარით, ახლა უფრო წესრიგაანად მივდივართ. პოლკს წინ მხვერავები მიუძღვიან, ისინი პირველნი ამჩნევენ მტრის თვითმფრინავებს და გვაფრთხილებენ. ყოველ დამახილზე პოლკი, როგორც ერთი კაცი, მიწაზე წვიბა.

არც კი ვიცით საით მივდივართ, მე და ჩემისთანები მხოლოდ უფროსების ბრძანებას ვასრულებთ. საღამომდე თითქმის შეუსვენებლივ ვიარეთ. საბრძოლო ტოპოგრაფიული რუკა თან მქონდა, მაგრამ ზედ ერთხელაც არ დამიხნდავს. ოცეული ბატარეას მიჰყვებოდა. იმდღეს არცერთ ჩვენს ქვემეხებს არ გაუსროლია.

დილით პირველი შეტაკება მოხდა.

შეგვინშნეს, ჯერ თვითმფრინავები დაგვასხეს თავს, მერე ტანკები. ამ შეხვედრას, ასე თუ ისე, და ცეცხლს ცეცხლითვე ვუპასუხეთ. ქვემეხებმაც ამოიღეს ხმა, ჯარისკაცებიც გულადად დახვდნენ მტრის შემოტევას.

მხოლოდ ერთ საათს გასტანა ბრძოლა. მტერი გაგვშორდა და მოშორებით ტყის პირას გამაგრდა. ბრძოლის ველზე კი მათი ორი დამწვარი ტანკი დარჩა.

აყირავებულ ტანკებს რომ ჩავუარეთ, მინდოდა ახლო მივსულიყავი და შიგ ჩამეხედა, მაგრამ ამას ალბათ სულწასულობად ჩამომართმევდნენ და თავი შევიკავე.

მეორედ თავს მთელი ესკადრილია დაგვაცხრა. პურის ყანაში გაეწეკით ქვემეხები კი გზაზე დაეტოვეთ. უცნობი წითელარმიელის გვერდით მოვხვდი, ვხედავდი როგორ ფხოვნიდა მიწას, თითქოს მიწაში ჩაძვრომას ლამობდა, მეგონა დაჭრილი იყო. მე თავის წამოწყვის საშუალებაც კი არ მქონდა. თვითმფრინავებმა ჯერ ბომბები დაგვაცხარეს, მერე შემობრუნდნენ, მწყობრად დაეშვნენ ყანაზე და ტყვიები დაგვიშინეს. პურში თავჩამხობილის ზურგი მეწყოდა, მეგონა ყოველი ტყვია მე მხედებოდა და იმ წითელარმიელისა არ იყოს, მეც რაღაც გაუგებარს ვყვიროდი, თუ ვბლაოდი.

თვითმფრინავების გუგუნი მიწყდა. თავი მიბრუსის, განძრევა მიჭირს, თუ მეშინია, მაგრამ სანამდე უნდა ვეგდო ასე. თვითმფრინავების ზუზუნ-გრილის შემდეგ უცებ საოცრად საშიში სიჩუმე გამეფდა. შევინძერი, ნელა, ძალიან ნელა გადავბრუნდი და პირველად ქვემეხის ლულა დავინახე, მერე ლურჯი, ლამაზი ცა.

მაშ გადავჩი, ცოცხალი ვარ. ამჯერად ბედმა არ მიმუხთლა, მაგრამ სხვები, რატომ არავინ არ სწევს თავს მალა? რატომ არავინ არ გვეძახის?

ნუთუ მთელი პოლკი გაწყდა. ეს წითელარმიელიც რომ არ იძვრის. — ბი-

ქებო. — დავიყვირე ჩემდაუნებურად. ბიკოს! ჯერ ერთი წამოდგა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე...

მალე წითელარმიელთა მთელი ჯგუფი დადგა ფეხზე.

თურმე არც ისე წვიმს, როგორც ქუხს.

დანაჯარგი მაინც საგრძნობი იყო. მკვდრები იქვე დავმარბხეთ, დაქრილებსაც მივხედეთ.

მომდევნო დღეებშიც ბევრჯერ შევხვდით მტერს. უკან ვიხევედით, ბრძოლით ვტოვებდით სოფლებსა და ქალაქებს, წვალებით და წამებით მივეშურებოდით მინსკისკენ. სიკვდილის შიში სადღაც გაქრა, დაგვეტოვა. ახლა აღარც მტრის ტანკებს ვუფრთხობდით და არც თვითმფრინავების გამოჩენისას გავრბოდით უთავბოლოდ.

თვითმფრინავები კი განუწყვეტლივ მოფრინავდნენ და მოფრინავდნენ. ერთ-ერთი შეტაკებისას ისე იმარჯვეს ბიჭებმა, ისე შეუტოეს, რომ ფაშისტები გააქციეს კიდეც.

მტერმა პირი იბრუნაო!...

ერთხელ იგრიალა ვაშამ. წითელარმიელებმა ქვემეხები მიატოვეს. შაშხანები შემართეს და ფაშისტებს გამოუდგნენ. პოლკის მეთაურის ბრძანება რომ არა, ვინ იცის სადამდე გასტანდა ეს დევნა.

გულდასმით ვუკვირდები საკუთარ თავს, მებრძოლებს და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ შეიძლება ბრძოლა, მტრის შეჩერება, ტანკების დაწვა, თვითმფრინავის ჩამოგდება... მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო რწმენა, არა, რწმენამდე ბევრი გვაკლდა.

ასე ვიხევედით უკან.

ჩვენი ბატარეა სულ ბოლოში მირიხინებდა, პოლკის ზურგის დაცვა ჰქონდა დაეალებულა.

მეტწილად ლამამობით ვმოძრაობდით, დღე ტყვეს ვაფარებდით თავს.

იმ საღამოს პოლკის მეთაურმა ტყვიდან ადრე გასვლა გადაწყვიტა.

ბრძანება რომ მივიღეთ, იმ დროს ჩემი ოცეული ყარაულად იღვა დაუ-

ყოვნებლივ უნდა გავდგომოდით გზას, ასეც მოვიქცით, მაგრამ ნეტუობა... ცოტა დავიგვიანეთ. სამაშხანამდე მოგვიტოეს და ორი ოცეული პოლკს მოწყვეტილი აღმოვჩნდით. გამანათებელი ტყვიები ციკინათელუბივით დაფრინავდნენ ირგვლივ, ხის ტოტებს ტაკ-ტაკ-ცი გაუღდის. უკვე აშკარად გვესმის გერმანელთა ღრინაცილი, წინ მოიწვევენ. მეორე ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა ანტონ სუხოდოლსკიმ მომძებნა და სხვა უბედურებასთან ერთად ბატარეის მეთაურის დაღუპვა მაცნობა. მოვითათბირეთ და გადაეწყვიტეთ პოლკს მიეყოლოდით. რატომღაც გვეგონა, რომ მტერს თავს დავალწევდით, სამშვიდობოს გადავიდოდით და ძირითად ნაწილს შევეუერთდებოდით.

დაღამდა თუ არა, წინ მტრის მეავტომატეებს შევეფეთეთ. გაუწეით და გავხობდით. მივფრთხავთ, თან ქვემეხებს მივათრევთ. სჯობდა ქვემეხები იქვე დაგვეტოვებინა, უფრო ადვილად დაეუსხლებოდით ფაშისტებს, მაგრამ ჯერ კიდევ გვექონდა იმედის ნასახი და იარაღს ვუფრთხილდებოდით.

მტერი კვალდაკვალ მოგვედევდა. ყოველი მხრიდან გვიშენდა ტყვიას და წამოდგომის საშუალებას არ გვაძლევდა.

ღამე გვევლოდა და მსხვერპლი მცირე იყო.

ტყვიების ზუღისაღ შეეჩვია ყური, უკვე გამუდმებით აღარ ისროდნენ. დროგამოშვებით დაგვეხებდნენ და ჩაყურდებოდნენ... ჩვენც ერთი ასეთი წუთით ვისარგებლეთ და ფეხზე დავდექით.

უკვბ ჩემს უკან მდგომმა წითელარმიელმა შაშხანა აისროლა, ხელები გაასავსავა და დაეცა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მტერი ზურგიდანაც გვიშენდა. ალყა თანდათან ვიწროვდებოდა.

მაშ ასე, ალყაში ვართ, არც წინ წასვლა შეგვიძლია, არც უკან დახევა. დღამდე შიში უნდა გვექონდეს. დილით მოგვესევინა და... რა ვიღონო? როგორ მოვიქცე? ნეტავი ანტონი რაღას ფიქრობს? სუხოდოლსკი მოძებნე, ოცე-

უღებში ერთად შევეყარეთ. ვასო და ალი-
ოშაც დავინახე.

სროლა შეწყდა. ანტონმა ოცეულებს
მიმართა.

— რკალი უნდა გავარღვიოთო, ბი-
ჭებო, როგორმე დილაშდენ უნდა გავი-
დეთ!

— ვაკვიძებო, გამოგვიყვანეთ. —
დაიძახა ვილაკამ.

— როგორ გავიდეთ? — აპყვა მეორე.

— ბრძოლით, ხიშტით. რა ვიცი რო-
გორ გავიდეთ, უნდა გავიდეთ! ეს სი-
ტყვა გინდათ ბრძანებდა მიიღეთ, გინ-
დათ შეგობრულ რჩევად — მშვიდად
ვთქვი მე.

— მხალეებს დავხერტეთ. — ცოტა
ხმა აუწია ანტონმა.

— ქვეშეხები როგორღა ვათრიოთ? —

— იკითხა ვილაკამ.

— უნდა ვათრიოთ, უნდა გავიტანოთ.

— ვუპასუხე უცებ.

— იქნებ დავმარხოთ, ადგილი მივი-
ნიშნოთ და მიწაში ჩავფლათ, ქვეშეხების
თრევა გავვიკვირდება. — არ მომეშვა
ისევ ვილაკა.

— თორაძე, ტარანენკო: ქვეშეხებს
თქვენ გამოიტანთ!

— არის, — გამეპასუხა ვასო.

— აბა, წავიდეთ, ძმებო. — თქვა ან-
ტონმა, — ცოტა ავჩქარდი, მაგრამ უნ-
და გამოვოთ. ცუდ დღეში ვართ. თავა-
დაც ხედავთ, გრძნობთ, რომ ყოველი
წუთი სიკვდილია, ან ტყვეობა, ჩვენთვის
ორივე ერთია. დავიძრათ!

... იქნებ ჩვენს პატარა ჯგუფს თავი
ანებებს და პოლკს დაუდევნენ გერმანე-
ლები, იქნებ ღამემ გვიშველა და ვერ
შეგვნიშნეს, იქნებ საერთოდ არ შეიწუ-
ხეს თავი. ასე თუ ისე, ალყას გავცდით
და გამთენიისას მდინარეს მივადექით.

მშვიდად მიგორავენ ლურჯი ტალღე-
ბი. ისეთი დილაა, ისეთი სიწყნარია,
თითქოს ამ არემარეში ტყვია არასოდეს
გაესროლოთ. შორს, მდინარის გაღმა,
ტყის ახლო სოფელი იწვის...

ტყის პირს მივეყებოთ. ახლა წამდა-
უწუმ დავეცქერით რუქას. მინსკისკენ
მივდივართ, იქამდე ათიოდეათი
რია.

ანტონი გვარწმუნებს, მინსკში ჩვენს
პოლკს თუ არა, წითელი არმიის სხვა
რომელიმე ნაწილს მაინც შევეუერთდე-
ბით. ღმერთმა ქნას.

ბელორუსიის დედაქალაქს სამი კი-
ლომეტრით რომ დაუახლოვდით. ორი
მზვერავი გავგზავნეთ წინასწარ. მზვე-
რაუბმა სამწუხარო ამბავი მოკვიტანეს.
ფაშისტებს მინსკი სამი დღის წინათ და-
ეკავებინათ. ყველაფერი დაენგროაო და
დაეწვათ.

ქალაქში ხანძარი მძვინვარებს. ხალხს
ხერტენ და აწიოცებენო.

ტყეში ღრმად შევედით და მცირე
ხანს შევისვენეთ. ყველა დუმს, თითქოს
კრიჭა შევერიათო, არცერთი ხმის ამო-
ლებას არ აპირებს. წითელარმიელები
ჩვენ შემოგვეცქერიან, ჩუმჩუმად გვი-
თვალთვალავენ, ეს გასაგებიც არის: მათ
ჩემი და ანტონის იმედი აქვთ, ჩვენ უნ-
და გავიყვანოთ ოცეულები სამშვიდო-
ბოს, ან მთავარ ნაწილებს შევეუერთოთ,
ვუპატრონოთ. ანტონს გავხედე, ცხვირი
ჩამოუშვია. წარბები შეუჭმუხნავს და
სულ ჩემკენ იცქირება. ვაი თუ ესეც
ჩემი გამკრიახობითა და უნარით აპი-
რებს გამოსავლის პოვნას!

მე ხის ძირას ვდგავარ თავჩაჩინდრე-
ლი და ვფიქრობ. ხანდახან თავს ავწივ-
ბიჭებს თვალს მოვავლებ, ნაძალადევი
ვილიძეები, მაგრამ თავს ვიტყუებ, ამას
ყველა გრძნობს, ეს აშკარაა.

ავდექი, ვასოსა და ალიოშას ვუხმე.
მერე ანტონს ვუთხარი, მალე ლაგერუნ-
დები-მთქი და გზატყვილისკენ გავ-
წიე. ტყის პირას შევჩერდით, ბუჩქებ-
ში ჩავცუცქდით და მოსკოვ-მინსკის
გზატყვილს გავხედეთ.

გერმანელთა ნაწილები შეუჩერებ-
ლივ მიიწივეენ აღმოსავლეთისკენ.

უკანვე მივბრუნდით. მე ანტონს მო-
ვეითაბიძრე. ბიჭები წამოგაყენე და მა-
ინც მინსკის მიმართულებით გავუძებოთ.

გადაწყვეტილი გვექონდა გვევლო აღმოსავლეთისაკენ. მანამ, სანამ წითელი არმიის რომელიმე ნაწილს არ დავეწიოდით. მინსკი გვერდზე მოვიტოვეთ და ბორისოვოსკენ გავეწიეთ. ამასობაში დავვიღამა კიდეც. ოცეულები ტყეში გაწვალაგეთ. ბიჭებმა უკანასკნელი ლუკმა ერთმანეთს გაუნაწილეს და დაწვინენ.

მე და ანტონი დიდხანს დავალაჯებდით მათ გარშემო. ჩვენს სავალალო მდგომარეობას ვწონიდი. ვმსჯელობდით კიდეც, მაგრამ მინც ერთი გზა დაგვჩვენოდა: გვევლო აღმოსავლეთისაკენ!

ერთმანეთის გვერდით დავწეკით. მე მალე ჩამეძინა. ნაშუალამევს ანტონის მუჯლუგუნებმა გამომაღვიძა.

— რა მოხდა, ანტონ? — გონზე ძლივს მოვედი.

— მიყურე, ჩვენი თვითმფრინავის ხმაა. — ანტონი სიხარულისგან ცმუტავდა. მხარზე ხელს მიპარტყუნებდა, თითქოს მე შემეძლო თვითმფრინავისათვის დამეძახა და ტყეში დამესვა.

მართლა ჩვენი თვითმფრინავი იყო. ამაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლებოდა. ბიჭებიც ფეხზე იდგნენ და ცისკენ იტყობოდნენ.

— ჩვენია, ჩვენია. — ატყდა ჩურჩული. მერე უფრო გათამამდნენ და ხმასაც აუწიეს.

თვითმფრინავმა ორჯერ შემოუფრინა ტყეს და მალე მისი ხმაც მიწყდა.

დილით ალიოშამ ტყეში მიმობნეული მოწოდების ფურცლები იპოვნა და ჩემთან მოარბენინა.

სულმოუთქმელად წავიკითხე და ანტონს გავუწოდე.

— ხმაძალა წაგვიკითხე, ანტონ იგნატჩი, ყველამ გაიგონოს — სუხოლოლსკიმ ფურცელი ჩამომართვა და დინჯად დაიწყო კითხვა.

„დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფ მებრძოლებს. მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს.“

ჩვენი ქვეყნის სიღრმეში გერმანელ ფაშისტთა არმი-

ის წინსვლა შეჩერებულია, როგორც საკუთმხრეებზე ისე ვერ იხილები. ვერც მოსკოვს, ვერც ლენინგრადს, ვერც კიევს. ამხანაგო ჯარისკაცებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო, დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმენით პარტიზანული რაზმები, მოშალეთ და ანადგურეთ მტრის კომუნიკაცია, ააფეთქეთ ხიდები, საწყობები, ზურგშიურტყით ავაზაკებს. დაე, მშობლიური ბელორუსიის მიწაც კი იწვოდეს ფაშისტთა ფეხქვეშ, სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

წითელი არმიის პოლიტსამმართველო“.

ანტონმა მე შემომხედა, მე თვალი ჩავუკარი და ბიჭებს იმედიანად გავუღიმე.

ჯარისკაცები გამოცოცხლდნენ, მათ თვალბში სიხარულის ნაპერწკალი აკიფდა.

ანტონმაც გახსნა წარბები. ახლა მან, რაღაც უნდა თქვას, რაღაც უნდა მოიმოქმედოს. ამ წუთების ხელიდან გაშვება არ შეიძლება. სუხოლოლსკი ისე საწყლად მიყურებს, მივხვდი, ახლა სიტყვის მოქმელი არ არის. მაშ გადაწყდა, ის პირველი სიტყვა მე უნდა ვთქვა, უნდა დამაჯერებლად, შთაგონებით, იმედიანად...

უნდა ვთქვა, რა ადვილი საფიქრალია. მაგრამ ხმის ამოღება არ გინდა? ვდუმვარ. ვეძებ იმ სიტყვას, აზრს, რომელმაც შეიძლება ხვალინდელი ჩვენი ცხოვრებისა და ბრძოლის გზები დასახოს. ცოტა დრო რომ მქონოდა, შორიდან დავიწყებდი, მოვიგონებდი კუტუზოვის ბრძოლებს. დენის დავიდოვის სიმამაცეს, სხვებსაც. მაგრამ მათი ვახსენება ვერ შეიძელი. ისევ საკუთარ ჭკუასა და მოსაზრებას უნდა მივეწოდო. რაც მთავარია, გაბედულად, უყოყმანოდ უნდა ვილაპარაკო.

— მეგობრებო. — დავიწყე, რაც შე-
მძლო მშვიდად. — გზა ნაპოვნია, ეს
გზა რთულია და იქნებ საბედისწეროც,
მაგრამ ვაჟაკური, გმირული გზაა. ყვე-
ლაფერი ჩვენზე, თვითული ჩვენთაგა-
ნის სიმტკიცეზე, გაბედულებასა და სინ-
დისზეა დამოკიდებული. ხომ მოისმინ-
ეთ მოწოდება. პოლიტსამმართველომ
იცის, რომ ჩვენ და ალბათ სხვა ჩვენის-
თანებიც არიან მტრის ზურგში. მეგობ-
რებო, ამხანაგებო, ჩვენ ერთმანეთს ვი-
ცნობთ. ხვალ, ზეგ უფრო უკეთ გავიცი-
ნობთ. ჩვენ ძმები, ნამდვილი ძმადნაფი-
ციები გავხდებით. ეს მიწა, ეს ტყე ჩვე-
ნია, რატომ უნდა ვაფარფაშოთ დაუსა-
ჯელად დამპყრობნი? შევქმნათ პარტი-
ზანული რაზმი!

— ვინმეს ხომ უნდა შევეკითხოთ.
ხომ უნდა გვიბრძანონ, — მომესმა რო-
მელილაც წითელარმიელის შეკითხვა.

— განა წითელი არმიის პოლიტსამ-
მართველოს მოწოდება ბრძანება არ
არის? მაინცაღამაინც აქ, ბარისოვოს
ტყეებში უნდა გვეახლონ და გვიბრძა-
ნონ იბრძოლებო? იარაღი გვაქვს, უკე-
თესსაც ვიშოვნით, კბილებამდე შევია-
რალდებით და დავცხებთ ფაშისტებს
ზურგში, მივეპაროთ და ვურტყათ!

ბიჭოს! ეს რა დიდებული სიტყვაა წა-
მომცდა, მივეპაროთ და ვურტყათ! მი-
ვეპაროთ, ამ სიტყვას უნდა ჩავეჭიღო.
ეს სიტყვა ახლა განძია.

— დიახ. — განვაგრძე უფრო დარწ-
მუნებით. — უნდა მივეპაროთ, ჩაუღსა-
ფრდეთ და დავცხოთ. ხომ დაინახეთ
თქვენი თვალით, როგორ დაუცველად,
უშიშრად და მოჭრილებლად მიშლივი-
ნებდნენ მოსკოვ-მინსკის გზატკეცილზე
ფაშისტები. ისინი ჯერ ზურგში ტყვიას
არ ელიან. ჩავსაფრდეთ, ტყვია დავაყა-
როთ და გავეცალოთ. ტყე, აქ რომ არის.
ისეთი უნდა! თუ გაგვიკირდება, დავი-
მალდებით.

— ქვემეხები?

— ქვემეხები? — წუთით შევეყო-
მანდი, მინდოდა ანტონისათვის შემეხე-
და, თუმცა წინასწარ ვიცოდი, სუხო-
დოლსკი ახლა არ ჩამერეოდა. ან უარის

ნიშნად თავს გაიქნედა და ისევე მე-
ლე ჩემს თავზე ეს პასუხისმგებლობა
— ქვემეხები შევახვიოთ. ჩვენი
და მიწაში ჩავფლათ. რაზმს მოძრაობაში
ხელს შეუშლის. მერე ვნახოთ, როცა
მოვძლიერდებით, როცა მეგობრებიც
გავვიჩნდებიან, იქნებ ეს ქვემეხებიც
გამოვიყენოთ. სიტყვა დაეამთავრე და
ანტონს გადავხედე. მოწონება და დას-
ტური ამოვიკითხე მის თვალებში, გავ-
მხნევედი და უფრო მსიარულად შეე-
ძახე:

— აბა, ბიჭებო. შევარდნებო, თქვენ
იცოდეთ და თქვენმა ვაჟაკობამ. დღე-
იდან ერთი ყველასათვის, ყველა ერთი-
სათვის. გახსოვდეთ, ძმები ხართ, ნამ-
დვილი ძმები და თქვენს სინდისზე იყოს
ჩვენი რაზმის ბედობა.

ახლა ქვემეხებს მივხედოთ, ბიჭებო,
ორმოები გავთხაროთ. რაც შეიძლება
ღრმად, შიგ ხის ტოტებიც ჩავაფინოთ.

ბიჭები უკებ გამხარულდნენ, ორ
მებრძოლს პატარა ნიჩბები აღმოაჩნდათ
მე და ანტონმა ქვემეხების დასამალავი
აღვილი მოვნიშნეთ. პირველად ბარი
ვასომ დაპკრა.

ეს ადგილი ცალკე ანტონმა აღნიშნა
რუკაზე და ცალკე მე. ვინ იცის, ვის რა
მოგველის ხვალ!

ანტონ სუხოდოლსკი ბელორუსია.
ვიტებსკის ოლქიდან არის. ეს კი ბევრს
ნიშნავს, რადგან თუ გავვიკირდა ვი-
ტებსკის ოლქიც აქვეა და ანტონი გა-
ვეიძლევდა. თავისიანებში რომ დაიგუ-
ლებს თავს, ალბათ ხალხთანაც მიგვი-
ყვანს, ვლაცას შეგვახვედრებს, დავვა-
ახლოვებს. ეს მოწოდება ყველას გულ-
ზე მოხვდება, საბრძოლველად შეაგუ-
ლიანებს.

ანტონი დინჯი ყმაწვილია, ზომიერე-
ბას სიარულშიც კი ამჟღავნებს. იმ-
სიგრძე ნაბიჯებს ადგამს, გეგონებათ
მიწას ზომავსო. იშვიათად იცინის ლა-
მილი კი უყვარს. როცა გაიღიმებს, ფო-
ლაღის კბილებიც გამოანათებს. ბავ-
შეობაში ყინულზე სრიალის დროს მო-
სვლია მარცხი, დაცემულა და წინა კბი-
ლები ჩალეწია. ნელა ლაპარაკობს, თვი-

თულ სიტყვას მკაფიოდ და რაღაც შთავონებითაც კი წარმოთქვამს. სამეგობროდ უკეთეს ვერც ინატრებ, ცოტა ჩიუტი კია, მაგრამ თუ გავიგო, უმაღლეს მოგვნილობა, თუმცა მეგობრობაზე და თვითებული ჩვენთაგანის ხასიათისა და თვისებებზე ლაპარაკი ჯერ აღრეა...

ის ღამე მე და ანტონმა თეთრად გავათენეთ. ბიჭებს ეძინათ, ჩვენ კი დიდხანს, ძალიან დიდხანს ვჩურჩულდებით, ათასგვარ გეგმებს ვაწყობდით. ანტონმა ფრთხილად შემომამარა, ხვალვე დავიძრათო, გეზი ვიტებსკისკენ ავიღოთო. მე უარი ეთქვი, მან დაიქინა. მაგრამ არ დავეთანხმე. ვიცი რაც აწუხებს, შინისკენ მიუწევს გული, იქ უკეთ იგრძნობს თავს, მაგრამ ჩვენი? ჩვენითვის ჯერჯერობით სულერთი არ არის, სადაც დავცემთ კარავს?

ბევრი მებვეწა და მებვედრა, მაგრამ ვერ დამიყოლია. ბოლოს შევთანხმდით, რამდენიმე დღე აქ დავრჩებოდით, ერთ-მანეთს შევეამოწმებდით, საბრძოლო, პარტიზანულ ნათლობასაც მივიღებდით და მერე ჩვენი ნება არ იყო საითაც ვიზამდით პირს?

დილით, თვალი რომ გავახილვე, ანტონი იქვე იდგა და ჩემს გაღვიძებას ელოდა, გვერდით მომიჯდა და მითხრა:

— ასე დაუცველად ყოფნა საშიშია. გზატკეცილამდე შეიდი-რეა კილომეტრი თუ იქნება და თავი საფრთხეში რატომ ჩავიდგომთ? რა თქმა უნდა-მეთქი, დავეთანხმე და ჩვენი სახელდახელო ბანაკის ირგვლივ გუშაგები დავაყენე.

ალიოშა, ვასო და მიშა ლიზუნოვი დახვეწილად გავგზავნეთ. ჯგუფის უფროსობა ანტონმა ლიზუნოვს დააკისრა. ეს, ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა. მაგრამ საყვედური როგორ დამცდებოდა. მიშა ლიზუნოვი ანტონის ოკოულში ირიცხებოდა, მე მასთან ხეირიანად არც კი მისაუბრია. არც არაფერში ვამომიცილია, უმცროსი მეთაურის ჩინიც ჰქონდა და რა მეთქმოდა.

— მიშა ყოჩაღი ბიჭია, ნამდვილი ციმბირელია. — რადიკალიზირი სიამაყით

მითხრა ანტონმა, როცა ბიჭები თვალს მიეფარნენ. გამეცინა. *მარტინეშვილი*

— რა გაციენებს? — *გაბუციაშვილი*

— რა უგავს ციმბირელს?

ასლა მას გაციენა, ფოლადის კბილები მომანათა და მხარზე ხელი დამკრა.

— მაგას ვნახათ.

მიშა ლიზუნოვი ერთი ხმელ-ხმელი, საშუალო ტანის ბიჭია და მეც იმიტომ შემეპარა ეჭვი მის ციმბირელობაში. რატომღაც ციმბირელები ზორბა-ზორბა ვაქცაყებდნენ მესახებოდნენ. ვასო და ალიოშა დამიდგნენ თვალწინ. თუ სადმე სამართალია, ციმბირელობა სწორედ იმათ ეთქმით.

ჩვენი მხვერავები ორ საათში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ავერ მესამე საათიც მიიწურა და არ ჩანან. ვნერვიულობ. ნაძვიდან-ნაძვამდე დავალიკებ. ვქაჩავ მყრალ მახორკას და ათასგვარი შავი აზრები მიტრიალებს თავში. დმერთმა ნუ ქნას, რომ პირველსავე დავალებზე ბიჭებს რაიმე შეემთხვათ. დმერთმა ნუ ქნას, თორემ რა ხასიათზე დადგებიან სხვები.

ტყეს გერმანულმა თვითმფრინავებმა გადაუფრინეს. ერთხელ, ორჯერ... მეორედ გადაფრინისას აჩურჩულდნენ კიდეც, მაგრამ ფურცლის ალება ვერაფერს გაბედა. დგანან და ჩუმჩუმად პეტუნებენ, თან ცალი თვალი ჩვენკენ აქვთ.

— ვაითუ რომელიმეს სულმა წასძლია. — გამოვთქვი ჩემი შიში.

— მე რომ მკითხო, ავიღებდი იმ ფურცელს და თავად წავუკითხავდი ბიჭებს, — ამჯერად სწრაფად მიპასუხა სუხოლოვსკიმ. — რაც მოსახდენია, ბარემ დღესვე მოხდეს!

— მერე რას უყურებ, აიღე და წაუკითხე. — ვუთხარი.

— მე? — გაოცებით შემომხედა.

— შენ, აბა მე?

— მეთაური შენა ხარ!

— ვინ მოგახსენა? მე ჯერ წოდებაც არ მიპილია, შენ კი აღამყამობის ლეიტენანტი ხარ, — ვცადე თავის დაძვრენა.

— ნუ მეკამათები, ოცულები შენ გაიყვანე ალუიდან, წინ შენ მიგვიძლოდი. გუშინაც ისეთი სიტყვა სკეჭე... ჩვენი პოლიცის კომისარს, ტიაკინსაც კი შეშურდებოდა, რომ მოესმინა. მე-თაური შენა ხარ. მე თუ მიკადრებ, თანაშემწედ დავიდგები.

— თანაშემწედ რატომ? თუ პარტიზანული რაზმი, მას მეთაურიც უნდა პყავდეს და კომისარიც. რაყი მეთაურობა არ ინებე, კომისრობას წინ რაღა უდგას? რას მიყურებ აქ ზემდგომი ორგანოების ბრძანებას ნუ მოელი.

— კომისრობა არ მინდა. — მოიღუშა ანტონი.

— შენ ვინ გკითხავს?
მან ჯერ გაოცებით შემომხედა. მერე ჩაიღიმა და უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ აღარ ვაქალუ.

— ვთხოვთ, ამხანაგო კომისარო, ფურცელი აიღოთ და ფაშისტების მონაჩმანი მებრძოლებს თქვენებურად „უთარგმნოთ“. ეს შეტევა, ეტყობა ანტონს ემოწონა. თვალი ჩამიკრა, დაიხარა და ფურცელი აიღო. მებრძოლები ჩვენს ირგვლივ შეჯგუფდნენ.

— ძალიან გაინტერესებთ? — იკითხა ანტონმა.

ბიჭებს პასუხი არ გაუციათ.

— წაგვიკითხეთ ანტონ, ვავიგოთ რა უნდათ. რას მოითხოვენ, ან რას გვიბირებენ.

ანტონმა ფურცელს დახედა და დაიწყო:

„ჩარისკაცებო, წითელი არმია გაიფანტა, აღარ არსებობს. გერმანელთა უძლეველი არმია მოსკოვს უახლოვდება. სულ მალე დაეცემა ბოლშევიკების დედაქალაქი. გამოცხადდით გერმანელთა ნაწილში. თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით კვებით, შეგინარჩუნებთ სიცოცხლეს და გაგზავნით შინ. ფურცელი აუქმებს კოლმეურნეობებს. აიღეთ მოსავალი და მოიხმარეთ. ეს ფურცელი თქვენი საშვისია.“

— ეგ საყენი სხვებს დაუყარონ. — წინ წამოდგა ერთი მწითლური მებრძო-

ლი. ანტონს ფურცელი ხელიდან გამოსტაცა და ნაყურებად აქცია.

„ამ ბიჭის აღლევა მოსაწყენებელია, რამ ამ თავებლობას ვერ ვაპატიებ“, — ვავიფიქრე.

— რა გვარი ხარ?

— სეისტუნოვი.

— შენი მოქმედება გასაგებია, ამხანაგო სეისტუნოვო, მაგრამ ჯერ ნებართვა უნდა აგელო და ფურცელი მერე დავებია. ამჯერად გაფრთხილებ! სეისტუნოვი შებრუნდა და სულ ბოლოს დადგა.

— რომელ ოჯახს დაევბრუნდით, რომელი ქალაქი და სოფელი დარჩათ დაუნგრეველ-დაუწვავი? — ამოიღრინა მალალმა, სანდომიანმა მებრძოლმა და ქრელი თვალებით გამხვრიტა.

მე მოწონების ნიშნად თავი დავექნიე.

— შევაგროვოთ და დავეწვათ. — განაგრძო მანვე.

ერთბაშად შემოიყვარდა ეს აწოწილი ბიჭი. ამას ცალკე უნდა ვესაუბრო.

— დავეწვათ. — მშვიდად ვთქვი და ფურცლების ასაღებად დაეხარე. სულ რაღაც ნახევარ საათში თითქმის ყველა ფურცელი შევაგროვეთ. ის მალალი მებრძოლი ხეზეც კი აძვრა და იქ დარჩენილი ფურცელი ჩამოიტანა.

— პირველი პარტიზანული კოცონა მტრის ქალაქით დაინთო!

ხმამალა თქვა ანტონ სუხოლოლსკიმ.

მახორკის შესახვევად მიანიც შეგვენახა. — გაიცინა მებრძოლმა, რომელსაც ჭული დაქაარგოდა და თავი სველი ცხვირსახოცით წაეკრა.

სუხოლოლსკიმ ჩანთა გახსნა, გაზეთი ამოიღო. დახია და ჩამოარიაგა.

მშვერაგები ნადავლით დაბრუნდნენ. გზის პირას პროდუქტებით დატვირთულ, მიტოვებულ მანქანას წაწყდომოდნენ და ზურგჩანთები პირამდე აეცსოთ.

— შორს არის ის მანქანა? — ვკითხე ლიზუნოვს.

— აქედან ასე, სამიოდე კილომეტრია იქნება. — დაიბუხუნა მან. ბიჭოს, ხმა მართლაც ციმბირელისა ჰქონია მიშას.

— ის პროდუქტები ამაღამ ბანაკში გადმოვზიდოთ. ბიჭები დამშეულნი არიან და ისედაც მარაგი არ გვაწყენს. — ვუთხარი ანტონს.

— საღამომდე რატომ უნდა ვიცადოთ? იქნებ სხვამ მოგვასწროს, ან გერმანელებმა შენიშნონ და გაანადგურონ. ახლავე წავალ, — თქვა ლიზუნოვმა.

— დაღლილი თუ არა ხარ... — ჩაილაპარაკა ანტონმა.

მიშას ათი მეტრძოლი გავატანე. ამჯერად ბიჭები მალე დაბრუნდნენ.

მანქანა სულ დაეცალათ. სუხარი და შაქარი მეტრძოლებს დაეუნაწილეთ. სადამოს ჩაიცი დაველიეთ.

სამი დღე ბანაკიდან ფეხი არ გავვიდგამს. მართალია მშვენიერი ამინდები იდგა, მაგრამ რომ მოეწვიმა, რაიმეს ხომ უნდა შევფარებოდით. ბანაკი სახელდახელოდ მოვაწყეთ. ხის ტოტებისგან შეკრული კარეებიც დაედგით და შიგ ბაღი დავაფინეთ.

მეოთხე დღეს ლიზუნოვი და ტარანეკო მე თვითონ წავეყვანე დაზვერვაზე.

წინ მიშა გავვიძღვა. გზატყეცილიდან მართლა არ ვყოფილვართ შორს, ჩემდა შეუმჩნეველად მივაღებეთ შოსეს და იქვე შევჩერდით.

მალე მანქანების გუგუნე მოგვესმა. ნაძვებს მოვეფარეთ. შოსეზე მანქანების კოლონა გამოჩნდა, მას მეორე მოჰყვა, მერე მესამე. ერთი საათის განმავლობაში ასე გამუდმებით მიშლიაგინობდნენ ვიტებსკისკენ ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დატვირთული მტრის მანქანები.

ფაშისტები მანქანის ძარბზე ისხდნენ. ზოგი წელს ზევით შიშველი იყო. კიტელი მუხლებზე დაედო და რაღაცას გაჰყვიროდა. თან ხელებს შლიდა. ზოგი მხოლოდ ტრუსის ამარა დარჩენილიყო. ასე უშინრად? ასე დაუსჯელად უნდა იფარფაშონ? ღრიალებენ, იცინიან, მღერაინ, ტუჩის გარშოშკას აჰყვიტინებენ. ერთი სიტყვით, ყველა და ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ. მიშამ ავტომა-

ტი შემართა, ხელი ეუტაკე. შეგაკავე. მკედრის ფერი ადევს და ხელებს კბილებს აღჭრიალებს. *შინჯლირთქქა*

არც ალიოშა ტარანეკოა უკეთეს დღეში. თვალებს აბრიალებს, კშინაეს, რომ ვუთხრა, ალბათ მარტო შეებმება მთელ კოლონას.

ლიზუნოვს ხელზე-ხელი მოვუჭირე და ვანიშნე მომყოლოდა.

სანამ მიშა და ალიოშა ფაშისტებს ემუქრებოდნენ, მე დაეინახე, ჩვენგან მოშორებით ფაშისტებით სავსე ორმა სატვირთო მანქანამ როგორ შეუხვია ტყეში.

ჩვენც იქითვე გავეშურეთ. მანქანები ტყის საურმე გზით ტბისკენ მიდიან, ჩვენც ფრთხილად მივყევით.

ტბასთან შეჩერდნენ. ფაშისტები მანქანებიდან ჩამოხტნენ. თოფები ერთად შეაჯგუფეს, ტანთ გაიხადეს და ტბაში ჩაცვივდნენ.

ამაზე უკეთეს დროს ვერც ვინატრებდი, მაგრამ ბევრნი იყვნენ და ტარანეკოს მივუბრუნდი:

— ალიოშა, ბანაკში გაიქეცი. ანტონს გადაეცი სასწრაფოდ მოიყვანოს ბიჭები. აბა შენ იცი, ახლა საქმე სისწრაფეა.

ალიოშა ცოტაზე გაბოხდა, მერე წამოხტა და მოუსვა. მე და ლიზუნოვი ერთმანეთს შევეურებთ. — აბა, დათვალე, მიშა, რამდენი არიან?

მიშამ ტბას გახედა, მეც ჩემთვის დავიწყე ფაშისტების თვლა.

— ორმოცდახუთი ფაშისტია. — მიჩურჩულა მიშამ. — არ დავიწყოთ?

— ნუ ჩქარობ, ანტონს დავეუცადოთ. ჯერ ესენი წყლიდან ამოსვლას არ აპირებენ.

— ხედავ, რა გემოზე ჰყუმბალობენ. ო, მაგათი დედის სული... მიშას ფერი მოსვლია, თითქოს დამშვიდებულა, მაგრამ თვალეები უციმციმებს, ეტყობა სული კბილით უჭირავს.

გერმანელები ერთობიან, ლახლანდარობენ, ერთმანეთს წყალს ასხამენ.

გულზე ეკლად მესობა მათი ყაყანი. მიშა ცმუტავს, ავტომატს ეფერება, რაღაცას თავისთვის ჩურჩულებს.



მალე დაეწყებთ, ძმობილო, და ვნახოთ რა ციშირელიც ხარ...

ანტონი ისე მოგვეპარა, არც ერთს არაფერი გაგვიგია. ბანაკში მხოლოდ გუშაგები დაუტოვებია, მთელი რაზმი თან ახლავს.

დაბალ ბუჩქნარში გავწეკით და ხოხვით წავედი თბისაკენ, რაც შეიძლება ახლოს უნდა მივიდეთ. ვერც ერთი ვერ უნდა გაგვისხლტეს ხელიდან, ვერც ერთი.

ბუჩქებიდან მალალ ბალახში გადავხიხობით, ცოტაც წავიწიეთ და შევჩერდით.

ჩვენს წინ ტბაა, ლურჯად მოლივლივე ტბა. გულს ბაგა-ბუგი გააქვს, ძალიან ეცდილობ არ ვიღვევო. საგანგებო წუთებია, ერთმანეთის გამოცდის წუთები და მთავარია სიმშვიდე.

დროა დაეწყოთ. ანტონი მე მიცქერის, ეტყობა პირველი გასროლის უფლებას მითმობს, მაგრამ წამოდგომა არ გინდა?

მუხლები მიკანკალებს, გული ამოვარდნაზეა. ეპ, რაც არის, არის. ერთბაშად დაედექი ფეხზე, იმავე წამს ამყენენ ბიჭები. ფაშისტებმა შეგვინშნეს, ჯერ გაშეშდნენ, ვინც რა მდგომარეობაში იყო, წამით ისე დარჩა. მერე ერთმანეთში აირივნენ და აქეთ-იქით მიაწყდნენ.

— დასცხეთ. ბიჭებო, — პირველი ჯერი გაუშვი. ჯერ ანტონი ამყვა, მერე მიშა, მერე — სხვები, ისე გავთამამდით, ზედ ტბის პირას მივედით და პირდაპირ ჩაველიტეთ წყალში ფაშისტები.

ერთმა ტბის გადაცურვა მოინდომა. მხარულთ მოცოცხა, მაგრამ მას მიშა დაედევნა და მანამ სდია, სანამ არ ჩაძირა.

მანქანებს ცეცხლი წავეუიღეთ, ნაღველი ზურგზე ავიკიდეთ და ბანაკისაკენ მოვეუსვით.

ტყეში ღრმად რომ შევედით და თავი სამშვიდობოს ვიგულეთ. სირბილიდან ნაბიჯზე გადავედით. მივდიოდით ამაყად, გახარებულნი და ბედნიერნი.

ორმოცდასული ფაშისტი ჩავტოვეთ ტბაში. ასლა ავტომატები, თოფები,

ხელუქმბარები, პროდუქტები; ტანსაცმელი...

ბანაკში მოსვლისთანავე ადგილის გამოცვლა. — ვინ იცის რა მოჰყვება ამ პირველ საბრძოლო ოპერაციას, — თქვა ანტონმა, — იქნებ დაგვედევნონ, იქნებ თავს დაგვესხან და ერთი კაციც რომ მოგვიკლან, ყველაფერი ჩაგვშხამდებაო.

რალა მეთქმოდა... ანტონს გულისწაღილი ავეუსრულეთ. მთელი ეს დღეები სულ იმას ჩამჩიჩინებდა ვიტებსკისკენ წავიდეთო. აქაური ტყე ვიტებსკის ოლქის უსიერ ტყეებს როგორ შეედრებო.

გადაწყდა. სანოვავე გავინაწილეთ. იარაღი ავიკიდეთ და ვიტებსკის მიმართულებით გავწიეთ.

... ორღიშევის ტბა, უსიერი ტყე, ალაგ-ალაგ ვაობები, ნაქენარი, ფიჭვნარი, აქა-იქ არყის ხეები. ზის ტოტებისგან შეკრული კარვები. ღამის სიმყუდროვეში ჩვენი თვითმფრინავების შორეული გუგუნე. ჩამჭრალ კოცონთან ნაღვლიანი სიმღერა. მთელ რაზმზე ერთი გახვევა თუთუნე...

ასეთი იყო ჩვენი პარტიზანული ბანაკი.

ამჯერად ორშა-ვიტებსკის გზატკეცილიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით, ორღიშევის ტბასთან გადაწყვიტეთ დაბანაკება. გადაწყვიტეთ-მეთქი, ვამბობ, თორემ სუხოლოვსკის ამ თათბირში მონაწილეობაც კი არ მიუღია. ბარისოვოდან აქამდე დიდი გზაა, ბიჭები დაიქანცნენ, საკვებიც დაგვაკლდა, გზის გაგრძელება უაზრობა იყო.

ანტონი უკმაყოფილოა, ეს ამკარად ემჩნევა. უკმაყოფილო კი არა და, იქნებ გულმოსულიც არის, ისე ჩამოუშვია ცხვირი, მაგრამ საყვედური არ უთქვამს. ეტყობა თავათაც დადლილია. ტბის პირას ჩაქდა, ჩექმები გაიხადა და ფეხსახვევები გასაშრობად გაფინა. მე განგებ მის ახლო ეტრიალებ, მინდა გამომელაპარაკოს, ან ავი მითხრას ან კარგი, მაგრამ თქვენც არ მომიკვლეთ, ერთხელაც არ შემომხედა.

მესმის მისი წუხილი. გული ბოგუ-შევსკის რაიონისკენ მიუწევს, ამ რაიონში მისი სოფელი ვოროშინაა, იქ კი მშობლები და და-ძმანი ეგულება.

მთელი გზა მათზე შელაპარაკებოდა სულ მიმტკიცებდა ჩვენს რაიონში ნამდვილი საჩვენო ტყეებიანო. იქნებ მართალიც არის, მაგრამ ამ უსიერ ტყეს რომ ვუტყერი, ანტონის სიტყვებში ეჭვი შეპარება. ამაზე ჩაბურღული და თითქმის გაუვალი ტყე კიდევ შეიძლება სადმე იყოს?

ანტონი რაზმს წინ მიუძღოდა, მე სულ ბოლოს მოვდიოდი. როგორც კი შევისვენებდით, იგი რუქას გაშლიდა, დახედავდა და იტყოდა: ბოგუშევსკამდე ამდენი და ამდენი კილომეტრი დარჩაო.

მე კი სული მეხუთებოდა, შუბლზე ხვითქი ჩამოვდიოდა, ხალათიც სველი მქონდა და საცვლებიც. სხვებიც ჩემ დღეში იყვნენ.

წამოვიშლებოდით თუ არა, იქიდან მოყოლებული თვალებს აქეთ-იქეთ ვაცუცებდი, ბანაკისათვის შესაფერის ადგილს ვეძებდი. ანტონის დაყოლიება დიდ სიძნელედ არ მიმაჩნდა. რატომღაც მწამდა, რომ ჩვენს სათუო საქმეში ოჯახთან, ნაცნობ-მეგობრებთან ახლო ყოფნა საჭირო არ იყო. ჯერ ხომ ჩვენ რაზმი არა ვართ, არც წესრიგი გვაქვს ხეირიანი და არც მარაგი. მთავარია მოვმძლავრდეთ, ერთმანეთს სულსა და გულში ჩავხედოთ, ერთგულება და ძმობა დაუფშტკიცოთ და მერე ვეძიოთ ოჯახი და მოკეთე.

მაგრამ თურმე ვცდებოდი. ამაში მერე დავრწმუნდი.

ბანაკისთვის ადგილის შერჩევას რა უნდა. ტყე ყველგან ტყეა. ამ დალოცვილ ტყეში კი უოველ კილომეტრზე ტბაა. მიღი და მოეწყე, მაგრამ ამ რაზმის შეჩერება აქამდე ვერ გავხედე.

ანტონთან შელაპარაკებას მაინც მოვერიდე. ბოგუშევსკიდან ძალიან დაშორებით რომ გავჩერებულყავით, უსათუოდ წამეკიდებოდა, ეს კი არამც და არამც არ შეიძლებოდა. ბიჭები ძლივს

მოათრევდნენ ფეხებს და, რა თქმა უნდა მხარსაც მე დამიჭერდნენ.

მერე?

რა მოჰყვებოდა ამას? ჯერ არც კი ვამოგვიცხადებია, რომ მე რაზმის მეთაური ვარ, სუხოლოლსკი კი კომისარია, და თუ აქედანვე დაიწყებდით კინკლაობას ვინდა დაგვიჭერებდა?

დღეს კი ყველაფერი თავისთავად გადაწყდა. ერთმა საგანგებო შემთხვევამ გვაიძულა შევჩერებულყოყავით.

ღამით წითელარმიელი სვისტუნოვი გაპარულა. ეს გვიან შევიტყეთ. არაგის შეუმჩნევია, ისე გაგვიძვრა და მიგავტოვა. სწორედ იმ სვისტუნოვმა იდეზერტირა, ვინაც ფაშისტების თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილი ფურცელი ხელიდან გამოპვლივა სუხოლოლსკის და ნაყუწებად აქცია, თან თქვა „ეგ საკენი სხვებს დაუყარონა“.

ხალხი ბრძენია, ხალხს უთქვამს: „ემ-მაკი უფრო ხშირად იწერს პირვეარსო“, — და აი...

სვისტუნოვის გაპარვამ ბიჭებზე ცუდად იმოქმედა. მე და სუხოლოლსკის დანა კბილს არ გვიხსნიდა.

თავიქაინდრულნი, დამამბებულნი და დაფიქრებულნი მოვაბიჯებდით. ისედაც გასაგათებელი ვიყავით და ახლასულ მოვეშვით და მოვიტენეთ.

ამ დროს ტბაც გამოჩნდა. მე არც დაფიქრებულვარ, მხოლოდ მიშას, რომელიც გვერდით მომყვებოდა, ვუთხარი, აქ შევჩერდეთ-მეთქი.

ბიჭები მიწაზე დაეყარნენ, ერთხანს დუმდნენ, მერე ერთმანეთში ჩურჩულბუტუნნი გააბეს, თან ჩვენსკენ იტყირებოდნენ. ვიცი რა ჩურჩულიც აქვთ. ყველას აინტერესებს რაც შეიძლება მალე გაიგოს, როგორ შევაფასებთ წითელარმიელის გაპარვას.

მე ანტონის ახლო დაეჭეკი, გულს ვასკდები, ფიქრისაგან თავი მტკივა, ხორცი მინდა მოვიგლიჯო. რა ვთქვა, როგორ მოვიქცე. რა ზომებია საჭირო, რომ სხვებზე ვიმოქმედო. ეს ოჯახაშენებული კი ზის აგერ არხენიანდ, ფეხსახ-

ვევებს ამრობს და ალბათ ისევ თავის სოფელზე ოცნებობს.

ასე ფიქრსა და წვალუბაში განვლო საათმა. მიშას დაევაღლე, ბიჭებს გადაეცი კარვების დადგმა დაიწყონ-მეთქი.

ლოზუნოვმა ბიჭებს ჩამოუთარა, გააფრთხილა და თავისთვისაც აიარჩია ადგილი.

უხალისოდ წამოიზაღნენ ბიჭები. ზოგმა ხის ტოტების ჭრა დაიწყო, ზოგმა ბალახ-ბულახის შეგროვება. კარვებს სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცისთვის დგამდნენ, ამაზე დიდი კარვის დადგმა არც შეიძლება და არც არის საჭირო.

კარგი მაინც არ არის მთავარი. ბანაკისთვის ადგილის შერჩევას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ფინ იცის საიდან დაგვესხმება თავს მტერი. გაცლა ყოველი მიმართულებით უნდა იყოს მოსახერხებელი.

რამ აიძულა სვისტუნოვი, რამ უბიძგა ლეზერტირობისაკენ?

ვაითუ მასავით გაიძვერა და მზღალი კიდევ გვირვეია.

ჩექმები გავირგე. ფეხები გვარიანად შემსიებია. ბალახზე გულაღმა დავწვი, ხელები თავქვეშ ამოვიწყე, ცას გავხედე და სული მოვიტყვი. ბამბის ფთილასავით მსუბუქი და გამჭვირვალე ღრუბლები ერთმანეთს ეტმანებთან, თეთრი კრავებივით ვარბი-ვამორბიან...

ახლა ტბას გავხედე.

დიდი ტბა ყოფილა. ესეც ლურჯია და გამჭვირვალე, ესეც ცაა, ბაწია ტალღები რომ გორავენ ნებიურად — კრავებია ბუნჩულა კრავები. გაღმა ისევ ტყეა, გაუვალი. უსიერი ტყე.

ანტონი ღუმს, ნეტა რაზე ფიქრობს ჩემი კომისარი? ო, რა მომთქენია, რა აჩერებს ახლა ამ ოჯახამუნებულს?

მეც უნდა მოვიკრიბო ძალა, სანამ მთლად არ ამევსება მოთმინების ფიალა, გულზე რომ ვასკდეს, ხმას არ ამოვიღებ.

არა, მაინც რა იქნება დამელაპარაკოს. საყვედური მითხრას, ან უფრო უარესიც. ასე მუნჯივით სადამდე ვიქვლე?

დიდებულს სათვალთვალა ეს ცა, არც ეს ტბაა ურიგო საცქერადე მავრამ ცისა და ტბისთვის გეცალია ახლანაშ

„ამოიღე ბიჭო, ხმა, თქვი რამე, შეკაცო, რას მიბღვერი თუ იცი, მე რა დაგიშავე ძმაო. სვისტუნოვი თუ გაიპარა, იგი შენი ოცეულის მებრძოლი იყო, მიგხედა. ასე თუ დამიწყე ამთავითვე, კარგი შეგობრობა კი გვექნება, კარგ მაგალითს კი მიიღებენ ჩვენგან ბიჭები. ახლა გემართებს სიმტკიცე. დამელაპარაკე, მკითხე და გაბასუხებ, მე ვერაფერი სახეირო ვერ მოვიფიქრე თორემ შენ არ დაგიწყებდი ხეწენა-გედრებას“. ამას ჩემთვის ვფიქრობ, მერე ვქვდები და ანტონს შეეკურობ. თქვენც არ მომიკვდეთ, იგი განძრევას არ აპირებს. თითქოს ვერც მამჩნევს. გახეთის ნახევრში შეხვეულ ვროდნოს აყროლებულ თუთუნს ექაჩება და სწორედ ბოგუშევსკის მიმართულებით იცქირება.

— როგორ მოვიქცეთ, ანტონ? — აივსო მოთმინების ფიალა.

— მე რას მეკითხები? — თავიც არ მოუბრუნებია, ისე მიპასუხა.

— აბა ვის ვკითხო?

— საკუთარ თავს, მეთაური ხარ და როგორც გინდა, ისე გადაწყვიტე. შენ უკეთ იცი, შენ ყველაფერი იცი... — ფეხსახვევები აიღო, დაფერთხა და ფეხებზე დაიხვია.

— რას ბრახობ, ან რას მაყვედრი თუ იცი, შენ თვითონ არ დამნიშნე მეთაურად? ავღებები და ახლავე შეგვრებ ბიჭებს. დანიშენა როგორ უნდა, მე დაგანახებ. მერე გაგვიძეხი და წავგიყვანე იმ შენს სამოთხე ბოგუშევსკში. მე შენსავით ბუზლუნს არ დავიწყებ, არ ვაგიდგები. დავლუნავ თავს და ხბოსავით გამოგყვები უკან. ჩემი ქალაქი შორს არის, აქედან არა ჩანს. ჩემთვის სულერთია სადაც ვიბრძოლებ, — ვუთხარი როგორც შემეძლო თავშეკავებით და ჩექმების ჩაცმა დავიწყე.

ანტონიც ექაჩება ჩექმის ყელს. ყასიდად ქაჩავს, აქიანურებს, რა დიდი ქაჩვა მის ჩექმებს უნდა. ერთბაშად იქვრელი აზნაურის „აზიაკვიით“ არ

ჰქონდეს ამოწყვეილი. ჰკარი ფეხი შიგ
და მორჩა.

ჯერ ერთ ჩექმის ყელს ეჯაჯგურა,
მერე მეორესას. ვიცი ამობილო, რაც
გაწუხებს. მართლა ყველაფერი ვიცი.
ახლა ეძებ სიტყვას, გინდა უცებ არ გა-
მცე პასუხი, გინდა რაღაც სიტყვა ბრძნუ-
ლი, გულში რომ მომხედეს და ენა ჩა-
მივლოს. ეძიე, ეძიე ის სიტყვა, ღმერთ-
მა გაპოვნინოს.

ეშველა, ჩაიცვა. წამოდგა, გაიმარ-
თა, ჯერ მარჯვენა ფეხი დაკრა მიწას,
მერე მარცხენა და მომიბრუნდა:

— მე არ ვბრაზობ, ეს საიდან მოი-
ტანე? ისე, იცოდე, უკუქმალობიას თა-
მაშის დრო არა გვაქვს. ითქვა და მორ-
ჩა, მეთაური ხარ. ისე მოიქეცი, რო-
გორც ქუთამ გაგიჭრას. ხანდახან თუ
რამეს მკითხავ, ვეცდები სისულელე არ
გირჩიო. ვორთმინას დარდი სრულებით
არ მაწუხებს. უფრო დიდი საფიქრალი
გაგიჩინდა და, თუ ბიჭი ხარ, იპოვნე
გზა...

— სეისტუნოვი.

— სეისტუნოვი, სეისტუნოვი.— ფო-
ლადის კბილები დაახრჭიალა. ახლა
რომ ის დეზერტირი ხელში ჩაუვარ-
დეს, მტრისას...

— მეც ამას გეკითხები, ანტონ, რა
ექნათ, რა ვიღონოთ? თავი მისკდება
ფიქრით, წამო, გავიაროთ, ბიჭებს დაე-
ხელოთ, იქნებ ცამ გეიკარნახოს რო-
გორ მოვიქცეთ, თან ჩვენთვის კარავი
ხომ უნდა დავდგათ.

— როგორ თუ ჩვენთვის?

— მე მგონია მე და შენ ერთ კარავში
უნდა მოვეწყოთ.

— ეგ რომელ წესდებაში ამოიკი-
თხე?

— წელან ბალახზე რომ ვიწვექი, ცას
შევეცქეროდი. აი იმ თეთრი ღრუბლის
ფთილაზე ეწერა...

— ეგ ახლა არ შეიძლება.

— შე ჩემი აზრი ვითხარი, ძმაო,
არ მოგწონს? არ იღებ? შენი ნებაა.
სხვა რამ მირჩიე და, კი ბატონო!

— შე და შენ ერთ კარავში ნუ და-
ვიძინებთ.

— ნუ გეშინია, ხერხეა არ გეკ... —
ვცადე გახუმრება. ანტონმა მხაღვლემა.
მადლობა ღმერთს, მგზნა...
სახე ჩაუწყნარდა, შემომხედა და წარ-
ბეზივ გახსნა, მაგრამ ეს წუთით იყო,
ან იქნებ წამით...

— დილით რომ გამოგეღვიძოს და
ბანაკში არავინ დაგხედეს. — პირდაპირ
ტყვიასავით მატყავ.

— ეს არ მოხდება, ანტონ, ჩვენ კარ-
გი ბიჭები გვყავს, კარგი ვაყვაცები. აი,
თუნდაც შენი ლიხუნოვი, ან ჩემი ალი-
ოშა, ვასო...

— შენი-ჩემობიას თავი დაანებე, —
ახლა ყველა ჩვენია. სიფრთხილეს კი
თავი არ ტყივა. ოხ, სეისტუნოვ, სეის-
ტუნოვ, შენი დედა... — შეიგინა. —
თუ ჩამივარდი ხელში ვედროთი დაე-
ლუე შენს სისხლს... — ნამწყვავი მოიქ-
ნია, ისროლა და წინ გამისწრო.

— სწორი ხარ, ანტონ, ჩვენი ერთ კა-
რავში ყოფნა მართლა უხებრტულია. კაი
თუ ბიჭებმა გაიფიქრონ, არ გეიკადრე-
სო, მებრძოლებთან ღამის გათევას თა-
კილობენო. ცალ-ცალკე მოვეწყოთ, ა,
რას იტყვი?

ამაზე ანტონმა არ მიპასუხა, მაგრამ
შევატყვე დამეთანხმა.

მე მხარზე ხელი გადავხვიე და ვან-
ვაგრძე:

— მოდი, შევეყაროთ ბიჭები, ჩვენ-
ჩვენი ვუთხრათ, მათაც გამოთქვან აზ-
რი, ხომ ხედავ როგორ განიცდიან, ხა-
ლისი დაკარგეს, თვალს ვერ გვისწო-
რებენ, ისინიც ცოდონი არიან.

ანტონმა თავი დამიქნია.

— ასე, ჩემო კომიარო, მე და შენს
ძმობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებუ-
ლი. უბრალოზე არ უნდა ავიშალოთ.
შენ თუ გინდა, ახლაც ვებრძანებ და და-
ვიძრებით საითაც გინდა და იქით წა-
ვიდეთ. ჰირს წაუღია აქაურობა. ამაზე
გაწყენინებ?

— ადვილს არ ვწუნობ, პირიქით, ძა-
ლიანაც მომწონს. კარგი შერჩეულია,
გზატყვილიდან რომ დაგვეხსნა თავს.
ტბის მეორე ნაპირზე ვავალთ, მერე
გვეძიონ. ბიჭებს ნუ გავაწვალებთ. ისე-

დაც დახოცილები არიან. მივიღეთ, ხელი წაუქრათ.

მაგრამ ჩვენი მიხმარება არავის დასკირვებია. კარები უკვე დაუღვათ. არავისთვის არავითარი რჩევა ჩვენ არ მიგვიცია და მაინც ისე მოხერხებულად, ისე შენიღბულად ჩაუღვამთ ნაძვებში კარები, ალტაცება ვერ დაუფარეთ.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბიჭებო. უკვე პარტიზანული ალლო გაქვით. შეხედე ანტონ, რა სასახლეები წამოშლინათ, სათვალთვალ ნახვრეტებიც დაუტანებიათ. ციხე-ქალაქია, რაღა. — ერთ მოზრდილ კარავში შევედით. კარავი ორ დიდ ნაძვს შორის ისე კობტად ჩადგათ, რომ წვიმის დროს უკეთეს თავშესაფარს ვერც ინატრებდით.

— მე აქ დავრჩები. — თქვა ანტონმა. — მართალია, ამ კარავის აგებაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ნაღით თუ არ გამათრევენ, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ. ა, თანახმა ხარ კორპუსევი? — კორპუსევი ძალზე მაღალი ყმაწვილი იყო. კარავში ძლივს იმართებოდა.

— ყველა დავეტრევი. — თქვა მან.

— მეთაურმა კი სხვაგან ეძიოს თავშესაფარი. — მეთაურმაო, ამ სიტყვას განგებ გაუსვია ხაზი ანტონმა. თან თვალი ჩამიკრა და ფოლადის კბილებით გამიღიმა.

— მაგდებთ, ხომ? კარგი, წავალ, მაგრამ იცოდეთ უკეთეს კარავს ავარჩევ. არ მგონია ალიოშა ტარანენკოსა და ვასო თორაძეს ნაკლები ციხე-სიმაგრე აეგოთ. თუ გნებავთ თან წამოყვებით, თქვენი თვალით ნახეთ.

— წაბრძანდი იმ შესი ციხე სიმაგრეში. ვინ გაკავებს? — ხუმრობითვე მითხრა ანტონმა. მე მხრები ავიჩიჩე, ერთხელ კიდევ შევათვალაიერე კარავი, წაღმა დავტრიალდი და გამოვედი.

„მეთაურმა სხვაგან ეძებოს თავშესაფარი“ — კაი ეშმაკი ყოფილა ეს ჩემი კომისარი. მეთაურმაო... კორპუსევის არ გაკვირვებია, არც სხვებს მიუტყვევიათ ყურადღება. ისე მიიღეს, თითქოს ყოველდღე ესმოდათ ეს სიტყვა.

მეთაური... რა იოლად წარმოიტქმის?

ბანაკს თვალი მოვაველე. რიდანვე ამოვიცნო ალიოშასა და ვასოს კარავი. ეგვიც კი არ შეპარება, რომ სადაც ალიოშაა, ვასოც იქ იქნება.

კარავი ხანს ვიდექი ნაძვთან. ბიჭები კარავებში შეყუჟულიყვნენ. არავინ ჩანდა.

ნელა გავეყვი ტბისაკენ. ისევ სეისტუნოვზე ვფიქრობდი, ისევ ის დეზერტირი, მისი მწითური სახე მიღვას თვალწინ.

მომორებით ალიოშა ტარანენკოს მოკარი თვალი და იქით გავეშურე. ვასოსა და ალიოშას ლიზუნოვიც შეაძახნაგებია და ისეთი კარავი დაუღვამთ, ოთხი კი არა და ათი კაციც დაეძვება შიგ.

რა თქმა უნდა მეც სიამოვნებით მიმიღეს. ვასოს გვერდით მოვეწყვე. ბაღახი ბიჭებმა ჩემთვისაც მოიტანეს. წამოგწეკით. ნედლი ბალახის სილიბლე და სურნელი ისე შეაძა, სიამოვნებისაგან თვალები თავისთავად დამეხუტა.

ნაშუაღლევს ყველანი ჩვენი კარვის ახლო შეიკრიბნენ. კორპუსევა კარავი დაათვალაიერა, სიტყვა არ უთქვამს, გარეთ გამოვიდა და თითი მოღუნა.

მე ანტონს ვანიშნე დაეწყო.

ანტონმა თვალები დაწკურა, წელზე იარაღი შეისწორა და ნელა, მაგრამ მკაცრად დაიწყო:

— საგანგებო შემთხვევა მოხდა, ამხანაგებო. წრთელარშიელი სეისტუნოვი გაიპარა, იგი დეზერტირია, უფრო მეტიც, მტერია. ამხანაგების მოლაღატე, არამზადა. ასეთი არაკაცი ყოველგვარ ბოროტებაზე წავა. ჩანს სიფრთხილე მოვადუნეთ. როგორ გავვიძვრა?

— ფაშისტების მოწოდების ფურცელი რომ წაგვიკითხეთ, მაშინ ძალიან გაიქაჩა და... — თქვა კორპუსევა და სუხარს დაეძვრა.

— ვინ იცნობდა სეისტუნოვს? ვინ მგებობდა მასთან? — იკითხა სუხოლოლსკიმ.

— მე, ამხანაგო ლეიტენანტო. — წინ წამოდგა ერთი მებრძოლი.

— სადაურია?

— აქაური უნდა იყოს, რომელიღაც სოფელი დამისახელა, აღარ მახსოვს.

ანტონი უცებ გაფითრდა. გაშრა და ენა ჩაუვარდა. მერე კბილები დაადრკიალა და ერთბაშად სახეზე ალი წაეკიდა. მივუხვდი. ეწყინა, მხდალი და დეზერტირი ბელორუსი რომ აღმოჩნდა.

— ჩემი ზურგჩანთაც წაუღია, პირსაპარსი და ფული. — წამოზრდილ წვერზე ხელი ჩამოისვა იმ მებრძოლმა.

ამის თქმა და ბიჭების გადარევა ერთი იყო. ახოჩქოლდნენ, აყვირდნენ აყუყუდნენ. აშკარად და დაუბრუნებლად ლანძღავდნენ და აგინებდნენ სვისტუნოვს. დედის რძეს უტრიალებდნენ, ასეთი გინება ჩემს სიცოცხლეში არ გამეგონა.

თითქოს მისი მთავარი დანაშაული ამხანაგის გაჭურღვა ყოფილიყო. ვილაცამ დადევნებაც კი განიზრახა, მაგრამ დადევნებას ახლა რაღა აზრი ჰქონდა!

მე უესმენდი ბიჭებს, მახარებდა მათი აღშფოთება, ეს გინებაც არ ეხამუშებოდა უურს. ანტონიც კმაყოფილი იყო.

თვითუღ მებრძოლს თვალებში შეეცქეროდი, ყოველ მათ სიტყვას ხარბად ვიჭერდი და გულის სასწორზე ვღებდი...

ამით დაეამთავროთ? გაეციხვა და გინება ვაკმაროთ დეზერტირს? ეს არის განაჩენი? ლანძღვა-გინება დააფრთხობს დანაჩენებს?

ეს კმარა?

კმარა?

არა კმარა. რაღაც სხვა სასჯელია საპოენი, მაგრამ რა?

იქნებ ანტონმა მოიფიქროს რამე. იქნებ ახლა, სწორედ ახლა ამ წუთში დაადოს პირი და თქვას სიტყვა, რომელიც თვითუღ ჩვენგანს შიგ გულში მოხვდება და ჩააფიქრებს.

ვინა ხართ ლეთიან-მადლიანი, მომეშველეთ, მიკარანახეთ, მასწავლეთ, ამაზე

დიდი გასაჭირი არც ალყაში ყოფნისას დამდგომია.

მოგვეშველეთ.

ჩვენ ზომ ოცი, ოცდაორი წლის ბიჭები ვართ, იქნებ ერთი ორი ცოტა ჩვენზე უფროსიც გვირევიო, მაგრამ რას ნიშნავს ახლა ორი წელი?

ჯერ ბიჭები ვართ, ყმაწვილები, თითქმის არაფრის მცოდნენი, გამოუცდენი, არაკაცმა გვილაღატა, მიგვატოვა, უსინდისოდ გაგვეპარა. როგორ დავსაჯოთ გაქცეული?

მანაც რატომ მღრღნის ეჭვი? რას ვერჩი ამ ოქრობიჭებს? ლიზუნოვს, ტარანენკოს, კორბუშევს, ვასოს... ან იმ გაუპარსაც მებრძოლთან რა მინდა, ყველაზე მეტად რომ დახარაღდა. ალბათ კაპიკს კაპიკზე აწებებდა; აგროვებდა ფულს. მალე დემობილიზაცია მოუწევდა და საჩუქარს წაუღებდა დედას, საცოლეს.

რას ვერჩი ამ ბიჭებს?

საიდან შემიძვრა ეს ეჭვის კია?

ვასო?

ვასო დღეს. მთელი დღეა მისი ხმა არავის გაუგონია. მგონი ლუკმაც არ ჩასვლია პირში.

დღეს, ტუჩები მოფუქმავს და დღეს, მაგრამ სანამდე უნდა იყოს ასე პირმოკუმული?

შეხვდეთ. შავი, დიდრონი თვალები მომაშტერა, ერთხელაც არ დაუხამხამებია. მიუურა, მიუურა და უცებ დასქეჟა:

— სვისტუნოვი გამყიდველია, უნდა დაიხვრიტოს.

ტყვიის გავარდნას ჰგავდა ეს სიტყვა. ყველას ფერი ეცვალა. ჩემმა გულმაც ძალღმად დაჰკრა. ბიჭოს. ეს რა თქვა ამ ოხერმა. დაიხვრიტოსო. თითქოს აქვე ჰყავდეს ვაკოქილი, ისე მიუხაჯა დახვრეტა.

ბიჭები?

რატომ არ ეღაგებოან? რატომ სიტყვას არ უბრუნებენ? ანტონიც რომ დღეს.

ეტყობა მიზანში მოახვედრა ვასომ. შენ გენაცვალე, ჩემო ვასო. რომ

იყოფდ რა სიამოვნებით ჩაგვხედავდი ახლა.

სამარისებური სიჩუმეა.

თითქოს მუდამ მოშრიალე ტყვე ვა-
რინდა. ფოთლებმა ტყრციალი შეწყვი-
ტეს. ყველა და ყველაფერი მე მომ-
ჩერებია.

მამ ასე, გზა ნაპოვნია. ეს წამი უნდა
გამოვიყენო. ვასოს სიტყვა გადამწყვე-
ტი არ არის, გადამწყვეტი ჩემი ბრძა-
ნებაა. საბოლოო სიტყვა მე მეკუთვნის.

მადლობთ, ვასო, მადლობთ ძმავო. რა-
კი ძაფის წვერს ხელი ჩავავლე, ახლა
ვიცი როგორ უნდა მოვიქცე. დაყოვნე-
ბა არ შეიძლება. ვაითუ ვინმემ რაიმე
წამოაყრანტალოს და ყველაფერი ჩაგ-
ვეფუშოს.

ახლაც მხარი უნდა დავუჭირო ვა-
სოს. მხარი დავუჭირო კი არა და, ბრძა-
ნებად უნდა ვაქციო მისი სიტყვა.

— სვისტუნოვს დაეხერხეთ.— ვთქვი
მკაცრად. ვთქვი ისე, როგორაც უნდა
თქვას განაჩენი მეთაურმა. უყოყმანოდ.

— დაეხერხეთ. მოვანაბეთ და დაეხ-
ერხეთ. დეზერტირი ვერ დაგვემალება.
ლიზუნოვო!

— ლიზუნოვი გისმენთ.

— დაწერე, ამხანაგო ლიზუნოვო!
მიშა კარავში შეეარდა, ფანქარი და
ქალაქი მოარბენინა, ჩაცუქქდა და
შემომხედა.

აქამდე ყველაფერი თავის რიგით მი-
დიოდა, სიტყვამ თავისი საქმე გააეც-
თა. ვაქრა, იმოქმედა. ბიჭები გაფიქრე-
ბულნი დგანან, რიდით, იქნებ შიშითაც
კი მომჩერებინა და ელიან გაგრძელე-
ბას. სიტყვის ძალის დასაბუთებას. რა
ვთქვა? რა ვუყარნახო ლიზუნოვს. სუ-
ხოლოდსკი ორ ნაბიჯზე დგას წარბშე-
უხრელად, თვალსაც არ ახამხამებს. აღ-
მათ მის გულსაც ვაქვს ზაგაბუჯი, მაგ-
რამ მე ეს რას მიშველის? ოფლი წურ-
წურით ჩამომდის შუბლზე. ამკარად
ვღელავ, ამას ყველა გრძნობს. ეს იქნებ
საჭიროც არის. სასიკვდილო განაჩენის
ბრძანება უნდა დაიწეროს და ეს ლელვა
აუცილებელია.

„ბრძანება პირველი:

რაზმში გაჩნდა დეზერტირი, უღალა-
ტა ამხანაგებს, იაცაცა და გეიპიტა, საჭ-
შობლოს სახელით, მთელნი რაზმნი სხა-
ხელით, თვითელი მებრძოლის სახე-
ლით ვებრძანებ:

დეზერტირი სვისტუნოვი დაიხერი-
ტოს. განაჩენის სისრულეში მოყვანა
დაევალოს მასთან პირველ შემხვედრს,
მებრძოლი იქნება იგი თუ მეთაური“.

... ახლა ისადილეთ და დაისვენეთ.
ლიზუნოვო, ბანაკის ირგვლივ გუშაგე-
ბი დააყენეთ!

მე ჩვენს კარავს მივამუხრე. ალიოშა
ტარანეკომ კარდალით წყალი აადულა.
ცოტაოდენი შაქარი კიდევ გვქონდა.
ადულდებულ წყალს სუხარი მივატანეთ.

სალამოს მე და ანტონი ორშა-ვიტებ-
სკის გზატკეცილზე გავედით. სრული
სიმშვიდით დავტოვეთ ბანაკი. ბარე
ორი საათი ვისეტიალეთ გზატკეცილის
გასწვრივ. მტრის ავტოკოლონები ვი-
ტებსკისკენ მიჰქროდნენ.

ბანაკში გვიან დავბრუნდით.

გუშაგმა შორიდანვე შეგვნიშნა და
პაროლი იკითხა.

ჩვენ ვუპასუხეთ.

მერე ბანაკს შემოვუარეთ, გუშაგები
შევაიმოწმეთ. ტბაზეც ჩავედით, მაგრამ
ანტონს სვისტუნოვზე და ჩვენს მიერ
გამოტანილ განაჩენზე კრინტიც არ და-
უძრავს.

როცა ერთმანეთს ვშორდებოდით,
ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა:

— იცი, შეიძლება შენ მართლა გვა-
რიანი მეთაური დადგე.

... ავეისტოს ბოლოს ცოტა ავრილ-
და, სიცხე სულს აღარ გვიხუთავდა. სა-
მაგიეროდ კოლოები ისევ განაგრძობ-
დნენ ჩვენი სისხლის წოვას. ამ თითქოს
და უშწურო მწერებმა ისე გაგვამწარეს,
ამოდენა ტყეშიც კი ვერ ვბოულობდით
თავშესაფარს.

ისევ კარავში შეხიზვნა გვერჩია:
თუმცა, რომ გგონია განერიდე, დაემა-
ლე კოლოს, გეშველა და უკვე შეგიძ-
ლია თავის მიღება, სწორედ მაშინ გაი-
გონებ მის უსიამო წულიან. რომელიღაც
ნახერხტში შემოძვრება, იწულიებს,

იწულებს და სანამ სისხლს არ გამოგწოვს, არ მოგეშვება.

სისხლის მწოველი გვაკლია ახლა ჩვენ?

სიცხე მაინც საგრძნობია, მაგრამ მისი წამალი ჩრდილი და წყალია. ტბა იქვეა, არც ჩრდილია საძებარი.

ტბა თითქოსდა განგებ ირწევდა, ლურჯად ლივლივებს და თავისკენ გიტყუებს გემატდურება.

დღეში ერთხელ მაინც უნდა შეტურდე მის ლურჯ ტალღებში.

მეთუ დღეა ამ ტბის პირას ვართ, ჭერჭერობით მხოლოდ ორი ჩასაფრება მოვანწყეთ, ისიც ძალიან შორს, ორშის მახლობლად.

ახლა ნაშუადღევია. ლიზუნოვი ხეთ მებრძოლთან ერთად დაზვერვიდან დაბრუნდა. იმწამსვე ექვსივე წყალში ჩაცვივდა, ნებართვაც კი არ უთხოვიათ. ეს მე არ მომწონს, სადაც არ უნდა იყო, რა პირობებშიც არ უნდა გიხდებოდეს ცხოვრება და არსებობა, პირველად ყოვლისა, ჭარისკაცს დისციპლინა და წესრიგი უნდა გახსოვდეს.

ამიტომ სულ ვეუბნებოდი ანტონს, განრიგი შევადგინოთ, ბიჭების ასე თავის ნებაზე მიშვება კარგს არ მოგვიტანს და მერე გვიანდა იქნება თითზე კბენა-მეთქი.

ანტონი თავს მიქნევს, მეთანხმება, მაგრამ როგორც კი სიცხე დააჭერს, პირველი გარბის ტბისკენ.

ხანდახან მეც ჩავდივარ, ცოტაზე გავცურავ და უკანვე ვბრუნდები. ჩემს დანახვაზე ბიჭები ტბისკენ გამოვბიან და ისე ნებივრობენ წყალში, თითქოს ზღვაზე იყვნენ დასასვენებლად. ვასო წყალში არ ჩადის, ნაპირზე დაჯდება, ხალათს გაიხდის და მზეს ეფიცება.

— ჩადი, ვასო, გაგრილდი, — ვეუბნები.

— არ მინდა, აქ მიჩვევია. ბიჭებს საყვედურს ნუ ეტყვი, იბანაონ, ვის რას უშლიან?

— არც ვეუბნები.

— ნურც ცხვირს ჩამოუშვებ, ისე დადიხარ, თითქოს ყველას ემდუროდე.

უმჯობესია რაიმე მოიფიქრო.

— რა მოიფიქრო, ვასო? *დავით კვიციანი*

— რა და უფრო მშვენიერად მოგეშვება უფროსი ხელი მიიღო, გაუჭიდა. — გესმის?

— მანქანების გუგუნია?

— კაი დაგემართოს, მერე გესიამოვნება მათი გუგუნით? მეთუ დღეა ორი ჩასაფრების მეტი ვერ მოვანწყეთ. ასე თუ ვიბრძოლეთ...

უფურე შენ, რა გულმოსული მეღაპარაკება! ვერც გამტყუნებ. საბრძოლო ოპერაციისათვის მე და ანტონი საგანგებოდ ვემზადებით. მიშაც ამიტომ გვყავდა დღეს გაგზავნილი. მთელი რაზმით ვაპირებთ ჩასაფრებას. ეს ადგილი საქმე არ არის, ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს გათვალისწინებული, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო.

ასეთი ჩასაფრება უმსხვერპლოდ არ დასრულდება, ვილაც უნდა შეეწიროს, ვილაც უნდა მოკვდეს და ვშიშობთ.

ამდამ მე და ანტონი მივდივართ გზატკეცილზე, ლიზუნოვიც თან უნდა წავიყვანოთ და ენახოთ.

შელამდა თუ არა, გზას გაუფიქრეთ. ანტონი ბანაკში დავტოვე, სამავიეროდ კორპუსევი, ალიოშა და ვასო თან წავიყვანე.

გზატკეცილს ბოგუშევსკის მიმართულებით დავყვეით, ჩასაფრების ადგილი მოვიჩინეთ, დავეგეგმეთ და ბანაკში დავბრუნდით.

ჩასაფრება დილისთვის გადაწყდა.

ნაშუადღამევს ბანაკი დავტოვეთ. გუშაგებიც კი მოვხსენით და თან წავიყვანეთ. რაზმი საბრძოლველად მიდის და აქ რა რჩება საყარაულო?

გზატკეცილს რომ დავუახლოვდით, ბიჭები ტყეში განეალაგეთ. გზაზე მე და ანტონი გამოვედით. ჩასაფრების ადგილი ვაჩვენე, მოეწონა.

— განთიადისას უნდა ჩავუსაფრდეთ. — თქვა ანტონმა, ასე სჯობს, სიბნელეში იქნებ გავგეფანტნენ ბიჭები. სვისტუნოვის მაგალითი არ უნდა დავაიწყადეს. იქნებ კიდევ გვირეგია სულ-

მოკლე და შესაფერ მომენტს გამოიყენებს.

— სვისტონოვი დაივიწყე, ანტონ, ბიჭებში ექვს ნულარ შეიტან. თუ ვისმეს გაპარვა უნდა, ყოველ წუთს შეუძლია განზრახვა შეისრულოს. ახლაც სიბნელეში არ სხედან? ბრძოლა განთიადისას სკობს, ერთმანეთს უნდა ვუყუროთ. დღესაა ჩვენი ნამდვილი გამოცდა, ასე ყველას ერთად ჭერ არ გვიბრძოლია. ახლა წაივლეთ, სანამ არაფერ ჩანს განვალაგოთ ბიჭები და დაველოდოთ.

რაში ორ ნაწილად გავყავით. ანტონი გზატკეცილის აქეთა მხარეზე რჩება. მე ჩემი ბიჭებით გზა გადავჭერი და ოდნავ შემალლებულ ადგილას ჩავსაფრდები...

მანქანებს უფრო ორშიდან მოველით. ინათა, ნიაქმა დაუბერა და აგრილდა. ტყეც შეირხა და მოცოცხლდა. ამრიგად დანა არაფერ ხის ფოთლები, აქიკტიკინენ ჩიტები. ცოდვა არ არის ახლა ტყეის სროლა? დაჭეტი და უსმინე ამ სამოთხეს.

გზატკეცილი კი ჭერჭერობით დუმს. ბიჭებიც სულგანაბლნი მისჩერებებიან ერთმანეთს, ზოგი ჩუმჩუმად გზატკეცილისკენ იხედება. მერე დუმილი ყველას მოწყინდა, ჭერ ანურჩულდნენ, რომ არ დაეუშალო, თანდათან აუჩიეს ზმას, მაგრამ უცებ ხმაური მოისმა და ბიჭებმაც ენა ჩაიგდეს.

თითქოს ტყეც გაინაბა, ჩიტებმაც შეწყვიტეს სტვენა-ტიკტიკი. ორშიდან უიტებსკისკენ მანქანები მიემართებიან. მე ვასოს გვერდით ვწევარ და გზატკეცილს თვალს არ ვაშორებ. აბიოდ მეტრის იქით გზა ოდნავ უხვევს, იქ ჩვენი წვერაფი დგას. პირველად მან უნდა დაინახოს მტერი და ნიშანი მოგვეცეს. თუმცა ნიშანი რაღა საჭიროა, მოტორების გუგუნი სულ უფრო და უფრო ძაფიოდ გვესმის. მეზობლმაც მოიბრძინა, მანქანები მოდიანო, დაგვიძახა და ჩაწვა.

და აი, მოსახვევიდან უზარმაზარი სატვირთო მანქანა გამოჩნდა. ძლივს

მოობოდავს. იმოდენაა, რომ მის უკან მოსავალი მსუბუქი მანქანა უნდა იყოს. ვერც კი დაეინახეთ. მისი უნიკალური

ვასომ ხელყუმბარა გაამზადა, მე ავტომატი შევმართე.

მძიმედ მორიხინობს მანქანა, ეტყობა: დიდი ტვირთი მოაქვს. იქნებ ცოცხალი ძალით არის დატვირთული, ჭერ კარგად არ ჩანს, მაგრამ სულ ერთია იმ მსუბუქ მანქანაში მაინც იქნება ვინმე ჩვენი საკბილო.

მთავარია ზუსტად, მოულოდნელად და გაბედულად დავარტყათ.

მე უკვე მზად ვარ, ავტომატი შემართულია, მანქანა ახლოვდება, შეიძლება ჩახმაზს ხელი დაეპირო, აბა! მაგრამ ანტონმა დამაწყო, პირველი ჭერი სწორედ მან გაუშვა. უშალ გზატკეცილის ორივე მხრიდან გაიხსნა ცეცხლი. მე დიდი მანქანის კაბინას ვესერი, მინები ჩაილეწა. ძარიდან ჭარისკაცები ძირს მოცვივან, აქეთ-იქეთ აწყდებიან. მანქანამ ცოტაზე გაიბრძინა, ოდნავ შებრუნდა და გზა გახიდა. ფაშისტები გაიფანტნენ, ვინც ცოცხალი დარჩა უწესრიგოდ ატეხა სროლა. მსუბუქი მანქანა გაძვრა, სატვირთო მანქანას როგორღაც გვერდი აუარა და გაფრინდა.

ვასომ ყუმბარა ესროლა, მე ფეხზე ვდგევარ და გაქცეულ მანქანას ტყეის ვუშენ. მგონია სულ დაიცხრილა მანქანა და შედგა.

ათას ხატზე დავიფიცებდი, რომ თუ ვინმე იყო მანქანაში სულიერი, ცოცხალი არ უნდა გადარჩენილიყო, მაგრამ სასწაული მოხდა. მანქანიდან მაღალი გერმანელი გამოძვრა, იმსიმალე იყო, უცებ ჩვენი კორპუსევი მომავანდა. რევოლვერი ორჯერ გაისროლა და ტყეში შევარდა. წამითაც არ დავფიქრებულვარ, ვასოს რაღაც ვუთხარი, დაცული ავტომატი მიუვგდე და გერმანელს გამოვეკიდე.

გერმანელი წელში. მოხრილი შირბის, ტყეში ღრმად შესვლას, ეტყობა, ვერ ბედავს, ალბათ ყოველ ხესთან პარტიზანი ელანდება. მეც ხელში რევოლ-

ვერი მივირავს და ფრთხილად მივ-
დევ.

ჩემს უკან სროლაა და ყვირილი, მაგ-
რამ მე ეს უკვე აღარ მეხება, იქ ანტონა-
ნია. ანტონმა უნდა გაიყვანოს რაზმი. მე
ამ ფაისტს ვერ გავუშვებ, სიკვდილამ-
დე ვერ მოვეშვები. გერმანელს თვალს
არ ვაშორებ, შესაძლოა უცებ შემობ-
რუნდეს და შუბლი გამიხვრიტოს. სრო-
ლის საშუალება არ უნდა მიეცე. ახლა
ეს არის მთავარი.

ვესროლე, ეს უფრო გაფრთხილე-
ბის ნიშანი იყო.

უცებ შედგა და ხეს მოეფარა, ეტყო-
ბა დაღლილია. მეც შევეჩერდი. იმავე
წამს შესროლა, ტყვია ნაძვს მოხვდა და
ქერქი ააცალა. ცოტა არ იყოს, შემე-
შინდა. ბიჭი ხარ და ნუ შევეშინდებო,
როცა ასეთ მსროლელებთან გაქვს საქმე.

ნაძვს მოფარებულმა ოდნავ გავაპა-
რე თვალი მისკენ. უმაღლესი ჩემსკენ მოშ-
ვერილი რევოლვერის ლულა დავინახე.
თავით არ ჩანს. ასე ეიდევით თითქმის
ორი წუთი. მერე გაისროლა, ერთხელ,
ორჯერ... მეც გავისროლე, ხუთი ტყვია
ნივთაყარე ნაძვს და თვალის დახამხამე-
ბაში ახალი სავაზნე ჩავდგი რევოლ-
ვერში. ფაისტი გაიქცა, ახლა უკვე
ტყვს მისცა თავი, ნაძვებს შორის მი-
ქნძნძლობს. მეც მივდევ, ყოველ წუთს
შეშინდა წამოვეწიო, და ტყვია ზურ-
გში ჩავუქელო, მაგრამ ჯიბრის გრძნობა
ძვალსა და რბილში გამოჩნდა, გამახელა
და მისი ცოცხლად შებერობა განმარა-
ხუნა. ამ გრძნობამ ამავესო, შემკრა, შემ-
ბოჭა, სისხლი ამიდუნდა და ჩემი ფიქრი
და გონება მხოლოდ ამ მიზანს დაუ-
მორჩილა.

— ხალტ, ხალტ. — მივდევ და ვეძა-
ხი. ის კი უკან მოუხედავად გარბის,
მისი ქლოშინი მესმის. ვატყობ დიდ-
ხანს ვერ იქნძნძლებს, ან დაეცემა, ან
ხელეებს ასწევს და დამნებდება.

დამნებდებაო.

დანებება კი არა, სირბილშივე შეუ-
ჩერებლივ შემობრუნდა და მესროლა,
მე ჩავიკეცე, მაგრამ მაშინვე წამოვ-
დექი და ვესროლე. ჩვენ სულ ახლო

ვართ ერთმანეთთან. ვებდავ შეპართულ
რევოლვერს, სასხლეტეს კი ტყვადს მი-
მესმის, მაგრამ მისი უკვე აღარ მესმის.
რევოლვერში ტყვია აღარა აქვს, ხოლო
სავაზნეს გამოცვლას ვინ სულელი აც-
ლის.

ორი ნახტომით მის წინ აღმოვჩნდი.
რევოლვერი დავეღირე.—ხალტ, ხალტ,
ჰენდე ჰოხ, ჰენდე ჰოხ, — ვეძახი. ის
კი დაპრილი ნადირივით მიცქერის, თვა-
ლები გადმოუყარკლავს და რაღაცას
ბურღლუნებს.

ახლა მარცხენა ხელით ვანიშნე, ტყვია
აღარ გაქვს და შენი საქმე წასულია-
მეთქი. მე კი ზედ ყურთან ვახლი
ტყვიას. იცოდეს, უბირატესობა ჩემს
მხარეს არის და იქნებ ასწიოს ხელე-
ბი.

მან ჯერ მარცხენა ხელი ასწია ნელა,
მერე მარჯვენა ოდნავ მოხარა, უცებ
ელვის უსწრაფესად მოიქნია და რევო-
ლვერი ზედ სახეში მომარტყა. ეს ისე
მოულოდნელი და გაუთვალისწინებე-
ლი იყო ჩემთვის, თან ისეთი მწვავე
ტყვიელი ვიგრძენი, რომ უცებ თვალთ
დამიბნელდა, რევოლვერი მიწაზე და-
მივარდა და ორივე ხელი სახეზე ვიტა-
ცე, დუბარბაცდი კიდევ. მანაც, რა-
თქმა უნდა, არ დააყოვნა, ისკუბა და
მებღღენა. ღუთის წყალობით, არც მე
ვარ სუსტი ბიჭი. არმიაში გაწვევამდე
კრივეშიაც ვეარჩივობდი და კალათურ-
თსაც გვარიანად ვთამაშობდი. ტანდაც
მაღალი მეთქმის.

მებღღენა, დამიქნია და ჩამაჩოქა. წა-
მოვდექი, მერე ხშირად ეფიქრობდი იმ
ქიდილზე, ვერაფრით ვერ მოვისაზრე,
საიდან უნდა სცოდნოდა იმ გერმანელს
სარმა. რაღაც ამგვარი კი გამიყეთა და
ეს ამოღენა ზვინივით კაცი ჯერ მთელი
ტანით დამაწეა, მერე მუხლებით შემდგა
და ყელში ორივე ხელი წამივირა.

სულს ვღაფავ, ვღრიალებ, უკვე სიმ-
წრის ოფლსაც მასხამს, მაგრამ ჯერ კი-
დე არ დამიკარგავს გონება. ვფართხა-
ლებ, ვიბრძვი, არ ვნებდები. დახრწობა
რომ ვერ მომიხერხა, თავი ამაწვეინა და
მიწაზე მანაჩქუნებინა. კიდევ კარგი

რომ ჩემდა იღბლად წამლად რომ გვო-
მებოდა, ამ ტყუებში ქვას ვერ იშოვ-
ნილი.

წამით ერთმა ფიქრმა გამოიღვა,
მკლავები ჯერ მოვადუნე, მერე უშწოდ
დავყარე მიწაზე, მოვეშვი, მოვითენთე
და თვალებიც თითქმის დავხუჭე. გერ-
მანელმა ხელი შემიშვა, მოიხედა, აღ-
ბათ ჩემი რევოლვერის აღება უნდოდა.
ონდავ გადაიხარა, გადაიზნიქა. მეც ამ
წამს ველოდი. რაც ძალა და ღონე დამ-
რა ერთ მუტში მოვიქციე და ყბაში ისე
ამოვარტყი, რომ ეს ამოდენა კაცი უკან
გადავარდა.

ახლა მე დავახტი მკერდზე, ერთი
ორჯერ წავეუთაქე, რევოლვერსაც მივწ-
ვდი და რევოლვერით დავუწყე ცემა,
იმდენი ფურტყი, სახე სულ დავუხეტიქე.
დანებუბას მაინც არა ფიქრობს. მებრძ-
ვის, ხელფებს აფართხალებს, თავსაც
მირტყამს.

ვიცი, მშობილო, ტყვედ ჩავარდნა არ
გინდა, შენ ხომ ესესელი ხარ, ტყვეო-
ბა როგორ გეკადრება. არ გინდა და ნუ
გინდა. ვირტყამ, სანამ სული არ ამოგ-
ტყრება.

ისევ დავუშინე სახეში რევოლვერი,
მაგრამ უცებ ისიც მოეშვა, მოდუნდა
და წინააღმდეგობა შეწყვიტა. ჩემს
ხერხს ხომ არ იმეორებს-მეთქი, ამის
გაფიქრებაც ძლივს მოვასწარი, მან თა-
ვი წამოსწია და შიგ სახეში შემა-
ფურტოხა.

აი, კიდეც ერთი გაუთვალისწინებელი
სისამაღლე.

სამი ტყვია დავახალე, გულისჯიბი-
დან საბუთები ამოვღულე და წამოვედი.
გზატყვიკილზე დიდი სატვირთო მან-
ქანა იწვის. მგონია ბიჭებიც იქვე არი-
ან, მაგრამ შორიდანვე შევნიშნე, რომ
იქ ჩვენთანა აღარაფერ იყო. გზაზე და-
ხოცილი ფაშისტები ეყარნენ. შო-
ფერს ისე ჩამოვგდო თავი საუკუნე, გე-
გონებოდათ სძინავსო.

ბანაკისკენ წავედი.

კარგახანს გვიბრძოლია მე და იმ ესე-
სელს, ნუთუ ვერაფერ დავგინახა. რომ
არ შემარჯვა, ასე ღვთის ანაბარა მიმა-

ტოვებდნენ. ვერ არის კარგად ჩეხი/
საქმე. პარტიზანული ბრძოლის გეგმა
ჩვენ ბევრი არაფერი გავვეგებო.

არ გავგეგება და ისწავლე, იმოქმედე.
ხშირად მოაწყე ასეთი ჩასაფრება, და-
ხვდი ავტოკოლონებს, თავს დაესხი
პატარა გარნიზონებს და გამოიწრობი.
ამხანაგებსაც უკეთ გამოსცდი.

ფეხის ხმა მომესმა. ბილიკიდან გადა-
ვედი და ნაძვის ძირას ჩავჯექი. იმ მზრი-
დან სადაც ესესელს ვებრძოდი, ვასო და.
ალიომა მოდიან. ცხარედ კამათობენ. მე
სულმა წამპლია, პატარა ბიჭივით მო-
მინდა მათი საუბრის მოსმენა. მოახ-
ლოვდნენ, ჩემგან ხუთიოდე ნაბიჯის
დაშორებით დასხდნენ და თუთუნი გა-
ახვიეს.

— არ უნდა მიგვეტოვებინა, თან უნ-
და წავეყოლოდით. — დუღღუნებს ვა-
სო. — ახლა იქნებ მკვდარია, ან მძი-
მედ დაჭრილი წევს საღმე. მიდი და
ეძიე ამ უღრან ტყეში.

— მე არ დამინახავს, ვასო, როდის
გამოვიკიდა იმ ფაშისტს, შენ თუ დამინა-
ხე, რა ეშმაკმა ვაგაჩერა. აღექი ახლა,
ვეძიოთ. ხომ გახსოვს რა ვეიბრძანა სუ-
ხოლოლსკიმ. უმეთაუროდ ბანაკში დაბ-
რუნებული არ განახოთ, ან ცოცხალი
მოიყვანეთ, ან მკვდარიო. აღექი!

„ან ცოცხალი მოიყვანეთ, ან მკვდა-
რიო“ — უთქვამს ანტონს. ვაი, ჩემი
კოლვა!

— ეი, თქვენ, პარტიზანებო, აქ მო-
დით. — დავიძახე. ჯერ ერთმანეთს შე-
ხედეს, მერე ბავშვებივით შეხტნენ და
მომვარდნენ, კოცნით კინაღამ დამახრ-
ჩეს.

გზატყვიკილზე ტყვიამფრქვევი აყა-
კანდა. ჩანს, გზაო მიმავალი გერმანე-
ლები დამწვარ მანქანასთან შეჩერდნენ
და დასცხეს ტყვია ტყეს.

ვისერიც უტეხიათ.

— დავიცი? — ქართულად მკითხება
ვასო.

— არა, წამაქცია. — სახეზე ხელი
მოვიცივი, მეტყინა და დავიკვნესე. —
მანია?

— შესიებულაო, ძალიან გტყია?

— ახლა მეტიანა.

ალიოშამ ჩანთა გახსნა. მარლის ნახევი არაყში დაასველა და სახეზე დამაფინა. ამეწვა, მაგრამ ხომ არ ვიყვირებდი.

— დაიჭრა ვინმე? — ვკითხე ალიოშას.

— ხუთი კაცია მკვდარი.

— რას მეუბნები!

— ორიც დაჭრილია, ერთი მძიმედ, ალბათ ბანაკამდე ვერც მიაღწევდა.

სახეზე ცეცხლი წაშვეოდა, ისე ამეწვა, ლამის ავკივლდე, მაგრამ ჩემი დაქვილი ცხვირ-პირი ახლა რა სახსენებელია.

ხუთი მებრძოლი მოუვლავთ... ხუთი...

— გვარები მაინც მითხარით.

ალიოშამ დაღუპულთა გვარები დამისახელა. ყოველი გვარის წარმოთქმისას ერთ სიცოცხლეს ვათავებ. მესანია, ლიზუნოვი ან კორბუშევი არ ახსენოს. აქედანვე ვგრძნობ ამ ბიჭებთან ერთად დიდი გზა მაქვს გასაღეული.

— ანტონი?

— კარგად არის. — მიპასუხა ვასომ.

... ბიჭებს ანტონისთვის უთხოვით, ცხედრები ცალკადად დავმარხოთო, მაგრამ ანტონს არ უქნია, პარტიზანები სამძიმო საფლაკში უნდა იწვნენო.

ტბის პირას უშველებელი ორმო ვაუთხრიათ. სამარის წინ ექვსი ვაეკაცი ასვენია. ის მძიმედ დაჭრილიც გარდაცვლილა.

ანტონს მიწის ფერი ადევს, ხელებდამუყვდეული დგას, ლამის ატირდეს. მეც ქუდი მოვიხადე და ანტონის გვერდით დავდექი.

ყველანი დახოცილ მებრძოლებს დასცქერიან. მე ანტონს იდაყვი წავეკარი, რაიმე თქვი-მეთქი. უაზროდ შემოშხედა, მერე თითქოს გამოერკვა, ხელით ტუჩი მოიწმინდა და თავი ასწია. მაგრამ უცებ ხელი ჩაიჭნია და გვერდზე გადგა.

ვაჭრობის დრო ახლა არ არის, ერთერთმა უნდა ეთქვათ რამე. მე ეს მწამს, საჭიროდ მიმაჩნია. თვალზე ცრემლი

მადგას, ყელშიც რაღაც მიჭერს, ჭული მეხუთება. ვუცქერი ვიღვეთსუნუნანა, პატარა, ბიჭებივით სმინდებიან.

„ჩენებ ჩენა ვართ დამანაშავე, გვაპატრიეთ, სებო, შეგეინდეთ“. გავიფიქრე და ჩემდაუნებურად დავიჩოქე. არა, მეს არ მინდოდა, გულშიაც არ გამივლია მუხლზე დაცემა, მაგრამ თითქოს ვილაკამ მზრებზე ხელი დამჭრა და ჩამაჩოქა.

იმავე წამს სუხოლოლსკიმ ჩაიჩოქა, მას ლიზუნოვი მიპყვა, მერე კორბუშევი. წამში მთელი რაზმი მუხლებზე დაეარდა.

— თქვენს სისხლს, თქვენს უღროოდ დაკარგულ ყმაწვილკაცობას არ შევარჩენთ მტერს. ვფიცავთ. — ამოეთქვი როგორც იქნა.

— ვფიცავთ! ვფიცავთ! ვფიცავთ!

... ორი დღე კრიკა არავის გახსნია, დავბორიალობთ ბანაკში, კარავიდან კარავში, ვჩურჩულებთ, ვაბოლებთ თუთუნს და ასე ზღაპრებით მიღის დრო.

მესამე დღეს რამდენიმე მებრძოლი ტბაში ჩავიდა, ყველას ვალოდია კორბუშევიმ ჩაასწრო. ტბის გადაცურვა განიზრახა. ლაღად, მოხდენილად სცემს მხარულს, მაგრამ, იცოცხლე, მან შიში ჭამა. მანაც და სხვებმაც.

ვალოდია შუამდე იყო მისული თვითმფრინავების გუგუნით რომ მოისმა. მალე ცაზე თვითმფრინავების მთელი ესკადრია გამოჩნდა. თვითმფრინავებს სხვა დროსაც გადაუფრენიათ ჩენი ბანაკის თავზე, მაგრამ არ შეუნიშნავთ და ჩაუვლიათ.

ახლა ისე მწყობრად, ისე წესრიგინად მოფრინავენ, გეგონებთ ალღუშზე მიდიანო.

პირდაპირ ტბის თავზე მოფრინავენ. მგონია ტბას გადაუფრენენ და ჩვეულებრივ თვალს მიეფარებიან, მაგრამ არა, ტყეზე წრე შემოხაზეს. მერე მწყრივს ერთი თვითმფრინავი ჩამოჩნდა და ისე დაბლა დაეშვა ტბაზე, გეგონებთ საცაა წყალს ფრთებით შეეხებო.

შხუილით ჩაიჭროლა, კუდი მოიჭნია და ისევე ცაში აეარდა. ბიჭებმა ნაპირის-

კენ მოუსვეს, ტანსაცმელს ხელი დაავლეს და ტყეში შეცვივდნენ.

ვალოდია შუაგულ ტბაში იწვა გულაღმა. ნებივრად იქნედა ხელებს და ნელა, ძალიან ნელა უკუსვლით მიიწევდა მეორე ნაპირისკენ.

კარგი მოცურავე ჩანდა და თავს იწონებდა. თვითმფრინავი ისევე შემობრუნდა, ისევე მოხაზა წრე და ისევე შხუილით დაეშვა ტბაზე. იცოცხლეთ, კორპუსევემა ხელების განძრევა იკადრა... ისე აპარტყუნებდა ხელებს, რომ წყალს სულ დგაფა-დგუფი გაუდიოდა.

ის მფრინავი კი არა და არ ეშვებოდა. ტბას გადაუგრივლებდა, შემობრუნდებოდა და ისევე კორპუსევეს მისდევდა.

ისე დაბლა დაფრინავდა, მეგონა მფრინავი ვალოდისას საცაა ხელს ჩაავლებს და მალა აიტაცებს-მეთქი.

მესამედ თვითმფრინავი ცაში აიჭრა, ფრთები შეარხია და წავიდა.

ტბაზე ტალღები აგორდნენ. კორპუსევეს ველარ ვხედავ. ალბათ წყალში ჩაახრჩო-მეთქი, იმ რჯულძაღვმა, მაგრამ ტალღები დატბრუნდნენ, დალაგდნენ და მეორე ნაპირზე გასული ვალოდიაც გამოჩნდა.

ბიჭებიც გამოძვრნენ ტყიდან, ცოტა დარცხვენილნი ჩანან.

კორპუსევეს ხელი დაეუქნო. მანაც ასწია ხელი, ვითომდა არავითარი შიში არ მიჰქამიაო, წყალში ჩავიდა და ტბა ალბათ სარეკორდო დროში გადმოსცურა.

სალამოს ანტონმა მანიშნა ტბისკენ გაეყოლოდი.

სამშო საფლავთან ჩამოვჩექით. ანტონმა ერთხანს უცქირა საფლავს, მერე კარებს გახედა და ასეთი რამ შითხრა:

— აქ ნუ დავყოვნდებით, მე ამაღამ არ გამოვჩნდები, წავალ, თუ მიკითხონ, უთხარო მალე დაბრუნდება და თავად მოვახსენებთ-თქო.

— სად მიღიხარ?

— არ ვიცი, შეიძლება არსადაც არ წავიდე. აგერ ტბის გაღმა გავალ და ღამეს იქ გავათევ. დილით როგორც კი გამოვჩნდები, იმ წამსვე რაში შემიკრი-

ბე. ახლა აღარაფერი მკითხო, ბიჭები აქეთ მოდიან, ნურც დილით დასცვივდნენ რაიმეს, ჩემი ნათქვამი მოგეწონება-თქო არა, თავი მაინც დამიქნე, ახლა ასეა საჭირო.

მე უხმოდ ავდექი და კარვისკენ წავედი. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენს კარავში სუბოლოლსკიმ შემოაყო თავი და მხოლოდ ერთი სიტყვა მოგვიგდო: წავედიო. აბა, შენ იცი ანტონ-მეთქი მივაძახე.

ანტონი რომ წავიდა, ჯერ ალიოშამ ჩამკითხა, მერე ვასომ, გვიან ლიზუნოვიც შემოვიდა და ისიც „გამომძიებლებს“ შეუერთდა, მაგრამ მე სიტყვა ვერ დამაცდენინეს. ანდა რა უნდა მეთქვა? თავადაც არ ვიცოდი სუბოლოლსკის განზრახვა.

დილით ყველას ავასწარი, კარავიდან გამოვედი და ტბისკენ გავიხედე. მეგონა ანტონი გამოჩნდებოდა.

ტბაზე ნისლი იწვა. ტბის სიღურჯე რძის ფერში არეულიყო და ვერც გაარჩევდით სად იწყებოდა ან სად მთავრდებოდა ტბა.

მზე ამოვიდა, ტბამაც ნელა, თითქოს ვილაც უხილავი ხელით აპრობსო, ნისლი მოიშორა და თვალისმომჭრელად ალაპლაპდა. დიდებული სურათია.

ირგვლივ ტყე, ნაქნარი, ტბის ახლო ბუჩქნარი, მერე მაღალი წყლის ბალახი და ტბა. საოცრად მშვიდი და ლამაზი ტბა.

ვიტბესკის მიმართულებით ისვრიან. სადღაც შორს თვითმფრინავის გუგუნის ისმის, მაგრამ აქ ისეთი სიწყინარეა, თითქოს მეორე ქვეყანაში ვცხოვრობდეთ.

სუბოლოლსკი ნაშუადღევს გამოჩნდა. მე შევეგებე. რატომ დაიგვიანე-მეთქი, ვკითხე ჩუმად. ასე სჯობდაო, მიპასუხა. ისე დასიებოდა თვალები, ეტყობოდა მთელი ღამის უძინარი იყო.

მე ლიზუნოვი გაფრთხილებული მყავდა, როგორც კი ანტონს მოჰკრა თვალი, რაში შეკრიბე-მეთქი.

ყველანი ჩემი კარვის ირგვლივ განლაგდნენ.

— ბიჭებო, მე ამაღამ უნდა დაგტო-

ვით. მაშინვე დაიწყო ანტონმა. — გავოცდი, ბიჭებიც შეიშმულხენ.

— რამდენიმე დღით უნდა წავიდე რაზმიდან. სოფელ ნერეიშის მახლობლად ტყეში ბატალიონი დგას. მე წუხელ ვერ მოვახერხებ მეთაურის ნახვას. ეილაცას გამოეძახებინა. დაცდა უთქვეროდ ვერ გადავწყვიტე. ამაღამ წავალ. მეთაური დღეს უნდა დაბრუნდეს. მოველაპარაკები და იქნებ შევერთოდეთ. რას იტყვით?

რას იტყვითო, ეს კი არ უნდა ეთქვა ანტონს. კრებაზე ხომ არა ვართ?

წამოვდექი, ბიჭებიც ამყვანენ, ეს კი მომეწონა.

— ამხანაგი სუხოლოლსკი უნდა წავიდეს, თან ერთი მეზობელი წაიყვანოს. ინახულოს ბატალიონის მეთაური, მოელაპარაკოს, თუ შეერთებაზე მიდგება საქმე, უარი რატომ უნდა ეთქვას?

იქნებ სხვა ამბებითაც გავაგონო ანტონმა წარგზავნილებმა. ჩვენ ხომ არ ეიცით რა ხდება ფრონტებზე, სადამდე მივიდა მტერი, რა ხდება სოფლებში და ათასი სხვა ამგვარი.

ანტონმა მოწონების ნიშნად თავი დამიქნია და ღიმილიც გაიმეტა, ბიჭები მოცოცხლდნენ.

სალამოს ანტონ სუხოლოლსკიმ ვალოდია კორპუშევთან ერთად ბანაიცი დატოვა. ანტონს ლიზუნოვის წაყვანა უნდოდა, მაგრამ მე არ დავეთანხმე. მისა აქ უფრო საჭირო იყო.

წასვლის წინ მე და ანტონი ყველაფერზე შევეთანხმდით. თუ მათ დაბრუნებამდე მტერი შემოგვიტყვედა, ტბის მეორე მხარეს გავიდოდით და ანტონს და ვალოდიას იქ დაველოდებოდით. სუხოლოლსკი მეოთხე დღეს უნდა დაბრუნებულიყო.

□ გაბრძნობა იმინა □

ბახსოვლეთ მარადის!

(გომიბურთი ხილვაჲსი)

1. ხარება

როგორც ტახტიდან ჩამოსული დედოფალი
მე თქვენთან მოვდივარ
და გეუფლებით.

როგორც ტახტიდან ჩამოსული დედოფალი
მე მძიმედ მოვდივარ და გეუფლებით.

და ხელის მტევანს, მოოპვილს სმარაგდით
ზევით ვწევ. ეს ნიშნავს:

გახსოვდეთ მარადის!

გლვარე მაჯებს —

შებორკილს მარჯნით

განზე ვწევ. ეს ნიშნავს:

დამიდეთ მიჯნა!

და მოწყალების სვედიან ნიშნად

თითებში ვიპნევე ბრჭყვიალა ქვიშას.

და ჩემი გვირგვინის თვითეულ ნამეტრევს

საწუთროს ქარებს

ვესვრი და ვმატებ...

ახე განძარცული აღსაფლის კარისკენ

ედგები. — ყველაფერი ხომ ჩამოვარიგე?

ვეჭვლები:

ეს ერთადერთი მძიმე ბეჭედი

თქვენდამი ერთგულების რკინის ბეჭედი?

ეს მეფელება განძად, ბორკილად,

და შიმეველ ხელებში ქარი მომკივის.

და ქუშ კლდეებზე დანდობილი
მე ველოდები საწუთროს ცხენებს.

თმა-ბუა აყრიათ დიდებულთ
და ნაპარალებში ფლოქვებსა სცემენ.

და მოლოდინში გაბმული ვედრება
ტკივილი-სიმღერა კვამლდება ცამდე:
ღმერთო. მე ქალი ვარ.

ქალი ვარ — გუნდობი

მომეცი ნება მხოლოდ შენ გგავდე!

და როგორც ორპირი მახვილი — ძახილი

მიიწევს, მალდება მდუმარე ცამდე.

მომეცი ნება:

დავემხო აკვანს.

ვერწმუნო თავყანს.

შევიძლო ატირება.

შევიძლო პატიება.

და მათაც, მათაც ჩაუდგი ძალა

მომგეპყრან კრძალვით — ქალი ვარ რადგან.

და მოდრეკილი თავებით დადგენენ,

ქალი ვარ რადგან!

თორემ ისინი მსოცავენ შამშვებს,

საკენკზე მისულ უმწეო შამშვებს,

და ასწავლიან სამიზნეს ბავშვებს.

მომეცი ძალა დაგვეტო კარი

ხმის ჩაწყვეტამდე ვიყვირო „არა!“

არა! არა!

...კართან ბინდისფერი ცხენი მელოდება,

მე კი შინდისფერი ცხენით მოვედი.

და რაკი აღარ მეშვებიან

ფერხთით ყვაილები მემლებიან —
 მე აფეთქებული ხარება მოვედი.
 ჰე თქვე უღმერთონო,
 ჰე თქვე უღმერთონო.

მე ჩემი ქალობის მაღალ უღელთანა
 კისერდაღუნული ხარიფთ მოვედი...
 ...ქართან ბინდისფერ ცხენი! შელოდება.
 მე კი შინდისფერი ცხენით მოვედი.

2. სიხადა

როდის დამეარდა ჩემი ნადავლი

ქროლვის სადავე.

მიტხარ მართალი.

იქნებ იქ, სადაც ვნახე სათავე

და ჩემი მხრები კლდეში გავთალე.

მიტხარ მართალი.

იქნება, როცა ველოდი ბორანს

და მფრეოდა ხიცხის ბურანი,

მიტხარ მართალი.

როცა დენიღნენ ჩემკენ ზეგარაკებს,

როცა მასმენდნენ ჭრელ ზანზალაკებს,

მიტხარ მართალი.

ანდა ისევ მე მალაპარაკე,

ოღონდ სიმაართლე, არა არაკი

ისევ, ისევ მე მალაპარაკე.

მამ ასე: ჩემი დიდი ნადავლი

ქროლვის სადავე, —

ჩემო ძვირფასო,

ვინ დამიფასა.

ახლა ვზივარ და კითარას მცირეს

ვუსინჯავ სიმებს:

„აქ ტირილი, აქ ყვირილი არ შეიძლება —

ფანჯრები და ქვის კედლები გადმოინგრევა.

აქ ტირილი, აქ ყვირილი

არ შეიძლება!“

(მე ამ სიმღერის წაშლილი სახე

ტველ, აუკინძაე წიგნებში ვნახე).

მამასაღამე არ შეიძლება.

ტყვილად მეტებ.

მე ნაკაწრები მანია მკერდზე.

ტყვილად მეტებ.

შენ გაიკვირვებ: „ვით გაიკაწრე?“

მე გმტყვი. გმტყვი. გმტყვი —

სიმკაცრემ!

სიმკაცრემ ხმელი შიმშილობისამ.

სიმკაცრემ — ცხელი წყურვილობისამ.

სიმკაცრემ — წასვლის. თმენის. თმობისამ.

აი, როგორი არის სიმკაცრე!

მე კი მგონებო იით მშობადნენ

რადგან პირველი ვიყავ მგოსანი

ხელთ მეყარა თასი ფერად შროშანი

მიმობატული ქქროდნენ ფრთოსანნი.

ვიყავი ვეფხვი. ვიყავი მწყემსი

და გაბნეული ჩემი მცხოვარი

ატატებული დამყავდა ტყეში.

და ჩემი სახის თხელი ივავი

გახდა პოემა.

გახადეს ლექსი.

და გუგებსახე ადმეველ მშითა

კიქის ტყავებზე ბოკვერებს ვზრდიდი.

— შენ ღონიერი იქნები მაგრამ

შენ გონიერიც მსურს იყო შეილო.

შენ გონიერი იქნები მაგრამ

შენ ლმობიერიც მსურს იყო შეილო.

მომიბლოვდი. მიჩვენე ტორი.

კიდევ ადრეა აგასხა თორი.

კიდევ ადრეა.

მზის ბაჭიები ტყეში დადიან.

როცა იქნება თვით გეტყვი სათქმელს.

ახლა კი ქარი აწვევა სარკმელს.

მე შევანარცხე მზის დასვლას ქნარი

და სველ მუხლებზე დავაგდე ქარი.

ქარს ვკითხვ: თქვი. თქვი, რა არის სევდა?

ქარმა თქვა: სევდა? სიმკაცრის დედა!

სევდა ქარიანი ქალაქია.

ჭერში ჩამოსული წვეთია.

სევდა ის არ არის რასაც კქეია,

სევდა იმაზე მეტია.

— როგორ თქვი? — „დედა არის სიმკაცრის?“

რა სიმკაცრე?

— სულს რომ გაიკაწრავს.

— მერე? ჩემს სულთან მას რა ხელი აქვს?

ჩემი შვილები, გესმის? მღერიან...

— დრო მოვა...

— არ თქვა!

— თუ უწერიათ?

— შენ განუსჯელი არსი ხარ მხოლოდ.

— მაგრამ მე ვიცი რა არის ბოლო.



რათ გავიწყდება— ვიყავ პირველი
 იდეს შენივთდა ეს საკვირველი
 ქმნილება, რასაც დაარქვით მიწა.
 ჩემს ფერხთით იწვა.
 მერე მოხვედით. ტორტმანებთ. იწვით.
 და ბოლოს გიღებთ პატარა ხიწვიც.
 — ეს ყველაფერი მსმენია უკვე.
 გაბრუნდი უკან.
 მე მახლავს შუქი. თავს ვარქმევ უკვდავს.
 გაბრუნდი უკან.
 შენ გინდა, მაგრამ არ განვიძარცვე.
 — მაგრამ სიმკაცრე?
 — სიმკაცრე?... მე მას წარვტაცებ
 გვირგვინს.
 — წარტაცებ? მაგრამ შენ შექმენ იგი.
 — ვვ როდის?!
 — როცა ხატავდი კოშკებს ფერადებს.
 — თუკი მზვერავდნენ?
 — ატანდი ქრილებს, ვით სათოფურებს.
 — დავხვდი მომხვდურებს!
 — იმ კოშკთან ფერად წითელი სისხლი...
 — სიკეთე ვიხსენ!
 — შენ წელან ტორი უნახე ბოკვერს...
 — რათა არ დარჩეს ლაჩართა ლუკმად!
 — წელან ვძებდი ტოტებს საისრუს.
 — მე გესიტყვები ისევ და ისევ — იგი
 დავიხსენ!
 — ვიდრე აგებდი კოშკებს ფერადებს...
 — რაკი მზვერავდნენ.
 — ვიდრე ატანდი შივ სათოფურებს...
 — გითხარ — მომხდურებს!
 — და ვიდრე სისხლით წაშალე სისხლი...
 — სიკეთე ვიხსენ!
 — ვაი შენ! კოშკებს ცადამართულებს
 ცივი სიმკაცრე დაესადგურა.
 კვარლცხმბგად უღვეს ოქროს სართული
 ყვითელი ფურცლით მიმოფანტული.
 — ვაი შენს კოშკებს ცადამართულებს!

ბავშვებმა მითხრეს: „ღედა, ჰყვიროდი...“
 მე არ ვყვიროდი. იძინეთ წყნარად.
 ნუ გეშინიათ ეს ქარი არი.
 ნუ გეშინიათ. მე არსად წავალ.
 მე მხოლოდ თოფებს იქით ვალაგებ.
 გარშემო ვუვლი პირქუშ ქალაქებს
 და წინწაწვდილი გამლილი ხელით
 დავეძებ ბზარებს... რეკავენ ზარებს...

არ შეიძლება არ იყოს ბზარი.
 არ შეიძლება არ იყოს კარი. არცაა ნული
 მე ქონგურებზე დავაბი ქარი. ბიზლირეთსა
 გააღე კარი!
 შენ გეშინია:
 რადგან ვვ სული გაქვს გაყიდული.
 რადგან უფსკრულში ხარ ჩაყიდული.
 შენ გეშინია — მე ვარ სინათლე.
 შენ გეშინია — მე ვარ სიმართლე.
 ეს მე ვარ.
 ვბრძანებ — გააღე კარი!...

ზურგიით რათ დგახარ?
 მე ხომ გიცანი.
 გიცანი ბეჭის ათლილ ფიცარით.
 გიცან მტარვალის ღონიერ კისრით.
 გიცან ხელეებზე შემსმარი სისხლით...
 მე მოვიტანე ფაჩურა წყვილი:
 მან ვერ მოასწრო ეგვალა კბილიც
 შენ ჯოჯოხეთის ცეცხლში გაგუდე.
 ეს მე გამჭურდე!
 მკერდს ამაგლიჯე თბილი საკინძე
 და სახრჩობელის ბოძზე დამკიდე.
 მიწა, რომელიც მე შემხვდა წილად
 ჩემი ჭრილობის ცრემლებით ბრწყინავს.
 პირქვედამხობილ ქალაქთა გვერდით,
 სად ჩაიარე ცეცხლოვან ეტლით
 ჯერ ისევ ბოლავს ხანძართა სვეტი.
 ჯერ ისევ ბოლავს...
 სად არის ბოლო?
 შენ ქვაბქვეული ცნება ხარ მხოლოდ,
 შუბლზე გამხვია ყინულთა ხომლი.
 ხელაწვეული მოვუძღვი ხომალდს,
 სახვეშელილი მომყვება ქორო,
 და ცხელ ჩირაღდნებს ვესვრი პირადმა
 შენი სანგრების გათოშელ უკუნს...
 როცა იქნება მე დაგხვე უკუ!
 როცა იქნება შეგირყვე ფუძეს,
 ჩერის ბაირაღებს დაგაყრი გულზე,
 შენს ნატახტარებს, იავარქმნილებს
 მე დავატარებ ჩემს ამაყ შვილებს,
 და როს ჩავუვლი ნაომარ თხრილებს
 მე დავიყვირებ: „იყავით ფრთხილად!“

ბავშვებმა მითხრეს: „ღედა, ჰყვიროდი...“
 მე არ ვყვიროდი. იძინეთ წყნარად.

ნუ გეშინიათ. ეს ქარი არი.
 ნუ გეშინიათ. მე არსად წავალ.
 მე მხოლოდ თოფებს იქით ვალაგებ.

გარშემო ვუვლი პირქუშ ქალაქებს.
 და საბოლოო ბრძოლით დადღლილებს
 მიწაში ვარტობ შიშველ მასწავლებლებს!

3. სინაზა

სინაზე პირველი

მე ახლა უწმინდესი ვარ.
 მე ახლა მთლად,
 სულ მთლად ლექსი ვარ.
 ყოველი ძარღვით,
 ყოველი კუნთით
 მადლობას ვუთვლი
 ტკივილებს ჩემსას, რომელმაც უნდა
 მაქციოს ლექსად.

და ჩემი სისხლის ყოველი არსი
 არ აღმოშობად სინაზით მარხვეს.
 მე მეშინია არ შევიშალო.
 თუ შევიშალე —
 უნდა მიშველოთ:
 ამიკყარო ხელი და ქვეის კიბიდან
 ფრთხილად, სულ ფრთხილად
 ჩამომიყვანეთ.

თქვენ ამით შეძლებთ გადამიბიროთ
 ოღონდ ეს მტვერიც ჩამომიყარეთ —
 წელან ზამბახი მომწვდა მაღალი
 და მისი მტვერი ჩამომიყარეთ.
 მერე დამტოვეთ.

ნუ გამიტაცებთ,
 დაღლილი რხევით
 უკან წავიღებ მშვენიერ ხელებს
 რომელთაც ჭდენი აზის სიმკაცრის.
 არ შეიძლება ასე ვეჩვენო
 სინაზეს, რასაც კჭვია საჩემო,
 აბა, მითხარით, როგორ ვეჩვენო?
 ...ო, ღვთაებრივო თეთრო ატმებო
 გაყურდით თქვენაც, ნულარ ატყდებით.
 მე დაძაბული სიმი ვარ ახლა
 და ველი ახალს.

გაყურდით მეთქი, რათა არ ჩავწყდე.
 ისინი მოვლენ, მათ უნდა ჩავწყდე.
 ისინი!

ისინი ნელა აღებენ ჭიშკარს
 და შემოდინ იმ ვიწრო გზაზე
 რომელსაც ჩემი ხსოვნისკენ მიჰყავთ.
 გზაჯვარედინზე დგებიან მშვიდად

და სათითაოდ იძრობენ რიდეს.
 მუხლზე ვეცემი და ხელებს გიშვერთ,
 ვკოცნი, ვით კერპებს თქვენს ტერფებს
 შიშველთ.

ბინდბუნდში გზები მერწყვა ვიწრო,
 თქვენ მოხვედით და მე უნდა გიცნოთ:
 ის,

ვინც ყველაზე პირველი მოდის
 დამწვარი კვამლის სურნელი ასდის...

— შენ ხომ ასეთი არ იყავ მაშინ
 როცა კარდაკარ დაგყავდი ქარში?

— ეს მე ვარ მაინც!

— შენ ხომ ასეთი არ იყავ მაშინ

როცა ბეჭებზე შემისვი ბავშვი?

— ეს მე ვარ, მაინც!

— მერე? სად არის მინდვრები ცხელი,
 სად არის შენი დამწვარი ხელი,
 სად არის თონე — პური რომ თხოვე?

— ის შენთვის ვთხოვე!

— ჰო. ჩემთვის თხოვე.

გახსოვს? ხელიდან გამეარდა ლუკმა.

— მე დაგაბრუნე. აიღე უკან.

— და მაკოცინე.

— და გაკოცინე, ცრემლებით სავსეს,
 რადგანაც პური არ შეიძლება დატოვო

გზაზე.

— მაშ ერთხელ კიდევ, მაშ ერთხელ კიდევ

გთხოვ კვამლისფერი გადიძრო რიდე.

— არ შეიძლება!

მანახვე ყანის პატისონება

გადარწული თხელი სოსნები.

— არ შეიძლება!

— მეურმეები — ღამის მგოსნები.

— არ შეიძლება!

— წვიმები მრუდე.

ფშატის ტოტებში ბუღბუღის ბუღე.

— არ შეიძლება!

— მაშ ყველაფერი შენ წაგყვა განა?

— მე წამყვა თანა!

— იქ, სადაც მიწა გადავაბრუნეთ,
 იქ, საიდანაც ვერ დაგაბრუნებ,



იქ წაგყვა განა?

— იქ წამყვა თანა!

...ახლა იქ კენტი ალუბი დგანან.

გავიდე ლექსები,

დაგიდგი მესერი

მაგრამ ვერ შევლებე,

ვაითუ ქარები გვყავა

და ტიშკარს ალებენ...

და როგორც შარშან,

და როგორც წუხელ

კუტკალიები მახტება მუხლზე.

შე ვიხრები და წუხილით ვუმხელ:

„ამოდის ქართლის წარმატაი მთვარე,

შორი სერები ჩანს მელოტებად.

ერთი პატარა, ბებური ქალი

ხის ძველ კიბეზე აღარ მელოდება.

აღარ მელოდება...“

ჩემო პირველო, პირველო სინაზე,

წერწეტა ყანჩები დადიან სილაზე.

ქაერი იხვრიან ვერცხლისფერ თევზებს

და დიდი ტუჩები უშრებათ მწყემსებს.

ჩემო პირველო,

პირველო სინაზე...

და კ ა რ გ უ ლ ი ხ მ ე ბ ი ს ს ი ნ ა ზ ე

წელან შუქი ჩავაქრე და ჩამეძინა.

ბალის ხმაური მეგონა წვიმა.

დიდი, ჭრელი შალი მესურა ტანზე,

სიხმრებში ვხედავდი ყვლყვლა ტაძრებს.

ვხედავდი ზეცისკენ გაფრენილ ბოძებს

და მავთულებზე სიმღერის ბორძიკს.

წელან შუქი ჩავაქრე და ჩამეძინა.

მოვიდა სინაზე. დამადო ხელი.

თხელი, მთლად თხელი დამადო ხელი.

ქაერისფერი მოიძრო მანტია

დამიჯდა თავთან და ამატირა:

სად იყავ, სად იყავ, სად იყავ ჩემო,

— ვიყავი ქაერი.

ვიყავი ჩერო.

ვიყავი წარსულის წასული ხმები.

თეთრი ვარსკვლავებით სავსე მაქვს მხრები.

აბა, შენომხედე, აბა გამიხსენე,

აბა იმავე ხმებით გული დამისერე:

„ქალი მიდის

ბროწეულის ტყეშია,

ბაღდადი აქვს

მოსვეული ყელშია“...

— მე არ გაგიხსენე? მე გადაგვიწყვეს?

ეს მე არ მოვრბოდი ბედნიერ კივილზე?

ეს მე არ ვიყავი? ეს მე არ ვმღეროდი?

გულამოფატრული ლერწამის ღეროდან?

მჭკვირვალი ოცნებით, გიჟიზა პირიშვით

მოვრბოდი ბორცვებზე,

დავეცი ბილიკზე

და ბროწეულები მესროდნენ ნაკვერცხლებს.

აქ დარჩი. აქ დარჩი. კიდევ არ გამეცქცე!...

ყველას ხომ არ შეუძლია ახსოვდეს ხმები.

ყველას ხომ არ შეუძლია მოენატროს ხმები.

აღამიანივით მოენატროს ხმები.

ზოგმა სულ არ უწყის რა არის სინაზე —

გადაკარგული ხმების სინაზე.

...შენ ამბობ გიხმობენ შორი ტალღები?

ისინი გაალობენ. გამღვრევენ.

როგორ შეიძლება შენი შემღვრევა?

სმენა მებშობა. ხსოვნა მერღვევა.

მახსოვს პოეზიის დიდი ტიტანი

ჩვენი ვიწრო მხრებით რომ ვერ გავიტანეთ,

ჰოი რა ხმა ჰქონდა! ჰოი, რა ხმა ჰქონდა!

მუსიკა პოეზიის იმ ხმით დაჰქონდა!

აბა, დამაცადე, წამოვდგე ზეზე.

თუმცა თავით მიდევს,

მივწვდები ლექსებს.

ლექსი გამახსენებს, გამახსენებს იმ ხმას,

რომელიც დატოვა სივრცეთა მიღმა.

როგორ შეიძლება იმ ხმის შემღვრევა?

სმენა მებშობა. ხსოვნა მერღვევა.

როგორ შეიძლება ხმების დავიწყება

უნივთო ხმათა უწყალოდ დამიწყება?

როგორ დავილაღე.

როგორ დამელაღე.

მოდი დაიხარე.

დგება თეთრი ლამე.

მე კი შუქი ჩავაქრე და ისე ჩამეძინა,

ბალის ხმაური მეგონა წვიმა.

დიდი, თბილი შალი მესურა ტანზე.

სიხმრებში ვხედავდი ყვლყვლა ტაძრებს.

და კიდევ შენ განახე — დაკარგული ხმები;

თეთრი ვარსკვლავებით სავსე გქონდა

მხრები!...

4. პასხვლეთ მარადის




- ვერ წამაფარებენ მეწამულ მანტიას —
მე მხოლოდ ასული ვარ ადამიანს.
და ჯერ არავეის დაუხატია
ძელიდან ჩემი გარდამოხსნა.
არავეის დაუხატია:
გამწერალ ტურქებზე
ვით ამომაწოდეს ღრუბელი შუბებით.
შუბებით.
და აღმა-დაღმა,
და აღმა—დაღმა
ქანაობს ბინდის შორი ხვამლები:
გაძლებ თუ არა კიდევ ხვალამდის?
შეძლებ თუ არა კიდევ ხვალამდის?
მაგრამ რათ მტკივა ხელი მარცხენა? —
სამსჭვალმა თავი თუ გამახსენა.
მაგრამ რათ მტკივა ხელი მარჯვენა? —
განაღა ჩემდა გადასარჩენად.
წამით გაჩერდით. კიდევ მერვენოს
წამანება ასე რომ მენანება:
სავედრებული თეთრი ალგები
სიმალღებებს რომ მიქანება.
კიდევ თუ ბრუნავს ფერადი ბურთი,
რომელიც მწამდა,
რომელიც მძულდა,
ეგ დიდებული საუფლო ჩემი,
ბოლოს რომ თავად მომიჭრა ძელი
და აბა, უნდა გარდამოხსნას ცრემლით.
...შვილი, რომელიც ტკივილით ვმოზე,
ამომიდგება მარცხენა მხარში.
შვილი, რომელსაც მოვეყვარ ღმობით
ამომიდგება მარჯვენა მხარში.
შვილი, რომლისთვის აღარ მეცალა,
დავიღალე და აღარ მეცალა,
ვიცი განმიბანს ხელებს მეწამულს,
და ჭირის ოფლით დაცვარულ კუნთებს
მიწა დაადებს გაყინულ სუნთქვას:
და მკითხავს მიწა:
— გტკიოდა ძლიერ?
მე ვეტყვი: — ძლიერ, ძლიერ მტკიოდა!
და მკითხავს მიწა:
— მერე? ხომ ძლიერ?
მე ვეტყვი: — ვძლიერ, მაგრამ მდიობდა,
ცრემლი მდიობდა.
და მკითხავს მიწა: — გიყვარდა ძლიერ?
მე ვეტყვი — ძლიერ, ძლიერ მიყვარდა!
და მკითხავს მიწა: — მერე? ხომ ძლიერ?
— ვძლიერ, როდესაც ძელთან მიყვარდით.
და მკითხავს მიწა: —
— თუ გძულდა ძლიერ?
მე ვეტყვი: — მძულდა.
მეტი ვერ შევძელ.
და მკითხავს მიწა: — მერე? ხომ ძლიერ?
— ვძლიერ. როდესაც ავმალღდი ძელზე!
და მკითხავს მიწა:
— ხომ არ განძარცვე?
მე ვეტყვი: — არვინ განმიძარცვია.
მე ძოწვეული დაგწვი ხანძარში,
ახლა ხომ ხედავ, ჯვალო მაცვია.
შენ თავად ხედავ — ჯვალო მაცვია.
და მკითხავს მიწა:
— ხომ არ მოკალი?
მე ვეტყვი: — ვმოხდი.
სხვები კი კლავდნენ.
და მკითხავს მიწა:
— ანთებდი კანდელს?
— ზედ გულზე, გულზე ვინთებდი კანდელს.
და მკითხავს მიწა:
— ახლა რას უმზერ?
— მზის ჩაბრძანებას ერთადერთ ქიმზე..
— კიდევ რას ხედავ?
— წითელპურანგა ბიჭუნას, ვხედავ, —ის
უხმობს დედას!
„დედა! დედა!“
არ შემიძლია მხრები ავწიო.
პასუხად ვუთხრა: „ჩემო პაწია“
არ შემიძლია...
და ამბობს მიწა: „ახლა ხომ გძლიერ!“
კართან ბინდისფერი ცხენი მელოდებდა.
მე ხომ შინდისფერი ცხენით მოვედი?
იქნებ ეს იყო დედოფლის მოღანდება
მე რომ შინდისფერი ცხენით მოვედი?
იქნებ სულაც არ იყო არაფერი:
არც მზისფერი.
არც ცისფერი.
იქნებ სულაც არ იყო: ბალი დარწვეული.
არც გაზაფხული ძოწვეული.
არც გადამტყდარი მთების არილი.
არც ზღვის მოქცევა. მთვარის მიღვევა.
იქნებ სულაც არ იყო არაფერი?
მაგრამ რომ მახსოვს ღმობილი მუხლები —

დარქილი რომ არტახს ვუბვედი?
 მაგრამ რომ მახსოვს კივილი ბავშვის
 თბილ მდინარეში ძალით რომ ჩავსვი?
 მაგრამ რომ მახსოვს შადლობის ღიმი,
 როცა ვაჩუქე წითელი ღილი?
 ის იყო შვილი!
 მამასადამე: იყო მზისფერი.
 იყო ცისფერი.
 იყო ბალნარი დარწვეული.
 იყო გაზაფხული ძოწვეული.
 ზღვის მოქცევა და მთვარის მიღევა.
 თბილი ღამე და გრილი გვირილა.
 ეს ყველაფერი იყო და იყო.
 და მე — დედოფალს, გიჟივით მიუვარს.

და მე გიყვირი: უნდა დავბრუნდე!
 მაგრამ შენ სდუმხარ თოვლის დუმილით.
 მუშტებს გიღერებ — უნდა დავბრუნდე!
 შენ ისევ სდუმხარ თოვლის დუმილით...
 რაკი ასეა, მე თვითონ წავალ.

გსურს თუ არა გსურს — წარგტაცებ ძალას,
 ავიქნევ სულის დაცემულ ალამს, ^{კრეწულნი}
 იქ, სანიშნოზე მინთებენ წალამს ^{საღიწიხეა}
 მე თვითონ წავალ!
 სათოფურებში გაჩხერილ ჭაღებს
 მე შევაგებებ მახვილის ჭახანს,
 სიცოცხლისა და სიკვდილის ნიშთან
 რომელსაც ვტეხავ
 ზეიმის ნიშნად.
 ზეიმის ნიშნად!
 და შიშნეულად იხვევენ მთები.
 და ოქროსფერად მეშლება თმები.
 და ხატისგვარად კისერს ვიღერებ.
 და კოცონივით მომაქვს სიმღერა.
 და ხელის მტევანს — მოოჭვილს სმარაგდით
 ზევით ვწევ.
 ეს ნიშნავეს:
 გახსოვდეთ მარადის!



კლიმენტი გომიკაძე

ი ლ ი ა ო ბ ა

გიომკაპოლიტი რომანი

მ მ კ რ ე ლ ი

მამამ ილიას თბილისიდან საწერი ქაღალდი
ბლომად ჩამოუტანა.

— აჰ, წერე და წერე!

გრიგოლს მოსწონდა შვილის ნაწერი, ლა-
შახად გამოყვანილი ასოები.

ილიამ ახლაც ერთ ფურცელს თავისი სახე-
ლი და გვარი დაწერა.

— სწორი არ არის, — დაუწუნა მამამ, —
შენი სახელი და გვარი რას მიჭვია? აქ ორი
მთავარი სიტყვა კიდევ აკლია! — და ნაწერს
ხაზი გადაუსვა, — ამიერიდან როგორც მე გე-
ტყვი, ისე დაწერე ქაღალდს, წიგნს, ყველა-
ფერს!

ილიამ ახალი ფურცელი დაიდო წინ. გრი-
გოლმა უკარნახა:

— თავადი ილია გრიგოლს ძე ქავეკავეძე.

ილიამ გულმოდგინედ გამოიყვანა ასოები.

— აი ასე, შვილო. ასჯერ დაწერე, ტენში
ჩაგვეკედება, მერე არასოდეს არ დაგაეწყდება.
გრიგოლი ნადიმის თადარიგს იჭერდა. ამის
მიზეზიც ქონდა. სამიოდ წლის წინათ თავადე-
ბის სიაში შვილების ჩარიცხვა ითხოვა, დრო-
ზე პასუხი ვერ მიიღო, ბოლოს, ძლივს ეღარსა
დასტურს. ეს გასახარელი ამბავი თბილისიდან
საწერ ქაღალდთან ერთად ჩამოიტანა, ვინ იცის,
რამდენი ფურცლი, რამდენი წავერი დააღწა გუ-
ლზე, სანამ ეს საქმე დავვირგვინდებოდა. ახ-
ლა შვილმა თავისი ღირსების მაჩვენებელი სი-
ტყუა რომ არ დაწერა, ეწყინა.

ილია ლამფის შეჭმე თავადებულზე წერდა.
სამი ფურცელი გადაამაგა და მერე ძილმა
წაიღო.

გაიუნდა. სახლში ვეღარ გაჩერდა, მასწავ-

ლებლისათვის უნდა ეჩვენებინა ეს ლამაზ-
ასოებით ნაქარტი ქაღალდი. იმითმ სკოლაში
ადრე შვიდა და რვეული ნიკოლოზ მასწავ-
ლებელს გადასცა.

— ნახეთ, ჩემი ნაწერი.

ნიკოლოზს გაეცინა. „მარტო სახელიდა შერ-
ჩა გრიგოლს, სახრავი კი გამოელაია“, მერე
ილიას ქონიორზე ხელი გადაუსვა.

— ქარვად დაგიწერია. წიგნი არ ჩამოგიტა-
ნა?

— ვერ უშვინია.

ნიკოლოზს სეფაშვილი წარმოსადგვი ვაყვაცო
იყო, გამზდარი, მკრთალი სახისა, მაგრამ ამ სი-
გამზდარეს ხელი არ შეუშლია, ყვარელში ფა-
ლანის სახელი მოიხევა, მისი წამქცევი და
მომრევი არავინ იყო.

ნიკოლოზი ღმერთსაც კარვად ემსახურებო-
და. ყვარლის თომა მოციქულის ეკლესიაში
მთავარ დიაკვნად მუშაობდა, ამ ხელობას მან
სოფლისთვის უფრო საჭირო და აუცილებელი
საქმე შეუთავსა — ეს იყო მასწავლებლობა.

როცა ეინი აიტანდა, შავ ანაფორას ეუთხე-
ში მოაგდებდა და მოედანზე ტოლ-სწორებს იწ-
ვევდა. უილაობაში გამარჯვებულს, გადამმული
ქეფი და ღროს ტარება ვერ ერეოდა, სკოლას
შინც არ აცდენდა, მოწაფეებს შხრუნველ მა-
მასავით ეპყრობოდა.

ბიჭებს თავი მოჰქონდათ, რომ ასეთი ნანატ-
რი და ღონიერი მასწავლებელი ჰყავდათ.

ყვარელს სკოლა კი არ ჰქონდა. ილიამ წე-
რა-კითხვა ისე შეისწავლა, რომ მერხი, დავა
ცარცი, და, რაც მთავარია, სახელმძღვანელოც
კი არ უნახავს.

კარვ ამინდში ნიკოლოზი ბავშვებს ეზოში,
მუხის ქვეშ, ფეხმორთხმით დასეამდა, თვითო-

ნაც წინ დაჰდებოდა, და მანამ ხმას არ ამო-
ლებდა, სანამ არ გაინაბებოდნენ.

იმ დღეს ნიკოლოზმა ვაკეთილზე გახეთი-
„თბილისის უწყებანი“ მიაწიდა ილიას.

— აჰ, ერთი კარგი ლექსია მოთავსებულ-
და წაიკითხე.

ილიამ კითხვა დაიწყო. პირველსავე სიტყ-
ვანზე სიცილი გაისმა.

— რა არის სასაცილო? ლექსს „ძილი“ ჰქვია.
ძილი არ ვაკვფობიათ? ვაჟმდით! — გაისმა
მასწავლებლის დაბალი ხმა.

— ილიას თვითონ უყვარს ძილი! — უადგი-
ლოდ იხუმრა ალექსიმ.

ამდგრა ილია, მსუქან ღოუებზე ცეცხლ-
წაუკიდა.

— ეს ლექსი ზემიარად ვიცი! — უთხრა მან
მასწავლებელს და გახეთი ვაწწოდა.

„თბილისის უწყებანი“ ილიას შინაც ჰქონ-
და. მარაჰი თითქმის აზებირებინებდა მის თვი-
თველ წერის, ლექსს შთი უმეტეს, ისე რა
გორ ვაუშვებდა, რომ ბიჭისათვის სხაასახუბით
არ ესწავლებინა. იყოდა ეს მასწავლებელმა.
აბრტომ ვაჭარებულ ილიას ვაზეთი გამოართ-
ვა და ამხანავის ზურგს ამოთარებულ ალექსის
დაუქანა:

— ძილი რომ არ გიყვარს, გამოშართვი და
წაიკითხე.

ალექსიმ ვაზეთი გამოართვა, ორი სტრიქონი-
ძლივს ამოიკითხა და შერე თავე ჩაღუნა.

— განაგრძე!

განაგრძო. ასოების მარცხლას მოჰყვა, მაგ-
რამ შერე სიმწრით წაიკითხულს თავე ვეღარ
მოაბა.

ილიას ველმა ვეღარ მოუთმინა, შეებრალა
ცულ დღეში ჩაეარდნილი ამხანავი და მიუშვე-
ლა.

— გაიშვილი! — გააფრთხილა მასწავლებელ-
მა და ალექსის ვაზეთი გამოსტაცა.

— სიტყვილი შენ, კითხვა ვერ ისწავლე! —
შერე მოწაფეებს მიუბრუნდა, — „ძილი“ პეშ-
კინის ლექსია, ქართულად თარგმნილი, შემდეგ
ვაკეთილზე ვადაწაწერინებთ და ისწავლეთ.

მასწავლებელმა „თბილისის უწყებანი“ გვე-
რღზე გადაღო და მაგიდის უჯრიდან ვარდის-
ფერი ქაღალდი ამოიღო. მოწაფეებმა იცნეს,
დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“.
გუშინ ამ ლექსის პირველი რვა სტრიქონი თი-
თველ მოწაფეს ხეთყერ მანც წაიკითხა, მე-
რე ვადაწერინა და საზეპიროდ მისცა. დღეს
გამოკითხვას აპირებდა, ამას მაშინვე მიხვდნენ
ბიჭებმა. უკელა მასწავლებელს მიანერდა, შეე-
საღი თვალენით შეემუდარნენ, არა შე გამოიძახე,
არა მეო. ნიკოლოზმა შეატყო, რომ ვაკეთილი
ვევლამ იყოდა, არც ერას არ ჰკითხა და მო-
ულოდნელად გამოაცხადა:

— მოეშახლეთ საწერად!

მოწაფეებმა გრძელი, დაბახული ქაღალდე-
ბი, რვეულეზად აკინძულენი, წინ დაილაგეს.

ზოგი რვეული ვარდისფერი იყო, ზოგი რ-
მონისფერი და ზოგიც თეთრი. ვის როგორც
ემოვნა, ისეთი მოეტანა.

— გურამიშვილის ლექსს ვაგრძელებთ, პირ-
დაპირ მიჰყვეთ წინათ ნაკარნახევ სტრიქო-
ნებს.

შეუდგნენ წერას. ნიკოლოზი აღტაცებული
კითხულობდა ლექსს, ხან აუწვედა ხმას, ხან
დაუწვედა. მორჩილ მოწაფეებს თავიანთი ვა-
უწერთნელი ხელებით ონხო-ბორჩოდ გამოჰ-
ყავდათ ქართული ასოები.

წერას გვიან მორჩნენ.

მასწავლებელი სახელით მიმართავდა მოწა-
ფეებს, რადგან მასთან ექვსი კვაკვაძე სწავ-
ლობდა.

— ილია, ამ ლექსის რომელი ადგილი უფ-
რო მოგეწონა?

„ილია წამოღგა, თვალი უცებ გადაავლო ქა-
ღალდს და მიუგო:

— თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, ვასტანჯავს
წუთისოფელი.

ალექსის ენამ გაუსწრო და წამოიძახა:

— სწორია!

— ამდენი თუ ვესმის, რატომ ბეჭითად არ
სწავლობს! — გაუწერა მასწავლებელი.

ალექსი ვაშრა, ინახა, ნეტავი ხმა რად ამო-
ვიღო.

კითხვასა და წერას გვიან მორჩნენ. მასწავ-
ლებელმა სახლიდან ნაჭრის ბურთი გამოიტა-
ნა. წესად ჰქონდა, ბურთს იმ ბავშვს გადას-
ცემდა, რომელსაც ვაკეთილი კარგად ჰქონდა
მომზადებული.

მალა ასროლილი ბურთი ილიამ პერში და-
იჭირა. თამაში დაიწყო.

მალე გახურდნენ ბიჭები. ბურთი ხელიდან
ხელში სწრაფად გადადის, ილია მარდად ვერ
დარბის, ტალ-სწორები უსწრებენ, სტაცებენ
ბურთს.

ბურთი მიწაზე გორავს, მაგრამ ეს არაფერი.
წაგება-მოგებაში არ ითვლება. მთავარია, ერთი-
მეორეს მიუვდონ ბურთი და დანიშნულ ადგი-
ლამდე ხელით მიიტანონ.

მასწავლებელმა ერთ ხანს უყურა ბიჭების
გაწამაწას, შერე აკლის ხის ჩრდილში მოიკა-
ლათა და პლატონ იოსელიანის ახლახან გამო-
ცემული ქართული გრამატიკის წიგნი გაშალა.

ბავშვებმა უვიროლსა და ღრბანცელს უშა-
ტეს. ეს არ მოეწონა მასწავლებელს და გასძი-
ხა:

— ნუ ყვიროთ, ენით ზომ არ თამაშობთ?

კოტა ხნის შემდეგ თვითონაც მოვიდა თამა-
შის გუნებაზე და იკითხა:

— ვინ იგებს?

— ჩვენ! — ამაყად მიუგო ალექსიმ. ამა-
სობაში მისმა ბიჭებმა იყოილეს და ორი ბურ-
თი კიდევ გაიტანეს.

ალექსი მაშინვე გამოქანა, ილიას გაშლილ

ზურგზე შეიხტა და გახარებულმა დასძახა: მა-
წიანო, მაწიანო!

ასე მოიქცნენ სხვებიც. წაგებულგზა მხრებზე
შეისვენს მოგებულნი და სათამაშო მოედანზე
გაიქც-გამოიქცნენ.

ბურთი კი დაღმართზე გორებ-გორებით და-
ეშვა. ეს ენაგადმოგდებულ ფინიას იქვე, ჩრდი-
ლში რომ დაეცემოდეს, მოეწონა და ყუფა-
ღრნით გამოედგა.

თავიდასუსტად და გაფრთხილებული ილია მძი-
ბედ დაბაჟდა.

მასწავლებელს ილიას ის ნაწერი მოაგონდა,
წელან რომ მოიტანა და გაეცინა. „აი, დედასა,
რა დღეში ხარ თავადო, მამაშენმა რომ დავი-
ნახოს, გული გაუცხდებო“ და მისდა უნებურად
გასძახა:

— კარგი, ალექსი, გეყოფა!

გლხის ბიჭი მაშინვე ჩამოხტა.

მაგრამ ილიამ ეს იუყადრისა.

— ბატონო მასწავლებელო, კანონი კანონია,
რაკი წავაგე, კიდევაც უნდა დავისაყო. — და
ალექსის ზურგი მიუშვირა.

— მაწიანო! — დასწყვიტა ალექსიმ, მაგრამ
ალარ შეასტა.

ბიჭები ისეე დარბოდნენ.

მასწავლებელმა ილია გააფრთხილა.

— შეიღო, მამაშენმა არ გაიგოს, ალექსი
რომ ზურგზე გეგდა, თორემ ეწყინება.

თამაში დამთავრდა, ბიჭებმა სული მოითქვეს,
წყალი დალიეს, შინიდან მოტანილი შოთითა
და გუდის ყველით შიმშილი მოიკლეს.

ილია კამის გუნებაზე არ იყო, ნახუტი შუა-
ზე გადატეხა და ნახევარი ალექსის მიაწოდა.

უყვარდა ეს ენამწარე ბიჭი. ბევრი დარდი-
ანი ლექსი იცოდა. ფანდურსაც კარგად უყრავ-
და და სიმღერაც ემარტებოდა.

ალექსიმ გამოართვა ნახუტი და ჩაქიჩა.
მოეწონა, მაგრამ მადლობის მაგიერ შწარედ
უთხრა:

— ასეთ ნუნგბარ საკმელს რომ მიირთმევ-
იბიტომ ხარ მსტქანი, სირბილ-თამაშის შნო
არა გაქვს.

— მაშ რა, წიწკა ეკამო?

— რატომ არა, მარგებელია.

— წიწკას რომ ეტანები, იმიტომ გაქვს მწა-
რე ენა?

— არ იცი რა...

— როგორც გატყობ, ამ ნაქერზე გიჭირავს
თვალა, აბა, გამოიმართვი.

— რომ გაესუტდე? — ჩაიციან ალექსიმ და
ხელი გაუწოდა, მაგრამ ილიამ ნახუტი თვითონ
ჩაქიჩა.

ალექსის გაწბილება ეწყინა, მაგრამ არ შე-
ამჩნია, გამვერდილი ხელით ქოჩორი გაასწორა.
— შეგენანა? — შეაკარად ჰკითხა მან.

— ვითრე ჩემსავით გასუტდე! — მოუტკრა
ილიამ.

მეორე დღეს მოწაფეები სტუმარი ადრე მი-
ვიდნენ. მაგინა შემოესახდნენ, ზოგმა წიგნი
გაშალა, ზოგმა რვეული, ზოგმა ფანქარი ამოი-
ღო და ხატვას შეუდგა.

მასწავლებელი გვიან გამოვიდა, ანაფორა გა-
ეხადა, ტლოს შარვალ-ხალათი ეცა, კეფაზე
თუშური მოეგდო, მოწაფეებს გაუცინა და
უთხრა:

— წიგნები გადავლო, დღეს ჰიდაობა!

კას ეწიგნენ ბიჭები. წიგნები ფაფაფით
ისეე ჩანთებში ჩაილაგეს.

— კი მაგრამ, სად იქნება ჰიდაობა? — იც-
თხა ერთმა.

— რიყეში, წამოდით.

ბიჭებმა ჩანთები ამოიღოთ და უკან გა-
ყენენ მასწავლებელს.

— დღეს მე არც მასწავლებელი ვარ, არც
მთავარი დაკონი ნიკოლოზი. დღეს ნიკა ვარ,
გესმით, ბიჭებო! რომ წავექციო, დასცხეთ ტა-
ში და ყიფინა, თუ დავმარცხდებ, ტაში მაშინაც
არ დაიმურთოთ, ახია ჩემზე, გესმით?

— არა, თუ წავექციეს, ტაშს არ დავექრავ! —
უთხრა ილიამ.

— ვითომ რადო, გამარჯვებულს ტაში და
შეჭება არ უნდა? — ჰკითხა ნიკოლოზმა.

— უნდა, მაგრამ მასწავლებელი თუ დამი-
ჯანბა, ტაში რა გულით დავექრა? — კითხვა
შეუბრუნა ილიამ.

— არა, არა, არ დავექრავ ტაშს! — აყ-
ყანდნენ ბიჭები.

ამასობაში გზიდან გაიმიდგრეს და რიყეც
გამოჩნდა. იქ უკვე ხალხს მოეყარა თავი.

— ენა, ჩვენი მთავარი თავისი ჭარით მოდის!
— იხუმრა ვიღაცამ.

ყველამ ნიკოლოზისაგან მიიხედა. ნიკოლოზი
დინჯად მიდიოდა, ზოგი მოწაფე წინ მიუძღო-
და, ზოგი უკან მისდევდა, ილია გვერდში მი-
ყვებოდა, ფეხს ძლიერ უსწორებდა, უფრო
მობობდა ოფელში ვალტრიო.

— დღეს ვის ევიდავები? — გვიან ჰკითხა
ილიამ. ბიჭებიც დაინტერესდნენ.

— თქვენ არ იცნობთ, სიღნაღელია.

— გამოვიწყვიით!

— მე არა, მაგრამ მარჯაანთ სტუმარიც,
სტუმარზე დაუტრახანია, ვეარღლეები რას გა-
მიძღებენო. ბიჭები გაბრაზებულან და გამოუ-
წყვეით. შეც ახლახან შემატყობინეს, იქნებ
ღმერთი ვაგვიწყრეს, დაგვეხმარეო.

— თქვენ რას ვაგვიძღებთ! — უთხრა ილიამ.

— ვითომ, რა იცი? — გაეცინა ნიკოლოზს.

— ვიცი, ვიცი! — თავი დაუქნია ილიამ.
ილიას სხვებიც არ ჩამორჩნენ.

— თქვენ ღონიერი ხართ!

— ჭერ ვინმეს ხომ არ წაუტყეობხართ? •
ზედიზედ აყრიდნენ კითხვებს ბიჭები.



მოედანს მიადგნენ.
მეტოქე ჯერ არ იყო მოსული. ყვარულეები კი აჩქარებულყენენ, ზოგი ცხენით წამოსულყო. ფალავანი ლექსოც აქ იყო. მისი ცხენი იქვე, ბზის გადამბრეული ხესთან იდგა, თვითონ ნიკოლოზის შესაგებებლად წამოვიდა.

— ლექსია, შენ რომ აქა ხარ მოედნოდა, მე არ მოვუვლებდი! — უთხრა ნიკოლოზმა და სული ჩამოართვა.

— არა, კოლჯან, შენ სპირო ხარ.
— სიღნაღელმა ასე რაკორ შევაშინათ! — ეთხრა გავვირეებულმა ნიკოლოზმა.

— ტრახახა კაცი ეშმაკიც არის, მე ეშმაკობის მეშინია, თორემ ღონითა და ზერხით არაფერს გაეატან!

— მოდის! მოდის! — იხუვლა მოედანმა.
შრაგახზე ჯერ მტვერი დატრიალდა, მერე ცხენოსნები გამოჩნდნენ. გაღმავებული მარჯვნივლები მოდიოდნენ, მოკაყდრით თავიანთი საამყო სტუმარი.

სიღნაღელმა რიყზე ხალხი რომ დაინახა, ვერ მოათმინა, ცხენი გამოაქანა და პირველი მივიარდა მოედანზე.

— გამარჯობათ ხალხნო! — ამყად დასძახა მან.

— გავიმარჯოთ, გავიმარჯოთ! — დაიკვირუნეს შასპინძლებმა.

სიღნაღელი დაბალი იყო, ჩასვენილ-ჩაგრებილი, ჭოსნენით ჩასუქებული. ცხენიდან მარად გადმოსტა, მთარახი და აღვირი ბიჭს გაუწოდა, მარცხენა მხარი ჩამოწეული ჰქონდა, ვტყობოდა, ღონიერი იყო. გზა დაუთმეს, სქელი კისერი შიპბრუნ-შიპბრუნა, ცხელი თვალი ვეუღას მოაგლო.

ხალხში მაშინვე ჩუმად ვაისმა:
— ეა, რა ჯანის პატრონია?!

— ეტყობა, თოხსა და ბართან მწყარალად არის, თორემ ასე რამ ვაასუქა?!

— ამბობენ, ერთი ჭედილაც არა ყოფნისო.

— მამა უცხოდა, სხვისი მონაგარი შეიძლება ორი შექამოს, მაგრამ ერთი თვითონ იშოვოს?

ელის ეს ლაპარაკი ესმოდა და ფერი-ფერი მისლიოდა, მასწავლებელი არ წამიციქოსო.

ღოსის ბაგა-ბუემა ხალხი კიდაობის ეშხზე მოიყვანა. მოედანზე პირველი ლექსია გამოვიდა, თვის ბუღუღები მისწი-მოსწია და თავი-ლი მამაკაცების წინ დადგა, მეტოქეს ელოდებოდა, მაგრამ სიღნაღელი თავს იფასებდა, იგვიანებდა.

— გამოდი, გამოდი! — ვერ მოითმინა ელაკამ.

მოედანზე თმაქორორა ბიჭი გამოვიდა, ლექსისთან მიიბრინა, მელაზე რომ ვერ შესწვდა, მტხლზე სტაცა ხელი და უთხრა:

— ჩემი ღონე შენ!
ეს ბიჭი ნიკოლოზის მოწავე იყო, ზალია კვა-

კვაჟე. მას ილიამაც მიპაძა, მოედანზე ბეროქით გამოგორდა, ფალავანს წაეტანა და უთხრა:
— ჩემი ღონე შენ!

სიღნაღელი კიდევ არ ჩანდა. ბერიქებს მოფარებელი ცხენებთან იდგა. ესეც მისი ხერხი იყო, უნდოდა ვახურებელი მეტოქე მოლოდინით მოექანა.

ხალხსაც გული გაუწყვლდა, ტაში დასცხეს მედიოლაც ხალხს ახუა. გვიან გამოვიდა სიღნაღელი. ლექსოს ბიჭები ეხეოდნენ, თავიანთ ძალღონეს აძლევდნენ.

— გეყოფათ, გეყოფათ! — ლექსომ ბიჭები ჩამოიშორა და სტუმარს შეეგება. ჯერ შორიდან თვალით მოსინჯეს ერთმანეთი, მერე ხელი ჩამოართვეს... ერთ წუთში კიდაობა ვახურდა. ფალავანებს ტანზე ბული ასლიოდათ. ძლიერი და ღონიერი გამოდგა სიღნაღელი, მაგრამ არც ყვარულე იყო ჯაბანი, დღახანს ანჭდრიც და ამტვრეეს ერთმანეთი, ბოლოს სიღნაღელს ხერხმა გაჭრა, ეღვასავით მხარზე მოიგდო ამხელა კაცი და დასცა...

გული ჩასწყვდათ მოწაფეებს, ტაში არც ერთს არ დაუტრავს, თავები ჩაქინდრეს. ნიკოლოზმა კი თავისი ჭამით მრველი ხელები ერთიმეორეს შემოჰკრა, მას სხეებიც ახუენენ. მაგრამ მათ ტაშს სიხარულის ცეცხლი აკლდა.

სიღნაღელი შუა მოედანზე გამოიჯიგმა, ღონიერი შემოიყარა და დაიბუღნა:

— შემდეგი გამოვიდეს, მეჩქარება!
კიდევ სამა ყვარულემა სირცხელი კამა. აფუტდა გრიგოლ კაქვიჯაზე, ვაგვილისებულ-მიკვარდა ნიკოლოზ სეფაშვილს:

— აქ რას ჩამომჯდარხარ, ბაღღებში, სირცხელი ვსიამოვნებს?!

სანამ სეფაშვილი უპასუხებდა, სიღნაღელის ყერილი ვაისმა:

— შემდეგი გამოვიდეს, მეჩქარება!

— გადი, რას აყოვნებ! — ბობოქრობდა გრიგოლი.

— ცეცხლივით ხომ არ ვეცემი, კაცმა ჯერ სული მოითქვას.

— დასვენებას ელოდები?

— მამა, ოფლი შეაშრეს.

— უცნაური კაცი ხარ, მოიტა ხელი! — ნიკოლოზმა ხელი გაუწოდა.

— ჩემი ღონე შენ! — უთხრა გრიგოლმა.
სეფაშვილმა ხალათი ვაიხადა და მოედანზე გადაეშვა. მაშინვე ეცა სიღნაღელი.

ბიჭებს გული დასწყდათ, ევლარ მოასწრეს მასწავლებლისათვის თავიანთი ღონის „მიცემა“ და ახლა, ვახურებელი კიდაობის დროს, ჩუმად ვაიძახოდნენ.

— ჩემი ღონე შენ!

— ჩემი ღონე შენ!

— ვაჭუმიდო! — უყვირა გრიგოლმა, მაგრამ კიდაობის ცეცხლმა უფრო ვააფიცა ისინი, ხმას აუწიეს.

სიღალღელმა სეფაშვილს დიდხანს გაძღლო. მაგრამ ბოლოს მუხლმა უმტყუნა. ტაში და ყვირილი ერთიმეორეში აირია. კარგი რამ იყო მოწაფეების მაღაყი და ცეცხა, დოლის ბავაბუგი.

გრიგოლმა ამ აერზაურში კარგად დაინახა, სეფაშვილმა როგორ გაშალა მკლავები სიღალღელის გადასახვევად, მაგრამ დამარცხებულმა ფალავანმა ზურგი შეაქცია და გაიქცა.

სამაგიეროდ გრიგოლმა ჩაიკრა სეფაშვილი. — გავახარა ღმერთმა, რომ გავახარე! — მაშინვე ჩინიდან რეველერი ამოიღო და გუწოდა, — ახლა საბჭოებს ეს გქონდეს, შემდეგ პარტიის ცემა ჩემზე იყოს.

— შე, დიაცონს, ეს რაში მჭირდება? — ჟეარს მანც სჯობია, გამომართვი!

II

ილია მუხის ჩრდილში იქდა, საღამურის უკრავდა. ლერწმის მოხატული საღამური ხან ბუბუბუღით სტვენდა, ხან საჭიდაოს აფლერებდა.

ზღზე შეჩვეული ღომა იქვე ბალახს სძოვდა, ჩინხვინა კედით აბუზარ ბუზებს იყვრიებდა.

უცებ ღომაში მიახლავდა და ჩაიკცა. ილიამ საღამურის ხელიდან გააგდო. მისი ვაჭირვების ტალყვისი ნიკა პაპა იყო, მაშინვე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ნიკაა, აააიი, ნიკა!
— რა იყო, შვილო, მგელია?
— მიშველეთ...
ილია ღომას ირგვლივ დარბოდა, ტიროდა. ხბოები დაფრთხნენ და გაიქცნენ მდინარისაკენ.

ნიკა პაპამ მოიხრბინა, გასავათებულ ღომას რომ შეხვდა, იყვირა:

— მგელი ყოფილა!
— მგელი?!
— პო, პო, აბა, წყალი, წყალი!
ქელშურა გულა ზურგიდან მოიხსნა და მდინარისაკენ გაიქცა, მას ილია დაედევნა. მოიტანეს ცივი წყალი და ღომას გადაასხეს, ღომა არ განჩრვულა.

გულას წყლით მეორედ რომ ავსებდნენ, ილიამ მოუთმენლად ჰკითხა:

— მგელი რომ ახსენე, სად არის მგელი?
— შენ ვერ ხედავ. „მიწის მგელია“ დაუნდობელი, შე დაინახე, აბა, ჩქარა!
ბუღა კარგად რომ ამოღუმდეს, წამოდგა, ცოტაზე წაბარბაცდა და დაიბუვლა.
— აქ არა უშავს, არ მოკვდება! — გავახარდა ნიკა პაპას.
— კი მაგრამ, რა მოუვიდა?
— სიყვდილი, დროზე მივეშველეთ, თორემ დავიღუბებოდა.
— წყალმა უშველა?

— უშველა. „მიწის მგელი“ ეცა, შეიღო ამ ავადმყოფობის მალამო წყაფუქცხეფულს ტანთან უცებ გამოდენის.

— ეგე, საბრალო ღომა, მამამ მითხრა, სახარედ მინდაო, შე უნდა გაგებდნო. ამიტომ ვუწელი, ჩემ-ჩემად პურსაც კი ვაჭმევ.

— ღვინოს თუ ასმევ? — ვაიცინა პაპამ და თეთრი თმით დაფარული კისერი მოიქცა.

ილია მიხვდა, რასაც უმხინებდა მოხუცი. კარვისაკენ გაიქცა, მალე ღვინო, პური და ყველი მოარბენინა, გულმა ვერ მოუთმინა და ნახევარი შოთი ღომას აჭამა, მერე შეწანუნე სუფრა გაშალა, სურა ნიკა პაპას მიაწოდა.

ღვდა ყოველდღე ქინძმარაულით საცხე სურას ატანდა, მდინარის ნოყი წყალი არ დალიო. ციება არ აყვესო. ილია იმ ღვინოს ზშირად ნიკა პაპას ასმევდა. ნიკა ხმელ თონეულას ვერ ღეჭავდა, ღვინოს ჯამში ასხამდა, შავ პურს ჩაიფშენინა და პოლიწონს მადიანად შეემცეოდა. ახლაც ასე მოიქცა და ილიაც დაპატრიცა.

— ჰამე, შვილო.
— აბა, არ მინდა.

— ჰამე, თორემ ჩემი ღოცვა ვერ გავაძღებს. ილიას პოლიწონს სენი გულს ურევდა. ნიკა პაპა კარგად რომ დანაურდა, ილიას ლელვის ჩირი მუჭში ჩაუყარა და მერე თავის ნახირს მიაშურა.

ილიამ გადაგებული საღამური აიღო, მაგრამ მისი დაყვრის გუნებაზე არ იყო, რაც ბური დარჩა, სულ იმ ღომას აჭამა, საბრალოს პირიდან დღეი გადმოსდიოდა. ბალახის ძოვის თავი აღარ ჰქონდა, რაღაც გაოცნებულ დაღლერებოლი იყო.

— რა იყო, ბიჭო, გული გადამიბრუნე, მართლა „მიწის მგელი“ ვეცა? ამოიღე ხმა.

— ღომაში თავი ასწია და ილიას შეხვდა.
— მიწის მგელმა შეგაშინა? ნუ ვრცხვენია, რას იზამ, ჟერ პატარა ხარ. მიდი, შენებურად გაიქუტრტუე.

ილიამ გავაზე დაარტყა ხელი, მაგრამ ღომაში ნაბიჯოც არ გადადგა. უელი მოიღერა და უდი გაიქნ-ვაპოქინია.

ილიამ კარვისაკენ ვაჭირვებული წაიღო. ღომა უკან გაყვდა.

— წამოდი, წამოდი, კიდევ არ ვეცეს მგელი, თუ რაღაც ჯანაბა.

ილია მარტო იყო, მგლის ხსენებაზე კანში გააბურვლა, შიშმა თავი უჩვენა, თუმცა შინ დედა და მამა მას არასოდეს არ აშინებდნენ. აი, ბუღა მოდის, აი, მგელი შეგკამსო, არასოდეს არ უთქვამთ. თამამდ ზრდიდნენ, შიშს ავგრანობას არ უნერგავდნენ, მაგრამ ახლა თავისთავად, ღომას უეცარმა, სასიყვდილო წაქცევამ ილია შეძრა. — შე ვერ დაინახე, თორემ ის ნამდვილი მგელი იყო, მიწიდან აწოცრა, და ამ საბრალოს ეცა“ ფიქრობდა ილია უცვლელ თავის ქონში თავაზე წამოწოლილი.



ლომა იქვე კართან იდგა, პატრონს უუტრებდა.

— სიკვდილს ხომ გადაურჩი, წადი ახლა მოკვ. გეყო, რაც განგებოვრე, საშენო პური არა მიქვს, — უთხრა ილიამ და მეურნესავით დაუბახა — ეე-ხი...

ლომას კედლი არ გაუნძრევია. ცოხნა დამწყვი და წასვლას არ აპირებდა.

— წადი, გეყო რა შიშით მივამე! — ილიამ კომპალი მოუტენია, შინდის კაუჭა ჯოხმა შეხუთულ პაერში გაიშხულია თუ არა, ლომამ წასვლა იყადრა. ქოხის წინ გადაბიბინებულ მდუნოს მიადგა.

საიდანღაც ყვავი მოფრინდა, ბებერ თელაზე შემოჭდა, მოჰყვა ყვა-ყვას.

ილიამ ახლომასლო ქვა ვერსად რომ ვერ აბიჯა, მერე კენედის ჯოხი ესროლა და დააფრთხო.

ლომა ახლოს მივიდა პატრონთან.

— ვიცი რაც გინდა — უთხრა ილიამ, სარკვევზე ხელი ჩაავლო და უცან დახვევინა.

ილია ლომას წყრთნიდა, უნდოდა რქენა და ჰდაობა ესწავლებინა, მაგრამ პირუტყვი გაუგონარი იყო, არაფერი ესმოდა პატრონის, მარტო სარკვევების მოფხანა სიამოვნებდა.

ლომა ახლაც გაუწიდა. ილიას სარკვევების ფხანაში ხელი დაეკალა, მერე თავისი ნაბადი გამოიტანა, მღვლოზე ვაშალა და ლომას შესძახა:

— აბა, გადახტი!

ლომამ ამჯერად გაუგონა და გადახტა.

გაეცნა ილიას, ნაბადი წაიფრიალა და კიდევ წინ გაუშალა.

— გადახტი, გადახტი, პური არ გინდა?

ლომამ ნაბადს არც კი მიხედა, კედლი აიბრინა და გაიჭტა.

გული დასწყდა ილიას, ქოხში შებრუნდა, ჩანთიდან შაშალიკი ლუღვი ამოიღო და პირი ჩაიბრტყინა. მერე მინდორზე გაშლილ ხბოებს დაუბრა. ერთგული ბათარა მწეში იდგა ენადმორგდებული და სიციხისაგან დანანტებულ ხბოებს თვალს არ ამორებდა.

ჯერ ხბოების წარტყვის დრო არ არის, მაგრამ ილიას ეშინია, საცაა ციება დასცემს და მერე ვეიან იქნება.

გუშინ ქოხში დაავლო ციებამ, რაც ცხერის ტყავი იყო, ნიკა პაპამ უწვლა ზედ დაახურა, ითვისი გაქუცული ნაბადიც დაუმატა, მაგრამ მაინც ვერ გათბა ილია.

წელს რადაც ციებად გაკვრა, პირიკ მწერე გაუხდა, შეშინდა და დეშურა სახლს. ამიტომ პირველმა გადასძახა მგებორე ბიჭებს.

— ეე... ოო...

ილიას ხმას თავისი ხმაც დაუმატა ხეშმა.

ბათარამ იცოდა ეს ძახილი რასაც ნიშნავდა, ხბოებს ყუფა-ღრენით დაურბინა და ერთ ადგი-

ლას შეაქტია. ლომა პირველი გაეშარათა შინისაიკენ.

ნიკა პაპამაც აშლა თავისი ხბოებმა: **წიქვანქა** რომ ჩამოათავა, ილიას შეხედა.

— როგორ არის შენი ნამგელავი?

— კარგად არის, პაპა, კარგად!

— პო, ენგრე, შეილო, მამას უთხარი, ერთი ხელავა ღვინო მადარჩინად შეეუთვნის.

— კარგი, პაპა, მოგეტშს.

— მომცემს მა, ჩემი გრიგოლი ქვაწურია კი არ არის.

ბოსლის ეზოში მოსაწველად ჩამომდგარმა ძროხებმა ხბოების მოახლოება იგრძნეს და ზუთილ-ბლავილი ატხეს. დედებს ბოჩოლებიც გამოეხმარნენ. სოფელი გააესო პირუტყვის ველურმა ხმებმა. მალე თბილი რძის სუნიც მოუფინა ბინდ-ბუნდში გახვეულ ეზოებს.

მეორე დღიას დედამ ილიას უთხრა:

— ხბოში არ გიშეებ.

— რატომ, მე ახლა არაფერი არ მტკივა.

— მღვდელთან უნდა წაიყვანო, შეგილოცავს.

— ხბოებს საქმელი არ უნდათ?

— დღეს იოლად გავლენ, თევას დაეუვრი, ხვალისთვის მამაშენი ბიჭს იშოვის და ის წარტყავს.

— შე?

— შენ უნდა მოგარჩინოთ და ისწავლო.

— შე მოვრჩები, ნიკა პაპამ მითხრა, ბევრი თაფლი ჰქმე და მორჩებოი.

ქიშკართან შენახირის ხმა გაისმა. ილია აივანზე გადმოდგა და ზევიდან გადახედა ქალისკენ ზღაზენით მიმავალ ნახირს.

შინ დარჩენილმა ხბოებმა მალე ბლავილი ატხეს, თევას პირი არ დააკარეს, არც სალადავს მიეტანნენ.

— დედა, ცოდონი არიან, ვავრეკავ!

— არა, მოშივდებთ და შესკამენ!

ილიამ გვიან მაინც წარტყა კედლამწერა ხბოები. ლომა არ წაუუვანია, ბოსელი შეავდო და ბოსტნიდან მოტანილი ლორთქო ბალახი დაუყარა.

ქანაინი ბიჭი იყო ილია, ციებამ ეგრე ადვილად ვერ დაასუსტა. გულა საესე ქონდა შოთი პურებით, მოხარშული ზორცით, ცხერის ახალი ყველით, სურით ერთი ხელავა ღვინო მიქონდა ნიკა პაპას გასამასპინძლებლად. ხბოებს ცხარედ მიერეკებოდა, ეშურებოდა, ისეც დაგვიანებული იყო.

ნიკა პაპა მინდორში დაუხვდა, ბერაკიც მორზე იქდა და სალაშერს აყენესებდა. დინჯი დაქვრა იცოდდა, ნიკა პაპამ კაცს სევდას აუშლიდა. ილია ზურგედან მივებარა.

— გამარჯობა ნიკა პაპა!

— გაიზარდე, შეილა... მოხვედი?
— მა რა მექნა, ხბოები შემეცოდნენ... ღვი-
ნო მოვიტანე, მამამ თქვა, თხოვნის შნოც არა
აქვსო, ერთი ხელად რაა, ათი წაიღოსო.

— შეჯარი და ბარაქა გრძობის ოქავა! —
დალოცა ნიკამ და შერე, როცა სასაუნზოდ
დასხდნენ, ნიკამ ხმელ პერსა და ყველს ორი
ჯამი ღვინო დააყოლა.

ხბოებმა ბალახ-ბალახობით გაიმინდვრეს,
თელის მიფიარნენ, ილია მითქვენ გაიქცა.

ტუის პირას, ჩრდილში, მოძალებული ბალახი
ძალიან მოეწონათ ხბოებს. მადიანად ძოვდნენ,
თან პატარა კედლებით ბუზებს იგრიებდნენ.
ბუზი ერთობ ბევრი იყო. ილიამ ხერხს მიმარ-
თა, ძაღლს დაესტეინა, აბა, ეცი, ეციო, და მო-
ბალახე ხბოები იქვე, ახალ ამონაყარ ფოთლი-
ანში შელდა, მერე ყვირილითა და სახრის
შხელით ისევ ფიცხლად უკანვე გამორქვა.
ხერხმა გაქრა, ხბოებმა აბეზარი ბუზები ფოთ-
ლებს შეატოვეს.

ის დღე მინდორში ილიამ კარგად გაატარა,
არ შეუცოვია და შინ გახარებული მოვიდა,
მაგრამ ეზოში ღომი თავგასისხლანებული რი-
ღიანაა, ელდა ეცა.

— დედი, ვინ დაქრა ჩემი ბუღა, ვინ! —
ატირდა ილია.

— განუმიდი, არავისაც არ დაუჭრია.

— მა სისხლი რადა სდის?

— ღმერთს შეეწირეთ, მღვდელმა თქვა, ასე
სჯობიაო. აწი არასოდეს არ შეგაცივებს!

ღომი ახლოს მივიდა ილიასთან, გაჭრილი
ყურიდან სისხლი წვეთავდა.

— შეუხვეთ ყური, თორემ სისხლისგან
იღუბა! — შევედრა დედის.

— დაიცალოს, მოკვდეს. სამავგეროდ მენ
მეყოლები კარგად.

გვიან, როცა ბინდი დავშვა, ილია ბოსელში
შეიპარა, თეთრი ტილოს ნაჭრით თავის მშო-
ბილს ყური შეუხვია, თან შოთი პერიც აქამა.
იმ ღამეს მშვიდად ეძინა ილიას, მაგრამ დი-
ლით ლოვინიდან ვერ ადგა, შეამცივნა. აქანა-
ლებულ ბავშვს დედა საბნებს აყრიდა, მაგრამ
შინც ვერ თბებოდა.

— ხომ ზედავ, აქ ვერაფერს ვშველით, წაიყ-
ვანე ქალაქს! — მიატერია მარიამმა გრიგოლს.

III

შეა ეზოში ბებერი უნაბი დგას, კოტრიანი
ტანით მზისაკენ გადახტილა. ვაჟიარხული ტო-
ტები ცისკენ აფშვერია.

ბებერი რამის მოწმე და მონაწილეა ეს უტყ-
ვი უნაბი, ენა რომ ჰქონდეს, მოსაყოლი არ გა-
მოკვდა. ლეკის ტყეა ისევ შეავლში აქვს
ნამყდარი-ჩაღუდუდებული.

უნაბის უკან ჰქავეკვიძიან წოწოლა კოშკი
დგას, წინათ ფუძის იმედი და თავშესაფარი.

ახლა სათოფრეები ზაცს ამოუვსია, ერთ აღ-
ვილას ლელის თსლიც ჩავაჩენდა... დავსვი
გაუდგამს, გაუხარია და ღიანჭველურად
ჩამოპოლია რბე კედელს.

— ამ კოშკსაც ენა რომ ჰქონდეს, პატარა ილიას
როდო მოაწყენდა, ზღაპრებისა და ისტორიე-
ლი ამბების მოყვარულ ბიჭუნას, წყურვილს
დაუტრეებდა.

გრიგოლი უნაბის ჩრდილში ჩაფიქრებული
იქდა ილია მაშინვე წინ ატრუტა, თავის დე-
ბსაც დაუძახა. ბავშვებმა მოიარბინეს და ხმის
ამოუღებლივ მამის გვერდით მორბე ჩამოსდ-
ნენ.

— რა ვინდათ? — ჰკითხა გრიგოლმა.

— ზღაპარი! — მიუვო ილიამ. მერე ვოკო-
ბიც შემოხვებინენ.

— მამი, ვეთიხარი ზღაპარი!

— არ ეციო.

— გაიხსენე, მამი, გაიხსენე!

გრიგოლმა ჩიბუხი გატენა და გააბოლა.

ჩიბუხმა გრიგოლს თავისი ახალგაზრდობა
მოაგონა, ყახარმა, თოფიანი ამხანაგები, გაახ-
სენდა ვოლკოვი, რომელმაც ეს ჩიბუხი უსახ-
სოვრა.

გრიგოლი ხშირად ნანობდა ნიკეგოროდის
ღრავუნთა პოლკის მიტოვებას, ოფიცრის მენ-
დირის ვახტას. არაფერი არ შერჩენია პოლკის
სახსოვარი ამ ჩიბუხის შერჩა, კო, შართლა, ერ-
თი ხელი ტანისამოსი შერჩა, უთოლად მზინა-
ვი ფოლაქებითა და ღამაში საშხრეებით. მა-
გრამ განჯინაში ჰკიდია, ევლარ იცვამს, ამხანაგე-
ბისა რცხენია, ყველამ გენერლობა თუ არა,
პოლკუნეობა და მთიორობა მიიღო. ამ მენ-
დირიანებში გრიგოლმა პორუჩიკის ტანისამო-
სით თავი რომოვრა გამოვსო.

ახლა, ზაფხულის პაპანაბაში, მარიამს გრი-
გოლის სამხედრო მუნდირი ეზოში სარეცხის
თოკზე გაუფერია. გრიგოლს მისმა დანახვამ
უფრო აფშალა მოგონება, წუთით პოლკის
მშფოთიარე ცხოვრებაში გადაეშვა.

— ამ ჩიბუხის ამბავი ვინდათ? აბა, მომის-
მინეთ. — უთხრა შეილებს. — ეს უნარალი
ჩიბუხი არ გვეგონათ, ჩვენში რომ აკეთებენ
ისეთი. ცხრა მთას იქით, ფრანგების ქვეყანა-
შია გაკეთებული. მე და ვოლკოვი ერთ ოთახ-
ში ვცხოვრობდით. ერთ დღეს ამანათი მიიღო.
ყუთში ეს ჩიბუხიც იღო. თვალი ზედ დამჩნა.
მაგრამ ხომ არ ვთხოვდი? დაბადების დღეზე
ვოლკოვი სუფრაზე რომ მოვიწვიე. ეს ჩიბუხი
მისახსოვრა. ააშენა ღამერთმა, კაცური კაცი
რომ არ ყოფილიყო, ახლა ცოცხალი არ ვიქ-
ნებოდი.

— მე და ვოლკოვი შტაბში საშერ საქმეზე
მივდიოდით. — განაგრძო გრიგოლმა. — მდი-
ნარე აღიდგებული იყო და ცხენები შევაგვეყო.
ცხენის იმედი მქონდა, მაგრამ ის სამხედრო
წყალში დაფრთხა, ბურთივით გადაშოშავდა.

თეთონ კი თავს უშველა, მორევმა ჩამიხვია, შევტოვებაც ვერ მოვასწარი, გონი დაჯარგვ, არაფერი არ მახსოვს. თვალი რომ გავახილო, თვაზე ვიწვექი, ეოლოგი იქვე იჯდა, ტრტველი, მეც ტრტველი ვიყავი, ჩვენი ტანისამოსი ზღაღზე იყო გაფენილი და შრებოდა.

— რას ვაგს ეს. ცურვა? არ გეოღნით. კინაღამ დაღრჩევი! — მისაყუდდრა მან. ტანისამოსი გვიან გამრა, ძღვას ჩავიცვით. ძალიან უღონოდ ვიყავი. შტაბში სული ძღვას მივიტანე და ვასაყუთებელი გავაყუთეთ... ერთ კერაში ეოლოგმა ცურვა შემასწავლა.

— მაში, რატომ არ იცოდი ცურვა? — მოუთმენლად ჰკითხა ილიამ.

— შენ იცი?

— უცი.

— საიღან, ბიჭო, ვინ გასწავლა.

— ხმოში ცურვის მეტს რას ვაყუთებთ ბიჭვბი. მარტო მღვღლიანთ მანძელა მჭობნის, მეტი არაუნ.

მარიაში კუნელის ჭობით მიადგა თოვზე გადაფენილ მუღღირსა და მტვერი აუყენა გრიგოლს გვიცინა.

— დალოცვილო, ჭერ არაეის გაუროზგვიერ და ახლა შენ მიმტებე?!

— მა რა ვქნა, კაცო, ვანჩინაში მტვერმა და ნესტმა შეტემა, ათასში ერთხელ მაინც ჩაიცვი, ტანისამოსს ჰაერი დაჰკარავს.

— მაში, ახლა ჩაიცვი, ვნახოთ, როგორ დაგშვეწლება. — შეეხვეწა ნინო.

— ჩაიცვი, მაშიკო, ჩაიცვი! — შემოგხევივენ დანარჩენი ბავშვებიც.

— თავი დამანებეთ, გაჩუღვით.

— ჩაიცვი, ვნახოთ, როგორი ოფიციერი ხარ!

— გაეშობრა ცოლი და ტანისამოსი მიაწოდა. ილიამ ოთახიდან ხმალი გამოიტანა. ძალით ჩააცვეს, ხმალიც ჩამოჰკიდეს და მერე სიცილი დააყარეს.

მოუწონათ სამხედრო უაიღაზე გამოწვობილი მამა.

გრიგოლმა უცებ მოიწვინა, ტანისამოსი გიხადა, შუბლი შეიკრა, თავი ჩაღუნა.

ბავშვები ხმალოღლებლზე გაიძურწნენ.

მარიაშმა ტახტზე მიყრილ-მოყრილი ტანისამოსი აყრიდა და ქმარს თვალი მოარბდა. მარიაშმა იცოდა გრიგოლს ხალხში რა ოხუნჯი და მხიარული იყო. მასთან ხშირად ამბავი მოჰქონდით, შენმა ქმარმა მთავნის წვეულებაში ბერი გაეცინაო.

— ჰო, რა ბედნიერი ხარ, რომ ასეთი ხუნჯარა ქმარი გყავს! — მიმართავენენ თავადის ქალები. მარიაში მწარედ იღიმებოდა.

მარიაშს ახლაც მოგონდა ალექსანდრე ჰევქვაძის წვეულებაში მომხდარი ამბავი.

აი, ისიც.

გრიგოლი ალექსანდრე ჰევქვაძის ხშირი სტუმარი იყო. იმ დღესაც წვეულებაზე აღრე

მივიდა. სტუმრებმა იწყეს ღენა, იქვე გამაინდა ქალაქში ხიმად ჩამოსული ერთი ქალაქი თავადიშვილი. გრიგოლი მას კარვად მიემართა და კარებში გამოეგება, მღიდრტლი მარიაშლომბითა და გაყრილბული დარბანით შემყროთალს, გრიგოლმა მისაღმებისთანავე უთხრა:

— რას შერები, კაცო ემაგრე კი არ წაყუდლო, უნდა წაღები ვაიხადო და ისე შეხვიდე, ლაქია გავიწმენდს და ზღაღში მოვართმევს.

გულბურყვილო თავადმა დაიჭრა და სასწრაფოდ შეუდგა წაღების ვახდას, გრიგოლი მაშინვე გაქრა და ეს ამბავი დისახლის შეატყობინა. დარბაზში გამოეცივენენ ქალები და ფეხშიშველა სტუმარი გამოკიშული რომ დაინახეს, სიცილ-ხარხარა დააყარეს.

თავადი სირცხვილით დაიწვა.

— ეს რა მისყავ, პაჭუავ! — გაუბრაზდა გრიგოლს.

გრიგოლს მეტ სახელად „პაჭუას“ ეძახდნენ. ყველა ერიღებოდა გრიგოლის პირში ჩაყარდნას.

— მამა ნუ წაგიწყუდება, გრიგოლო, თავი დამანებე! — შეეხვეწა ერთი თავადი, რომელსაც მეტ სახელად „კულა“ შეარქვეა.

— კარგი, კარგი, რახან ეწყინს, ხმას არ ამოვიღებ! — შეჰპირდა გრიგოლი.

ერთხელ ეს „კულა“ ეორონციოვის ბინას მიადგა სასწრაფო საქმეზე, კარი შეაღო თუ არა, თოღიანმა ჭარისკაცმა მიამხა:

— კულა?!

— ფუი, წყველ გრიგოლს ეს საღდათებიც გაუბრიყუებია!

ვანრისხდა თავადი და ცოვად გამობრუნდა.

— ეს, ნეტავი ასეთი კარგი ოქანშიც იყოს! — ამოვიყენსა მარიაშმა და ქმარს გაუბედავად ჰკითხა:

— რა მოვივიდა, აღამიანო, რამ აგრიან?!

გრიგოლს ხმა არ ამოუღია, ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო.

— ეგ არ ვარგა, გრიგოლო, — ნაღვლიანად მიმართა მარიაშმა, — ერთხელ გავაყინე და მაშინაც ჩავემწარე, ჩემი თავი ჭანაბას, ბავშვები შეცოდება.

— მეც ცოდო ვარ. ბავშვებს ჩემგან სიმხიარულე არ აყლია, ჰვეყნის ზღაბრებს უყუყუები, ჰვეყნის ამბებს ვასწავლო, ეწერთერი, მეტი რა ვქნა?

— სახლს ვარეთ ხომ მხიარული ხარ. მთელ კახეთში სტყუამოსწარბული, ენამახვილი და ხუნჯარა კაცის სახელი გაქვს.

— სახლიდან გასულს, ხალხში, ამხანაგებში მავიწყდება ყოველდღიური სახრუნავი და კარგ გუწებაზე ვღვები.

— შე კაცო, ჩვენთანაც ოხუნჯე რამე, გავაყინე, ოქანში ნიადავ კომეგრული და სახე ჩამობნელებული ჩემი მტერი იქნა.



• • •

— მაშ რა კენა, გენაცვა, გული გაჭირვებამ შემიკამა და ასეთი გულით როგორ ვიცირო.

— ზელმოკლეობას ფიჭვი უშველის?

— შეშაობითაც ეშუშაობ. შე ეი არა, ჩემი ილიკოც ბოროტი გაყავდე, დამიავადმყოფდა ბიჭი, ციება ხელიდან გვაკლვის. ვიცირო? ეს ერთი გაჭირვება... ახლა ვოგოები? ბიჭები? ისინი განა ყარგ დღეში არიან? შერც ჩემი დარდა ხარ.

მარიაშს შავი, დიდრონი თვალები ცრემლდებით აევსო.

— რა ექნათ, ჩემო გრიგოლ, ასეთი ცხოვრება გვიწერია. ბედნიერი მარტო ალექსანდრე ქაჭავაძე იყო და აღარ არის.

— იმას ჩემზე მეტი დარდი ჰქონდა! — ჩაილაპარაკა გრიგოლმა, ცოლის ცრემლმა გული მოუწვია. ეზოში გავიდა.

უნათან ბავშვები ისხდნენ. ნინო არაბთა შეფის ამბავს ზეპირად ამბობდა. მამა რომ მიუახლოვდა, ხმას აუწია.

გაეხარა გრიგოლს, ბოლო სტრატეგონზე რომ წაიბორბოცა, მიეშველა და მერე დანარჩენ შვილებს გადაახტდა:

— კიდევ ვინ შეტყვის ლექს?

— შე, მე! — ერთად წაშიძახეს ილიამ და ელისაბედიამ.

— ყარგი, ჩემო ილიკო, თვეი, მაგრამ ჭერ წამალი დაღე.

— ეეს, — ილიას შეაჩეროლა.

— რას იზამ, შაქარი დააყოლე.

— თემოსაც მისცემ შაქარს? — ჰკითხა ილიამ.

— რატომაც არა, გოზინაეიც ვეაქვს, წამოღოთ, ბავშვებო!

ბავშვები სიცილე-სიცილით გაჰყვნენ მამას.

დედამ ტიქაში ავტრისფერი წამალი ჩაასხა. ილიამ თვალები დახუჭა და გადაეკრა. შაქრის დაყოლება ვერ მოასწრო, ხველა აუტყდა და უყანვე გადმოანთხია.

გაფთოვებული ილია დედამ ზელში აიტაცა და იქვე, ტახტზე მოაწვინა.

გრიგოლმა ბოთლს წამოავლო ხელი და შეიღს უთხრა:

— მოიხედე, ბიჭო, აი შენი წამალი. ბოთლი დაანახე, მერე მოიქნა და თანჯრიდან ვადაისროლა.

— ეგ რა ჰქენი, კაცო?! — შეკოვდა მარიაშმა.

— ჟანბანში სოფლის ექიმი და მისი წამალი, ბიჭს ქალაქში წაიყვან, ყარგ ექიმს ეწივენებ.

თემური ტანჯარასთან მივიდა. ქვეშე გადაღვრილი წამალი რომ დაინახა, გაეცინა, ილიას ეს ვასახარელი ამბავი ჩასწურჭულა და დედის წინ აიტყუა.

— ილიას კიდევ უნდა შაქარი.

— ჰა, მიეცე! — თემურიმ შაქრის ნატეხი გამოართვა, მაგრამ ნაბიჯი არ გადადგა.

— რას დგახარ, მიუტანე!
— შეც მიწდა.

გრიგოლს საქმის გადადება არ უყვარდა. იმ დღესვე შეუდგა სამხადისს. მარიაშმა ნახუქები გამოაცხო, დედალი მოხარშა, ვარები ტაბაკად შეწვა და ალიონზე ქმარ-შვილი თბილისში გაისტუმრა. გრიგოლმა ბარჯობარხანა დილიცანში შეიტანა, თვითონ საჩქელთან მოთავსდა, ილიასთვის ცალკე ადგილი არ აღმოჩნდა და მუხლზე დასვე.

იღრიიღრი გზაზე გაჭრებული ცხენები ძლივს შიახრივინებდნენ ომთვალაზე შემდგარ დილიცანს, რომელსაც ორი საჩქელი ჰქონდა დატანებული, შიგ გაქვეული ხალიჩა ეფინა, სკამების შავფრობას გარდგარდმო გადებული ჭიკრები სწევდა. ყარგ ამინდში მგზავრებს სული ეხუთებოდათ, საჩქელიდან მტვერი და ბული შემოდოდა. ამას ემატებოდა გულისწამლები ჭრიჭინი, რყევა, ეფენების ელარენი დაცხენების კიხვინი.

ილია მამას მიეხუტა და ჰკითხა:

— მალე ჩავალ?

— კი, შვილო, კიდევ ცოტა ხანი და მივალთ. გრიგოლმა ყიბიდან ბზის პატარა კოლოფი ამოიღო და ილიას მიაწოდა. კოლოფი გოზინაეიცოთ იყო სავსე.

— ქაშე, გულს დაგიტერს.

ილიას მამა არ ჰქონდა, საჭმელი დასანახავად არ უნდოდა, ერთთავად გამოშრალ და გამოშფვარ პირში ლუქმას ვერ იღებდა. ამიტომ სულ ჩამობმა და ჩამოღდა. ახლა მამას ხათრი ვერ გაუტეხა, ერთი ნაჭერი გოზინაეიც პირში ჩაიღო.

დილა იყო. დილიცანს ხან სოფლის ნახირი უღობავდა გზას, ხან ზანტი ვიჩების ქარაენი ვიჩებს სითონე ფინიხი უყეჭურად მიქონდათ, არად ადგებდნენ ბიჭების მუქარასა და ყვირილს.

ნინოწმინდის დაღმართზე დილიცანსი ურემს წამოეწია. ლომა კამჩენები და ლენია ხარბი დონიერად ეწიოდნენ უღელს. ამდენი ურემი ერთად შეყრილი ილიას ჭერ არ ენახა. საჩქელიდან თავი გამოყო და ურემებზე დევებივით წამოყირავებულ საცალოებს დახტდა.

გზა ვიწრო იყო, დილიცანსს ვეჭვორდა ურემების გვერდით ჩავლა, სულ შეანელა სვლა, აწაფებული ცხენები ძლივს შედგნენ.

ილია ერთი ურმის კოფოზე წამოსკუპებულ ბიჭს დააკვირა და თითი დაექნია, ბიჭმა ვაუცინა და ენა გამოიყო.

— სად მიღიხარ, ბიჭო? — ვასძახა ილიამ.

— ქალაქს.

— რა მიგაქვს?

— სხოვრება.

— საცალოებში გიღვეს ცხოვრება?

— მა რა, პური რომ არ მივეტანოთ, ქალაქი იცხოვრებს? — მოუტრა ენადგაყრეფილმა ბიჭმა.

დილიდანსმა ის ურემი ჩამოიტოვა, წინ გაიქრა. ახლა ილიას უფრადღება მიიპყრო წითელმა მამალმა, მეწინავე ურემზე, ამყაად რომ იღვა.

— მამა, მამალი, ისიც ქალაქში მიდის? — ჰო.

— უნდა გაყიდონ? — ვასაუიდად ვინ გაიმეტებს. მამალი ქარავნის საათია. მისი ყოილი გადასაღამებლად დაბანავებულ მეტრმეებს აღვიძებს, ვხას ვიუღუქით, ცისკარი იღებაო.

გრიგოლი ყველაფერს დაწერილებით მოუყვა, რაც იცოდა და გაეგონა ქარავნის მამალზე.

ამ ამბავმა ილია ძალიან დაინტერესა.

ის წითელი მამალი, დეზი დეზზე მიბჯენილი, ურემზე ამყაად რომ იღვა, პედნიერი გამოღვა. დღესაც ცოცხალია. როცა ვეთხოვლობთ „სარჩობელაზედ“ გვესმის მისი ომხიანი ყოილი.

• • •

სამოცდახუთი წლის ილია ბროკჰაუზ-ფრონის რუსული ენციკლოპედირი ლექსიკონისათვის სავანებოდ დაწერილ ავტობიოგრაფიაში ძალიან ძუნწად და შშრალად გვაშმცნებს თავის ცხოვრებას. მამას მხოლოდ ორიოდე სიტყვით ასახითებს: „მამაჩემი რამდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიეეგოროდის დრაგუნთა პოლკში და რუსული კარგად იცოდა“.

„მსახურობდა ნიეეგოროდის დრაგუნთა პოლკში“ ძალიან ცოტას ლაპარაკობს გრიგოლ ჰავევაჰის სამხედრო კარიერაზე. 1845 წელს, როცა ილია რვა წლის იყო, გრიგოლი კახეთის მილიციის ჯარის ათასეფლის უფროსად შემოიბდა. ზაფხულზე ამ ჯარმა ილაშქრა დაღისტანში, ბრძოლებში გრიგოლმა დიდი მამაცობა გამოიჩინა, გაიმარჯვა და სამხედრო კარიერის რთულ კიბეზე კიდევ ერთი საფეხურით შაღლა აუღდა, შტაბს-კაპიტნის წინით დააჯილდოეს.

ამ ლაშქრობის შემდეგ გრიგოლი ისევ დაუბრუნდა კერას. ლეკები ჩაიშლდნენ. ვაიარა შშმა. ისევე დამყარდა მყდრობა. სოფლის ის სიმეტეილობით სავსე დღეები ხანმოკლე გამოდგა, მოუსვენარი ლეკები ისევ წამოვიდნენ ყვარლის ისაკლებად. ამჟამად უფრო შრავალ რიცხოვანი და კარგად შეიარაღებული იყვნენ. ხუთასი ცხენისანი ლეკი სოფლისკენ წამოვიდა, ხოლო დიდძალი ქვეითი ჯარი ღურუფის შესახვევში დაბანაკდა.

იმ დროს იქვე, ყვარლის ციხეში, იღვა მთავრობის ოთხასამდე ჯარისკაცი და დიდძალი მილიციელი. მათ შეთაურობდა პოდპოლკოვნიკი სტაროვი. ლეკებმა სულ ახლოს, რამდენიმე

საყენზე ჩაუარეს ყვარლის ციხეს და სოფლებსკენ გამოსწიეს. მთავრობის ჯარი იმედის პურჩად იღვა და სოფლის თავკაცებზე მძიმედ შევიდნენ. გრიგოლ და დავით ჰავევაჰებმა მათგან დაეხსენებინათ პოდპოლკოვნიკ სტაროეს. სტაროვი ფანჯარასთან იჯდა და ქალაქი ქილევანებს ივრტებდა. გრიგოლი ოთახში შემოენთო, სტაროვი მძიმედ წამოდგა და იკითხა:

— რა ამბავია, კოლეგა?

— ხომ ხედავთ, მტერი დაგვესხა, სოფელს ააოხრებს.

— სამწუხაროა.

— მე რას უყურებთ?

— რა ექნა, ბრძანება არა მაქვს, თვითნებურად როგორ ვიმოქმედო! — ცოვად მიუყო სტაროვმა, ქილევანის ვრტეხა მიატოვა და ხელი ჯიბეში ჩაიყო.

— მთელი სოფელი ვთხოვთ!

— როგორ გეკადრებთ, სოფელი ჩემი უფროსი ხომ არ არის.

შეწუხებული გრიგოლი დავითს მიუბრუნდა.

— ამისგან არაფერი გამოვა, გვაგვიანებს.

— წადიდეთ.

კაპიტნიდან უიმედოდ გამოვიდნენ.

უბოში ჯარისკაცები ჭგუფ-ჭგუფად დადიოდნენ. კარბა ერთი მელიორი იღვა, რაღაც ამბავს ყვებოდა და ამხანაგებს აიკრებდა. გრიგოლს მათი სიცილ-ხარხარი ტყვიასავით მოხვდა და სასწრაფოდ გავიდა რივის ქვევით მოფენილ შარაზე.

— სხვისი იმდით როდის გვიცხოვრია; ჩემო დავით, — დამწუხვ გრიგოლმა, — ფიქრის დრო არ არის, ჭედზე კაცი, როგორც ერეკლემ იცოდა, თორემ ავგაოხრებენ.

შარაზე ჯერ მტერის კორიანტელი ავარდა, მე რე მხედარი გამოჩნდა, დავითი და გრიგოლი შედგნენ, ხელი იარაღისკენ წაიღეს. მაგრამ მხედარი ამასობაში მოუახლოვდა, იცნეს მეველე ფირანა. ფირანამ გაოფლიანებული წაბლა მღივს შეიჩერა და ჰავევაჰეებს ზევიდან დასაძახა:

— ნიბ აბალუა.

— რა იცი? — იკითხა დავითმა.

— ეიცანი, მამინაც ზო ის იყო, ჩემი ნატო რომ გაიტაცეს.

აბალუას გამოჩენა ეწყინათ. აბალუამ თავისი ვერაგობით კახეთში სახელი გაითქვა. ის აწუხუყაფუნას თემის ბელადი იყო, დიდძალი ლაშქარი ჰყავდა, რომელ სოფელშიც შევიდოდა, ქვას ქვაზე არ დატოვებდა.

— მე რე აბალუამ შეგამინა? — გაამხნევა გრიგოლმა, — ვაფრინდი, ხალხი აყარე. დიდი და მატარა იარაღით ჩემ სახლთან შეჭუნდეს.

— ჰეკლემ ტყენი შეაბრუნა და უკან მტერის მუქი ღრუბელი დატოვა.

გრიგოლ და დავით ჰავევაჰეებმა მთელი ყვარელი ფეხზე დააყენეს.



ესაც თოფის სროლა და ხმლის მოქნევა შეეძლო, შინ არავინ დარჩენილა. გუთანი, თოხი, ცელი მიაგდ-მოაგდეს გლეხებმა, ხელში თოფი და ხმალი აიღეს და მომხდურებს ღირსეულად შეეტრეს. ხალხის ზღვამ ლეკთა მეწინავე რაზმი წაღეკა, თუთონ ნიბ ახალყას, პირველსავე ბათქების დროს, ტყვიამ გული მოუნახა. ხმის ამოღებაც ეერ მოასწრო, ცხენიდან გადმოვარდა, ცხენს ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. იქვე გაქვავდა, ნიბს შრისხანე სახე სისხლში შეუღებდა.

ამ მარცხმა მხედრობის ვატება, მეწინავემ ცხენი შეაბრუნა. ეს რომ ქვეითებმა დაინახეს, თავს უშველეს, მაგრამ ბევრის თავი ყვარლის მიწამ მიიბარა. არც ქართველებს დაადგათ კარგი ღლე, ბევრის ღედამ შავი ჩაიყვა.

ესე დაღამდა 1850 წლის 14 ივლისი. გრიგოლი გვიან დაბრუნდა, ჰიშვართან ცხენი ბიჯს ვაღისცა, ეზოში არ შესულა, სისხლით დასერილი ჩოხა-ახალუხი გაიხადა, თოფ-იარაღიც იქვე დაყარა და შინ რომ შევიდა, ყანიდან დაბრუნებულს გვიდა.

— მაღლობა ღმერთს! — შესძახა მაკრინემ. ცრემლი მოიწმინდა.

ამ ბრძოლაში გრიგოლ ქვეყანაძის მამაკობის ამბავი ვორონცოვის ყურამდე მივიდა. ვორონცოვმა არ დაუყოვნა, მეფესთან იშუამდგომლა და გრიგოლი ორდენით დააჯილდოეს, ხოლო პოდპოლკოვნიკი სტაროვი გადააყენეს.

IV

თბილისში გრიგოლმა ყველა ცნობილი ექიმის კარს მოეცაქუნა, შველა და წამალი ითხოვა, ცოლნა და გამოცდილება არც ერთმა არ დაიშურა, ზოგმა წყეთები მისცა, ზოგმა ფხენილი, ზოგმა დასალევი. ოთახი წამლების სუნით გაივსო.

ილია ხან ნებით სეამდა წამალს, ხან ძალით ასმევდნენ, მაგრამ ციება მიინც არ ეშვებოდა. სილაშოს ისევ აკანკალებდა, სიცხე გათანგავდა, მოკრუნჩხავდა, ონისილას გამოაცლიდა.

გაიშვარებული გრიგოლი ბოლოს ალექსანდრე ქვეყანაძის ოჯახს მიაღმა. სასტუმრო დარბაზში შეიწვიეს. კუთხეში ალექსანდრე ქვეყანაძის დიდი პორტრეტი ეიოდა, შავჩარხოში ჩასმული, წინ წმინდა სანთელი ციმციშებდა. ოთახში საყმევლის სუნი იდგა.

ილია მიაქვარდა პორტრეტს, რაღაც შიში და სიცოცხლე ოკრძნო. შარშან ალექსანდრეს ცხედარს რომ შუამთის მონასტერში მოასვენებდნენ, მასწავლებელმა მოწაფეები შარავჯაზე გაყოყვანა, სამგლოვარო პროცესიას პატარა ყაარალებივც გააყვენენ.

— ჰე, რა კაცი დაიღუბა, რა ნიჭი დაიღუბა! — ტირილდა მასწავლებელი, ილიასაც თვალები აუტრებლდა მაშინ.

სწორედ ეს სურათი იყო კუბის წინ რამიპქონდათ, გვიან იცნო *ქვეყანაძე* გრიგოლმა ლაპარაკი *შარავჯან* ქვეყნულა მიიკითხ-მოიკითხა, მერე თავისი გასაჭირიც თქვა. გრიგოლის თავი და გული არავის ჰქონდა, მაგრამ სიყვედილის პირას მისულა ილია რომ დაინახეს, თავიანთი გლოვა-შწუხარება და იფიწყეს, ნინო გრიგოლდეთა თუთონ გასუვ გრიგოლს ვორონცოვის მეტრნალ ექიმთან.

ექიმი ვიდაც გერმანული გამოდგა, მელოტი. სახე ჩირივით დამკვნიარი ჰქონდა, გულდასმით გასინჯა ავადმყოფი.

— ექიმთან ვუავდნათ? — როგორ არა, აი რამდენი წამალი დალია და მაინც არაფერი ეშველა. — და ერთი ზღუჯა რეცეპტი მაგიდაზე დაყარა.

მეტრნალმა თავისი პრაფესიული ენით უთხრა:

— ძალიან მორვეია აბსტრუქცია. — ეს რა ავადმყოფობაა? — ჰკითხა გრიგოლმა.

მეტრნალმა ილიას მუცელზე დაუთათუნა ხელი.

— ხედავ, შესიებულია! — მერე რეცეპტები გადაათვალიერა.

— შეც უკეთესს ვერაფერს გამოვიწერათ. ავლაბარში ერთი ფერშალია, რაღაც სოფლური წამალი იცის, იმასთან სჯობს მიხვიდეთ.

გრიგოლმა მისამართი გამოართვა, ნინო ეტლით სხლამდე მიაცილა და მერე პირდაპირ ავლაბრისაკენ გაემართა.

— ჰე, მამა, ეს დიდი ექიმიც ვეატყუებს!

— რატომ, შეილო?

— სოფლური წამალი ცოტა დავლიე? ექიმებმა ვერ მიშველეს, ფერშალი მომარჩენს.

— რატომ არ მოგარჩენს, თუ ბედი გაქვს.

— ბედი?

— ჰო, შეილო, გული მიგრძნობს, რომ ფერშლის წამალი გარგებს.

ეტლი ავლაბრის აღმართს მიაღმა, ჭავლაგმა ცხენმა ერთი დიფრტურნა და შედგა, გაგულნიდა მეეტლე, ტლაშუნა მათრახი გადაუჭირა, მაგრამ ცხენს ფეხი ვერ გადმადგმევინა.

— გეყოფა, კაცო, ამის საცოდამობას ნუ ყურებინებ! უთხრა გრიგოლმა და ეტლიდან გადმოხტა, — არ მინდა, ფეხით წავალთ. გრიგოლმა ფული გაუწოდა.

ცხენმა შეება იგრძნო, კისერი წაიგრძელა და გაექანა.

— კარგი ექენით, რომ ჩამოვედიოთ; ზედაც, როგორ გარბის ეტლი!

— ავი ჭავლაგი ჩანდა? — ჰკითხა ილიამ.

— ჭავლაგმაც იცის აწუვეტა.

გრიგოლმა ზელები შემოიწყო და წინ გაუძღვა ილიას. ქვეითად ერჩია ილიას, ბევრ რამის ნახვას შესძლებდა, ქალაქში მისთვის ყველაფერი ახალი და უცნობი იყო.



- მამი, თუ ღმერთმა ინება და მოვრი, ქალაქში დამტოვებ?
- დავტოვებ. უნდა ისწავლო. აბა დიაცუნის სკოლა გეყოფა?
- მართო უნდა ვიყო?
- მეც მართო ვეყავი და კეთილშობილთა სასწავლებელი დავამთავრე.
- საუბარ-საუბრით ისინი მიადგნენ ფერშლის ბინას, მაგრამ თვითონ ფერშალი შინ არ დაუხვდათ, ვილაცის მცხეთაში წაეყვანა, ეწყინა გრიგოლს და ცივად გამობრუნდა.
- ჰე, მამი, შენ ამბობ, ბედი გაქვსო.
- გაჩუმი, შეილო!

მეორე დღეს გრიგოლმა ფერშალს შინ მოიყვანა.

ფერშალი
ფერშლის სახე და მიხვარა-მეგობრად უცხოდ ხარჩა ილიას შესხიერებაში. უკვე ხანდაზმულმა ილიამ, როცა იონა შეენარგის თავის ბავშვობაზე ესაუბრებოდა, ამ ფერშლის შესახებ თქვა: — ყველა ექიმი დამსიეს, მაგრამ ევრას ვაღწენ. მაშინ ვილაც ერთი ფერშალი მომიყვანეს ავლამბრიდან. კაბა ეცემა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა იყო, რომ ხატვა ვიცოდე. დავხატე, ისე ცოცხლად მახსოვს მისი სურათი. იმან წამალი დამალგვია, წამისვა ტულისზე რალაც და თქვა: თავის დღეში ამას აღარ ვაპყობსო, და მართლა მას აქეთ ჩემთვის არ გაუციებია.*

თ ბ ი ლ ი ს უ ი

I

გრიგოლმა შეიღს ცივება რომ მოაშორა, მამნეე თადარიგი დაიჭირა ილიას სასწავლებელში მისამარებლად. ნათესავეებში მიიკითხ-მოიკითხა ყველაზე საიმედო პანსიონი. უქეს ჰაკე, ჩინებული პანსიონი აქვსო.

დიდბინის წინათ ჰაკე გერმანიიდან თბილისში მოიწვია მაშინდელმა კავკასიის ცალკე კორპუსის კომანდირმა ნეიდგარტმა თავისი შეიღების აღსაზრდელად.

თბილისი შოეწონა ჰაკეს, პანსიონი დააარსა და მალე სახელიც გაითქვა. ჰაკეს პანსიონში შეაღებულ მოხელეებსა და თავად-ანაუერებს შეხუავდათ შეიღები.

გრიგოლმა ჰაკე არ შოეწონა, რალაც გაუციონარ და შშრალ კივად წარმოუდგა. თავზე ერთი ღმერთმა არ ჰქონდა, შეღებილი კვრაცხივით გაწითლებულს, შეშუპებული თვალები მრისხანე იერს აძლევდა. დიდ, ნათელ კაბინეტში მოჩქერათმებელი მაგიდის გვერდი: წაბლისფერი როიალი ედგა, ზედ უწესრიგოდ ეყარა ნოტები. შავიდაზე არც ერთი წიგნი და არც ერთი ფერცელი ქალაღი არ ჩანდა, მართო ბროწეულის წნელი და ოქროსჩარჩოიანი სათვალე იღო.

გრიგოლმა თვალის ერთი გადავლებით შითვალეირ-მოათვალეირა ჰაკეს კაბინეტი და მერც მაგიდის პირდაპირ რბილ სავაზე ჩამოქდა. ჰაკე არ დამქდალა, ილიას მიაშტერდა, ბავშვი გაწითლდა და თავი ჩალუნა.

- შენი სახელი? — ჰკითხა ჰაკემ ილიას, სახელი რომ გაიყო, მხარზე ხელი ვადახვია და კაბინეტიდან გაიყვანა, შემობრუნებულმა გრიგოლს უთხრა:
- მოახუბარი ხომ არ არის?
- არა, რატომ კითხულობთ?
- მეშინია. შარშან ციციშვილის ბიჭი მი-

ვიღე და მთელი სკოლა აიკლო. ძლივს შოეწონარი.

- დარდი ნუ გაქვთ, დინჯი ყმაწვილია.
- მეც შევაბუყე. ადგილი არა მაქვს, თავდო, მაგრამ რა ვენა, ურას ვერ გეტყვიო, მივიღებ. სრულ პანსიონარზე გინდათ თუ ნახუბარზე?
- ეგ რას ნიშნავს?
- ბინაშია განსხუავება. ჩემი ბინით 250 მანეთი წელიწადში, თუ ჩემთან ღამე არ დარჩება, მაშინ 200 მანეთი.
- გრიგოლს ეძვირა, მაგრამ ვერაფერა უთხრა. წუთით ჩაფქრებულ გრიგოლს ჰაკე თვალს არ ამორებდა, უცნაური მიშტერება იცოდა.
- კნაზო, ეძვირათ?!
- ფასზე არ ეფიქრობ.
- აბა, რაზე?
- ღამით თქვენთან დარჩენაზე. ეთომ აქობებს?
- ამას კითხვა უნდა?
- მაშ, კარგი.
- მინდა ვიცოდე, რა და რა საგანს ასწავლით?
- ჰაკემ უჭრა გამოაღო და ქალაღის შოევი-თალი ფერცელი მიაწოდა.
- აქ წერია.

გრიგოლმა ქალაღი გამოართვა.

- საღვთო რჯული, საეკლესიო ისტორია, რუსული გრამატიკა, არითმეტიკა, ისტორია, გეოგრაფია, ლათინური, ფრანგული, ქართული, სომხური ენება, შოლბინება, ხატვა, ცეკვა.
- შოეწონათ? — მაშინვე ჰკითხა ჰაკემ, გრიგოლმა ის ქალაღი რომ ჩაიკითხა.
- ქართული რამდენი მკაცრული გაქვთ კვირამი?
- პირველად ყველა ამას შეკითხება. რა შოგდით?
- შობლიური ენა ყველაზე კარგად უნდა შეისწავლოს.



— ქარი ნუ გაქვთ, შეისწავლის.
მეორე დღეს ილია მერსზე მორცხვად და-
ქდა.

სანამ ილია მოწადეურობდა ცხოვრებას შეეჩვეო-
და, გრიგოლი ყოველდღე მიდიოდა პანსიონ-
ში.

— ბიჭმა დღეს გაყვითლი იცოდა? — ეკო-
თხებოდა ჰაკეს.

— არა უშავს, გონიერი ყმაწვილია.

— აბა, დამიძახეთ, ენახათ.

— გუშინ ხომ ნახეთ, გუშინწინაც. ეყოფა,
ნუ ანებიერებთ.

— მასწავლეთ, ცოტას მოვეფერებო.

— მოფერება ბავშვს აფუჭებს. ქართვე-
ლებს მშვენიერი ანდაზა გაქვთ: „შვილი
მტრად ვახარად, მოკეთედ გამოგადგებაო!“

— დაუძახეთ, უნდა გამოვეშვიდობო!

— მაშინ კარგი! — ჰაკემ დარაჯს ილია
მოაკყვანინა. თვითონ კაბინეტიდან გავიდა,
მამა და შვილს რომ თავისუფლად ელაპარა-
კნათ.

— როგორ შეეწყვე მასწავლებლებს?

— კარგად, მაგრამ ჰაკე არ მომწონს. გუ-
შინ დამცინა.

— რა ვითხრა?

— ბავშვებს ამღერებდა როლიდან, მეც იქ
ვიღებო. შეიხა, შენ სიმღერა იციო, არა-მე-
თქი რომ ვეთხარი, შემომიყვირა, აბა, ტყუი-
ლად გავს ანხელა პირით. ბავშვებმა სიცო-
ლი დამაყარეს.

— ეგ არაფერი, შვილო, წერილმანია. გუ-
ლთან ნუ მიტან! — გრიგოლმა აქორცილ თმაზე
ხელი გადაუსვა. — არ მეთმობი შვილო, მაგრამ
რა ექნა, ოჯახს მიბედვია უნდა. აბა, შენ იცი,
არ შემარცხენო. — გული აუტყუდა. — მო-
ვლიერ, აბა ფული, იქნებ რამე მოგინდეს,
იყიდე. — გრიგოლმა ქისა გამოუხვია და
წერილი ფული ილიას მუჭში ჩაუყარა.

— მეცა მამეს ქისა.

— საიდან?

— დედამ გამომატანა.

ილიამ წითელი ქისა ამოიღო, მარამის და-
ზოგილ კაბიკებს მამის ნაჩუქარიც დაუმტარა და
ჯიბში ჩაიღო.

წავიდა გრიგოლი. ილია დიდხანს იდგა აი-
ვანზე, ერთხანს ხედავდა მამას, როგორ ჩქარა
მიდიოდა გაქიმულ გზაზე, მერე თავს მიეფა-
რა, მაგრამ მაინც ხედავდა, მამა მიდიოდა
შინ, დედასთან, ბავშვებთან.

ყველაწინ, ყველასთან დააბარა მოკითხვა,
ფული კონკა, დაცვანთან კი არაფერი არ და-
უბარებია, გული დაწუდა, რატომ დამაიწყდა
ჩემი კარგი მასწავლებელიო.

არ დაყოვნა და ბარათი მისწერა, ლამაზად
გამოიყვანა ასოები, იცოდა, მასწავლებელს
ამით უფრო გაახარებდა.

გრიგოლი მოულოდნელად გამოვიდა კაბინე-
ტისში. მამინეე პანსიონს მიამხრო და და-
ქდა.

— მამი, ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობაზე რა ვითხრა და დედა კი
ავადა გყავს.

— რა დაემართა?!

— ჩვენმა ექიმმა ვერაფერი გავუო. ახლა
იქედან მიმყავს ექიმი. ძალიან მოენატრე, უნდა
წამოხვიდე.

ილია თავს ოთახში შევიდა. პალტო ჩაიკვია,
თავზე ოქროსსარმანი ყაბალახი შემოიხვია,
ამხანაგებს გაუვირდათ, საღ მიდიხარო.

ილიამ ხმა ვერ ამოიღო, ლოყაზე ცრემლი
ჩამოუგორდა. ოთახიდან თავჩალუნული გა-
ვიდა.

გრიგოლი ამხანაგში პანსიონის პატრონის,
გერმანელი ჰაკეს კაბინეტი შევიდა. ილიამაც
იქით გასწია, მაგრამ დააკუნება ვერ გახედა,
კართან გაჩერდა. „არ გამიშვებს, ქირის დღე-
საგით ევაერება სკოლის გაცდენა,“ ფიქრობდა
ილია. კარი ოღნავ ღია იყო, მაგრამ ილიამ
მარცხ ვერ გაიგონა მამის ლამაზი, ჰაკეს
შეყვანა ხმა კი ცივად ჩაესმა.

— მამ მიგყავთ, არა?

— მიმყავს, დედას შეილი არ ვაჩვენო?

— რომ აჩვენოთ, რას არ გუბნს, მოარჩენს?

— განა შეილი არა გყავს? რომ კვდებოდე,
არ უნდა განახოს?

— არა, დაიზარებდა, ცოდვია.

— ჩვენი წესი ვერე არ არის, შეილის და-
ნახვა მომავლად გულს გაუხსნის, ამ ქვეყ-
ნისაკენ მოაბრუნებს.

მიხალა გრიგოლმა, კაბინეტიდან გამოვი-
და და იქვე აბრუნდი ილიას ხელი ჩასვიდა.

— წამო, შეილი!

ცივი ქარი უბრაავდა, მოყინულ ქვაფენი-
ლზე დეხი უცურავდათ. ამრიგა გააუგებოდა
განაფხული, უშინოდ აცივდა, პანსიონის ეზო-
ში აყვავებულ ნუშს გახვდა გრიგოლმა,
თუმცა ამისი გული სულაც არ ჰქონდა, მაინც
ოქვია:

— ჩვენთან ასე არ ცივა,

ილია მორჩილად მიჰყებოდა მამას, მოუდა-
ნზე ეტლში ჩასხდნენ, მიხვეულ-მოხვეული
გზები გაიარეს, მწვენიელ შეღებულ სახლს მი-
ადგნენ. ილია ეტლში დარჩა, მამა იმ სახლში
შევიდა, მსუქან ექიმთან ერთად მალე გამო-
ბრუნდა.

ექიმი ეტლში ჩაქდა, პატარა ჩემოდანი, წა-
მღებით და ხელსაწყოებით საესე, მუხლზე და-
იღო.

მეატლუმ შეუყვირა ცხენებს და მგზავრები
დილიდანების ბირაზე მოიყვანა.

იქ, წითლად შეღებულ დილიდანში ჩასხ-
დნენ რომელსაც ოთხი ცხენი ება. ეყვანების

ვღარა-ვღერით დილიჯანსი კახეთის გზატყე-
ცილზე გავიდა.

რა გახარებული მოეშურებოდა ილია თბი-
ლისისაჲენ. ამ გზატყეცილზე შქროლაჲი დი-
ლიჯანის სარკმლიდან თავგამოყოფილს არც
ერთ ზე და სახლი არ დაუტოვებია თვალშე-
ვლელზელი. ანხელი ძაღლების ყეფა და ღრენა
ღინძლა ჰკვრიდა, ნათელი ფიქრები გულზე
ტყბილად ეწურებოდა, ახალი ყოფისა და ცხო-
ვრების მოპლოდინეს.

თბილისში გულში ჩაიხუტა კახელი ბიჭი.
ყველაფერი მოსწონდა ამ დიდ ქალაქში, მისი
მხალა სახლები, ბაღები, ბაზრები და ქუჩები,
სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები,
სკოლის ამხანაგები, მაგრამ არ მოსწონდა
ჰაყ. ჰაყე მოწაფეს ერთს არ გაუცინებდა.
სულ მუდამ დაბლყერილი დადიოდა, ძალიან
მიწეზიანი და სასტიკი იყო.

ილია ნატრობდა სოფლის მისწავლებელს,
ბავშვების ამყოლ-დამყოლსა და გულის მე-
საიდუმლესს. რამდენი ზღაპარი იცოდა, რამდენ
მსტორიული ამბავი, ჭიდაობასა და ბერ-
თაობას ხომ წელა იყითხავთ!

ჰაყე კი ათასში ერთხელ თავის პიანინოს
მიტყდება, თვითონ უკრავს და გვაქეზებს იმ-
დერეთს, იმას კი არ ეთხულობს, გვემდერე-
ბა თუ არა. ჭერ გვეჩხუბება, გვეცემს, მერე
სამღერის გუნებაზე ექნებათ?
ფიქრობდა ილია და ფიქრით ხან ჰანსიონ-
ში იყო, ხან ღედასთან და მის ცხელ მგერდს
ეკაროდა.

გზა არ ილეოდა. ცხენები ორჭერ გამოცეა-
ლეს, მაგრამ უვარელში შიანე ვერ მივიდნენ.
გზასა და ფიქრს ბოლო არ უჩანდა.

ექიმს მშვიდად ეძინა. მამა ხმას არ იღებდა.
ილია აღლოთი მიხვდა, რომ საქმე კარგად
არ იყო. ვიდაც მგზავრმა დუმოილს ვერ გაუ-
ძლო და სიმღერა წამოიწყო. ილიას ეგონა
ექიმი გაიღვიძებდა, მაგრამ არა, ის კაცი კი
მღეროდა თავისთვის ხმამაღლა, თითქმის ღა-
მის გზაზე მარტო ყოფილიყო.

დილიჯანის ყვარელში შევიდა.
აი, ილიას სახლი.

ღვდა!
ვერ ექიმი შევიდა შინ, ილიას უთხრეს
მოიადეთო. შეწუხებულს სალომემ ჩააგლო
ხელი და თავის ოთახში შეიუენა. აქ მძებნი და
ღები დაუხვდნენ.

სალომე ბავშვებს ვერ უყურებდა, ცრემ-
ლას დასამაღავად თვალეზე მერდინს იფარე-
ბდა.

გრიგოლი გვიან შემოვიდა და ბავშვებს
გამოუცხადა:

— არც ერთი არ შეხვიდეთ ღედასთან, —
ილიას კი თავზე ხელი გადაუსვა და ცრემლიანი

ხმით უთხრა, — ტყელიად ჩამოვიყვანე. ნახე
არ შეიძლება!

ექიმი ცალკე ოთახში მოადევნეს, ბუნარი
აუნთეს, თეთრი რცხილის კუნძებს ტყა-
ტყუი გაჰქონდა.

ექიმს ამ სახლიდან უხილავი ძალი ვერეე-
ბოდა, სატყივარს უეპარი წამალი ვერ მოუნა-
ხა, უძღური აღმოჩნდა, ავადმყოფს ნემსი
გაუკეთა, ფხვნილიც მისცა, მაგრამ შიანე ის
მაღამო არ იყო, დავდრომილს რომ ამ ქვეყ-
ნისკენ მოახედებს.

გრიგოლი თვალეში შესტყროდა შეწუხე-
ბულ ექიმს. ნიკოლაი პეტროვიჩი ხმას არ
იღებდა. მან მოვიგზავნე ბუხარს ზურგი ცი-
ვად მიუშვირა და მასხინძელს ჰკითხა:

— რამდენი შეილი გვაყო?
— ხუთი.

არაფერი უთქვამს, თავი მიმხედ გაიწინ-გა-
მოიქნია.

გრიგოლმა შეატყო, საქმე რომ ცუდად
იყო, ექიმს შიმით ვერაფერი ვერ ჰკითხა, კი-
დეც ჰქონდა პატარა იმედი და მისი დაჯარგვა არ
უნდოდა.

ვახშამი შემოიტანეს, ცხერის ყურმა და ილა-
ზნის ლოქო, ნიორწყალში ჩაწყობილი, მაგ-
რამ ნიკოლაი პეტროვიჩმა პირი არაფერს არ
დააჯარა. ღვინით საესე ჭიქა აიღო მხოლოდ
და თქვა:

— ავადმყოფს გაუმარჯოს, იცოცხლოს ამ
ოჯახის სახედნიეროდ!

— ამინ! — დაუდასტურა გრიგოლმა.

მერე ექიმი წამოდგა, იქვე კუთხეში მარგვა-
ლი მივლიდან „ვეფხისტყაოსანში“ აიღო, გრი-
გოლმა თვალ მიადევნა ექიმს, მოგონდა, მა-
რიაშის მამამ ქრისტეფორე ბებრეთშვილმა მზი-
თებთან ერთად რა მოიწიებით მიათვა ეს
წიგნი და თან ამაყად დაატანა. ჩემმა ქალი-
შვილმა ზეპირად იცის ეს პოემაო.

ქართველი კაცი ქალიშვილს ამაზე უკეთესსა
და სანუეკარს ვერაფერს გაატანდა თავის
ახალ ოჯახში.

მარიაში კარგი მწიგნობარი გამოდგა, ბავ-
შეებს შოთას ლექსი ზეპირად შესწავლა.

ახლა გრიგოლი მოგონების ბურუსში გვე-
ხვია. ქორწილი. შეილები: კონსტანტინე, ნინო,
ილია, ელისაბედი, თეიმურაზი, სვიმონი. სვი-
მონმა ძალიან გაამწარა ოჯახი, ჩვილი გამოე-
სალმა წუთისოფელს და საბრალო ღვდას პირ-
ველი ჭიღარა იმან გაუჩინა.

გრიგოლი მოგონებებმა უფრო შორს გა-
ტაცეს.

ექიმი აივანზე გავიდა, ჯარისკაცის გრძელი
ნაბიჯებით დაიწყო წინდაუქან სიარული.

მთვარიანი ღამე იყო. ალაზნის ვილი ვერცხ-
ლისფერ სხვიებს გაევსო.

ბავშვები დაწაროდან უტყვროდნენ ექიმს.
ექიმი ბოძთან იდგა და გაჰყურებდა ღამაზ

ხეობას, რომელიც შუაში დადესტინსაკენ მი-
მავალ შარავზას გაეჭრა.

ილიამ ივანშმა, თავისი პატარა ძმა თემურის
ჩაიხუტა და დაიძინა. ნამგზავრს ერთხანს კარ-
გად ეძინა, მის ფართო შუბლსა და ხუშუშ
თმის ჩაწეული ლამშის მკრთალი შუქი დასდ-
გომოდა.

— დედა, დედა!
ძილში წამოიძახა და წამოჭდა.
— რა იყო, ილია! — მაშინვე მასთან გაი-
ნდა ფრთხილი სალომე.

— ჩემთან დედოკო მოდიოდა, მაგრამ, —
ხელოთ თვალებს ისრესდა ძილდებილში მყოფი,
— მაგრამ ეჭიმმა არ გამოუშვა...

— კარგი დაიძინე, დაიძინე! — სალომემ
ბალიშზე მიაწვინა, საბანი დახურა და წაიღია.
ილიას არ დაეძინა. ჩუმიდ აღდა, ჩაიყვია,
დედის ოთახის კარი დაკეტული დაუხედა, მა-
შინ აივანზე გავიდა და ფანჯრიდან შეიხედა
ოთახში, ლამა ან ჩაეწიოთ, ოთახი განათე-
ბული იყო. ბედზე ფარდაც ცოტა გაწეული
აღმოჩნდა და ბალიშებზე მისვენებული დედა
კარგად ჩანდა.

უცქირა, უცქირა, ილიამ, ჯავრმა თვალები
ამოუწრო და დედამ მიიღ ხმა არ ვასტა.

„ნუთუ ვერ მხედავს?“ ფიქრობდა ბიჭი. მი-
ნას ტუჩი მიადო და დაუძახა:

— დედი, დედი!
აეადმყოფმა თავი წამოსწია.
— დედი!

— შეჩვენება... თუ შენ ხარ, ილია?
— შე ვარ, დედა.

— უი, ჩემო, სინათლევ!
მარიამი ფანჯარას მოადგა, ფარდა ვაწია.
ლამშის შუქმა ილიას წამოთხებული სახე გაა-
ნათა.

— კარი გამოღე!
— არა, ნუ შემოხვალ.
— უნდა გაკოცო, დედა.
— შე თვითონ გაკოცებ, შეილო.

დედა დაიხარა, მინას ლოუა მიადო, ილიამაც
გარედან შეაგება თავისი ამობურცული ტუჩი.
ცოცე მინა ორივე მხარეს შეორთქლდა.

— წადი, წადი, გაიყვლება!
დედა ლოგინისაკენ წაბარბაცდა და კედელს
მუშტი დაუშინა.

— რა ძილქუში დაგეცათ, ბავშვს მიხედეთ!
ილია შევიდა თავის ოთახში, თემურს მშვი-
დად ეძინა, ჩაწეული ლამა ოდნავ ანათებდა
მაგიდას. მაგიდის ერთ კუთხეში წიგნები და
რვეულები ეწყო. ილია მაგიდას მიუჭდა. დედა
ამ რვეულს საგანგებოდ ინახავდა. ახლა ვი-
დაცას სივრიდან ამოუღია. ნეტავი ვის რაში
მოაგონდა? ილიამ რვეულები გადაშალ-
გად-მოშალა. ოი, უფროსი ძმის კონსტანტინეს გუ-
წათავი ხელი გამოყვანილი ჭუჯა ასოები. შე-

რე ნინოს რვეული აიღო, ნინოს ლამაზე წერა
სტოდნია, მაგრამ ასოებს ვერც კარგად შეე-
ტრეს. მისი ნაწერი დაბეჭდულია. წიგნის
თავისი რვეულიც გადაშალა. თვითონ ასოებს
ძალიან წყირალსა და პატარას წერს. დედა
უჯავრდება, ცოტა გამსხვილდე, ჭადალდე რად
გენანებოა. ილიას ქართული ანბანის დრო-
მოჭმულმა ასოებმა საქმე გაუჭირა. ვერაფრით
ვერ გამოიყვანა დედის მოსაწონად.

რვეულების თვლიერებას რომ შორჩა, მერე
ვახტანგ ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვ-
რება“ აიღო და მის კთხევში ჩაეჭინა.

დილას მარიამმა გრიგოლს უსაყვედურა:
— ბიჭი სწავლას რად მოაცდინე. ახლაც
ვაისტუმრე!

ექიმმა, წამლები, რაც დასატოვებელი იყო,
დასტოვა, რჩევა-დარჩევაზეც არ დაიხარა და
გასამგზავრებლად მოემზადა.

გრიგოლმა ილიას ხორაგით გაუცხო ჭრელი
ხურჭინი, ასაუზმა და უთხრა:

— სწავლას ნელარ მოსცდები.
— წაიღდე?
— პო, შეილო.

— რისთვის ჩამომიყვანე?
გრიგოლმა ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა,
მოუფერა და უთხრა:

— დედაშენმა მოხოვა, ახლაც ვაისტუმ-
რეო.

— არა, ჩემი დედა ამას არ ვეტყვოდა! —
ხამამლა მიუგო ადუღებულმა ილიამ.
მისი სიტყვები მეროც ოთახში მარიამმა
გაიგონა და იქიდან გამოსძახა:

— ვთქვი, შეილო, ვთქვი. აქ რას მარგებ,
სწავლას კი ცდები.
— არა, დედი, კარგად გახდი და მერე წა-
ვალ.

ილიას ცრემლმა და სიტყვამ გული მოუწვა
გრიგოლს, ტუჩზე თითი მიიღო, ანიშნა, ხმა არ
ამოუღო, თვითონ ექიმი ტომარამდე მიაცილა
და მერე მოსამხატრე ბიჭი ვააყოლა დილი-
ეთნის სადგურამდე.

ილია მამას ეზოში შეეგება.
— ნამდვილი ჭკვეუკი ხარ. შენი რომ გაი-
ტანე! — უთხრა გრიგოლმა.

მაგრამ ილია სოფელში დიდხანს არ დარ-
ჩენილა, მარიამს აეადმყოფობა მალე მოერია
და საუტუნოდ დახტუა თვალი.

მაისი, ვაზფხულმა თბილისი ვაათხო, პან-
სიონის ბეჭებმა სახამთრო ტანისამოსი ვაიხა-
დეს, ზოგმა თეთრი ხალათიც კი ჩაიყვია.

ილია მოვიდა პანსიონში, შავი ხალათი ეცვა
სახე გასტრეცოდა, თვალები ჩასწითლებოდა.
პაქემ მხარზე ხელი გადახვია და თავის კაბი-
ნეტში შეიყვანა.

— სწავლა შეგობარო, მხოლოდ სწავლით
უკვდაყყოფ დედაშენის ხსოვნას.

• • •

ზაფხული. ილიას შავი ხალათი ვახუნებია. უმცროსი ძმა — თემური შეტყვამს მზარზე, ეზოში დარბის, აჩუ-აჩუს იძახის, ბავშვი იცინის და თავზე ზელებს უტყაპუნებს. ილია სწირ-სწირად ვზისავენ იხედება. მამას შეაგვიანდა, გუშინწინ უნდა ჩამოსულიყო და მაკრინეც ჩამოუყვანა. მამიდა მაკრინე ილიას ძილიან უყვარს. შარშან ორი თვე იყო მასთან, მამიდამ ქმარ-ხანჭალი აჩუქა, გაიზრდები, გამოვაგვებო. ილიას გულმა არ მოუთმინა, ვერცხლისბალთებიანი ქმარი შემოირტყა, ზედ ხანჭალი დაიკიდა და სარკეში ჩაიხედა.

ბერი რამ აკლდა კაცობას. არც უღვაში ჰქონდა, არც წვერი, არც სიმაღლე, ხანჭალი იატაკზე ეთრეოდა. ახლა ეს ძვირფასი ქმარ-ხანჭალი განჯინაში ჰკიდია მამის სამხედრო მუნღირთან ერთად.

რა კეთილია მამიდა, ალერსიანი. ისეთი მოდერება იცის, პირში თაფლი უღნება.

ცხენების თქარათქური მოესმა. ჭინკარში ვაფიდა, შარაგზაზე მტერის ღრუბელი ავარდა ცხენასნებიც გამოჩნდნენ.

— მამიდა, მამიდა!

დიდი და პატარა მაკრინეს შემოეხვია. მაკრინემ ბავშვები დაჰკოცა, მავრამ ცრემლი? იცინის, თვალები კი ცრემლით ავსებია, ილიამ შენიშნა ეს ცრემლი და გული აემღერა.

მერე საღამოს, აივანზე ჩაის რომ მიირთმევენ, გრიგოლი ნაღვლიანად ამბობდა:

— ოჯახს რომ დედაბოძი გამოეცლება, იმი/საქმე წასულია, ბავშვები შეიკრებიან, თორემ ჩემი თავი ჯანაბას.

— ვინც მოკვდა, თავს მოუვლდა და საცოდავი ის არის, თორემ ცოცხლებს რა ვიჭირთ.

— შენს ხელში მართლაც რა უნდა ვაგვიჭირდეს! — უთხრა ძმამ.

გრიგოლმა ოჯახის გაქოლა და ბავშვების აღზრდა მაკრინეს მიანდო.

მაკრინე, ივანე არაგვის ერისთავის მეუღლე, ყოველმხრივ დაჩაგრა ბედმა, ქმარი ადრე გარდაეცვალა, შვილიც არ ჰყავდა, მარტო მარტო იყო. თავის მშვილებს გულის კარი გაუღო. ნამღვლი დედობა გაუწია, მძისწულებიც არ დარჩნენ ეალში. უკვე საქვეყნოდ ცნობილი ილია თავის ამაგდარ მამიდას სწერს:

„მე თქვენთან ყოფნა რომ მინდა, იმისთვის მამიდაჩან, რომ ბოლოს, ვინც თქვენ პატარაობაში დიდის შრტუნველობით გამოზარდე, ახლა იმან თქვენის ათასნაირი შრომისათვის ხელის გულზე ერბო-კვერცი იწეას და ისე ვაცხოვროთ. სიკეთე, მამიდაჩან, დაუფიწყარია და რაც თქვენ ჩვენთვის სიკეთე გიქნიათ ეგ უფრო განსაკუთრებით უკვდავი არის ჩემთვის, მე რომ მინდა მიინც ვადმოსვლა, იმიტომ უფრო, მამიდაჩან, რომ თქვენ თან გახლდეთ და ჩემი დღენი თქვენს პატივისცემაში, სიამოვნებაში დავლიო“.

პარტიის მიზეზი

I

კურსანტმა ბორის ალმაზოვმა გაიგო, რომ მამამისი სასწავლებლის უფროსთან იყო გამოძახებული. ამ ამბავმა ააღელვა ბორისი. თომა ალმაზოვი გადამდგარი მიჩმანი, ნაზი და შტრუნველი მამა იყო, შვილს ძალიან უყვარდა და მამის უნებურს არაფერს არ აცთებდა. რას უნდა გამოეწვია სასწავლებლის უფროსის ისეთი წყრომა, რომ მისი მშობელი გამოიძახა?

ბორისმა გადაწყვიტა უსათუოდ შეხედროდა მამას და როგორც კი ლექცია დამთავრდა, უფროსის მისაღები-საკენ გაეშურა. მამა უკვე იქ იყო.

თომა ალმაზოვი ორმოცდაათ წელს გადაცილებული კაცი იყო. მისი საკმაოდ მსუქანი, ჭერ კიდევ ყირმიზისფერი, სწორნაკეთებიანი სახე და მუდამ მომლიმარი, მოკუტუთული თვალები თითქოს იმაზე მეტყველებდნენ, რომ ამ კაცს შეიძლება ენდოთ ყველაფერში. რასაც დაავალებთ.

— ხომ არ იცი, რისთვის დაგვირდი თქვენს უფროსს? ხომ არაფერი დააშავე შემთხვევით? ახალგაზრდა კაცი ხარ, ყველაფერი ხდება ხოლმე.

— არ ვიცი, ვერაფერი გამიგია. — მიუგო შეფიქრანებულმა კურსანტმა. მისაღებში შემოვიდა ნატალია ნი-

კოლაევნა, ბორისის საყვარელი მეგობრის — სოფიას დედა. იგი შტკიცე ნაბიჯით მოჰყვებოდა სასწავლებლის პარტიული კომიტეტის მდივანს. მათ უკან მოსდევდათ სოფია, ძალიან მოწყენილი და რაღაცით დანაღვლიანებული. მდივანი და ნატალია ნიკოლაევნა პირდაპირ, გაუფრთხილებლად შევიდნენ უფროსის კაბინეტში, სოფია კი მისაღებში დარჩა. შეხვედრით გახარებული ბორისი ქალიშვილთან მიიქრა. სოფიამ, ჩვეულებრივი მომჯადოებელი ღიმილის ნაცვლად, მკაცრად გადახედა, უჩვეულოდ ცივად უპასუხა მისაღებზე და მისაღების შორეულ კუთხეში გაერიდა და როგორც კურსანტს მოეჩვენა, სოფიას თაფლისფერ თვალებში რაღაც ბრაზიც ჩასდგომოდა. რა უნდა მომხდარიყო?

ბორისი დაბნეული შესიქეროდა მისკენ ზურგით მდგარი ქალიშვილის ოქროსფერ თმას, კონტა ზეინულად რომ ეწყო თავზე და თვითონ კი ფანჯარაში იყურებოდა. თხელი, უნაკეცო აბრეშუმის ქსოვილის კოფთა ვერც კი ფარავდა მისი კონტად აღნაგი ახალგაზრდული სხეულის სინატიფეს, იდაყვებამდე გამიშველებული ზორციანი და ღონიერი ხელები ისე ფუნთოშაჰქონდა, რომ თვალს იტაცებდა. როგორ მიეჩვია ბორისი, რომ ამ ქალი-



შელს მუდამ მხიარულსა და ბედნიერს ხელად! გულბრწყილო, თითქმის ბავშვური ღიმილი არ შორდებოდა მის ლამაზ ბაგეებს. აღსიფერი ვარდის ფერცლებს რომ უგავდა. ახლა კი ასე უგუნებოდ იყო, გაბრაზებულიც კი. არა, ეს უბრალო საქმე არ არის, რაღაც მოხდა, რაღაც საწყენი, მაგრამ რა?

ამ დროს კი აღმირალის კაბინეტში ასეთი საუბარი მიმდინარეობდა:

— ნატალია ნიკოლაევნა, პარტკომის მდივანმა გაკვირით მიაშბო, — ცოტა დაბნეულად დაიწყო აღმირალმა. — თურმე რაღაც ეპკები გქონიათ ჩვენი კურსანტის მამის, გადამღვარი მიჩმანის, აღმაზოვის მიმართ. მინდა ყველაფერი დაწვრილებით ვიცოდეთხოვთ, თუ ძნელი არ არის, მიაშბეთ.

ნატალია ნიკოლაევნამ ცრემლები შეიწმინდა. ორმოცდახუთი წლის ქალი იქნებოდა. უკვე შეკვლარაგებული; ტანმორჩილი, კოხტა მანდილოსანი იყო, ფერმკრთალი, მრგვალი სახისა და თითქოს სახის შეუფერებელი, მერტისმეტად დიდი თვალები ჰქონდა.

— დამერწმუნეთ, მე არაფერი მინდა თქვენი აღმაზოვისაგან. ლაპარაკიდან დავრწმუნდი. ვერანაირად ვერ შერიგებხართ იმ აზრს, რომ აღმაზოვს შეეძლო დანაშაული ჩადენა. არავითარი განზრახვა არა მაქვს აღძრა საქმე მის წინააღმდეგ. მინდა მხოლოდ ჩემი ერთადერთი ბავშვის დალუპვის მიზეზები გავიგო... აღმაზოვმა კი იცოცხლოს. რა თქმა უნდა, თვითონვე შემეძლო მისთვის მიმეკითხებინა... თქვენ არც შემეწუხებინეთ, მაგრამ... ამნაირადამიანთან შეხვედრისა მეშინოდა.

— არა, არა! სწორად გავგიგეთ. — ჩაერია პარტკომის მდივანი, — ჩვენ არ ვაპირებთ დანაშაულის დაცვას თუ...

— ო-ოჰ! მესმის, — ღრმად ამოიოხრა და ისევ შეიწმინდა ცრემლები ნატალია ნიკოლაევნამ. — ჩვენ ვცხოვრობდით იმ სახლში, რომლის ადგილზეც ახლა პატარა ბაღია. ნეკრასოვისა და მიაკოვსკის ქუჩების კუთხეში,

№32-ე ბინაში. იმ საბედისწერო დღეს, 1942 წლის 26 ივნისს, ჩვენ ორნივენი; მე და ჩემი ბორია, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავით. მე სულ ვბოდავდი. ხალხს ჩვენთვის არ ეცალა. ფაშისტები განუწყვეტლოვ ბომბადენენ ქალაქს, ყუმბარები ჩვენს რაიონში ეცემოდა. ვისაც სიარული შეეძლო, ყველა თავშესაფარში იყო, მე და ბორიას კი არაფრის თავი აღარ გვქონდა. მეზობელი, რომელსაც შეეძლო ჩვენი შეველა. საბრალო ქალი, წინა დღეს დაიდუპა ყუმბარის აფეთქებისას. იმ წყეულ დღეს როგორღაც ჩვენთან შემოიხედა იმ თქვენმა... აღმაზოვმა. მხოლოდ გუშინ გავიგე მისი გვარი.

აღმირალი დიდი ინტერესით უსმენდა ქალის სიტყვებს, მან მოუთმენელი ამბის მოლოდინში რაღაცნაირად ამოიგმინა, ქალმა აღმირალის ასეთი უჩვეულო აღლევება მხოლოდ მგრძნობიარე კაცის თანაგრძნობად ჩათვალა და წაქეზებულმა სულმოუთქმელად განაგრძო.

— ყურებში ახლაც მესმის იმ კაცის სიტყვები: „დედაკაცი, მგონი, უკვე მკვდარია... ბავშვი უნდა წავიყვანოთ“. მე შეყვირება ვცადე. წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ვერ შევძელი. პირიკ ვერ გავადე. ბორიას ხელის ხლება არ შეიძლებოდა. ერთიანად იწვოდა. დარწმუნებული ვიყავი, იქვე მოკვდებოდა. ასეც მოხდა... კიბზე მოკვდა.

— როგორ გაიგეთ, რომ... თქვენი ბავშვი მოკვდა? — შენიშნა აღმირალმა.

— მეზობელმა მიაშბო. იმ ქალს ენახა ბავშვის გვამი ამ... აღმაზოვის ხელში.

— იქნებ იქ მაინც რაღაც... შეტდომია? — წამოიძახა პარტკომის მდივანმა. — აბა როგორ ფიქრობთ, რისთვის უნდოდა თქვენი ბავშვი?

— რა მოგახსენოთ. — მხრები აიჩეჩა ნატალია ნიკოლაევნამ, — იქნებ თვალის ასახვევად... მე ხომ ყველა დავკარგე, ყველაფერი ცეცხლმა შთან-

თქა, ან იქნებ ფაშისტების მოსვლამდე წაიყვანა ვილაცამ.

— ჰმ! მერე რანაირად წავიდა თქვენი საქმე?

— ქვეყნად კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. ვილაც ამხედროები მოვიდნენ, საავადმყოფოში წამიყვანეს. იქ გადაპარჩინეს. მერე ვიპოვე ობოლი გოგონა სოფია, ვიშვილე, მთელი ჩემი დედობრივი სიყვარული იმაზე გადავიტანე, გავზარდე.

— ჰმ! — ვერაფერი უბასუხა ჩაფიქრებულმა კონტრადმირალმა. — ახლა თომა აღმაზოვს ვთხოვოთ და ვცადოთ ყველაფრის ახსნა. ხო, ახლა როგორ იცანით? საიდან მიხვდით, რომ ეს კაცი სწორედ ის აღმაზოვია?

— იმ დღიდან მესხიერებაში ეს სახე მიზის. — ერთხელ შემთხვევითაც შევხვდი ქუჩაში. ახლა კი... იმ თომა აღმაზოვის ვაჟმა ჩემი სოფია გაიცნო. ვაჟმა სურათი აჩუქა, სანადირო ტანი-სამოსში არიან გადაღებული მამა-შვილი. დაეხედე და ვიცანი.

— რა გავწყობა, მიჩმანს დაეუძახოთ...

მიჩმანი აღმაზოვი ძველი ჩვეულებებისამებრ აღმირალს კარებთან გამოეჭიმა.

— თომა აფანასიევიჩ, — მიმართა პარტკომის მდივანმა. — ნატალია ნიკოლაევანამ ამტკიცებს, რომ თქვენ ნაცნობები ხართ.

— დიას, აგრე გახლავთ, ჩვენ დიდი ხნის ნაცნობები ვართ. — ძლივს ჩაილაპარაკა ნატალია ნიკოლაევანამ და სახე მიაბრუნა.

თომა აღმაზოვმა გაოცებით შეხედა ქალს და ეტყობოდა, თავი უადრესად უხერხულად იგრძნო. სახე მაშინვე ოფლის წვრილმა წვეთებმა დაუფარა. ცხვირსახოცი ამოიღო და სახე შეიწმინდა, შემდეგ კი, თითქოს თავის სიტყვებს არ უჯერებსო. თქვა:

— მაპატიეთ, მაგრამ მე... პირველად გხედავთ!

— არა, პირველად არა! — მკვებედ მიუგო ნატალიამ. — ნუთუ არ გახსოვთ

1942 წლის 26 ივნისი, ლენინგრადის ბლოკადა. ნეკრასოვისა და მარკსის ქუჩების კუთხე, ოცდამეერთეული ბინა?

— მახსოვს... რა თქმა უნდა, მახსოვს, — ისე უბასუხა თავდახრილმა მიჩმანმა, თითქოს საკუთარ სიტყვებს ზომავსო. — როგორ არ მახსოვს? იმ სახლში დაიღუპა მთელი ჩემი ოჯახი... ოცდაექვსი ივნისი? დიას, იმ დღეს მომეცა საშუალება შემერბინა ჩემიანებთან, — გაიხსენა აღმაზოვმა. — მენება მომცეს შემერბინა სახლში და წამეყვანა ცოლ-შვილი, მეუღლე და ასული, დიდ მიწაზე გამეგზავნა ისინი. მაგრამ ჩვენი ბინა დანგრეული და გაპარტახებული დამხვდა. მეზობელ ბინებში გადავედი, რომ მათი ბედი და ასეველ-დასავალი გამეგო. უეცრად სროლა დაიწყო. ხალხმა თავშესაფარს მიაშურა... ერთ-ერთ ბინაში მომაკვდავი ქალი და მისი ბავშვი ვნახე. — მიჩმანი თითქოს გონს მოეგო: ნუთუ თქვენ ის ქალი ხართ?

— დიას, ეს მე ვიყავი 32-ე ბინაში. თქვენ წამართვით და დამიღუპეთ ვაჟი-შვილი!

თომა აფანასიევიჩი დაიბნა. ორიოდღე ნაბიჯი გადადგა წინ. ქალს ხელი გაუწოდა, მერე უკან დაიხია. თითქოს არ იცოდა, საიდან დაეწყო, როგორ მოქცეულიყო.

— არა, არა! რა გქვიათ? დიას, ნატალია ნიკოლაევანა! არაეინაც არ წამირთმევია, არაეინაც არ დამიღუპავს. ახლაც ყველაფერს მოგიყვებით, ყველაფერს მოგიყვებით...

— ნუ ღელავთ, თომა აფანასიევიჩ, — აღმირალი წამოდგა და მიჩმანთან მივიდა. — წესიერად მოყევით.

— ძალიან კი არ ვღელავ, მაგრამ... საერთოდ, როგორც კი გემზე დაებრუნდი, მაშინვე გამოგიგზავნეთ ხალხი, რომ დახმარება აღმოეჩინათ... მაგრამ ამასობაში თქვენი სახლი სრულიად დანაგრიეს, მიწასთან გაასწორეს, — თომა აღმაზოვი ოფლად იღვრებოდა, სახეს წარამარა იწმენდა. — მაშინ სა-

ფუტევილი გვექონდა გვეფიქრა, რომ თქვენ დაიღუპეთ.

— არა, მე გადავრჩი, როგორც ხედავთ, ცოცხალი ვარ! ბავშვი კი თქვენ წამგვართ და არა სხვა ვინმემ.

— მე სიმართლეს ვამბობ, მხოლოდ სიმართლეს! თქვენ ვერ გამიგეთ, — თომა აღმაზროვმა ხელები გაშალა. — თქვენი ვაჟი ნამდვილად მე წაიყვანე, და რაღაც დავრწმუნდი, რომ დაიღუპეთ, ვიშვილე. დიდ მიწაზე გავაგზავნე დასთან. იქ გამოზარდეს, საღია და ცოცხალი... არც ურიგოდ გამიზარდია, — მიჩმანი კართან მივიდა, გაალო და დაიძიხა: — ბორია მოდი აქ.

ნატალია ნიკოლაევნა წაბარბაცდა, პარტიომის მდივანმა შეაკავა და სკამზე დასვა.

— ბორია! ქალმა ბორიასაკენ გაიშვირა ხელები.

— დიხ, ის გახლავთ, — რაღაც კეფსით სავე ხმით უთხრა თომა აღმაზროვმა. — ბორის აღმაზროვი — თქვენი შვილი... უფლება გაქვთ წამართვათ...

აქ მიჩმანმა დაივიწყა სამხედრო სუბორდინაცია, არავისათვის ნებართვა არ უთხოვია, ისე დაეშვა სავარძელში.

2

პოლიგონის რაიონში რომ მივიდა, წყალქვეშა ნავმა „ა-176“-მა ჩაყვინთა და ნაჩვენებ სიღრმეზე ჩავიდა. ნავის ნაკვეთურებში ჩვეულებრივზე მეტი დუმილი იყო. სამარისებური დუმილი იქნებოდა, ქიმიის გარეთ წყლის გუბუნე რომ არა, ან უფროსის ბრძანება, ასე ხშირად რომ ისმოდა ცენტრალურ საგუშაგოდან. და ნაკვეთურებიდან წამოსული მოხსენებები. მეზღვაურები მოუთმენლად ელოდნენ იმ მოწყობილობის გამოცდის შედეგს, რომელსაც პირობით „605“ უწოდეს. ზღვაში გასვლას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ჩატარდა პარტიული და კომკავშირული კრებები, საუბრები და მოხსენებები, მეცადინეობანი, პრაქტიკული ვარჯიში.

წყალქვეშელთა გარკვეულ ნაწილს ჩაბარებინეს სპეციალური გამოცდები მექანიზმების ცოდნასა და უბანზე თავიანთი მოქმედების სრულყოფაში.

ამის მიუხედავად, მოწყობილობის დიდი სირთულისა და მოქმედების პრინციპების დიდი სიახლის გამო, უშუალოდ მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ადამიანების გარდა ბევრმა წყალქვეშელმა როდი იცოდა დაწერილებით ამ მაგიური „605-ის“ საიდუმლოება. მაგრამ ეკიპაჟის ყოველ წევრს შეგნებული ჰქონდა მომავალი გამოცდის მთელი სირთულე და მისი წარმატებით ჩატარების უზარმაზარი მნიშვნელობა. „605“ მოწყობილობის ათვისება უზრუნველყოფდა დიდ ნახტომს წყალქვეშა ნავების სისწრაფეში. მათ ავტომატურობასა და ცურვის სიშორეში.

თუ პირველი მსოფლიო ომის დასასრულს წყალქვეშა ნავების სისწრაფე წყალქვეშა მდგომარეობაში ექვს კვანძს უდრიდა, „605“ მოწყობილობის ათვისების შემდეგ ეს სისწრაფე მიაღწევდა 30-35 კვანძს და კიდევ მეტს, ცურვის ავტომატურობა და სიშორე კი პრაქტიკულად განუსაზღვრელი გახდებოდა, ახალი საბრძოლო თვისებები ხდიდნენ წყალქვეშა ნავს ზემოლერ იარაღად და არსებითად აღიდებდნენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ზღვებსა და ოკეანეებში.

ყოველივე ეს კარგად ესმოდათ „ა-176“ ნავზე მყოფ წყალქვეშელებს და კიდევაც ამყობდნენ, რომ სწორედ მათ ხელათ პატივი გამოეცადათ სამამულო სახომალდო მშენებლობაში აღმოჩენილი ასეთი სასწაული.

საბრძოლო ჭრილში პატარა სკამზე იჯდა და ნავის უფროსის მოხსენებას ისმენდა სახელმწიფო მიმღები კომისიის თავმჯდომარე, პირველი რანგის კაპიტანი ვასილ ჟურავლიოვი. ეს იყო ჩასხმული ვაჟაკი, ასე ორმოცდახუთი წლისა. მისი ღრმად ჩამჯდარი შავი თვალები გამზდარი სახიდან იუყრებოდნენ

მტკიცედ, რწმენით, მშვიდად და თითქოს ცოტა ნაღვლიანადაც.

— ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის თანახმად მიდის, — თითქოს ყოველ სიტყვას წონისო, ისე ამბობდა გემის უფროსი, მესამე რანგის კაპიტანი სორვანცოვი, და თითოთ ნაეის გეგმას უჩვენებდა. — ცენტრალურ საგუშაგოზე, ენერჯის დანადგართა მართვის პულტთან დგას ყველაზე უფრო გამოცდილი ოფიცერი იური კეტლინსკი. მოსამზადებელ მეცადინეობაზე, როგორც იცით, თავისი საქმის ბრწყინვალე ცოდნა გამოავლინა...

— არ მინდა იმის მოხსენება, რაც თვითონვე ბრწყინვალედ ვიცი, — შეაწყვეტინა ჟურავლიოვმა და მეგობრულად გაუღიმა, თითქოს ბოდის იხდისო უტაქტობისათვის. — ჯობს მიფხრათ: რატომ არ დგას ფიქსატორის ადგილზე სამანქანო განყოფილებაში ის ოფიცერი, რომელიც სპეციალურად ამ პოსტისათვის არის მომზადებული? ყველა მეცადინეობაზე იდგა მესამე რანგის ინჟინერ-კაპიტანი სიზრანცევი, აქ კი უეცრად გამოჩნდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, ლეიტენანტი ალმაზოვი. ასე არ არის?

— ასე გახლავთ, ალმაზოვია! — დაუდასტურა სორვანცევი და თითქმის კეფის უკან გადაწეული პილოტურა შეისწორა. — ამხანაგო პირველი რანგის კაპიტანო, ლეიტენანტი ალმაზოვი შემთხვევითი ცვლა არ არის. კარგი ოფიცერი გახლავთ და აქვს ზუსტად იგივე განათლება, რაც სიზრანცევს, გამოცდებზე ვამზადდებით, მუდამ დუბლიორობდა სიზრანცევს, და ძალიანაც დიდი წარმატებით. დღევანდელი შეცვლა გამოწვეულია იმით, რომ ნაეის საბოლოო გამოცდაზე გავლის წინ ალმაზოვმა გამოიჩინა სიზრანცევზე მეტი ცოდნა, ბევრად უფრო დაჯერებულად და ზუსტად მუშაობდა პოსტზე და... მე პირადად მივიღე გადაწყვეტილება სწორედ ის დამეყენებინა პოსტზე, მაგრამ... თუ თქვენი ნება იქნება მკაცრად მივეყვით პრინციპს...

— პრინციპს, პრინციპს! მორჩით ამ სისულელის ლაპარაკს! — რომელიმე პრინციპის ბრძანებით მოხსენებდა კი არ არის! — ჟურავლიოვმა ხელი ასწია და ერთი წამით ჩაფიქრდა. — თქვენ ხართ უფროსი, თქვენ აგებთ პასუხს პირად შემადგენლობაზე. მაგრამ განწყობილების მიხედვით ცდების ჩატარება... წინააღმდეგი არა ვარ სიზრანცევის შეცვლისა ალმაზოვით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ფიქსატორის პოსტზე, მეტადრე თუ გამოცდა წარმატებით ვერ ჩაივლის, ბევრი რამ არის დამოკიდებული. ეს გასაგებია, რა თქმა უნდა?

სორვანცევი იგრძნო, რომ კაპიტანმა ძალიან ზანტად დართო ნება გადაწყვეტილების შეცვლაზე, მაგრამ სავსებით დარწმუნებული იყო, რომ სწორად მოქცა.

მიხეილ სორვანცევი ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო, მაგრამ შთამაგონებელი გარეგნობა ჰქონდა: საკმაოდ მსუქანი, ზომიერად დაქაფა, მზით დამწვარი, სწორნაკეთებიანი სახე, დიდი რუხი თვალები, დაკვირვებული გამოხედვა და თავდაჭერის უნარი. ყოველივე ეს ქმნიდა მტკიცე შთაბეჭდილებას, რომ ეს კაცი ცხოვრებაში საკმაოდ გამობრძმედილია და თავის მოქმედებაში დარწმუნებული.

— დანარჩენ პოსტებზე...

— დანარჩენ პოსტებზე ყველაფერი რიგზეა, ყველაფერი ვიცი, — შეაწყვეტინა ჟურავლიოვმა. — ნებას გაძლევთ შეუდგეთ გამოცდას. გადაეცით გამოცდის დაწყების სიგნალი და წერტილში მისვლისას შეუდგით გამოცდას!

წყალქვეშა ნავი, თითქოს რაღაცას ეპარებო, ელექტროძრავას მეშვეობით ნელა მივიდა დათქმულ წერტილამდე, იმ ადგილამდე, რომელიც რუკაზე სქემატიკურად წითელი წერტილი იყო აღნიშნული.

შტურმანმა აცნობა ნაეის მისვლა დათქმულ წერტილთან. უფროსის მშვიდმა, მაგრამ მბრძანებლურმა განკარგულებამ თითქოს სახრით წამოაგდო წყალქვეშა ნავი. კეტლინსკის უნარიან-

მა ხელმა მაშინვე ამოძრავა პულტზე მრავალრიცხოვანი ხელსაწყო და ცენტრალური პოსტიდან მართვა დაიწყო. ელექტრომობტორები შეაჩერეს, მოწყობილობა „605“ მოეშვადა, რომ დატვირთვა თავის თავზე აეღო.

ძრავებს მორიგეობით უწევდათ გამოცდა. ჯერ მარჯვენა ძრავა ჩართეს, კეტლინსკიმ ძრავა ცარიელ რეჟიმზე გადაიყვანა და როცა სისტემის უნაყოფო მუშაობაში დარწმუნდა, საბრძოლო ჭრილში გადასცა მოხსენება ძრავის ხრახნზე გადასვლის მზადყოფნაზე.

— ჩართეთ გადაბმის ქურა! — მშვიდად ბრძანა სორვანცევმა სალაპარაკო მილში. — ნაკვეთურებში! მიმოიხედეთ! მომახსენეთ შენიშვნები!

— ერთხელ კიდევ გააფრთხილეთ ფიქსატორების პოსტი გამოცდის დაწყებაზე, — უბრძანა პირველი რანგის კაპიტანმა გემის უფროსს. — მოაგონეთ ძირითადი მოვალეობანი!

სორვანცევმა თითქოს წინასწარ იცოდა თავისი უფროსის ბრძანების შინაარსი, მაშინვე მიიწია უკიდურეს მილთან. რომელიც პოსტთან აერთებდა, და იმავე მშვიდი ხმით გასცა ბრძანება:

— ფიქსატორების პოსტზე! ვიწყებთ „605“ მოწყობილობის გამოცდას. ყურადღებით! მოგაგონებთ თქვენი მოვალეობების ძირითად მომენტებს: პარამეტრების მკვეთრი ცვლილებების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამორთეთ მთავარი ძრავები და მომახსენეთ მე. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია მუშაობის დარღვევის მიზეზის გამოკვლევა...

სორვანცევის სიტყვებს აღმაზროვი მოკლედ პასუხობდა: „არის“. უკვე დიდი ხანია ზეპირად იცოდა თავისი მოვალეობანი და აწუხებდა მხოლოდ ის აზრი, თუ პრაქტიკულად უკეთესად როგორ შეესრულებინა თავისი საქმე, რადგან სამხედრო საქმეში მთავარია პრაქტიკულად შესრულების ხარისხი.

წყალქვეშა ნავმა სწრაფად აიღო კურსი და მეოთხედ საათში საპროექ-

ტო სიჩქარე განავითარა. მარჯვენა ძრავის გამოცდას მოჰყვა მარცხენის გამოცდა. ხელსაწყოები უჩვენებდნენ „605“ მოწყობილობის ნორმალურ და საიმედო მუშაობას. ყველაფერი ისე მიდიოდა, რომ უკეთესს ვერ ინატრებდით.

პირველი ეტაპი რომ დამთავრდა, უფროსმა მეორე ეტაპზე გადასვლა ბრძანა. ახლა ორივე ძრავა სრული დაძაბვით მუშაობდა, წყალქვეშა ნავის სისწრაფე უმაღლეს მაჩვენებელს აღწევდა.

გემის სვლის გამოცდა თავიდანვე წარმატებით ჩატარდა. საბრძოლო ჭრილში სასიამოვნო მოხსენებები მიპქროდნენ ძრავების მართვის ცენტრალური პოსტიდან და ფიქსატორების პოსტიდან. ზედა სტაჟერონთა ზედმეტად გახურებას თუ არ მივიღებთ მხედველობაში.

— ზედა სტაჟერონებს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, ისინი რატომღაც ქარხანაშია ცოველთვის ზედმეტად ზურდებოდნენ, — მოახსენა ქარხნის წარმომადგენელმა პირველი რანგის კაპიტან ფურაელიოვს. — ახლა ისინი ხელს ვერ შეგვიშლიან, შემდეგისათვის კი ამ ნაკლს გამოვასწორებთ. მთავარია, რა თქმა უნდა, დანადგარი „605“, ის კი ჯერჯერობით თითქოს წესიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

ორივე მთავარი ძრავის ერთდროულმა გაშვებამ ნორმალურად ჩაიარა. „605“-მა მშვენიერად აიღო დატვირთვა და ნავის სისწრაფემ თანდათან იმატა. ნახევრად ბნელ ჭრილში მკაფიოდ ციმკიმებდნენ ხელსაწყოების ისრები. ლივლივებდნენ ინდიკატორთა ფერადი ნათურები. მეორე რანგის ინჟინერ-კაპიტანი იური კეტლინსკი, ორმოცი წლის ოფიცერი, რომელსაც ხავერდო-

ვან წარბებ ქვეშ დიდი შავი თვალები მოუჩანდა, წარამარა იწმენდდა ოფლს და ამკამად მეთვალყურეობდა ხელსაწყობებს ცენტრალურ პულტზე, სადაც ხელისგულივით ჩანდა ხომალდის მთავარი ძრავების მოქმედება. აგერ უკვე რამდენი საათი გავიდა, რაც მოხსენებები საბჭოლოდ ქრილში იფარგლებოდა მხოლოდ მოკლე ფრაზებით: „ყველაფერი ნორმალურად მიდის“, „ხელსაწყობები კარგად მუშაობენ“, „ლილვებზე დატვირთვა ნორმის ფარგლებშია“ და ა. შ.

მიმდინარეობდა გამოცდის უკანასკნელი ეტაპი და წყალქვეშელები უკვე მზად იყვნენ ერთიმეორისათვის მიელოცათ სახელმწიფო გამოცდის წარმატებით დამთავრება. სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა, კიდევ ერთი უკანასკნელი რეჟიმი სვლისა და წარმატება აშკარა იქნებოდა! ნავის ეკიპაჟი მომსწრე იქნებოდა ჯერ არნახული საბრძოლო უნარით აღჭურვილი ახალი წყალქვეშა ნავის დაბადებისა! მაგრამ არა, არ ეწერათ ამჯერად წყალქვეშელებს გამარჯვების სიხარულით დატკობა.

კეტლინსკის გამპრიახ თვალებს უეცრად ბინდი გადაეფარა. მახვილ ხელსაწყობებზე მოულოდნელად აღინიშნა მეტისმეტად მაღალი წნევა და კატასტროფული სისწრაფით მზარდი მაღალი ტემპერატურა სამანქანო ნაკვეთურში. გამოცდილმა მექანიკოსმა მაშინვე იგრძნო, რომ იწყებოდა ხანძარი და რომ არ გავაზვიადოთ. სეკუნდები რჩებოდა აფეთქებამდე, რასაც მოჰყვებოდა წყალქვეშა ნავის დაღუპვა.

მოახლოებული კატასტროფის შესახებ ცნობა ერთდროულად მოვიდა ცენტრალური პოსტიდან და ფიქსატორების პოსტიდან. სორვანცევმა მაშინვე ბრძანა გაებერათ სავაჟიო ბერვის მთავარი ბალასტი, დაუყოვნებლივ — ამოეცურათ ზედაპირზე და ზღვაში

გადაეყარათ ფეთქებადი საფრთხე შენარევი.

„ა-176“ ჯერ ნელა, შემდეგ მტკნარი სწრაფად მიიწვედა ზედაპირისაკენ. წუთიც არ გასულა, რომ ზედაპირზე იყო, და როგორც კი წყლის უკანასკნელი ფენები ჩამოირტყხა ზურგიდან, უფროსმა ლეკი გააღო. ბოგირზე ავარდა, თან პირველი რანგის კაპიტანი ეურაველი იგი აპყვა.

ოფიცერთა ყურადღება მიჯაჭვული იყო ორთქლის წარმოქმნაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ამოცურებული ნავის კიჩოს მხარეს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს წყლიდან ამოაქვთო უზარმაზარი გავარცარებული რკინის ნაჭერი, რომლის გარშემოც დულს და ორთქლდება ზღვის წყალი.

— მიეცით ავარიის სიგნალი უზრუნველყოფის გემებს! — უბრძანა პირველი რანგის კაპიტანმა გემის უფროსს.

მაგრამ ბრძანების შესრულება ვერ მოასწრო. გაისმა გამაყრუებელი აფეთქება და „ა-176“ ნავის გავარცარებული კიჩოს დანაშენი კიჩოს წითლად მოელვარე ლუკთან ერთად ჰაერში აიტყორცნა. საგრძნობი სიმაღლიდან ძირს დაეცემულმა ნამუსრევმა ატორტმანებულ წყლის ფენებით დაფარა მთელი ბოგირი, ქაფი გადაეგლო ნავის დარჩენილ კორპუსს.

უზრუნველყოფის გემებმა სპეციალური სიგნალის გარეშეც შენიშნეს, რომ „ა-176-მა“ ავარია განიცადა და სრული სვლით გაეშურნენ მისი ეკიპაჟის დასახსნელად...

უკვე მესამე დღე იყო, გულმოდგინედ მუშაობდა საცდელი წყალქვეშა ნავის „ა-176“-ის დაღუპვის მიზეზებისა და გარემოებების გამომრკვევი კომისია. ყოველნაირი კვლევა-ძიების შემდეგ, რაც ჩატარდა შემთხვევის ადგილზე, ნავთან, კომისიის წევრები თავიანთ ვარაუდებსა და დასკვნებს მოახსენებდნენ

თავმჯდომარეს. კომისიის ჰალარა თავ-
მჯდომარემ, კონტრადმირალმა ვანკოვს-
კიმ ყურადღებით მოუსმინა ადიუ-
ტანტს, რომელმაც რაღაც ჩურჩულით
მოახსენა და როგორც კი სიტყვის სათქ-
მელად წამომდგარმა კომისიის წევრმა
თაისი დაასრულა, დამსწრეთ აუწყა:

— ამანაგებო! მოსული არიან ლე-
ტენანტ ალმაზოვის მშობლები, მთხო-
ვენ მიღებას სასაუბროდ. შევწყვიტოთ
მუშაობა ნახევარი საათით. არ გვაწყენ-
და შესვენება და სუფთა ჰაერზე გავლა.
კონტრადმირალი ვანკოვსკი უკვე
ხანში შესული კაცი იყო, მაგრამ ტანა-
ლი, წელში გამართული და მკვირცხლი,
თმა ოდნავ შეთხლებოდა და ცოტა
თეთრიც გარეოდა. უღვაშები კი კონ-
ტად ჰქონდა დაგრეხილი. კაბინეტში მარ-
ტოდ დარჩენილმა კონტრადმირალმა
მაშინვე არ გამოიძახა ალმაზოვის მშო-
ბლები. იგი ფართო დარბაზის გაპრი-
ალებულ პარკეტზე ბოლოს ცემას მო-
ჰყვა, წუთით ფანჯარასთან შეჩერდა.
გაურკვეველად მიანერდა კოლის უბის
შტორმიან სივრცეს, შემდეგ მაგიდას-
თან მივიდა და ღილაკს თითი დააჭირა.

ფრთხილი ნაბიჯით შემოვიდა ნატალია
ნიკოლაევნა, თითქოს რაღაცის ეში-
ნაო. მას უკან მოჰყვებოდა თომა ალ-
მაზოვი, რომელსაც წესდების თანახმად
მარცხენა ხელში ეჭირა ქუდი.

— უნდა გითხრათ, რომ ცოტა ადრე
შესდგომხართ სიბერეს თომა აფანა-
სევიჩი. — შენიშნა ხუმრობით კონტრად-
მირალმა მისალმების შემდეგ. შევერც-
ლილხართ კიდევ.

— წლები გადიან, ვასილ პეტროვიჩ.
ვერაფერს გააწყობთ. — გაშალა ხელები
მიჩმანმა. — არავეს არ სურს დაბერება,
მაგრამ... ძალა აღმართსა ხნავსო.

— აბა, აბა, აბა! თომა აფანასევიჩი,
ვიხუმრე. ჩვენი დაბერება ჯერ ადრეა.
ჩვენ კიდევ გამოვადგებით სამშობლოს,
როგორც ერთგული ჯარისკაცები, და
ვიბრძოლებთ არანაკლებ, მრისხანე
ბალტიკაში რომ დაეცხეთ ფაშისტურ
გემებს. მიჩმანმა გაიღიმა და გაურკვევე-

ლად აიჩეჩა მხრები, ფეხი მოინაცვლა
და გაიხუნდა.

— თქვენ ნუ იცინით, თრმა აფანასე-
ვიჩი, კონტრადმირალი ახლოს მივიდა და
განზრახ თვალეშში ჩახედა მიჩმანს, —
ახლა მშვიდობიანი დროა, მაგრამ გა-
მარჯვება ხომ სწორედ მშვიდობიანობის
დროს იქედება. მგონი, ასე გასწავლი-
დით წყალქვეშა ნავზე, სადაც მე ხელმ-
ძღვანელი ვიყავი, თქვენ კი სამაგალი-
თო მიჩმანი?

— ასე გაზლავთ, სწორედ ასე გვას-
წავლიდით...

— თქვენ ხომ ახლაც ძალიან მნიშე-
ნელოვან პოსტზე ხართ — მომავალი ოფი-
ცრების აღმზრდელი ბრძანდებით, გა-
ნაგრძობდა კონტრადმირალი. — როგორ
ოფიცრებსაც გაზრდით, იმისთანა სამ-
სახური იქნება წყალქვეშა ფლოტში,
ხომ მართალია? რა თქმა უნდა, მარტო
თქვენ კი არ ზრდით, მაგრამ თქვენ,
როგორც გამოცდილი წყალქვეშელი,
სულაც არა ხართ უკანასკნელი დამკე-
რელი, სასწავლებლის აღმზრდელობით
სისტემაში...

— ვასილ პეტროვიჩი, ჩვენ ძალიან
შეშფოთებული ვართ შეილის ბედზე,
ჩაერია ნატალია ნიკოლაევნა, — თუმცა
საიდუმლოდ, მაგრამ გაგებული გვაქვს,
რომ ხალხი ყოველნაირს ლაპარაკობს
იმის საქციელზე ავარიის დროს... ჩვენ
კი დანამდვილებითაც არ ვიცით მისი
ჯანმრთელობის მდგომარეობა...

კონტრადმირალმა სერიოზული გამო-
მეტყველება მიიღო, წარბები შეიკრა,
ზომიერი ნაბიჯით მივიდა სამუშაო მა-
გიდასთან და მცირე პაუზის შემდეგ
თქვა:

— იცით, ნატალია ნიკოლაევნა, ლეი-
ტენანტ ალმაზოვის მოქმედება ზღვაზე
ავარიის მომენტში ეკუთვნის ისეთ სფე-
როს, რომელიც ფართო გახშიანების
საგნად არ უნდა იქცეს. და მე, რა თქმა
უნდა, არ მსიამოვნებს, როცა მთელი
ჩვენი დაბა იგებს ასეთ რამეს.

მე საჭიროდ ვთვლი, რომ ვინმე უნ-
და დაისაჯოს არც თუ იან მნიშვნელო-
ვანი, მაგრამ მაინც სამხედრო საიდუმ-

ლოს გაცემისათვის. მე მგონია, რაკი თქვენ ეს იცით, მამ მთელმა დაბამაც იცის.

— ოჰ, რასა ბრძანებთ, ვასილ პეტროვიჩ, — საყვედურის კილოთი თქვა ნატალია ნიკოლაევანა. — ჩვენ ხომ ამდენი წელია ერთმანეთს ვიცნობთ და...

— საქმე ისაა, რომ უფროსობამ ჯერ კიდევ არ იცის, რა დაემართა წყალქვეშა ნაეს, და თუ ასეთი ჭორები დაირბა, ყოველნაირი უაზრობა შეიძლება გავრცელდეს: ზედმეტი, ბოროტგანზრახვითი და საერთოდ საზიანო. საიდუმლო ხომ არ არის: უცოდინარ ადამიანებს ეშინიათ წყალქვეშა ნაეების და მათზე სამსახურის. ჩვენ ყველაზე ნაცლებად გვინტერესებს ზალხის დაფრთხობა წყალქვეშა ცურვით და მეტადრე ახალგაზრდობისა. პოდა, თუ თქვენ ცოტათი მიანიც გეტყვით ზოგადად, რაც მოხდა, — კონტრადმირალმა ყველანი სკამებთან მიიწვია, თავის მაგიდასთან, — იცოდეთ, რომ რასაც ახლა გეტყვით, არ უნდა გახმაურდეს. თავისთავად ცხადია, რაკი ძიება დამთავრებული არ არის, ჩვენ პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთ „ა-176“-ის ავარიასთან დაკავშირებული ამა თუ იმ დასკვნის სისწორეში...

ნატალია ნიკოლაევანა თითების ნერვიული თამაშით ითვლიდა რაღაც გასაღებებს და თან თვალებით ჭამდა კონტრადმირალს, რომელიც ნელა დადიოდა სამუშაო მაგიდის გარშემო. თომა ალმაზოვი ყურადღებით უსმენდა, თან მხედრულად გამოჰკიშული იდგა და მარჯვენა ხელში ჭუდი ეჭირა.

— წყალქვეშა ნაეი „ა-176“ მექანიზმების გამოცდას აწარმოებდა ზღვაზე და მარცხიანი მანევრის შემდეგ დაიღუპა. ორი კაცი მძიმედ დაიჭრა. მათ შორის თქვენი შვილი, ლეიტენანტი ალმაზოვი. დაჭრილები ჰოსპიტალში არიან, ექიმთა კონსილიუმის დასკვნით ორივე გადარჩება და მორჩება. ასე რომ, განსაკუთრებული საშიშროების საფუძველი არა გვაქვს.

— ამხანაგო ადმირალო, — ისე და-

იწყო მიჩმანმა, თითქოს საკუთარი სიტყვების ეშინიაო. — გამჭოლებს... ლეიტენანტი ალმაზოვი მწყობრად მუშაუყენონ რაღაც პრეტენზიები და... მე პირადად ეს ყველაზე მეტად მაწუხებს...

მართლაც, ჰქონდა საფუძველი მიჩმანს, რომ შვილის ბედზე შეწუხებულყო. მეტისმეტად ხშირად უხდებოდა ადმირალბთან შესვლა მისი მიზეზით. ჯერ ის არ დავიწყებოდა, სასწავლებელში რომ დაიბარეს და მისი ნაშეილები ბორიას დედა ცოცხალი აღმოჩნდა. მაშინ შვილს არ ჰქონდა არაფერი დანაშაული, ახლა კი...

კონტრადმირალი წამით შეჩერდა, ჩაფიქრდა, ძირს მიაჩერდა გაურკვეველ წერტილს, შემდეგ ბოლოს ცემა განავრძო და დაიწყო:

— დიახ, ეს სამწუხაროდ ასე ჩანს. მართალია, ჯერ კიდევ გასარკვევია, დასაზუსტებელი, რომ ლეიტენანტმა ალმაზოვმა რთულ მომენტში მართლა სიმხდალე გამოიჩინა, ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა. ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს ალმაზოვს ჯერ საშუალებას, რომ აგვიხსნას, რატომ ვერ შეაჩერა დროზე მექანიზმის გამოცდა იმ პოსტზე, რომელიც მას ებარა. ამით ავარიას თავიდან ავიცილებდით.

— ვასილ პეტროვიჩ, — მთლად შეეცვალა სახე ნატალია ნიკოლაევანას, — ბორია ხომ ჯერ კიდევ სულ ბავშვია, შეიძლება მართლა დაიბნა. ნუთუ ამისათვის მკაცრად დასჯიან?..

— არა! მე ამის მომხრე არა ვარ! — შეაწყვეტინა ჭალს თომა ალმაზოვი. — ლეიტენანტი ბორის ალმაზოვი სრულიად ზრდადასრულებული და სერიოზული ოფიცერია. ის არ საჭიროებს რაიმე შეცოდებასა და მფარველობას. ის მხდალი არ არის. ამხანაგო ადმირალო, თქვენ საკმაოდ კარგად მიცნობთ, მე გავზარდე, ბორის ალმაზოვი, მე ჩაუუნერგე, როგორც იტყვიან, შეუდრეკელობა, საკუთარ თავზე უკეთ ვიცნობ მას. არ დაიბნეოდა, არც შიშით დაძაბუნდებოდა, არც ერთ გარემოებაში. ყველაზე ცუდი ის არის, რომ თქვენ, ჩემმა უფ-

როსმა ომის წლებში, ასეთი ცუდი რამ გაიფიქრეთ ჩემს შვილზე, რომელსაც ვუნერგავდი ყველაფერს გამირულს. ყველაფერს კარგს, რაც გამაჩნდა. აქ რაღაც გაუგებრობაა...

— თომა თომას-ძე! — საყვედურის კილოთი შეედავა კონტრადმირალი, — ხომ გეუბნებით, ავარიის მასალებისა და ფაქტების შესწავლა არ დამთავრებულა-მეთქი. ჩვენ მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია ზოგიერთ რამეზე, ხოლო გარკვეული დასკვნების გამოტანა ნაადრევია. ჩვენც გვინდა ყველაფერი ვიცოდეთ, ვიწამოთ, რომ აღმავალი შესძლებს თავისი თავის რეაბილიტაციას, როცა მომჭობინდება და ლაპარაკს შესძლებს, მოგვითხრობს თავის მოქმედებაზე წაღის მექანიზმის გამოცდის დროს...

— ოჰ, საყვარელო შვილო, ჩემო სიცოცხლე, ნუთუ ასეთ მძიმე მდგომარეობაში ხარ! — ნატალია ნიკოლაევნამ სახე ცხვირსახოცში ჩარგო და თვალბზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა.

— დიას! სამწუხაროდ, კრიზისს ჯერ არ გაუვლია ოპერაციის შემდეგ. ჯერ მასთან არაფერზე არ შეიძლება ლაპარაკი, — კონტრადმირალმა ხელები ზურგს უკან გადაიწყო და ფანჯარასთან მივიდა.

ზღვაზე ქარი სულ უფრო ძლიერდებოდა და ნაპირისაკენ მოერეებოდა ბორბტად აქონრილ რუხ ტალღებს, რომლებიც გრიალით ეხეთქებოდნენ კლდეებს, შავ ქვებზე დაღეწილი ქაფის ისრები კი ისევ ზღვის წიაღს უბრუნდებოდნენ.

— კასილ პეტროვიჩ, — მავედრებელი კილოთი დაიწყო ნატალია ნიკოლაევნამ, — ხომ შეიძლება მოხდეს, რომ ბავშვმა ვერ გაუძლოს, ვერ გადაიტანოს კრიზისი და ცოცხალი ვეღარ ვინილოთ შვილი? რატომ არ შეგვახედებენ უბედურ ყმაწვილს? ჰოსპიტალში ვიყავით — და არ შეგვიშვეს... გთხოვთ, გვედრებით, ვასილ პეტროვიჩ, დაგვეხმარეთ, რომ მომაკვდავი შვილი ვნახოთ...

თომა აფანასევიჩს თითქოს რაღაც

მოაგონდა, მტკიცე ნაბიჯით მივიდა ნატალიასთან და ნაზად მოქვედუხლავდა იდაყვში.

— გთხოვთ, ნატალია, აღარ არის საჭირო არავითარი თავის დამცირება, წავიდეთ სახლში, — სთხოვა ვედრებით, — ჩვენი ბორისი გადარჩება და ჯანზედაც იქნება. ის არ მოკვდება, არა აქვს უფლება მოკვდეს ისეთი სამარცხენო ლაქით, რის მოცხებასაც ცდილობენ!

კონტრადმირალმა მიჩმანის მოქმედებაში წყენა დაიჭირა, შესამჩნევად შეცბა და ერთხანს ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო, მხოლოდ დაფანტულად შესცქეროდა თავის მნახველებს.

— მერწმუნეთ, არავის არავისი წყენინება არ უნდოდა, თომა აფანასევიჩს, და... — ცოტა მობოდიშებით დაიწყო კონტრადმირალმა მცირე პაუზის შემდეგ. — „სამარცხენო ლაქის მოცხებას ცდილობენო“, მერისმეტად მაღალფარდოვნად ხომ არ ეღერას ეს გამოთქმა?

ნატალიამ უხალისოდ, მაგრამ მაინც მიიღო მიჩმანის წინადადება, მძიმედ წამოდგა, ცრემლები მოიწმინდა, და უდევრად ჩადო ცხვირსახოცი ჩანთაში, თავი ამაყად ასწია და გასასვლელს მიაშურა.

— არა, საწყენი... ვგონებ, არაფერია, — მიუგო კონტრადმირალს მიჩმანმა, — ოღონდ გახსოვდეთ, ამხანაგო უფროსო, — მიმართა ოფიციალურად, როგორც მაშინ, როცა მისი ხელქვეითი იყო წყალქვეშა ნაზე, — რომ ჩემი შვილი ლაჩარი არასოდეს არ იქნება.

— მეც სწორედ ასე ვფიქრობ, თომა აფანასევიჩ, მე ხომ ჩინებულად ვიცოთქვენი, როგორც აღმზრდელის თვისებები. ჩვენ ხომ თითქმის მთელი ომერთ ყუთში გადავიხადეთ, ნუთუ ვერ შევისწავლეთ და ვერ გამოვიძუშავებ შეხედულება თქვენზე? მაგრამ... ფაქტები, ფაქტები ისეთი ჭიუტი რამეებია. მათ ვერ მიჩქმალავ. ჯერ სავსებით უნდა შევისწავლოთ და დასკვნები მერე გავაყეთოთ.

— დიას, ომის დროს ერთმანეთს კარგად ვიცნობდით, ამხანაგო კონტრადმი-

რაღო, მაგრამ ეს დიდი ხნის ამბავია. მას შემდეგ ადამიანებიც და დროც საგრძობლად შეცვლილია. ეს თვისებები, ნიჭი და უნარი, რაც მაშინ სამხედრო კაცს მოეთხოვებოდა, ახლა მხოლოდ ნიღბად, ფარად თუ გამოადგებათ ზოგიერთებს. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ბრალს არ გდებთ, რა თქმა უნდა, ამხანაგო კონტრადმირალო, და არცა მაქვს ამის უფლება. თქვენ — უფროსები ხართ, ჩვენ კი... პატარა ხალხი. თქვენ გააქეთეთ რაც შეგეძლოთ: მიგვიღეთ, ცდილობდით ყოფილიყავით თავაზიანი და სამართლიანი, როგორიც იყავით ოდესღაც წყალქვეშა ნავზე. თქვენ გვიამბეთ სიმართლე მომხდარ ავარიანზე, ჩვენს შეილზე, და იმ მძიმე ბრალდებაზე, რაც ჩვენი ოჯახის წინააღმდეგ წამოუყენებიათ.

— რატომ თქვენია... ოჯახის წინააღმდეგ? — ჰკითხა საგონებელში ჩავარდნილმა კონტრადმირალმა.

— როგორ რატომ, ამხანაგო უფროსო? ნუთუ დაგავიწყდათ, რას გვასწავლიდით წყალქვეშა ნავზე? „ხელქვეითების ყველა შეცდომასა და არასწორ მოქმედებაზე უპირველეს ყოვლისა პასუხს აგებენ მათი უფროსები და აღმზრდელები“, — მგონი, ასე იყო. მე და ნატალია ნიკოლაევნა კი არა მარტო აღმზრდელები ვართ, არამედ ლეიტენანტ აღმაზოვის მშობლებიც.

— ცხადია, არავინ გეცილებათ მშობელთა უფლებებში, მაგრამ... ლეიტენანტი აღმაზოვი საყმაოდ დიდხანს მსახურობდა ფლოტში ისე, რომ მისი საქციელისათვის მორალური და სხვა პასუხისმგებლობა მის უფროსებს აღარ უნდა დაეკისროთ, — არც თუ მთლად დაჭკრებულად უპასუხა კონტრადმირალმა.

— არა, ამხანაგო აღმირალო, ბავშვების აღზრდაში ჩემი აზრით მთავარი პასუხისმგებლობა მშობლებს ეკისრებათ; შექმდე კი ყველა დანარჩენი: მასწავლებლებს, უფროსებს, ამხანაგებს... მაგრამ მე არ მეშინია პასუხი გავცე ბორის აღმაზოვის რომელიმე საქციელზე. ერ-

თხელ კიდევ გიმეორებთ, შეუძლებელია, რომ იმას სიმხდალდეკეფუფუნა ან დაბნეულიყო... შიზლირთქან

თუმცა ერთი შეხედვით აქ ვერავის გაუბრაზდებოდა, მაგრამ ძველი მეზღვაური მეტისმეტად შეურაცხყოფილი ჩანდა მისი შეილისათვის წაყენებულ ბრალდების გამო.

ლენინგრადის ბლოკადის დროს ცოლ-შვილის დაკარგვის შემდეგ მიმანი აღარც აპირებდა ხელახლა ოჯახის შექმნას. მთელი თავისი მამობრივი ზრუნვა და სიყვარული გადაიტანა ბორისის აღზრდაზე. ზრდიდა კი მართლა სპარტანული სულისკვეთებით: ყოველმხრივ განვითარებულად, შიშის მოქულედ მის ყოველნაირ გამოვლინებაში. ფიზიკურად ჯანსაღ, ნებისყოფით გამორჩეულ კაცად, რომელიც ყოველნაირ ნაკლებობასა და სიძნელეს გულგრილად აიტანდა. უკვალოდ არ ჩაუვლია მის გულმოდგინებას. თომა აფანასევიჩი სულ უფრო აღფრთოვანებული რჩებოდა თავისი აღზრდის ნაყოფით. ბორისი იზრდებოდა ისეთი, როგორიც უნდოდა მისი სახით ეხილა აღმზრდელსა და სამამულო ომის ვეტერანს. იგი ბეჯითად სწავლობდა და საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. საკონკურსო გამოცდებზე გაიმარჯვა და შევიდა წყალქვეშა კურსის უმაღლეს საბუნდრო-საზღვაო სასწავლებელში. სამაგალითო კურსანტი იყო, დისციპლინითა და სწავლით გამორჩეული. დიპლომიც წარმატებით დაიცვა და მიიღო ლეიტენანტის წოდება, შემდეგ ბორია წყალქვეშა ნავზე მიიღეს და აი... არა!.. თომა აფანასევიჩი ფიქრშიც ვერ დაუშვებდა, რომ მისი ბორისი ლაჩარი აღმოჩნდებოდა. რაივ ავტორიტეტული პირებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ამისი მკადავებელნი. ყველაფერი ეს თვითონ ბორისის პირით უნდა მოისმინოს, თუ მართლა მოხდა უბედურება და გადამწყვეტ წუთს შეეშინდა, ბორისი ამასაც აღიარებს. ასეთ დროს მისი ბორისი პატიოსანი, სამართლიანი და პირდაპირი კაცია. ამაში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

ვანკოვსკიმ გაოგნულად გულთბილად გააკილა ლეიტენანტი ალმაზოვის მშობლები, მაგრამ მათი ვიზიტით უკმაყოფილო დარჩა. უმცროსებთან მუდამ დამირიგებლური ტონით ლაპარაკს მიჩვეულმა, როგორღაც ვერ შესძლო მიჩამან ალმაზოვთან უბრალოდ და ბუნებრივად თავის დაქუერა. პირიქით, ისე გამოვიდა, რომ კონტრადმირალი ვანკოვსკი ერთგვარ ნოტაციებსაც კი ისმენდა ამ „ფლოტის ცხოვრებისგან დიდი ხნის მოწყვეტილი მოხუცი ბოცმანისაგან“.

ვასილ პეტროვიჩმა დინჯი ნაპიჯებით ერთხელ კიდევ გაზომა მანძილი ფანჯრიდან შემოსასვლელ კარამდე. შემდეგ მაგიდასთან მივიდა და ღილაკზე თითი დააკვირა. ერთი წუთის შემდეგ კაპიტანში შემოვიდა პირველი რანგის კაპიტანი ქურავლიოვი.

— ახლა ჩემთან იყვენენ ლეიტენანტი ალმაზოვის მშობლები, — მაშინვე განაცხადა კონტრადმირალმა და შემოსულს სკამი შესთავაზა.

— ვიცო, ვნახე. — წყნარად მიუგო ქურავლიოვმა, კართან გაჩერდა და სკამთან მიწვევას ყურადღება არ მიაქცია. ვანკოვსკიმ ამოიხვნეშა, თითქოს გულიდან ლოდი გადაეგდოს, ხელები ზურგზე გადაიწყო და ისევ ამოჩემებულ ფანჯარასთან მივიდა. ქურავლიოვი ზურგიდან უყურებდა ისე გულგრილად და განურჩევლად, თითქოს ეს ყოფილიყო არა აღამიანი, არამედ რაღაც არაცოცხალი საგანი, რომელიც სრულებით არ აინტერესებს.

— გესმის, ვასილ ივანოვიჩ, — იმის მშობლებთან ლაპარაკი, ცხადია... ძნელი იყო, პირდაპირ მიმძიჟდა და... არც მსიამოვნებდა, მაგრამ, უნდა ვითხრა, ამ საუბრის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი ჩემი აზრის სისწორეში. აეარის ძირითადი მიზეზი მაინც ისაა, ლეიტენანტი ალმაზოვი.

— კიდევ უფრო დავრწმუნდიო ჩემი მოსაზრების სისწორეში? მშობლებთან საუბრის შემდეგ? — პირველი რანგის კაპიტანმა გალიმება სცადა, მაგრამ მხოლოდ მოეღრცა სახე. — რა უნდა სცო-

დნოდათ ალმაზოვის მშობლებს, ზღვაში მომხდარი ავარიის შესახებ? მსინინსკომ გამოცდის დროს ნავსუბურს უკოფილანს!

— გამიგონე, ვასილ ივანოვიჩ, — ვანკოვსკი უკვე შესამჩნევად ღელავდა. ფიცხლავ მივიდა ქურავლიოვთან, თითქოს მუშტებით უნდა სცემოსო. მე და შენ ხომ ერთი თეფშიდან გვიქამია! ერთად დავამთავრეთ საქაფლებელი, დიდხანს ერთ გაერთიანებაში ვმსახურობდით, ვიბრძოდით, ვაყოფდით ერთ ბედს, როგორც იტყვიან, და ნუთუ ერთმანეთს ვერ უნდა გეუფოთ? საკითხი ხომ ნათელია: ლეიტენანტი ალმაზოვი დააყენეს ფიცხატორების პოსტზე, მას უშუალოდ ვეალებოდა საფრთხის შემთხვევაში მთელი აპარატურის გამორთვა „605“ დანადგარზე... და არ გამორთო!

— არა მარტო! არა მარტო ეს ერთი ამოცანა დავაკისრეთ ალმაზოვს, ამხანაგო კონტრადმირალო, ამის გარდა მას ვეალებოდა აპარატურის არასწორი შესაბამის მიზეზის გარკვევაც.

— მით უარესი მსხთვის! არც ერთი ამოცანა არ შეუსრულებია! დაუშვა უმძიმესი ავარია. თქვენ კი ტყუილად არ აფანებთ მომხდარი ამბის უხარმზარ სიმძიმეს, ამხანაგო პირველი რანგის კაპიტანო, სრულიად ტყუილად! — მუქარის ტონზე რომ გადავიდა, ვანკოვსკი ისევ ჩაიწყო ხელები შარვლის ჯიბეში და ფანჯარასთან მივიდა. — სახელწიფომ ხომ დიდი ზარალი განიცადა, მატერიალური და... ყოველნაირი.

— ჰო, კეთილო, რას გვიბრძანებთ? — პირველმა დაარდვია დუმილი ქურავლიოვმა. — დაუკითხავად ჩირქი მოცხბოთ აღამიანს, დავსაჯოთ დაპირალი ალმაზოვი და ამით მოვრჩით?

— ალმაზოვი ვერ გადარჩება. ექიმთა კონსილიუმი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი სიცოცხლე ჩამქარალია, ასე რომ, მისთვის სრულიად ერთი ფასი აქვს, გაკიცხავენ თუ შეაქებენ. რაც შეეხება ჩემს წინადადებას, თქვენ მას მშვენივრად იცნობთ, უკვე გარკვევით ვთქვი სხდომაზე. კომისიის წევრთა უმ-

რწელსობამ მხოლოდ იმის გამო არ მიიღო, ჩემი წინადადება, რომ თქვენ გიყურებენ. თქვენ ავტორიტეტის რიდი აქვთ. თქვენ გესმით! — აქ ისევ მოწყვეტილი მიუბრუნდა პირველი რანგის კაპიტანს, — სარდლობა პასუხს ითხოვს, უნდა შევაჯამოთ კომისიის მუშაობის შედეგები თუ არა? რატომ მოხდა ავარი? ვინაა დამნაშავე მომხდარში? ვის დასდებთ ბრალს, თუ იმ კაცმა, ვისაც ავარიის აღკვეთა ევალებოდა, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას თავი აარიდა?

— თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ. ამხანაგო კონტრადმირალო, იმ ზოგიერთი უწყისიგრობის ამბავი, ჭერ კიდევ ქარხანაში რომ სჭირდა „605“-ს, გამოცდის დროს ზედა სტაქერონები ზურდებოდა და... ან იქნებ იყო რაღაც ტექნიკური არასრულყოფილება, რაც ჭერ კიდევ არ ვიცით.

— სისულელეს ლაპარაკობთ! თქვენ ჩინებულად იცით, რომ ზედა სტაქერონებს ახანაირად არ შეეძლოთ ზეგავლენის მოხდენა გამოცდის მსვლელობაზე. დანარჩენი აპარატურა კი ნაუხე ჩინებულად მუშაობდა მთელი დღის განმავლობაში...

— მუშაობდა, მაგრამ გამოცდას ვერ გაუძლო.

— ვერ გაუძლებდა აღმაზოვისთანა კაცის ხელში!

— საერთოდ, ამხანაგო კონტრადმირალო, მე ჩემს აზრს არ ვიცვლი: უნდა დავიცადოთ, ვიდრე ლეიტენანტი აღმაზოვი მოიხედავს: დავკითხოთ და მხოლოდ შემდეგ გავაკეთოთ საბოლოო დასკვნები. სარდლობას კი მოვაცხენოთ, რომ ჭერჭერობით შეუძლებელია ავარიის მიზეზების დადგენა.

— ა-არა. ძმობილო, საკუთარ უსუსტურობაზე ხელის მოწერა თქვენთვის შომინდელია, მე კი ეს არ მჩვევია, როგორც მოგეხსენებათ. მე კომისიის თავმჯდომარე ვარ და პირადად ვაგებ პასუხს მის მუშაობაზე. ლოდინი, ვიდრე ექიმები მოპაკედავ ადამიანს თავს დასატრიალებენ, ხელს არ მაძლევს და ამას

არც ვაპირებ, მით უმეტეს, რომ ამისი საჭიროება სულაც არ არსებობს. მესმის, რომ ის დასკვნა, რასაც მე ვაკადავ და რაც ლოგიკურად გამომდინარეობს შექმნილი ვითარებიდან, ძლიერ შელახავს თქვენს ავტორიტეტს, მაგრამ... აქ ვერაფერს გააწყოთ, ნათქვამია: რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო. ახალგაზრდობას კუდში არ უნდა მიეჩანახლებდეთ! რატომ უნდა დათანხმებულიყავით იმ ლაწირაკ სორვანცევის წინადადებას, რომ ფქსატორის პოსტზე ჩინებულად მომზადებული სიზრანცევი შეეცვალა იმ... თქვენი აღმაზოვით? მე არ ვიცი. დარწმუნებულზე მეტიც ვარ, რომ თვითონაც არ გესმით ასეთი გაუპართლებელი ოინის აზრი.

კონტრადმირალის კვიმაც თვალეში პირველი რანგის კაპიტანმა დაიჭირა სკეპტიციზმის შხამი—მშრალი, ცივი, ხენეში, ყოველგვარ ირონიას მოკლებული. დიან, ეს სრულებით აღარ იყო ის ვასია, რომელსაც ოდესღაც იცნობდა. „ჩანს, დაბერდა მეზღვაური!“ — გაიფიქრა გულში.

ეურავლიოვი ერთხანს თავჩაქინდრული იდგა, მერე გამოერკვა და თქვა: — ძლიერ შელახავს ჩემს ავტორიტეტს? — მხრები აიჩეხა. — შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის მოხსნას სულაც არ ვაპირებ. სიზრანცევის შეცვლა აღმაზოვით კი მაინც გამართლებული მგონია. სორვანცევი, ლაწირაკი კი არა, გემის უფროსია, და საკმაოდ ჰკვიანი უფროსიც, მისი აზრი ანგარიშგასაწევეია, მიუხედავად რანგისა და ასაკისა... მერე, რატომ უწოდებთ აღმაზოვს ჩემსას? ის უფრო თქვენი კაცი გახლავთ, ვიდრე ჩემი. მაშამისი თქვენი მებრძოლი ამხანაგია, თითქმის მთელი ომის ქარცეცხლი ერთად გამოგივლიათ, მე კი სად ვიყავი! თომა აღმაზოვს ნაკლებად ვიცნობ. ლეიტენანტი აღმაზოვი კი სულ რაჟღენიშეჭერ მინახავს.

— ნუ როშავთ სისულელეებს, ეშმაკმა დალაზეროს! რა მებრძოლი ამხანა-

ვიო! ავერ, რამდენი წელი გავიდა, ომი აღარაა, ახლა საჭიროა მუშაობა და არა... წარსულის მოგონებებით ლაზღანდარობა. ვინც ცხოვრებას მხარადამხარ მიჰყვება და კუდში არ მისჩანჩალებს, წინ წავა, ხოლო ვინც უკან-უკან იხედება, ადრე თუ გვიან თავდაყირა დაეცემა. მე კი არ მინდა დავეცე, გაიგეთ?

— ჰო, თქვენ ყოჩალი ხართ, ამხანაგო კონტრადმირალო, — ყურავლიოვმა ექიდნურად გაიღიმა, — თქვენ მშვიდობიანობის დროს ბევრად მეტ წარმატებას მიღწევთ, ვიდრე მაშინ... როცა თავზე ყუმბარები გვაწვიმდა.

— თქვენ თქვენი ორდენებით ამაცობთ, ჩვენ კი... როგორმე გავალთ კარგი მუშაობითაც, რომ საყვარელი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობა განვამტკიცოთ.

— ჰო, „კარგი მუშაობით“... როგორ არა, ამხანაგო კონტრადმირალო ჭვარი გწერიათ... ორდენები რისთვის მივიღეთ? იქნებ შეცდით?

— ვნახოთ! — რამდენადაც შეეძლო დამშვიდებით უპასუხა ვანკოვსკიმ, მაშინვე მაგიდასთან მივიდა და ჩვეულების ძალით ღილაკს თითი დააჭირა. კარში აღიუტანტი გამოჩნდა. ერთი წუთის შემდეგ კაბინეტი ავსეს ოფიცრებმა, და აჭარბის მიხეზებისა და გარემოებათა დამდგენმა კომისიამ მუშაობა განაგრძო.

4

იმ დღეს ამინდს კარგი პირი უჩანდა. მექ ლურჯ ცაზე ღრუბლის ნახაბიც არ იყო. ისეთი უქარობა და სიწყნარე იყო, რომ სიზრანცევი მხოლოდ საკუთარი მომრავობით გაჩენილი ნიავის მსუბუქ ქროლას გრძნობდა.

მესამე რანგის ინჟინერ-კაპიტანი სამუშაოდ მიიჩქაროდა. სწრაფად და ვაფკაცურად ბტებოდა ქვიდან ქვაზე, კოლის უბის კლდოვან გორაკებს შორის გაბმულ ძლივსშესამჩნევ ბილივზე, ამ უკაცურ მიდამოებში, სადაც ადამიანი იშვიათად გაივლიდა.

ინათა. აღმოსავლეთის დაბალი მთების ფერმათალ-ქარდისფერ მწვერვალთა შორის თანდათანობით გამოქრნა მუქი — პირველად ძლივს შესამჩნევი, შემდეგ კი სულ უფრო მძლავრი და ნათელი, ციან სილურჯესთან შერაული, და ბოლოს მთელი აღმოსავლეთი მოიცვა ვარდისფერმა განთიადმა. თანდათან ვარდისფერმა ცამ ოქროსფერი იერი მიიღო და კლდოვან მთებს შორის ვამოჩნდა მზის ცეცხლოვანი ბურთი.

— ნუთუ მაგვიანდება? — თავის თავს დაეკითხა ოფიცერი და საათს დახედა. — არა, ჯერ ადრეა. ჩანს, გადავწყვიტე მზიან დღეებს. გეგონება, გვიან არისო, ნამდვილად კი ჯერ ადრეა, დრო მეყოფა.

როგორც იქნა გორა გადალახა და თვალწინ გადაეშალა ზღვის უბის წარმტაცი სანახაობა. მარჯვნივ. ზედ კონცხამდე ჩამწკრივებულ იყვნენ ქარხნის მიღები, რომელთაც გვირგვინად თავიანთი ბოლი ეხვიათ, ღუზებზე და პორტის მრავალრიცხოვან მისადგომებზე უთვალავი სავაჭრო და თევზსაჭერი გემი ირწყვოდა, შორს კი, თითქოს ამომავალი მზის სხივებზე ახლად გამოღვიძებული ბუმბერაზაო, ისე იღგა დიდებული იმიერპოლარული ქალაქი მურმანსკი.

სიზრანცევა უნებურად შეანელა ნაბიჯი, შემდეგ წუთით გაჩერდა, თვალი გაართო მკაცრი უბნის დიდებული მშვენიერებით. ერთხელ კიდევ შეათვალიერა გამჭირაბი თვალით მისთვის კარგად ნაცნობი უბე და მისი სანახები. თვალი მოკუტა და ღრუბლით დაფარულ აღმოსავლეთის კუნჭულს მიაჩერდა. ახლა, მზის ამოსვლის შემდეგ ღრუბლის ქველას უკან დაეხია და ისე თვალსაჩინო აღარ იყო.

სიზრანცევის მოახლოებულ ადამიანს ფეხის ხმა მოესმა და მაშინვე უკან მიბრუნდა. შენაერთების პოლიტგანყოფილების უფროსი დაეწია, კონტრადმირალი ბესარიონ ურუშაძე.

— ვადიმ ლუბომიროვიჩ? ძალიან სასიამოვნოა, დილა მშვიდობისა! აი, დაგეწიეთ, — კონტრადმირალმა გზიდანვე გამოუწოდა ხელი ოფიცერს. არ შეჩერებულან გზა ისე განაგრძეს, მთიდან დაბლა დაეშვენენ.

ურუშაძე ტანად მაღალი იყო, ახივანი, დიდებული შესახედობისა, მკვირცხლი, სახის ნაზი ნაკეთები ჰქონდა და ნახშირივით შავი თვალები, შუბლზე ოდნავ შესამჩნევი ნაყვავილარი აჩნდა.

— ჩემი დაწევა ხომ არ გიკვირთ? იქნებ ნაბიჯი შევანელოთ? — იკითხა კონტრადმირალმა, რომელიც თავისი თანამგზავრის წინ მიდიოდა.

— არავითარი, ამხანაგო აღმირალი! მეც ჩქარა სიარული მიყვარს.

— დღეს გადავწყვიტე თქვენს ნავს ვესტუმრო. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

— აბა, რასა ბრძანებთ, ამხანაგო აღმირალო. ვთხოვეთ გვიკადროთ. ხომ იცით, რომ ყოველთვის სასიამოვნო სტუმარი ხართ ჩვენი.

ერთხანს წყალქვეშელები უსიტყვოდ მიდიოდნენ, თითქოს სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ, შემდეგ კი დუმილი სიზრანცევა დაარღვია.

— თქვენ, ცხადი საქმეა, ამხანაგო აღმირალო, გინდათ ჩვენებს მოვლაპარაკოთ ისევ ჩვენს... ავარიზე, არა?

— პო, ვერ დაგიფარავ, სწორედ ასეა. ვადიმ ლუბომიროვიჩ, — ამოიხზრა ურუშაძემ, — საქმე ხომ ძალიან სერიოზულია. მესმის, თქვენიც, ჩვენც ყველას უკვე მოგვებზრდა ამ საქმის კვლევა-ძიება, მაგრამ საკიროა, ხომ მართალია? ვერაფერს ვააწყობ. მაგალითად საინტერესოა, გესმით თუ არა ამ უბედურების გამოძიების დროს დაშვებული შეცდომების მთელი სერიოზულობა? — პოლიტგანყოფილების უფროსი შეჩერდა და გამომცდელი მზერა მიაპყრო თავის თანამგზავრს.

— ჩემის აზრით, გასაგებია და მესმის; ძალიანაც კარგად მესმის — ფიცხლავ მიუგო ოფიცერმა, — თუ კომისია

შეცდა და მთელი დანშაული ლეიტენანტ ბორის აღმაზოვს დააბრალა, როცა სინამდვილეში დამნაშავე ტექნიკა, მაშინ ნავს ალაღვენენ. და ისევ ზღვაში ჩაუშვებენ შეიძლება ავარიაც განმეორდეს... ნათელია, ეს საშინელი საქმე იქნება.

— აი, საქმეც ეს არის. ხოლო ეს რომ არ მოხდეს, უნდა გაეთედეს რაც შესაძლებელია და რაც შეუძლებელია... და უღალავად უნდა ვიქვებოდეთ ფაქტებში. ვეძიოთ ჭეშმარიტება.

— დიახ, ნათელია, ასე უნდა მოვიქცეთ. — ხელები აიწნია სიზრანცევაში. — აი, ბორისმა რომ ენა ამოიდგას, ბევრ რამეს მოჰფენდა შუქს.

— სამწუხაროდ, ის ალბათ ვერაფერს იტყვის. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა თითქმის უიმედოაო, ამბობენ. სხვათა შორის, თქვენ როგორ ფიქრობთ, იმ საბედისწერო დღეს რომ თქვენს პოსტზე აღმაზოვი არ დაეყენებინათ და თქვენ მდგარიყავით, იგივე მოხდებოდა თუ საქმე სხვანაირად შეტრიალდებოდა? იქნებ სულაც არ მომზდარიყო ავარია, ა?

— არა! — გადაკპრით მიუგო ოფიცერმა. — ამ კითხვებზე უკვე არაერთხელ ვუპასუხე კომისიის წევრებს, უფროსს და...

— ვიცო, ყველაფერი ვიცო მაგრამ შევებულემაში ვიყავი, ეს არის ჩამოყვანილი, და პირადად მინდა თქვენგან მოვისმინო ზოგი რამ.

— იცით, ამხანაგო აღმირალო, ბორის აღმაზოვმა ჩემზე კარგად და ჩემზე მეტი იცის ახალი ენერგეტიკისა, სასწავლებელი რომ დაამთავრა, ამ თემაზე დაიცვა სადიპლომო შრომა, ახლაც ამავე თემაზე წერდა დისერტაციას. პირადად ძალიან ნიჭიერი და... კვიანი ოფიცერია. რაც შეეხება „605“ დანადგარის სახელმწიფო გამოცდას, ყოველთვის ჩემი დუბლიორი იყო ფიქსატორების პოსტზე, ჩემზე ბევრად უკეთ იცოდა ყველაფერი და უფროსმაც, ნათელი საქმეა, სწორედ ის დააყენა პოსტზე გამოცდის დროს.

— მერე, საფრთხეში შეიძლება დაბნეულიყო? ერთი საქმეა ყველაფრის ცოდნა და მეორე — პრაქტიკაში ამ ცოდნის გამოყენება, მეტადრე სამხედრო საქმეში. აქ ხომ საჭიროა მაგარი ნერვები, გარკვეული სიამამაცე.

— რასა ბრძანებთ, ამხანაგო ადმირალო! სიამამაცე, ჩემის აზრით, თუ ვინმეს აქვს, იმას აქვს, ზომავზე მეტიც კი. თუ ბოროსი მართლა დამნაშავეა და მისი მიზეზით რამე ცუდი მოხდა, ნათელი საქმეა, ეს შეიძლება მოსვლოდა მხოლოდ... შედმეტი სიამამაცით.

— მაშ, თუ სწორად გავიგეთ, თქვენის აზრით ავარიის მთავარი მიზეზია „605“ აპარატურის ტექნიკური არასრულყოფა? — ჰკითხა ადმირალმა.

სიზრანცევმა მზრები აიჩეჩა და დაფიქრდა.

— ჰო, მართლა, წავიდეთ, სამუშაოზე არ დაგვაგვიანდეს! — მოაგონდა ურუშაძეს და ფერდობს პირველი დაუყვა. — უცნაურია, მაგრამ ამ გორაკებმა ჩემი გურია მომაგონა, — დასძინა თავისთვის.

ქარხნის ჰიშკრამდე ცოტა მანძილი რჩებოდა და ეს გზა უსიტყვოდ გაიარეს. ორივეს თავისი საფიქრებელი ჰქონდა და არც ერთი არ უზიარებდა თავის აზრს თანამგზავს.

ქარხნის შესასვლელთან რიგი იდგა და მოსულებმაც ადგილი დაიკავეს. კონტრადმირალი, წინა რიგებიდან ერთხმად მიიწვიეს და სთხოვეს ურიგოდ გასულიყო კარებში, მაგრამ ადმირალმა მადლობა გადაიხადა და თავის ადგილზე დარჩა. ამზე მუშებმა კომენტარები არ დააყოვნეს.

— იგრძნობა ძველი წრთობა, თავმდაბალი კაცია, ახლანდელი ახალგაზრდობის მაგალითი, — შენიშნა ვილკამ.

— რას ნიშნავს „ახლანდელი ახალგაზრდობის“? არ შეიძლება ყველას ერთ ტაფაში შეწვა, — შეედავა ნათქვამს მადალი ხნიერი კაცი, რომელიც ურუშაძის წინ იდგა. — ახალგაზრდობას, ცხადია, მუდამ მეტი ნაკლი აქვს,

ვიდრე მოხუცებს. საერთოდ კი, ვანა ჩვენი ახალგაზრდობა ცუდია? ზოგჯერ მე და შენ ისეთ მაგალითს გვიჩვენებთ, რომ...

— ამხანაგო ადმირალო, — თითქმის ჩურჩულით მიმართა სიზრანცევმა. — კომისიამ დაჰკითხა მხოლოდ ოფიცრები, ხელმძღვანელები, ხოლო არიან ავი სხვა ადამიანებიც... ახალგაზრდობა. — აი, ჩვენს კომკავშირელებს, მატროსებს ნავზე თავიანთი მოსაზრებანი აქვთ იმ... ავარიის შესახებ, მაგრამ... რატომღაც მათ არავინ ეკითხება. იქნებ ღირდეს მათი დაკითხვაც, მართალია, მათ თითქმის არაფერი გაეგებათ „605“ მოწყობილობისა, მაგრამ მაინც, ნათელია. ბორის აღმაზოვიც ხომ კომკავშირელია, ნათელი საქმეა, და ძალიან ახლოს იდგა კომკავშირელებთან, ბევრი რამ ჰქონდა მათთან საერთო.

ურუშაძეს პასუხი მაშინვე არ გაუცია, ჩაფიქრდა. საზოგადოებრივ ადგილზე ასეთ საგანზე ლაპარაკი უადგილოდ მიიჩნდა, მაგრამ სიზრანცევი რადაც ემოციით თუ აღლოთი მიხვდა, რომ მისმა წინადადებამ კონტრადმირალი დააინტერესა.

როგორც კი ქარხნის ტერიტორიაზე გავიდნენ, კონტრადმირალმა ხელი გაუყარა თავის თანამგზავს და წყნარად დაიწყო:

— ვადიმ ლუბომიროვიჩ, თქვენდამი მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, უნდა შეგნიშნოთ, რომ თქვენსულ არ უწყევთ ხოლმე ანგარიშს აუცილებლობას, იმას, რომ ჩვენე სამხედრო საიდუმლო საქვეყნო მსკელობის საგანი არ გავხადოთ.

— დამნაშავე ვარ, ამხანაგო ადმირალო, — სიზრანცევი ერთიანად მოიბუხა. — ასე... შემთხვევით გამომივიდა, თანაც, ნათელი საქმეა, მე ხომ ჩურჩულით ვითხარით, თქვენს გარდა არავის გაუგონია.

— დღეს ეს შემთხვევით მოხდა, დავუშვათ, ჩურჩულით მითხარით, შეიძლება გავამართლოთ როგორმე, ხოლო აღმაზოვის მამასთან რომ წახვედით და

დაწერილებით უამბობთ ავარიის ამბავი, ესეც შემთხვევით მოხდა?

სიზრანცევი მოულოდნელობისაგან აღვიღზე გაშეშდა. მთელი მისი ვაჟაკური, ქარდაკრული სახე და ჩასკვნილი, ათლეტური აღნაგობის სხეული ერთბაშად მოითენთა, მოდუნდა. იგი დაბნეული მისჩერებოდა ურუშაძეს და სიტყვის დაძვრას ვერ ახერხებდა.

— თქვენა გგონიათ მე არ ვიცი? მე-ყველაფერი ვიცი, — ღიმილით დაუმატა კონტრადმირალმა და ხელკავით გაიყოლია თანამგზავრი. — წავიდეთ, სამუშაოზე გვაგვიანდება.

— ამხანაგო აღმირალო, — გონს მოევო ბოლოს სიზრანცევი — ნათელი საქმეა, შეიძლება მე ცუდად მოვიქცევი, შევეცდი... ძალიან შევეცდი, მაგრამ სხვა-ნაირად არ შემეძლო. ჯერ ერთი... ნათელი საქმეა, დიდი რამ საიდუმლო არ გამოივია, მეორეც: თომა აღმაზოვემა ამაზე დიდი საიდუმლოებანიც იცის. ნათელი საქმეა. სამსახურიდან ავადმყოფობის გამო წავიდა, თორემ... ამის გამო უცხო ადამიანი არ გამხდარა ფლოტი-სათვის. ყველამ იცის, რა გულთაც უყვართ მშობლებს ბორისი, მზე და მთვარე იმაზე ამოსდით. ბორისის სიყვარულით მოხდა მათი... ნათელი საქმეა, როცა ბორისი ჩრდილოეთში გამწესეს სამსახურში, თვითონაც დაპკრეს ფეხი და აქ ატარებენ შვებულებას, არა სადმე სამხრეთში. ყველამ იცის, არც აქ სხედან გულზელდაკრეფილები. რაც შეეხება თომა აფანასევიჩს, როგორც სამამულო ომის ვეტერანი, მრავალ გემზე იმყოფება ხოლმე, ატარებს მეზღვაურებთან უბრებს, შეხვედრებს. მის ყოველ გამოსვლას დიდი აღმზრდელიებითი მნიშვნელობა აქვს, ხალხით უსმენენ. მასთან მეგობრულ დამოკიდებულებაში არიან უფროსი ოფიცრები. წყალქვეშელები, ნათელი საქმეა...

— გეყოფათ, გეყოფათ! „ნათელი საქმეა“, „ნათელი საქმეა“, იმეორებთ, და თვითონვე მიკითხავთ ლექციას აღზრდაზე, — შეაწყვეტინა ურუშაძემ და სიზ-

რანცევს მხარზე მეგობრულად დაქცრა ხელი.

— ჯობს ის გვიამბოთ: ^{არაღიწი ურუშაძე} ვშირელთა შინაური საუბრისა „ა-176“-ის ავარიის გარშემო, აი ეს კი ნამდვილად საინტერესო იქნება.

სიზრანცევს თითქოს მხრებიდან სიმძიმე ჩამოხსნესო, ისე გაუხარდა. ჩანდა, პოლიტგანყოფილების უფროსი არც ისე ძლიერ უჯავრდებოდა. მაინც ორმავე ხალხისთა და ენთუზიაზმით დაიწყო:

— ერთი ასეთი მეზღვაური გვყავს: ლაქერბაი თემური. ეროვნებით აფხაზია, საშუალო სკოლა დაუმთავრებია. რუსულ ენაში სამიანი მიუღია და ნათელი საქმეა... ჩანს, ინსტიტუტში ვერ მოხვდა, ჩვენთან გამოგზავნეს, მსახურობს. ძალიან აინტერესებს ტექნიკა. მთელ თავისუფალ დროს მეცადინეობაში ატარებს. ბორია აღმაზოვიც ასეთია. მუდამ რამე წიგნს ჩაჰკირკიტებს, ან მექანიკოსთან ტრიალებს. ჰოდა, ხასიათით შეეწყვენენ ერთმანეთს. ყოველთვის მექანიზმებთან ნახავდით ერთად. რაც შეეხება „605“ დანადგარს, შეიძლება ითქვას, მთელს ნაეზე მას აღმაზოვე და ლაქერბაიზე უკეთ არავინ იცნობდა. ვგულისხმობ იმ წყალქვეშელებს, რომელთაც ამ დანადგარის ცოდნა ჰპართებდათ. ყველას ხომ არ ეძლევა ნება, რომ „605“ დანადგარი იცოდეს!

— ვიცი, ეს თვითონაც ვიცი, — შეაწყვეტინა ურუშაძემ. — რას აკეთებს მატროსი... ლაქერბაი, არა? თემური ჰქვია?

— სწორედ ასე ვეძახით, ამხანაგო აღმირალო. სპეციალურ ტექნიკაში სწორედ ის განაგებს „605“ დანადგარს. ავარიის დროს მსუბუქი სიღამწვერე მიიღო და არც ისე მძიმე ჰრილობები, პოსპიტალში არ წაუყვანიათ.

— ჰოდა, მერე?

— კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს წევრია. ძალიან აქტიური კომკავშირელი. საერთოდ, ამხანაგო აღმირალო, სრულიად სერიოზული ყმაწვილია ყველა თვალსაზრისით. მისი აზრის მო-

სმენა ჩემი გავებით საქმეს ზიანს არ მოუტანდა. კომისიის თავმჯდომარეს, კონტრადმირალ ვანკოვსკის მოვასხენე და ვთხოვე დაეკითხათ, მაგრამ ეს მაინც არ მოხდა, ნათელი საქმეა ყველა პატროსი, რომ დაეკითხოთ, წელიწადი გავა, ჩვენ კი ცოტა დრო გვაქვსო.

— იმ ადგილზე მივიდნენ, სადაც ა—176“ იდგა, თითქმის ყოველი მხრიდან ამწეებით, ორჩხომელებითა და ყველა სხვა სარემონტო საშუალებებით გარემოცული, თუმცა ადრე იყო, მუშაობა სრული დატვირთვით მიმდინარეობდა, აქა-იქ თვალისმომჭრელად ბრიალებდა ავტოგენური შედუღების ნათელი ალი, გრუხუნით ჩაიქროლებდნენ ხოლმე ვიწრო ლიანდაგზე ვაგონები. ნაირნაირი დეტალებით დატვირთულები; ზმუოდნენ მორჩილი ამწეები თავისი ლერძის გარშემო რომ ტრიალებდნენ და ყოველივე ეს მოგაგონებდათ გიგანტურ ბუდეს ჭიანჭველებისას, სადაც დაუზარებელი და დაუსვენებელი ფუსფუსი და შრომაა განუწყვეტლივ.

— შე მაინც ვერ გავიგე, რას ამბობს ის ლაქერბაი? რომელ აზრს უნდა გავუწიოთ ანგარიში? — ურუშაძემ თავის ქნევით ანიშნა ნაგზე.

— ის კაცი, ნათელი საქმეა, ამტკიცებს, რომ... თქვენ ნავის მექანიკოსსაც მოელაპარაკეთ, კეტლინსკის, ისიც ამტკიცებს, რომ ლაქერბაი, ნათელი საქმეა...

— კარგით, კარგით, „ნათელი საქმეა“, თვითონვე გამოვკითხავ. ამისთვის მოვედი.. წადით, სადაცაა ალამს აუშვებენ. დაგავიწყდათ, რომ ოფიცრები თავიანთ ნაგზე ალამის აწევამდე ნახევარი საათით ადრე ცხადდებიან? დაიგვიანებთ. მე გარს შემოვუფელი ნავს, როგორ დასახიჩრებულა, — და კონტრადმირალმა ამომავალი მზის სტივებზე თვალმოკუტულმა დაუწყო ცქერა წყალქვეშა ნავს.

გარეგნულად ნავი მართლაც დასახიჩრებული ჩანდა. კიჩოს ის ნაწილი, რომელმაც უშუალოდ განიცადა ავარია,

მუშებს უკვე მოეხსნათ, დაეშალათ. მტკიცე კორპუსის რამდენიმე კუთხეში ლიც იქვე იყო, ზედა ბანიდან დადგმულ ბალასტების მარაგი, სათბობი, საგოზავი მასალები ნავიდან გაეტანათ და შეემსუბუქებინათ, ამიტომ ნავი ჩვეულებრივზე საგრძნობლად მაღლა ამოსულიყო წყლიდან.

ნავის ნაცვლად ზღვაში ნამუსრევი ირწეოდა. კონტრადმირალ ვანკოვსკის სრული საფუძველი ჰქონდა მკაცრად დაესაჯა დამნაშავე: ამას არც ურუშაძე უარყოფდა.

მაგრამ ეინ იყო დამნაშავე?

5

მთელი მოუსვენარი დღის განმავლობაში სიარულმა და ყოველნაირი დოკუმენტების შესწავლამ ძალიან დაქანცა ურუშაძე. ახლა იგი დილანდელივით ცოცხლად და მკვირცხლად აღარ გამოიყურებოდა. დიდი ხანია გადააბიჯა ექვს ათეულ წელს და მიუხედავად იმისა, რომ ბუხებით განწავარი იყო, ასაკი თავისას შერებოდა. ამიტომ ქარხნიდან რომ გავიდა, დილით გამოვლილ გზას არ დასდგომია, გზატკეცილით გასეირნება გადაწყვიტა.

უკვე შეღამებული იყო, გზაზე სიწყნარე სუფევდა, კაცის ჰაჭანება არ ჩანდა. ქარხანაში მუშაობა დამთავრდა, ყველა წავიდ-წამოვიდა, ნავის პირადი შემადგენლობაც ბაზაში დაბრუნდა. დუმილს მხოლოდ გემების საყვირები არღვევდნენ, ან კიდევ რკინიგზაზე ორთქლმავლების ყიყინა თუ სასტვენის ხმა. ღამდებოდა. ფერმკრთალ პოლარულ ცაზე აქა-იქ ციალს იწყებდნენ იშვიათი ვარსკვლავები. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გრილმა ქარმა დაჰქროლა. ურუშაძე ოდნავ მოიბუზა, ტყავის ხელთათმანები მოიკიპა და გზას გაუდგა.

ქარხნიდან იმ ადგილამდე, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, საათნახევარის გზა იყო. სამუშაო დღის ბოლოს ასეთი

მანძილის გავლა კონტრადმირალს ხელს აძლევდა. სამსახურის საქმეებისაგან გამოთიშვა და დასვენება უნდოდა, სუფთა ჰაერის გადაყლაპვაც არ აწყენდა გზაში. მაგრამ ვერ იქნა და ვერაფერი მოუხერხა თავს. რა გულმოდგინედაც არ უნდა ეფიქრა სხვა რამეზე, მისი აზრები ისევ და ისევ ჭიუტად უბრუნდებოდნენ წყალქვეშა ნავის დალუპვის მიზეზს. ნავზე ყოფნის დროს, მთელი დღის განმავლობაში, ბევრი რამ გაიგო ისეთი. რასაც დოკუმენტების საშუალებით ვერ გაიგებდა, თუმცა წინასწარ ბევრი იმუშავა შტაბში. წინააღმდეგობა წყალქვეშა ნავის პირადი შემადგენლობის აზრსა და წყალქვეშა ნავ „ა-176“-ის ავარიის მიზეზების დამდგენი კომისიის დასკვნებს შორის მეტისმეტად აშკარა იყო.

ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება კონტრადმირალზე მოახდინა ლაქერბანის ნაამბობმა. ამ გამზდარმა, ძარღვ-მაგარმა ყმაწვილმა მაშინვე მოინადირა მისი გული. ლაქერბანი შორიდებით იჯდა კაიუტ-კომპანიაში, სადაც სასაუბროდ მიიწვიეს, და ჭკვიანური თვალებით მისჩერებოდა კონტრადმირალს.

— ამხანაგო კონტრადმირალო, ჩვენი კომკავშირელები ჯერ კიდევ სუსტნი არიან, იქნებ ბევრი არაფერი ესმოდეთ ამ ეშმაკური ტექნიკისა, და იქნებ ცდებიან კიდევ; მაგრამ თავიანთ ყურადღებას ისინი მიაპყრობენ იმას, რომ მთელი „605“ კი არ აფეთქებულა, არამედ მისი მხოლოდ ერთი, კონტაქტორული სექცია. მთელი დანადგარი რომ აფეთქებულყო, მაშინ წყალქვეშა ნავისაგან მხოლოდ წყალზედა მოგონება დარჩებოდა. მაგრამ კონტაქტორულა სექციის აფეთქებისას უნდა აფეთქებულიყო მთელი სისტემა. რაკი ეს არ მოხდა, მაშასადამე აღმზოვი არ დაბნეულა. დროზე გამოუტრთავს დანადგარი „605“, ჩანს, ჩამოაშორა მას დატვირთვა და ამით გააყეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, — ლაქერბანი ისეთი გატაცებითა და რწმენით ლაპარაკობდა,

რომ არ შეიძლებოდა არ დაგვეჩერებინათ. — მაშასადამე, მოხდა რაღაც სულ სხვა რამე, და აღმზოვიც არ შეიძლება ავარიის მიზეზად ჩაითვალოს. კომკავშირელები ფიქრობენ, რომ... ამხანაგო კონტრადმირალო, არ გეგონოთ, რომ ჩვენ ვმარჩიელობთ, ცოტათი გაგვეტება ეს ამბები, განუწყვეტლოვ ვსწავლობთ ტექნიკას, და მაშასადამე... ცოტა რამ ანაბანა ვიცით.

— არაფერს ცუდს არ ვფიქრობთქვენზე. — გაშალა ხელები ურუშაძემ, — მაინც, რას ფიქრობენ კომკავშირელები? ნუ გეშინიათ, მითხარით.

— ჩვენი კომკავშირელები ლაპარაკობენ... ერთმანეთს შორის, რა თქმა უნდა, რომ შეიძლება... შეტრიალებული იყოს.

— რას ნიშნავს შეტრიალებული?

— შეტრიალებული, ასე ვამბობთ ხოლმე ერთმანეთს შორის. ეს ნიშნავს, რომ ლეიტენანტმა აღმზოვმა არა თუ არ დაუშვა ავარია, არამედ... ესე იგი „დაიბნა და ავარია დაუშვა“ კი არა, მან იხსნა ნაღვი ნამდვილი დიდი ავარიისა და დალუპვისაგან. ახლა ამის დამტკიცება ალბათ ძნელია მეტადრე თუ ლეიტენანტს უბედურება შეემთხვა და ვეღარ გადარჩება. — აქ ლაქერბანი თვალელები დახარა, თითქოს საკუთარ სათქმელს წონისო. — მაგრამ ჩვენი კომკავშირელები ფიქრობენ, რომ ადრე თუ გვიან ტექნიკას დავეუფლებით და დავამტკიცებთ, რომ სიმართლეს ვამბობთ. ახლა ყური არავინ გვათხოვა. ქარხნის წარმომადგენლებმა შესაძლებლად გამოაცხადეს კონტაქტორული სექციის ცალკე აფეთქება, „605“-ის მთელი სისტემის დეტონაციის გარეშე. ასეთი მტკიცება ჩვენ არ გვჯერა, მაგრამ რას გავაწყობთ. ჯერ ერთი, არც თუ ძალიან გვეკითხებიან, მეორეც, ამისი დამტკიცება ჯერ არ შეგვიძლია.

საუციალურ ტექნიკას არც ურუშაძემ იცნობდა თავისი ხუთი თითივით, ამიტომ დღის დანარჩენი ნაწილი გაატარა პირველი რანგის ინჟინერ-კაპიტნის კეტლინსკის გვერდით, ნახაზებსა და

“605” დანადგარის განლაგების ადგილებში სწავლობდა და შეძლებისამებრ სწავდებოდა მის მუშაობასა და დეტალების ურთიერთდამოკიდებულებას. რაც უფრო ახლოს ეცნობოდა ტექნიკას, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ კომკავშირელთა ვარაუდი საიმედო ნიადაგზეა აგებული.

თავის ფიქრებში ჩანთქმულმა კონტრადმირალმა ვერც კი შენიშნა, როგორ ავიდა მთაზე. გადაკვეთა და აღმოჩნდა თავისი დაბის ერთადერთ ქუჩაზე, რომელსაც აქ დიდის ამბით ეძახდნენ მთავარს. მარჯვნივ და მარცხნივ, გარშემო აღმართული მთების განლაგებასთან პარაზონიულ კავშირში აეზიდათ ახალი ოთხსართულიანი ქვის სახლები. ელექტრონის შექით გაჩაღებული.

დაბა არც თუ ისე პატარა იყო, მაგრამ ურუშაძემ იცოდა, ვინ სად და რომელ ბინაში ცხოვრობდა, თითქმის მთელ დაბას იცნობდა.

ექსპლოატაციაში ახლად გადაცემულ ერთ შენობას რომ ჩაუარა, თავი ასწია და იოლად განსაზღვრა მესამე სართულზე ბინა № 32. ეს ბინა კონტრადმირალ ვანკოვსკის ეკუთვნოდა. „იქნებ შევიდეთ და გამოველაპარაკო?“ — გაუელვა თავში ურუშაძეს. შეჩერდა, საათს დახედა, ერთ წუთს ყოყმანობდა. მერე კი უეცრად, თითქოს ვიღაცა მოსდევსო, შენობისაკენ გაემართა.

კარი თვითონ ვანკოვსკიმ გაუღო. სულაც არ გაკვირვებია ასეთი გვიანი გიზიტი. ფართოდ გაიღიმა და პოლიტიგანყოფილების უფროსს ისე შეხედა. როგორც დიდი ხნის უნახავ სტუმრებს ხედებიან. ერთი შეხედვით იფიქრებდით, რომ მასპინძელი მართლა გახარებულია „ეგზომ სასურველი სტუმრის მოსვლით, რაც სამწუხაროდ არც ისე იშვიათად ხდება“. მაგრამ სინამდვილეში სტუმარმა შეატყო. რომ ვანკოვსკი საძაგელ ხასიათზე იყო. პირიდან სულ თაფლი გადმოსდიოდა. ისე ლაპარაკობდა. მაგრამ ჩანდა, რომ რაღაც ძალიან არასასიამოვნო ამბავი შემთხვევოდა.

ვანკოვსკიმ სტუმარი პატარა მაგიდასთან დასვა მისაღებში, თვითონვე მზღდა მის ცემას მოჰყვა კარსა და ფანჯრას შორის. დადიოდა მაგარი, ზომიერი ნაბიჯით, თითქოს იატაკზე ლურსმნები უნდა დააჭედოსო თავისი ქუსლებით. სახე ჩვეულებრივზე უფრო გაწითლებოდა. თვალებიც ამღვრეოდა, მზერაც უფრო გაფაციცებული, ერთ საგანზე ჩაიკებული და, როგორც ურუშაძეს ეჩვენა, უფრო გაბრაზებული ჰქონდა უწინდელზე.

— გავიგე, ბესარიონ გეორგიევიჩ, დღეს მთელი დღე და საღამო „ა-176“ ნავზე გავიტარებია. ამბობენ, კომისიის დასკვნებს ამოწმებს და ასწორებსო. როგორია შენი წარმატება? — თითქოს სხვათა შორის პირველი გადავიდა საქმიან საუბარზე ვანკოვსკი მას შემდეგ, რაც ერთიმეორე მოიკითხეს. ფანჯარასთან გაჩერდა და ისე შიანერდა ქუჩას. თითქოს იქ რაღაც საინტერესო ენახოს. ურუშაძემ მხრები აიჩეჩა, ადგილზე შეიშმუნა და მერე თქვა:

— ეს რა მაგიდაა, ასე პატარა და უხერხული? — და მაგიდის კიდეს შეეხებო. მაგიდა მართლაც ვიწრო იყო ასეთი გოლიათი კაცისათვის.

— სრულიად მოდური მაგიდაა. მოდა ახლა ისეთია. დაბალი და მსუბუქი ავეჯი უნდა იდგეს და არა...

— გასაგებია, — სტუმარმა თავი დააქნია. — ძალიან უხერხული მოდაა, მაგრამ რაკი მოდაა, ვერაფერს გააწყობ, უნდა შეეგუო, ცხადია. სოფია ვიქტორენა შინაა?

— ბავშვებს აძინებს, მალე ვერ დანთავისუფლდება. ჩვენ მარტო ვართ, ფიქრი ნუ გაქვს.

— ჩანს, ინფორმირებული ხარ. არავის და არაფერს მე არ ვესწორებ, მხოლოდ მაინტერესებს შემთხვევის წვრილმანები. მინდა ვიცოდე. ეს ჩემი სამსახურებრივი მოვალეობაა და პარტიული ვალო.

— შე გირჩევდი ტყუილად არ დაგეხარჯა ამაზე დრო და ძალა. თუმცა, როგორც ვენებოსო, მაგრამ სამსახურ-

რის დროს თუ უფრო ნაყოფიერ რამეს მოახმარდი, უმჯობესი იქნებოდა, ვიდრე „შემთხვევის წვრილმანებზე“ თავის ტეხვა.

— რაც შეეხება კომისიის დასკვნებს, ურუშაძემ ბანზე აავლო ვანკოვსკის შენიშვნები, — რამდენადაც ვიცი, ძალიან ზერელე დასკვნებია. ამბობენ, კომისია არ ყოფილა ერთსულოვანი ამ დასკვნების გამოტანისას. ცამეტი კაციდან ექვსი წინააღმდეგი წასულა. თუ გავითვალისწინებთ კომისიის თავმჯდომარის გარკვეულ ზეგავლენასა და ზემოქმედებას...

— ეს მიჭარვავა! — ვანკოვსკი შესამჩნევად ნერვიულობდა, თუმცა განაგრძობდა იმავე გაქვევებულ პოზაში დგომას ფანჯარასთან. — არავითარი ზემოქმედება არ მომიხდენია, თქვენ კი ნამდვილად იმეორებთ წინასწარღებულსა და მიყრდნობებულ აზრს იმ ზოგიერთებისას!

ურუშაძე წუთით თვალით ზომავდა ვანკოვსკის, ცოტა დაფიქრდა და თქვა:

— კარგი! ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდით, ხომ თვითონ იყავი „ა-176“ ნავზე, ესაუბრე წყალქვეშელებს, ვინც ავარიის დროს ნავზე იმყოფებოდა, ხომ ასეა?

— მოგახსენებთ, რომ კომისიის ყველა წევრი ნავზე მუშაობდა, მათ დაწვრილებით ისაუბრეს ტექნიკის მკოდნებთან, ხოლო უბრალო მატროსებთან, მაპატიეთ, მიტინგობია არ გავკვიმართავს.

— არა, კომისიის წევრებზე არ გეკითხები. ნავზე იყავი თუ არა პირადად, ან იქნებ კაპიტანიდან ხელმძღვანელობდი?

— ბესარიონ გეორგევიჩ შენ საუცხოოდ გესმის, რომ მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე, მოვალე ვიყავი მომესმინა თორმეტივე ხელქვეითის მოხსენება, და არა თვითონ შემეცვალა კომისიის წევრები... მემუშავა მათთან ერთად პარალელურად. და საერთოდ, მე არ მესმის, რას ნიშნავს მთელი ეს დაკითხვა, აბუჩად აგდება?

— რად დაგვირდა ასეთი მქუხარე სიტყვები: „დაკითხვა“? შენ კარგად იცი, მქუხარე ვარ, რომელსაც არ უყვარს ფორმლობა, ზარმაცები და მეტადრე თვალბში ნაცრის შეყრა, თვალის ახვევა. ჯობდამჯდარიყავი მაინც საღმე, თუ ჩემ გვერდით არ გინდა. განა უხერხული არ არის სტუმართან ზურგშექცევით ლაპარაკი? რაც უნდა იყოს, მე ხომ სტუმარი ვარ შენი?

— მაშ როგორ მიბრძანებ, რა ვუწოდო ამას? აბუჩად აგდებას გარდა ვერაფერს დავუძახებ კომისიაში ჩემი მუშაობის ექვევემ დაყენებას — ვანკოვსკი სტუმრის მხარეს შებრუნდა. — როგორ გამოდის? შენი აზრით, მე უნდა მერბინა, როგორც კურდღელს, ნავში, და მატროსებისათვის შეკითხვა, თუ რა დასკვნა გამოეტანა პატივცემული ოფიცრებისაგან შემდგარ საგანგებო კომისიის, არა?

— რისთვის ამლაშებ ასე? რა არის სამარცხენო იმაში, რომ სიმართლის დადგენის მიზნით ხელქვეითების აზრიც მოვისმინოთ?

— ცხადია, ეს კარგია! მეტადრე სიტყვის მასალად: „მასებს ვეკითხებითო“. სინამდვილეში კი ეს არის თვალის ახვევა და ფორმლობა, რაზედაც ასე ვიყვართ ლაპარაკი.

— ხომ იცო: სხვა ჩემს ადგილზე შეიძლება უფრო თავშეკავებული ყოფილიყო, მაგრამ მე ყველაფერს პირდაპირ გეტყვი, — ურუშაძე წამოდგა და ვანკოვსკისთან მივიდა. — შენ, ცხადია, შეგიძლია ძლიერ თავდაჯერებულად მიმლო, მაგრამ მომავალი გვიჩვენებს, ვინაა მართალი. შეგებულებიდან მხოლოდ გუშინ დავბრუნდი. დღეს ნავზე ვიყავი, და დარწმუნებული ვარ, ჩემი დასკვნები უფრო ზუსტია, ვიდრე თქვენი პატივცემული კომისიის მიერ ფიქსირებული განაჩენი. რატომ? იმიტომ, რომ მე სწორედ „მიტინგობია“ მოვაწყვე ნავზე, როგორც შენ თქვი, არა თუ „განვაზოგადე“ კომისიის წევრების დასკვნები, ქაღალდებში ჩარგულმა.

კარ-ფანჯარას შორის ბოლოს ცემაში.

— საინტერესოა, რა გონივრული დასკვნები გააკეთე იმ მიტინგებზე? — ვანკოვსკი სავარძელთან მივიდა, დაჭდა და ფეხი ფეხზე გადაიღო. — იმედი მაქვს გამიზიარებ?

— აი, ამისათვის შემოვიარე. არ მინდოდა ასე გვიან ოჯახის შეწყუხება მაგრამ დრო არ ითმენს, რამდენადაც ვიცი, ხვალ დილით, თუ არ შევანერეთ, კომისიის დასკვნა სარდლობას გადაეგზავნება. ამ სახით გაგზავნა კი არ შეიძლება...

— საინტერესოა. შენ მართლაც ორიგინალური კაცი ხარ. გამოდის, რომ კომისია არაა მართალი, ცდება, შენ კი მართალი ხარ და უტოლდელი.

— მე მგონია, ჩვენ ერთიმეორის წინაშე არ უნდა ვჯამბაზობდეთ. ერთმანეთს კარგად ვიცნობთ, — ურუშაძემ წარბები შეიკრა და მოპირდაპირეს მრისხანედ შეაჩერდა. — გეტყვი, რა დასკვნებამდე მივედი, როცა დაწვრილებით მოველაპარაკე ყველას, ვისაც საერთო აქვს „605“ მოწყობილობასა და საერთოდ მის გამოცდასთან. წინასწარ უნდა ვითხრა, რომ თქვენი კომისიის წევრთა ნახევარზე მეტს საერთოდ არ ულაპარაკენია ამ ხალხთან ან არ გაუწყვეია ანგარიში მათი ჯრისათვის, არ მოუხმენია წინასწარ-განზრახვით.

— წინასწარგანზრახვით? პო, რა თქმა უნდა, იარლიკების მიკერებაში მარდები ხართ

— ჯერ კიდევ ქარხანაში, სასტენდო გამოცდაზევე ვერ იყო რიგზე იმ ზედა სტაქერონების საქმე. ყოველთვის ზედმეტად ხურდებოდნენ და შუალედური ტაიმტაქტორების მეშვეობით, როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ, ზეგავლენას ახდენდნენ დანადგარის კონტაქტური სექციის მუშაობაზე, ზედმეტად ათბობდნენ. ამ გარემოებამ რამდენჯერმე აიძულა ქარხანა შეეწყვიტა დანადგარის გამოცდა. მაგრამ დრო არ იცდიდა, თავმოთნე თავებს უნდოდათ მალე ეჩვენებინათ სასწაულმოქმედი ტექნიკის ზეიმი ზღვაზე, საბრძოლო ექსპლოატა-

ციის პირობებში. ამას სათანადოდ იმსტანიციების წაქეზებაც დაეწიოთ. როგორც იტყვიან, და განიზრანეს გამოცდა, ისეთი ვარაუდით, რომ ეს წვრილმანები, დეფექტები, ნაკლოვანებანი შემდეგ გაეწვორებინათ... ავარიის შემდეგ! მოკლე დროში შეასწორეს ზოგირამ და ქარხნის შეცდომები როგორცდა დაფარეს. სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ გამოცდა ზღვაზე შეიძლება ჩატარდეს. როგორც სიფრთხილის ღონისძიება, უკიდურეს შემთხვევაში მთელი დანადგარის გამორთვის მიზნით დაწესეს ფიქსატორების პოსტი, რომელიც მოათავსეს ვიწრო ნაპრაღში, სადაც თავი კუდს ვერ მოიბრუნებდა, ძრავებსა და მთავარი განმანაწილებელი სადგურის ზურგის მხარის ფარს შორის. ლეიტენანტმა აღმაზოგმა იცოდა ზედა სტაქერონების უვარგისობის ამბავი და კომკავშირლებს უზიარებდა თავის აზრს, განსაკუთრებით კი ლაკერბაი თემურს ეუბნებოდა, შეიძლება გამოვიცნოთ ზღვაზე გამოცდის დროს მექანიზმების არასწორი მუშაობის მიზეზებიო.

ვანკოვსკიმ ექიდნურად გაიღიმა და უღარდელად აათამაშა „მოღურ“ სკამზე თითები.

— „605“ მოწყობილობის გამოცდის დროს კატასტროფულად მაღალი წნევისა და მერე სამანქანო ნაკვეთურში გაჩენილი ხანძრის შედეგად მოხდა ავარია, — განავრძობდა ურუშაძე და გამოცდელი თვალთ შესცქეროდა თანამოსაუბრეს. — „605“ დანადგარი რომ სწრაფად არ გამოერთოთ, უნდა აფეთქებულყო ენერგეტიკული რეზერვუარებიც, და მაშინ წყალქვეშა ნავისაგან აღარაფერი დარჩებოდა, მისი სრული დაღუპვა გარდუვალი იქნებოდა. სინამდვილეში ეს არ მოხდა. აფეთქდა მხოლოდ ერთი კონტაქტორული სექცია, რომელმაც მოახდინა მტკიცე კორპუსის დეფორმაცია, ააგლიჯა ლუკი და გამოიწვია ზოგიერთი სხვა დაზიანება. მაგრამ მთლიანობაში...

— მე მომწონს, როგორ უაქელაციოდ

და... რამდენადმე უნარიანად, მე ვიტყვოდი, იყენებ ყოველნაირ ტექნიკურ ტერმინებს, თითქოს ძალიან გავებული იყო ტექნიკაში. მეტი არაა ჩემი მტერი, — გადაიხარხარა ვანკოვსკიმ.

— ნუთუ ვერ გააგვ. რასაც ვუბნებნი? — გაუკვირდა ურუშაძეს.

— მოეშვი ჯამბაზობას, ბესარიონ გეორგევიჩ, — უიმედოდ ჩაიჭნია ხელი ვანკოვსკიმ. — მე ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ შენ თავს მოიტანდი იმის მკოდნედ, რაც თვითონ ინჟინრებსა და კონსტრუქტორებსაც რიგინად ვერ გაუგვიათ. შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ მარჩიელობენ ლობიოს მარცვლებზე. არა, შეილოსან, ჩემი და თქვენი საქმე ის არის, რომ დავეყრდნოთ უზარმაზარ სამსახურებრივსა და ცხოვრების გამოცდილებას, გავაკეთოთ სწორი დასკვნები იქიდან, რასაც სპეციალისტები მოგვასხევენ, და არა ის, რომ ცხვირი ჩაყვით იმაში, რაც არ გავგეგვება. პო... უკიდურეს შემთხვევაში, როცა სპეციალისტები ვერ შეთანხმებულან, მათ ერთმანეთს შორის დავის საშუალება მივცეთ, ოღონდ თვითონ არ უნდა ჩავერიოთ დავაში, არ უნდა ეცადოთ თავის გამოჩენა ტექნიკის ცოდნაში, ეს თავმდაბლობის ნაკლებობაც არის. ჩვენ რომ ახლა ტექნიკის შესწავლა დაგვეწყო, გვიანი იქნებოდა, ჩვენ ჩვენი გავაკეთეთ, გამოცდილებას უნდა დავჭერდეთ. უნარიანად გამოვიყენოთ და მორჩა.

— ერთნაირად გამოვიყენოთ გამოცდილება? გაანინია, როგორ გავიგებთ ამას, რა თქმა უნდა. თუმცა, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, — ურუშაძემ ხელები ძირს დაუშვა და თანამესაუბრეს აგდებით გადახედა. — გამოდის, რომ თვითონ არც ჩარეულხარ საქმის გამორკვევაში, მხოლოდ „დასკვნებს აკეთებდი მოხსენებებიდან“.

— რას ჯამბაზობ მართლა? თვითონ ხომ არაფერი გავგებება ტექნიკაში და მხოლოდ იმეორებ იმ ორდენებით მკერდგაწევილი მეტიწრის, ყურადღიოვის სიტყვებს!

— არა, ეს დასკვნა მძაბრე, მაგრამ წინ არაფერი დაგეთანხმებარ, ურუშაძე! სულაც არ გახლავს მეტიწრა და ჯანჯანოყონჩებული, არამედ სრულიად თავმდაბალი ოფიცერი და პრინციპული კომუნისტი. ის არასოდეს არ დაემონება სპეციალისტებს, თვითონვე გამოიკვლევს და გამოიტანს საკუთარ აზრს. არაფისი არ ეშინია და არაფის შეაჩერდება თვალბში, არც ფეხქვეშ გაეგება „დიდკაცს“, რომელსაც თავისი დანაშაულის გამოსყიდვა ლეიტენანტის დასჯით სურს შენიღბოს, იმ იმედით, რომ ლეიტენანტი ვერ გადაჩრება და მოდავე არაფინ მყეოლებო.

— ვხედავ, მთავარ კონსტრუქტორს უმიზნებ, არა? — შესამჩნევად განჩრისხდა ვანკოვსკი და მუქარის ტონით მიმართა სტუმარს. — მერე, იცი, რა ნაცნობობა ჰყავს? არ ვირჩევიდი მასთან პაექრობას.

— არ ვიცი, ვის ვუმიზნებ, თვითონ უკეთ მოგესხენება... მე ვუმიზნებ მხოლოდ უსამართლობას, რასაც შეიძლება ახალი აფარია მოჰყვეს. ასეთი უსამართლობა კი პირდაპირ დანაშაულია...

დერეფნიდან მსუბუქი ნაბიჯის ხმა მოისმა, საწოლი ოთახის კარი გაიღო და მისაღებში შემოვიდა სოფია ვიქტოროვნა. ეს იყო მაღალი ახალგაზრდა ქალი, მორკალული ხავერდოვანი წარბების ქვემოთ მაყვალეით შავი თვალები ცეცხლივით უღვიოდა.

— ო-ო! ამას ვის ვხედავ! ბესარიონ გეორგევიჩ! ნუთუ ეს თქვენა ხართ? საღამო მშვიდობისა! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — ქალი შებლგახსნილი მივიდა კაცთან. — ვის და რას უნდა ვუმაღლოდეთ ეგზომ სასიამოვნო სიურპრიზისათვის? ძალიან კარგად გამოიყურებით! ყოჩაღ!

სოფია ვიქტოროვნა მრავალ კითხვას აძლედა სტუმარს, მაგრამ პასუხის გაცემის საშუალებას არ უტოვებდა, მაშინვე თავისას განაგრძობდა და ურუშაძეს ისღა რჩებოდა, ღიმილითა და თავის დაკვრით დათანხმებოდა ყველაფერზე.



— ო-ო! თქვენ ორივეს ისეთი საბრძოლო იერი გაქვთ... ისე გაწითლებულხართ, რომ... ალბათ კიდევ რამეზე კამათობდით, თქვენ ხომ ისე არ შეგიძლიათ! — სოფია ვიქტოროვნამ გიჟმაურად შემოპკრა ტაში. — სანაძლეოს დაედებ, რომ იმ სამწუხარო ავარიის გამო კამათობდით. ბესარიონ გეორგიევიჩ, როგორ ფიქრობთ, ჩემის აზრით ლეიტენანტი ალმაზოვი არ იქნებოდა ავარიის მთავარი მიზეზი, ხომ მართალია?

— სოფია ვიქტოროვნა, როგორც ვხედავ, ურიგოდ არაა ჩახედული ქმრის ხამსახურებრივ საქმეებში, — ცბიერი ღმილით მიუბრუნდა ურუშაძე ვანკოვსკის.

— ჰო, ასე უსმენს ქუჩის კორებს და მერე აქ როშავს, — თითქოს უნებურად წამოიძახა ვანკოვსკიმ და უკმაყოფილო სახით შებრუნდა მოსაუბრეებისაგან, ნიშნად იმისა, რომ აღარ სურს ამ თემაზე ლაპარაკი.

— არა, ჩემო კარგო, — ცოცხლად თითქმის დაუფარავი წყენით მიუგო ქალმა. — არავითარი კორები არ მომისმენია. შენ თვითონ არ მიაშვებ ყველაფერი?.. ჰო, კარგი! ფეხზე სიმართლე არ დვასო, სუფრაზე გავიდეთ. ბესარიონ გეორგიევიჩ, გთხოვთ ჩვენთან ერთად დალიოთ ჩაი. აბა წავიდეთ, წავიდეთ, წავიდეთ, სუფრა გაშლილია! — ხელი ჩაავლო და თითქმის ძალით გაიტაცა სტუმარი.

„არ ვიცი, რა დემონური ძალა მიიძულებს ვილაყბო ცოლთან ხამსახურებრივ საქმეებზე?“ — გაბრაზებით ჩაიქნია ხელი საკუთარ თავზე ვანკოვსკიმ და თვითონაც სასადილო ოთახს მიაშურა.

6

„პოლიტგანყოფილების უფროსს არ ეცალა. „თათბირი აქვსო“, უთხრა თომა ალმაზოვს მდივანმა ქალმა. — თანაც სთხოვა ცოტა დაეცადა, რადგანაც, კრება საცა იყო დამთავრდებოდა.

— მე მითხრეს, რომ აღმირალ ვანკოვსკი უფროსთანაა მიღებულნი მარათალია? — თომა ალმაზოვი თმისკომ ბოდიშს იხდიდა ქალიშვილთან.

— დიახ, ვასილ პეტროვიჩი, იქაა, მიღებაზე. თქვენ რომელი გნებავეთ, პოლიტგანყოფილების უფროსი თუ ისა?

— მე ვეძებ აღმირალ ვანკოვსკის, ძალიან მინდა ვნახო. ხომ არ დაველოდო აქ? იქნება გზად მაინც მოვახერხო ორი სიტყვის თქმა?

— გთხოვთ, დაბრძანდით, როგორ არა! — მიიპატიყა ქალიშვილმა და სკამი შესთავაზა.

თომა აფანასევიჩმა მადლობა გადაუხადა, მაგრამ დაჯდომამზე უარი თქვა, სიარულში დრო უფრო ჩქარა გადისო. მიჩმანის გარდა მისაღებში აღმოჩნდა კიდევ ორი პირი: მეორე რანგის ხანშიშესული კაპიტანი და თავისი ფანქრის წვერივით წვეტიანი ცხვირით გამორჩეული ახალგაზრდა ოფიცერი, კაპიტან-ლეიტენანტი. ოფიცრები მყუდროდ ისხდნენ კუთხეში და რალაცაზე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ძირითადად ფიცხი კაპიტან-ლეიტენანტი ლაპარაკობდა, მეორე რანგის კაპიტანი კი მხოლოდ უხალისოდ პასუხობდა მის კითხვებზე, ისიც მოკლედ, თითო ოროლა სიტყვით, და თან აქეთ-იქით იხედებოდა.

თომა ალმაზოვი მაშინვე მიხვდა, რომ მეორე რანგის კაპიტანს ძლიერ მოაბეზრა თავი ახალგაზრდა ოფიცერმა და მხსნელს ეძებდა, ვინ გამომიყვანსო ამ მდგომარეობიდან. სიარულში ოფიცრებს მიუახლოვდა და სხვათა შორის ჰკითხა, უფროსებს ელოდებით თუ უბრალოდ საუბრობთო ერთმანეთში.

— დიახ, მე მიღებას ვუცდი, — ხალისით მიუგო მეორე რანგის კაპიტანმა. გვერდზე გაიწია, სკამის ნაწილი გაათავისუფლა. — დაბრძანდით, მიჩმანო, დაისვენეთ, ეტყობა დიდხანს იქნებიან. ხმაური ისმის, რალაცაზე კამათობენ.

— მე მგონია, ნავის ავარიის საკითხი ირჩევა, — სცადა თავისი ცოდნის გამოჩენა კაპიტან-ლეიტენანტმა.

— რომელი ავარიის? — ჰკითხა მეორე რანგის კაპიტანმა.

— ვანა არ იცით? — გამოცოცხლდა კაპიტან-ლეიტენანტი. — საცდელი „ა-176“ ნავისა, მესამე დღეა, ზღვიდან დაბრუნდა, ბუქსირით მოიყვანეს. ამბობენ, საშინელი ავარია ვანიცადაო ვიღაც ლეიტენანტის სილაჩარის მიზეზით. ისიც თქვეს, პოლიტგანყოფილების უფროსი იცავსო იმ ლეიტენანტს, კონტრადმირალ ვანკოვსკის კი უნდა სასამართლოს გადასცენო. მე თუ მკითხავთ, სულაც არ არის საჭირო ლაჩარის მფარველობა, ხოლო კონტრადმირალი ურუშაძე, თვითონვე მოგეხსენებათ, ღმობიერი კაცია, ლიბერალი, გულშემატკივარი. უწინდელ დროში ასეთი სიმბდალისათვის, მოგეხსენებათ, პირდაპირ ციხეში უკრავდნენ ხოლმე თავს, მორჩა და ვათავდა.

„ეტყობა, ერთი იმ ცუდად გაზრდილთაგანია, ბევრს რომ ლაყბობენ და მსჯელობენ ისეთ საგანზე, რომლისაც არა ვაუგებათ რა“, — გაიფიქრა თომა აღმზაოვმა, რომელიც წყევით აკვირდებოდა მეტიჩარა კაპიტან-ლეიტენანტის ხელოვნურ ეესტებსა და ქაქანს. — „საინტერესოა, რას უპასუხებს ძველი ოფიცერი“.

— ავარიებზე არაფერი მსმენია, ხოლო... ლიბერალზე მე ვერაფერს ვიტყვოდი, მე მგონია ცდებით, — უპასუხა მეორე რანგის კაპიტანმა. ურუშაძე უადრესად პრინციპული კომუნისტია. და სადაც საჭიროა, სიმართლისათვის თავს გამოიდებს, მთას გადააბრუნებს.

— ეს, რა თქმა უნდა, საერთოდ ცნობილია! ყველა იტყვის, რომ ბესარიონ გეორგიევინი პრინციპული კომუნისტია, — შეატრიალა სიტყვა კაპიტან-ლეიტენანტმა, — მაგრამ... ხანდახან მეტისმეტია... როგორ ვითხრათ, მეტისმეტად ადამიანური ადამიანია... რბილი... ამ გამოთქმაში მე ვგულისხმობ რაღაც კარგს, დადებით თვისებებს, მაგრამ მხდალი კაცის დაცვა, მე მგონია, ზედმეტია...

— არ ვიცი, ამ საქმეს არ ვიცნობ.

მაგრამ არა მგონია ჩვენმა პოლიტბელმა ლაჩარი დაიცვას. აქ კეტებულნი რაღაც ვერ არის რიგზე. ვანიცადაო ლაჩარსა და ფუძველი უნდა ჰქონდეს. დაასცენა მეორე რანგის კაპიტანმა.

რალა თქმა უნდა, თომა აღმზაოვი მეტისმეტად შეურაცხყო ვიღაც მოლაზე კაპიტან-ლეიტენანტის ანგარიშშიუცემელმა ყბედობამ და ძალიანაც უნდოდა საუბარში ჩაბმა, მაგრამ ეს უადგილო იქნებოდა, ამიტომ მოითმინა და თავის წყენა არაფრით არ გამოანყლავა. მხოლოდ მისი გამჭირაბი, მრისხანე თვალეზი ისეთი უნარიანი ბრალმდებლის მხერით ბურღავდნენ მეტიჩარა ოფიცერს, რომ მალე იმან იგრძნო რაღაც მძიმე, შემოპოკავი უხერხულობა და სიამოვნებით შეხვდა საუბრის თემის გამოცვლის პირველსავე შესაძლებლობას. ამ დროს ურუშაძის მისაღები კარი გაიღო და იქიდან პირველი გამოვარდა კონტრადმირალი ვანკოვსკი. ერთიანად აქარხლებულმა ვერაინ შეამჩნია, ენერგიული ნაბიჯით ჩაუარა გარდერობს, შეუჩერებლივ ჩამოიღო ქუდი და რისხვით ანთებულ თვალებით გაეარდა ქუჩაში.

თომა აღმზაოვი ვერც წარმოიდგენდა, თუ ვანკოვსკის ასეთი სწრაფი მოძრაობის უნარი ექნებოდა, მან ვერაფერი მოასწრო წამოჭრისა და გაქცეული აღმირალის კვალდაკვალ ორიოდ ნაბიჯის გადადგმის მეტი.

რამდენიმე წამის შემდეგ კარებში გამოჩნდა ქურავლიოვი. იგი ნელი და თითქოს ფრთხილი ნაბიჯით გამოვიდა მოსაცდელში. მოღუშული სახე და ჩაფიქრებული გამოხედვა ჰქონდა. შემდეგ კარებში გამოჩნდა თვითონ ურუშაძე. მას ვიღაცისათვის იდაყვი ჩაეკიდა ხელი და ისე მოპყეებოდა. ამ კაცს რქისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, ტანად მალაღი და ახოვანი იყო. შავი თმის კულულები უწერსრიგოდ ეყარა თავზე და ოდნავ მარჯნივ მოხრილი ცხვირი ჰქონდა, რითაც მაშინვე მიიქცევდა ადამიანის ყურადღებას. აღმზაოვი ისე გაერთო მის ყურებაში, რომ ურუშაძის

ვერ დაასწრო საღამოს მიცემა. ბოლოს სიზრანცევი მოდიოდა. თავი დაბლა დაეხარა, სახიდან ოფლს იწმენდდა და, ეტყობოდა, არავის არ აქცევდა ყურადღებას.

— თქვენ ჩემთან ხართ? — ჰკითხა მიჩმანს კონტრადმირალმა.

— სულაც არა, ბესარიონ გეორგიევიჩი. აღმირალ ვანკოვსკის ნახვა მინდოდა, მაგრამ წავეიდა...

— ეს გახლავთ თომა ალმაზოვი, ლეიტენანტ ალმაზოვის მამა. ძველი წყალქვეშელია. თუმცა გადამდგარია, მაგრამ აქტიურად მონაწილეობს ფლოტის ცხოვრებაში და ბევრსაც გვეხმარება ახალგაზრდობის აღზრდაში, — მიმართა კონტრადმირალმა რქისსათვალისანს. — ეს კიდევ ივანე ზარუბინია ახალი ენერგეტიკული დანადგარებით აღჭურვილი წყალქვეშა ნაგების კონსტრუქტორი, — და ალმაზოვს თავისი თანამგზავრი წარუდგინა.

თომა ალმაზოვმა მორიდებით გაუწოდა ხელი ზარუბინს, მაგრამ არ იცოდა, რა უნდა ეთქვა ეგზომ მაღალი პატივით შემოსილი ადამიანისათვის და მხოლოდ გაოგნებული უყურებდა, როგორც ზებუნებრივ არსებას. — აფანასევიჩ, თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, რისთვის დაგვირდათ ვანკოვსკი? იქნებ საკითხი უიმიოდ გადავჭრათ? ახლა მისი პოენა გაქირდება, პორტში წავეიდა, — უთხრა ურუშაძემ.

— მე ვიყავი ჰოსპიტალში, — დაიწყო მიჩმანმა. — შეილი ვნახე და... მან მთხოვა აღმირალ ვანკოვსკისათვის გადამეცა ზოგი რამ... მე მინდოდა პირადად მისთვის მიმეცა.

— რაო? თქვენ იყავით... ლეიტენანტ ალმაზოვთან? — ელაპარაკეთ? ჩაეკითხა გაკვირვებული ურუშაძე.

ზარუბინმა სათვალე მოიხსნა და ალმაზოვის მხარეს დაიხარა, თითქოს ეშინია, სადმე არ გამეცესო.

— სწორედ ასე მოგახსენეთ, ველაპარაკე-მეთქი. მართალია, ექიმებმა ეს არ იციან, ნებას არ იძლევიან...

— რა თქმა უნდა, მისი სიცოცხლისათვის ახლა ეგზომ სახიფათოა...

— მაგრამ საკითხიც ზომს ეწეოდა... სურათი ზულია, ბესარიონ გეორგიევიჩი! ბორისს დიდი სირცხვილის ჩრდილი დააწვა თავს, — შეედავა მიჩმანი. — გარდა ამისა, ესეც მითხრეს, შეიძლება საქმე დაზარალდესო. სიცოცხლის საფრთხეზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ მე მგონია ყველაფერი რიგზე იქნება. ბორისს ასე ნაზი როდია. რაკი მაშინვე არ დაილტვა, იცოცხლებს.

— ჰმ, ორიგინალური მსჯელობაა, — თითქოს თავისთვის თქვა ზარუბინმა. — ბარემ ისიც გვითხარით, რა უნდა გადაგეცათ ვასილ პეტროვიჩისათვის?

— ბარათი. ბარათს მე ვწერდი... მკარნახობდა. მთლად გარკვეული ხელი არაა, ტექნიკის საკითხებში მე... მაგრამ გაგება შეიძლება. ბორისს წაუჯიოთხე, კარგიაო, ვასაგებად წერიოაო. ოღონდ მთხოვა, უთუოდ პირადად აღმირალ ვანკოვსკის გადაეცეო.

— გვიჩვენეთ მანც თომა აფანასევიჩი, დაგვერწმუნეთ, დაგვირუნებთ, შეიძლება გვენდოთ?! — გაუწოდა ხელი ურუშაძემ.

— აბა რასა ბრძანებთ, ბესარიონ გეორგიევიჩი, აგერ, ინებეთ, — მიჩმანმა ხელი ჯიბეში ჩაიყო, უბის წიგნაკი ამოიღო, ორად დაეცილი ფურცელი გაშალა და კონტრადმირალს გაუწოდა.

ზარუბინმა ურუშაძესთან ერთად ჩაიხედა ბარათში და ხარბად დაიწყო თვითონაც კითხვა. ორი სტრიქონი რომ ჩაიკითხა, წარბები შეიკრა, თვალები დააბრიალა და წერილი ურუშაძეს ხელიდან გამოსტაცა. ერთხელ კიდევ ჩაიკითხა, გარშემო მყოფთ დაფანტული მზერა მიმოავლო და შესძახა:

— აი, ეს... ყოჩაღ! — მზერა ურუშაძეზე შეაჩერა. — გესპით, გამიგონეთ, თქვენ თითქმის მართალი ხართ. აგარია, ეშმაკმა დალახეროს, სულ სხვა მიზეზით მოხდა. ეს ლეიტენანტი ალმაზოვი პირდაპირ გმირია! ეშმაკმა დალახეროს, მან ავგაცდინა ნამდვილ, სრულ აგარიას, ხოლო ის, რაც მოხდა, მართლა მისი

მოხდენილია. მცირე ავარია აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ნაკლი, რასაც ვერ მივაგენით და ვერც მივაგნებდით ზვეულებრივ პირობებში, გამოძლავნებულიყო! ასეთი ცდის გარეშე იმ დეფექტს ვერ მივაკვლევდით, მეტისმეტად მოულოდნელი წვრილმანია. ერთი დახვთ და! ბურთულა დამდნარა, გაიგვთ? — ზარუბინი აღელვებული — თითქოს ხმაძალა ფიქრობსო, ისე განაგრძობდა, — მეტისმეტად დიდ ხანს ვჯახირობდით იმ ზედა სტაქერონებთან, და მაინც ვერაფრით ვერ გავიგვთ, თუ რატომ ზურდებოდნენ. ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ მათი როლი გამოცდაზე არც იმდენად მნიშვნელოვანია, ყურადღების ღირსად არ გავხადეთ და ხომ ნახეთ, რა ვერაგიც ყოფილა! ეშმაკმა კი წაიღოს, ჰა! სამაგიეროდ ახლა ყველაფერი რიგზე იქნება.

— იცით, ბესარიონ გეორგიევიჩ, — ზელი მოჰხვია ურუშაძეს და სახეში მიანიჭრდა — მეც დამიყოლიეს, დამიყოლიეს.. თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი იმპორტული კონტაქტორების გამოყენებისა. ყველა მე აღმიდგა, ყველა! მხოლოდ ის ერთი... ამხანაგი კეტლინსკი შეუბნებოდა ხოლმე, ჩვენი თერმოსტატიკური ნაწილი დაედგათო... მაგრამ კეტლინსკი, მოგესხენებათ, პრაქტიკოსად ითვლება და არა თეორეტიკოსად, ამიტომ ყური არ ვათხოვეთ. საქმეში ზარ! ტყუილად, ტყუილად კი დავხუშვით თვალი! კეტლინსკი ჰქვიანი ინჟინერია და რაც მთავარია, პრაქტიკოსი. ეს მუდამ ასეა, როცა პრაქტიკას უჯგულებელყოფ, მუდამ ცუდად გამოდის ხოლმე. იმ ერთის გარდა ყველამ პირი შეკრა ჩემს წინააღმდეგ. ფიქრობდნენ, რომ ჩვენი თერმოსტატიკური ნაწილები არ ივარგებდა. აი, სინამდვილეში კი სწორედ იმპორტული ნაწილები დადნა. ლეიტენანტი ალმაზოვი კი მართლა ქების ღირსია! გესმით თუ არა, ბესარიონ გეორგიევიჩ, რას ნიშნავს ეს, გულგრილად უყურო და აკვირდებოდე, როგორ დნებიან თერმული კონტაქტორები ისეთ პირობებში, როცა თქვენს გარშე-

მო ნამდვილი ჯოჯოხეთია! იმან კი ბოლომდე უყურო. შეეძლო შეეწყვიტა, მაგრამ არ შეწყვიტა ცლა. ყოილა! ეშმაკმა დალახეროს უკეთესი გმირი!

— მაპატიეთ, ივან მატვეევიჩ, თუმცა მონდომებით ვსწავლობდი ტექნიკას და ბევრი რამ გამეგება, თქვენი ახსნა მთლად გარკვევით მაინც ვერ გავიგე. — მიუგო ურუშაძემ ჩვეული ღიმილით. — ჰო, ჰო, მაშინ შემდეგ აგიხსნით, — შეყოყმანდა ზარუბინი და კეფა მოიქეცა. — ახლა კი ქარხანაში უნდა გავიქცე. მაპატიეთ, მე უნდა გავიქცე. ყველაფერს კარგს გისურვებთ, ამხანაგებო!

იმ მყოფთაგან ვერაგინ ვერ მოასწრო სიტყვის წარმოთქმაც, ისე გაიქცა მოსადელი ოთახიდან ზარუბინი, ურუშაძე ისევ იმავე კეთილი ღიმილით შესტეპროდა გაქცეულ კონსტრუქტორს.

— რას იტყვით, მგონი ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება, არა? — ნიუბრუნდა ალმაზოვს და წამიერი დუმილის შემდეგ დაძინა: — მოდიო, წავიდეთ ჩემს კაბინეტში, მოვილაპარაკოთ, არა? საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

— არის, თქვენთან, კაბინეტში! — მაშინაღურად მიუგო მიჩმანმა, — ოღონდ მინდოდა ნატალია ნიკოლაევნასათვის მეხარებინა...

— ეს, რა თქმა უნდა, მართალია, — ზღურბლზე შეჩერდა ურუშაძე. ვფიქრობ, თქვენ, მიჩმანო, მაინც დამნაშავე ხართ, — უსაყვედურა ხუმრობის კილოთი და კარი დახურა.

— როგორ? რატომ ვარ მე დამნაშავე, ბესარიონ გეორგიევიჩ?

— როგორ მოახერხეთ ჰოსპიტალში საიდუმლოდ შესვლა ექიმის ნებართვის გარეშე და ისიც ისე მძიმე ავადმყოფის დაკითხვა, როგორიცაა ლეიტენანტი ალმაზოვი? ეს ხომ მისი ჰიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებაა! საქუთარი შეილოსა! პირდაპირ მოკვიროს. ასეთი უღისციპლინობა რომ სხვა ვინმეს გამოეჩინა, კიდევ ჰო, მაგრამ თქვენის მხრიო...

— არ იყო სხვა გამოსავალი, ბესა-

რონ გეორგიევიჩი, მე მითხრეს: კომისიამ მუშაობა დაამთავრა და... ასეთი მძიმე ბრალდება წაუყენეს ჩვენი ოჯახის ბურჯს. არასოდეს არავის დაუწამებია ჩვენთვის სიმბდალე და უცებ...

— სიმართლის ძიება კანონიერი გზით უნდა გვეყადა.

— ვინ უყურებს ზოგჯერ სიმართლეს! ჩვენ პატარა ხალხი ვართ, მაგრამ ჩვენი პატიოსნება და სიამაყე ჩვენც გვაქვს, რასაც ყოველთვის არ უფრთხილდებიან. როცა ანგარიშს არ გვწევენ, ჩვენვე გვიხდება მისი დაცვა ხოლმე...

— არ არის სწორი, თომა აფანასევიჩი, ჩვენში პატარა ადამიანები აღარ არიან. ყოველთვის გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც მათს პატიოსნებასა და თავმოყვარეობას გაუფრთხილდება და დაიცავს. თუ ამ შემთხვევაში კომისია შეცდა, დედა სიმართლემ მაინც იზეიმა, და არ იფიქროთ, რომ მართოთქვენ იბრძოდით მისთვის. ჩვენ მივიღეთ ზომები. აი, აქ, თქვენს შემოსვლამდე, ამ კაბინეტში გადაწყდა გადაინიხჯოს კომისიის დასკვნა და გაგრძელდეს ნავის ავარიის მიზეზების ძიება.

— როცა მე და ნატალია ნიკოლაევნამ გავიგეთ, რომ საქმეში თქვენ ჩაერიეთ, რა თქმა უნდა, გულზე მოგვეშვა, მაგრამ თქვენც ხომ შეიძლებოდა ვერ გეძლიათ? აღმირალი ვანკოვსკი ჭიუტი და თავმოთნე კაცია. მიჩვეულია საკუთარი თავის უცოდველობის აზრს.

— აფანასევიჩი, დროა შინ წახვიდეთ. ნატალია ნიკოლაევნა უთუოდ ღელავს, — ააჩქარა აღმირალმა თავისი მნახველი. — ახლა, მე მგონია, ყველაფერი კარგად იქნება.

მიჩმანმა მაშინვე წამოიწია, ბოდიში მოიხადა თავისი თავშეუკავებლობისათვის, წესისამებრ ითხოვა წასვლის ნება და პოლიტგანყოფილების უფროსის კაბინეტი დატოვა.

„ა-176“ შორეული ავტონომიური ცენტრით ასრულებდა სვლის გამოცდას.

უკან დარჩა ხანგრძლივი შრომატევადი საქმიანობა, მსოფლიო ოკეანეებში თვეობით ყოფნის მთელი ქრუ-ვარი და სიაშე. სულ რამდენიმე დღე რჩებოდა, რომ მშობლიურ სანაპიროებთან მოედნო. ნაკვეთურებში არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო, საგუშაგოზე დგომისგან თავისუფალი წყალქვეშელები მეცადინეობით იყვნენ გართული: საბრძოლო პოსტებზე ვარჯიშობდნენ, ყოველნაირი ინსტრუქციებისა და შექანიზმების მოვლის წესებს სწავლობდნენ. სატორპედო ნაკვეთურში პოლიტიკური სწავლება მიმდინარეობდა. საოფიცრო შემაღენლობის კაიუტ-კამპანიაში კონტრადმირალ ვანკოვსკის მაგიდაზე გაეშალა ოკეანის რუკა და საინფორმაციო ცნობებს ამოწმებდა. ჯერ კიდევ წინა საღამოს მიიღო სარდლობის სპეციალური ცნობა იმაზე, რომ „ა-176“-ის კურსი გადის იმ რაიონში, სადაც ნატოს სარდლობა სამხედრო-საზღვაო მანევრებს ატარებს „წითლების“ წყალქვეშა ნაგებთან ბრძოლის მეთოდების გაუმჯობესების მიზნით. ვანკოვსკიმ თავმოყრილ ოფიცრობას უბრძანა, ჯერჯერობით ნავის კურსს ვერ შეეცვლი, რადგან საშუალება არა მაქვს დავეუკავშირდე სარდლობას მისი ახალი კურსის დადგენის თაობაზე, ამასთან თავს იმით იმართლებდა, რომ თვითონაც სარდლობის წარმომადგენელია. თავის გამოსვლის დასასრულს კონტრადმირალმა ყველა ოფიცერი გააფრთხილა სიფხიზლის აუცილებლობაზე, მეტადრე გუშაგად დგომის დროს, დათათბირი დამთავრებულად გამოაცხადა. ოფიცრები სწრაფად წავიდ-წამოვიდნენ თავიანთ ნაკვეთურებში და კაიუტ-კამპანიაში დარჩა მხოლოდ პირველი რანგის კაპიტანი ყურავლიოვი. ერთ ხანს ფეხს ინაცვლებდა და დუმდა, თითქოს სიტყვებს ვერ პოულობდა.

— ამხანაგო კონტრადმირალო, მაპატიეთ, მაგრამ თქვენი გადაწყვეტილება არ მიმანია სწორად, — თითქოს გადმოხეთქა ბოლოს სათქმელმა ყურავლიოვის პირიდან. — არ შეიძლება მანევ-

რების რაიონში ჩვენი ყოფნა. ეს რისკი არავის არ უნდა, არ არის გამართლებული.

— გეთანხმებით, ვასილ ივანოვიჩ, — ამოიოხრა ვანკოვსკიმ. — მაგრამ ჩემს მდგომარეობაში კაცი სხვა გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს... სარდლობას არ უყვარს ხელქვეითების თვითნებობა. ნაბრძოლს საზღვაო ძალების გვერდის ავლა ბევრად უფრო იოლად შეგვიძლია, ვიდრე სარდლობის რისხვისა, — გაიცინა კონტრადმირალმა, რომელიც ცდილობდა საუბრისათვის ხუმრობის ხასიათი მიეცა. — ჩვენს ტექნიკას შეიძლება სასწაული ეწოდოს, ნავის უფროსი შეუდარებელი წყალქვეშელია. ნუთუ თავს ვერ ავირიდებთ საეჭვო საბრძოლო უნარიანობის მქონე რაღაც გემებს? თვითნებობა კი, თუ აუცილებლობით არაა გამოწვეული, უფროსს პატივს არა სდებს.

— სახიფათო რაიონის გვერდის ავლა — ეს თვითნებობა კი არა, საღი ღონისძიებაა. ჩვენ ხომ დამოუკიდებელ ცურვაში ვართ, მშობლიური ბაზიდან დიდი დაშორებით, ასეთ შემთხვევაში კი საჭიროა გაბედული გადაწყვეტილება და არა ნებაბრთვის ღონისძიება.

— ვფიქრობ, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის, — ვანკოვსკი რუკაზე დაიხარა. — ჩვენ დიდი სისწრაფით მივდივართ, სახიფათო რაიონს უცებ გადავიჭროლებთ.

— ამხანაგო ადმირალო, გთხოვთ შეცვალოთ გადაწყვეტილება, ამას მოითხოვს ვითარება. ნუ გეშინიათ სარდლობისა, იქ ქვეყანი აღამიანები სხედან. ვანკოვსკიმ შუბლი შეიკრა და ოფიციალური პოზა მიიღო.

— თქვენი აზრი წინასწარ ვიცოდი! ჩემი გადაწყვეტილება არ საჭიროებს თქვენს დასტურს. მე ვიცოდი, მაშინვე შეგეშანდებოდათ გარემოების და განიზრახავდით სარდლობის მიერ ნაჩვენებები კურსის შეცვლას ნავის გამოცდისას.

— ჯერ ერთი, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ გამოცდა დასრულებულია. მეო-

რეც, ასეთი უმინიშნელო კლიმატური განსხვავება ვერანაირად უნდა მოახდინოს ზეგავლენას გამოცდაზე, დამარცხება, გამოცდისა წარმატებით დამთავრებისათვის თქვენზე არანაკლებ შეეისრება პასუხისმგებლობა, მაგრამ...

— ამხანაგო პირველი რანგის კაპიტანო! — ვანკოვსკიმ „სმენის“ მდგომარეობა მიიღო. — თქვენ თავისუფალი ბრძანდებით! დამტოვეთ.

ეურავლიოვი ქუსლებზე შეტრიალდა და სასწრაფოდ გავიდა კაიუტ-კაპიანიიდან. ვანკოვსკი წუთით უძრავად იდგა, შემდეგ ნელა დაეშვა სკამზე და რუკას დახედა, თითქოს ჭაღადღს უნდა გაეცა პასუხი მის საქციელზე.

სალაპარაკო მიღწეა გუშაგი ოფიცერი გემის უფროსს სთხოვდა საბრძოლო ქრილში გამოცხადებულ იყო, საუფროსო პუნქტში. გუშაგი ოფიცერის სიტყვების გამოძახილი კაიუტ-კაპიანიიშიც ისმოდა. ჩვეულებრივ ასეთი „თხოვნა“ წყალქვეშა ნავზე ნიშნავს, რომ მოხდა რაღაც ამბავი და აუცილებელია უფროსის მოსვლა თავის საბრძანებელ ადგილზე. ვანკოვსკი ისარივით გაეარდა კაიუტ-კაპიანიიდან და საბრძოლო ქრილში თვით უფროსზე ადრე გამოცხადდა.

— ამხანაგო ადმირალო, — მოახსენა გუშაგმა ოფიცერმა თავშეკავებით, — ხელსაწყოების ჩვენების თანახმად მაშველი ტივტივა მოწყდა და ახლა გვერდით მივათრევთ.

შემოწმებამ დადასტურა გუშაგი ოფიცერის ვარაუდი. მართლაც, ოკეანის ზედაპირზე, ნავის კიჩოს პირდაპირ, რამდენიმე კაბელტოვის მანძილზე უზარმაზარ მფრთოვან ტალღასთან ერთად რაღაც საგანი მოჰქროდა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მაშველი ტივტივა, ვინ იცის რა მიზეზით მოწყვეტილი თავისი ადგილიდან. მას ეწოდება მსხვილი ფოლადის გვარლი. რომლის ერთი ბოლო გამომშული იყო ტივტივას რგოლზე, მეორე კი გემის კორპუსზე, შახტის ფსკერზე. ნავის უფროსმა ბრძანა საგანგებო საავარიო მკვნე-

ტარებით გადაეკრათ გვარლი, მაგრამ ეს არ მოხერხდა. მკვნეტარებს შეეძლოთ მუშაობა მხოლოდ ვაჩერებულ მდგომარეობაში და არა სვლის დროს.

— ამხანაგო ადმირალი! მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ნავის აყენა ზედაპირზე! — გამოეკვიმა ვანკოვსკის გემის უფროსი:

— წყალზედა მდგომარეობა გამოირცხულია! — გაბრაზებით მიუგო ვანკოვსკამ, — თქვენ ხომ იცით, რომ ვიმყოფებით ნატოს სამხედრო ძალების ვარჯიშის რაიონში.

— მაგრამ ასეთი ტივტივას თრევა კიდევ...

— ტივტივა უნდა მოვიცილოთ! — ეცეხლს ანთხედა ადმირალი სორვანცევის თაუზე. — როგორ უნდა მოწყვეტილიყო ეს წყვეული ტივტივა?! ეს თქვენი უყურადღებობის ბრალია! დოყლაპიები ხართ ყველანი! ყველანი!

— გემი ხომ საცდელია, ყველაფერი ხდება, — თითქოს თავისთვის თქვა ეურავლიოვმა. — კიდევ კარგია, რომ ყველაფერი ასე თუ ისე წესიერად მიდის. შეიძლებოდა უარესი მომხდარიყო.

— რა უარესა? — ვანკოვსკი ძლიერ ნერვიულობდა და ძლივს იკავებდა თავს, რომ არ აყვირებულყო. — აი, ახლა შეგენიშნავენ უცხოეთის გემები და საქვეყნოდ შევრცხვებით, საქვეყნოდ! გაიგეთ? ყველაფერი კი დოყლაპიების დაუდევრობის შედეგად! საერთოდ, გიბრძანებთ მოახდინოთ ტივტივას ლიკვიდაცია, რადაც არ უნდა დაგეჟდეთ. ეს დაუყოვნებლივ უნდა გაეთდეს. ვასაგებია?

სორვანცევმა მხრები აიჩჩია და განზე ფარულად გადახედა ეურავლიოვს, რომელსაც გულზელი დაეკრიფა, შუბლი შეეკრა და ისე იდგა კრილის ლუკის კომინგსთან.

— რა გაეწყობა, უნდა ვეცადოთ, — უპასუხა ბოლოს ეურავლიოვმა სორვანცევის კითხვის გამოძახებულ ვესტზე.

— როგორ? რანაირად გვიჩხევთ, ივა-

ნოეჩი. — ვანკოვსკიმ ლაქუცით დღუწრა კილოს.

— შეიძლება ნავის სიმჭირის შენეება მინიმუმადე, ზღვაში ორი მსუბუქი მყვინთავის გაშვება. ხელის მკვნეტარებით გადაპირან გვარლს.

ვანკოვსკის და სორვანცევის დიდი ინტერესი არ გამოუჩენიათ ეურავლიოვის წინადადებისადმი. მცირე დუმილის შემდეგ პირველი ვანკოვსკი ამეტყველდა:

— ნავიდან ორი მყვინთავის გაშვება? არა, არ შეიძლება! — თქვა გადაპირით.

— ჯერ ერთი, ზვიგენები დაგლეჯენ. მეორე... მერე, აქ სიღრმე ისეთია... არა, არ შეიძლება. დაეკარგავთ ადამიანებს და მაშინ ჩვენი საქმე წასულია. არავინ არ გვაპატიებს ადამიანების დაღუბვას. სხვა გამოსავალი უნდა მოვნახოთ.

ეურავლიოვი რუკასთან მივიდა და ერთხანს უსიტყვოდ შესცქეროდა, მერე თითი დაპკრა და თქვა:

— აი, ამ ადგილზე თუმცა სიღრმე მეტია, მაგრამ ფსკერზე დაჯდომა შეგვიძლია, ფსკერზე კი მსუბუქი მყვინთავები საქმეს გააკეთებენ. ამისათვის პირადად მე ვაგებ პასუხს. ჩვენთან გემზე იმყოფება კაცი, რომელმაც თავის დროზე წყალქვეშა სპორტში პირველი ადგილი აიღო, ნუთუ ვერ შევძლებთ ნავის განთავისუფლებას ტივტივა-გვარლისაგან?

— ვინა გყავთ მხედველობაში — პკითხა სორვანცევმა.

— ლეიტენანტი ალმაზოვი.

— რასა ბრძანებთ! მძიმე ოპერაციის შემდეგ და ისიც ასეთ სიღრმეზე მისი ჩაშვება როგორ იქნება? ვინ გვაპატიებს, რომ მას რაიმე შეემთხვას? სისულელეა! ამისი დაშვება შეუძლებელია! მე ვერ ვაგებ ამისათვის პასუხს.

— პასუხის გაცემა თქვენ არ მოგიხდებათ, ამხანაგო კაპიტანო. კმარა დავა! უფროსო, დაეშვით ფსკერზე! — ეურავლიოვმა ეს ისეთი კილოთი თქვა, რომ შეპასუხება შეუძლებელი იყო.

„ა-176“-მა სვლა თანდათან შეინელა,

დაბლა დაეშვა და დინჯად დაჯდა ოკეანის აუზღვრეველ ფსკერზე, როგორც ლაქვარდების მეუფე არწივი ჯდება კლდის ქიშხე.

ცენტრალურ პოსტზე მოიბრინა ჩასხმულმა ზემდეგმა ალექსანდრე შაულინმა და მკვირცხლად მოახსენა უფროსს, ბრძანების თანახმად გამოცხადდით. მის ზურგს უკან გამოჩნდა ფეხმარდი ლაქვარბაი.

— ამხანაგებო, — სორვანცეც ჩვეულებად ჰქონდა სწრაფი ლაპარაკი, თითქოს ეშინოდა, არ შემაწყვეტინონ სიტყვაო. — ცხვირის მხარის სასიგნალო ტივტივა მოწყდა თავის ადგილს და ტივტივა-ტროსის საშუალებით მივათრევთ თან. გაძლევთ ამოცანას: ჩაიცივით მსუბუქი საყვინთი სამოსი, გადიოთ ნავიდან, ხელის საყვინთებით გადაჭერით გვარლი და დაბრუნდით ნავში.

— არის, ამხანაგო უფროსო, ამოცანა ნათელია! — თითქმის ერთხმად უპასუხეს წყალქვეშელებმა.

შაულინის თაფლისფერი ღრმა თვალები მხიარულ ნაპერწყლებს აფრქვევდნენ, თითქოს ქორწილში აგზავნიდნენ და არა მძიმე ამოცანის შესასრულებლად. ეს გასაგებოც იყო. მშვიდობიანობის დროს ზომილი არ არის თავისი სიმამაცისა და თავდადების გამოჩენა, და ახლა, როცა შემთხვევა ეძლეოდათ, მას ხალისით ხედებოდნენ.

— შეასრულეთ! — ძლივს მოასწრო უფროსმა ამის წარმოთქმა, რომ ლაქვარბაი და შაულინი ცენტრალურ პოსტზე აღარ იყვნენ. თითქოს ფრთაშესხმულები გაფრინდნენ. მალე მათ კიჩოს ნაწილიდან მოახსენეს ზღვაში გავედითო.

ყურავლიოვი პერისკოპის ბოქინტზე მიყრდნობილი იდგა და ღიმილით აცვირდებოდა ამ მკვირცხლ წყალქვეშელთა ვაჟაკურ მოქმედებას, დაახლოებით იმ წლებში რომ იყვნენ დაბადებულნი, როცა ამ ადგილებში ჩვენი წყალქვეშანაევები გააფრთხილეს ბრძოლას ეწეოდნენ მტრის საზღვაო ძალებთან. უნებურად ჩაღრმავდა მოგონებებში და ვერ

შენიშნა, როგორ გამოჩნდა ნაკვეთურში მყოფთა სახეებზე მოუჭვეწყურჯამომეტყველება.

შენიშნა

წუთები გადიოდა, ხოლო მყვინთაეზბი არავითარ ცნობას არ იძლეოდნენ. წესით მათ დროგამოშვებით სიგნალები უნდა მოეცათ ქიშხე უროს დარტყმით, მაგრამ არავის არც ერთი ასეთი სიგნალი არ გაუგონია. წყალქვეშელები უკვე დედადნენ. მათი მზერა სულ უფრო ხშირად ჩერდებოდა ნავის უფროსზე, რომელიც შტურმანის პატარა მაგიდასთან იდგა, რუკაზე თავდახრილი.

დაძაბულ ღუმილს თითქმის არაფერი არღვევდა. წყალქვეშელები გაქვავებულნი იყვნენ ქიშხის გადამიდან ცნობის მოლოდინში. უეცრად სორვანცევის გვერდით გულგრილად მდგარი ვანკოვსკის სმენას მისწვდა ნაკვეთურის კუთხეში მყოფი ორი მატროსის თავშეკავებული ჩურჩული.

— ჩანს, დაიღუპნენ ბიჭები. მეცოდებიან. ომი არ არის და მაინც... ხედავ, როგორი ამბები ხდება? — თქვა პირველმა და ფრთხილად მიმოიხედა, თითქოს საკუთარი სიტყვებისა შეეშინაო.

— მშვიდობიანობის დროსაც იღუპებიან ხოლმე, — ამოიოხრა მეორემ.

— მაინც რამ მოწყვიტა ის სასიგნალო ტივტივა? მას ხომ იმ შემთხვევისათვის აკეთებენ, როცა ნავი ჩაიძირება და ფსკერზე ჩაწვება? მაშინ მალე უშვებენ ხოლმე და ატყობინებენ ვინმეს, რომ ნავს უხედურება ეწვია. მაგრამ რაღაც არ მახსოვს, რომ ეს ტივტივა ვინმეს აეშვას. მეცადინეობის დროს, რა თქმა უნდა, ხდება ხოლმე...

— მაინც არ მჯერა, რომ ისეთი ბიჭები დაღუპული იყვნენ, როგორც არიან შაულინი და თემური, — მაშინვე შეედავა პირველი, რომელმაც ვერ შენიშნა საკუთარი ნათქვამის წინააღმდეგობა, მისსავე პირველ აზრთან.

ვანკოვსკიმ მრისხანედ გადახედა მოსაუბრეებს და ისეთი კუჭტი იყრა მიიღო, რომ მაშინვე ლაპარაკის ხალისი დაუკარგა. ჩანდა, სორვანცევა გაიგო-

ნა მეზღვაურთა ჩურჩული. გასწორდა და თავის თანაშემწეს მიუბრუნდა:

— ვინ მისცა ინსტრუქციები მყვინთავებს ნავიდან გასვლის წინ? ამოცანის სრული ახსნა-განმარტება მოითხოვეს თუ იმით დაკმაყოფილდნენ, რაც მე ვუთხარი?

— არავითარი, ამხანაგო უფროსო!

— ცოცხლად მიუგო თანაშემწემ. — პოლიტბელმა და მე პირადად ყველაფერი დაწერილებით აეუხსენით. ყველაფერი კარგად გაიგეს — ამოცანაც, თანმიმდევრობაც, მოქმედების წესრიგიც.

— პრინციპში არ მომწონდა მე ეს, ეურავლიოვის მოგონილი მყვინთაობია, მაგრამ... დამიყოლიეს, — ჩაიბურტყუნა თავისთვის ვანკოვსკიმ. — აი, ახლა...

— ისინი შეასრულებენ დავალებას, ამხანაგო აღმირალო, — შეაწყვეტინა უფროსის თანაშემწემ, რომელმაც გაიგონა ვანკოვსკის სიტყვები. — ნამდვილი დევგმირები არიან. ჩანს, დაავიწყდათ სიგნალების მიცემა, პირობები ხომ ასე მძიმეა.

უფროსის გაშტერებული და არც თუ იმედინი მზერა მოწმობდა, რომ ნაკლებად გაიზიარა თავისი უფროსი თანაშემწის აზრი და აშკარად აშფოთებს კორპუსის გარეთ გასულ წყალქვეშელთა ბედი.

უცრად ნავი ერთბაშად შეირყა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, თითქოს ქიმზე ტალღას გადაევლოსო, სიღრმის საზომი ისარი მარჯვნივ გაექანა და მალე ყველამ შენიშნა, რომ ნავი ერთბაშად კიდევ ოთხი მეტრით დაბლა დაეშვა სიღრმეში.

წყალქვეშელთა კითხვის გამომხატველი მზერა უფროსზე იყო მიჯაჭვული, მაგრამ იმას, ეტყობოდა, ყველაზე მეტად აღელვებდა მომხდარი.

— აი, ეს ვერ არის კარგი, — კბილებში გამოცრა მან.

— რა მოხდა, უფროსო? — ჰკითხა ვანკოვსკიმ. — შეხედეთ! მგონი, ტივტივა როგორც იქნა ჩამოგვცილდა?

— დიახ, ტივტივა ყოჩაღმა ვაეკაცებმა ჩამოგვაცილეს! ავი გეუბნებოდით?

— შესძახა უფროსმა თანაშემწემ, რომელიც ციფერბლატზე აკვირდებოდა გარეთა მდგომარეობას.

— ჩვენ ჩამოგვარდით რომელიღაც წყალქვეშა გორაკიდან, რომელზედაც შემთხვევით მოგხვდით. მაშასადამე, ზღვის ფსკერი აქ სწორი არ არის. აქ დიდ სიღრმეზე სრული სიბნელეა და პატარა ნათურებმა შეიძლება ჩვენს მყვინთავებს ვერაფერი სამსახური ვერ გაუწიონ ამ წყველიაღში, სადაც ალბათ დევიანის დროს მოწყდნენ ნავს.

უფროსის ვარაუდმა ისევ ჩააფიქრა წყალქვეშელები. მშვიდი ჩანდა მხოლოდ ეურავლიოვი. იგი კვლავ პერისკოპის ბოძინტთან იდგა გულზელდაქრეფილი და მშვიდად აკვირდებოდა ყოველივეს, რაც გარშემო ხდებოდა.

ნაკვეთურში ისევ დაძაბული ღუმილი გამეფდა. ქიმს გადაღმა დაკვირვების ხელსაწყოები ვერ ხედავდნენ მყვინთავებს, მათი აღვილსამყოფელი, ასე ვთქვათ, „მკედარ ზონაში“ იყო მოქცეული. ვერაფრით ვერ აღმოუჩენდნენ დახმარებას. რჩებოდა მხოლოდ პასიური ლოდინი. მოთმინებით ლოდინი, ვიდრე დაბრუნდებოდნენ. ლოდინს კი არაფერი მოჰქონდა.

მაგრამ აი, ხელსაწყოს ეკრანის მარჯვენა კუთხიდან ნელნელა იწყეს ცურვა მოძრავმა სილუეტებმა. ყველას მზერა ერთბაშად მიიპყრო გეგმზომიერად მომავალმა ორმა უცხო გემმა, „ა-176“-ის ყოფნის რაიონში რომ შემოვიდა.

— ეს ბადრაგია, — დაასვენა ნავის უფროსმა. ვანკოვსკის გამოევიძა და უთხრა: — ამხანაგო აღმირალო, 248 გრადუსის პელენჯზე, 125 კაბელტოვის დისტანციაზე გემების დიდი ჯგუფია, ეტყობა ჩვენკენ მოდიან.

— დიახ, თქვენ მართალი ხართ, — დაუდასტურა კონტრადმირალმა, — მეცადინეობა მიმდინარეობს. ეშმაკმა დალახვროს, ჩვენ მათს ვზაზე აღმოვჩნდით. ახლა საყმარისიო ჩვენი სასიგნალო ტივტივა დინახონ და დიდ უსიამოვნებას გადავეყრებით, — აღმირალი მკაცრი მამასავით ბუზღუნებდა. ტივტივა

ნავიდან მოწყვეტის შემდეგ თავისით უნდა ჩაიძიროს, — აუხსნა ჟურავლიოვი-მა.

ტიხარის კარი გადაიწია და ნაკვეთურში შემოვიდა ლეიტენანტი ალმაზოვი. სახით ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც ვიხილეთ მაშინ, კურსანტის სამოსელში გამოწყობილი. უფრო ატყორცნილიყო, გამხდარიყო. მარჯვენა ლოყაზე ნაიარევი ეტყობოდა, ახალი ნაოპერაციების კვალი. ლეიტენანტი ეაკაკურად მიუახლოვდა ვანკოვსკის, გამოეჭიმა და მოახსენა:

— ამხანაგო აღმირალო! ნება მომეცით ნავიდან გავიდე და ჩვენებს დახმარება გაუწიო. ცუდი წყალქვეშელები კი არ არიან, მაგრამ ასეთ რთულ ვითარებაში შეიძლება დაიბნენ. შეიძლება დაიღუპონ...

ვანკოვსკი აშკარად შეშფოთებული იყო, დაფანტულად მიმოიხედა, რაღაცაზე ფიქრობდა და ალმაზოვს მაშინვე არ უპასუხა. ალმაზოვი თხოვნა გაუმეორა.

— რა სისულელეა, — გონს მოვიდა ბოლოს აღმირალი. — რა დახმარება უნდა გაუწიოთ? მეტადრე ოპერაციის შემდეგ. თქვენ ხომ ჯერ კიდევ არსებითად ავად ხართ!

— არაფერიც, მე სრულიად ჯანსაღად ვარ, ამხანაგო აღმირალო. გთხოვთ ნება მომეცეთ ეს საქმით დავამტკიცო, — დააყენა ალმაზოვი.

— გესმით თუ არა, ვითარება ჩვენს გარშემო იცვლება. საქმე რთულდება, ჩვენ უნდა ავიხსნათ თავი ფსკერიდან, შევეუბრებოდეთ აღამიანების დაკარგვას და თავს ვუსველოთ.

— აი, ამიტომაც გთხოვთ გამიშვათ, რომ დახმარება აღმოვუჩინო ჩვენს მყვინთავეებს. თორემ დაიღუპებიან ოქროსავით ბიჭები. აბა ვინ მიატოვებს ძმებს ოკეანის ფსკერზე?

ჟურავლიოვის და სორვანცევის ჩარევამ შედეგი გამოიღო. მალე მოციხდნენ, ალმაზოვი ნავიდან გავიდა. ნავში დაძახული დუმილი ჩამოვარდა. ტაატით მიდიოდა დრო. გეგონებოდათ,

ყველა ადგილზევე გაქვავდო. მხოლოდ სორვანცევი და ვანკოვსკი ზუმავდნენ უცხო გემებამდე მანძილზე და რატომცაა გადაჰქონდათ რაღაც ნიშნები. „ა-176“-ის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა.

უზარმაზარი საოკეანო ბადრაგი, რომელიც შედგებოდა 66 დამცველი და დასაცავი ზომალდისაგან, შავ ღრუბლად წებებოდა ერთი საბჭოთა წყალქვეშა ნავის თავზე, რომელიც იძულებით დაჭდა ოკეანის ფსკერზე და ვეღარსად მიდიოდა. საბჭოთა მეზღვაურებმა იცოდნენ, რომ ნატოს გემები სპეციალურ საწვრთნელ ვარჯიშს გადიოდნენ და თუ „ა-176“-ს შენიშნავდნენ, შეიძლება სამტრო განზრახვა დაეწამებინათ, მაშინ მთელი მათი ცეცხლის ძალა ფსკერზე მჭდარ ნავს დაატყდებოდა. ის იძულებული გახდებოდა გარიდებოდა და ფსკერზე უმწეოდ მიეტოვებინა თავისი მყვინთავეები.

— ცენტრალურში! — ხამალაა ძახილმა, რომელიც კიჩოს მხრიდან გაისმა, თვითონ მშვიდი ჟურავლიოვი შეაკრთო.

— არის ცენტრალურში! — ერთბაშად უპასუხეს ცენტრალურის მეზღვაურებმა, ისე რომ დაავიწყდათ, რომელი იყო ამ პასუხის უფლებით აღტურვილი.

— მყვინთავეები ნაკვეთურში დაბრუნდნენ. დავალება შესრულებულია — ერთგვარი დაუფარავი საზეიმო კილოთი მოახსენებდა ყველას იგივე მეზღვაური კიჩოს მხრიდან.

— აცურე! — ბრძანა სორვანცევი. — წინ!

ნავი მორჩილად მოწყდა ფსკერს, თანდათან უმატა სვლას და ნაჩვენები კურსით გაექანა წინ. ამ მომენტში მტრის ბადრაგი ზედ ნავის თავზე გადიოდა, მაგრამ საბჭოთა წყალქვეშელებს ის ვეღარ აშინებდა, უკვე ჰქონდათ სელა, მანევრირების საშუალება და მანამდე არნახული სისწრაფე.

წყალქვეშა ნავმა ბრწყინვალედ დაამთავრა უკანასკნელი გამოცდა და კოლის უბეში ბრუნდებოდა. უკან დარჩა მრავალი თვის ქირ-ვარამი, შორეულ ზღეებში და ოკეანეებში ვანცდილი ძნელბედობა მშობლიურ ნაპირებს მოწყვეტილი მუზღვაურებისა. წყალქვეშელები ზეიმობდნენ, მშობლებთან და მახლობლებთან შეხვედრის მოლოდინით წინასწარ ტკებოდნენ. ეს ზეიმი მით უფრო დიდებული იყო, რომ ბრუნდებოდნენ გამარჯვებულნი, სწორედ მათ ერგოთ წილად ყოფილიყვნენ ამ ახალი იარაღის სრულმყოფელნი, იარაღისა, რასაც არ გამოსჩენია ტოლი საბრძოლო ძლიერებითა და ტექნიკური სრულყოფით. ნაკვეთურებში გამოცოცხლება იყო, ადამიანები მხიარულად საუბრობდნენ, უზიარებდნენ ერთიმეორეს სამხიარულო ამბებს, ზრახვებს, რომლებიც ხმელეთზე დასვენების დღეებში უნდა მოეყენათ სისრულეში, არჩევდნენ ყველაზე უფრო საინტერესო მომენტებს, ეგზომ ხანგრძლივი ლაშქრობის დროს რომ გადახდენოდათ წყალქვეშა ნავში.

ნავის ზედა ბოგირზე, სადაც სელის გუშაგი იდგა, დუმილი სუფევდა. აქ, როგორც საბრძოლო დღეებში, ახლაც ფხოზელი თვალი გუშაგობდა ყველას ნაცვლად. სასტიკად ეკრძალებოდა ყოველგვარი სხვა გატაცება ან სხვა რამის კეთება, რაც უშუალოდ საგუშაგო ვალდებულებასთან არ იქნებოდა დაკავშირებული. მთელი ზედა საგუშაგო ზამთრულად თბილად იყო ჩაცმული. შემოდგომის ვრილი დილა იდგა იმიერპოლარეთში. ცა ღრუბელთა თხელ ფენას დაეფარა, თითქოს მოხერხებულად შეეღებათ ღია თიხით. ზღვაზე სიფრიფანა ნისლი ჩამოწოლილიყო, კვალივით ბურავდა სივრცეს და ოდნავ ამცირებდა ხილვადობას, ქარი კი სამბალს არ აღემატებოდა. ასეთ ამინდს ამ განედებზე „კარგს“ ეძახიან და შეპხარიან კიდეც. პორიზონტზე კუნძულ

კილდინის ნაცნობი კუზი გამოჩნდა, ალბათ არასოდეს არავის არ წაჩმოდებოდა ვამს და შეუტანია სახომალდო-კუჩრანაში ში ამ კილდოვანი კუნძულის სახელი ისეთი სიყვარულით, როგორც წარმოთქვა და ჩაწერა ლეიტენანტმა ალმაზოვმა. „კიდევ რამდენიმე ათეული წუთი და მე ვნახავ იმას, ვისი სახეც აგერ ამდენი ხანია წუთით არ მომშორებია“.

— გამოჩნდა ნაპირი, ამხანაგო გუშაგო ოფიცერი? — გამოჩნდა ბოგირზე ვანკოვსკი.

— სწორედ ასე გახლავთ, ამხანაგო აღმირალო, კუნძული კილდინი 172 გრადუსის პელენგზეა.

კონტრადმირალმა ბინოკლი მოიმარჯვა და დაიწყო კილდოვანი სანაპიროების ბვალიერება.

— ვხედავ, უფროს თაობას უმცროსზე ნაკლებად არ მონატრებია ნაპირი, — მივიდა უურავლიოვი ვანკოვსკისთან. ნაპირის ხილვის მოლოდინში აგერ ნახევარი საათი იდგა ბოგირზე და კარგად იცოდა ვარემო, — აი, ნახეთ ცოტა მარჯვნივ, მგონი უბის მარცხენა ნაპირი ჩანს. მალე შინ ვიქნებით.

— ა-ა, ვასილ ივანოვიჩ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მალე ვიქნებით. ასეთი სისწრაფით სად არ მიხვალ! თითქოს თეითმფრინავზე ვიყოთ.

— თავის სახლში ყოველი არსება სწრაფად მიდის.

ორივე იცინოდა. ვანკოვსკიმ ბინოკლი დაუშვა, გუშაგო ოფიცერს გადახედა და როცა დარწმუნდა, რომ ლაპარაკი იმას არ ესმოდა, დაიწყო:

— გამიგონე, ვასილ ივანოვიჩ, რას ფიქრობ, ლეიტენანტი ალმაზოვი რომ ჯილდოზე წარვადგინოთ? აკი მან ოხსნა ჩვენი წყალქვეშელების სიცოცხლე. ვფიქრობ, ის რომ არა, ადამიანები დაიღუპებოდნენ.

უურავლიოვმა მაშინვე სერიოზული გამომეტყველება მიიღო. შუბლი შეიკრა და თითქოს გამოცრა:

— ამხანაგო კონტრადმირალო, ჯილდოზე ის ჯერ კიდეც იმ გმირობისათვის,

უნდა წარვადგინოთ, დანადგარის მრავალჯერი მარცხიანი გამოცდის დროს რომ გამოიჩინა, ახლა ხომ ყველასათვის ნათელია ის რისკი, რაც მან საერთო საქმისათვის გასწია სრულიად გულგრილად. მერე, არავინ აიძულებდა, რომ ეს გავეკეთებინა. პირიქით, მისი ამოცანა იყო დაუყოვნებლივ შეეწყვიტა გამოცდა, როგორც კი ხელსაწყოების კაბინაში სახიფათო ვითარებას შენიშნავდა.

ვანკოვსკის აშკარად არ მოეწონა ქუჩაველიოვის პასუხი. ქვედა ტუჩის მარჯვენა მხარემ კრუნჩხვა დაუწყო. ერთ ადგილზე მოიბუხა, თითქოს შესცივდაო და მერე თქვა:

— ვასილ ივანოვიჩ, მე არ მესმის, როგორ შეგიძლიათ იმსახუროთ ასე პირდაპირი ხაზით, ისე რომ სულ არ უწევთ ანგარიშს პირად ინტერესებს? ბოლოს და ბოლოს, ალმაზოვისათვის ხომ სულერთია, რისთვის მიიღებს ჯილდოს? ჩვენ მას დავასაჩუქრებთ ზღვაზე გამოჩენილი გმირობისათვის. ხოლო თუ გამოცდის დროს გამოჩენილი სიმარჯვისათვის დავაჯილდოვეთ, წარმოიდგინეთ, რა სასაცილო გამოვალთ უფროსობის წინაშე? მეტადრე მე, გამოცდილი წყალქვეშელი, კომისიის თავმჯდომარე აღმირალო.

— ეჰ, ვასილ პეტროვიჩ, ვასილ პეტროვიჩ, განა ჩვენ სიმართლისათვის არ ვიბრძოდით? ომის დროს შეეძლოთ მოვეკალით, უფროსობა კი როგორმე არ მოგვკლავს ერთი შეცდომისათვის და მისი პატიოსანი აღიარებისათვის. მე მგონია, შეცდომების შეფერადებისთვის შეიძლება საქმე უარესად შეტრიალდეს. ჩვენ ყველანი ვიცნობთ ურუშაძის პრინციპულობას, იმან კი ყველაფერი იცის.

— ოჰ, კარგი, კარგი, — ვანკოვსკიმ მხარზე ხელი დაჭრა ქურაველიოვის, როგორც მეგობარს დაჭკრავენ ხოლმე საუბრის დროს, მაგრამ ახლა ორივემ იცოდა, რომ ეს უკვე გამოცვლილი ადამიანის გულწრფელი ექსტი იყო. — ნულარ ვილაპარაკებთ ამ თემაზე. უარს აღარ გეტყვი, დაწერე წარდგენა, ხელს

მოგიწერ... მართალი ხარ... ურუშაძეც და ალმაზოვიც...
 ურუშაძე

— წყალქვეშა ნავში შემოსურობა-სიტყვანოვლის კონცხის ტრავერსს, შეასწორა კურსი მარჯვნივ და მალე კოლის უბეში შევიდა... გაისმა სიგნალი: „ადგილებზე! ვდგებით ადგილებზე!“. წყალქვეშელები ადებდნენ ლუკს, ბტებოდნენ და გარბოდნენ თავიანთი ადგილების დასაკავებლად, როგორც ხდებოდა გემსაბეღზე დადგომის დროს. გულშაგი ოფიცერის პოსტი სხვას რომ გადასცა, ლეიტენანტი ალმაზოვიც თავის პოსტზე გაიქცა, მაგრამ ვანკოვსკიმ შეაჩერა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, ყოველთვის მინდოდა შეკითხვა და რაღაც ვერ მოვახერხე, — თითქოს ყოველ სიტყვას წონისო, ისე ლაპარაკობდა და სახეში არ უყურებდა. — ქალიშვილი... ქალბატონი, რომელიც გაცილებდათ, თქვენნი ცოლია თუ?...

— სულაც არა, ამხანაგო აღმირალო, სოფია — ჩემი საცოლეა.

— სოფია, ჰმ, სოფია ჰქვია, არა? თავისდა გასაოცრად ალმაზოვმა შენიშნა, როგორ მოუპირა ხელი აღმირალმა ბინოკლს, თითქოს შეეშინდა, არავინ წამართვასო, და ერთი წამით გაჩუმდა.

— სწორედ ასეა, სოფოჩკა ჰქვია, — ცოტა დაიბნა ლეიტენანტი და კითხვის ნიშნად ვანკოვსკის გადახედა.

— კარგი ქალიშვილია, მომეწონა. ვინ არიან მისი მშობლები, თქვენ იცნობთ?

— არა, ამხანაგო აღმირალო, მისი მშობლები დაიღუპნენ ლენინგრადის ბლოკადის დროს, რანაირად შემძლო მათი ცნობა, — მიუვო ლეიტენანტმა და მოკლედ მოუთხრო ყველაფერი, რაც იცოდა სოფიას და დედამისის შესახებ.

ალმაზოვი ძლიერ გააოცა იმ დაძაბულმა ყურადღებამ, რითაც ვანკოვსკი უსმენდა, შემდეგ კი, თითქოს გაქვავდაო, რამდენსამე წუთს დუმდა, საღდაც შორეთს გასცქეროდა ზღვის მხარეს.

ლეიტენანტმა ნებართვა ითხოვა და

მიაშურა იმ ადგილს, რაც განრიგით იყო მისთვის განკუთვნილი. კონტრად-მირალი იქვე განაგრძობდა დგომას, წყალქვეშა ნავის ქიმზე მინდობილი. მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ უბატრო-ნო სოფია ნატალია ნიკოლაევნას ლენინგრადის ბლოკადის დროს ეშვილე-ბინა, მოსვენება დაეკარგა.

„არა, აქ საეჭვო არაფერია, სოფია ჩემი ასულია!“ — რაღაც ინტუიცია უბიძგებდა თავიდანვე ამ აზრისაკენ, უწყვეტ ზოლად გაუქროლეს თავში საბჭოთა ხალხის მორალური და ფიზი-კური ტანჯვის იმ მძიმე წლებმა. თავის ახალგაზრდა ცოლთან და შვიდი თვის ასულთან — სოფიასთან ერთად ცხოვ-რობდა მამინ ლენინგრადში — ოხტზე. უცერად ომმა იქუხა. ზღვაში გავიდა. ფრონტზე წარუმატებლობა იყო. მერე ბლოკადა. სახლი ფაშისტების ბომბებმა დაუნგრისეს, ოჯახი ნათესავეებთან გადა-ვიდა ნეკრასოვის ქუჩაზე. დიახ, სწო-რედ ის კუთხის სახლი იყო. როგორც იქნა, შეირბინა იმ სახლში 1942 წლის 7 მაისს. ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა ოჯახთან. მაგრამ ღვიძლი ასულის მშობ-ლიური სახის ნაკვთები კარგად დამახ-სოვრდა. ახლა ის დიდია, სრულიად მოზრდილი ქალიშვილი, მაგრამ სახის ნაკვთები იგივე აქვს...

ძნელი წარმოსადგენია, რა მოსდიოდა ახლა ამ ხანში შესულ ადმირალს, რა გრძნობა უტრიალებდა გულში. ვერც შენიშნა, ნაეი გემსაბელზე რომ დადგა და მოახსენეს, მოვედითო. ვიდრე ნა-პირზე გადავიდოდა და სარდლობას მო-ახსენებდა ეგზომ მნიშვნელოვანი გა-მოცდის წარმატებით დამთავრებას, ვანკოვსკიმ აღმაზოვს უხმო და პირის-

პირ მასთან გამართა მოკლე საუბარი, რაც არავის მოუხსენია.

— ალბათ ვიციერთ, რატომ გეუფრენა? ბოლით ასეთი ინტერესით თქვენი და-ნიშნულის ამბავს?

— ჰო, თუმცა... არა, მე მგონია, არა-ფერი გასაკვირი არ არის! — მიუგო ლეიტენანტმა.

— მე კი მგონია, რომ არის, მაინტე-რესებს, როგორი მეგობრობა გაქვთ იმ... კარგ ვოგონასთან, მეტი არაფერი.

— ეს, რა თქმა უნდა, გასაგებია, ამხა-ნაგო აღმირალო, და მე...

— ჰო, წარმატებას გისურვებთ! მად-ლობელი ვარ თავგამოდებული სამსახუ-რისათვის, იმ გმირობისათვის, რაც გამოიჩინეთ ზღვაში. მოხარული ვარ მოვახსენო სარდლობას, რომ მყავხართ ასეთი მამაცი ვაჟაკი და... სიძე!

— ამხანაგო აღმირალო! როგორ გა-ვიგო...

— ჩემო ბავშვო! — აღმირალის სახე ღიმილმა გაბადრა, — ნუთუ ასე მიუხ-ვედრელი ხარ ხმელეთზე? სოფია ჩემი ასულია! — ეს უკანასკნელი სიტყვები ვანკოვსკიმ წარმოთქვა სწრაფად, სე-რიოზულად, ერთგვარი ტკივილითაც კი, მერე განცვიფრებული აღმაზოვის სა-ხის ხილვასაც კი მოერიდა, ისე გაბ-რუნდა, წყალქვეშელების თვალწინ ჩაირბინა კიბე და ჩავიდა პირსზე, სა-დაც ფლოტის სარდლობის წარმომად-გენლები ელოდნენ.

ბოგირზე კი ერთხანს ისევ გაოგენ-ბული იდგა ლეიტენანტი აღმაზოვი და გმირი ელინელი ქაბუჯის ქანდაკე-ბას ჰგავდა. ახლა ის აღარავის მიაჩნდა ავარიის მიზეზად.





შალვა კვანცვანიძე

ლენინი ქართულ სახვით ხელოვნებაში

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა მწერლობისა და მხატვრობის, მუსიკის, თეატრისა და კინოხელოვნების მუშაეთა შთაგონების უმრავლესი წყაროა.

საბჭოთა ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის, თეატრალური ფერწერის, გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების განვითარებას საფუძვლად უდევს ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

საბჭოთა მხატვრები, შთაგონებული დიდი ლენინის იდეებითა და პიროვნებით, ათეული წლების მანძილზე შთაგონებით მუშაობენ ჩვენი ეპოქის ამ უდიდესი ადამიანის, მალიონთა ფიქრების მპყრობელისა და წინამძღოლის — მხატვრული სახის შექმნაზე.

საქართველოში ვ. ი. ლენინის გამოსახვის პირველ ცდას სახვით ხელოვნებაში ადგილი ჰქონდა ლენინისავე სიციცხლეში.

უნდა აღინიშნოს ლენინის გამოსახვის პირველი ცდა: 1921 წელს 21 სექტემბერს რუსთაველის პროსპექტის და ლენინისა და გრიბოედოვის ქუჩების შესაჯართან (ახლანდელი ჭადრაკის კლუბის წინ), მოედანზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოქანდაკე გ. სერგაევის ვ. ი. ლენინის ბუსტი (ცემენტი). და იგი აღნიშნული მოედნის რეკონსტრუქციამდე იდგა.

როცა საქართველოში სამხატვრო აკადემია ჩამოყალიბდა და ემზადებოდა ქართულ სახვით ხელოვნებაში რეალისტური პოზიციების განამტკიცებლად, 1924 წლის დასაწყისში რესპუბლიკაში ჩაუტარებიათ კონკურსი ვ. ი. ლენინის ძეგლის პროექტზე, რადგან აღნიშნული ბუსტი ლენინისა ვერ აკმაყოფილებდა უკვე ქალაქის გაზრდილ მოთხოვნილებას და ქართული ქანდაკების დონეს.

ცნობილი ქართველი მოქანდაკის, პროფესორ

გ. სესიაშვილის მოწმობით, მაშინ კონკურსში მონაწილეობა მიუღიათ სახალხო მოქანდაკეს ი. ნიკოლაძეს (იმ დროისათვის მას ეს წოდება უკვე ჰქონდა), რუს მოქანდაკეს სერგაევს (რომელსაც ამ კონკურსამდე უკვე ჰქონდა შექმნილი ლენინის ბუსტი). ხმელნიკისა და გ. სესიაშვილს. სხვათა შორის, კონკურსში მონაწილეობა მიუღია ერთ სტუდენტს, სახელმწიფო სტიპენდიანტს სამხრეთ ოსეთიდან, რომლის გვარის აღდგენა ვერცხრობით ვერ მოხერხდა. სტუდენტის ესკიზში ლენინი წარმოდგენილი ყოფილა მსგავსებით, მაგრამ ტანსაცმელი ზომა-ახალგზით გადმოფეცა, წალზე ხაჩვლით. ხანჯლის ტარზე კი ხუთქიმიანი ვარსკვლავი გამოხატავს.

სესიაშვილის პროექტით, ვ. ი. ლენინი წარმოდგენილი ყოფილა როგორც წინამძღოლი — მონუმენტური ფიგურა კლდესთან შეხორცებული. მონუმენტის ესკიზს აგვირგვინებდა „გამარჯვების“ (უფროსი ნიკე) აღგორბული ფიგურა, რომელიც საყვარით ქვეყანას რევოლუციის გამარჯვებას ამცნობდა.

კონკურსზე პირველი პრემია ნიკოლაძისათვის მიუციათ, მეორე კი — გ. სესიაშვილისათვის.

ვ. ი. ლენინის ვარდაცვალების პირველსავე დღეებში ლენინის ვრავიკული პორტრეტი შექმნა ცნობილიმა ქართველმა მხატვარმა, ქართული თეატრის წინაშე ვალწობილმა კაცმა, ი. გამრეკელმა. პორტრეტში მხატვარი ცდილობს ბელადის მხატვრულ გამოსახვას ეუბნიზისათვის დამახასიათებელი ზერბებით.

გამონათლო ქართველ მოქანდაკეს იაკობ აკოლაძეს ეკუთვნის რიგი კომპოზიციები, მინიწერილი დიდი ბელადისადმი. ეს ნაწარმოებები 1923-25 წლებშია შესრულებული. ერთერთი კომპოზიცია ერთფიგურია იყო და ასახვდა

ლენინის პეტროგრადში ჩამოსვლას, ლენინის ცნობილი საპროგრამო სიტყვით ფინეთის ეაგზალში გამოხატვას.

1925 წელსვე ევთენის ნიკოლაისავე მიერ გამოყვითლი პორტრეტები ვ. ი. ლენინისა, ვ. ი. ლენინის პორტრეტის თემას ნიკოლაძე ადრეულ პერიოდში ერთხელ კიდევ, 1927 წელს, მიუბრუნდა.

იმთავითვე საყოველთაო აღიარება მოიპოვა სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის მიერ შექმნილი ვ. ი. ლენინის პორტრეტმა (1925 წ.). ეს პორტრეტი ესკიზთან ერთად, დაცულია ნიკოლაძის შემოკრებილურ მუზეუმში.

ი. ნიკოლაძე ლენინის თემაზე თითქმის 30 წელი მუშაობდა, მას შესრულებული აქვს 15 პორტრეტი, რიგ პორტრეტებში, რომლებიც შექმნილია 1927-33 წლებში, გამოსახულია ლენინი იმ პერიოდის მიხედვით, როდესაც იგი საბჭოთა ქვეყანას ხელმძღვანელობდა. ამ პორტრეტებში ლენინი წარმოდგენილია მეტად სახასიათოდ, ნებნისყოფიან, მხნე და მებრძოლ ადამიანად.

გულთამბილავი წინამძღოლი, ბელადი მუშათა კლასისა, ასეთია ლენინი ნიკოლაძის მხატვრულ დახასიათებაში. ლენინის საქანდაყო სახის მხატვრულ განიდლებას მოქანდაკე 1927 წელს შექმნილი პორტრეტშია შეუტედა, მაგრამ დიდ პორტრეტებს მან ამ პორტრეტში მიაღწია, რომელშიც ლენინი ოქტომბრის დღეების მიხედვითაა გამოხატული.

მოკუმული ტუჩები და ოდნავად გამკლივად მოკუმული თვალები, დიდი ოქტომბრის დიდი ბელადის მეტად სახასიათოსა და დამაფრებელ სახეს ქვნის.— პორტრეტში შესანიშნავად არის გადმოცემული ვარგუნობაც მალაი ირტელქტის ადამიანისა. ნიკოლაძე, ამ ამოცანის გადაწყვეტას კიდევ ერთხელ 1935 წელს შექმნილი პორტრეტით შეეცადა.

მაგრამ როგორც თვითონ ნიკოლაძისათვის, ასევე მთელი საბჭოთა სახვითი ხელოვნებისათვისაც, დიდ ზეგლასა და მწვერვალს წარმოადგენს ის პორტრეტი ლენინისა, რომელიც ი. ნიკოლაძემ უკანასკნელად შექმნა.

ი. ნიკოლაძემ თავის ქანდაკებაში — „ვ. ი. ლენინი „ისკრის“ პერიოდისა“ — წამოაყენა საბჭოთა ქანდაკებისა და ლენინის მხატვრული სახის შექმნის რთული პრობლემა.

სახელოვნება მოქანდაკემ ამ პორტრეტში ხორცი შეასხა და დიდი მხატვრული სიმართლით გამოაქანდაკა ვ. ი. ლენინის მიმართ თქმული საოცრად სახიერა მეტაფორა სტალინისა— „მთის არწივი“.

ი. ნიკოლაძის მიერ შექმნილი ამ პორტრეტის ქვეტექსტის ნამდვილად წარმოადგენს მეტაფორა „მთის არწივი“, ი. ნიკოლაძემ ამ პორ-

ტრეტით რუსი ადამიანის საოცრად ბრძნულ და მეტყველი სახე წარმოადგინა, მწვერვალზე „ვ. ი. ლენინი „ისკრის“ პერიოდისა“ პორტრეტული ქანდაკების ისტორიაში უკვე შესულია როგორც საყოველთაოდ აღიარებული მიღწევა და შედეგა.

ი. ნიკოლაძის ეს პორტრეტი წარმოადგენს და აცოცხლებს ლენინს, როგორც დიდ მოახროვნეს, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადსა და ორგანიზატორს. ლენინის სახეზე აქ აღბეჭდილია ნათელი, დიდი მეცნიერული აზრისა, რომელიც თითქმისა უკვე ქვეყნის „უღიფესე მატერიალურ ძალად“. საოცრად დასვეწილია და პროპორციულად სრულყოფილად არის შესრულებული პორტრეტის პროფილი ანფასი. ეს პორტრეტი ნაძერწია მოცულობითად და შექმნდილის უსათუფესი გამოყენებით. პორტრეტის მხატვრული იერი დიდი ფსიქოლოგიური სიღრმითა და პლასტიკურობით ხასიათდება.

თვითონ მოქანდაკის თქმით, მისთვის ამ პორტრეტის მხატვრული სახე იმ შეხვედრას შთაუვგონებია, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზში ნიკოლაძის საფრანგეთში ცხოვრებისას.

ი. ნიკოლაძე თავის შემოქმედების მუშაობას ამ ნაწარმოებზე შემდგენილად აღადგენს. „მე მქონდა ბედნიერება ვლადიმერ ილიას ძე მენახა პარიზში. ერთხელ ზემ თანამგზავრს გამოვლაპარაკა კაცი, რომლის სახემაც, მისი ღრმა გამომეტყველებითა და ძლიერი ნებისყოფით, ზემი უტრადლებმა მიიპყრო. ამ შეხვედრიდან მიღებულ შთაბეჭდილება მთელი ზემი ცხოვრების მანძილზე დამრჩა. აქედან ვსაგებია ზემი სურვილი, ლენინის სახის შექმნისა „ისკრის“ პერიოდის მიხედვით.

მისნად დავისახე მარმარილოში გამომეტყვეთა გენიალური მარმარილოვნისა და ბელადის, ჩვენს სახელმწიფოს შემოქმედის სახე“ („ზარია ვოსტოკი“, 1947 წ., 2 აგვისტო).

ი. ნიკოლაძე „ისკრის“ პერიოდის ლენინის მხატვრული სახის შექმნაზე მუშაობდა 1946-49 წლებში (ზოგი მკვლევარი თარიღად 1945 წელს იღებს, მაგრამ მოქანდაკე მაშინ ამ თემაზე ჭერ კიდევ არ მუშაობდა). პორტრეტი თავდაპირველად თანამარში იყო ჩამოსხმული. შემდგენი კი ბრინჯაოთი ჩამოსხმეს. უკანასკნელად, 1948 წელს ი. ნიკოლაძემ ვ. ი. ლენინი მარმარილოთი გამოკვეთა.

ვ. ი. ლენინის ნიკოლაძისეული პორტრეტი, როგორც ცნობილია, ქალაქ მოსკოვის საიუბილეო დღეებში ქართულში ხალხმა მიუძღვნა რუს ხალხს. ქანდაკება იმთავითვე გადაეცა ტრეტაეოვის გალერეას. ი. ნიკოლაძის „ისკრის“ პერიოდის ლენინი“ თავის ღრმზე აღნიშნული იყო სახელმწიფო პრემიით და იგი საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოქროს ფონდშია შესული. ქართული პლასტიკური ლენინიანის ისტორიას

მის. ჭიაურელის (ცნობილი რეჟისორი) ნაწარმოები ამჟღავნებს, ეს არის ლენინის მონუმენტი, რომელიც ავტორმა შექმნა 1925-26 წლებში.

მ. ჭიაურელის მიერ შექმნილი ლენინის მონუმენტი თავის დროზე ამ დიდ საქმეში გაღებული უდავოდ საინტერესო წელი იყო.

სკულპტურულ ლენინიანაში თავის სიტყვა აქვს ნათქვამი სამამულო ომში დაღუპულ მოქანდაკე რებენ თავაძესაც. მისი ლენინის მონუმენტის ესკიზი 1928 წლის კონკურსზე შესამე პრემიით აღინიშნა.

ქართული სახეობი ლენინიანა, საერთოდ, ფართოდ და საინტერესოდ გამოვლინდა უმეტესად ქანდაკებაში. ამ მხრივ უფრადღებებს იქცევს სახალხო მოქანდაკის, სახელმწიფო პრემიის ლურჯატის ვალერიან თოფურიძის შემოქმედება.

მოქანდაკემ ლენინიანას პირველი ნაწარმოები მიუძღვნა 1936-37 წწ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი 1953 წელს შექმნილი ლენინის ბრინჯაოს პორტრეტი. ეს პორტრეტი მოდელირებულია დიდი მოცულობებით. პლასტიკური მყაფობა და რეალიზებული ფერწერული გადასვლები ამ შექმნილობის აქცენტები ჩინებულად გამოიყენა მოქანდაკემ დიდი ბელადის სახის მხატვრული გახსნისას.

ვ. თოფურიძის ნამუშევრები საბჭოთა ქვეყნის არა ერთ ქალაქს ამჟღავნებს. ვ. თოფურიძის სეულა ვ. ი. ლენინის ერთი პორტრეტი დაიკურთხა საქართველოს სამხატვრო აკადემიაში, ლენინის მეორე პორტრეტი (1950 წ.) კი — საქართველოს მთავრობის სასახლეში.

ვ. ი. ლენინის მონუმენტი, შექმნილი ვ. თოფურიძის მიერ, აღმართულია ქალაქ თბილისში. ლენინისავე სახელობის მოედანზე (1960 წ.) არქიტექტორები, შ. ყაღალავილი, ვ. მელქაძე, ვ. ზეინაშვილი, კ. ჩხვიძე),

იმავე წელს ქ. რუსთავეში დაიდგა ვ. თოფურიძისა და ვ. ჯაფარიძის ლენინის მონუმენტი (არქიტექტორები: ვ. ნასარიძე და ჯ. პაპიაშვილი), რუსთავეში ბრინჯაოს ლენინის ფიგურა აღმართულია ლენინისავე სახელობის მთავარ მოედანზე და მას ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლში მეტად ხელსაყრელი ადგილი აქვს მოქმედება.

1960 წელსვე თოფურიძემ მონაწილეობს მოსკოვის, ლენინის მოედნისათვის განკუთვნილი მონუმენტის პროექტის კონკურსში (საკონკურსო ესკიზი მოქანდაკემ შეასრულა არქიტექტორებთან — ნ. პარეშუოვსა და ლ. ვირთანოვთან ერთად. კვარცხლბეკი ამ მონუმენტისა ეწყარებოდა რთულ გეომეტრიულ სქემასა და შემკული იყო ფრთხით).

იმავე 1960 წელს ვ. თოფურიძემ მონაწილეობს მოსკოვში ლენინის მთებისათვის განკუთვნილ ვ. ი. ლენინის ძეგლის კონკურსში. 1965-

67 წლებში ვ. თოფურიძის მიერ შექმნილი ლენინის მონუმენტი აღმართულ იქნა მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხნის ეზოში.

ვ. თოფურიძე, ლენინის მხატვრული სახის შექმნისას, აღწევს პიროვნების ფართო და მხატვრულ დახასიათებას. მოქანდაკე წინა პლანზე აყენებს ლენინს — ტრიბუნს. მისი ლენინი ამაყი, გაბედული, პოლემიკის ცეცხლით არის შექმნილი.

მოდარეი სახეობის პლასტიკა და ფართო ესკიზი, ლენინს წარმოგიდგენს მგზნებარე ტრიბუნის სახით. მოქანდაკეს კარგად აქვს დამუშავებული სახის ნაკეთობი. მეტად პლასტიკურია მთლიანი სახის შექმედება.

უსათუოდ ცალკე აღნიშნის ღირსია ვ. თოფურიძის ვ. ი. ლენინის მონუმენტი, შექმნილი ქ. კენისბერგისთვის (1964-65 წლებში). სახალხო მოქანდაკეს ვ. თოფურიძის მხატვრულ ლენინიანაში შეტანილი აქვს მეტად მნიშვნელოვანი წვლილი, მისი ღვაწლია, რომ ქართულმა ლენინიანამ თავის შესაძლებლობა ქ. კენისბერგშიაც კი აჩვენა.

ე. ი. ლენინი — ტრიბუნა, ოლონდ უფრო ეპიკურ ასპექტში და, შეიძლება ითქვას, ძალზე სახასიათო პლასტიკური გააზრებით, წარმოგიდგენს სახალხო მოქანდაკე შოთა შიქიატაძე. მან შექმნა მონუმენტი ვ. ლენინისა, რომელიც აღმართულია ქ. მახარაძეში (1955 წელ). ბრინჯაო, არქიტექტორი ალ. საბაშვილი). იგი პლასტიკური ლენინიანის ერთ-ერთ საყურადღებო და საინტერესო მიღწევად უნდა იქნას მიჩნეული. შიქიატაძესვე ეკუთვნის ლენინის მონუმენტები — აღმართული ვიბორგში, ქ. ნიკოლაევსა და ქ. გომელში.

შ. შიქიატაძეს ლენინის მონუმენტის პლასტიკური გააზრებაში მეტად საინტერესო, სხვა მოქანდაკეთაგან განსხვავებული, მხატვრული თვალსაზრისი შეაქვს. მისი ლენინი უღრესად დახვეწილი და პერიოდულია.

ე. ი. ლენინის მხატვრული ასახვის საქმეში საყურადღებო წვლილი აქვს შეტანილი სახალხო მოქანდაკეს, სახელმწიფო პრემიის ლურჯატს ქ. მერაბიშვილს. მისი ვ. ი. ლენინის მონუმენტი აღმართულია ქუთაისისა (1950 წ., ქვა) და თბილისში (1960 წ.).

კ. მერაბიშვილის მონუმენტი, აღმართულია ქუთაისში სადგურის მოედანზე (არქიტექტორები: შ. ცხაკია და შ. რომიძე), გაცუთებულია იმ ესკიზის მიხედვით, რომელიც მოქანდაკემ წერ კიდევ 1932 წელს შექმნა. ლენინის ეს მონუმენტი დიდი ანსამბლობით არის დახასიათებული. მსმტაბურობა მიგნებულია შესანიშნავად, ფიგურის სილუეტს ქმნის ერთი უწყვეტი და გამომსახველი ნახატი. ფიგურის მოცულობითი ფორმები დამუშავებულია მონუმენტის შესატყვისი გაგებით.

საბჭოთა თაობის უფროს მოქანდაკეთა შორის ქართული ლენინიანის შექმნაზე ნაყოფიერად მუშაობს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სილოვან კაკაბაძე. ს. კაკაბაძის ეკუთვნის ფიგურა „ვ. ი. ლენინი — მოსწავლე“, რომელიც საქართველოში „იმე-ლის“ ფილიალშია დაცული.

1968 წელს უკრაინაში, ზერსონის ოლქში (ივანოვსკის რაიონში) აღმართეს ს. კაკაბაძის ვ. ი. ლენინის მონუმენტი, ვ. ი. ლენინის ფიგურა აქ ნატურალური ზომისაა და მარმარილოთაა გამოკვეთილი. იგი მიძღვნილია ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

ს. კაკაბაძეს ეკუთვნის აგრეთვე ორფიგურია-ნი კომპოზიცია — „ვ. ი. ლენინი და სერგო ორჭონიკიძე“ (1958 წ.). აღნიშნული კომპოზიცია სერგო ორჭონიკიძის მშობლიურ სოფელ ღორეშაშია დამდგომლი.

სამშელო ომის შემდგომ ქართულ მხატვრობაში ახალი და ნიჭიერი თაობა მოვიდა.

ვ. ი. ლენინის თემს, როგორც სამშელო ომის წლებში, ისე მომდევნო პერიოდში და დღესაც, ქართულ ოსტატთა შემოქმედებაში საპატიო ადგილი ჰქონდა და აქვს დამოწმადი.

1960 წელს ქართველმა მხატვრებმა და საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნეს ლენინის საუბიძლო დღეები. ქართველმა მხატვრებმა მოაწყვეს ძალზე საინტერესო გამოფენა, მიძღვნილი ლენინისადმი. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პლასტიკური ლენინიანის სავაიძო ვრცელი გალერეა.

დიდი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში ქართველმა ფერმწერლებმა, მოქანდაკეებმა და გრაფიკოსებმა. დიდი წარმატებებით აღინიშნა ლენინა ქართულ თეატრსა და კინოსა.

ვ. ი. ლენინის ძეგლი დაიდგა ქ. სოსეში (დამსახურებული მხატვრის — თ. ასათიანისა და ა. გორგაძისა, არქიტექტორი შ. ცინცაძე, 1957 წ.), მონუმენტი აღმართულია ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე და ქალაქის ერთი საუკეთესო სამკურთაგანია. იგი ბრწყინვალედაა ჩაწერილი გარემოში და უდავოდ მონუმენტური და გრანდიოზულია.

ლენინიანისადმი მიძღვნილ მხატვრულ-კამერული პორტრეტებიდან ძალზე საინტერესოდ და პლასტიკურად არის ნაქანდაკევი დამსახურებული მხატვრის, აწ გარდაცვლილი ნიკო ქეთათელაძის ვ. ი. ლენინის პორტრეტი (მარმარილო, ნატურალური ზომისა, 1945-46 წწ.), რომელიც საუბიძლო დღეებში ჩვენმა რესპუბლიკამ სარქტად მიუძღვნა საბჭოთა აზერბაიჯანს. ამ პორტრეტის გარეგნული ფერი ლენინს წარმოგვიდგენს ოქტომბრის რევოლუციის პერიოდის მიხედვით.

მონუმენტურ ლენინიანაში საინტერესო ფერ-ებლები აქვს ჩაწერილი ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დეტრ ჩხვიძეს. მისი ლენინი

ნის მონუმენტი, აღმართული პოლონეთში (1958 წ.), ქართული მონუმენტური ქანდაკების უკეთეს მხარეთა დემონსტრაციას წარმოადგენს. ფიგურული კომპოზიციის განუწყობიანა მონუმენტში, თუ სახის იერის მხატვრული გადმოცემით, ყურადღებას იქცევს ზ. კრაწაშვილის ლენინის ფიგურა, შესრულებული ქ. თბილისის ლენინის რაიონისათვის.

თავის წვლილი შეაქვს ლენინიანაში მოქანდაკე ალექსანდრე ეორდანიასაც. ა. ეორდანიას ავტორია ლენინის რამდენიმე მცირე ზომის პორტრეტის და ენერგიული, მიხანსწრაფული მოძრაობით აღბეჭდილი ვ. ლენინის ფიგურისა.

ვ. ი. ლენინის სახის მხატვრული გაზრებისადმი აქვს მიძღვნილი დამსახურებულ მოქანდაკეს რომან შეროზიას ფიგურული კომპოზიცია, რომელშიაც იგი ცდლობს ლენინის ხასიათის პლასტიკურ გახსნას.

უდავოდ სახასიათო ფიგურა შექმნა ლენინისა ახალგაზრდა მოქანდაკემ ბეჭარ ყახიშვილმა.

ქართველმა მოქანდაკეებმა: ფ. შაჩხველაშვილმა, შ. ზაქტაშვილმა, თ. ნაცელიშვილმა, მანგაიძემ, კ. კენაქემ, დ. ურუშაძემ და შ. დოლიძემ, მ. კ. მერაბიშვილმა, დამსახურებულმა მხატვარმა ბ. დოლობერიძემ, დამსახურებულმა მხატვარმა მ. ყიფიანმა, კ. შილოყაძემ, დამსახურებულმა მხატვარმა თ. ლენიაშვილმა, დამსახურებულმა მხატვარმა ლ. ცომაიამ, ი. ხუციშვილმა, რ. სანაძემ, მ. მელიქიშვილმა, ვ. მღრრამემ, გ. შალაშვილიძემ უდავოდ სუფრადღებო წვლილი შეიტანეს ქართულ პლასტიკურ ლენინიანაში.

ქართველმა მოქანდაკეებმა თავიანთი ნაწარმოებებით ასვენეს არა მარტო დიდი ცოდნა სანამატებისა და მოვლენების, მხატვრული დამსახურების ხერხები და პლასტიკურად მეტყველო ბერძენის ოსტატობა, არამედ შესაძლებლობანი და დონე ქართული საქანდაკო ხელოვნებისა.

ქართული საქანდაკო ლენინიანა ვრთერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირში, მაგრამ ლენინის სახის ასახვისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ჩვენი ხალხი ელის ქართულ ქანდაკებაში ამ დიდი აღმზანის სახის კიდევ უფრო სრულყოფილ მხატვრულ-პლასტიკურ ამეცხველებს.

ვ. ი. ლენინის თემამ მეტიდ საინტერესო ასახვა პოვა ქართულ ფერწერაშიც. ეს სახე მთავაგონებდა და დღესაც მთავაგონებს ქართველ ფერმწერლებს.

ქართულ მხატვრობაში ლენინიანისთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიის მხატვრული ასახვის საკითხებიც.

ლენინიანისთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ მხატვრობაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდის განმტყევა და განვითარება.

ქართულ ფერწერულ ლენინიანაში ფართოდ არის წარმოდგენილი პორტრეტი და ისტორიულ-რეალობითი ეპიკური, ფართოდ არის ასახული ცხოვრებისეული სინამდვილე, რეალობითი ტენდენციები.

ქართულ სახეობის მატრიანში ლენინიანას საინტერესო ფერწერული ნაწარმოები მიუძღვნა სახალხო მხატვარმა, აკადემიკოსმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა უ. მ. ჭაფარიძემ.

უ. ჭაფარიძის ლენინის პორტრეტები და კომპოზიციები — ა. ე. ლენინი 1917 წლის აპრილის კონფერენციაზე* საბჭოთა ფერწერის უდავოდ საინტერესო და საყურადღებო შენაძენს წარმოადგენს. პორტრეტებსა და კომპოზიციებში რეალისტური ფერწერისათვის დამახასიათებელი კოლორითა და კომპოზიციის პლასტიკური გააზრებით, თითქმის ყოველთვის, მხატვარი ლენინიანის ფერცლებს სადა, მაგრამ მტკიცე და შემოქმედებითი ხასიათის სურათებით ავსებს.

ვ. ი. ლენინის თემასვე მიუძღვნა ღრმად გააზრებული ფერწერული კომპოზიციები სახალხო მხატვარმა ვანო ვეფხვაძემ. ყურადღებას იქცევს კომუნისტური პარტიის ისტორიისადმი მიძღვნილი მისი კომპოზიციები, დაცული საქართველოს „იმელის“ ფილალის ფონდებში — ა. ე. ლენინის პორტრეტი*, კომპოზიციები ა. ე. ლენინის შეხვედრა ი. ბ. სტალინთან ტამარ-ფორსში*, ა. ე. ლენინი თავის სამუშაო ოთახში*, პორტრეტული კომპოზიციები — ა. ე. ლენინი ოქტომბერში*, რომელშიაც მხატვარი აჩვენებს ბელადის მასებთან კავშირს.

საყურადღებო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს „იმელში“ დაცული პორტრეტი ლენინისა, შესრულებული დამახატურებული მხატვრის ა. ვიგორაშვილის მიერ.

„იმელის“ ფილალშია დაცული სახალხო მხატვრის პროფესორ კ. სანაძის მიერ ლენინისადმი მიძღვნილი, ორიგინალურად გადაწყვეტილი ფერწერული კომპოზიციები. ამ სურათებში მხატვარი ცდილობს შეიტანოს რევოლუციური რომანტიკის სული.

სანაძის მიერ შექმნილი ლენინის ერთი პორტრეტი, როგორც საუკეთესო, ჩვენმა რესპუბლიკამ მოჰყვა სომხეთს მიუძღვნა, 40 წლის იუბილეს დღეებში.

სახალხო მხატვარს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს მ. გუდიაშვილს ეკუთვნის სურათი „ლენინის დღეები საქართველოში“.

მხატვრობაში კარგად არის ცნობილი თემა, რომლითაც ლენინი სმოლნიან არის დაკავშირებული. ასევე ცნობილია ლიტერატურიდან ისიც, თუ ვ. ი. ლენინი რაოდენ მოხიბლული იყო მუსიკით და რა კარგად ერკვეოდა ამ დარგში. სწორედ ამ თემებისადმი არის მიძღვნილი სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დამახატურებული მხატვრის ა. ი. ვეფ-

ხეაძის ერთი სურათი: „ვ. ი. ლენინი იმემის მუსიკას“ (დაცულია „იმელში“). საყურადღებოა, რომ მხატვარმა ვეფხვაძემ „იმელის“ ფილალში ეს კომპოზიციები მხატვრობისა და სატექნიკურ გეგმებზე და მოღვაწეობისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, მასვე ეკუთვნის სურათი ა. ე. ლენინი სმოლნიან.

ვ. ი. ლენინის სახის მხატვრულ წარმოქმნას მიუძღვნება ტარეელ ბარბაძის „პასიონატი“, იგი დაცულია „იმელის“ საქართველოს ფილალში და ბრწყინვალედ გამოხატავს კლასიკური მუსიკისადმი ლენინის დამოკიდებულებას.

თავის დროზე, პირველსავე გამოფენაზე მიქცია ყურადღება ხელოვნების დამახატურებული მოღვაწის, პროფესორ ვ. ჭაშის მიერ შექმნილი ფიგურულმა კომპოზიციამ — ვ. ი. ლენინის პორტრეტი, რომელშიაც მხატვარმა შემოქმედებითად, თვალნათლევ წარმოგვიდგინა დიდი ბეღლი.

უფროსი თაობის მხატვრებმა ლენინის თემას აზარათი ნაწარმოები მიუძღვნეს ასეთებია — ხელოვნების დამახატურებული მოღვაწის პეტრე ბლოტიკინის სურათები: ა. ე. ლენინი სიმუშაო ოთახში* (1963 წ.), ა. ე. ლენინი და ი. ბ. სტალინი გორაკში* (1963 წ.), ა. ე. ლენინი წიგნით ხელში, კარადასთან* (1949 წ.). რომლებიც როგორც კომპოზიციური გააზრების, ასევე ფერწერულ-ფსიქოლოგიური დახასიათება-გააზრების მხრივაც საეტაპო სურათებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ცნობილ ქართველ მხატვარს ა. მ. თოძის ეკუთვნის მეტად საინტერესო კომპოზიციები, „ილინის ნათურა“, შესრულებული 1927 წელს, აღსანიშნავია, რომ ამ მხატვარი ლენინის გამოსახისას მეტაბოლურ ფორმას იმყარება ელექტრონათურის ისე წარმოადგენს, როგორც ბელადის ხსოვნის ჩაქრობელ ნათურას.

ვ. ი. ლენინის მხატვრული სახის საინტერესო ინტერპრეტაციას იძლევა თავის სურათში — ა. ე. ლენინი პირდაპირ მივთვლთან* — ხელოვნების დამახატურებული მოღვაწე კ. ფ. კაკანაძე.

ქართველი საბჭოთა ფერწერების უფროსი თაობიდან ლენინიანაზე წარმატებით მუშაობდნენ აწ გაზრდილი მხატვრები: შალვა ბერიტაშვილი, რომელმაც ოცდაათიან წლებში შექმნა კომპოზიციური პორტრეტი — ა. ე. ლენინი გორაკში*, და ვასილ კროტკოვი, რომელსაც ეკუთვნის 1936 წელს შესრულებული ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

კარგად არის ცნობილი ლენინის „გოგორის გეგმა“. სწორედ ამ თემას მიუძღვნა სურათი დამახატურებულმა მხატვარმა ვალენტინ შერპალოვმა. მისი კომპოზიციები — „რუსეთს სინათლის შექვი მოეფინება“ (1960 წ.) ლენინს ახასია-

თებს როგორც გატაცებულსა და თავდადებულ მოღვაწეს, დიდ ენთუზიასტს.

ლენინიანში თავისი წვლილი შეაქვთ მხატვარ დამირტი ვოლგინს — სურათი „ვ. ი. ლენინის რსდმპ I კონფერენციაზე ტამარფორსში“ (1960 წ.) და დამსახურებულ მხატვარს სოკრატ კირაკოზოვს — სურათებით: „ვ. ი. ლენინი ბავშვებთან გორკოში“ (1960 წ.) და „ვ. ი. ლენინი ესაუბრება ფ. მახარაძეს საქართველოში გამგზავრების წინ, 1921 წელს“.

ჩვენს მიერ ზემოდასახელებული სურათები დაეუღია „იმელის“ საქართველოს ფილიალის ფონდებში, ან გამოფენაზეა წამოდგენილი. „იმელში“ გამოფენილი ასევე დამსახურებული მხატვრის ე. მეშხარიაშვილის პორტრეტული კომპოზიცია ლენინისა კრემლის ფონზე.

ჯ. ხუნდამეს ეკუთვნის სურათი „ოქტომბრის დღეები — ზამთრის სასახლე“. ესაა მრავალფეროვანი კომპოზიცია, სასახლის საკმაოდ რთული შინაგანი არქიტექტურული ხედითა და მასების მოძრაობით. კიბის გამოყენება და ცენტრალური ფერადი ლაქა, მხატვარს საშუალებას აძლევს სურათის მთავარი აზრის წინ წამოწვევას, მხატვრული დახასიათებისა.

მომდევნო დროში საქართველოს „იმელის“ ფილიალისათვის სურათს ქმნის დამსახურებული მხატვარი რ. კეკელიძე, მისი კომპოზიცია ვანობატაეს „ვ. ი. ლენინის გამოსვლას რსდმპ მეორე ყრილობაზე“. კომპოზიციაში აღდგენილია მთლიანად ინტერიერის ისტორიული სახე.

ლენინის პორტრეტული გამოსახულება აქვს შექმნილი მხატვარს ვ. ტოპოტაძეს. ნ. აბესაძეს ეკუთვნის კომპოზიცია — „ვ. ი. ლენინი და ვ. კ. ორჯონიკიძე რაზლივი“.

„იმელის“ საქართველოს ფილიალსა და საქართველოს სურათების გალერეაში დაეუღია ბეჟინსკისა და თეთრაშვილის ლენინისადმი მიძღვნილი ტილოები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკანასკნელ ხანებში სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლურჯატის რ. სტურუას მიერ შესრულებული კომპოზიცია „იმელისათვის“, მიძღვნილი ლენინური იდეებისათვის ბრძოლასა და მისი გამარჯვების ზეიმისადმი.

რ. ხტურუას მიერ შესრულებული ეს მონუმენტური მონატელობა, ერთგვარად განაზოგადებს კომპოზიციას და ნახატის შესრულებით თუ ფერადების დიდი ელერადობით მას შესანიშნავად წარმოაკვიდგენს.

რ. ხტურუას ეს დეკორატიული ფრიზი მონუმენტური ფერწერის კარგი ნიმუშია და დეტალების მეტადორული გააზრებითაა დახასიათებული.

როგორც აღინიშნული ვაქონდა, ქართული მხატვრული ლენინიანის შექმნაში გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ქართველ მხატვართა

ყველა თაობას, ამ მხრივ ყურადღებას იქცევენ უდავოდ ნიჭიერი მხატვრის ვ. გულოვანის რეალისტური ოსტატობით დახასიათებული კომპოზიციები — „ვ. ი. ლენინი რევოლუციის წინა დღეებში“ (1966 წ.) და „ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუშჩევაი რაზლივი“ (1958 წ.).

კომპოზიცია „ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუშჩევაი რაზლივი“ ნაჩვენები იყო მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადანზე, სადაც სურათმა მაღალი შეფასება მიიღო. იგი შემდეგში წარმოდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენაზედაც. სურათში ჩაწერილი მონუმენტური ფიგურები, მათი გამოსახვისათვის გამოყენებული რეალისტური მხატვრობის საშუალებანი და გვირგვინი, აწეული ტონი, ამ სურათებს დიდი ეპოპის თვისებებ, მხატვრულ ფერცლებად აქცევენ.

მრაველ სურათში კოლოსალური ფიგურა ლენინისა და ქვეაქებულისათვის გაშვებული ცა, ამ კომპოზიციას ადავსებენ დიდი გვირგვინი რომანტიზმით. მხატვარი ამ სურათში ზუსტად მისდევს ემელიანოვის ცნობილ მოგონებებს და ისტორიულ დიდ ამბებს მხატვრული სიმართლით წარმოსახული რომანტიკული ელემენტით მოსავს. გვირგვინი, შეუბოვარი, მოქმედი და მოძრაი, ცნოვრებში ღრმად ჩახედული — ასეთია, გულოვანის დახასიათებით, დიდი ბეღალი.

ვ. ი. ლენინის პიროვნებისა და ცხოვრების ასახვის საქმეში თვალსაჩინო როლი შეიძლება ქართველ მხატვარ-გრაფიკოსებს. აქ განვიხილოთ უნდა მოიხსენიოთ ცნობილი ქართველი მხატვარი ი. გამრეკელი, რომელმაც 1924 წელს შექმნა ვ. ი. ლენინის გრაფიკული პორტრეტი.

ქართულ გრაფიკაში, გრაფიკულ ლენინიანში განსაკუთრებით უნდა მოიხსენიოთ აწ გარდაცვლილი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ე. ქუთათელაძე.

დავით ქუთათელაძეს ქართული დაზგური გრაფიკის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი, იგი თავის დროზე ბევრს შეშობდა ლითოგრაფიასა და ოფორტში. სწორედ მას ეკუთვნის დიდი ზომის ოფორტები, მიძღვნილი ლენინისადმი.

დავით ქუთათელაძე 1940 წელს ქმნის დიდი ზომის ოფორტს — „ს. ორჯონიკიძე ლენინთან რაზლივი“, მასვე ეკუთვნის „ვ. ი. ლენინი და ა. ჰ. სტალინი სმოლნში“ (1942), „ვ. ი. ლენინის პორტრეტი“ (1956 წ., ორი ვარიანტი) და „ვ. ი. ლენინი ბავშვებში“.

დ. ქუთათელაძის კომპოზიციები მეტად საინტერესო ნიმუშია მასალაში შესრულებული ქართული გრაფიკისა.

საყურადღებო ლითოგრაფიული პორტრეტი აქვს შექმნილი ვ. ი. ლენინისა სახალხო მხატვარს, აკადემიკოს უ. ჯაფარიძეს.

გრაფიკულ ლენინიანში უთუოდ უნდა იქნას მოხსენებული ნ. ჩერნიშოვის ლითოგრაფიუ-

რები: „ლენინის ძეგლი ქ. თბილისში“ (1967 წ.) და „ლენინის ძეგლი ფინეთის ვოგზალთან“ (1967 წ.).

ვ. ი. ლენინის ორი საყურადღებო გრაფიკული პორტრეტი აქვს შექმნილი სახალხო მხატვარს ე. სანაძეს.

დამსახურებული მხატვარი ლ. მალაზონია ლენინიანას გამოეხმურა სურათით — „ვ. ი. ლენინის სახელობის პარკი ქ. მახარაძეში“ (1960 წ.)

ლენინის თემის მიძღვნილი ლითოგრაფიული კომპოზიცია „ვ. ი. ლენინი და მ. გორკი“ (1960 წ.). ახალგაზრდა მხატვარმა შ. თელიამ, რეი ასახეს ორი დიდი ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებას. მასვე ეკუთვნის ლითოგრაფია ლენინის პორტრეტული გამოსახულებით (1960 წ.).

შეტად თავისებურია აკვარელით შესრულებული მ. ვარდიშვილის მიერ ე. ი. ლენინის პორტრეტი. ამ პორტრეტში მოცემული დახასიათება ძალზე ორიგინალურია და მხატვრული აზრის ხილვის ახალ ასპექტს ემყარება.

ოფორტში აქვს შესრულებული ლენინისადმი მიძღვნილი თემა მხატვარ ქალს ე. თელაშვილს, მისი კომპოზიციის თემაა „ვ. ი. ლენინის მონუმენტი ლენინის სახელობის თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ“, (1959 წ.).

1966 წელს, დაკვეთით, ლითოგრაფიული წესით რეპროდუქციებისათვის ლენინის საინტერესო პორტრეტს ჰქმნის დამსახურებული მხატვარი ა. ქლენტი.

ამაზე უფრო ადრე, 1960 წელს გრაფიკული პორტრეტი შექმნა დამსახურებულმა მხატვარმა ზ. ლევაიამ, მან ე. ი. ლენინის პლასტიკური დახასიათების ამოცანას კარგად შეუღწა კომპოზიციით.

ვ. ი. ლენინის ბავშვობას უძღვნა პორტრეტული კომპოზიცია მხატვარმა ა. ჩხაიძემ.

ქართული სახვითი ლენინიანის საყურადღებო ფურცლებს შეადგენს ქართული თეატრალური კორპორაციული ფერწერა. ქართული თეატრის

მხატვრებს დიდი ღვაწლი აქვთ გაწეული ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ თეატრალურ და კინოდადგენების გაფორმებაზე.

ქართველ მხატვართა მიერ გაფორმებული, ლენინისადმი მიძღვნილი თეატრალური დადგმები სამართლიანად უხვევს სახელს ქართულ მხატვრობას, მაგრამ ამ შემთხვევაში, მართოდ დადგმული პიესების ავტორთა და მათ დამდგმელთა ჩამოთვლაეც კი დიდად გასცდებოდა ამ ნარკვევის ისტორიული მიმოხილვის ამოცანებსა და ფარგლებს.

ამიტომაც ჩვენ აქ თეატრისა და კინოს მხატვრების დამსახურებისა და ღვაწლის საერთო აღნიშვნით ვმყოფილდებით.

ათეული წლების მანძილზე, ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა იყო და დღესაც არის როგორც, საერთოდ, საბჭოთა, ისე, კერძოდ, ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა შთაგონების დაუშრეტელი წყარო.

ქართულმა სახვითმა ლენინიანამ საბჭოთა სახვით ხელოვნებას მისცა და შთააგონა სოციალისტური რეალიზმისათვის ბრძოლისა და ეკონომიკის უნარი, ქართულმა ლენინიანამ, ქართული სახვითი ხელოვნების დარგების განუზრევი ზრდა და მისი ეანართა სიმდიდრე უზრუნველყო.

ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა ქართული სახვითი ხელოვნებისათვის არა მარტო დაუშრეტელი წყაროა, არამედ მისი მრავალფეროვნებისა და წინსვლის საფუძველიც.

ქართული სახვითი ხელოვნების დღევანდელი დღე, გვაფიქრებინებს, რომ დიად საიუბილეო თარიღს ქართული მხატვრები ღირსეულად შეხვდებიან და, ქართულ ლენინიანაში, ახალ ფურცლებს ჩასწერენ, როგორც ქანდაკებისა და ფერწერის, ისე გრაფიკის დარგში, რითაც ქართულ საბჭოთა სახვით ხელოვნებას ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანენ.

გიორგი ბაქრაძე

3. 0. ლენინი იმპერიალიზმის ექსპლოატატორული და აბრმისული გუნების შესახებ

მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების ერთ-ერთი მეტად მწვავე და საჭირობოროტო პრობლემა თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების დარაზმვაა. სწორედ ამ აქტიულოდ, სასოციალლო და კარდინალურ საკითხს მივყვანა კომუნისტური და მეშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი, რომელიც გასულ წლის ივნისში, გაიმართა მოსკოვში.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე იმპერიალიზმის მზარდი აგრესიული პოლიტიკის შედეგად სულ უფრო და უფრო იზრდება ახალი ომის საფრთხე. თუმცა რევოლუციური და პროგრესული ძალები იზრდება, იმპერიალიზმი ჯერ ისევ განავრობს მრავალი ხალხის ექსპლოატაციასა და ჩაგვრას. იგი კვლავ ემუქრება მშვიდობას, ამყვავებს საერთაშორისო დაძაბულობას, განუწყვეტლოე აძლიერებს გამაღებულ შეიარაღებას. იმპერიალიზმი ცდილობს მოახლოებული დაღუბვისაგან თავი გადაიჩინოს ომის საშუალებით, რისთვისაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმართავს შეიარაღებულ თავდასხმებსა და პროვოკაციებს, უდანაშაულო მშრომელი ხალხის ხოცვაჟლეტას, იმპერიალისტო-აგრესორები უოველგვარ საშუალებებს იყენებენ სოციალიზმის პოზიციების შესასუსტებლად. კაბიტალისტურ ქვეყნებში მშრომელი მასების ბრძოლის ჩახახშობად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად. ისინი ცდილობენ გამოძებნონ ახალ-ახალი შესაძლებლობა იმისათვის, რათა ძირი გამოუთხარონ სოციალისტურ წყობილებას და შით გაახანგრძლივონ და განამტკიცონ კაბიტალიზმის ბატონობა. იმპერიალიზმი სულ უფრო აქტიურებს სამხედრო ბლოკებს, სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აძლი-

ერებს პოლიტიკურ დივერსიებსა და იდეოლოგიურ ბრძოლას. მართალია, იმპერიალიზმს დღეს არ ძალუძს დაიბრუნოს დაკარგული ძატორიული ინიციატივა, მაგრამ ის ჯერ კიდევ მინც რჩება სოციალიზმისათვის უაღრესად საშიშ მოწინააღმდეგედ.

თანამედროვე იმპერიალიზმის ამ ვერაგულ მისწრაფებათა ჩასაფრშავად და ასალავმავად კომუნისტური და მეშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირმა 1969 წლის 17 ივნისს მიიღო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვე საერთაშორისო ვითარება და ჩამოყალიბებულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები. ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში ნათლად არის გაშუქებული კომუნისტური და მეშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობის პრობლემები. ასახულია მომმე პარტიების საერთო პოზიციები თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და შემუშავებულია მსოფლიო იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი მოქმედების პროგრამა.

უიკველია, რომ მოსკოვის ამ თათბირის შედეგები და გადაწყვეტილებები, სადაც განზოგადებულია მთელი კომუნისტური მოძრაობის გამოცდილება, ხელს შეუწყობს საერთაშორისო კომუნისტური და მეშათა მოძრაობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას. იგი უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში, მსოფლიო ბრალუტარიატის დარაზმვაში და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფასა და შენარჩუნებაში. ამის გამო კომუნისტური და მეშათა პარ-

ტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1969 წლის 26 ივნისის დადგენილებაში საყვებით სწორად არის აღნიშნული: „თათბირი უდიდეს გავლენას მოახდენს იმაზე, რომ კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს მთელი დემოკრატიული, პროგრესული ძალების მოქმედების უარესად ფართო ერთიანობის საფუძველზე“¹.

იმპერიალიზმის ექსპლუატატორული, აგრესიული და რეაქციული ბუნების ყოველმხრივი დახასიათება მოცემულია მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის ნაშრომებში, ამ შრომებში გამოვლინებული „რეაქციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლის შთავრების დაუშრეტელ წყაროს“².

ვ. ი. ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის, ღრმა მცენებრული ანალიზი, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მის შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის კლასიკური წიგნი — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ და იგი დღესაც ინარჩუნებს მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, ამ ნაშრომში და აგრეთვე პირველი მსოფლიო ომის წლებში დაწერილ ნაშრომებში („უერთობის შეერთებული შტატების ლოუნგვის შესახებ“, „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ და სხვ.) ლენინმა შექმნა მოძღვრება იმპერიალიზმის შესახებ, ჩამოაყალიბა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია. „იმპერიალიზმის ლენინური თეორია, — აღნიშნავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — გვეხმარება გავიგოთ ის კონკრეტული თავისებურებებიც, რომლებითაც გამოირჩევა იმპერიალიზმი განვითარების თანამედროვე ეტაპზე“³.

იმპერიალიზმის ანალიზს ვ. ი. ლენინი იწვევს წარმოების კონცენტრაციისა და მონოპოლიების გამოყვლივით, იგი აღნიშნავს: „კონცენტრაციამ, მისი განვითარების განსაზღვრულ

საფეხურზე, თავისთავად მიყვავარს, შეიძლება ითქვას, პირდაპირ მონოპოლიზმს“⁴.

თუ მონოპოლიტიკაში ცენტრალიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება თავისუფალი კონცენტრაცია იყო, კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმის მთავარი განმსაზღვრებელი ნიშანი თავისუფალი კონცენტრაციის მონოპოლიების ბატონობით შეცვლილა. იმპერიალიზმის ეკონომიურ არსად ლენინს სწორედ ეს მიანიჩა, იგი წერს: იმპერიალიზმი „არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხური, სახელდობრ ისეთი, როდესაც წარმოება იმდენად მსხვილი და უმსხვილესი გამხდარა, რომ ნაწარმების თავისუფლებას მონოპოლია სცვლის. ამასია იმპერიალიზმის ეკონომიური არსი“⁵.

იმპერიალიზმის ლენინური თეორიის მიხედვით, თანამედროვე კაპიტალიზმის უღრმესი და უმნიშვნელოვანესი ასპექტით მხარს მონოპოლიების ბატონობა. მონოპოლიის კი მსხვილ და უმსხვილეს საწარმოებში წარმოების თავმოყრა ანუ კონცენტრაცია წარმოშობს, ამ პროცესს ლენინი იმდენად დიდ როლს ანიჭებს, რომ ამის შესახებ იგი პირდაპირ მითითებს: „...წარმოების კონცენტრაციის მიერ მონოპოლიის წარმოშობა საზოგადო კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე სტადიის საერთო და იბირიადი კანონია“⁶.

წინააღმდეგ რ, პოლტერდინგისა და სოციალდემოკრატიის სხვა თეორეტიკოსებისა, რომლებიც იმპერიალიზმის შესწავლას იმიოქცივის პროცესის გარყვით იწვევდნენ, ვ. ი. ლენინმა, პირიქით, იმპერიალიზმის განვითარების კანონზომიერებათა გამოკვლევა წარმოების პროცესის შესწავლით დაიწყო, ამის შემდეგ კი განიხილა ბანკების ახალი როლი და გვიჩვენა უმსხვილესი ბანკებისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის მქიდრო კავშირი. ლენინმა ნათლად დაგვანახა თუ როგორ აღმოცენდა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალის ახალი ფორმა — ფინანსური კაპიტალი, ხოლო მის საფუძველზე — ფინანსური ოლიგარქია. იგი გვაძლავს აღნიშნული კაპიტალის სწორ მცენებრულ განსაზღვრას და გვიჩვენებს მის ექსპლუატატორულ ბუნებას, ლენინი ეტება კაპიტალის გატანისა და მისი მნიშვნელობის საკითხს, აშუქებს მსოფლიოს ეკონომიურ დაწყოლებას კაპიტალიზმის კავშირებს შორის, საერთაშორისო მონოპოლიების წარმოშობას და მის როლს თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებაში. ლენინი განიხილავს დიდ სახელმწიფოთა შორის მსოფლიოს ტერიტორიული დანაწილების დამთავრებისა და მისი

¹ სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1969 წლის 26 ივნისის მიღებული დადგენილება, კომუნისტური და მეშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგების შესახებ (ვაზ. „კომუნისტი“, 27 ივნისი, 1969 წ.).

² კომუნისტური და მეშათა პარტიების მსოფლიოს საერთაშორისო თათბირის მიმართვა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ. (ვაზ. „კომუნისტი“, 19 ივნისი 1969 წ.).

³ ლ. ი. ბრეჟნევი, გამოსვლა კომუნისტური და მეშათა პარტიების მსოფლიოს საერთაშორისო თათბირზე 1969 წლის 7 ივნისს (ვაზ. „კომუნისტი“, 8 ივნისი, 1969 წ.).

⁴ ვ. ი. ლენინი, ტ. 22, გვ. 244.

⁵ ვ. ი. ლენინი, ტ. 23, გვ. 42.

⁶ ვ. ი. ლენინი, ტ. 22, გვ. 248.

ხელახლა განაწილებსათვის ბრძოლას. მან გვიჩვენა კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების თავისებურება იმპერიალიზმის პერიოდში და გაარკვია მონოპოლიტრად მბალო მოცემის არსი. იმპერიალიზმი, — წერს ვ. ი. ლენინი, — არის კაპიტალიზმი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბდა მონოპოლიტრად და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, უაღრესი მნიშვნელობა მიიღო კაპიტალის გაცანამ, დაიწყო მსოფლიოს დანაწილება საერთაშორისო ტრესტებს შორის და დამთავრდა დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება უდიდეს კაპიტალიტურ ქვეყნებს შორის I.

როგორც ვხედავთ, ამ განაწილებაში ასახულია იმპერიალიზმის ის ხუთი ძირითადი ეკონომიკური ნიშანი, ლენინმა რომ ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში თანამედროვე კაპიტალიზმის შესწავლის დროს. იმპერიალიზმის ამ მთავარ ნიშნებს შორის მკვიდრო შინაგანი და ყოველშრივი კავშირი არსებობს. ისინი იმყოფებიან ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულებაში და გამოხატავენ იმპერიალიზმის ეპოქის წარმოებით ურთიერთობას. ამასთან, იმპერიალიზმის ყველა ნიშნითაა გადამწყვეტ და განმსაზღვრელ როლს ასრულებს მონოპოლიტრად ბატონობა.

წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია თანამედროვე კაპიტალიტურ ქვეყნებში ახალ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, იგი ამჟამად სახელმწიფო-მონოპოლიტური კაპიტალიზმის საფეხურზე მომდინარეობს, მის ფართო გაყვანა მიეცა. ცხოვრებამ ცხადყო, რომ წჭირია ლენინის დებულება: „იმპერიალიტურ სტადიაში მყოფ კაპიტალიზმს პირდაპირ მიეყვება წარმოების უაღრესად ყოველშრივი განსახარადობისაკენ“¹. ლენინის წინასწარხედვა — წარმოების განსახარადობის გვიანტური პროცესის შესახებ, საწყებით დადასტურა და გაამართლა კაპიტალიზმის განვითარების ახლანდელი ეტაპის მოუღუნებში. მონოპოლიტური კონცენტრაცია მარტო მასშტაბით არა, განვითარების თავისებრიობითაც კი განსახარადობა ძველებური, თავისუფალი კონკურენციის პირობებში არსებული კონცენტრაციისაგან. ამჟამად საქმე გვაქვს წარმოების კონცენტრაციის ნახტომსებურ ზრდასთან.

უახლოესი მასალები მკაფიოდ გვიჩვენებს წარმოების კონცენტრაციის შემდგომ გაძლიერებას და სამრეწველო მონოპოლიტების ძლევამოსილების ზრდას. მაგალითად, თუ 1960 წელს ამერიკის შვერთებულ შტატებში 200 უმსხვილესი სამრეწველო კორპორაციის წილზე მთელი დამმუწავებელი მრეწველობის აქტივების 54,2 პროცენტი მოდიოდა. 1967 წლის ბო-

ლოსათვის მათს განკარგულებაში უკვე მათი აქტივების 58,7 პროცენტი იყო ¹ **სტატისტიკური** თანამედროვე კაპიტალიზმში ² **სახელმწიფო** უშუალო დახმარებით იქმნება და ვითარდება ახალი სამრეწველო კომპლექსები და საერთაშორისო მონოპოლიტური გაერთიანებები, — სუბკორპორაციები და ზემონაპოლიტი. ეკონომიკაში სულ უფრო მეტად იზრდება სახელმწიფო სექტორი, ფართოდ ვრცელდება წარმოების დაპროგრამება, ეკონომიკური ინტეგრაცია და სხვ. ყოველივე ეს მოაწივებს კაპიტალიზმის განვითარების სახელმწიფო-მონოპოლიტური ხასიათის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, თანამედროვე იმპერიალიზმის ერთ-ერთი ახალი ნიშანია. ამ საკითხის გამო თათბირის ძირითად დოკუმენტში ნათქვამია: „თანამედროვე იმპერიალიზმს, რომელიც ცდილობს შეეგუოს ორი სისტემის ბრძოლის პირობებს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნებს, ზოგიერთი ახალი ნიშანი აქვს, მღერდება მისი სახელმწიფო-მონოპოლიტური ხასიათი, სულ უფრო სწირად იყენებენ ისეთ ბერკეტებს, როგორიც არის წარმოებისა და კაპიტალის მონოპოლიტური კონცენტრაციის სტრატეგია სახელმწიფოს მიერ, ერთვდება შემოსავლის სულ უფრო დადი წილის ხელახლა განაწილება, მონოპოლიტრადისათვის სამხედრო შეკვეთების მიცემა, მრეწველობისა და მეცნიერული კვლევის განვითარების პროგრამების დაფინანსება მთავრობის მიერ, ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენა, იმპერიალიტური ინტეგრაციის პოლიტიკა, კაპიტალის გატანის ახალი ფორმები“².

თანამედროვე კაპიტალიზმში, რომლის უმაღლესი ფორმაა სახელმწიფო-მონოპოლიტური კაპიტალიზმი, სახელმწიფო კი არ ბატონობს მონოპოლიტზე, არამედ, პირიქით, მონოპოლიტები — სახელმწიფოზე. ისინი ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატს თავიანთი მიზნებისა და ამოცანების განახარადობისათვის იყენებენ. მათა ერთ-ერთი მთავარი მიზანია მონოპოლიტრად მბალო მოცემის მიღება, რასაც აღწევენ მშრამელი მსახურის ექსპლოატაციის გაძლიერების გზით, წარმოებისა და მიმრეკვეთის სფეროში თავიანთი გაბატონებული მდგომარეობით, კაპიტალის გატანით. არაექვივალენტური გაცვლით, და სხვა საშუალებებით.

კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა —

¹ Акад. Н. Н. Иноземцев, О современном империализме. (Газ. «Правда», 18 июля 1969 г.).

² კომუნისტური და მუშათა პარტიების მსოკოის საერთაშორისო თათბირის ძირითადი დოკუმენტი, მიღებული 1969 წლის 17 ივნისს. (გახ. „კომუნისტი“ 19 ივნისი, 1969 წ.).

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 22, გვ. 335.
² ვ. ი. ლენინი, ტ. 22, გვ. 255.

წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძოკაპიტალისტურ ფორმას შორის, რომელიც გამოხატავს წინააღმდეგობას საწარმოო ძალებსა და კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობებს შორის — თავის გამოვლინებას ნახულობს ბურჟუაზიული საზოგადოების მთავარ კლასობრივ წინააღმდეგობაში — შრომასა და კაპიტალს შორის, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებულ წინააღმდეგობაში. კაპიტალიზმის როგორც ძირითადი ეკონომიური წინააღმდეგობა, ისე მთავარი კლასობრივი წინააღმდეგობა იმპერიალიზმის ეპოქაში უაღრესად გამწვავებულა. „წარმოება, — წერს ლენინი, — საზოგადოებრივი ხდება, მაგრამ მითვისება კერძო რჩება. საზოგადოებრივი საწარმოო საშუალებები ისევ რჩება მცირეოდენ პირთა კერძო საკუთრებად. ფორმალურად აღიარებული თავისუფალი კონკრეტული საერთო ჯარჯობები კვლავ არსებობს, და მცირეკაცობიანი მონოპოლისტების მიერ მთელი დანარჩენი მოსახლეობის ჩაგვრა მაქრ უფრო მძიმე, საგრძნობი, აუტანელი ხდება“¹.

მონოპოლისტ-იმპერიალისტების მიერ ზღვრითა ფართო მასების ეს მძიმე და აუტანელი ჩაგვრა, რაზეც აქ ლენინი ლაპარაკობს, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძოკაპიტალისტურ ფორმას შორის არსებულ წინააღმდეგობიდან, მონოპოლისტური კაპიტალიზმის ექსპლოატორული და აგრესიული ბუნებიდან გამომდინარეობს, მართალია, თანამედროვე კაპიტალიზმი შრომას უდიდესი ოდენობით აერთიანებს და ამით წარმოებს სულ უფრო საზოგადოებრივ ხასიათს ანიჭებს, მაგრამ წარმოების ეს განსაზოგადოება უაღრესად ანტაგონისტური ხასიათს ხორციელდება. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროსაც წარმოების საშუალებები, რომლებითაც უმარავე მეტა მეშობს, ისევ კაპიტალისტებს ეკუთვნის, რითაც ისინი ექსპლოატაციას უწყობენ ათასობით დაქირავებულ მუშებს და ითვლებენ მათ მიერ წარმოებულ შრომის პროდუქტებს.

ამჟამად კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა განვითარების ისეთ მაღალ დონეზეა ასული, რომ წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი მოითხოვს წარმოების საშუალებებზე კაპიტალისტური კერძო საკუთრების მოსპობას და საზოგადოებრივი საკუთრების შექმნას, მაგრამ ეს რომ განხორციელდეს, ამისათვის აუცილებელია სოციალისტური რევოლუციის მოხდენა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში გადავა, დაიწყება სოციალისტური საკუთრებას აღმოცენება და მის შესაბამისად კაპიტალის-

ტური წარმოებითი ურთიერთობა შეიცვლება სოციალისტური ურთიერთობით. მცირეკაცობიანი მონოპოლისტების მიერ მთელი დანარჩენი მოსახლეობის ჩაგვრის გაძლიერებას შესაბამ. ე. ი. ლენინის შეხედულება საქმით დადასტურა თანამედროვე იმპერიალიზმის განვითარებამ მოვლენებში.

თავისუფალი კონკრეტული მონოპოლიებით შეცვლის შედეგად მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა ბატონობა მდგომარეობა მოიპოვა, მაგრამ ვინა, როგორც კაპიტალის განვითარებული ფორმის, ექსპლოატატორული არის არ შეცვლილა. მარქსი წინასწარმეტყველურად აღნიშნავდა: „კაპიტალის ბუნება იგივე რჩება როგორც მის განვითარებულ, ისე განვითარებულ ფორმებში“².

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში წარმოიშვა მშრომელთა ექსპლოატაციის ახალი, უფრო შენობული და მოქნილი მეთოდები, ამასთან უშუალო მწარმოებელთა კლასის ექსპლოატაციის დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ წინათ, ე. ი. მონოპოლისტურად კაპიტალიზმში კაპიტალისტური გამოღობების ძირითადი წყარო საშუალო მოგება იყო, იმპერიალიზმის პერიოდში იგი მონოპოლურად მაღალ მოგებით იცვლება. „მონოპოლია, — წერს ლენინი, — იძლევა ზე მთავებას, ე. ი. ნორმალურზე, მთელ მსოფლიოში არსებულ ზვეულზე კაპიტალისტურ მოგებაზე გადამებულ მოგებას“³.

კაპიტალიზმმა განვითარების იმპერიალიზმის სტადიაზე მთლიანად და საკვებით გამოავლინა თავისი უაზოფიითი მხარეები. აღნიშნულ სტადიაზე კიდევ უფრო მეტობად გამოიყვანა და კაპიტალიზმის ექსპლოატატორული ბუნება. მშრომელები კვლავ იმყოფებიან უმარავეს კაპიტალისტური უღლის ქვეშ. მონოპოლიათა ხელში თავი მოიყვანა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ძალაუფლებამ, რის შედეგადაც იმპერიალიზმის ეპოქაში მეშათა კლასის ექსპლოატაცია არა თუ მცირდება და ისპობა, რასაც ქვედაყვეთ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები, რევიზიონისტები და რევოლუციონისტები, არამედ კიდევ უფრო ძლიერდება.

ე. ი. ლენინმა, რომელმაც პირველმა მიუთითა მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმად გადაზრდის შესაბამ. ამავე დროს აღნიშნა, რომ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში წარმოების მეტი მონოპოლიზაციისა და მეტი გასახელმწიფოების ყველა ღონისძიებას „აუცილებლად თან სდევს მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერება. ჩაგვრის გაძლიერება, ექსპლოატატორი-

¹ ე. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 366.

² ე. ი. ლენინი, ტ. 23, გვ. 143.

სათვის წინააღმდეგობის გაწევის გაძნელება, რეპრესიის და სამხედრო დესპოტიზმის გაძლიერება და ამასთან ერთად გარდაუვლად იწვევს მსხვილი კაპიტალისტების მოგების უზომო ზრდას მოსახლეობის ყველა დანარჩენი ფენის ხარკზე¹.

საბელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების მთელმა მსვლელობამ, თანამედროვე იმპერიალიზმის სამეურნეო ცხოვრების დაქტება ბრწყინვალედ დადასტურა ლენინის მიერ მოცემული კაპიტალიზმის ასეთი დახასიათება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 117 უმსხვილესი კორპორაციის წლიური მოგების ჯამი 16 წლის (1948—1964) განმავლობაში 7,9 მილიარდი დოლარიდან 18,8 მილიარდ დოლარამდე ე. ი. ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. იმავე ქვეყანაში მონოპოლიეების მოგება 1939 წლიდან 1964 წლამდე 6,4 მილიარდი დოლარიდან 57,5 მილიარდ დოლარამდე, ე. ი. 9-ჯერ გაიზარდა².

ინგლისში კაპიტალისტების მოგება 26 წლის (1938—1964) განმავლობაში 1 მილიარდ ვირჯსტერლინგიდან 4,5 მილიარდ ვირჯსტერლინგამდე, ე. ი. 4,5-ჯერ გაიზარდა, იაპონიაში 12 წლის (1952—1964) განმავლობაში 5,5-ჯერ, დასავლეთ გერმანიაში 10 წლის (1950—1960 წწ) განმავლობაში 50 სამრეწველო აქციონერულ საზოგადოებათა მოგება 6-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

სკვპ XXIII ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ „1965 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებმა მიიღეს 45 მილიარდი დოლარი წმინდა მოგება, ე. ი. ოთხჯერ მეტი, ვიდრე საშუალოდ წელიწადში მეორე მსოფლიო ომის მანძილზე“³. თუ 1938 წელს ამერიკის მონოპოლიეების მოგება 3,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 1965 წელს იგი 74,6 მილიარდ დოლარამდე, ე. ი. 25-ჯერ გაიზარდა.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის შუა ხანებში ზედმეტა ღირებულების ნორმა 100-150 პროცენტს შეადგენდა, XX საუკუნის შუა პერიოდში კი ამერიკის შეერთებულ შტატებში 397 პროცენტს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 400, ინგლისში — 300, იტალიაში — 245 პროცენტი იყო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები მარტო კაპიტალურ დაბანდობებზე მოგების ვხით აშემადა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნიდან

დაახლოებით 6 მილიარდ დოლარს იღებენ წელიწადში⁴.

ოფიციალური ცნობების მიხედვით, მილიონი ამერიკელი სიღარიბეში ცხოვრობს. როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მწრონიკელი უმუშევრობა სუფევს. წარმოებიდან გაძევებულ მუშათა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება. ამას ხელს უწყობს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რის შედეგად ძალზე სწრაფად გაიზარდა წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ამას კი თავის მხრივ უმუშევრობის ზრდა მოჰყვა. თანამედროვე იმპერიალიზმში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საშაბურში კი არ არის ჩაყენებული, არამედ მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი ხალხის ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მონოპოლიტური მოგების კიდევ უფრო გადიდებისათვის ბრძოლის საშაბურში. როგორც საერთაშორისო თათბირის ძირითად დოკუმენტში აღნიშნული, „...კაპიტალიზმი მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას იყენებს მოგების გასაღებდებლად და მშრომელთა ექსპლოატაციის გასაძლიერებლად“⁵.

ეს ციფრები და მასალები ნათლად ადასტურებენ იმპერიალიზმის ეპოქაში მშრომელი მასების ექსპლოატაციის გაძლიერებისა და მსხვილი კაპიტალიტების მოგების უზომო ზრდას შესახებ ე. ი. ლენინის აზრის სისწორეს.

უყანასკნელი წლების მონაცემები იმას მოწმობს, რომ მუშათა კლასისა და მშრომელთა ფართო მასების „ექსპლოატაცია არასოდეს არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ამჟამად“⁶.

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მიერ მიღებულ მთავარ დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ თანამედროვე იმპერიალიზმში „კაპიტალის-

¹ ე. ი. ლენინი, ტ. 24, გვ. 366.

² Политическая экономия, под общей редакцией Козлова Г. А. Москва. 1967. стр. 82.

³ ლ. ი. ბრეჟნევი, სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკვპ XXIII ყრილობაზე, თბილისი, 1966 წ. გვ. 16-17.

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკვპ XXIII ყრილობაზე, თბილისი, 1966 წ. გვ. 30.

² ძირითადი დოკუმენტი — იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა. — როგორც კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირმა 1969 წლის 17 ივნისს მიიღო. (გაზ. „კომუნისტი“, 19 ივნისი 1969 წ.).

³ ლ. ი. ბრეჟნევი, სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკვპ XXIII ყრილობაზე, თბილისი, 1966 წ. გვ. 16.

ტური ექსპლოატაცია ძლიერდება." ექსპლოატაციის ვაძლიერებს კი მოსდევს შრომისა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის სულ უფრო ვადრმავება, რაც სავაფიციო მოძრაობის ზოლით და განვითარებით გამოიხატება, უკანასკნელ ხანებში ვაფიციები ფართოდ განაღდა საფრანგეთში, იტალიაში და ზოგიერთ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ახლა, როცა პროლეტარიატის უშუალო მოწინააღმდეგეებად მარტო მონოპოლისტური გერთიანებელი კი არ გამოდიან, არამედ თვით ბურჟუაზიული სახელმწიფოც, ასეთ პირობებში, უპირველესად, აუცილებელია როგორც კომუნისტური და მუშათა პარტიების, ისე თვით მუშათა კლასის რაგების კიდევ უფრო შეკავშირება, პროლეტარიატის ისტორიული მინა კაპიტალისტური წყობილების დამხობაა. მის ამ მისიის შესრულება მხოლოდ მოწინავე პარტიის ხელმძღვანელობით შეუძლია. თვით კომუნისტური და მუშათა პარტიების რიგებში მტკიცე ერთიანობისა და დარახმულობის შექმნა ერთ-ერთი მთავარი პირობაა იმისათვის, რომ ამ პარტიებმა წარმატებით გააანაღონ ზრძოლა მუშათა კლასის ისტორიული ამოცანების გასახორციელებლად, კაპიტალისტური ექსპლოატაციის უღლისაგან შრომელთა მსახების გასათავისუფლებლად.

ე. ი. ლენინმა ყოველმხრივ გამოათავიდა იმპერიალიზმის ექსპლოატატორული და მძარცველური ბუნება, ამასთან ერთად, ახსილა მისი აგრესიული და რეაქციული არსი.

აგრესიობა და ომები ყოველთვის იყო კაპიტალიზმის აუცილებელი თანამგზავრი, განსაკუთრებით კი დამახასიათებელია იმპერიალიზმის ეპოქისათვის. მათი საფუძველი თვით კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაშია ჩამარხული.

როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის ერთადერთი განსაზღვრელი მიზანი და მიმძრავებელი მოტივი ზედმეტი ღირებულების წარმოება და მთავისებაა, ამისათვის, რომ კაპიტალისტებმა რაც შეიძლება მეტი ზედმეტი ღირებულება ანუ მოგება მიიღონ, ისინი ყოველგვარ საშუალებას მოიძრავენ: აძლიერებენ შრომელთა ექსპლოატაციას, მოისწრაფიან თავიანთი გავლენის სფეროების გაფართოებისაკენ, ახადებენ ომებს წადლულის წყაროების ზელში ჩასაგდებად და ახალ-ახალი ბაზრების დასაპრობად, ახდენენ დადარწმუნებულ მსოფლიოს ხელახლა გადანაწილებას და სხვ. კაპიტალისტური მონოპოლიები თავიანთი ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ახადებენ ომებს, ცეცხლითა და მახვილით იპყრობენ კოლონიებს და ეწევიან მათ ძარცვის, სწორედ ეს არის ომების ეკონომიური საფუძველი საერთოდ კაპიტალიზმის დროს და განსაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში.

„ომი როდია შემთხვევითი რამ, — წერს ლენინი, — როდია „ცოდება“, როგორც შექმნილია ქრისტიანი ხეცები... აქამდე ყოველთვის საფუძველია კაპიტალიზმისა, ისევე კანონიერი ფორმაა კაპიტალისტური ცხოვრება, როგორც შვედობიანობა“.

სწორედ იმპერიალიზმის მიუძღვის ბრალი როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის გაანაღებაში. პირველმა მსოფლიო ომმა, რომელიც უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობათა მკვეთრი გამწვავების შედეგი იყო, რაც, თავისმხრივ, გამოიწვინარეობდა იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების კანონის მოქმედებიდან, იმსხვერპლა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და მსოფლიო უმარავი მატერიალური და კულტურული სიმდიდრე. კიდევ უფრო გამანადგურებელი და ბარბაროსული იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც წამოიწყო ფაშისტურმა გერმანიამ.

ამჟამად საერთაშორისო იმპერიალიზმი, აგრესიის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მეთაურობით, ეზზადება ახალი, შესაძვე მსოფლიო ომისათვის. მან შექმნა კოლონალური სამხედრო მანქანა და კიდევ უფრო მეტად აძლიერებს შეიარაღებას, რითაც მსოფლიოს უქმნის თერმობატორი ომის საფრთხეს.

მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ იმპერიალიზმის მიერ განაღებული ორივე მსოფლიო ომი მაშინ გარდუვალი იყო, ამჟამად, როცა შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა და მსოფლიოში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა სოციალისტური ქვეყნების სასარგებლოდ, ახალი მსოფლიო ომი აღარ არის გარდუვალი, თუ წინათ იმპერიალიზმი განუყოფლად ბატონობდა, თანამედროვე პირობებში იგი არ წარმოადგენს მსოფლიოში გაბატონებულ ძალას. ამიტომ ანტიიმპერიალისტური და ყველა რევოლუციური ძალების გაერთიანებითა და მათი აქტიური ერთობლივი მოქმედებით ახლა შესაძლებელია კაცობრიობამ თავი დააღწიოს ახალ მსოფლიო ომს.

ამჟამად ყველაზე შევი რეაქციისა და აგრესიის მოთავე დამცველი ძალის განსახიერება ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი. იგი, უკვე რამდენიმე წელია, ეწევა დამპყრობლურ სისხლისმღვრელ ომს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ვიეტნამელი ხალხი, რომელიც გმირულად იბრძვის თავის სამართლიანი საქმისათვის საბოლოოდ გაიმარჯვებს.

ამერიკის იმპერიალიზმის წაქეზებითა და მხარდაჭერით სწარმოებს ისრაელ დამპყრობთა მუხანათური თავდასხმა არაბულ ქვეყნებზე. იმპერიალიზმის აგრესიული და მტაცებლური

ბუნების ერთ-ერთი გამოხატულებაა რეაქციული გადატრიალება საბერძნეთში, ამერიკის ინტერვენცია ლათსში, პროვოკაციული მოქმედებანი კუბაში და აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რასაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლებში.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო მდგომარეობის გამოწვევების მიხეზი იმპერიალიზმი. გამოდინ რა სოციალიზმის „უკუგდების“ ლა. ზუნგიდან, ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალისტები მთელ თავიანთ ძალებს მიმართავენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ ერთგულ-სოციალისტურად მოძრაობის ჩახახ-შობად და ყოფილი კოლონიების უკან დასაბრუნებლად.

თანამედროვე კაპიტალიზმის ხანაში ხალხებს უღიღეს საფრთხეს უქმნის ის, რომ იმპერიალიზმს შეუძლია ეხლანდელი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განაღვივებელი მონაპოვრები მიმართოს ხალხთა ფართო მასების განადგურებისა, მატერიალურ ძეგლების ნგრევისა და ყოველგვარ ფსევდობათა მოსპობისაკენ. იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი ეს ტენდენცია შეამჩნია ლენინმა ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვეული წლების წინათ, რომელმაც აღნიშნა, რომ განსაზღვრულ პირობებში იმპერიალიზმი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს წინააღმდეგობას აღამინათა საზოგადოების თვით არსებობის პირობების ძირის გამოთხრისა და შერყევისაკენ.¹

თუ მონოპოლისტურად დელი კაპიტალიზმი შედარებით პროგრესული იყო, იმპერიალიზმი გახდა უაღრესად რეაქციული. „კაპიტალიზმი, — წერს ლენინი, — პროგრესულიდან გადაიქცა რეაქციულ კაპიტალიზმად...“²

გარდა იმისა, რომ იმპერიალიზმი ქვეყნის საწარმოო ძალებს ავითარებს ცალმხრივად და მათ იყენებს შრომული მასების ინტერესების წინააღმდეგ, იგი, ამავე დროს, ხალხებს ართმევს დემოკრატიულ თავისუფლებას, ამყარებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფაშისტურ რეჟიმს, ნერგავს კავშირულულობის იდეოლოგიას, მიმართავს კოლონიალურ და ნეოკოლონიალურ პოლიტიკის ვატარებას, შევიდობიან ეკონომიკას სცელის სამხედრო ეკონომიკით, ფართოდ ავითარებს სამხედრო მრეწველობას. თანამედროვე იმპერიალიზმის უაღრესი რეაქციულობისა და პარაზიტულობის ერთ-ერთი მთავარი მანიჟენებელია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები, რომლებიც უკვე შეიქმნა და სწრაფად ვითარდება ამერიკის შეერთებულ შტატებში და, აგრეთვე, სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. ყველაზე განვითარებულ კაპიტა-

ლისტურ ქვეყნებში, — აღნიშნავს ლ. 0. ბრეჟევევი, — სულ უფრო გავლენიანი ხდება მრეწველო-წარმოებელი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები. ესე იგი უდიდესი მონოპოლების კავშირი სამხედრო ხროვასთან სახელმწიფო აპარატში. ეს ავბედითი კავშირი სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს ბევრი იმპერიალისტური სახელმწიფოს პოლიტიკაზე. უფრო რეაქციულსა და აგრესიულს ხდის მას.³

ეს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები ამაჟამად უშუალოდ ჩაყენებულია ახალი ომის მომზადების სამსახურში. ისინი თანამედროვე მალტიარიზმის ერთ-ერთი კონკრეტული გამოხატულებაა.

მილიტარიზმი — როგორც ამას განსაზღვრავს ლენინი, — ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის, კაპიტალიზმის ხელოვნურად შენარჩუნებისა და მუშათა კლასის დამორჩილების მთავარი იარაღს წარმოადგენს.⁴ ამ იარაღს, რომლის გაგრძელებს ბურჟუაზიის არ შეუძლია არსებობა, თანამედროვე სამხედრო-სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი სულ უფრო ფართო მასშტაბით იყენებს.

თანამედროვე კაპიტალიზმის სინამდვილემ საკვების დადასტურება ლენინის მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელია რეაქცია მთელი ხანით. ლენინის ეს მითითება განსაკუთრებით აქტუალურად ელერს ჩვენს დროში.

ამჟამად იმპერიალიზმის აგრესიულ და რეაქციულ პოლიტიკას „საფუძვლად უდევს მისწრაფება ყოველი ღონისძიებით შეასტროს სოციალიზმის პოზიციები, ჩახშოს ხალხთა ერთგულ-განმანათლებლებელი მოძრაობა, ხელოვნურად შექმნას მშრომელთა ბრძოლას კაპიტალისტურ ქვეყნებში, შეაჩეროს კაპიტალიზმის დაქვეითების შეუქცეადი პროცესი“⁵.

განვითარების ახლანდელ პირობებში იმპერიალიზმის აგრესიულობა და რეაქციულობა უაღრესად გაძლიერდა. საერთაშორისო თათბირის როგორც ძირითად დოკუმენტში, ისე მის მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებში მოცემულია თანამედროვე იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის არსისა და ბუნების ვრცელი დახასიათება.

3. 0. ლენინმა გენიალურად განსაზღვრა იმპე-

1. ლ. 0. ბრეჟევევი, გამოცემა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე 1969 წლის 7 ივნისს. (გაზ. „კომუნისტი“, 8 ივნისი, 1969 წ.).

2 ე. 0. ლენინი, ტ. 25, გვ. 223, ტ. 21, გვ. 365.

3 კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირი, ძირითადი დოკუმენტი, 1969 წლის 17 ივნისი. (გაზ. „კომუნისტი“, 19 ივნისი, 1969 წ.).

1 В. И. Ленин, т. 36, стр. 396.
2 ე. 0. ლენინი, ტ. 21, გვ. 365.

რიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის თავისებურება, მან პირველად გამოარკვია, რომ ახალ ისტორიულ პირობებში განვითარების უთანაბრობა ნახტომისებური, კატასტროფული ხდება. ლენინმა ეს პროცესი კანონის სახით ჩამოაყალიბა.

ნაშრომში „ევროპის შევრთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ 1915 წელს ლენინმა ახალ პირობებში აღმოაჩინა რა იმპერიალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი, დაასაბუთა სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა თავდაპირველად რამდენიმე ან ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. ამ კანონის მოქმედების შედეგად აუცილებლად გამოიშინებოდა დასკვნა, რომ იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტა შესაძლებელია მის ყველაზე უფრო სუსტ რგოლში.

ვ. ი. ლენინის ამ გენიალური აღმოჩენის სისწრაფე საესებით დადასტურდა დღეა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც მძლავრად შეარყია კაპიტალისტური სამყარო და გამოიწვია მსოფლიოს გათიშვა სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებად.

ვ. ი. ლენინის ამ აღმოჩენას უდღესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მან სწორი გზა უჩვენა შრომელ მასებს კაპიტალისტური სისტემის შემდგომი რღვევისა და ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებისაკენ.

რუსეთის სახელოვანმა მეშათა კლასმა, მთელი ზენი ქვეყნის მშრომელ მასებთან ერთად, პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიით შეიარაღებულმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირველმა გაკვალა გზა ბურჟუაზიისა და მეფის თეოკრატიული ბატონობის მოსპობისა და ახალი წყობილების დამყარებისაკენ.

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკა ამჟამად კიდევ უფრო უთანაბროდ ვითარდება. ამაზე ნათლად მეტყველებს უკანასკნელი წლების ციფრობრივი მონაცემები. მაგალითად, ამერიკის შევრთებული შტატების წილი კაპიტალისტური მსოფლიოს სამრეწველო წარმოებაში თუ ომისშემდგომ პირველ წლებში მკვეთრად გაიზარდა. შემდგომ წლებში იგი ეცემა. აღნიშნული მაჩვენებელი 55,8 პროცენტადან (1948 წ.) დაეცა 44,6 პროცენტამდე 1968 წელს. ინგლისის წილი აღნიშნულ პერიოდში შემცირდა 11,9-დან 7,4 პროცენტამდე. იმავე წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წილი, პირიქით, გაიზარდა 4,2-დან 9,1 პროცენტამდე. ასევე, იაპონიის წილი გაიზარდა 1,3-დან 7,8 პროცენტამდე¹.

როგორც ვარაუდობენ, იაპონია 1970 წლისთვის ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლებს მიხედვით მსოფლიოში გამოვა მეორე ადგილზე. რა თქმა უნდა, განვითარების ასეთი უთანაბრობა, რომელიც იწვევს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებას, ეს-მარება და დიდად უწყობს ხელს სოციალისტურ ქვეყნებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობებისა, ზოგიერთი მთავარი იმპერიალისტური სახელმწიფოები, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, აერთიანებენ თავიანთ ძალებს ერთობლივი მოქმედებისათვის. ეს ფაქტი, ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ არსებული პირობების მაგალითზე, შენიშნა ჟურნალმა ლენინმა: „რაც უფრო მეტად ვიზარდება, — უფროდა უფრო, — მით უფრო მეტად სწავლობენ კაპიტალისტური ექსპლოატატორები გაერთიანებას და გადმოდინ უფრო გაბედულ შეტევებზე“².

თანამედროვე იმპერიალიზმის ვითარების მაგალითზე ამ მოკლემის შესახებ მითითებებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევი საერთაშორისო თათბირზე გამოსვლაში, ეს აღნიშნულია ამავე თათბირის ძირითად დოკუმენტშიც. იმპერიალისტი-აგენტობები მიზართევ ყოველგვარ საშუალებას თავიანთი პოზიციების გასამტკიცებლად და არსებობის გასახანგრძლივებლად. ისინი, უამრავ სახსრებს ჩაჩავენ და იდეოლოგიური ზემოქმედების მარავალნაირ ფორმებს იყენებენ სოციალიზმის ძირითადი რევოლუციური ძალების წინააღმდეგ. „კაპიტალისტური სახელმწიფოები, ნათქვამია საერთაშორისო თათბირის ძირითად დოკუმენტში, — მიუხედავად იმ მხარდი წინააღმდეგობებისა, რომლებიც მათ შორის არის, ცდილობენ გაერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი, რათა შეინარჩუნონ და განამტკიცონ ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წყობილება, დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები“².

კაპიტალიზმის განვითარების ახლანდელი ეტაპის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება არის სისტემის ბრძოლის რთულ მოვლენებთან სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის სულ უფრო მეტი შევება. ამის შესახებ საერთაშორისო თათბირზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში პირდაპირ აღნიშნულია: „თანამედროვე იმპერიალიზმის ბევრი დღემნიშვნელოვანი თავისებურება აიხსნება

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 30, გვ. 544.

² კომუნისტური და მეშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირი, ძირითადი დოკუმენტი, 1969 წლის 17 ივნისი, (გაზ. „კომუნისტი“, 19 ივნისი 1969 წ.).

¹ Акад. Н. Н. Иноземцев, О современной империализме. (Газ. «Правда», 18 июля 1969 г.).

იმით, რომ იგი იძულებულია ეგუებოდეს ახალ პირობებს, ორი სისტემის ბრძოლის პირობებს¹.

როგორც უკანასკნელი წლების მასალები და ფაქტები გვიჩვენებს, იმპერიალიზმი ჯერ კიდევ ილიერია. ამასთან ერთად იგი მშვიდობისა და სოციალიზმის გერავი და დაუბინებელი მტერია. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები ცდილობენ სულ უფრო განახორციელონ მონოპოლისტურ-რევანშისტული პოლიტიკის კურსი.

მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხებს და სოციალიზმის ქვეყნებს ამჟამად სათანადო ძალა მოეპოვებათ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა საომარი გეგმების ჩასაშლელად.

სსრ კავშირი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა. მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო გავლენა მსოფლიოში მტკაღ დიდია. სწორედ ამით აბსუნება ის გარემოება, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი, უწინარეს ყოვლისა, ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი, ამჟამად ვერ ბედავს პირისპირ შეებას და უშეალოდ შეეყახოს საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოს. ამიტომ არის რომ იგი დოკლურ ომებს მიმართავს.

თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის აგრესიული სტრატეგიისა და ტაქტიკის მახვილი მიმართულია ცალკეული სოციალისტური ქვეყნების მწუბორიდან გამოყენებისაკენ, სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის დაშლისაკენ. კაპიტალისტური ქვეყნების რევანშისტები სოციალიზმის ქვეყნების შიგნით ეძებენ სუსტ ადგილებს და ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ ისინი თავიანთი მუხანათური გეგმების განხორციელებისათვის. აგრესორები ასევე დიდად იყენებენ ჩინეთის კომპარტიის ახლანდელი ხელმძღვანელების მცდარ სივარყო პოლიტიკურ ორიენტაციას სოციალიზმის მსოფლიო სისტემისა და ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. საერთაშორისო თათბირის ძირითად დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული: „უკანასკნელი ათწლეულის მოვლენებმა კიდევ უფრო მტკაღ გააშინველა სახე ამერიკის იმპერიალიზმისა, როგორც მსოფლიო ექსპლოატატორისა და უანდარშისა, განმათავისუფლებელ მოძრაობათა შეურიგებელი მტრისა“².

განვითარების ახლანდელ პირობებში საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების ინტერესები ყველაზე მთავარია. სწორედ ამიტომ არის, რომ სოციალიზმის ქვეყნები თანამედვერულად იყვენ მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას. როგორც წარსულში, ისე ამჟამად საბჭოთა კავშირი თანამედვერულად იბრძოდა და იბრძვის საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აყთებს იმისათვის, რომ გადარჩინონ აკოპრიობა ახალი ომის საშინელებისაკენ. სოციალისტური ქვეყნების, უბრველესად კ, საბჭოთა კავშირის საშხედრო ძლიერება უშიშვერდოვანესი ფაქტორია იმისათვის, რომ ხალხებმა იცხოვრონ და იმუშაონ მშვიდობიანობის პირობებში. საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შეუძლიათ ალაგმონ პარისისძლიანი აგრესორები და თავიდან აიცილონ ახალი მსოფლიო ომი. ანტიიმპერიალისტურმა ძალებმა ყოველმხრივ უნდა გაშალონ ბრძოლა თერმოატორი ომის შხარდ საშიშროების მოსაშობად.

თანამედვერული ბრძოლა ბურჟუაზიის იდეოლოგიის წინააღმდეგ, ბრძოლა შარქსიზმ-სინიზმის სწწინდისათვის, რევოიზიონიზმის, დოგმატიზმის, მეშარქვენე და „მეშარქვენე“ ოპორტუნიზმის, ნაციონალიზმის წინააღმდეგ აუცილებელი პირობაა აღვირახსნილი იმპერიალისტების დათრგუნვის და კომუნისტთა ინტერნაციონალური შეეკავშირებისათვის.

ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა დაუდლაოდ გვებრძოლა ყოველგვარი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რა ბრწყინვალე სამოსელშიც არ უნდა ყოფილიყო იგი გახვეული. ვ. ი. ლენინის მითითებათა განხორციელების მიზნით აუცილებელია იდეოლოგიური მუშაობა ავიყენათ კიდევ უფრო მაღალ საფეხებზე, რაც საშეალებას მოგვეძეს ყოველმხრივ გავაძლიეროთ ბრძოლა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

იმდენად, რამდენადაც მტკიცდება და ვითარდება სოციალიზმის ძალბა, ამის შესაბამისად სულ უფრო იცლებუა კლასობრივ ძალთა თანაფარდობა სოციალისტური სისტემის სასარგებლოდ. განვითარების თანამედროვე ეტაპზე კლასობრივ ძალთა თანაფარდობის ანალიზი მკაფიოდ არის მოცემული საერთაშორისო თათბირის მეგრ მიღებულ ძირითად დოკუმენტში, სადაც ხაზგასმით ნათქვამია: „აკოპრიობის განვითარების მაგისტრალურ გზას განაზღვრავენ მსოფლიოს სოციალისტური

¹ ლ. ი. ბრეჟნევი, გამოსვლა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე 1969 წლის 7 ივნისს. (გაზ. „კომუნისტი“, 8 ივნისი, 1969 წ.).
² კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირი, ძირითადი დოკუმენტი, 1969 წლის 17 ივნისი (გაზ. „კომუნისტი“, 19 ივნისი, 1969 წ.).

სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი რევოლუციური ძალები" 1.

1969 წლის ივნისში ჩატარებულ თათბირზე აღნიშნული იყო, რომ ახლანდელ პერიოდში ანტიიმპერიალისტურ ბრძოლას ფრონტზე მდგომარეობა ბევრში განისაზღვრება სოციალისტური ეკონომიური შეჯიბრებით იმპერიალიზმთან. სოციალისტური ბრწყინვალე წარმატებანი და გამარჯვებები, მისი საქმეები და ცოცხალი მაგალითები სულ უფრო არწმუნებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშებსა და გლეხებს, რომ სოციალიზმი გაცილებით უკეთესი და უფრო მოწინავე წყობილებაა, ვიდრე კაპიტალიზმი. სოციალისტური ამ წარმატებებს უდიდესი დამარწმუნებელი ძალა და ზეგავლენა აქვს. ჩვენ, — წერდა ლენინი, საერთაშორისო რევოლუციურ მთავარ ზეგავლენას ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით ვახდენთ... ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით ამ სარბიელზეა გადატანილი. თუ ჩვენ ამ ამოცანას გადავწყვეტთ, მაშინ საერთაშორისო მასშტაბით უცლებლად და საბოლოოდ მოვიგებთ 2.

ამჟამად სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმზე შეზღვევ მძლავრ დარტყმების მისახერხებლად აუცილებელია ყველა ანტიიმპერიალისტური ძალების კიდევ უფრო მტკიცედ შეჯიბრება და მათი მოქმედების ერთიანობის უზრუნველყოფა. ამაში მდგომარეობს ის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც საერთაშორისო თათბირმა განსაზღვრა უახლოეს წლებში სათვის.

ვ. ი. ლენინი კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში ერთიანობის დაცვისა და განმტკიცების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის

¹ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირი, ძირითადი დოკუმენტი, 1969 წ. 17 ივნისი (ვაზ. „კომუნისტი“, 19 ივნისი, 1969 წ.).

² ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 556.

სობრივი ბრძოლის მოქმედების ერთიანობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ვერსილდევ 1913 წელს იგი თავის შრომაში მუშათა ერთიანობის შესახებ წერდა: „ერთიანობა აუცილებელია მუშათა კლასისათვის. ...დაქსაქსული მუშები არიან. გაერთიანებული მუშები — ყველაფერია“ 1.

ვ. ი. ლენინი სხვა ნაშრომებშიც ამავე აზრს ავითარებდა. შეუპოვრად აკრიტიკებდა რა მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსებსა და ყოველ სახის რევოლუციონისტებს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...ერთიანობის წინააღმდეგ ქვეყნის მუშათა გამოცდილებას, ანგარიშს ეუწყვეთ მათ ცოდნას, მათ ნებას და ამნაირად საქმით (და არა სიტყვით, როგორც რენერები, ფრიც ადლერები და ოტო ბაუერები) ვახორციელებთ კომუნიზმისათვის მუშათა კლასობრივი ბრძოლის ერთიანობას მთელ მსოფლიოში“ 2.

დღეს, ვ. ი. ლენინის ეს სახელმძღვანელო დებულებები საფუძვლად უდევს თანამედროვე იმპერიალიზმის წინააღმდეგ კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ საერთაშორისო თათბირებზე გამოთქმულ სტრატეგიასა და ტაქტიკას.

საერთაშორისო თათბირმა მიიღო მიმართვა ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის შესახებ, რომელსაც უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მიმართვაში დადასტურებულია კომუნისტთა უცვლელი ერთგულება დიდი ლენინისა და მის მიერ შექმნილი მოძღვრებისადმი — ლენინიზმისადმი. ზანჯანშეულია ლენინიზმის საყოველთაო, საერთაშორისო მნიშვნელობა: რომ იგი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის იდეოლოგიური საფუძველია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველმხრივ იდეებით კაცობრიობა მიდის სოციალიზმისა და კომუნისმისაკენ.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 19, გვ. 621—622.

2 ვ. ი. ლენინი, ტ. 31, გვ. 322.

შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან

(პროფ. იანე ცინცაძის წერილის გამო)

ფერნალმა „მაცნემ“ 1968 წლის № 5-ში გამოაქვეყნა პროფ. ი. ცინცაძის პოლემიკური წერილი: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მე-12 საუკუნის ისტორიისათვის“. მკითხველი, ცხადია, მიხედვება, რომ აქ არ შეიძლება იგულისხმებოდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მე-12 საუკუნე.

მაგრამ პოლემიკური წერილის შინაარსიდან მაინც კარგად ირკვევა, რომ იგი ძველი, XII ს. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ერთმანეთთან არც იმე დაკავშირებულ მოვლენებს შეეხება.

სხვადასხვა დროის ორი სხვადასხვა შინაარსისა და შინაშენლობის მოვლენის ერთ წერილში შექანიკური გაერთიანების მიზეზი, როგორც ჩანს, ჩვენი ორი — სხვადასხვა პრობლემაზე გამოქვეყნებული — ნაშრომის ზოგი ადგილი გამხდარა.

პატრიარქული პროტესტორის პირველი შენიშვნა გამოუწვევია ჩვენი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის — „დიდგორის ბრძოლის“ (თბ., 1965 წ.), ერთ ადგილს, რომელიც XVII ს. ავტორის პაველ ალუპოელის ცნობას შეეხება: „ჩვენ არ დავაყვამოფილა პროფ. შ. მესხიას მიერ პაველ ალუპოელის ცნობების ანალიზმა და დასკვნებმა“ — წერს პროფ. ი. ცინცაძე (დასაბუთებული წერილი, გვ. 212).

მაგრამ სანამ ცნობის ანალიზსა და დასკვნებზე შეეჩერდებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია თვით პაველ ალუპოელს შეეხებოთ.

პაველ ალუპოელი, ანტიოქიის პატრიარქის შვილი, არქიდიაკონი, საქართველოში მამასთან ერთად 1664 წელს ჩამოვიდა. იგი კარგად ცნო-

ბილი ავტორია და არსებითად შემდგენელია იმ აღწერილობათა, რომელიც მისი და მისი შვილის სხვადასხვა ქვეყნებში მრავალწლოვან (1652—1659 წწ.) მოგზაურობას შეეხება. ამ აღწერილობებით პაველ ალუპოელმა დიდი სამსახური გაუწია XVII ს. რუსეთის, უკრაინის, პოლოდავეთ-ვლახეთის და სხვა ქვეყნების ისტორიის შევსებას. იგი დაკვირვებულ, სანდო და კეთილსინდისიერ ავტორად არის მიჩნეული. მისი თხზულების პირველი მთარგმნელი გ. მურკოსი ხაზგასმით აღნიშნავდა:

«По полноте и разнообразию содержания — это один из самых лучших и ценных письменных памятников о России середины XVII века и во многих отношениях превосходит записки тогдашних западноевропейских путешественников»¹.

პაველ ალუპოელმა, მამასთან ერთად, საქართველოში დაპოვებული და ცხრა თვე (1664 ივლისი, 1666 წ. აპრილი), მთელ ალექსი მიხეილის შინ დროს, საიდუმლო საქმეთა სავანეის თხოვნით, პაველ ალუპოელმა შეადგინა საქართველოს აღწერილობა (შედგენილი ბერძ-

¹ Г. Муркос, Путешествие антиохийского патриарха Макария в России в половине XVII в., описанное его сыном, архидиаконом Павлом Алеппийским, Русское обозрение, т. 37, № 2, 1893, გვ. 706. ეს და სხვა ცნობები პაველ ალუპოელის შესახებ ჩვენ მიერ ამოღებულია დ. ი. ც. ასათიანის ნაშრომიდან, რომელიც გადაცემულია დასაბუთებლად პაველ ალუპოელის ცნობების თარგმანთან ერთად.

ენობაშიაქვემე თერმე ის არის, რომ ასეთი ცნობა:დავით აღმაშენებლის სავაგო პოლიტიკის შესახებ, სხვა ძეგლებში არც ძველში და არც მწიგნონებში, არ მოიპოვება, ამის მსგავსი კი არაფერი აქვს ნათქვამი ისეთ სახელგანთქმულ ავტორს, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსია" (წერტილი, გვ. 212).

ჩვენ ზედმეტად მივგანინა აღენიშნოთ, — სწორედ ის, რომ ასეთი ცნობა სხვა ძეგლებში არ მოიპოვება და ასეთი თუ მსგავსი რამ არა აქვს დავითის სახელგანთქმულ ისტორიკოსს, არ შეიძლება გამოდგეს ალბოელის ცნობის „უთავი-ლოლობის“ თუ „სიყაღის“ დასამტკიცებლად. მართლაც, მსგავსი ცნობა ჩვენთვის დღემდე ცნობილ წყაროებში არ არის დაცული, მაგრამ ეს ალბოელის ამ უნიკალური ცნობის მნიშვნელობაზე უფრო მივეთითებთ და არა მის „სიყაღებსა“ და „უთავობაზე“. ამასთანავე, როგორც უთბო პროფ. ი. ცინცაძე არაერთხელ მივითითებს, „ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ქართული ძეგლების უმნიშვნელო ნაწილია...“ „წყაროების დემილი არ ნიშნავს მოვლენის არ არსებობას“, კერძოდ, იმის, რომ „XII ს. რუსეთსა, და საქართველოს კავშირი და ურთიერთობა არ ჰქონოდა...“ თუ ეს ასეა, — და ამაში ვუკნის ატრანსა შეუძლებელია, — მაშინ ცხადია, ობიექტურ მკვლევარს პავლე ალბოელის ზემოთქმული ცნობა სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არსებული ფაქტისა და ჩვენამდე მოღწეველი ძეგლების ცნობათა გვიანდელ მარტულად უნდა მიგჩინა და მისი სათანადო კრიტიკული შეფასებისათვის უნებნა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, პროფ. ი. ცინცაძე ამგვარად არ მოიქცა, წყარო, დაუსაბუთებლად, ბელადებით უკუაგდო და ამით დაკმაყოფილდა.

ეს პროფ. ი. ცინცაძის მიერ ჩვენთან გამართული კამათის მხოლოდ ერთი მხარეა.

ახლა კი მეორე მხარეს, კერძოდ, პავლე ალბოელის ზემოთქმული ცნობისადმი დამოკიდებულების საკითხს, ან უკეთ, ჩვენ მიერ მკითხველისათვის მიწოდებულ ინტერპრეტაციას შევხებით.

პროფ. ი. ცინცაძე თავის პოლემიკურ წერტილში დაბეჭდებით ორჯერ აცხადებს: „მამსაღამე, პავლე ალბოელის ბუნდოვანი ცნობა დავით აღმაშენებლის კიევიში „თავიანის ცემით“ მისვლის შესახებ პროფ. შ. მესხიას ბეშმარტივად მიაჩნია“ (გვ. 212); ან კიდევ: „ახლა უკვე, როგორც დაინახავდა მკითხველი, პავლე ალბოელის უთავბოლო და ბუნდოვანი ცნობათა ავტორბოლომდე ბეშმარტივად არის აღიარებული“, ისევე, რა თქმა უნდა, შ. მესხიას მიერ (გვ. 213; ხაზგასმით ყველგან ჩვენია); კიდევ მეტი, ჩვენ თერმე ვამტკიცებთ პავლე ალბოე-

ლის ყალბ ცნობას „დავით აღმაშენებლის მიერ „თავიანის ცემით“ კიევიში, ვლადიმერ/წმინდმამქთან ყოჩაყების საქართველოზე ტყვეობის ტყვეობა“ ლად „ნება რთვის“ მისაღებად მისელის შესახებ“ (იქვე). „ყველაფერი ეს სრულიად გუგუბარია ჩვენთვისო“ — დამძენს პატივცემული პროფესორი. მართლაც რომ გუგუბარია ყოველივე ეს, მით უფრო ჩვენთვის, ამ სტრაქონების ავტორისათვის, რომელსაც ამის მსგავსი არც ზემოდასახელებულ ნაშრომში („დღედგორის ბრძოლა“) და არც სადმე სხვაგან უმტკიცებია.

მკითხველისათვის რომ ყველაფერი ნათელი იყოს, უზირველესად თვით ალბოელის ცნობა განვმარტოთ. პავლე ალბოელის მიხედვით: ა) დავითი (იველისსმება გელათის მშენებელი, ე. ი. დავით IV, აღმაშენებელი) თვით „ჩავიდა რუსეთში თავიანის ცემით და დახმარება ითხოვა...“ ბ) მისცეს მას (დიდი) დამხმარე ძალა და წავიდა (საქართველოში დაბრუნდა) და გ) ამ ძალათ ვანდგენა უწყინდური თავის სამფლობელოდა (იველისსმება თერქ-სელჩუკები).

ალბოელის ზემოთქმული ცნობისა და ჩვენი კომენტარების ურთიერთშესადარებად იძულებული ვართ „დიდგორის ბრძოლის“ ეს დავითი უცვლელად და მთლიანად გავანოთ მკითხველს: „განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მამადინარტი გარემოების წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს სათანადო კავშირი და უწყარბეობა ქრისტიანულ კიევის რუსეთთან, მის დიდ მთავართან ვლადიმერ მონომახთან...“ (წიგნში დამოწმებული პავლე ალბოელის ცნობა, რომელსაც არ ვიმოვრებთ).

„როგორც ირკვევა, როცა ყოჩაყთა საქართველოში გადმოსახლების საკითხი დადგა, თუ თვით მხევე არა, საამისოდ მის მიერ „წარვლენილი კაცნი სარწმუნონი“ არა მარტო ყოჩაყთაში, არამედ კიევიში მის მთავართან უნდა მისულიყვნენ. ყოჩაყებთან ასეთი ურთიერთობის დამყარება და შემდეგ მათი საქართველოში გადმოსახლება შეუძლებელია კიევის რუსეთის დიდ მთავართან სათანადო მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გარეშე მომხდარიყო. ცხადია, ეს უკანასკნელი (ე. ი. დიდი მთავარი, შ. მ.), რომელიც ათეული წლის მანძილზე ებრძოდა ყოჩაყებს, საქართველოს მეფის ყოჩაყებთან დაკავშირების ცდას მისი საწინააღმდეგო მოქმედებად მიიჩნევდა თუ კი სათანადო განმარტებები წინასწარ არ ექმნებოდა. სწორედ ეს მოლაპარაკება უნდა ჰქონდეს მხედველობაში პავლე ალბოელის, როცა იგი დავითის რუსეთში წასვლისა და იქ დახმარების თხოვნის შესახებ მოგვითხრობს. როგორც ამ ელზობის შედეგებიდან ჩანს, კიევის მთავარსა და საქართველოს მეფეს შორის ყოჩა-

1. ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 171.

ყუბის საქართველოში გადმოსახლების შესახებ შეთანხმება მოხდა. ელადიმერ მონოპას ამის საწინააღმდეგო რა შეიძლებაოდა ქეონოდა: ეერ ერთი, კიევის მთავარი „უწმინდურთა“ (თურქ-სელჩუკთა) წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს დამხმარედ გამოდიოდა (იმ „დიდ ძალაში“, რომლითაც, პაეღ ალეპოელის სიტყვით, რუსები ქართველებს დაეხმარნენ, სწორედ გადმოსახლებულ ყუჩაყთა ეს დიდი რაოდენობა იგულისხმებოდა); და ამავე დროს კიევის რუსეთი ყუჩაყთა 40.000 ოჯახის საქართველოში გადმოსახლებით თავიდან იზორებდა დეპონებული შტრის ერთ დიდ ნაწილს. ასე რომ, კიევის მთავარი ყუჩაყთა საქართველოში გადმოსახლებით თვითონაც უნდა ყოფილიყო დინტერესებული. საგულისხმოა, რომ იმდროინდელი რუსული შტატანეები, ჩვენ მიერ ზემოხსენებულ ათრაქა შარანის ძეს და მასთან ერთად საქართველოში გადმოსახლებულ ყუჩაყებს, კიევის მთავრის მიერ საქართველოში განდევნილებად მიიჩნევენ; ასეთ ვითარებაში, ცხადია, ყუჩაყების საკითხში საქართველოს მეფის „სარწმუნო კაცთა“ და კიევის მთავარს შორის შეთანხმება ადვილად იქნებოდა მიღწეული. მაგრამ ყველაფერი ეს თავის დროზე იმდენად დიდ დახმარებულ ყოფილა მიჩნეული, რომ საგანგებოდ აღნიშნავთ იმ „ძველ წიგნებს“, რომლებითაც პაეღ ალეპოელი თავისი თხზულების შედგენისას სარგებლობდა.

ამ „ძველ წიგნებში“ ისიც ყოფილა აღნიშნული, თუ როგორ განდევნა დავით მეფემ „უწმინდური თავისი სამფლობელოდან და განთავისუფლდა მათგან“. ცხადია, დავით აღმაშენებლის ამ გამარჯვებას კიდევ უფრო უნდა განემტყუებინა საქართველოს კავშირი ერთ-მორწმუნე კიევის რუსეთთან. ასედაც მოხდა. დავით აღმაშენებლის შემეკიდრის, დემეტრე პირველის დროს კიევის დიდი მთავარი იზიასლავი საქართველოს მეფის ასულზე დაქორწინდა. გაძლიერებულ საქართველოსთან კიევის რუსეთს ამაჟამად კავშირი თვით სჭირდებოდა. კიევის მთავარი საქართველოს სამეფო სახლთან დამოყრდნობით თვითობდა თავისი სამთავ-

როს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების სიმშვიდის უზრუნველყოფას, ყუჩაყთა გამძღვებული თავდასხმის თავიდან აცილებას შით უფრო, რომ ყუჩაყები საქართველოს გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი და კიევი დიდი პატივით ჩაყვანილი ქართველი მეფის ასულს ხომ დედით თვით ყუჩაყთა მთავრის შვილიშვილი იყო.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სიძლიერისა და საერთაშორისო გავლენის ხმა გასცილებია მახლობელი აღმოსავლეთის ფარგლებს და ჩრდილოეთის შორეულ მებრძობებამდეც მიუღწევია.

ასე ვრცელი ამონაწერის გადათავლიერებაც კი ობიექტური შვითხველისათვის საყუბით საემარისი იქნებოდა იმის დასანახავად, თუ როგორ „ავლიარეთ ქეშმარტებად“ ჩვენ ალეპოელს ზემოთ ნაჩვენები ცნობა; მაგრამ მაინც საჭიროდ მივიჩნევთ ხაზი გაუუსეთ ზოგ უმთავრეს მომენტს:

ა) ამონაწერში არსად არც ერთი სიტყვით ნათქვამი არ არის რუსეთში დავით მეფის „თაყუანისცემითა“ და „დახმარების თხოვნით“ ჩასვლის შესახებ. ტექსტში საუბარია მეფის მშობლად „სარწმუნო კაცთა“ კიევი სავარაუდო ჩასვლაზე და ისიც დახმარების სათხოვნელად კი არა, არამედ ყუჩაყთა საკითხში „სათანადო მოლაპარაკებისა და შეთანხმებისათვის“, „სათანადო განმარტებისათვის“.

ამსთანავე, ჩვენ მიერ იქვე განმარტებულია, რომ პაეღ ალეპოელი ალბათ ამას გულისხმობდა, როცა დავითის რუსეთში ჩასვლაზე მოგვითხრობდა.

ბ) არსად ჩვენ მიერ არ არის ნათქვამი, რომ დავითს თუ მის „სარწმუნო კაცებს“ რუსეთში „დიდი დახმარება ძალა“ მისცეს პირიქით, განმარტებულია, რომ პაეღ ალეპოელს მიერ აქვარად გადმოცემულ მოთხრობაში კიევის მთავრის მიერ მიცემული „დიდი ძალა“ კი არ იგულისხმებოდა, არამედ — დავითის მიერ საქართველოში გადმოსახლებულ ყუჩაყთა დიდი რაოდენობა.

გ) თუ ალეპოელის ცნობით რუსეთი საქართველოს დამხმარედ გამოდიოდა, ჩვენნი განმარტებით, თვით საქართველოც ამ აქტით, ე. ი. ყუჩაყების გადმოსახლებით, — მოწინააღმდეგე

1 როცა ამას უწერდით, მხედველობაში გვექონდა დავითის ისტორიკოსის შეზღვევი ცნობა: მეფემ „წარაჯლინდა კაცნი სარწმუნონი და მოეწვლა ყუჩაყთა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336). ჩვენი ვიარაღით, სრულებით არ არის გამოირცხელი, რომ ყუჩაყთა მისულ „სარწმუნო კაცებს“ გზა რუსულ სამთავროებისკენაც ვაგვარებულბინათ. შით უფრო, რომ ამ დროს „ყუჩაყთა შიწა“ უშუალოდ ემიყნებოდა რუსულ სამთავროთა საზღვრებს. (შედრ. V. В. А. И. Полтавского нашествие, Вопросы истории, № 1, 1969; გვ. 137, 141. და სხვ.).

1 შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, 1965, გვ. 86-88. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასახლებული ნაშრომის ხასიათი (სამეცნიერო-პოპულარული) და მოცულობა ამ საკითხზე ჩვენ მეტის თქმის, ან კიდევ, სხვადასხვა წყაროთა მოშველიებით, მოსაზრებათა დასაბუთების შესაძლებლობას არ გვაძლევდა.

დიდი ძალის ჩამოშორებით, ხელს უწყობდა კიევის სამთავროს გაძლიერებას. ასე რომ, ჩვენ ერთი რომელიმე ძლიერის მეორესადმი დახმარებაზე კი არ ვსაუბრობთ, არამედ ორივე ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს ორივესთვის სასარგებლო შოქმედებაში ერთიერთ შეთანხმებაზე.

დ) არსად ჩვენ მიერ არ არის აღნიშნული, რომ ან დავით მეფეს, ან კიდეც მის „სარწმუნო კაცებს“ კიევის მთავრისათვის რაიმე „ნება რთვა“ ეთხოვოთ ყივჩაყების გადმოსახლების გამო, რასაც პროფ. ი. ცინცაძე მოგვყვება. სხვა რომ არა იყოს რა, ვინა უაზრობა არ იქნებოდა ქართველებს ასეთი ნება რთვა ეთხოვათ იმ ყივჩაყთა გადმოსახლებისა, რომელთა თაყვანს მოშორებაც ასე საოცნებო იყო კიევის მთავრისათვის?

ე) ალუპოვის მიხედვით, რუსებისაგან მიღებული ძალით ვათავისუფლა დავითმა „თავისი ქვეყანა“. ჩვენ კი, განემარტავთ, რომ, როგორც ჩანს, იმდროინდელ რუსეთში კარგად სკოტონათ დავითის წარმატებები — თუ რომელი განდგანა „უწმინდურნი თავისი სამფლობელოდან და განთავისუფლდა მათგან“. ამ შემთხვევაში ქვეყნის განთავისუფლებლად ჩვენ არა თუ რუსების მიერ მიცემული „დიდი მალა“, არამედ არც ყივჩაყები გვიგულსხმია, როგორც ეს კარგად ჩანს ჩვენივე ნაშრომის სათადად ადგილადან¹.

მზრიალად, პავლე ალუპოვის ცნობიდან გამომდინარე ჩვენი კომენტარები საეცებით ნათელსკოფს, რომ მისი ცნობები „თავიდან ბოლომდე ქვეშარტებია“ კი არ მიიგვიღია, არამედ მხოლოდ გვიანდელ ან არეკლად იმ ურთიერთობისა რაც კიევის მთავარსა და საქართველოს მეფეს შორის შეიძლებოდა არსებულყო XII ს. პირველ მეოთხედში ყივჩაყების საციოხთან დაკავშირებით. მხოლოდ ასეთი დასკვნები შეიძლება ვაკეთებელიყო ალუპოვის ცნობიდან, თუ კი მისი განმარტებით დავინტერესდებოდით და არ უკუვაგდებდით მას ხელაღებით.

ყველაფერი ნათელია, მაგრამ ერთი რამ მაინც გაურკვეველი რჩება: რაში დასჭირდა უკველივე ეს პროფ. ი. ცინცაძეს?

როგორც ეს მის მიერ ერთგან დასმული კითხვის მიხედვით შეიძლება გვეფიქრა, პროფ. ი. ცინცაძეს ობიექტურობისაგან გადააბევეი-

ნა დავით მეფისა და მისი სახელმწიფოს „დაცვის“ ინტერესმა. იგი წერს: „ქვეშელები კითხვა წამოიჭრება — დავით აღმაშენებელს და მისი სახელმწიფოს 1118-1120 წლებში ყივჩაყთა გადმოსახლების წლებში ან ამაზე უწინარეს, ან შემდეგში, კიევის დიდი მთავრის ყურმოპირილი ვასალი და ხელქვეითი იყო თუ რატომ უნდა შეეთანხმებინათავისი საგარეო პოლიტიკა კიევის მთავრისათვის?“ (გვ. 214).

ამჟააა, რომ ეს კითხვა სავსებით უმოსამართოდ არის დასმული. იგი არ ეხება თვით პავლე ალუპოელსაც კი, რომელმაც, მართალია, დავითი რუსეთში „თაყვანისცემით“ (покорен-ით) ჩასულად მიიჩნია, მაგრამ არც კი უფიქრია ეთქვა, რომ იგი „კიევის დიდი მთავრის ყურმოპირილი ვასალი“ ყოფილიყოს. პროფ. ი. ცინცაძეს კარგად მოეხსენება, რომ რუსული „челобитие“ თუ „покорен“ ქართულად — „თაყვანისცემა“, „თავის დაკერა“ თუ „მდაბლად თავის დაკერა“, მხოლოდ ოფიციალური დიპლომატიური მიმართვის საყოველთაოდ მიღებულ ტერმინი იყო და სრულებით არ ნიშნავდა მიმართველს ყმობას ადრესატისადმი. აქ, ალბათ, საჭირო არ იქნება ამაზე მსჯელობა, მაგრამ მაინც სახელდახელოდ ორიოდ მაგალითი გვიანდა მოვიყვანოთ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ახლო დროიდან: საქართველოს მეფე რუსუდანი რომის პაპს სწერდა: „რუსუდანი ქართველთა დედოფალი... უმდაბლესად თავი გიკრავთ და მოვესალმებით!“ ან კიდეც „მთელი საქართველოს... მხედართმთავარი (ივანე) უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოვესალმებით“;² შედარებით გვიანდელი მასალიდან: „Великому царю и государю... великое челобитие“ — წერდა კახეთის მეფე ალექსანდრე I 1491 წ. მოსკოვის დიდ მთავარს ივანე III-ს. მაგრამ, ვინა ვისმე აზრად მოსულია ასეთი მიმართვის გამო რუსუდანი დედოფალი თუ ივანე მხარგრძელი რომის პაპის, ან კიდეც, ალექსანდრე I ივანე III-ის „ყურმოპირილ ვასალი“ მიიჩნეოთ?

„ყურმოპირილ ვასალიზმზე“ ყოველთვის არ მიუთითებს აგრეთვე ერთი ხელისუფლის მიერ მეორისადმი რაიმე დახმარებისათვის თუნდაც ახოვნით მიმართვაც კი.

ამის გარდა, არც პავლე ალუპოვის, და მით უფრო ჩვენ მიერ, არსად არ ყოფილა ნათქვამი, რომ დავით აღმაშენებელი თუ მისი „სარწმუნო კაცნი“ კიევიში საქართველოს მეფის „საგარეო პოლიტიკის შესათანხმებლად“ ჩასულაყვენ. ზემოთ აღნიშნული იყო და იქლე-

¹ დავით აღმაშენებელს ყივჩაყთა მუდმივი ლაშქარი არასოდეს არ გაუხდია თავის ძირითად და დასაყრდენ ძალად, როგორც ეს ზოგიერთ ისტორიკოსს ჰგონია“ (დიდგორის ბრძოლა, გვ. 63).

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკოსთა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 7.
² იქვე, გვ. 8; შტრა. აგრ. გვ. 9 და სხვ.
³ ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 236.

ბული ვართ გავიშვართ, რომ კიევს დიდ მთავარს ვლადიმერ მონომახს (რომელიც იმ დროს ყრფიანებთან ბრძოლის მთავარი ორგანიზატორი იყო) და საქართველოს მეფის „სარწმუნო ეკლეთა“ შორის ყრფიანების საკითხზე წინასწარი განმარტება და შეთანხმების მიღწევა ორვე მხარისათვის აუცილებელი იყო. მხოლოდ ეს მიზანი შეიძლება კჳონოდა „სარწმუნო ეკლეთა“ ელჩობას. ამას გვიყარსახებს იმ დროს რუსულ სამთავროებში ყრფიანების წინააღმდეგ, ხოლო საქართველოში თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლით შექმნილი ვითარება. მაგრამ, ასეთი განმარტებების მოწოდება თუ ამ საკითხზე ორი სახელმწიფოებრივი ერთეულის ერთგვარი შეთანხმება განაგრძობდა ამ სახელმწიფოთაგანის სუვერენობის შელახვის (თავი რომ დეკლარებით ვასალობას) მიუწყებლად შეიძლება იქნას მიჩნეული? განა ამ შემთხვევაში საიდანღე ჩანს ერთი სახელმწიფოს ინტერესების კარნახი მეორის სუვერენობის საზიანოდ, ან, კიდევ მეტრეტის ან მეორის „ყურმოჭრილი ვასალობის“ ფაქტი? ცხადია, არა! ზედმეტაა ლაპარაკი იმაზე, რომ მსგავსი ურთიერთშეხვედრები და შეთანხმებები მრავალი იცის საკუთრად საქართველოსა და საერთოდ მსოფლიოს ისტორიამ.

როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოს საშფეოს მიერ კიევის რუსეთთან კავშირის დამყარება ჩვენ საქართველოს სიძლიერისა და საერთაშორისო გავლენის შორეულ ჩრდილოეთში გავრცელების მიუწყებლად მივიჩნევთ და არა ჩრდილოეთის „ყურმოჭრილი ვასალობის“ ნიშნად. ასე რომ, უნებლიეთ დასმული კითხვა: მართო უმისამართო კი არა, საესებით უადგილოც არის. ამის გარდა, ისიც კარგად ჩანს, რომ არც დავით აღმაშენებელი და არც მისი სახელმწიფო ამ შემთხვევაში ჩვენ პროფ. ი. ცინცაძის „დასაცავად“ არ გაავიხდია. ოლონდ დასანანი, რომ ასეთმა და მსგავსმა უადგილო გამოსარჩლებამ შეიძლება უფრო მეტი ზიანი მოტრანოს საქართველოს ისტორიის კვლევას, ვიდრე ნილიზმმა.

ჩვენს სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევში — „დადგორის ბრძოლაში“, არც ადგილი იყო და არც აუცილებლობა აშემაღ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სათანადო დოკუმენტები და მასალები მოგვემარჩევიბინა. მაგრამ, რაკი პროფ. ი. ცინცაძემ ეს საკითხი ისევ წამოჭრა, აუცილებელი ვართ ზოგი დამატებითი მასალა მოვწოდოთ მკითხველს, მით უფრო, რომ ზენეი კრიტიკოსის კიდევ ერთი შენიშვნა სათანადო პასუხსა და განმარტებას მოითხოვს.

პროფ. ი. ცინცაძე წერს: „რუსულ მატონეებში ხომ სავანებოდ აღნიშნულია, რომ მონომახსმა 1116 წლის წინა წლებში დაბრუნული ყრფიანების ისევ ასაულებად თავისი შეილი — მთავარი იარაღოლი გამოგზავნა. მას დავა-

ლება შეუსრულებია, ყრფიანების ბინაის ცენტრში მათი სამი „ქალაქი“ აუცილებელი და ტყვეებით და ნადავლით დაბრუნებულა. 1120 წ. იარაღოლი ისევ გაუგზავნა ვლადიმერს ყრფიანთა დასარბევად, მაგრამ მას ყრფიანები ვერ უპოვია და უკან დაბრუნებულა.

გარკვეულია, რომ მდინარე დონეის მხარეში მცხოვრები ყრფიანთა ტომები აღმაშენებელის სიმამრის — ათრაქა შარალანის ძის ზელჯეითინი 1118—1120 წლებში საქართველოში არიან, მაგრამ ბრძოლებში მოწყობის დროს იღებენ, და თურქეთთან ამ საქმის გამო „შეთანხმება მიღწეული იყო“, ის ვეღარ გაიგეს კიევის ზელჯეით მყოფმა მთავრებმა, მათი დუქინებელი მტრის ათრაქა შარალანის ძის მორჩილი ყრფიანები თავის ძველ ბუნავში არ იქნებოდნენ? რაღა საჭირო იქნებოდა 1120 წელს კიდევ მათს დასარბევად ლაშქრობის მოწყობა?“ (გვ. 213—214). აქედან გამომდინარე, პროფ. ი. ცინცაძე კატეგორიულად დასკვნის: მაშასადამე „არავითარ შეთანხმებას ადგილი კიევის მთავართან არ ქქონია“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ამის უტყუარ საბუთად, რომ კიევის მთავარსა და საქართველოს მეფესთან არავითარი შეთანხმება არ მომხდარა, პროფ. ი. ცინცაძეს ყრფიანთა საქართველოში გადმოსახლების შემდეგ რუს მთავართა მიერ 1120 წელს მოწყობილი ლაშქრობა მაინია. თუ კი მათ იცოდნენ, რომ ყრფიანები საქართველოში გადაიყვანეს, რისთვის იყო ეს ლაშქრობა საჭირო, ყრფიანები ხომ იქ აღარ იქნებოდნენო, სამართლიანად კითხულობს პროფ. ი. ცინცაძე. მაგრამ საქმე ის არის, რომ წინააღმდეგ პროფ. ი. ცინცაძის მტკიცებისა, ყველაფერი ეს კარგად იცოდნენ რუსმა მთავრებმაც და მემპრიაინებმა.

მას შემდეგ, რაც ვლადიმერ მონომახი ჩაუდგა ყრფიანების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში და განსაკუთრებით 1116 წლიდან, ყრფიანების წინააღმდეგ მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ, შარეთაინის (ქართული შარალანის) მემკვიდრეთა წელში გაწვეტილმა ურდომ ოტრაკის (ქართ. ათრაქას) მეთაურობით, შემდეგ წელს, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილო კავკასიისაკენ გადაინაცვლა და სწორედ ამის შემდეგ მოხდა მათი ჩამოსახლება საქართველოში. მაგრამ, ეს სრულებით იმის არ ნიშნავს, რომ ყრფიანთა მთელი მასა გადმოსახლება საქართველოში და მათ ძველ სამყოფელზე არიან დაბრუნებულა. ერთი დიდი ნაწილის თავიდან მოშორების შემდეგ ბრძოლის გავრცელება იყო საჭირო ამ ნარჩენთა წინააღმდეგ და სწორედ ამას ისახავდა მიზნად 1120 წ. მოწყობილი ლაშქრობა დონს იქით. რუსი მემპრიაინე წერს: 1120 წ. «Простав ходи на Половци за Дон и не обрел их, воротися



опять». რა თქმა უნდა, ამ მოკლე ცნობიდან სრულებით არ ჩანს ყვიჩაყთა რა ნაწილის წინააღმდეგ იყო მოწყობილი ეს ლაშქრობა და ვინ, რომელი პანაკი არ დახვდა იქ მოლაშქრეებს. მაგრამ, სავსებით მართებულად წერს ამ ცნობის გამო ვ. ვ. ალინი, «В 1120 г. русское войско еще раз ходило на половцев за Дон. Однако, нагнанные преследующими походами, остатки придонских половцев отступили, и русские возвратились, «не обрета их»».

როგორც ვხედავთ, რუსმა მთავრებმა კარგად იცოდნენ თუ ვის წინააღმდეგ გამოდიოდნენ 1120 წელს; ამასთანავე, ისიც კარგად ჩანს, რომ იპროსლავი და მისი თანმზღვებნი უკვე საქართველოში გადახვეწილ ყვიჩაყებს კი არ ეძებდნენ დონს იქით, არამედ პირიქით, ყვიჩაყთა დიდი ნაწილის საქართველოში გადახვეწეთ ისარგებლეს რუსმა მთავრებმა და შეუტრეს დასუსტებულ და შეთხლებულ რაზმებს, რომელთაც მოუსწრით, გაქცეულნი და თავი ატრიალებთ ბრძოლისათვის. აი, რატომ ვერ ნახეს ისინი რუსმა მოლაშქრეებმა და აი, რატომ გაბრუნდნენ რუსი მთავრები უბრძოლველად უკან. ესეც რომ არ იყოს, განა წარმოსადგენია, რომ ყვიჩაყების წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლ და მათი ყოველი ადგილგანადანკლუებით დაინტერესებულ რუს მთავრებს არ სცოდნოდათ, ვერ ვაუგოთ, ყვიჩაყთა 40.000 ოჯახის საქართველოში გადასვლა, ვ. ვ. ალინი თუ რა მოხდა ყვიჩაყთა ცხოვრებაში 1116-დან 1120 წლებამდე?

მთავარი და მთავარი შინკი თითო რუს მემკვიდრეთა ცნობა, რომელიც კარგად მოგვსვენება პროფ. ი. ცინცაძეს და მისი ვრცელი ანალიზიც კი აქვს მოცემული თავის ნაშრომში¹, მაგრამ, ჩვენთან კამათის დროს მას სავსებით გვერდი აუარა, ალბათ იმიტომ, რომ ეს ცნობა დიამეტრულად ეწინააღმდეგება ყოველივე იმას, რასაც ეს ჩვენ მიერ ზემომოტანილ ამონაწერებში ამტკიცებდა.

ვოლინელი მემკვიდრე ვოლინისა და გალინის დიდი მთავრის რომანის დახასიათების დროს

¹ Полное собрание русских летописей, т. I, изд. II, Л., 1927, სვეტი 292.

² В. В. Алини, Половецкое нашествие. Вопросы истории, 1969, № 1, стр. 144; В. Т. Пашута, Внешняя политика древней Руси. М., 1968, стр. 204.

³ რუს მთავრებს ასე ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ ვაუშვიათ სხვა დროსაც. ასე მაგ., ყვიჩაყთა დიდი მასის ბიზანტიაში ლაშქრობით ისარგებლა 1095 წ. ვლადიმერ მონომახმა და რუსულ სამთავროს საზღვრებთან დარჩენილი ყვიჩაყთა ნაწილები სასტიკად გაანადგურა (იხ. ვ. ალინი, დასახ. წერილი, გვ. 141).

⁴ იხ. ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 188-201.

იხსენიებს ვლადიმერ მონომახს და, სხვათაშორის, წერს:

«Решивши бо дедоу ~~всего~~ махому погубившему поганя измалыми рекемы половиши изгнавши Отрока во Обезы, за Железна врата».

პროფ. ი. ცინცაძე ამ ადგილს შემდეგნაირად თარგმნის: «ეციბრებოდა თავის პაპის მონომახს, რომელმაც დალუბა უწმინდურნი, ყვიჩაყებად წოდებულნი, განდევნა რა ოტროკი აფხაზეთში (საქართველოში) ტყინის კარებს იქით»².

როგორც ვხედავთ, რუსმა მემკვიდრეებმა ვლადიმერ მონომახის მთავრობიდან საკმოდ დროს გასვლის შემდეგაც, კარგად იცოდნენ ყვიჩაყთა განდევნაც და ისიც, თუ სად განიდევნენ ისინი, რომელ კარებს იქით და რომელ ქვეყანაში. აქი თვით პროფ. ი. ცინცაძე ამ ცნობის ანალიზის შემდეგ დასკვნითა: «რუსულ წყაროში მოთხრობილი ამბავი, ვლადიმერ მონომახის მიერ ყვიჩაყთა ტომის და მათი ბელადის „ოტროკის“ საქართველოში განდევნის შესახებ, წარმოადგენს იმავე ფაქტის აღნუსხვას, რაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს მოთხრობილი, ყვიჩაყთა ტომის და მათი ბელადის ათრაქა შარადანის-ძის საქართველოში გაღმოსახლების შესახებ»³. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგაც შეიძლება საუკვოდ მიიჩნიოს პროფ. ი. ცინცაძემ, «გათვს თუ არა», (იცოდნენ თუ არა) კიევის ხელქვეითყოფმა მთავრებმა მათი დაუძინებელი მტერის ათრაქა შარადანის-ძის მორჩილი ყვიჩაყებს» ადგალსამყოფელი?

ამითი უქვეველი ცნობით კი საფუძველი ვცლებდა პროფ. ი. ცინცაძის ერთადერთი სახელის და მასზე დამყარებულ კატეგორიულ მტკიცებას. «არავითარ შეთანხმებას ადგილი კიევის მთავართან არ ჰქონია» (გვ. 214). ეს კატეგორიული მტკიცება ზომ პროფ. ი. ცინცაძემ, როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, სწორედ კიევის ხელქვეით მთავართა⁴ მიერ XII ს. 20-იან წლებში ყვიჩაყთა ადგილსამყოფელის უცოდინარობაზე დაამყარა!

ამ საკითხზე დავა ჩვენ შეგვეძლო საწინააღმდეგო მოსაზრებით დავემთავრებინა და აღვევიწინა: რაკი კიევის მთავრებსა და რუს მემკვიდრეებს ასე კარგად სცოდნოთ ყვიჩაყთა საქართველოში გადასახლების ამბავი, მასშასაძამე, კიევის მთავარსა და საქართველოს შორის შეთანხმებაც თავის დროზე მიღწეული უოფილა. მაგრამ ეს ალბათ არ დაეკამყოფილებდა პატივცემულ მეკლევარს და საქიროდ მიიჩნევთ კიდევ ერთ ვარაუდობასაც მივაქციოთ მისი უფრადლება.

¹ Полное собрание русских летописей, т. II, изд. II, СПб, 1908, სვეტი 716.

² ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 190.
³ იქვე, გვ. 201.

როგორც ეკონომიკური მემარტიანის ცნობიდან ჩანდა, თვით მემარტიანე (მაშასადამე, იმდროინდელი მმართველი ზედაფენებიც) ყოფიანების „რკინის კარებს“ იქით საქართველოში განდევნას ვლადიმერ მონომახის დიდ ღონისძიებდა, მის დამსახურებდა მიიწვედა და არა საქართველოს მეფისა, რომელმაც ეს ღონისძიება ფაქტიურად გაატარა და ურომლისოდაცხადია კიევის დიდი მთავარი ამ მხრივ ვერაფერს გააკეთებდა, მაგრამ მემარტიანის ასე კატეგორიული ცნობა მონომახის მიერ ყოფიანთა „რკინის კარებს იქით“, საქართველოში განდევნის შესახებ მონაცემს უერთად საღებდა და არ შეიძლება სრულიად უსაფუძვლო იყოს. ჩვენი აზრით, ეს ცნობა სწორედ იმაზე უნდა მიგვიითიფებდეს, რომ ამ აქტში (ყოფიანთა განდევნისას) კიევის მთავარს მართლაც რამენაირა მონაწილეობა უნდა მიეღო, რაც, რა თქმა უნდა, კიევის მთავრისა და დავით მეფის „სარწმუნო კაცთა“ მხოლოდ მოლაპარაკებასა და შეთანხმებასა უნდა გეულისმობდეს, უმისოდ მართლაც, შეუძლებელი იქნებოდა ასე „გრანდიოზული წამოწყების“ წარმატებით დავეიარგვიანება.

• • •

პროფ. ი. ცინცაძის სხვა შენიშვნების მიზეზი ვამხდარა ჩვენი წიგნი „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, რომელიც 1962 წ. გამოქვეყნდა და სადღე მარტო XII ს. თბილისისა კი არა, არამედ და საუკუნის საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხის აღძრული. მაგრამ პროფ. ი. ცინცაძის ჩვენი წიგნის საერთო შეფასება არ ჰქონია მიზნად და არსებითად მხოლოდ ერთ-ერთ საკითხზე გამოთქვა შენიშვნები და, ისიც, — სხვა საკითხებისა თუ პრობლემებისაგან მოწყვეტით. ამან კი, ბუნებრივია, შენიშვნებს ერთგვარად ცალმხრივი და ნაკლები სახე მისცა.

ამასთანავე, პროფ. ი. ცინცაძის ერთსა და იმავე საკითხზე გაბნეულად, სხვადასხვა გვერდზე ბევრ საუბარი და ჩვენც იძულებული ვართ, უშუალოდ შემთხვევაში ავტორის თანმიმდევრობას მივყავით.

უშმაგრესი საკითხი, რომლის ირგვლივაც პროფ. ი. ცინცაძემ ასე ვრცელი კამათი აღძრა, XII ს. 80-იანი წლების ერთ-ერთი ქართველი დიდი მოხელის აბულასანის სოციალური ვინაობის საკითხია. აბულასანის სოციალური უთენილებლის გარკვევა მნიშვნელოვნად შეუწეობს ხელს XII ს. საქართველოს ისტორიის ზოგი პრობლემის შესწავლას.

აბულასანის ვინაობის შესახებ საკმაოდ ვრცელი და, ჩვენი აზრით, დამაყრებელი მსჯელობა გავმართეთ დასახლებულ ნაშრომში (გვ. 110—144). ბუნებრივია, ამ საკითხთან დაკავშირებით ვხა და ვხა მოგვიხდა სხვა ავტორის, მათ შორის პროფ. ი. ცინცაძის, მოსაზრებების განხილ-

ვატ. როგორც ჩანს, სწორედ ეს იქნა მისი პოლემიკური წერილის მეორე ნაწილი (გვ. 115—121) საკითხების ხელახლა აღძრვის მიზნით.

პროფ. ი. ცინცაძემ, აბულასანის ვინაობის დასადგენად, როგორც თვითონ აცხადებს, „გულდამსით ვადასინჯა“ XII ს. მეორე ნახევრის წყაროები და დაასკვნა: „ასეთი მუშაობის ჩატარების შემდეგ ჩვენ შ. მესხიას მოსახრებათა გაზიარება არ შეეგვიძლია“ (გვ. 215).

იქვე, იგი მოკლედ და შემდეგნაირად გადმოკვიტებს ჩვენს მოსაზრებასაც: „ხსენებულ ნაშრომში შ. მესხიას კონკრეტული არსებითად აბულასანის თავისებურ ვაზრებზეა აყვებულ. აბულასანი, პროფ. შ. მესხიას მტკიცებით, დიდებულ ფეოდალთა ფენიდან გამოსული პიროვნება კი არ არის, არამედ ვაჰართა ინტერესებში, მოქმედი ისტორიული პირია. ის პატრიცეზული მკვლევარის მტკიცებით, საქართველოში სახელმწიფოს სატაქტიკო ქალაქის თბილისის „კომუნის“ მეთაურად არის შეფის მიერ დადგენილი“ (გვ. 216). ამ ამონაწერში ჩვენი მოსაზრებები არახსენებულ და შეუსაბამოდ არის გადმოცემული. აბულასანი ჩვენ არსად ასე ხელაღებით „ვაჰართა ინტერესების“ დამცველად არ გამოვიცხადებთ და არც „ვაჰართ“ მივიჩნევთ. როგორც ამას ძალიან ხშირად და, ალბათ, გარკვეული მოსაზრებით, რატომღაც მოგვეწერს პროფ. ი. ცინცაძე, თუ სწორად უნდა ვადასინჯო ჩვენი მოსაზრება პროფ. ი. ცინცაძის, საჭირო იყო აღვნიშნა, რომ აბულასანი, შ. მესხიას აზრით, „თბილისის მოქალაქეთა ზედაფენის, მის მოწინავე წრეს ეკუთვნოდა“, და „მესამე წოდების“ ინტერესებს გამოხატავდა“, როგორც ეს ჩვენ არაერთგვარ აღნიშნული გვაქვს ჩვენს ნაშრომში (გვ. 115, 121 და სხვ.).

ვაჰარიც არის და ვაჰარიც, ვაჰართა შორის XII საუკუნეში „დიდავტრებიც“ იყვნენ, „ვაჰარებიც“ და „ყმავეტრებიც“; მათი სოციალუ-

1 ი. ცინცაძე საქმეს ისე წარმოვიდგენს, რომ ჩვენ თითქმის ყველაზე მხოლოდ ვაჰარებს ვიხსენებთ და მათზე ვსაუბრობთ: მაგ., „აბულადენე თუ არა ვაჰარის ქალაქის ამირობას“ (გვ. 216); „აფრიოდინ... და ყუბასარი ვაჰარები არ იყვნენ“ (იქვე); „გრიგოლ ბაყურიანი ვაჰარი არ ყოფილა“ (გვ. 221); აბულასანი დარბაზის წევრია, როგორც „გვაროვნული დიდებული“ და „არა ვაჰარობით“ (გვ. 222); შ. მესხიას აზრით, „აბულასანი ვიორტი რუსის ჩამოსვლაზე ვაჰარი იყო“ (იქვე); „მთავარ ეპისკოპოსობას ვაჰარები და მათი შვილები აღწევდნენ განა?“ (გვ. 222); „ვაჰარი აბულასანი ამირად დაინიშნა“ (გვ. 223) და სხვ. ამაში არის ჩვენი აზრით, პროფ. ი. ცინცაძის შენიშვნათა დიდი ნაწილის უსამართლობის მიზეზი.

რი და პოლიტიკური ინტერესების გაერთიანება-გათანაბრება ჩვენ აზრად არ მოგვსვლია და, ცხადია, მოქალაქეთა ზედადენის დიდგაქარფინანსისტოა წრის, „მესამე წოდების“ წარმომადგენელს საერთოდ „გაქართა ინტერესებით მოქმედ ისტორიულ პირად“ ვერ მივიჩნევდით.

მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რასაც წემოთმოყვანილი ამონაწერის მეორე ნაწილი შეიცავს. თუ პროფ. ი. ცინცაძეს დავუჭვრებთ, ჩვენ თერმე ვამტიკებთ—აბულასანი „თბილისის „კომუნის“ მეთაურად არის მეთვის მიერ დადგენილი“. ეს კი სავესებით მოულოდნელი იყო. საქალაქო კომუნა თავისთავად ქალაქის დამოუკიდებელ თვითმმართველობას გულისხმობს და ქალაქის სრულ დამოუკიდებლობასაც. ამიტომ, ბუნებრივია, ის გამოირიცხავს ქალაქის სიუზერენის, მფლობელ-ფეოდალისა და, მიუხედავად, ქალაქში მის მიერ დანიშნულ მოხელის განმგებლობას. მთელი ჩვენი წიგნი სწორედ ამ საკითხის მტიკებას მიეძღვნა და ნათე გაუფხვბარი აღმოჩნდა ი. ცინცაძისათვის ეს სავესებით ელემენტარული კეშმარტება, რომ თბილისში კომუნის არსებობის დროს მეფის მიერ დადგენილი გამგებელი არ შეიძლება ყოფილიყო? ან კიდევ ის, რომ თუ ქალაქს მეფის მიერ დანიშნული მოხელე ვინაგებდა, ქალაქს არ შეეძლო კომუნის უფლებით ესარგებლა? ასე რომ, ჩვენ მეფის მიერ „კომუნის მეთაურად“ მოხელეთა დანიშვნის შესახებ კი არ ეწერათ, არამედ თბილისის კომუნის გაუქმების შესახებ ქალაქის გამგებლად მეფის მოხელეთა დანიშვნის შესახებ (ასტვლასანიც ასეთ მოხელედ მივაგანია).

შესანიშნო როგორც ჩანს, პროფ. ი. ცინცაძეს სხვაც ბევრი ჰქონია და სავესებით ვაუგებბარი, რად დასჭირდა ასეთი უაზრობის მტიკება ჩვენთვის მოეწერა.

მაგრამ დავებრუნდეთ ისევ აბულასნა და მის ეინაობას. ჩვეს ნაშრომში აღნიშნული ვუქვს: „როგორც, სათანადო მასალებიდან ჩანს XII-XIII სს. მას შემდეგ, რაც თბილისში საქალაქო კომუნა მოისპო, საქართველოს მეფეებმა ქალაქის გამგებლებს თვით ნიშნავენდენ, მაგრამ მოქალაქეთა პრივილიგირებული ზედა ფენიდან, დიდგაქარფინა და ფინანსისტების წრიდან... ეს იყო სამეფო ხელისუფლების ერთადერთი დამობა ამ წრისადმი, საქალაქო კომუნის გაუქმების შემდეგ“. პროფ. ი. ცინცაძეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონს ეს დასკვნა და წერს: „ისტორიულ ძეგლებში დაუტული ამის დამდასტურებელი არც ერთ ცნობა შ. მესხიას არ მოუტანია, პირიქით ყველა ცნობა, რომელიც დღემდე გამოცემულ მასალებში ვი-

პოვეთ, შ. მესხიას დებულებების წინააღმდეგ მტყუველებს“ (გვ. 216).

შართალია, საქართველოს მეფეთა მიერ თბილისში დანიშნულ ამირათა შესახებ მასალები გვაქლია, არა თუ მასალები, ზოგ გამოჩაქლისს გარდა, ამირათა სახელებიც კი არ ვიცით (ესეც არ არის შემოთხვევითი — ფეოდალური არისტოკრატია და მათი იდოლოგისი და მცველები—იმდროინდელი ისტორიკოსები, სხვა მოვლენებთან დაკავშირებით თუ ასვენებდენ, თორემ ისე საჭიროდ არ მიიჩნევდენ ასეთ პირთა დასახელებას) და ამიტომ მცველვარს ამ მტიკრ მასალით უხდება მსველობა. ეს მტიკრ მასალა კი რაც ეძებალასანის, ყუთლო-ახლანისა თუ სხვა მსვაეთა შესახებ მოგვუპოვება, ჩვენ მიერ მოტანილი და მაქსიმალურად გამოყენებული იყო კიდევ და არ ვიცით, რატომ მოგჩვენა პროფ. ი. ცინცაძეს, რომ „ისტორიულ ძეგლებში დაუტული მასალები“ არ გავითვალისწინეთ. ეს რომ შართალიც ასე იყოს, ცხადია, მაშინ პროფ. ი. ცინცაძეს ჩვენთან ასე ურცელი კავათის გამართვაც არ დასჭირდებოდა.

ახლა იმ მასალების შესახებ, რომლებიც თერმე ჩვენი „დებულებების წინააღმდეგ მტყუველებს“. პროფ. ი. ცინცაძეს სურს დაამტიკოს, რომ ამირებად თბილისში მხოლოდ დიდგვაქარვანები ინიშნებოდენდენ და ამის საბუთოდ სხვადასხვა მასალის გვთავაზობს: „წყაროში დავით აღმაშენებლის დროს მოხსენიებულია ამირა ლიბარტი ბაღვაში. გიორგი III-ის დროს, დემნა ბატონიშვილის განდგომილების წლებში (1177-1178 წ. წ.) მეფის მხარეზე და აყანყებულთა წინააღმდეგ იბრძვის „ამირა ბეტი“ თბილისის ქუჩად ი. სომხური წყაროებიდან ჩანს, რომ ეს „ქუჩრი“ ივანე და ზაქარია მხარგრძელების ბიძაა. ამ „ქუჩრის“ ერთი და სარვის მხარგრძელის მეუღლეა. მას გიორგი III-მ სარდლობა მიანდო აყანყებულთა წინააღმდეგ და გიორგი III-მ მოწინააღმდეგენი სასტიკად დაამარცხა. თამარ მეფის პირველ ისტორიკოსს იქ, სადაც კარის (ყარსის) დაპყრობის ამბავი აქვს მოთხრობილი, აღნიშნული აქვს: „ხოლო მეფემან აილო და მიუთვალა (sic) კარის მცველად ახალციხელი ივანე და აინდა მოსამარცხელ და უბოძა ათაბაგობა და ამირათა-მირობა“ (გვ. 216).

1. პროფ. ი. ცინცაძეს ამონაწერიც არ აქვს ზუსტად მოტანილი. ისტორიკოსი წერს: „მეფემან აილო და მიითვალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 92). როგორც უხედავთ, მეფემ კარი ივანეს კი არ „მიუთვალა“ (მისცა), როგორც ეს პროფ. ი. ცინცაძის მიერ არასწორად მოტანილი ამონაწერიდან ვამოღდის, არამედ თვით „მიითვალა“ (აილო თავისად), ივანე კი მხოლოდ მის მცველად დეტოვა.

1 შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 117.

შევეხოთ ყველა საბუთს ცალცალკე:

ა) როგორც ვხედავთ, პროფ. ი. ცინცაძეს ლიბარტ ბაღდაში, რომელიც დავითის ისტორიკოსის მეგრ მართლაც „ლიბარტი აშირა“ და „არის მოხსენებელი, „თბილისის ამირა“ — მიანია, თორემ თავის ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მას ვერ მოიშველიებდა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთგვარ ვაუგუებრობასთან ვვაქვს საქმე. თბილისი ამ დროს არც საქართველოს მეფის ზღაპრით იყო და არც სხვა ემიგრაციის, რომ ქალაქის მფლობელს ლიბარტისათვის თბილისის ამირას თანამდებობა ებოძებინა. საქმე იმაშია, რომ ლიბარტის ამირობა ამ შემთხვევაში ჯერ კიდევ არსებული (არაბთა მფლობელობის დროიდან მომდინარე) ტრადიციის მიხედვით, მხოლოდ „ქართლის ამირას“ სინონიმით იყო და ქართლის ერთი ნაწილის ერისთავობის ვულისხმობდა. თბილისის საამიროს საკუთრივ თბილისის ტერატორიით შეზღუდვის შემდეგ, „ამირობა ქართლისა“ (შტრ. აღრიწდელი „ამირა ქართლისა და თბილისისა“) ქართველმა დიდებულებმა მიიყუთვეს (ამ შემთხვევაში როგორც ჩანს ლიბარტმა). აი, რას წერდა ივ. ჯავახიშვილი ყოველივე ამის შესახებ: „დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ წლებშივე „ლიბარტი ამირა“ მოხსენებელი, ტფილისი კი მხოლოდ დავითის მეფობის უკანასკნელ წლებში, 1122 წ. იყო აღებული. მანამდე, ამირობის თანამდებობის არსებობა ტფილისის დაპყრობით არ ყოფილა გამოწვეული. თუ ლიბარტის ამირობის დროს ტფილისი ჯერ კიდევ ტფილისის ამირას (არაბი მოხელის, შ. მ.) ზღაპრით იყო, სამაგიეროდ ტფილისის საამიროს მამულები უკვე დაპყრობილი ქართლშია და, თვით ქალაქს გარდა თბილისის მთელი სანახები ქართველებს ეკუთვნოდათ. აი სწორედ საამიროს ყოფილი მფლობელის შემოერთების დროს შეიძლება ვაჩვენოთ პირველად საქართველოშიც ქართლის ამირას თანამდებობა“¹.

განმარტება საქრო არ არის — ლიბარტი ბაღდაში, მართლაც ძირძველი აზნაური და დიდებული, თბილისის კი არა, ქართლის ამირა და თბილისის საქალაქო მოხელეობასთან მას საქმე არა აქვს. ასე რომ, „ლიბარტის ამი-

რობა“ პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრებას სსსრ-გებლოდ ვერაფერს ვუვებნებ.

ბ) თბილისის ამირებად დიდებულიებს ნიშნავდნენ, ამის შესახებ დასაბუთებულ საბუთად პროფ. ი. ცინცაძის ვიორგი III დროს, ორბელიანთა აჯანყების ჩაქრობასთან დაკავშირებით, „თბილისის ამირაბეტად“ მოხსენებული ქურდი მიანია. მას კი, პატივცემული მეკლეგარი, ზაქარია და ივანე მხარგებლების ბიძად, ე. ი. სარგის მხარგრძელის ცოლისძმად და, მანამდე სომეხ დიდებულად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში პროფ. ი. ცინცაძე, როგორც თვით აცხადებს, სომხურ წყაროებს ეყრდნობა, თუმცა ამ წყაროთაგან არც ერთი საგანგებოდ დასახელებული არა აქვს.

სანამ საკუთრივ სომხურ წყაროების ვაზილ-ვახე ვადავილოდეთ, აქვე გვინდა შევიხსნათ, რომ პროფ. ი. ცინცაძეს „ამირაბეტი ქურდი“ თავის ნაშრომშიც („ძიებანი“) ჰყავს დასახელებული და, სინტერესოა, რომ, მისი აზრით, ამირაბეტობა არ უნდა ნიშნავდეს თბილისის ამირათ-ამირობას². მაგრამ ამას თავი დაუვახებოთ და თვით სომხურ წყაროთა ჩვენებაზე შევჩერდეთ.

ვიორგი III-ის დროს მოხსენიებული „ამირაბეტი ქურდი“, დავით ჭიბაბაძის მიხედვით, ვიორგი III-ის ქეთილმსახური ა და მისთვის თავდადებული პირი: „მეფის ბრძანებით, მათ (აქანებულებს) დაედევნა კეთილმსახური თბილისის ამირთმთავარი ქურდი“³. რაც შეეხება სარგის მხარგრძელის ცოლის ძმას, იშხან ქურდს, ისევე სომხური წყაროების მიხედვით, იგი ვიორგი III-ის კეთილმსახური კი არა მტერი იყო. ქურდი თავის მამასთან ვასაკთან ერთად, რომელიც დავით V-ის (დემეტრეს ძის) მიერ იყო ვანიდებულ-ლი, ვიორგი III-მ გამეფებისთანავე ვანდენი საქართველოდან და სამფლობელოებზე ჩამოართვა.

მხოლოდ ვიორგი III-ის, რომელსაც ახლო ურთიერთობა ქურდთან იშხან ქურდთან, წერს: დავით V-მ „შეტად ვანადიდა პატივით ქალაქის ტფილისის სატრაპი ვასაკი, იშხან ვაქარამის შვილი და მისი ძმები სხვებით ქურდი და სარგისი“⁴.

როცა ვიორგი ვამეფდა, მოისურვა ვასაკ იშხანის შეპყრობა, რადგან მის მიმართ გუ-

¹ ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 157; შტრ. გვ. 154.

² გ. მთავრისაძე, ერთი სომხური წყაროდენი უფლისწულის აჯანყების შესახებ, იხ. კრებული — საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ. 1966, გვ. 264.

³ ლ. დავლიანიძე, მხოლოდ ვიორგი III-ის აღმართის ქრონიკა, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968, გვ. 46; შტრ. Мхитар Гош, Албанская хроника. Баку. 1960, გვ. 17-18.

ლიწყობა ჰქონდა... ამის გამო გაიქცა ესა-
კი თავის ძმასთან ერთად და მივიდა თეოდო-
სიოპოლში... კარნე ქალაქში... ამირამ, რომელ-
საც სალტუხი ერქვა (რაკი მის წინაშე ვასაკს
დიდი დამსახურება ჰქონდა, შ. მ.), სიხარული-
თა და პატივისცემით მიიღო ისინი და მრავალი
სოფლის გამკვებლობაც უწყალობა... ესაყბა ვა-
რდაიკელა, ხოლო მისი დროშა, საყვირი და
გამგებლობაც მისცეს მის ძმას, რომელსაც ერ-
ქვა ქურდი და იმყოფებოდა იქ დიდ
პატივით¹.

როგორც სხვა მასალებიდან ირკვევა, იშხან
ქურდმა თავისი სამფლობელოები მხოლოდ თა-
ნაგის ვამეფების და მასთან შერიგების შეზ-
ღვე დაბრუნდა და ამ თავის ძველ სამფლობე-
ლოებში შეხვდა მას მხოლოდ გოშიც XII ს.
მეორე ნახევარში.

ასე რომ, ეს იშხან ქურდი, სარგისის ცოლის
ძმა, სომეხი დიდებული, რომელსაც წყაროები
„სადუნ ქურდსაც“ უწოდებენ, დავით წ-ის
მიერ ვანდილებული, ვიორგი III-ის მიერ ვა-
ნდილებული და ამირა სალდუხის მიერ დიდი
პატივით შეწყალებული, არ შეიძლება იყოს
ვიორგი III-ის „კეთილმსახური“ თბილისის
„ამირაპეტი“ ქურდი.

ამრიგად, არსიდან ჩანს, რომ სალდუხის
მიერ სოფლების გამკვებლად დანიშნული და
იქ „დიდი პატივით“ დარჩენილი იშხან ქურ-
დი ვიორგი III-ის ისევე დაუწინაურებინოს და
თბილისის ამირაპეტად დავინშნოს. ეტყობა,
ამ შემთხვევაში არ სხვადასხვა ქურდთან უნ-
და გვეროდეს საქმე. ერთი — ვიორგის „კე-
თილმსახურიან“, ხოლო მეორე — მის მოწი-
ნააღმდეგესთან. ვიორგის კეთილმსახური ქურ-
დის „თბილისის ამირაპეტად“ და ასევე მეფის
„კეთილმსახურად“ მოიხსენიება, და არც ის,
რომ მეფემ იგი მოწინააღმდეგის ერთ-ერთ
რაზმს დაადევნა არაფერს გვეუბნება მისი დიდ-
გვარიანობის შესახებ. პირაქით, სომეხ მკლე-
ვართა (ბ. არაქელიანი, აღ. ბაბაიანი და სხვ.)
მიერ „ქურდთა“ (არწრუნთა) ეს საგვარეულო
„ოქროს წყალობით“ აღზევებულთა, „ახალი ტი-
პის“ საგვარეულოდაა მიჩნეული. სადუნ ქურდის
შვილშვილი იყო სადუნ მანკაბერდელი,
XIII ს. საქართველოს ისტორიაში ასევე საეპი-
რო ოპერაციებითაც ცნობილი.

ასე რომ, ეს მეორე საბუთიც პროფ. ი. ცინ-
ციას მხოლოდ საწინააღმდეგოდ მტყვევლებს
და არა სასარგებლოდ.

გ) აქყრად, პროფ. ი. ცინციას მესამე სა-
ბუთს — ეერძოდ, ივანე ახალციხელის ქ. კარში
(ყარსში) „ამირათ-ამირობის“ შესახებ. მართ-

ლაც, ეს დიდგვაროვანი ფეოდალი თანაბრ-
მიერ კარის „მტველად“ და „ამირათ-ამირობის“
იყო დანიშნული. კარი ბეგლარბეგის
ბილია, სანაპირო ქალაქი იყო და, მამა-
სადავამ, მას ვანსაყუთრებელი სტრატეგიული
მნიშვნელობაც ჰქონდა საქართველოს საზღვრ-
ების დაცვად და, ბუნებრივია, პირველი რა-
ში მონაპირე და დადგენილი დიდგვარისა-
თვის თვით ამ სანაპირო ქალაქის დაცვის გამ-
გებლობაც ჩაებარებინათ. მსგავსი მავალითი
სხვაეც იცის საქართველოს ისტორიაში. ბასილ
ეზონმოძღვრის მიხედვით, საქართველოში, რა-
მდენიმე ასეთი სანაპირო ერთეული იყო, რომ-
ელთა სათავეშიც მონაპირე ერისთავები
იღვწენ და, მათვე გუთვითლათ დასაცავად და
ვანსაკვებლად, სათანადო სანაპირო ქალაქებიც².

ამის გარდა, ვანა მტყვევა სჭირდება იმ
ფაქტს, რომ ქალაქთა ერთი ნაწილი, განსაყუ-
თრებით თამარის დროიდან, დიდებულთა
გამკვებლობაში იყო და მათ ჰქონდათ ესა თუ
ის ქალაქი ან „საყუთრად“ თუ „სანაპიროდ“,
ან „საქონებლად“ თუ „სახარაჭოდ“ და ფეოდა-
ლური მფლობელობის სხვა ფორმით.

ამრიგად, ამირობას სანაპირო ქალაქებში,
ან კიდევ, ქალაქების ფეოდალურ მფლობელო-
ბის ამა თუ იმ ფორმის, ჩვენთვის საინტერესო
საკითხის — ქალაქის მართვა-გამგეობაში მოქა-
ლაქეთა ზედამხედველ მონაწილეობისა და, ერ-
ძოდ, თბილისის ამირა აბულასანის ვინაობის
გარკვევაში რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების
გაწევა არ შეუძლია.

როგორც ვხედავთ, „ყველა ცნობა, რომე-
ლიც დღემდე გამოცემულ მასალებში“ პროფ.
ი. ცინციას უპოვნია, არაფერს „მეტყველებს“
შ. მესხიას მოსაზრებათა წინააღმდეგ“. ამის
კარგად გრძობებს თვით პროფ. ი. ცინციაც და
აღნიშნავს: „მოტანილი ცნობები, მართალია, სა-
ეპეოდ ხდის შ. მესხიას მოსაზრებას აბულასანის
ვაქრობაზე (sic) მაგრამ მაინც არ
არის საკმარისი იმისათვის, რომ
დაეადგინოთ აბულასანის დიდი
გვარიშვილობიდან წარმოშე-
ლობა“ (გვ. 216); და იქვე თვითვე მოქაყეს
სათანადო მავალითებიც ვიორგი III-ის დროს
„უბნობთა“, „უგვართა“ კიდევ უფრო დიდ
თანამდებობაზე, ეიღერ თბილისის ამირობა,
დანიშნის შესახებ (ნაუცივალარ ყუბასარისა
ამირსპასალარად და „ანაურის ყმისა“ აფ-

1 ბასილი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამა-
რისი, გამოცემა ივ. ჭავჭავაძის ცილისა,
1944, გვ. 23.

2 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი,
ქვეყნლიძის გამოცემა, გვ. 96 და სხვ. შდრ.
აგრ. შ. მესხია, საქართველოს ქალაქების
სოციალური ერთეულობის ისტორიიდან, „მი-
მოხილველი“, III, 1951, გვ. 83-106.

¹ იქვე, გვ. 48; Албанская хроника, გვ. 18.

² შდრ. ბ. აპარიანი, საყუთარ საბუთთა
ლექსიკონი, (იხ. „ქურდი“).

რიდონისა, კიდევ მსახურთხუცესად; მაგრამ ეს შინე და შინე არ აჯივრებს პროფ. ი. ცინცაძეს და დასძენს: „მართალია ესენი უჯვაროები, დაბალი სოციალური წარმომობისანი არიან, მაგრამ „ვაჭრები“ არ იყვნენო“ — თითქოს ვინმეს ემტკიცებინოს სადმე და ოდესმე გიორგი III მხოლოდ „ვაჭრებს“ აწინაურებდაო. თუმცა, პროფ. ი. ცინცაძის მიერ მოყვანილი მაგალითი შინე კარგად უჩვენებს საქართველოს სამეფო ხელისუფლების იმდროინდელ საშინაო პოლიტიკურ გვებს და სწორედ ეს თავისთავად იძლევა ლოკატურ დასკვნას: თუ „აზნაურის ყმა“ მსახურთხუცესობაზე შეუძლო მიღწეა, ნუთუ მოჭალაქეთა ზედმეტის წარმომადგენელს არ შეეძლო თბილისის ამირობის მიღება? და ყოველივე ამის საუცხოო მაგალითი არ არის ვინა უგვარო უფოლუ-არსლანის პიროვნება, რომელიც წყაროების მიხედვითაც და თვით პროფ. ი. ცინცაძის აღრიცხული მტკიცებითაც, „სიმდიდრის წყალობით აღზედა“ (დაწინაურდა) მუჭურტულეთხუცესის მაღალ თანამდებობაზე! და მზად იყო მალე ამირსპასალარობაზე მიეღო. უფოლუ-არსლანის პიროვნებაზე და მის ენაობაზე ჩვენ აქ შეჩერებას არ ვაპირებთ, მაგრამ შევნიშნავთ კი, „სიმდიდრით აღზევებული“ შეიძლება სწორედ ის დაბალი წარმომობის დიდვაჭარ-ფინანსისტი იყოს (და არა ებრალოდ „ვაჭარი“, როგორც უოველთვის წერს პროფ. ი. ცინცაძე), რომელსაც ამ გზით მიუღწევია ასეთი დაწინაურებისათვის.

ჩვენს ზემოდასახელებულ ნაშრომში სხვა მაგალითიც მოიყვანეთ XIII ს. შუა წლების საქართველოს ისტორიიდან იმის შესახებ, თუ რა დიდი გავლენით სარგებლობდენ დიდვაჭრები საქართველოს სამეფო კარზე და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს მაგალითები პროფ. ი. ცინცაძეზე დასახელებული კიდევ (იხ. წერილის გვ. 216-217), მაგრამ იქვე შევნიშნა: „მონღოლების ბატონობის ხანის ფაქტით მე-12 საუკუნის მოვლენების“ ახსნა შეუძლებელიაო (გვ. 217). პროფ. ი. ცინცაძე განაგრძობს: „მე-

13 საუკუნე მონღოლების ბატონობის ხანა, როცა ეპატრებს და პატრებს... ნებში ძნელად დობილ... გავირეების გამო, შეეფესთან დაწინაურება (sic!) და დაახლოება ელირისათ, ამდენად ასეთი ანალოგიები წინა საუკუნის მოვლენების დასადგენად არ გამოგვადგება და აბულასანის „ეპატრობის“ (sic!) საკითხიც უნდა მოიხსნას“ (გვ. 224).

რაკი ჩვენ მიერ მოტანილი საბუთები ასე მიუღებლად მიუჩნევია პატრიცეუმელ ავტორს, იძულებული ვართ მას იმავე წიგნში მოითხოვბული სხვა მასალაც შევახსენოთ, უკვე XII საუკუნისა, თამარის დროისა. ვგულისხმობთ „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო აღვიღს, სადაც მაღალ ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლის შოთა რუსთაველის მიერ შესანიშნავად არის გადმოცემული ეპოქის სტლიკეუთება სამეფო ხელისუფლებისა და დიდვაჭრების ურთიერთობასთან დაკავშირებით. შოთა რუსთაველი, როგორც მაღალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენელი, ზემოდან დაყურებს (ე. ი. დიდვაჭარს) ასე ახასიათებდა: „ცვაფი, უწრფელი, მსწრომელი“ და შინე, იგი იძულებული იყო ხელმწიფისა და ეპატრთხუცესის ფსენის ურთიერთობის შესახებ პოეტრიად ეთქვა:

„უსენ მოვიდა, ხელმწიფე დახედა ნადიმად
 მჭლომელი,
 უსენ არ იფი მე ფისა, მე ფეცა
 მისი მდომელი,
 წინა მიისე, შეიძენა, ძღვენი მიართვა
 რომელი.
 აწ ნახო მთვარაი ეპატრი, ცვაფი,
 უწრფელი მსწრომელი“.

როგორც ვხედავთ, ეპატრთხუცესი ხელმწიფის „არიფად“. მასთან დაახლოებულ პირად, მის მეგობრად არის მიჩნეული; ამასთანავე — თვით „მე ფეც მის მდომელად“, ამ მეგობრობის მოწადინებელი; მეფესთან ასეთი სიახლოვე „მონღოლების ბატონობის დროს საერთო გაპირეების გამო“ კი არ აღირსებია“ დიდვაჭრებს, არამედ ეპოქის მოთხოვნილებით. არა ვგუგონია, რომ პროფ. ი. ცინცაძე „ვეფხისტყაოსნის“ მონღოლების ბატონობის დროს დაწერილად მიიჩნევდეს.

შესადარებლად საინტერესოა შეითხველს აქვე გვაეცნოთ კარავო განმაცლის ერთი ცნობაც, რომელიც კარგად გამოხატავს მეფისა და დიდვაჭრის უმეკის ასეთსავე ურთიერთობას,

1. ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 147; გვ. 160-161; შტრ. ივ. ქავახიშვილი ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 159. 160. ი. ქავახიშვილის მოსაზრება ამ საკითხზე დამოწმებული აქვს პროფ. ი. ცინცაძეს და არასებობად იმეორებს მას. ივ. ქავახიშვილი კი, როგორც ცნობილია, უფოლუ-არსლანის „უგვაროდ“ და „სიმდიდრით აღზევებულად“, ხოლო მის დასს „სიმდიდრით აღზევებულთა დასად“ მიიჩნევდა.

2. ჩვენი მოსაზრებანი უფოლუ-არსლანზე, თუ მკითხველს დაინტერესებს, შეუძლია ნახოს „თბილისის საქალაქო კომუნის“ 100-110 გვერდზე.

1. ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, სტროფი 1153; შტრ., შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 117.

ოღონდ მონღოლთა ბატონობის დროს. კირაკოსის სიტყვით, თბილისში ვადმოსახლებული კარინელი „მდიდარი ეპარხი... ქართველთა მეფის დაკითხის შაჰად იწოდებოდა“¹ და მასთან მჭიდრო ურთიერთობაში იყო. ობიექტური შეითხველი, ალბათ, დიდ განსხვავებას ვერ ნახავდა ერთი მხრივ, უსენისა და მისი ხელმწიფის, ხოლო, მეორე მხრივ, უმეცისა და დავით ულუს ურთიერთობათა შორის. როგორც ჩანს, სამეფო ხელისუფლებისა და დიდებულ-ფინანსისტთა ურთიერთობის თვალსაზრისით, მონღოლთა ბატონობის პერიოდში, თამარის დროიდან 30-40 წლის შემდეგ, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა, როგორც ამაში პროფ. ე. ცინცაძე ვგარწმუნებდა.

მაგრამ დავებრუნდეთ ისევ XII საუკუნეს. საუბრნალო წერილის ფარგლები შესაძლებლობას არ გვაძლევს ვრცლად შევეჩერდეთ იმ ცვლილებებზე, რაც XII ს. საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში ხდება, მაგრამ ვაკვირით მიიხედვით უნდა შევნიშნათ, რომ დიდებულები და ფინანსისტები, მოქალაქეთა ზედაფენის წარმომადგენლები „უმაკაპრები“ ან უბრალოდ „ვაკრები“ კი არ იყვნენ, როგორც პროფ. ე. ცინცაძეს წარმოუდგენია, არამედ ისინი, ვინც თავანთი სიმდიდრის წყალობით ცდილობენ ვაეტოლდნენ ფეოდალურ არისტოკრატისა და შეიძინონ ყველა ის ნიშანი, რაც აუცილებელია მაღალ ფეოდალურ საზოგადოებრივ წრეში გავლენის მოსაპოვებლად, როგორც მიწა-მამულეების, ასევე თანამდებობათა მოპოვების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ გარკვეულ ინტერესს იწვევს ქართველთა მფლობელობის დროს XII ს. მიწურულს ქ. ანისში მცხოვრები სომეხი ქალღვთისმეტყველები (გაქართველები სომეხი) ტივრან პონენცი, რომელიც, ნ. შარის სიტყვით, უვგარო იყო, მაგრამ, დიდებულად გახლდეთ და დიდი შემამულე:

«Тигран — типичный для своей эпохи капиталист... это mutatis mutandis и банкир своего времени, дававший крупные ссуды под залог недвижимых имуществ, оставшихся затем, обыкновенно, на практике, за ними или затем, за кем он пожелал бы закрепить их... Очевидно, происходил переход княжеских и дворянских вотчин в руки крупных капиталистов»².

ტივრან პონენცის სოციალური სახე არ იყო გამონაკლისი. იგი ჩვეულებრივი წარმომადგენელია მოქალაქეთა იმ ზედაფენისა, რომელიც სწორედ ამგვარი გზით თანდათან იძენდა იმ

ნიშნებს (ქონება, თანამდებობა, მამულა), რომელიც მას ფეოდალურ საზოგადოებრივ წრეებში აძლევდა. დიდი გავლენის მქონე მოქალაქეობისა და ამავე დროს ასეთი პირები იყვნენ მართლაც სათანადო ცვლილებების, სიბაზლის შემტანი მათსავე წარმომავალ ფეოდალურ საზოგადოებაში.

ასე წარმოიშვნენ და ამავე გზას აღგნენ XII-XIII საუკუნეების თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ახლებანი, ყუთლუ-არსლანი და ბევრი სხვა, რომელთა სახელები ისტორიამ, სამწუხაროდ ვერ შემოგვინახა. მაგრამ მათი არსებობის უარყოფა XII-XIII სს. მიჯნის საქართველოს ისტორიის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორის უგულებელყოფად უნდა მივიჩნიოთ, რაც, რა თქმა უნდა, ამ დიდი გარდატეხების ეპოქის გაგებას ხელს ვერ შეუწყობდა.

XII საუკუნე, XIII ს. დამდეგი საქართველოს ისტორიაში ის ეპოქაა, როდესაც ქალაქები და, მამასადასე, მისი ძირითადი მოსახლეობა დიდებულ-ფინანსისტები, ვაჭრები და ზელოსნები სამეფო ხელისუფლების, მეფის ტახტის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენად, მის გამამაგრებლად არიან ქცეულნი. ჩვენ ეს მოსახლებაც ისევ ზეპირ განცხადებდად რომ არ მოიჩვენოს პატივცემულ პროფესორს, საქართველოში მივიჩნევთ აქვე მოვიტანოთ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან ერთი ადგილი, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე ყურადღების გარეშე რჩებოდა და სათანადოდ განმარტებულიც არ ყოფილა.

გიორგი III-ის მიერ ქ. ანისის აღებასთან დაკავშირებით „ისტორიანი და აზმანი შარაქანდღთანის“ ავტორი წერს: მეფე გიორგიმ აქეთ იგდო ქალაქი (ანისი) ნებისებერ თვისისა და არა დამბრუნებულმან და შემტყობულმან დაიპირია სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გაგასამაგრებლად“¹. ამრიგად, XII ს-ში სამეფო ხელისუფლებისა და მისი ოფიციალური იდეოლოგიის მიერაც, ქალაქი მეფის ტახტის შემსახავად და გამაგრებლად იყო მიჩნეული. ცხადია, ქალაქების ასეთი მნიშვნელობით იყო გამოიწვეული ის საუკუნოვანი ბრძოლები ქალაქებისათვის, რომელსაც სამეფო ხელისუფლება აწარმოებდა

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, 1959, გვ. 6. ჩვენ საესეებით მართებულად მივანინა თამარის ისტორიკოსის თხზულების ამ ადგილის ზემომოტანილი წაკითხვა, თუმცა ეს ადგილი სხვაგვარად აქვს გადმოცემული ქ. ვეკელიძეს („ისტორიანი და აზმანი შარაქანდღთანის“, 1941 წ. გვ. 57).

¹ Киракос Гандзакечи, История, გვ. 184.
² Н. Я. Марр, Аня, книжная история города и раскопки на месте городища, М.-Л., 1934, стр. 34—35.

ერთს მხრივ, უცხო მოსალადეთა და ხოლო მეორეს მხრივ, ადგილობრივ ფეოდალების წინააღმდეგ. სამეფო ტახტის „შემნახავ და გამამარებელ“ ქალაქთა ძირითად მოსახლეობას კი სწორედ მისი „მკვიდრნი“, „მოქალაქენი“ მისი ზედაფენის წარმომადგენლები — დიდვაპრები, ვაპრები და ხელოსნები შეადგენდნენ.

ჩვენს შემოდისახელებულ წიგნში გარკვევით მივითითეთ და სათანადო მასალებთან დავასაბუთეთ¹, რომ „ქალაქის მკვიდრნი“ ან კიდევ „თბილისის მკვიდრნი“ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მოქალაქეთა, უბირველესად კი მისი ზედაფენის, დიდვაპრებისა და სხვების აღმნიშვნელი. ამიტომ ვფიქრობდით (და ახლაც ვფიქრობ), რომ „თბილისის მკვიდრად“ მოხსენებული აბულასანი თბილისის მოქალაქეთა სწორედ ამ ზედაფენის ეკუთვნოდა. პროფ. ი. ცინცაძეს ჩვენი ეს დასკვნა, რა თქმა უნდა, არ მოსწონს, პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იშველვის და წერს: „განსხვავებული შეცნობის (იგულისხმება ივ. ჯავახიშვილი, შ. შ.) მოსაზრებანი „მკვიდრის“ შესახებ, რომ ის ზოგადი ცნების გამოშვებულ სიტყვაა, საესეებით სწორია და მას საერთო არაფერი აქვს ამ ტერმინის შ. მესხიასეულ გავებასთან“ (გვ. 217). მართლაც, ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „ყოველი მკვიდრი ან საქართველოსი“ ან „ყოველი მკვიდრი ან სამეფოსანი“ და სხვა მსგავსი, რომელიც უხვად გვხვდება იმდროინდელ ქართულ წყაროებში, მხოლოდ ზოგადი ტერმინი შეიძლება ყოფილიყო, რომელშიც ივ. ჯავახიშვილისავე სიტყვი, „დიდებულეა, ვაზირები, დიდი მოხელეები და სხვები ივიარდებოდნენ. „მკვიდრნი“ წრეს „თავადნი“ და დიდვაპრებიც ეკუთვნოდნენ“². მაგრამ, ჩვენ ამ ზოგად „ყოველი მკვიდრი ტერმინზე“ კი არ გვაქვს საუბარი, არამედ უფრო კონკრეტულზე, კერძოდ, „თბილისის მკვიდრზე“. ამ კონკრეტულ ტერმინში კი შეუძლებელია ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლები ევალისხმათ.

პროფ. ი. ცინცაძე ვერ დაასაბუთებს ვერც ერთ ქართულ წყაროს, სადაც „თბილისის მკვიდრად“ ვიორგი III-ის ან კიდევ თამარის-დროინდელი, რომელიმე დიდგვარიანი, თბილისში მცხოვრები ფეოდალი ყოფილიყოს დასახელებული. ვანა მტკიცება სკირდება იმას (თუმცა საამისო საბუთები ჩვენს წიგნში მრავლად არის და ამას აქ არ ვაქვეყნებთ), რომ „თბილისის მკვიდრად“ დიდგვარიანი ფეოდალი თუნდაც თბილისში მცხოვრები კი არ იგულისხმებოდა, არამედ — სწორედ ქალაქის ძირითადი მოსახლე და ქალაქში მოსაქმე, საქალაქო ცხოვ-

რების აქტიური მონაწილე. ამიტომ, ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ თბილისის ისტორიკოსი მხოლოდ ორჯერ ასახელებს „მკვიდრის მკვიდრი“ — პირველ შემთხვევაში ისეთად აბულასანს, თბილისის ამირას მიჩნევს, ხოლო მეორეჯერ დიდვაპრ ბანქან ზორაბაბელს³. უველადფერს რომ თავი დაეანებოთ, მართა ეს ფაქტიც საკმარისი იქნებოდა თვით ამ ტერმინის — „თბილისის მკვიდრის“ გასაგებად და აბულასანის სოციალური კუთვნილების დასადგენად.

მაგრამ, ჩვენ მაინც საქიროდ მივიჩნევთ პირველ პიროვნებას უზრადლება მივაქვეყნით თამარის ისტორიკოსის შემონახვევებში ცნობის, საქართველოს ისტორიის პირველი სახელოვანი მკვლევარის ვახუშტისეული განმარტებისადაში. ვახუშტის განმარტებითაც, აბულასანი იყო „კაცი ვაპარი თბილისელი“⁴. ამ, როგორც ვამოდა თამარის ისტორიკოსის მიერ აბულასანის „თბილისის მკვიდრად“ მოხსენება ვახუშტის. პროფ. ი. ცინცაძეს ალბათ ეშვეი არ შეუპარება, რომ ვახუშტი ბავარტიონს ჩვენზე ნაკლებ არ ესმოდა „ქართლის ცხოვრება“ და იქნებ უფრო უკეთად გაეგო მისი ცალკეული ადგილები. იქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტის ეს ცნობა, რა თქმა უნდა ცნობილია პროფ. ი. ცინცაძისათვის, მაგრამ მაინც ამ შემთხვევაში, ე. ი. ჩვენთან კამათის ღრის, რატომღაც მას, ისე როგორც მეგრ სხვას, ვვერდი აუარა.

ასევე, პროფ. ი. ცინცაძეს ამქრად უზრადლება არ მიუქვევია თამარის მეორე ისტორიკოსის ბასილ ენოსმოქღვრის ცნობასათვის, რომელიც დიდ დახმარებას გაეყოფებდა აბულასანის სოციალური ვინაობის გაგებაში. ბასილ ენოსმოქღვარი საერთოდ არ იხსენიებს ამ პირს, ვინც თამარის საქმრად ვიორგი უფლისწული დაასახელა და არც იმას, ვინც იგი უეჩაყვითლან თბილისში ჩამოიყვანა. მაგრამ ეს ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელი ისტორიკოსი გულისწეროშითა და სინანულით შენიშნავს: „წარავლინეს კაცი ვანმე რუსთა სამეფოდ... და ესე ვერა კეთილად განიგეს რამეთუ არცა კაცი იგი დირსის საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერი იუფნეს, რომელსა იგი მოიუყანებდეს“⁵. ამქარა, რომ თამარის საქმრის საყთხის „არა-

¹ ქართლის ცხოვრება II, გვ. 36-37.

² ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული დ. ბაქრაძის მიერ, ნ. 1, 1835, გვ. 198; იგივე ვაგიშორა აბულასანის შესახებ დავით ბავარტიონმა, იხ. მისი Грузинская история, ხელნაწერი, ინახება ლენინგრადში, М.: 14, ფურც. 171.

³ ბასილი, ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი, გვ. 16.

¹ საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 112-115.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. 1, გვ. 55.

ეთილად განსწავლესა და მის ჩამოსაყვანად გა-
 ვაწინაღობა, ისტორიკოსის აზრით, არ იყო ღირ-
 სი ასეთი საქმის მინდობისა და მოხსენებისაჲ
 კი. მაგრამ ვინ არიან ასე „უღირსნი“? ამის პა-
 სუსს თამარის პირველი ისტორიკოსი იძლევა.
 საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამ ისტორიკოს-
 ის ცნობით ვიოტავი უფლისწულის კანდიდატუ-
 რა „ეინშე“ (ეილაც) „თბილისის მკვიდრმა“ და
 „თავადმა“ აბულასანმა წამოაყენა; ხოლო მის
 ჩამოსაყვანად კიდეც ასევე თბილისელი დიდვა-
 კიარი ზანჭან ზორაბაბეტი გამოგზავნა¹. პროფ.
 ი. ცინცაძემ ს. ერევანთან კამათის დროს სავსე-
 მით მართებულად მიუთითა, რომ მასაღმა ზე-
 მომატიანი ცნობაში აბულასანი აუგაღ, მის მი-
 ერ წამოწყებული საქმისათვის უღირს კაცად
 მოიხსენია; მაგრამ ვინ შეიძლება იგი მინათ
 ასე უღირს პიროვნებად ფეოდალური არის-
 ტოკრატიის წარმომადგენლებს? ცხადია, სწო-
 რედ ისინი, ვინც დიდგვარიანთა წრის არ ეკუთვნ-
 ნოდნენ და მათთვის მართლაც „ეინშე“ იყო.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ
 პროფ. ი. ცინცაძის კიდევ ერთ საბუთს, რომე-
 ლიც ისევე აბულასანის ვინაობის ვასარკვევად
 არის გამოყენებული. ეს ანისის ტაძრის 1218 წ.
 ცნობილი ქართული წარწერაა.

წარწერის მიხედვით, ანელ ქართველ საეკლესიო
 მოღვაწეებს ქ. ანისის ქართულ სამწყვსო-
 თვის საეკლესიო გამოსაღებები თანდათან გაუ-
 დიდებიათ, ამას კი „ქალაქის მკვიდრთა ქართ-
 ველთა“ ილმფოთება გამოუწვევია და საქართვე-
 ლის კათალიკოსი იძულებული გამოხდა საქ-
 მეში ჩარეულიყო, საეკლესიო გამოსაღებები
 მტკიცედ განესაზღვრა, საამისო გადაწყვეტილე-
 ბიც ანისის ტაძრის კედელზე ამოკვეთა და
 აწაყვებულათვის მიემართა: „მკვიდრნი
 ა მისი ქალაქისანიო ქართულნი... ნუ
 ვეწყვიტენ მათთვის ძალისაგერი მისაცემე-
 ლი“ და რომ „უფროსად მხიარულებით მის-
 ცემდით“, ამიერიდან გამოსაღებები შეგვიმოცი-
 რებია და ასე განგვიწყნებიათ. პროფ. ი. ცინ-
 ცაძის ყურადღებას ამ შემთხვევაში იქცევს წარ-
 წერის — „მკვიდრნი ქალაქისანიო“ და
 შეინშანავს: „ამ თავისთავად ცხადია
 „მკვიდრი“ მოქალაქეთა ზედაფენ-
 ნას არ ნიშნავს, ზედაფენას შეიძ-
 ლებოდა მღვდლებისთვის არცეჩი-
 ელა მღვდლების მიერ 100 დრამა-
 ნიონიონის დაწესების ვამო“ (გვ. 217-
 218). მთავარი ის კი არ არის თუ ვინ იჩაღლა
 კონკრეტულად ასე უზომო ვადანახალების ვამო,
 არამედ ის თუ ვინ არიან ეს „მკვიდრნი

ქალაქისანიო“. რომელთა დასმწვიდგელა-
 დაც გაუკეთებიათ დასახლებული ქალაქის
 „მკვიდრნი ამის ქალაქისანი ქართველნი“
 დია, სხვა არავინ შეიძლება იყვნენ თუ არა ქა-
 ლაქ ანისის ქართული ვიპრულ-ხელოსნური მო-
 სახლეობა. როგორც ამ წარწერიდანაც ჩანს, ანი-
 სის თუ სხვა „ქალაქის მკვიდრი“ ქალაქის მო-
 სახლეობას, მის ძირითად მწარმოებელ ფენას
 გულისხმობდა და არა ქართული ფეოდალურ
 არისტოკრატისა. რომელიც ანისში საერთოდ
 არც მოსახლეობდა. სხვა ჩვენ არაფერი გვიმტკი-
 ებია ზემოთ, როცა „თბილისის მკვიდრნი“,
 როგორც ტერმინის გაგების შესახებ ვწერდით.
 ამასთანავე, არსად არ აღგვინიშნავს, რომ „მკვი-
 დრნი ქალაქისანიო“, ან მით უფრო „მკვიდრი“
 მხოლოდ მოქალაქეთა ზედაფენას ნიშნავდეს.
 ვწერდით და ვიმეორებთ — „მკვიდრნი ქალაქი-
 სანიო“ პირველ რიგში ქალაქის მოსახ-
 ლეობის ზედაფენას გულისხმობს, მაგრამ არა
 მარტო ამით, არამედ საერთოდ „მოქალაქეთ“, ამ
 ტერმინის შესაყენებებრივ გაგებით.

პროფ. ი. ცინცაძის აზრით კი, ანისის ტაძრის
 აღნიშნულ წარწერაში „ქალაქის მკვიდრნი“
 სწორედ მოქალაქეთა დაბალი ფე-
 ნეების აღსანიშნავადან ნახმარია. ეს კი იმის
 წინააღმდეგ ლაბარაკობს, რასაც ასე თავგამოდუ-
 მით ამტკიცებდა პროფ. ი. ცინცაძე თავის პო-
 ლემიურ წერაში. მართლაც, თუ „ქალაქის
 მკვიდრნი“ ამგვარად ვაიგებდით, როგორც ეს ამ
 შემთხვევაში პროფ. ი. ცინცაძის გაუგია, მაშინ
 „თბილისის მკვიდრი“ აბულასანი ქალაქის მო-
 სახლეობის ზედაფენის კი არა, დამალი ფენე-
 ბის წარმომადგენლადაც კი უნდა მიგვეჩინა. ასე
 რომ, მის მიერ დამოწყებული დოკუმენტი პა-
 ტიკეტული მკვლევარის მოსაზრებთა საწინა-
 აღმდეგოდ უფრო გამოდგება, ვიდრე მის დასა-
 საბუთებად.

აბულასანის დიდგვარიანობის კიდევ ერთ სა-
 ბუთად პროფ. ი. ცინცაძის თამარის ისტორი-
 კოსის მიერ აბულასანის „თავადად“ მოხ-
 სენიებაც მიაჩნდა და წერდა: „იი ვინ არის აბუ-
 ლასანი — მკვიდრი თბილისისა, თავადი მთე-
 ლი სავგარეულოსი“². XII-XIII ს-ში
 „თავად“ ტერმინი ყველგან და ყოველთვის „დი-

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36-37.
² შდრ. ი. ცინცაძე, ძეგლანი, გვ. 162.
 3 იე. ქაჯაიანიშვილი, სოციალური ბრძო-
 ლის ისტორია საქართველოში, თბ., 1934,
 გვ. 10-11.

¹ პროფ. ი. ცინცაძის მტკიცებით, თუ ქალა-
 ქის დაბალი ფენების წარმომადგენლები არა,
 ასე მცირე თანხაზე, „100 დრამანი ნიხრზე“ მა-
 ლიად წრეების წარმომადგენლები როგორ-ღა
 ინიულებდნენ. წერ-ერთი, „100 დრამა“ არც ისე
 მცირე თანხა და, ამის გარდა, საქართველოს
 კათალიკოსის ბრძანება მარტო დაბალ ფენებს
 კი არ შეეხებოდა, არამედ საერთოდ ქალაქის
 მოსახლეობას, რომელშიც, ცხადია, მისი ზედა-
 ფენაც ივარაუდებოდა რომელსაც ასევე ემსახუ-
 რებოდა ანისის ეს ქართული გვლსია.
² ი. ცინცაძე, ძეგლანი, გვ. 152.

დი გვარეულობის თვადისა და მეთურის" აღმნიშვნელად მიჩნევა და ამის შესაბამისად, აბულასანის „მთელი საგვარეულოს თვადად“ გამოცხადება ჩვენ თავის დროზე პროფ. ი. ცინცაძის არასწორ მტკიცებად მივიჩნით, თავის უკანასკნელ პოლემიკურ წერილში კი ამ საკითხთან დაკავშირებით პატრუცემუშა მკვლევარმა შენიშნა: „მართალი ბრძანდება პროფ. შ. მესხია, როცა აღნიშნავს, რომ „თვადი“ ყველგან და ყოველთვის დიდი გვარეულობის თვადს და მეთურს არ ნიშნავს. ეს სიტყვა სხვა მნიშვნელობათაა იმპარება“ (გვ. 216). თუ ეს ასეა, მაშასადამე, აბულასანის „თვადად“ მოხსენიება მისი დიდგვაროვნობის თუ „მთელი საგვარეულოს მეთურობის“ დასამტკიცებლად არ გამოვადგება და პროფ. ი. ცინცაძესთან ამ საკითხთან დაკავშირებით გამართული კამათი ამითაც შევევლო მოთავსებოდნა. მაგრამ, პროფ. ი. ცინცაძემ ხელახლა წამოჭრა ეს საკითხი და „თვად“ ტერმინის გასაგებად სხვადასხვა მანალებს მოტანა მოშველიებითა და მის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციით შეეცადა დამტკიცებინა, რომ „ამ ტერმინში ის შინაარსი შიშაც არ იკვლავსებება, რომელსაც შ. მესხია ვარაუდობს“ (იქვე).

ჩვენი მიზნისათვის საჭირო არ იქნებოდა ერთეული მსჯელობა გავემართა „თვად“ ტერმინის საერთო მნიშვნელობის დასადგენად. ეს საკმაო ხანია კარგად არის ვარკვეული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში და შეიძლებოდა აღვკვეთინა, რომ „თვადი“ XI-XIII საუკუნეებში „თავს“, „უფროსს“, „თავჯაცს“, „მთავარს“, ნიშნავს და არა „თვადს“ ამ ტერმინის შემდეგდროინდელი (XIV ს-დან) სოციალურ გავრცობით. ამის შესაბამისად, XI-XIII საუკუნეთა ქართულ ძეგლებში ვხვდებთ „თვადი“ ლაქაქისა, „თვადანი“ „სამეფოსანი“, „თვადანი ქართვლინი“, „თვადი ადგილისა“, თვადნი სო მხითისა, „თვადნი საქართველოსანი“, „თვადნი იმერნი“, „თვადნი ავარიებისანი“, „თვადნი თვადნი“, „თვადნი თვადნი“, „ქალაქის თვადნი“, „გლახათა თვადნი“, „თვადი ციხე“, „სახლი თვადი“ და სხვა მსგავსი.

ყველა ეს ტერმინი XI-XIII საუკუნეთა ქართულ წყაროებშია მიმოხვეული და მათი ცალკეულ დასახელება აქ საჭიროდ არ მივიჩნიებთ. დასახელებული მასალა ისედაც ამჟღავნებს, რომ „თვადი“, როგორც უკვე მივთითეთ, თავჯაცს, უფროსს, მთავარ რეზიდენციას („სახლი თვადი“), მთავარ ციხეს („თვადი ციხე“) და სხვა მსგავსს აღნიშ-

ნავდა. მაგრამ აბულასანის (რომელიც ქართულ წყაროებში „თბილისის“ მთავარად და თვადად“ არის მოხსენიებული) ტინობის გასარკვევად ჩვენთვის უმოთხრესა „ქალაქის თვადის“ და სხვა მსგავს ტერმინთა („განძელები თვადნი“, „ანელი თვადნი“) მნიშვნელობის დადგენა. ეს ჩვენ თავის დროზე გაცილებული გვაქვს და ამ მოკლედ მხოლოდ მის შედეგებს ვაღმოვეცით. ამ ტერმინების გავრცელებაში დიდ დახმარებას გვიწევს სომხური საისტორიო მწერლობის მონაცემები. მაგალითად, დავითის ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული „ანელი თვადნი“ მისი თხზულების სომხურ (XII ს.) თარგმანში „აჰვაგაც ანოზი“-დ „ანისის უფროსებად“ „უხუცესებად“ ვაღმოვეცით. „ანისის თვადები“ „აჰვაგაც ქალაქი“-ის ფორმით მოხსენიებული ყავს ვარდნი დიდსაც. რაც შინაარსობრივად სავსებით ფრთხილად XI ს. ქართული წყაროს „ქალაქის ბერებს“ (უხუცესებს).¹ ამავე მნიშვნელობით იმპარებადა ძველ სომხურში „ქალაქი გლახორქნი“ — ქალაქის მოთავსებები, თავჯაცები. სწორედ ამით, „ქალაქის ოჯახობა“ („ქალაქი გლახორქნი“), „რომელიც ანისში ისხდნენ“ შესთავაზეს და ვადასცილებს კლდე ბუგარტ IV ქ. ანისში. „ანისის თვადები“ („გლახორქნი“) მოხსენიებული ყავს აგრეთვე კირაკოზ განაყელსაც.²

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სომხური „აჰვაგაც ქალაქი“ ან კლდე, „გლახორქნი“ დიდებულებს, დიდგვარაზნებს (სომხ. „თმან“-ს) კი არ შეესატყვისება, არამედ მხოლოდ მოქალაქეთა (ქალაქის ძირითადი მოსახლეობის) „თავჯაცებს“, „უფროსებს“. ანუ ქართული წყაროების „ქალაქის ბერებს“, „უხუცესებს“. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი არისტოკრატული მთავრის მოგონებებზე ანუ „ქალაქის თვადებს“ „თავჯაცებს“ („ქალაქი გლახორქნი“) „ქალაქის ბერებს“ უწოდებდა და ამ ტერმინსაც ამგვარად თარგმნიდა.³

ყოველივე ამის შემდეგ, სავსებით ნათელი უნდა იყოს ყველა ობიექტური მკითხველისათვის. თუ რას ნიშნავდა ქართული წყაროების მიერ აბულასანის „ტფილისის მკვიდრი“ და

¹ შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 36-37, 38.

² იქვე, გვ. 37.

³ იქვე, გვ. 38. ჩვენ აქ არ ვასახელებთ თვით ამ სომხურ წყაროებს (ვერდიტებით ეურნალის გადატვირთვას ამ მხრივ). მაგრამ ყველაფერი ეს დანიტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს უფრო ვრცელ დასახელებული ნაშრომის მითითებულ გვერდებზე და სხვაგანაც, რომელთაც, როგორც ჩანს, სამწუხაროდ არ ვასცნობთ პროფ. ი. ცინცაძე.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II. 1945, გვ. 142.

„თბილისის თავადი“ გამოცხადება. მართლაც, თბილისის ამირა, ბენეზრია, თუ კი მართლ „თბილისის თავადი“, „თავადი“ კი არ იყო, არამედ „ქალაქის თავადი“ შორის უპირატესესი „თავადი“, მაგრამ ფეოდალური საგვარეულოში კი არა, არამედ — ქალაქის (თბილისის) მოსახლეობისა. ამიტომ წერდა ივ. ჯავახიშვილი: „თამარ მეფის ისტორიკოსი იხსენიებს აბულასანს... იგი „თავადი“ იყო ქალაქისა, უმთავრესი პირი“¹.

ჩვენი კამათის უმთავრესი საკითხის — თუ რას ნიშნავდა აბულასანის „თავადი“ მოხსენიება — გარკვევის შემდეგ, ზედმეტად მივაჯანსიამ შევდომებზეც ვილაპარაკოთ, რაც „თავად“ ტერმინის გავრცობას დაუშვა პროფ. ი. ცინცაძემ დამოწმებული ზოგი მასალის კომენტარებისას. ეს ახალს არაფერს შეკვებდა და კიდევ უფრო გავრცობდა ისედაც ვრცელ საერთაშორისო წერაღს. მით უფრო, რომ სადავო კიდევ სხვათა არაქვს პატივცემულ მკვლევართან.

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ პეტრიწონის ტიპიკონის ის ადგილი, რომელზეც გრიგოლ ბაქურიანს „ყარსში თავადობას“ შეეხება და რომელსაც ასეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „თავად“ ტერმინის გასარკვევად პროფ. ი. ცინცაძე. იგი წერს: „გრიგოლ ბაქურიანი, დიდი გვარბედილის ქართველი მოღვაწე სარდალი, იყო ერთ დროს ყარსის „თავადი“, მაგრამ არასოდეს ეპატარა არ უბოდილა“ (გვ. 221).

მართლაც, გრიგოლ ბაქურიანს ბიზანტიელ ხელისუფალთა მიერ (და არა საქართველოს მეფის მიერ) კარის „თავადობა“, ე. ი. კარის (ყარსის) „მთავრობა“, გამგებლობა ჰქონია ზნაბრებელი ტიპიკონში ნათქვამია: „სხუანა ოქრობეჭვილი ერთი უბრალოებისათვის კარს თავადობისა ჩემისა. სხუან ოქრობეჭვილი ორი განუციოხველობისათვის კარნუ ქალაქს მთავრობისა ჩემისა“². როგორც ვხედავთ, გრიგოლ ბაქურიანი კარის „თავადი“ კი არ იყო, არამედ იგი „თავადობა“ კარში, ე. ი. ამ ქალაქს ბიზანტიელ ხელისუფალთა დავალებით განაგებდა, იქ მშობობდა. თუ რას ნიშნავდა გრ. ბაქურიანის ასეთი „თავადობა“ კარად ჩანს ტიპიკონის ამ ადგილის ბერძნული შესატყვისიდან: როგორც ჩანს, ქართულ „თავადობას“ ბერძნული „პრაქსისი“ საქმე, საქმიანობა. მშობობა შეესატყვისება. აღსანიშნავია, რომ ამავე ტერმინით არის ვაგმომცემული ბერძნულ ტექსტში გრ. ბაქურიანის კარნუ ქალაქში ანუ თეოდოსიუმოლში „მთავრობაც“. ასე რომ, გრ. ბაქურიანის კარში „თავადობა“ სხვას

არაფერს ნიშნავს თუ არა მის კარში მშობობა... კარში საქმიანობას, მის მთავრობას, ცხლად ნიშნავდა, რომ ტიპიკონის ამ ადგილზე ბერძნულ ტექსტს სატყვისი შემდეგნაირად აქვს თარგმნილი ს. ყუბუხიშვილი: „ოქრობეჭვილი იმის შესახებ, რომ ყარსში ჩემი მეთაობის დროს არაფერი ბრალი არ მქონდა. ორი ოქრობეჭვილი იმის შესახებ, რომ თეოდოსიუმოლში ჩემი მეთაობის დროს არაფერი ბრალი არ მქონდა“³.

ამრიგად პეტრიწონის ტიპიკონის ქართულ ტექსტის შემდგენელის „თავადობა“ თუ „მთავრობა“, ერთდროულად შინაარსის ტერმინი, სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა „მშობობა“ კარში თუ თეოდოსიუმოლში და სამწუხაროდ ვერაფერს გვეუბნება ვერც გრიგოლ ბაქურიანის, მით უფრო, ვერც აბულასანის სოციალური ვინაობისა და თვით „თავად“ ტერმინის მნიშვნელობის შესახებაც.

ყოველგვარ გაუგებრობათა გასაფხრტავად იძულებული ვართ მოკლედ მაინც შევიჩრდეთ თვით „ქალაქის თავადობა“ და „ქალაქის ამირას“ ურთიერთობასა და მოვალეობათა შესახებ.

ყოველ ქალაქში, ცხადია, მოქალაქეთა რამდენიმე „თავადი“, თავადი იყო. ამას ამტკიცებს ჩვენ მიერ წიგნშიც და აქაც არაერთხელ მოხსენიებულნი „ქალაქის თავადნი“, „ანელნი თავადნი“, „განძელნი თავადნი“, „ბერნი ტფილენი“ და სხვა. ამისავე დასამტკიცებლად წიგნში ივ. ჯავახიშვილის სათანადო მოსახრებად მოვიტანეთ: „ეს ვარემოება ამტკიცებს, წერდა ივ. ჯავახიშვილი, რომ თავადი ქალაქში ერთი კი არა, არამედ რამდენიმე ყოფილა“⁴. მაგრამ, ყველაფერი ეს ჩვენ იმის სარწმუნოდ კი არ მოგვეტანია, რომ „ქალაქის თავადნი“, „ქალაქის ამირას“ ნიშნავდეს. ძნელი მისაბუყდრო არ არის, რომ მრავლობითში ნახმარა „თავადნი“ ერთს, ე. ი. ამირას ან მოურავს არ შეიძლება უდრიდეს, როგორც ეს პროფ. ი. ცინცაძეს უფიქრია ჩვენ მოსაზრებთა ბოლომდე გაუთვალისწინებლობის წყალობით. მაგრამ ვანა შეიძლება მოქალაქეთა ზედაფრინად გამოსული თბილისის ამირა, ან კიდევ ანისის ამირა. ქალაქთა ამ თავადებიდან, თავაკეებიდან გამოერცხათ? ქალაქის ამირა, ამ შემთხვევაში თბილისის ამირა აბულასანი, რომელიც თვით მოქალაქეთა ზედაფრინა ვუთვინოდა, ბუნებრივია, სწორედ ქალაქის თავადთა — „თავადთა“ წრეში ივარაუდებოდა: კიდევ მეტი, იგი „ქალაქის თავადთა“ შორის უპირატესესი „თავადი“ იქნებოდა მიზნული თავისი მოხელეობის, ქალაქის ამირობის წყალობით. აი, რას ვამტკიცებდით და რას ვამტკიცებთ ჩვენ, ასე რომ.

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეროვნობური ისტორია, 1907, გვ. 23.

² მ. ბ. თარხნიშვილი, გრიგოლი ბაქურიანის ტიპიკონი (ქართული ტექსტი ლათინური თარგმანით) 1954, გვ. 76; შტრ. ქოსის ვარიანტი, გვ. 130.

³ გვორჯია, V, გვ. 247, 249.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაწ. 1, გვ. 55; შტრ. შ. მეტნია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 115-116.

ე. წაეახიშვილის ზემომოტანილ მოსაზრებასა და ჩვენ მოსაზრებას შორის თითქოსდა არსებული წინააღმდეგობა, პროფ. ი. ცინცაძეს რომ შეუნიშნავს (გვ. 218), მხოლოდ მოჩვენებითა და გაუგებრობაზეა აღმოცენებული.

აქვე გვინდა შევნიშნოთ შემდეგიც: როცა ქალაქში მისი პატრონი ან კიდევ მისი გამგებელი ამირა არ იყო, ან თუ ქალაქი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა (ასეთი პერიოდები ჰქონდა თბილისსა და ზოგ სხვა ქალაქსაც), როგორც ეს ვრცლად გვაქვს გამოკვლეული, ¹ „ქალაქის თავადებს“ ი. წაეახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქალაქის ბედობაის ვადპირის უფლება ჰქონდათ“²; მათ ებარათ ქალაქის „კლერნიც“ და „სხვა სიმაგრენიც და შეეძლოთ თავიანთი გადაწყვეტილების მიხედვით გადაეცათ ის მათთვის სასურველი მეფისა თუ სხვა მფლობელისათვის (ასე მოიქცნენ „ტფილენი ბერნი“, როცა თბილისი მაგარტ IV-ს ჩააბარეს, ასეთივე თხოვნით მივიღდნენ „ანელი თავადნი“ დავით აღმაშენებელთან და სხვ.)³ მაგრამ, როცა ქალაქს პატრონი ჰყავდა, ან კიდევ, ქალაქს მეფის მიერ დანიშნული მოხელე ამირა (მოურავი) განაგებდა. „ქალაქის თავადები“ ასე ვერ მოიქცეოდნენ, მათი უფლებები პატრონის თუ ქალაქის გამგებლის მიერ, ამ მხრივ, სავსებით იზღუდებოდა და მათ დაუციხავად ქალაქის ბედობაის, უნდა, ვერ გადაწყვეტდნენ. საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტანთ. კირაკოზ ჯანაყელის ცნობით „ჩარმოდანმა გუფაზუნა მათ (ანის თავადებს) დესპანები, რათა ისინი დამორჩილებოდნენ მას. ხოლო ქალაქში მყოფმა თავაყებმა (თავადებმა, „გლახურქნი“) ვერ გაბედეს პასუხი: ვაუთათ შემონათვალზე იშხან შაჰინშაჰისაგან დაუციხავად, რადგანაც ქალაქი მის მფლობელობაში იყო“⁴. უკველივე ზემოთქმულის შემდეგ, XII ს. საქართველოს საქალაქო წესწყობილების რეალურ ეთარებასთან საეხებით შეესაბამოდ გვეჩვენება პროფ. ი. ცინცაძის არც თუ მაინცდამაინც ნათელი დასკვნა: „თავადობა“ კი ამ შემთხვევაში საგანგებო თანამდებობას აღნიშნავს ქალაქში. მოტიანილო ცნობით თუ ეიმჩქვლება, „თავადს“ ქალაქის დაცვა თუ სამხედრო ობიექტების მოვლა ევალება. „თავადი“ შეიძლება რამდენიმე ყოფილიყო ქალაქში, ამირა კი ერთი. აბულსანი ზელსუფლეშის მიერ დაწინურებული თბილისელი „თავადი“ იყო. აქ წუაროში „თავადი“ არ შეიძლება ქალაქის თავაყის ნიშნავ-

დეს, იმიტომ რომ ის „ამირად“ არის წოდებული“ (sic) (გვ. 221).

ჩვენ მეტს ვერაფერს ვიტყვი — შეიძლება ისათვის მივიჩნიოთ ამ დასკვნის გაგებაზე და მის სისწორეზე სათანადო მსჯელობის გამოტანაც.

პროფ. ი. ცინცაძე ისევ უბრუნდება აბულსანის დიდგვარიანობის საკითხს; ჩვენც იძულებული ვართ თბრობის თანმიმდევრობა და ვარდვიით და პატიეყეშული მკვლევარის მიერ მოტანილ საბუთებსაც თუ მოსაზრებებს ვვალდავალ გავყევით.

პროფ. ი. ცინცაძის აზრით, „აბულსანის გვარის დიდებულებაზე მეტყველებს ლურჯი მონასტრის კარიბჭის წარწერის ერთი ადგილიც. ამ წარწერაში აბულსანის ძმა „ქართლის მთავარეპისკოპოს ყოფილი“ პასილი, თავისთავად „ჭედ (sic) კეთილ ნათესავის იობის ძე“ იხსენიებს. ჩვენ სავანგებოდ შევეკითხეთ ჭედილი ქართული ენის სპეციალისტებს აკად. აკაკი შანიძეს და პროფ. ილ. აბულაძეს, თუ როგორ გავიგოთ სიტყვები „კეთილნათესავი“. სპეციალისტებმა დატყუადსტურეს, რომ აქ კეთილწობილება და გვარიანობაზეა საუბარი. თვით აბულსანისაც, ხატის წარწერაში (sic) ვამაყება „იობის ძეობა“. აბულსანი ამ „კეთილნათესავის იობის ძე“ ყოფილა და არა უახუნო, სიმდიდრის თუ დაწინაურებული ეპარქი“ (გვ. 222). როგორც ჩანს, ეს ერთგვართი (უკეთ, ერთადერთი) ძირითადი საბუთია, პატიეყეშული მკვლევარის აზრით, აბულსანის დიდგვარიანობის დასამტკიცებლად. მაგრამ, სწორედ ეს მოთხოვდა მკვლევარისაგან მისთვის ჩვეული სიდრთბილის გამიზენას, პირველ რიგში იმის გარკვევა თუ რამდენად სწორადაა წაკითხული ასე საინტერესო ადგილი — ყრძოდ, „კეთილნათესავი“, ხოლო ამის შემდეგ სათანადო სპეციალისტების მოსაზრებათა მოხმობას თვით ამ ტერმინის შინაარსის გასარკვევად. მაგრამ პროფ. ი. ცინცაძეს, სამწუხაროდ, უმოთვრესი მხედველობიდან გამორჩა — ლურჯი მონასტრის წარწერაში ასე საინტერესო სიტყვის სწორედ ეს მეორე ნახევარი არ იკითხება არც ახლა და არ იკითხებოდა იგი არც მ. ბროსეს დროს. წარწერის ამ ადგილს ასეთი სახე აქვს: „ძე კეთილნი [...] სა იობისა“. სწორედ ამის გამო ე. თაყაიშვილი შენიშნავდა:

«Это слово в оригинале попорчено. Броссе читает не Иобиса, но по остаткам буквы должно быть нათესавса. У Исидориса совсем не верно: не Иобиса»².

1. გ. ბერიძე, თბილისის ლურჯი მონასტერი, ქართული ხელოვნება, II, 1949, გვ. 96-97; შტრ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 132.

² Е. Такайшвили, Археологические экскурсии, в IV, 1913, გვ. 150.

¹ საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 38-42.

² ი. წაეახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. 1, გვ. 55; შტრ. საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 116.

³ საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 40-41.

⁴ იქვე, გვ. 39.

ზოგ სხვას კიდევ, ეს სიტყვა შეიძლება აღედგინა, როგორც „კეთილ[ამსახურ]სა“, ან კიდევ სხვაგვარად. სწორედ ამის გამო, რომ ასე საეჭვო იყო ამ სიტყვის წყაროზეა, პროფ. ვ. ბერიძემ თავის საგანგებო გამოკვლევაში ეს აღგილი, როგორც აღენიშნეთ, აღუდგინა დატოვა, ვ. ი. არც ვ. თაყაიშვილისეული წყაროზეა მიიჩნია სარწმუნოდ.

ასე რომ, პროფ. ი. ცინცაძის შთელი მსჯელობა, როგორც ვხვდებით, ამ წყაროს ძირითადი სიტყვის საეჭვო წყაროზეა დაყრდნობული, რაც, რა თქმა უნდა, ასე კატეგორიულად დასკვნის გამოტანის უფლებას ვერ მისცემს მეკვლევარს.

მაგრამ ვთქვათ, რომ აქ მართლაც „კეთილნათესავი“ იქითხებოდეს. იგი მაინც არ შეიძლება მიგვიითმოდეს იოხის ძეთა დიდგვაროვნობაზე. XII-XIII საუკუნეთა ცნობილ დიდგვაროვნათა წარმომავლობა, ქართულ ნართულ თუ დოკუმენტურ წყაროებში, „კეთილნათესავობით“ არსად არ აღნიშნულა, ამის გარდა, თვით იოხისძენიც, იმ საქმად მრავალრიცხოვან დიდგვაროვნათა შორის, რომელნიც ჩვენთვის ცნობილი არიან გიორგისა და თამარის ეპოქაში, არ მოიხსენიებიან.

ყველაფერი ეს კი საწინააღმდეგოზე უფრო მივიჯიოთებთ — იოხის ძენი, ბასილი თუ აბულასანი, სწორედ გიორგი III დროს აღზევებულნი უნდა იყვნენ, რომელთაც ამ მხრივ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები 1177 წ. დიდგვაროვნათა აჯანყების შემდეგ შეექმნათ: თამარის გამეფების შემდეგ კი შინაპოლიტიკური გზის რადიკალურად შეცვლის გამო, მალევე ჩამოქვეითდნენ და გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან (ამ მხრივ საინტერესოა თვით ბასილის „შთავარებისკომოს-ყოფილობა“ და აბულასანის კარიერის საყოველთაოდ ცნობილი კახი).

პროფ. ი. ცინცაძე არც ამით ამთავრებს აბულასანის დიდგვაროვნობაზე მსჯელობას და კიდევ ერთ მისხარებას გვთავაზობს:

„არც ამ „იობ კეთილნათესავის“ მეორე შეიღი ბასილი ყოფილა მკობე თანამდებობაზე, ის ქართლის შთავარებისკომოსად ყოფილა ერთ დროს... შთავარებისკომოსობას ეპქრები და შთით შეიღები აღწევდნენ ვინაჟი? — კითხულთან პროფ. ი. ცინცაძე და იქვე დასძენს: „ჩვენ ეს საკითხი არ გვიძიებიაო“ (გვ. 222). აბულასანი წყაროებში ხომ ერისთავთ-ერისთავად და მეპატრიულთუხუცესადაც მოხსენებულაო“ (იქვე).

ჩვენ არსად არ აღვიინიშნავს, რომ ან ბასილი, ან კიდევ, მისი მამა ვაჟარი ყოფილიყოს, მაგრამ დაბალი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლები რომ მაღალ საეკლესიო თანამდებობებს აღწევდნენ, ეს კი დიდ გამოიბებს: არ მოიხსენივდა და ისედაც ცნობილი უნდა იყოს

პროფ. ი. ცინცაძისათვის თუ გაიხსენებდა TIOB წლის რეის ურბნისის საეკლესიო კრებასა და მის შედეგებს, ამათანავე თუ გაითვალისწინებდა გიორგი III სამინაო პოლიტიკურ კრებასა და მელიც ამ შემთხვევაში საეკლესიო იმეორებდა დავით აღმაშენებლისას. ეს სამინაო პოლიტიკური გუბი კი ფართოდ უხსნიდა გზას დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლებს როგორც საერო, ასევე საეკლესიო თანამდებობისაკენ. საამისო მფავალით ჩვენ და თვით პროფ. ი. ცინცაძესაც არა ერთი აქვს დასახელებული (გვიხსენოთ ყუბასარი, აფრიდონი, ყუთლუ-არსლანი და თვით აბულასანიც). ასე რომ, ბასილის შთავარებისკომოსობა და აბულასანის ერისთავთ-ერისთავობა თუ მეპატრიულთუხუცესობაც „უგვაროვნა“ დიდებულობისაკენ გზის გაკვლევაზე უფრო მიგვიითმობს, ვიდრე მათ დიდგვაროვნულ წარმომავლებზე.

ალბათ, განმარტება არ იქნებოდა სპირო, იმისა, რომ „დიდება“, „დიდებულება“ ერთია და დიდხანაურობა, ან დიდგვაროვნობა, ყველაფერზე. დიდგვაროვნობა, მართალია, ფეოდალურ ქვეყანაში „დიდებას“ მოპოვების ერთი უმთავრესი წყაროა, მაგრამ არა ერთადერთი. „დიდებას“ „დიდებულობას“ აღწევდნენ არა მართ დიდგვაროანი ფეოდალები, არამედ მათი ყმებიც (ესასლები) და „სიმდიდრით აღალებულნი“ (იხსენებენ დიდგვარონი და ყუთლუ-არსლანი). ამავე გზით აქვს მოპოვებული დიდება — ე. ი. ერისთავთ-ერისთავობაცა და მეპატრიულთუხუცესობაც, როგორც ირკვევა, აბულასანისაც. ამათად ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ შეუწყობელი მის ასე აღზევებას — გიორგი უფლისწულმა თუ მიქელ მირანის ძემ. ფაქტია, რომ აბულასანი სწორედ იმ დროიდან წავიდა ასე ვინ, რაც გიორგი უფლისწული თამარის ქმრად აქორწინეს და მეფედ მიიღეს. აღსანიშნავია, რომ პროფ. ი. ცინცაძე ამას ვერ უარყოფს, ოღონდ აბულასანი რატომღაც მინცდაჟინც ქართლის კათალიკოსის მიველ მირანის ბის წყალობით დაინაურებულად მიანჩნია და არა გიორგი „მეფე-ქმრისა“ (გვ. 222). არა ვგვონია, რომ თამარის გამეფების პირველ წელსვე მწიგნობართუხუცეს-სყონდიდლოს, ე. ი. ვაზირის თანამდებობიდან გადაყენებულ კათალიკოს უფრო მისწვდომოდა ზელი საერო საქმეზე და ერისთავები და მეპატრიულთუხუცესები დაენიშნა, ვიდრე „მეფე-ქმარს“, ქართული წყაროების მიერ არა ერთხელ „მეფედ“ წოდებულ გიორგის.

აბულასანი, „რომელიც ახლო დგას საქალაქო ფენებთან, თვით აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საქალაქო ცხოვრებაში, მეფის მოხელე დიდებულთა“ — ვერადით ჩვენ 1951 წელს კიდევ უფრო გაიხარდა მისი

მოხელობა და, მაშასადამე, „დიდება“ რაც ვიორგი უფლისწული „მეფე-ჭმრად“ იქცა. მაგრამ აბულასანის „დიდება“, „დიდებადობა“ მოხელეობით იყო მოპოვებული და არა დიდგვარიანობით, აღნიშნავდით 1962, თუ შემდეგ წლებშიც.

ამრავად, თავისი წარმოშობით საქალაქო ფენებით ახლო მდგომი და საქალაქო ცხოვრების აქტიურ მონაწილედ მიჩნეული აბულასანის „მეფის მოხელე დიდებულად“ გამოცხადება ჩვენს მიერ, სრულებით არ ეწინააღმდეგება იმას რასაც შემდეგ ვამტკიცებდით, — რომ აბულასანი თბილისში „მოქალაქეთა პრივილეგიებული ზედაფენიდან დიდგვარებისა და ფინანსისტების წრიდან გამოსული მოხელეა და არა დიდგვარიან ფეოდალთა წრიდან“; მაგრამ, ის მიინც, როგორც „მეფის მოხელე, დიდებული იყო“, რადგან „დიდება“, როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს გამოკვლეული, „მოხელეობასა და მასზე დაფუძვნებულს პატივს ერქვა“¹. აი, რა ვერ გაათვალისწინა პროფ. ი. ცინცაძის და ი, რატომ მიიხსნა ჩვენი „მოსაზრება ოთხმოცდაათი გრადუსით შემობრუნებულად“ (ი. ცინცაძის წერილი, გვ. 223).

აბულასანის სოციალური ვინაობის გარკვევის შემდეგ საჭიროა ორიოდ სიტყვით შევჩერდეთ იმდროინდელ საქართველოს საზოგადოებაზე-პოლიტიკურ ცხოვრებაში ახლად აღზევებულთა, „მესამე წოდების“ წარმოშობაზე-გენეალოგიაზე. მით უფრო, რომ ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ვიორგი უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანისა და გამეფების საკითხთან. ეს კი პროფ. ი. ცინცაძესთან პოლემიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც არის. თავის დროზე ჩვენ სწორად არ შევიჩინეთ პროფ. ი. ცინცაძის მტკიცება და აღვნიშნეთ: „არ უნდა იყოს მართალი ი. ცინცაძე, როცა რუს უფლისწულთან „შვიდრო ურთიერთობაში“ მყოფნი, ე. ი. მისი მომხრეების დასი მთლიანად „რეაქციულ დასად“ გამოაცხადა“². სანამ ჩვენი ამ შენიშვნის სისწორის დასაბუთებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია თვით პროფ. ი. ცინცაძის პოლემიკური წერილიდან მოვიტანათ სათანადო ადგილი: „პატივც. შ. მესხია ჩვენ იმასაც გვიწერებს, რომ ვიორგი რუსი უფლისწული საქართველოს რეაქციულ ძალებთან დაკავშირებულ პირობ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაყ. I, გვ. 113. იქვე იხილეთ სათანადო მავალითები.
² შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 125; იქვე მითითებულია ი. ცინცაძის ნაშრომიდან სათანადო (გვ. 128, 130 და სხვ) გვერდებიც.

ნებად მოვიხსენიეთ; ჩვენ ამას მართლაც ასე ვწერთ, მაგრამ ასეთი დასკვნა უშუალოდ ჩვენს კვლევების ენის შედეგად არ გამოგვირტყნის მამინი... უმჯობესად მივიჩნიეთ საქართველოს ისტორიაში აქად. ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებით დაეკმაყოფილებულიყოთ, რადგანაც განსვენებულის ეს მოსაზრება გვეპყეშმარტა მამინი და ახლაც ვინაობა მის“ (გვ. 224). როგორც ვხედავთ, ვიორგი რუსის მომხრეთა დასი მთლიანად რეაქციულ დასად თურმე ივ. ჯავახიშვილს გამოუცხადებია და არა პროფ. ი. ცინცაძეს, რომელსაც მხოლოდ „ეპეშმარტა“ განსვენებული მეცნიერის ეს მოსაზრება. ვნახოთ, რას წერდა აქად ივ. ჯავახიშვილი და რას წერს პროფ. ი. ცინცაძე.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „დიდგვარიან ხელისუფალ-აზნაურთა დასი ამის შემდეგაც კიდევ ორ-ჯერ სცადა საქმე კვლავ თავის სასარგებლოდ მოეტრიალებინა. ამ დასს თავისი წადლისა და გვემის განხრეცილება საქართველოთგან გაქვებულ თამარის პირველ ქმარზე... დაუშურებია და ორ-ჯერვე მის გარშემო შემოიყრილს უცდია ბრძოლის განაღდება. პირველად ამ დიდგვარიან აზნაურთა განახლება რეაქციის მეთაურობდნენ მეჭურჭლეთუხუცესის ნაცელი, სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი (და შემდეგ ჩამოთვლილია ვიორგის ყველა მომხრე, როგორც დასავლეთ, ასევე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, შ. მ.)... დიდგვარიან აზნაურთა ეს მცდელობაც მისი დამარცხებით დამთავრდა... იმეუ დროს მეორე ამგვარი, „უხედური რუსის“ პიროვნებასთან დაკავშირებული მცდელობა უფრო ამოცანა გამოდგა“¹. სწორედ ეს ამონაწერი აქვს მოტანილი პროფ. ი. ცინცაძეს, ოღონდ არასრულად (გვ. 224) და იქვე დაასველია: „როგორც ვხედავთ, განსუ. მეცნიერი მე-12 საუკუნის ძვირფას წყაროს ემყარება, სადაც არც ერთი ვაჭარი დასახლებული არ არის... ამდენად ჩვენც მართებულად მივიჩნიეთ ვიორგი რუსის სასარგებლოდ მოწყობილი აჯანყების შეფასება, ეითარცა რეაქციული“ (გვ. 224-225).

ივ. ჯავახიშვილი, მართალია, ვიორგი რუსის მომხრე „დიდგვარიან ხელისუფალ-აზნაურთა დასის“ შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ არაფერი აქვს ნათქვამი ამ დასის არც რეაქციულობისა და არც პროგრესულობის შესახებ; როგორც ჩანს ვიორგის მომხრეთა დასის რეაქციულობას.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაყ. II, 1929, გვ. 185-186.

მეფეებლად პროფ. ი. ცინცაძეს მის მიერვე ხაზგასმული, ივ. ჯავახიშვილის გამოთქმა — „ახსნურთა განახლებული რეაქცია“ — მიუჩნევია, რაც, რა თქმა უნდა, სრულ გაუგებრობადა შეიძლება ჩაითვალოს. ნუთუ განმარტება სჭირდება იმას, რომ „განახლებული რეაქცია“ ამ შემთხვევაში „განახლებულ ცდას“, ისევე, „განახლებულ მოქმედებას“, ან, როგორც თავით ივ. ჯავახიშვილი ქვემოთ ორჯერ იმეორებს, განმეორებით „მცდელობას“ ნიშნავს და მეტს არაფერს.

ამრავალ, პროფ. ი. ცინცაძემ არასწორი დასკვნა გამოიტანა ივ. ჯავახიშვილის შემოშორებული ამონაწერისა და სრულიად უადგილო დამოწმა იგი თავის არასწორ მოსაზრებათა დასამტკიცებლად.

უნახოთ, რას წერდა თავით პროფ. ი. ცინცაძე: „ეს დასა (რომელთანაც მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა რუს უფლისწულს) რეაქციული დასა საქართველოს პოლიტიკური მოძრაობის ისტორიაში“.

ამგვარ მოსაზრებას თუ დასკვნას, როგორც ვხედავთ, არაფერი საერთო არა აქვს ივ. ჯავახიშვილის შემოაღნიშნულ შეხედულებასთან. მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფ. ი. ცინცაძემ ამის გამო ხელი აღიქვა თავის მოსაზრებაზე. როგორც ზემოთ ითქვა, იგი „ახლაც იზიარებს ამ აზრს“ (გვ. 225) გიორგი უფლისწულის მომხრეთა დისის მთლიანად რეაქციულად გამოცხადების შესახებ.

ჭერ ერთი, როგორც ცნობილია, გიორგი უფლისწულის მომხრე აღმოჩნდა თითქმის მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ასევე მას, როგორც ეს თავის დროზე საესკებით მართებულად მიუთითა 2. ბერძენიშვილმა, მომხრეები საქმიად მრავლად ჰყავდა აღმოსავლეთ საქართველოში¹. ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ, იმდროინდელი ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენებისაგან შემდგარი და სხვადასხვა კლასობრივი ინტერესების მქონე ფართო მასის ხელაღებით „მთლიანად რეაქციულ დასად“ გამოცხადება, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა.

მეორე, და რაც მთავარია, გიორგი უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანისა და მისი „მეფე-ქმარად“ კურთხევის მთავარი ინიციატორები სწორედ „მესამე წოდების“ წარმომადგენლები იყვნენ, ახლაც აღზევებული აბულასანის და დიდვაჟარის ზანქან ზორაბაბელის შეთაურებით.

პროფ. ი. ცინცაძე კატეგორიულად უარ-

ყოფს ამ ფენის მონაწილეობას გიორგის საქართველოში ჩამოყვანის საქმეში და წერს: „მოდინ ვითებებოდა აღბათ და არც წყაროვანი შევასხვან ამის შესახებ ცნობები“ (გვ. 224); ან კიდევ, „სრულიად არ ჩანს ვაჭრების პოზიცია“ (გვ. 225) და სხვა მსგავსი.

ჩვენ იძულებული ვართ ისევ შევახსენოთ პროფ. ი. ცინცაძეს თბილისის ამირასა და თავის აბულასანის პიროვნება და მისი გადამწყვეტი სიტყვა სამეფო დარბაზში გიორგი უფლისწულის სასარგებლოდ და ამ საფაქტის გადამწყვეტი სწორედ აბულასანის წინადადების მიხედვით. აქვე ისევ უნდა გავიხსენოთ ბასილ ეზოსმოდერის შემოშორებული სიტყვები თამარის საქმროს საკითხის „არა ღირს“ პიროვნებათა მიერ „განგებოს“ შესახებ. ამასთანავე, საჭიროდ ვთვლით საგანგებოდ შევნიშნოთ გიორგი უფლისწულის ყოვლადიან ჩამოყვანისა და იქ საამისოდ გაგზავნილი დიდვაჟარ ზანქან ზორაბაბელის პიროვნებაზე. თამარის პირველი ისტორიკოსი წერს: „ამაში მომხმენართა მისთა (აბულასანის სიტყვისა, შ. მ.) უქმეს ერთი მკვდრთაგანი დიდვაჟარის ზანქან ზორაბაბელი. მსწრფელ მისრულმან ცვალებითა ზენითათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პეშანთა მოყმე სახე-ცყელუცი... საჩენი გუარის-შეილიდ“¹. დიდვაჟარ ზანქან ზორაბაბელის დიდი სახელმწიფოებრივი საქმე და ექსპრია — იგი საქართველოს მეფის მუდღის ჩამოსაყვანად გაგზავნილ პირებს უთავეს. როგორც ვხედავთ, დიდვაჟარებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას მნიშვნელოვან საქმეს არა თუ ეკითხებოდნენ, არამედ ანდობდნენ კიდევ. სწორედ ამაზე მიგვიითხებს შემოშორებული ამონაწერიც, რომელიც სწორედ იმ ქართული წყაროებიდან არის ამოღებული, სადაც პროფ. ი. ცინცაძის მტკიცებით, „ეპარათა“ (უკუთ, დიდვაჟართა) ასეთი როლის შესახებ თურმე ცნობები არ მოიპოვება.

აღრე ვი პროფ. ი. ცინცაძე წერდა: „ის ფაქტი, რომ რუსი უფლისწულის კანდიდატურას ქართლისა და თბილისის ამირა (აბულასანი, შ. მ.) აყენებს და ვითყვეთიდან მისი მოყვანაც ვაჭარს — დიდვაჟარს“ მიუწოდო, იმის მარჯვენაზელია, რომ ჩრდილოეთის ამავე ბი, ჩვეულებრივ აღებში ცემობაში ჩაბმულ საქართველოს მოქალაქეებს უნდა მოქმედეთ“² საინტერესოა, რომ პროფ. ი. ცინცაძეს, როგორც ჩანს, აბულასანიცა და ზანქან ზორაბაბელიც „აღება მიცემობაში ჩაბმულ საქართველოს მოქალაქეებად“ მიაჩნდა (სხვა არაფერი გვიმ-

¹ ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 128.
² ნ. ბერძენიშვილი. რეცენზია ი. ცინცაძის ნაშრომზე — „ძიებანი“, „მასალები“, ნა. 29, 1951 წ., გვ. 320 და სხვ.

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37.
² ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 102.

ტყეობა ჩვენ ზემოთ); ამიტომ იცოდნენ მათ „ჩრდილოეთის ამბები“, თეთი უფლისწულის პიროვნებაც. მისი იდეოლოგიის საფუძვლიან და მასთან მისასვლელი გზებიც; ამიტომაც გაიგებენა დიდგვარაობის ზანქან ზორაბაბელი ყოველთვის; აი, რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ზემო-მოტანილი ამონაწერებიდან.

მაგრამ, ყოველთვის მისასვლელი გზის მცოდნე სხვაც ზეპირი მოიძებნებოდა იმდროინდელ საქართველოში და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ შეიძლებოდა „ჩრდილოეთის ამბების მცოდნე“ ეს დიდგვარაობის, სტეპისათვის, უფრო ღირსეულთათვის, დიდგვარაინათვის გაეყოლებინათ და თეთი მისთვის უმჯობესად არ დაეკლებინათ ამ საქმის თაოსნობა?

როგორც ცნობილია, მეფის თუ მთავრის მეუღლის ჩამოსაყვანად საგანგებოდ შეიჩინებოდა ელჩობაც და მისი მეთაურებიც. გაეხსენოთ თუნდაც კიევის მთავრის იზაასლავის შვიკო თავისივე შვილის, უფლისწულის მსტიასლავის ორჯერ გამოგზავნა სალდინაეცელს, საქართველოს მეფის ასულის შესახედრად და კიევში ჩასაყვანად!

საქართველოში კი თამარის საქმროს ჩამოსაყვანად დიდგვარ ზანქან ზორაბაბელზე უკეთესი ვერავინ შეურჩევიათ. ცხადია, ეს შემთხვევითი არ იყო — გიორგი უფლისწული სწორედ ამ წრის, „მესამე წოდების“ კანდიდატი იყო და მათვე დააგვირგვინეს, ბუნებრივია, მისი ჩამოყვანისა და თამართან დაქორწინების საქმეც. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ „მესამე წოდება“ მოქმედებდა და რომ გიორგი უფლისწულს აქ სხვა მომხრეებიც არ ჰყავდა. ეს რომ ასე არ იყო, კარგად ჩანს თეთი დარბაზის სხდომის დასტურებიდან და აგრეთვე გიორგი უფლისწულის პირველი აყანების მონაწილეთა სიმრავლიდანაც.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთან კამათის დროს პროფ. ი. ცინცაძის არცერთხელ არ უხსენებია დიდგვარაობის ზანქან ზორაბაბელი. საესეებით გასაგებია, თუ რატომ არ იხსენიებდა თამარის ისტორიკოსი ბასილი ამ „არა ღირსი კაცის“ სახელს. როგორც ჩანს, დიდგვარიან ისტორიკოსს საძრახისად მიანიჭა თამარის საქმროს ჩამოსაყვანად დიდგვარის დასახლებმა. მაგრამ, ეს თუ გასაგები და გამართლებული იყო მაშინ, დიდგვართა როლის უგულვებელყოფა საესეებით გაუგებარია და გაუმართლებელია დღეს.

ქალაქები, მათი მკვიდრნი — დიდგვარ-ფინანსისტები, საერთოდ „მესამე წოდება“, იყვნენ სწორედ იმ ძალის წარმომადგენლები, რომელნიც XII-XIII საუკუნეებში ახალ შინაარსს აძლევდნენ ფეოდალურ საზოგადოებას და ახალი

ურთიერთობისაკენ უბიძგებდნენ მას. სრულიად მართებულად შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი: „სოციალურ-განვითარების თვალსაზრისით ფეოდალურ საქართველოს XII-XIII საუკუნისათვის თავისი ზრდა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა... ამის შემდგომ განვითარება ამ ურთიერთობის დაშლის ტენდენციების ნიშნის ქვეშ, ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვევის ნიშნის ქვეშ შეიძლებოდა მხოლოდ“¹. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ XII-XIII სს. ქართული ფეოდალური საზოგადოება ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის გზაზე სწორედ ქალაქებში, მისმა მოსახლეობამ, „მესამე წოდებამ“, დიდგვარა-ფინანსისტებმა, ეპარქებმა და ზელოვნებმა დააყენეს. ამ ახალი ძალის უგულვებელყოფა, ცხადია, საესეებით გაუგებარია განხილვა ბურჟუაზიული მოვლენის XII საუკუნის საქართველოს კულტურასა და იდეოლოგიურ ცხოვრებაში.

ძირითადად ამ ახალ მოვლენებსა და ძვრებზე, ქალაქებისა და საქალაქო ფენების, ანტიფეოდალური ძალების ზრდასა და განმტკიცებაზე იყო დაყრდნობული XII-XIII საუკუნეებში მიმდინარე დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, ყველა ის ზედნაშენები მოვლენა და დიდი კულტურა, რითაც ასე გამოირჩევა XII ს. ფეოდალური საქართველო წინამორბედ და მომდევნო საუკუნეებისაგან. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ იმ დიდ ძვრებზე იყო დაყრდნობული აღორძინების ხანის, რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენები, რომლებიც დღეისათვის შენიშნულია და ხაზგასმულია XII ს. ქართული კულტურასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში.

ყველაფერი ამის არსებითად უარყოფამდე მივიყვანს, ცხადია, ქალაქების, საქალაქო ცხოვრების იმდროინდელი მთავარი ძალის, „ქალაქის მკვიდრთა“, საერთოდ „მესამე წოდების“ არსებობისა და როლის უგულვებელყოფა იმდროინდელ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროფ. ი. ცინცაძის პოზიცია ამ საკვლევით დაკავშირებით კიდევ უფრო კარგად ჩანს ყუთლუ-არსლანისა და მისი პოლიტიკური დასის გამოსვლის შედეგბაშიც. „ჩვენ ვადავისწავთ იმ დროის წყაროებში მოხსენებული ფინანსთა მინისტრები (sic) და მათ შორის ეპარქი (sic) ვერ ეპოვეთ... აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყუთლუ-არსლანის მთავრობის (sic) წინააღმდეგ გამოსვლის შ. მესხიასეული განმარტებანი ვადასინჯვას მოითხოვს, ჩვენ განსვ.

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, „მნათობა“, 1954, № 6, გვ. 125; შ. მესხიასეული, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 150.

1 იქვე, გვ. 177 და შემდეგ.

ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებანი ამავე საკითხზე უფრო დამაყრებლად გვესახება წყაროების გაყინვის შემდეგ — წერს პროფ. ი. ცინცაძე (გვ. 226).

ყერ ერთი, არსად არ გვიმტკიცებია და არც გვიფიქრია, რომ შევტრეპოთ უფრო მხოლოდ „უკარები“ ყოფილიყვნენ. ჩვენი ყურადღებას აქცევდა „სიმდიდრით აღზუბებული“ მეურველები ყუთლუ-არსლანი იქცეოდა, რომელიც თავისი წარმოებით სწორედ ამ საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნოდა, რომელსაც აღზუბებისათვის მხოლოდ სიმდიდრის წყალობით შევძლო მივლიყ.

მეორე, ჩვენ ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის გამოსვლის შესახებ მხოლოდ განმარტებები არ მიგვიწოდებია მკითხველისათვის. ამასთანავე, ამ საკითხის გადასაწყვეტად წყაროების თუ „ფინანსთა მინისტრების გადასინჯვა“ (sic) არ იქნებოდა საჭირო.

შესამე, მართალია, ნ. ბერძენიშვილს ვრცლად და დასაბუთებლად არ გამოუთქვამს თავისი მოსაზრება ამ დიდმნიშვნელოვანი მოძრაობის შესახებ, მაგრამ ამ მოძრაობას მაინც იგი უფრო დიდგვარიანთა გამოსვლად მიიჩნევდა, ვიდრე „შესამე წოდებისად“ 2. ს. ჯანაშია კი, ასევე გაყრით გამოთქმული დებულებების მიხედვით, სრულიად საწინააღმდეგე თვალსაზრისზე იდგა.

ს. ჯანაშია წერდა: „ფეოდალური არისტოკრატია სრულ წარმატებას აღწევს ვიორგის ქალის, თამარის დროს. ახლა დიდებულები (მსხვილი ფეოდალ-მემკვიდრეები) ხდებიან სახელმწიფოს შეუზღუდველი პატრონები. თამარის მეფობის პირველსავე წელს ისინი აქვეყნებენ სახელმწიფო აპარატიდან მათთვის ღრმად საძულველს, ვიორგი III მიერ დაყენებულს „უზნო“ და „უგვარო“ მოხელეებს. მოწინააღმდეგე საზოგადოებრივმა ძალებმა სცადეს (1185) დაებრუნებინათ დეკარგული მდგომარეობა და დაეპყროთ ახალი პოლიციებიც აშკარა აჯანყების გზით. მუამბოხეთა მეთაური და მოძრაობის ბელადი ყუთლუ-არსლანი თავის დროს თამარის მამის მიერ ფინანსთა მინისტრად (მეურველად) დანიშნული“ იყო 3.

1. მ. შესხია, სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობათა ბუნებისათვის XII ს. საქართველოში, თ. ს. უ. საიუბილეო კრებული, 1961, გვ. 341-371; შტრ. საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 100 და შემდეგ.

2 საქართველოს ისტორია, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1958, გვ. 197.

3 ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 427-428. როგორც ჩანს, პროფ. ი. ცინცაძე თვით არ გასცნობია ს. ჯანაშიას მოსაზრებას და შეეცდომებოდა შეუყვანა ჩვენი ნაშრომის ერთ ადგილს, სადაც ს. ჯანაშიას მოსაზრება

აშკარაა, რომ ს. ჯანაშიას მიერ ყუთლუ-არსლანის გამოსვლა თამარის გამეფების შემდეგ წლებშივე გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატის „მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ძალების“ გამოსვლად და „უზნოთა“ და „უგვაროთა“ მიერ, „დეკარგული მდგომარეობის დასაბრუნებლად“ მოწყობილ მოძრაობად არის მიჩნეული.

მეოთხე, საკვირველია, თუ რატომ არ მოიხსენია პოლემიკურ წერილში პროფ. ი. ცინცაძემ ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც პირველმა საგანგებოდ შეისწავლა ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობა და რომელმაც იგი, როგორც ზემოთაღნიშნული „სიმდიდრით აღზუბებული“ დასის გამოსვლად მიიჩნია 1. ივ. ჯავახიშვილის ამ ძირითად დებულებებს დავიწყებ „მ. შესხიასეული განმარტებანიც“. ასე რომ, ჩვენ ამ შემთხვევაში მართა არ ვყოფილართ და არც პირველი. ცხადია, ასეთი კარდინალური საკითხები ზემოთ განცხადებებითა და მომხრეთა ხმის უპირატესობით ვერ გადაწყდება, თორემ პროფ. ი. ცინცაძის მომხრეთა განმარტებლად და მისი თვალსაზრისის „განამტკიცებლად“ განსაკუთრებით სანტერესო იქნებოდა პროფ. გ. სოსელიას მოსაზრებები. იგი წერდა: „ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა, რომელიც... მსხვილი ფეოდალების სასარგებლოდ შეფის ხელისუფლების შეზღუდვას მოითხოვდა, უფრო რეაქციული იყო“ 2. ყუთლუ-არსლანის ამის საბუთად, პროფ. გ. სოსელიასაც, პროფ. ი. ცინცაძის მსჯავსად, XII—XIII საუკუნეების საქართველოში „შესამე წოდების“ არ არსებობა მიიჩნდა: „ფაქტის არის, რომ XI—XII საუკუნეების საქართველოში მეფესა და ფეოდალებს შორის ან თვით ფეოდალებს შორის ბრძოლაში ვაჭარ-ხელოსანთა ფენის არ ვხვდებით, ა. წ. შესამე წოდება არ ჩანს“ 3. ამას წერდა პროფ. გ. სოსელია 1958 წელს, მაგრამ მის განმეორება დღეს, როცა XII—XIII საუკუნეთა საქართველოს ეკონომიური ცხოვრება, ქალაქები და საქალაქო წესწოდებულება საქმიოდ შეფუძლანად არის შესწავლილი, დღი ხნის წინათ, მოძველებული და გარკვეული (ტენდენციური) მიზნით შეთხზულ მოსაზრებათა დაუსაბუთებელ რესტავრაციად უნდა მივიჩნიოთ. მით უფრო თუ პროფ. ი. ცინცაძე, მისევე განცხადებით, „ეპოქარცა არსაშეცვალისტი“, XII ს.

არც თუ ისე ნათლად არის გადმოცემული (საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 102-103).

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაყ. II, გვ. 155-186.

2 გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, მ. გარკის სახ. სოხუმის პედ. ინსტიტუტის შრომები, X-XI, 1958, გვ. 95.

3 იქვე, გვ. 91.

საქართველოს ქალაქების, საქალაქო წესწყობი-
ლების საკითხების, კერძოდ თბილისის საქალა-
ქო კომუნის შესახებ ჩვენს მიერ გამოთქმულ
„საუბრაოდებო მისაზრებთა წინააღმდეგ კა-
მათში“ ვერ ჩაერგა (გვ. 226). ეს საკითხები კი
შვიდროდ არის დაკავშირებული ყველაფერ
მისათვის, რაზეც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი
და მათ გათვალისწინებულ პოლემიკას არ
შეიძლება სრულყოფილი მეცნიერული სახე
ქმონდეს.

თვის დროზე ჩვენ გიორგი უფლისწულის
მიერ მოწყობილი პირველი აჯანყება (1191 წ.)
საქალაქო წრეების მიერ დაკარგულ უფლებათა
აღდგენისათვის ბრძოლის ერთგვარ ვაგრძელ-
ლებად მივიჩნევთ და ამ საქმის ორგანიზატორ-
ად და წამომწყებლად ისევ საქალაქო წრეებთან
დაკავშირებული „მეპეტრქლეთუხუცესის ნაც-
ვალი“ დავსახელებთ.

პროფ. ი. ცინცაძე, ცხადია, ვერც ამ მოსაზ-
რებას გაიზარებდა და შეგვიჩვენებს: „თამარ მე-
ფის ისტორიკოსები თამარ მეფის წინააღმდეგ
მოწყობილ აჯანყებაში ვაჭრებს კი არ ზედავედ,
არამედ დასაველეთ საქართველოს
დიდებულებს“ და მოჰყავს სათანადო ამო-
წერი თამარის ისტორიკოსის თხზულებიდანაც.
(გვ. 225). ასეთვე მოსაზრება, სხვადასხვა ფორ-
მით, პროფ. ი. ცინცაძეს განმეორებული აქვს
სხვადასხვა ადგილას (იქვე, აგრეთვე, გვ. 226,
227). ამასთანავე, დასაყენებს: „შეფუქმარს“ ზომ
არ შეეძლო რაიმე საშინაო საქმეებში ჩარევა
და რა სარგებლობა უნდა ენახათ მოჭალაქებს
მისი რესტავრაციით; „საქართველოში“ ქალი
მეფის“ ქმარი, მეუღლეს მხოლოდ ლაშქრობის
დროს ეტოვდა. მეფე ვაღდებული იყო ლაშქ-
მარს ბრძოლებში გაყოფილად, წყაროების მი-
ჯედით, მეფის ქმარს ლაშქრობის
შეცდომების გამო... ასეთ ვითარე-
ბაში საქალაქო კომუნის“ დაკარგულ უფლებ-
ებზე გიორგი რუსის იმედულთა ოცნებაც კი
იმთავივე განწირული ჩანდა და არც ქართველი
დიდებულები რუსი უფლისწულის ისევ სა-
სახლესი დასაბრუნებლად დაღვრიდნენ
სიხსლს“ (გვ. 226-227).

მოტანილ ამონაწერში რამდენიმე საკითხია
წამოტრილი, რომელთაც მოკლედ მაინც უნდა
გვეცეთ პასუხი.

რა თქმა უნდა, გიორგი უფლისწულის პირ-
ვანდელ მომხრეებსა და მის საქართველოში
ჩამომყვანთ (აბულასანი, ზანქან ზორაბაძელი
და სხვ.), რომელთა კარიერაც, როგორც ზემო-
თა ითქვა, დიდად იყო დამოკიდებული მის
მეფობაზე, შეუძლებელია გიორგის რესტავრაცი-
ისათვის არ ეზრუნათ. ამას, საერთო ისტორი-
ული პროცესის გათვალისწინების გარდა,
აჯანყების ორგანიზატორად წყაროების მიერ
„მეპეტრქლეთუხუცესის ნაცვალის“ მოხსენიე-
ბაც ვედვასტრუბებს: „მას ჟამსა ნაცვალნი
მეპეტრქლეთა უხუცესისა, სჯულნი

თა ბარბაროზი და ქეცეცითა ტარ-
ტაროზი, ქეთილთა და ქაშოლთა პატ-
რონთაგან სრულწყლად... საქმის
მოცულობად წარადგინა საქმისა ჩამომწყებ და
მას სრულ-ქალაქსა მისელსა შინა შეეჯარნეს
რუსი და იგი ერთად, მიუღვეს იმერნი რა-
თარუსი სასახლესა შინა შეეყენილ ყონ“.

ნათელია, რომ აჯანყების ორგანიზატორი, ამ
საქმის მოსაწყობად საგანგებოდ კარნუ-ქალაქ-
ში ჩასული მეპეტრქლეთუხუცესის ნაცვალია.
ხოლო შემდეგ მათ მიუღვეს „იმერნი“ და
სხვანოც.

აჯანყების მეთაურად მიიჩნევა, „მეპეტრქ-
ლეთუხუცესის ნაცვალს“ ივ. ჯავახიშვილიც.

მაგრამ, ვინ შეიძლება იყოს იგი? თუ გავიხი-
სებთ გიორგი უფლისწულის მეფობის ბოლო
წლებში აბულასანის მეპეტრქლეთუხუცესობას,
სავსებით ბუნებრივი იქნებოდა გვეფიქრა,
რომ ის აბულასანთან დაახლოებული პირია.
ამის გარდა, შეუძლებელია, რომ ისტორიკოსის
მიერ „სჯულთა ბარბაროზად და
ქეცეცითა ტარტაროზად“ მოხსენიებული
პირი, ქართველი დიდგვარიანი დიდებული
იყოს. არც ერთი დიდებული დიდგვარიანი, უფ-
რო მეტი დანაშაულის მქონეც კი (ფუქვით,
შავ, გულანი) იმდროინდელ ისტორიკოსს ასე-
ლი დაამკობებელი ემთავრებოდა არ მოუხსენე-
ბია და არც შეიძლება მოუხსენებინა. სწო-
რად ეს და აგრეთვე მისი თანამდებობა და ამის
წყალობით მისი აშკარა კავშირი საქალაქო წრე-
ებთან გვეფიქრებინებს, რომ „მეპეტრქლეთ-
უხუცესის ნაცვალი“ დიდგვარიანი ქართველი
დიდებული კი არ არის, არამედ „კამათა პატ-
რონთაგან სრულწყლიანი“ (მეფეებთან შეწყა-
ლებული, გაბედნიერებული). ვეფერო, აბულა-
სანისა და ზანქან ზორაბაძელის დასის წევრი.
ამიტომაც ვწერდით ჩვენ: „აჯანყების ორგანი-
ზატორებად და „რუსის სასახლესი შეყვანის“
ინიციატორებად ისევ იმ წრეთა წარმომადგენ-
ლები გამოდიან, რომლებმაც გიორგი რუსი ჩა-
მოიყვანეს თამარის საქმროდ. მაგრამ ეს დასი,
გიორგის განდევნითა და აბულასანის გადაყე-
ნებით წელში გატეხილი, ასეთი დიდი აჯანყე-
ბის მოწყობისათვის საჭირო ძალას ვერ შექმნი-
და. ეს მოძრაობა, ამ შემთხვევაშიც, ისე რო-
გორც... გიორგი რუსის ჩამოყვანის დროს,
ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების მო-
წინააღმდეგე დიდგვარიანთა ინტერესებს დაეშ-
თებო... ამიტომ იყო რომ ამ აჯანყების ძირითად
ძალად უფრო დიდგვარიანი ფეოდალები... ჩა-
ნან ვიდრე მოჭალაქეთა წარმომადგენლები;
როგორც პირველი, ასევე მეორე სოციალური

1 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.
2 ქართული სამართლის ისტორია, II, ნაყ. II,
გვ. 185.

წრისათვის რუსი უფლისწული არც ისე ადვილად დასათმობი იყო.¹

ასეთია ჩვენი დასკვნა და არა გვეგონია, რომ პროფ. ი. ცინცაძის კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად, მასში რაიმე ცვლილების შეტანა იყო საჭირო.

მაგრამ, მაინც საკითხავია, თუ მართლაც ასე უუფლებო იყო ეს „მეფე-ქმარი“ და მის მართო „ლაშქრობის მეტი არა ეხებოდა-რა“, ასეთი შეფის რა იმედი უნდა ჰქონოდათ მის მრავალრაცხოვან მომხრეებს, საქალაქო ფეხების წარმომადგენლებს თუ დიდგვარიან ფეოდალებს?

თუ პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრებას გავიზიარებდით „მეფე-ქმარის“ ასე უუფლებობის შესახებ, მთელი ის გრანდიოზული აფანეება, რომელიც 1191 წ. მოეწყო, საესებით უმიზნოდ უნდა მიგვეჩინა, თუნდაც იმ დიდგვარიანებისათვის, რომელთაც პატივცემული მკვლევარის სიტყვით, „რუსის სამახლესი დასაბრუნებლად დაუდგარიან სისხლი“.

პროფ. ი. ცინცაძე ასეთ უხერხელობას კარგად გრძნობს და ამოად ცდილობს ამ დიდი აფანეების მიზეზად „იმერ-იმერთა“ დიდებულების ღრმა წინააღმდეგობა“. თუ „იმერთა“ რაღაც „მიმძლავრება“ და, ან კიდევ, მეფის კურთხევაში მომხდარი შესაძლო ცვლილება მიიჩნის (გვ. 225). მაგრამ ვინაა პროფ. ი. ცინცაძისაგან ასე უუფლებოდ „მინეულ გიორგი უფლისწულს შეეძლო ამ ღრმა წინააღმდეგობათა“ გადაჭრა ან კიდევ „იმერთა“ ხსნა „მიმძლავრებისაგან“? ასეთ წინააღმდეგობათა და შეუსაბამობათა ძირითადი წყარო „მეფე-ქმარის“ უფლებამოვალეობის არასწორი გაგება და ამიტომაც იყო, რომ ნ. ბერძენიშვილმა თავის დროზე 1191 წ. აფანეების მიზეზების შესახებ პროფ. ი. ცინცაძის აშკარა მოსაზრებანი დაუსაბუთებლად და მცდარად მიიჩნია.²

¹ შ. მესხია, საქალაქო კომუნა თბილისში, გვ. 141.

² ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია — იასე ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, „მასალები“, ნაკ. I. 1951, გვ. 319-324.

ცხადია, „მეფე-ქმარის“ უფლება შეუღლებულია მართო „ლაშქრის გაყოლით“ განსაზღვრეს და აქამდე იქნას დაყვანილი. ასეთი მტკიცების წინააღმდეგ არა ერთი მაგალითის მოტანა შეგვეძლო თამარის „მეფე-ქმარის“ თვით გიორგისა და დავით სოსლანის მოღვაწეობიდან; ეს კი აუცილებელს გახდიდა პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრების საფუძვლიანი ვალდებულების საჭიროებას, მაგრამ ამაზე ამჟამად სიტყვას არ გავაგრძელებთ. ოღონდ ის კი უნდა შევნიშნოთ, რომ თამარის „მეფე-ქმარის“ ასე უუფლებო მფლობელად გამოცხადება ხელს ვერ შეუწყობდა მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების გაგებასა და მხოლოდ ზიანს მოუტანდა XII ს. მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის კვლევას.

ამით ვამთავრებთ პროფ. ი. ცინცაძესთან კამათს, როგორც ვნახეთ, მის პოლემიკურ წერილში აღძრული არის XII ს. საქართველოს ისტორიის არა ერთი კარდინალური საკითხი, რომელთა დიდი ნაწილი მჭიდროდა დაკავშირებულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემასთან. სამწუხაროა ოღონდ, რომ ეს წერილი საკითხებს მხოლოდ აღძვრისა და დაუსაბუთებელი შენიშვნების ფარგლებს ვერ გასცილდა. აღბათ, გვაპატიებს პატივცემული პროფესორი და მკითხველიც, თუ საყურნალო წერილის ფარგლებში ვერ მოვახერხებთ ყველა საკითხზე კიდევ უფრო დეტალური პასუხი გაგვცა და ყველა საჭირო მასალა მოგვეტანა. მაგრამ იმედი გვაქვს ახლო მომავალში ამ საკითხებს ისევ დაუბრუნდებით და მოსალოდნელ პრეტენზიებსაც შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებთ.

¹ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე საქმოდ კარგად და საბუთიანადაა ნაჩვენები დავით სოსლანის, როგორც მეფის, „მეფე-ქმარის“ როლი XII ს. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და არსებითად უარყოფილია პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრებანი ამ მხრივ (გ. თ. გ. შვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 158-166), მაგრამ ყოველივე ამას პატივცემული მკვლევარი რატომღაც არავითარ ანგარიშს არ უწყევს.

ღამარა გოლაჩიძე

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“
მოღვაწეობის ისტორიიდან

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“ საფუძველი ჩაეყარა მოსკოვის უნივერსიტეტში. აქ, 1907 წელს ქართველ სტუდენტთა ერთი ჯგუფის ინიციატივით დაარსდა „ი. ჭავჭავაძის სახ. ქართული კულტურის მოყვარულთა წრე“, რომელმაც პირველ მსოფლიო ომამდე იარსება!

ი. ჭავჭავაძის წრის მოღვაწეობას მოსკოვის უნივერსიტეტში უდავრესად პროგრესული და ეროვნულ-პატრიოტული მნიშვნელობა ჰქონდა. წრის საშუალებით რუსეთის მოწინავე ადამიანები ახლოს ეცნობოდნენ ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, მის ადრე-ჩვეულებებს, მწერლობას, ხელოვნებას და ა. შ., რაც ზეგან უწყობდა რუსი და ქართველი ხალხების ერთმანეთთან დაახლოებას.

ი. ჭავჭავაძის წრიდან გამოსულმა, მოსკოვის უნივერსიტეტის კერძდამთავრებულმა რამდენიმე ახალგაზრდამ, გ. ყორღანიას ინიციატივით, სამშობლოში დაბრუნებისას გადაწყვიტა მშობლიურ ნიადაგზე გაეშალა ის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რასაც ისინი ეწეოდნენ მოსკოვში სწავლის პერიოდში. ამ მიზნით, 1912 წელს მათ თბილისში დააარსეს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“, რომელიც არსებითად აგრძელებდა იმ საქმიანობას, რაც დაწყებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ „ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრეს“.

1912 წლის 30 ოქტომბერს, მიხ. მანაბლის ბინაზე გაიმართა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ პირველი კრება, კრე-

ბაზე არჩეულ იქნა საზოგადოების გამგეობა (საბჭო): გ. ყორღანია (თავმჯდომარე), დ. კასრაძე (მდივანი), დ. წითლანაძე, ს. გაბუნია (თავრის ამხანაგი), რ. გაბაშვილი და ვ. კარბელაშვილი (ხაზინადარი). კრებამ შიილო საზოგადოების წესდება, რომელიც შედგენილი იყო გ. ყორღანიას მიერ.

წესდების მიხედვით, საზოგადოების მიზანს შეაღვენდა ქართული კულტურის (ენა, მწერლობა, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ხელოვნება, მუსიკა), უოველმზრივი შესწავლა და მისი გაცნობა რუსეთის საზოგადოებისათვის!

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ წარმოადგენდა მეცნიერულ-პოპულარულ ხასიათის ორგანიზაციას. ამ საზოგადოებაში თავს იყრიდა უმთავრესად მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებული იყო ეროვნული კულტურის სხვადასხვა დარგის შესწავლით და მისი განვითარებით.

საზოგადოების წევრებად ითვლებოდნენ დამის მეშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები, პედაგოგები და ინტელიგენციის სხვა დარგის მეშაეები: მ. ჭანაშვილი, კ. აბაშიძე, თ. ყორღანია, ევგ. თაყაიშვილი, პროფ. ი. შარლემანი, პროფ. ილ. ჭანელიერი, პ. მირიანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ვას. ბარბოიცი, დ. კლდიაშვილი, ლ. ბოცვაძე, შ. დადიანი, ე. გრიშაშვილი, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. მარჭანიშვილი, ვ. გუნია და სხვები.

საზოგადოების საპატიო წევრები იყვნენ: აკაკი წერეთელი, ვეპა-ფშაველა, ალ. სუშიათაშვილი-იუვინი, პროფ. ალ. ხახანაშვილი, მ. უორდრომი, მ. გორკი, კ. ბალმონტი, პროფ. მ. კო-

1 ცსა, მოსკოვი, ფ. 418, აღწ. 499, საქ. 14, ფურ. 1-3.

2 ცნობილი ისტორიკოსის თედო ყორღანიას ჭავჭავაძის.

ვალევსკი, პროფ. ოსტოგრაძესკი, ე. ვაბაშვილი და სხვები.

1926-28 წლებში საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იყვნენ ს. გეგეჭკორი, აბ. ენუქიძე, ფ. შაბარაძე, მ. ცხაკაია და სხვ. 1.

ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში თავის მოღვაწეობის პერიოდში მეტად ნაყოფიერი შემოაბა ჩაატარა ქართული კულტურის სხვადასხვა საკითხის შესწავლისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხალხური ზემოწინააღმდეგობისა და სიტყვაკანშიშროების შესწავლას, ქართული ენისა და მართლწერის საკითხების გამორკვევას, ქართული კულტურის სიძველეთა დაცვა-შეგროვებას, ხალხური ადამ-ჩვეულებების შესწავლას და სხვ.

ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით საზოგადოება ზნორად მართავდა ქართული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა იუბილეებს და მათი ხსოვნის აღსანიშნავ საღამოებს, აწყობდა ქართული მატერიალური კულტურის ნიმუშების გამოფენებს თბილისსა და რუსეთის დიდ ქალაქებში (მოსკოვში, ლენინგრადში) და სხვ. საზოგადოების საჯარო კრებებს, რომლებიც ზნორად ტარდებოდა ზემაღალიშვილების სახალხო სახლში, ქართულ ეკლემში, სათავადაზნაურო დებუტატთა საკრებულოს დარბაზში, ქართულ თეატრში, დიდძალი ხალხი ესწრებოდა კრებებზე იყოთხებოდა მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული შინაარსის მოხსენებები და რეფერატები ძველი მწერლობიდან, კლასიკოსთა შემოქმედებიდან, საქართველოს ისტორიიდან, ბუნებისმეტყველებიდან და ა. შ. მოხსენებები წინასწარ მუშავდებოდა საზოგადოებასთან არსებულ სპეციალურ კომისიებში.

საზოგადოების საჯარო კრებებზე სხვადასხვა დროს ქართული მწერლობის საკითხებზე მოხსენებები წაუკითხავთ: იპ. ვართაგავას — „მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედება“ (კრიტიკული განხილვა), დ. კასრაძეს — „უხელო რაფაელნი და მათი „ეისფერი უაწიები“, ივ. გომართელს — „ქართული სიტყვაკანშიშროების მატერიალური მონუმენტები XIX ს. ში“, კ. აბაშიძეს — „აქაის შემოქმედება“ და სხვ.

1913 წლის 5 აპრილს საზოგადოების მორიგ საჯარო კრებაზე, რომელსაც 200-ზე მეტი აკაცი ესწრებოდა, ახალგაზრდა მკვლევარმა პ. ინგოროვამ წაითხა მოხსენება — „როდის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი“.

როგორც თვითონ პ. ინგოროვამ იგონებს, ეს იყო მისი პირველი საჯარო გამოსვლა შ. რუსთაველის შესახებ.

პ. ინგოროვას მოხსენება მიმართული იყო ს. კავაბაძის მოსაზრებათა წინააღმდეგობაში. ამდევ წლის 5 მარტს ქალთა უმაღლესი კურსებში თან არსებულ „ეთნოგრაფიის, ისტორიის და ენათმეცნიერების საზოგადოების“ კრებაზე ს. კავაბაძემ წაითხა მოხსენება, რომელიც შეიცავდა და ყალბ მეცნიერულ შეხედულებას შ. რუსთაველის ცხოვრების დროსა და „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ¹.

პ. ინგოროვას მოხსენება ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილში მოცემული იყო ს. კავაბაძის მიერ გამოყენებული მასალის კრიტიკული განხილვა; მეორე ნაწილი კი შეიცავდა ისტორიულ და ლიტერატურული ხაზითის საბუთებს, რომელნიც იმაზე მეტყველებდნენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილი იყო შ. რუსთაველის მიერ თამარის მეფობის დროს².

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო საზოგადოების წევრებმა: ს. გორგაძემ, პ. შირიანაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, ვერ. იმნაიშვილმა და სხვებმა, რომლებმაც გაიზიარეს მოხსენებლის დებულებანი.

ქართულმა პრესამ დადებითად შეაფასა პ. ინგოროვას ზემოხსენებული მოხსენება.

„მოხსენებელმა — წერდა ვერ. აქლდ“, — ყოველმხრივი განხილვით, ისტორიულად, ლინგვისტურად და სტილისტურად შეადარებთ, ტექსტის სოციალური მომენტების ანალიზით, მთავრილიოსოფიურ და თეორიულ შეხედულებათა გარკვევით ნათელყოფა ყველასათვის, რომ ეს ძველი-ეროვნული შემოქმედებასა ეკუთვნის XII ს. და სწორედ თამარის მეფობის დროს, რომელიც ისტორიკოს ოქროს ხანი დაუდგა და კულტურულმა, საზოგადოებრივმა და ეროვნულმა შეხედულებამ და ძლიერებამ აპოკავას მიღწეა“³.

საზოგადოების კრებებზე ზნორად ეწყობოდა იმდროინდელი მწერლების ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. 1915 წლის 4 იანვრის კრებაზე საზოგადოებრივმა გაარჩია დღევანდელი მწერლის დრამატული პოემა „პრომეთეოსი“. პოემის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: პ. შირიანაშვილმა, იპ. ვართაგავამ, მიხ. ზურაბიშვილი, ვას. ბარნოვმა, ილ. ახმეტელმა და სხვებმა; 1916 წლის 17 იანვრის კრებამ განიხილა გ. ქუჩიშვილის ახალი პოემა „ნაადრევე ვარსკვლავი“. ამის გამოთქვეს: მიხ. წულუკიძემ, პ. შირიანაშვილმა, ე. რუხაძემ, ნ. ჩხიკვაძემ, ი. იმედაშვილმა, ი. შისურბაძემ და სხვებმა⁴.

საზოგადოებას წახალისების მიზნით დაწესებული ჰქონდა ნიკო ლომოურის სახელობის ფუნ-

1 გაზ. «Закавказье», 1913, № 64.
2 იქვე, № 81.
3 ცსათ, ფ. 2094, სქ. 10.
4 ვერ. «ქლდ», 1913, № 16.
5 ცსათ, ფ. სქ. 24.

1 ცსთ, ფ. 2094, სქ. 10.

ლდი პრემია (100 მან.), რომლითაც კილოვ-
დებოდა ქართული კულტურის რომელიმე დარ-
ვის ამსახველ საუკეთესო ახალი თხზულება.

1914 წელს საზოგადოების საბჭოში საბრე-
მიოდ წარდგენილი იქნა 18 ახალი ლექსი. მათ-
გან საზოგადოების ყოფიმი პრემიის ღირსად
სცნო მხოლოდ ორი ავტორის ლექსები: გ. ქე-
ჩიშვილის „წყარო“ და „სიმღერა“ და ს. ურუ-
შაძის „ზღაპარი“ და „ქალო თავადი“¹.

ზოგჯერ საზოგადოება მართადა ლიტერატუ-
რულ-მუსიკალურ საღამოებს. 1914 წ. 10 თე-
ბერვალს ქართულ თეატრში საზოგადოების პე-
ნი მოეწყო საღამო, რომელზედაც ე. აბაშიძის
და ელ. ნერქვენიშვილის მონაწილეობით, წარ-
მოდგენილი იქნა ორმოქმედებიანი კომედია
„ყერ დახოცნენ, შემდეგ დაქორწინდნენ“; ამა-
ვე წლის 3 მაისს საარტისტო საზოგადოების
დარბაზში საზოგადოებამ მოაწყო „აშუღების
საღამო“; 1916 წლის 19 თებერვალს ხარტუხის
კლუბში მოეწყო საღამო, რომელიც მიეძღვნა
საკითხს — „მოსაირა-მესტიერეები ძველ სა-
ქართველოში“. მოხსენება ამ თემაზე წაკითხა
კ. დოდაშვილმა, შემდეგ მისივე დირიჟორობით
სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა XII-
XIII-ის. ქართული მუსიკის ნიმუშები; მსახი-
ობებმა — წაკითხეს ნაწყვეტები „ვეფხისტყა-
ოსნისა“².

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზო-
გადოება“ დიდ ყურადღებას უთმობდა ქარ-
თული ენისა და მართლწერის საკითხებს გა-
შორკვევას. ამ მიზნით საზოგადოებამ მრავალი
კრება ჩაატარა 1915-16 წლებში.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზო-
გადოების“ გამგეობამ ერთი ფრიალ საჭირო
საქმის მოწესრიგება იყისრა — წერდა ყურ.
„განათლება“. — ეს საგანი გახლავთ ქართული
საერთო მართლწერის დამყარება ჩვენს მწერ-
ლობაში და გამორკვევა სხვადასხვა საგრაპია-
ციო წესებისა³.

1915 წლის 25 იანვარს საზოგადოების კრე-
მაზე გამოლულ იქნა საკითხი — „არსებობს
თუ არა განსხვავება ქართულ სალიტერატურო
ენასა და მართლწერას შორის“. აღნიშნულ სა-
კითხზე კრებას თავისი აზრი მოახსენეს: პ. მი-
რიანაშვილმა, ს. გორგაძემ, ლ. ბოცაძემ,
გ.რ. ყოფშიძემ, ი.ლ. კიქინაძემ, დ. კარიჭაშვილმა,
ი. იმედაშვილმა, ი. რატიშვილმა, მ. ჩანაშვილმა
და სხვებმა, რის შემდეგ კრებამ გამოთქვა თა-
ვისი მოსაზრება: „ქართული მართლწერა იგივე
მართლმეტყველება არ არის. ქართული ორ-
თოგრაფია ცალკე არსებობს, როგორც ერთ-

ერთი განსაკუთრებული დარგი ქართული გრაფი-
კისა“⁴.

კრებამ დაადგინა, რომ ქართული გრაფიკი-
სა და მართლწერის საკითხების საბოლოოდ
გადასაწყვეტად მოწვეული უფილიყო ქარ-
თული ენის სპეციალიზტთა ყრილობა, ყრილობის
მოსაწვევად საზოგადოების საბჭომთან შეიქმნა
სპეციალური კომისია (საგრაპიატიკო კომისია)
შემდეგი შემადგენლობით: ი. ვარსაგავა, იუსტ.
აბულაძე, კ. ყოფიანი, დ. კარიჭაშვილი და
მ. ჩანაშვილი⁵.

ი. მაჭავარიანის წინადადებით კრებამ სურ-
ველი გამოთქვა, რომ საგრაპიატიკო კომისიას
ემუშევა საგაროდ, ფართო საზოგადოების მო-
წინაწილობით განეხილა სადავო საკითხები.

პ. მირიანაშვილის აზრით, საზოგადოების
საბჭოს უნდა ჩატარებოდა წინასწარი მუშაობა
„ქართული ენის პრაქტიკულად სახმარებელი
ლექსიკონის“ შესადგენად. ეს წინადადება კრე-
ბამ მიიწონა და დადგინა, რომ საქმის გასაძ-
ლოლად შექმნილიყო ქართულ სიტყვათა ლექ-
სიკონის შემდგენელი კომისია ი. მაჭავარიანის,
პ. მირიანაშვილის, ს. გორგაძის და კორ. კე-
კელიძის შემადგენლობით⁶.

ქართული მართლწერის საკითხებთან დაკავ-
შირებით ზემოხსენებულ პერიოდში საზოგა-
დოების საგარო კრებებზე წაკითხული იქნა შემე-
დვეი მოხსენებები: „რა გზით შეიძლება ქარ-
თული მართლწერის მოწესრიგება“ (მომხ.
ს. გორგაძე), „ქართული მართლწერის საკითხები“
(პ. მირიანაშვილი), „ქართული მართლწერა
ქართულ სკოლასა და მწერლობაში“ (მ. კე-
კელიძე), „ქართული მართლმეტყველება და
წერა“ (მომხ. ბერბეულიძე), „ქართული ზმნის
მართლწერის საკითხები“ (პრეფექსები „ს“ და
„პ“, მომხ. ს. გორგაძე) და სხვ.⁷

მოხსენებათა შემდეგ იმართებოდა კამათი და
აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზო-
გადოების“ აზრით, ქართულ მწერლობასა და
პრესაში დაცული უნდა ყოფილიყო ერთიანი
სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერის
ნორმები, რაც ხშირად ირდევოდა ზოგი-
ერთი მწერლისა და პრესის მუშაკის მიერ. 1915
წლის 18 იანვრის საზოგადოების კრებამ გა-
მოითქვა აზრი, რომ სასურველი იქნებოდა ქარ-
თული პრესის სათავეში ყოფილიყვნენ „ქარ-
თული ენის კარგი მცოდნენი, ქართულად ნაკი-
თნი და ქართულს მწერლობაზედ აღზრდილნი“⁸.

ქართული ენის სიწმინდის დასაცავად საზო-
გადოებამ მიზანშეწონილად მიჩნდა ქართულ

¹ ცსთ, ფ. 2094; საქ. 24.

² იქვე, საქ. 26.

³ ყურ. „განათლება“, 1915, № 8—9.

¹ ს.ბ. ოქმი, ცსთ, ფ. 2094, საქ. 10.

² ს.ბ. ანგარიში, 1915 წ.

³ იქვე.

⁴ საქ. № 10.

⁵ ს.ბ. ანგარიში, 1915 წ. საქ. № 13.

ქრისტიან-ვაჭრების რედაქციებს პეოლოგიკ სტილისტები და პერიოდულად ჩატარებულ-ყო მათი თათბირები რედაქტორებთან ერთად პრესაში გამოსაქვეყნებელი ტერმინების და-სადგენად 1.

შემოსხენებული ქართული ენის სპეციალის-ტა ურილობის მოწვევასთან დაკავშირებით საზოგადოებაში დაიწყო „საგრატიკო ფონ-დის“ შექმნა. ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და-წესებულებებმა, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულომ, კერძო პირებმა, მაგრამ 1917 წელს ვერ მოხერხდა განზრახული ურილობის მოწვევა, ლესიკონის შემდგენელმა კომისიამ კი გამოსცა პ. შირიანაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს (ქართული გრატიკის წესები)“ 2.

რევოლუციამდელ პერიოდში საზოგადოება დიდ მზრუნველობას იხიდა ხელმოკლე მწერ-ლების მიმართ. როგორც ცნობილია, ბევრი მთა-განის ნიჭი ილეოდა ლეკმაპუტის გამოდმებულ ძებნაში, ზოგი კი ამ გაქირვების მსხვერპლიც ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით, ქართულ საზოგადოებასა და პრესაში გამოითქვა მოსაზ-რება, რომ საზოგადოებამ უნდა ეზრუნა გაქირ-ვებაში ჩაერთვნილი მწერლებისა და მოღვაწე-ების ცხოვრების პირობებში გაუმჯობესებაზე და მატერიალურად დახმარებოდა მათ. ეს აზ-რი კლდე უფრო განმტკიცდა ვაჟა-ფშაველასა და ირ. ვედროშელის უფროდ ვარდაცვალების შემდეგ.

ქართული კულტურის მოყვარულთა საზო-გადოებამ წმინდა მოვალეობად მიიჩნია ანა-ზიში გაეწია ამ საერთო სურვილისათვის და თავს იღო მეტად საჭირო ეროვნული საქმის გაძღოლა. 1915 წელს, ვაჟ-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაზე საზოგადოებამ გა-გონიბრა დადგენილება, რომ საზოგადოების განსვენებული საპატიო წევრის ვაჟ-ფშაველას ზსოვნის პატივსაცემად სოდ. წადვერში აეშე-ნებოდა მისი სახელობის „აგარაკი — თავშესა-ფარი „ქართველ მოღვაწეთათვის“ 3.

საქმის გასაძღოლად საზოგადოების გამგეო-ბასთან შეიქმნა სააგარაკო კომისია ალ. ლორ-თქიფანიძის თავმჯდომარეობით (მდ.-ნი ვ. ყი-ფიანი, ხაზინადარი — ზურ. გველესიანი) 4. სა-აგარაკო კომისია მოქმედებდა 1917 წლამდე.

1915 წელს კომისიამ „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ სახელით დაბეჭ-და მოწოდება ქართველ საზოგადოებისადმი

(„ყველამ თითო აგური მივიტანოთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად“)¹ „ყველამ“ „ქართველია დღეს მწერლებს და მოღვაწეს მოღვაწის მოღვაწეობა, — ნათქვამი იყო ზე-მოსხენებულ მოწოდებაში, — ჩვენის ქვეყნის მოამაგენი უარდესს გაქირვებას განიცდიან, არა აქვთ ხეირიანი ბინა, თბილი ლეკმა. ჩვენი მწე-რალი, მსახიობი, მგოსანი, მხატვარი, პუბლი-ცისტი — თითქმის ყველა ამ ტაფაში იწვის.

დაკარგვით ეგ. ნინოშვილი, არჩ. ჯორჯაძე, ვაჟა, ირ. ვედროშელი, კიდევაც ბევრს დაკარ-გავით, თუ სიკოცხლშივე არ ვისწავლეთ საზოგა-დო ღვაწლის დადგენა“ 2.

სააგარაკო კომისია „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ სახელით საზოგადო-ყველა ქართველს, მონაწილეობა მიეღო ამ ეროვნულ საქმეში და რითიმე დახმარებოდა საზოგადოებას.

საზოგადოების ასეთმა თაოსნობამ ფართო მხარდაჭერა პოვა ქართველ ხალხში. ეს მხარდა-ჭერა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა იმ ფე-ლად დახმარებაში, რაც ქართველმა ხალხმა გაიღო ამ საქმისათვის. სულ მოკლე ხანში სა-აგარაკო კომისიამ შესწლო საკმაოდ დიდი თანხის შეგროვება, რითაც შეიძინეს მწიფის ნაკვეთი და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. საზოგა-დოების ეს მუშაობა შეწყრებულ აქნა 1917 წელს, შემდეგ კი ეს ფრიალ კეთილშობილური წამოწყება განხორციელდა საბჭოთა ხელისუფ-ლების პერიოდში.

საზოგადოებამ გაკვეთილი მატერიალური დახ-მარება აღმოუჩინა საზავშეო მწერალს შიო მღვიმელს. იმ პერიოდში შიო მღვიმელი ხელ-მოკლეობის გამო იძულებული იყო გაეყიდა თა-ვისი სააგარაკო უფლებები.

1916 წლის 25 იანვარს „ქართული კულტუ-რის მოყვარულთა საზოგადოების“ გამგეობამ გადასწყვიტა გადაეხადა შ. მღვიმელისათვის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე და მთელი შემოსავალი გადაეცა მწერლის ოჯახისათვის 3.

შ. მღვიმელის იუბილეს მზადებასთან დაკავ-შირებით ნ. ნაკაშიძე საზოგადოების თავმჯდო-მარეს გ. ჯორჯანიას წერდა: — „ღრმად პა-ტრუცემული პატივი გიორგი! თუ რამ მოლა-პარაკება გქონდეთ შიო მღვიმელის შესახებ, გთხოვთ გაგვაგებინოთ რა გადასწყვიტეთ. თუ რამ დახმარება საჭირო, დიდი საამოვნებით შევასრულებთ. თქვენი პატივისცემელი ნ. ნაკა-შიძე“ 4.

1 იქვე.

2 საზოგადოების გამოცემა „ყველამ თითო აგური მივიტანოთ ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად“, 1915 წ.

3 სახ. ოქმი, საქ. № 44.

4 საქ. 44.

1 სახ. ანგარიში, 1915 წ. საქ. № 13.

2 პ. შირიანაშვილი „გახსოვდეს წერა — ლაპარაკის დროს“ (ქარ. გრამ. წესები), 1915 წ.

3 სახ. ოქმი, საქ. № 10.

4 სახ. ანგარიში, 1915 წ., საქ. № 13.

საიუბილეო კომისიაში არჩეული იქნენ: დ. კლდიაშვილი, ნ. ნაკაშიძე, ი. გრიშაშვილი, ბარ. ბრეგვაძე, ვ. ჩხვიძე, ივ. ზედგინძე, ანა ზედგინძისა, თამ. დარეჯანიშვილი, ბარ. ყიფიანი, ოლღა ალაძე, ბარ. ბერიაშვილი და რომ. ბერიაშვილი 1.

დიდი შრომის დახარჯვა მოუხდა საიუბილეო კომისიას, რომ საქმე მოეგვარებოდა. ნებართვის აღება დაეწავა ბარბარე ყიფიანს, დარბაზის შოვნა — დ. კლდიაშვილს, ი. გრიშაშვილს და დ. დავითაშვილს. მათ მოლაპარაკება უნდა გაემართათ სახაზინო თეატრის დასის გამგეობთან. ევლახაშვილთან; სულხანიშვილი და ივ. გომარათელი სიტყვებით უნდა გამოსულიყვნენ შ. მღვიმელის შემოქმედებას შესახებ, ფინანსური მხარის ზედამხედველობა დაეწავა ანა ზედგინძისას, საღამოს რეჟისორობა კი ალ. წუწუნაძესა და ს. ტარუაშვილს 2.

საიუბილეო სამზადისში მონაწილეობას იღებდა ზაქ. ფალიაშვილიც. მან პირადად შეადგინა იმ მოწოდებათა სია, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ შიო მღვიმელის იუბილეში 3.

შედგენილი იქნა პროგრამა ოთხ განყოფილებადა: პირველ განყოფილებაში შეფასებული იქნებოდა შ. მღვიმელის სამწერლო მოღვაწეობა 30 წლის მანძილზე; მეორე განყოფილებაში — მილოცვები იუბილარისადმი; მესამეში — პიესა „პატარა კახა“ და ეპოქალი სურათები შ. მღვიმელის ნაწარმოებებიდან; მეოთხეში — საკონცერტო განყოფილება, აღნიშნული პროგრამიდან ვერ მოხერხდა მხოლოდ პიესის დადგმა.

14 თებერვალს სახაზინო (აწ. ოპერისა და ბალეტის) თეატრის შენობაში „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ სახელით გაიმართა შიო მღვიმელის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავი დილა. გაზეთი „საქართველო“ წერდა:

„შიო მღვიმელი — ბავშვთა გულის მესაიდუმლე, მათი სიხარულისა და მწუხარების უბადლო მხატვარი.

ძია შიო — „ბავშვების აკაი“. დიდი შიო ბავშვთა შორის უმანყო ბავშვი... ბავშვების გუნდი სიმღერებით მოაცილებს ძია შიოს... აღტაცება, სიხარული, სამადლობლო ცრემლები...

„ძია შიო“ ნეტარების ცრემლმორიელი ბავშვებს ზელში იტაცებდა, გულში მხურვალედ იკრავდა და ჰკოცნიდა“ 4.

დილაზე მოსწვნილი იქნა მილოცვები: „ჭკვილის“, „ნაკადლის“, „თეატრი და ცხოვრების“, „თანამდროვე აზრის“ და სხვა ქართული

ევრანალ-გაზეთების რედაქციებიდან, თბილისის ქართული ვიზნაზიის, ქალთა ცენტრების, ქართულ ქალთა კრავების სამსახურების, საზოგადოება „განათლების“, ქართველ ქალთა საჩივრე „მშური ნუგეშის“, წერ-კითხვის, საისტორიო-საეთნოგრაფიო და სხვა ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებებიდან; თელავის, გორის, ქუთაისის, ახალციხის და საქართველოს სხვა ეთნოგრაფიის გაზეთების რედაქციებისა და კულტ-საგანმანათლებლო საზოგადოებებიდან; მოსკოვის, კიევის, ტომსკის და რუსეთის სხვა საუნევერსიტეტო ქალაქების, ქართველ სტუდენტთა სათვისტომოებიდან და სხვა 1.

შემდეგ ნაჩვენებია იყო ეპოქალი სურათები. შ. მღვიმელის ნაწარმოებებიდან და საკონცერტო განყოფილება ბავშვებისა და მოხარულთა მონაწილეობით.

შიო, მღვიმელის დილა ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ამ დღეს აქ ისმოდა ქართული ენის ტრბილსმოვნება, ქართული სიმღერა, ივრანობიდან ქართველთა მშობლიური სიყვარული.

— „ბევრი ზეიმი გადაუხდია ქართველ საზოგადოებას, მაგრამ ევოლენი უშვამაელო, სისადავით ლუთაბრივი განცდა არ გამოუწვევია დამსწრეთა შორის, რაც შიოს დილა წარუშლელად აღბეჭდა დამსწრეთა გულში“ — წერდა გაზ. „საქართველო“ 2.

— „თანამდ შეიძლება ითქვას, — აღნიშნავდა „სახალხო გაზეთი“, — რომ ქართველ ყმაწვილებს ასეთი ყვავილები შეშველი დილა არ მოსწრება, სცენაზე მონაწილეობას იღებდა 200-მდე ყმაწვილი, ერთი ამდენიც, ორ მეტო არა, დამსწრეც იქნებოდა. ყველა ამ ყმაწვილის გულში შიოს დილა ნეტარი მოხაჯონარი იქნება მოტყუებულობის ყამხაც“ 3.

22 მაისს, იმავე პროგრამით ზებულაშვილების სახალხო სახლში განმეორებული იქნა შიო მღვიმელის დილა, ამჟერად, ბილეთების ფასი გაცილებით დაბალა იყო, ვიდრე 14 თებერვლის დილისა, რათა ყველას მისცემოდა შესაძლებლობა ეხილა ბავშვების საყვარელი მწერლის — შიო მღვიმელის საიუბილეო დღესასწაული.

შიო მღვიმელის იუბილე გაიმართა ქუთაისისა და ქიათურაშიც.

საზოგადოების საბჭოს დადგენილებით, შ. მღვიმელის იუბილედან შემოსული თანხის გამსაზღვრელი პროცენტი პერიოდულად უნდა ეძლიათ მწერლის ოჯახისთვის, ნაწილი კი უნ-

1 საქ. 44.

2 იქვე.

3 იქვე.

4 გაზ. „საქართველო“, 1916, № 38.

1 იქვე.

2 იქვე.

3 „სახალხო გაზეთი“, 1916 წ., № 124.

და მოხმარებოდა მის მიერ გაყიდულ საეკო-
რო უფლებათა გამოსყიდვას¹.

ამ უკანასკნელი საკითხის მოსაგვარებლად
1916 წლის მარტში საზოგადოების თავმჯდო-
მარე გ. ეორდანიას ვაგშეზარა ქუთაისში, სა-
დაც ძმები ოცხელების წიგნის მალახიას შეს-
ყიდული ჰქონდა შ. მღვიმელისაგან მისი სა-
ეკორო უფლებები. ოცხელებმა თანხმობა გა-
ნაცხადეს საზოგადოებისათვის გადაეცათ
შ. მღვიმელის საეკორო უფლებები, რისთვისაც
გ. ეორდანიამ გადაუხადა მათ შ. მღვიმელის
მიერ ოცხელებისაგან მიღებული თანხა მთლია-
ნად².

საზოგადოებამ სხვადასხვა დროს მატერია-
ლური დახმარება აღმოუჩინა პოეტებს — ნოე
ჩხიკვიძეს, გ. ქუჩიშვილს, ს. ფაშალიშვილს და
სხვებს. გ. ქუჩიშვილი შემდეგ იკონებდა: „ნი-
კოლოზის დროს ხშირად ვყოფილვარ უმეშვე-
რად, როგორც მეფის მთავრობისათვის არასა-
შელო პორტუნება, რის გამოც უკიდურეს გაჭირ-
ვებაში ვიყუდებოდი ოჯახითურთ. პატ. გ. ეორ-
დანიას უოველთვის თანაგრძნობით კვიდებოდა
ჩემისთანებს და შეძლებისდაგვარად ესმარებო-
და კიდევ უოველმხრავ. მე და პოეტ ნოე ჩხი-
კვიძეს არ მოგველუბა ვიორგის მიერ მორალური
და ნივთიერი დახმარება ამა თუ იმ სახით“³.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საზოგადო-
ების მიზანს, ქართული ელტერის უოველმხრავ
შესწავლასთან ერთად, შეადგენდა რუსეთის სა-
ზოგადოებისათვის ქართული ელტერის გაყ-
ნობა. ამ მიზნით, 1913 წლის 21 ივნისს ქართულ
თეატრულ საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო იმ-
ხანად თბილისში მყოფ რუსეთის ექიმთა და ბე-
ნებისმეტყველთა XIII ყრილობის დელეგატებს.

საზოგადოების ამ საყარო კრებას 2000-ზე მე-
ტი საზოგადოების წევრი და ვარშე პირი და-
ესწრო. აქ იყვნენ წარმომადგენლები ქართული
ელტერულ-საგანმანათლებლო საზოგადოებე-
ბიდან, ეტრისა-გახეთების რედაქციებიდან,
მოსწავლე ახალგაზრდობიდან და სხვა.

გ. ეორდანიას წინადადებით, „ქართული ელ-
ტერის მოყვარულთა საზოგადოების“ კრების სა-
პატოო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზემოხსენ-
ებული ყრილობის თავმჯდომარე, მისკოვის
უნივერსიტეტის პროფესორი ი. კაბლუკოვი,
რახაც დამსწრე საზოგადოება დიდი მოწონებით
შეხვდა.

კრებაზე საზოგადოების გამგეობის წევრმა
შ. მანაბელმა წაიკითხა მოხსენება „საქართვე-
ლოს ისტორიული წარსული და მისი თანამედ-
როვე მდგომარეობა“ (რუსულ ენაზე). ასევე
რუსულად წაიკითხეს მოხსენებები გ. ეორდანიამ
„ქართველი ხალხის ზეგავლენებიანი ი. კავკა-

ვიძის ნაწარმოებთა მიხედვით“ და კომპ.
დ. არაყიშვილმა „ქართული ხაეჭურთ ქუმდირა
და ქართული ელტერა“¹.

„დ. არაყიშვილმა თავისი მოხსენება, სამა-
გალითოდ დაწერილი, მშვენივრად წაიკითხა.
დამსწრეებმა დიდის ტაშით დააჯილდოვეს ეს
ამტკიცებას, რამდენად კრების წევრის მოწვე-
რებულნი იყვნენ საქართველოს შესახებ ცნო-
ბებსა“, — წერდა ვაზ. თეში².

„ქართული ელტერის მოყვარულთა საზო-
გადოების“ სახელით პროფ. კაბლუკოვის მიარ-
თვეს „ვეფხისტყაოსანი“. პროფ. კაბლუკოვმა
ულრმესი მადლობა მოახსენა საზოგადოებას ესო-
დენ ძვირფასი საიტქრისთვის და შემდეგ წარ-
მოსთქვა ფრიად საგულისხმო სიტყვა ქართველი
და რუსი ხალხების მეგობრობაზე. „დაე ამ კრე-
ბამ განამტკიცოს ძმური მეგობრობა რუსეთის
სხვადასხვა ხალხებს შორის თეიანით ქვეყნე-
ბის ელტერული საშახრობისათვის“ — აე
დააბოლოვეს თავისი სიტყვა პროფესორმა. შე-
დეგ მან სოხოვა კრებას, რომ მათი ნებართვით,
შ. რუსთაველის ამ ძვირფას ქმნილებას ვადს-
კეშდა მოსკოვის ბიბლიოთეკას, როგორც ქარ-
თველი ხალხის საწუქარს. კრება დიდი მოწო-
ნებით შეხვდა პროფ. კაბლუკოვის სიტყვას.

შემდეგ გაიმართა კონცერტი. ქართულ ხალ-
ხურ სიმღერებს ასრულებდა ეროვნულ ტანაც-
მელში გამოწყობილი მიხ. კავსაძის გუნდი. სიმ-
ღერებს რუსულ ენაზე განმარტავდა კომპ.
დ. არაყიშვილი. სიმღერებს ქართული ცეკვა
მოჰყვა. დასასრულს, სტუმრების პატივისცემა
მ. კავსაძის გუნდმა შესრულა „მრავალეში-
ერი“, რომელსაც მთელი დარბაზი ასევა³.

კრება ჩატარდა რუსი და ქართველი ხალხების
ველთბილი მეგობრობის ნიშნით. ყრილობის
დელეგატთა სახელით ნ. პატუკვიჩიმა ულრმე-
სი მადლობა გადაუხადა „ქართული ელტერა“
მოყვარულთა საზოგადოებას ამეთი ველთბილი
შეხვედრისათვის, და იმისათვის, რომ საზო-
გადოების საშეღებობით ისინი ახლოს ვეცნენ
ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს. მის
აღათ-ჩვეულებებს, მის ელტერას⁴.

ველთბილი მეგობრულ ვითარებაში ჩატარ-
და შეხვედრა ცნობილი რუს პოეტ კ. ბალმონტ-
თანაც. ეს შეხვედრა საზოგადოებამ მოაწყო 1915
წლის 9 ოქტომბერს, საარტიტო საზოგადოების
დარბაზში. შეხვედრას 600-ზე მეტი კაცი დაეს-
წრო. ნიშნად ღრმა პატივისცემისა, „ქართული
ელტერის მოყვარულთა საზოგადოებამ“ კ. ბალ-
მონტი აირჩია თავისი საპატოო წევრად.

საღამოზე წაიკითხელი იქნა მოხსენება კ. ბალ-
მონტის შემოქმედების შესახებ რუსულ ენაზე.

1 სპ. ოქმი, საქმე № 45.
2 ცსათ. თ. 2094, საქ. 26.
3 ცსათ. თ. 1813, საქ. 392.

1 თ. 2094, საქ. № 10.
2 ვახეთი თეში, 1913, № 129.
3 საქ. № 10.
4 იქვე.



ქართველმა პოეტებმა: ს. აბაშელმა, ი. ვრიშაშვილმა, ვ. ჭეჩიშვილმა, ს. თაშალიშვილმა და სხვებმა საკუთარი ლექსებით მიმართეს ძვირფას სტუმარს. შემდეგ კ. ბალმონტმა წაითხა ნაწყვეტები მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილ „ვეფხისტყაოსნიდან“ და კიდევ რამდენიმე საკუთარი ლექსი.

ბოლოს, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ძალებით, გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მ. კავსადის გუნდმა, მესტიერებმა, აშუღებმა და სხვა I.

შეუძღვრა სინტერესულ ნაატრას საზოგადოებამ გამოჩენილი დრამატურგისა და მსახიობის, საზოგადოების განსვენებული საპატიო წევრის ალ. სუმბათაშვილი-იუენისის ხსოვნისადმი მიძღვნილი დილა მოსკოვში, 1927 წლის 4 დეკემბერს. ამ დღეს მოსკოვის კონსერვატორიის ჯიდ დარბაზში თავი მოიყარეს რუსი და ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა—მეცნიერებმა, ხელოვნების გამორჩენილმა მოღვაწეებმა, მწერლებმა და სხვ.

მეტეფრეე და დაძაბული შემოქმედებით მუშაობის 50 წელი შესწირა თეატრს ალ. სუმბათაშვილმა, „ხელოვნებაში ამ უანგარო მსახურში, რუსული თეატრალური სამყაროს ერთერთმა უდიდესმა ადამიანმა“ 2, ალ. სუმბათაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე მოაწოდო რუსი და ქართველი ხალხების სულიერი დახალგაობის საქმეს. იგი იყო დიდი პატრიოტი, სასახელო მამულიშვილი, „სუმბათაშვილს ფართო ნაცნობობა ჰქონდა მიუღ მისკოვთან, იყო ყველა დიდი კლუბის წევრი, მოსკოველთა საყვარელი ლიტერატურულ-მატერული წრის დამაარსებელი და სიცდილამდე მისი უცვლელი თემგდომარე... იგი იყო მოსკოვში ყველაანათვის ჭეშმარიტად საყვარელი ადამიანი...“ 3.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ სახელით დილა გახსნა საზოგადოების თემგდომარე გიორგი ყორღანიამ. თავის სიტყვაში ვ. ყორღანიამ აღნიშნა, რომ ალ. სუმბათაშვილი-იუენისის ხსოვნის პატესაცემად საზოგადოებამ გადაწყვიტა დააარსოს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ ალ. სუმბათაშვილი-იუენისის სახელობის განყოფილება მოსკოვში.

ვ. ყორღანიას ასეთმა განცხადებამ დამსწრე საზოგადოებაში მოწონება დაიმსახურა.

საპატიო პრეზიდენტში არჩეულ იქნენ: პროფ. პ. საყელინი, ნ. ბახტაძე, ვ. ყორღანია, მ. რ. ზანდუკელი, კ. ილუმნოვი, მ. იპოლიტოვიანოვი, პ. კაკალიშვილი, ი. კნობერი, პ. კაგანი და ა. იაბლოკინა.

დილის საპატიო თემგდომარე აღიარეს ა. ენქიქი.

დილა წარმოადგენილი იქნა კი განყოფილებულ პირველ განყოფილებაში მოგონებებით ალ. სუმბათაშვილი-იუენისის შესახებ გამოვიდნენ ა. იაბლოკინა (რუსს), დამს. არტისტი, ვ. აქსიონოვი (მოსკ. აკ. მცირე თეატრის მსახიობი) და ვ. ყორღანია.

მეორე განყოფილებაში მონაწილეობას იღებდა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის ორკესტრი რუსს. სახ. არტისტს მ. მ. იპოლიტოვიანოვის დირიჟორობით. ორკესტრმა შეასრულა ნაწყვეტები ბეთოვენის, ჰაისის ნაწარმოებებიდან და ნ. სულანიშვილის „ხორალი“. შემდეგ ნაწევნები იქნა ნაწყვეტები აპოლიტოვიანოვის ოპერა „ლალიტადან“; ერეკლეს არიას ასრულებდა მოსკოვის დიდი თეატრის მსახიობი ს. იუდინი, „რუქიანი ზღაპარს“ — მოსკოვის ოპერის მსახიობი ი. ვლადიმეროვა.

მესამე განყოფილებაში წარმოადგინეს სცენა ალ. სუმბათაშვილი-იუენისის სპექტაკლიდან „ალატი“ ა. იაბლოკინასა და ს. გოლოვინის მონაწილეობით. მოსკოვის სტანისლავსკის სახ. სტუდიის მსახიობმა დ. ანდლეუძემ შეასრულა ანესტალონისა და მალხაზის არიები ზ. ფილიაშვილის ოპერებიდან „ანესტალი და ეთერი“, „ადიასი“, („მაროს ტრილს“ ასრულებდა სპ. ოპერის მსახიობი ნ. კარგარეთელი).

დილა დამთავრდა ქართული ხალხური სიმღერებით. შესრულებული იყო უმთავრესად ქართლ-კახური და გურული სიმღერები, კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. კონცერტში მონაწილეობას იღებდა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებასთან“ არსებული ხალხური სიმღერების გუნდი ძეკე ლოლუას ლობტარობით. ქართლ-კახურ სიმღერებს ასრულებდნენ დები თარხნიშვილები.

ალ. სუმბათაშვილი-იუენისის დილამ დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში I.

1928 წლის 4 ივნისს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ ალ. სუმბათაშვილი-იუენისის ხსოვნის აღსანიშნავი დილა ჩაატარა თბილისშიც, რუსთაველის თეატრში. საღამოში მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის აკად. მცირე თეატრს, ქართული აკად. ოპერისა და დრამის მსახიობები: ა. იაბლოკინა, ვ. გოგოლევა, ვ. აქსიონოვი, მ. პერესლანი, ვ. რიკოვი, ნ. ბადრიძე, ნ. ელიოზაშვილი და სხვები 2.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ მონაწილეობა მიიღო გამოჩენილი

1 სახ. ოქში, საქ. 10.
2 В. И. Немирович-Данченко. Из прошлого. 1936, გვ. 51.
3 იქვე.

1 ლიტ. და ხელ. ცენტრ. სახ. არქ. ფ. 878, საქ. 2494.
2 საღამოს პროგრამა, ცხობ, ფ. 2094, საქ. № 83.

რესი მწერლის მ. გორკის საიბიბლო დღესას-
წაულში, რომელიც ფართოდ აღინიშნა ჩვენს
ქვეყანაში 1928 წელს. ამ წლის 12 აპრილს, გა-
ნათლებს შემოყთა სახლში საზოგადოებამ გა-
მართა საჭარო კრება მაქსიმ გორკის სამწერლო
მოღვაწეობის 35 წლისთავთან დაკავშირებით.

მოხსენება მ. გორკის შემოქმედების შესახებ
გაკეთა ივ. გომარტელმა. მოხსენებაში მ. გორ-
კის შემოქმედება დახასიათებული იყო რო-
გორც ერთი იმ ძარღვთან, რაც ქართულ
მწერლობას რუსეთის მწერლობას უკავშირებს.

— „გორკის სახელი, მისი შემოქმედება, —
აღნიშნული იყო მოხსენებაში, — მით უფრო
მახლობელია საქართველოს შრომელი მასები-
სათვის, რომ ამ პირველი ნამდვილი პროლე-
ტარული მწერლის შემოქმედებითი ნიჭი აქ,
ჩვენს დედაქალაქში გაიფურჩქნა“¹.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზო-
გადოებამ“² ნიშნად თავისი ღრმა პატივისცე-
მისა, მ. გორკი აირჩია საზოგადოების საპატიო
წევრად.

კრების დასასრულს, ქართველ მწერალთა მო-
წოდებით გაიმართა ლიტერატურული სა-
ღამო.

საზოგადოებამ დიდად ნაყოფიერი შრომა
გასწია ქართული მატერიალური კულტურის
ძველების შესწავლისა და მათი დაცვის საქ-
მეში. ამ შრომე აღნიშნავია საზოგადოების
დაცვითი მხატვარ ნ. ტოლმაჩევსკაიას მიერ
საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მღებარე
ტარებულად გადაღებული ფრესკები (ბედიის,
ლხნის, ყიწვისის, გელათის, უბისის, შიო-
მღვიმის, ბეთანიის, ატენის, მცხეთის, სამთავისის
ურბნისის, გრემის, ნათლისმცემლის, ზარზმის
და სხვა) ფრესკები გადაღებული იყო ნატურა-
ლური ზომისა და აღრიზებული მხატვრობის
ზუსტი დაცვით. პირების გადაღების მიზანს, სა-
ერთო შთაბეჭდილების შექმნასთან ერთად,
შეადგენდა — გადმოეცა ფრესკების შენახვის
სურათიც. ამ მიზნით, მთლიანად იყო იმპირი-
ბული იმ კედლების ზედაპირი, ყველა მისი ნა-
ხეთქით, ნაქაწითა და ლაქით, რომლებზედაც
შესრულებული იყო მხატვრობა (ნ. ტოლმაჩევ-
სკაიას მიერ გადაღებული ფრესკების პირები
ამჟამად დაცულია საქ. სსრ სახელმწიფო ხე-
ლოვნების მუზეუმში).

აღნიშნული ქართული კედლის მხატვრობის
ნიმუშების ერთად თავმოყრა იძლეოდა შთაბე-
გონებულ სურათს, რომელიც გამოხატავდა, ერთი
მხრივ, ქართული ფერწერის განვითარების პე-
რიოდებს, ხოლო, მეორე მხრივ, იმის გადაუ-
დებელ მოთხოვნებს, რომ დაჩქარებული-
ყო მათი შესწავლა, ფოტოსურათებისა და ჩა-
ნახატების გაცემა.

ფრესკების გადაღებასთან ერთად, მხატვარი

აწარმოებდა ხელნაწერთა მინიატურებს დეკა-
ლების შესწავლას და ჩახატვას, რათა აღინიშნა
ეპოქის სიღრმეები მონუმენტური მხატვრობის ცულ-
კული ელემენტებისათვის, ეს ხელს შეუწყობ-
და მხატვრობის სკოლების დახსენებას.

1928 წლის 14 თებერვალს „ქართული კულ-
ტურის მოყვარულთა საზოგადოების“ სხდომა-
ზე ნ. ტოლმაჩევსკაიამ წარადგინა მოხსენების
თეზისები ძველი ქართული კედლის მხატვრობის
შესახებ მის მიერ გამოკვლეული ძეგლების მი-
ხედვით.

თეზისებში აღნიშნული იყო:

1) რომ საქართველოს ცალკეული ძეგლების-
სტილისტური და ტექნიკური თავისებურებების
დაპირისპირება და მათი შედარება ხელნაწერთა
მინიატურებთან მიუთითებს იმაზე, რომ საქარ-
თელოში არ არსებობდა ერთიანი სამხატვრო
სკოლა, რომელიც პირდაპირ იყო დამოკიდებული
ბიზანტიისაგან. ამას ამტკიცებს თუნდაც ფრეს-
კული მხატვრების ხერხები, რომლებიც მრავალ-
რიცხოვანი და მრავალფეროვანია არა მარტო
სხვადასხვა ძეგლისთვის, არამედ ცალკეული
ძეგლისთვისაც კი.

2) რომ თანამედროვე მეცნიერება მოკლის
კავკასიის კედლის მხატვრობის თავისებურებათა
სრულ გაშუქებას, ამ უკანასკნელის მნიშვნელო-
ბის გასარკვევად კედლის მხატვრობის განვი-
თარების საქმეში, როგორც რუსეთში, ისე ბალ-
კანეთსა და ნაწილობრივ ბიზანტიაშიც.

3) რომ საქართველოს ისტორიული ძეგლების
საშემო მდგომარეობა იწვევს მათი დაცვისა და
შესწავლის აუცილებლობას.

4) რომ, იმისდა მიუხედავად, ჩამოყალიბდა
თუ არა ქართული კედლის მხატვრობა ბიზან-
ტიის გავლენით თუ მის გარეშე, ძველი ქართუ-
ლი ფრესკა ითვლება ხელოვნების საუკეთესო
ნიმუშად და ძვირფას საუნჩედ მსოფლიო ხე-
ლოვნების საგანძურში.¹

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგა-
დოებამ“ მოიწონა და დაამტკიცა ნ. ტოლმაჩევ-
სკაიას შემოხსენებული თეზისები. იმავე წლის
14 მარტს თბილისის სახ. კონსერვატორიის და-
რბაზში ნ. ტოლმაჩევსკაიამ წაითხა მოხსენება
ძველი ქართული კედლის მხატვრობის შესახებ,
აღნიშნული თეზისების მიხედვით. აქვე მოეწყო
მის მიერ გადაღებული ფრესკების პირების გა-
მოფენა.²

რუსეთში ქართული კულტურის პოპულარი-
ზაციის მიზნით, ძველი ქართული კედლის მხატ-
ვრობის ნიმუშების გამოფენა საზოგადოებამ
მოაწყო მოსკოვსა და ლენინგრადში (საქ. მეცნ.
აკადემია, სახეითი ხელოვნების მეცნიერებათა
აკადემია), სიდაც მიუღიწებულ იქნა ნ. ტოლმაჩ-
ევსკაიამ, როგორც საზოგადოების მეცნიერ-
თანამშრომელი. მას დაევალი მოხსენების წაყი-

¹ ცხათ, თ. 2094. საქ. № 86.

¹ საქ. 87.

² იქვე.

თხვა ჰველი ქართული კედლის მხატვრობაზე და ფრესკების გამოყენის მოწყობა.

1928 წლის 6 აპრილს „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ სახელით ლენინგრადის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაში გაიხსნა ქართული ფრესკების გამოყენა. აკადემიის საბჭოს დიდ დარბაზში, კედლების გასწვრივ, უზარმაზარი რუბი ფერის ფარეზე განლაგებული იყო ნ. ტომშაჩევსკიას მიერ გადაღებული ფრესკების პირები.

გამოყენის გახსნას მრავალი სპეციალისტი დაესწრო. მათ შორის იყვნენ პროფესორები: ლიხაჩოვი, აინალოვი, ორბელი, ნ. შარი, ვ. კოვალევსკი და სხვები. გამოყენაზე განსაყუთრებულნი ყურადღება მიიპყრო საერო შინაარსის ფერწერამ, კერძოდ, მტიტორულმა ჯგუფებმა.

სპეციალისტების აზრით, გამოყენაზე დემონსტრირებული ფრესკები მაღალ შეფასებას იმსახურებდა და სასურველი იქნებოდა, თუ საზოგადოება ასეთ გამოყენას მოაწყოდა როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში, ისე საზღვარგარეთაც. ასეთივე აზრი იყო გამოთქმული ლენინგრადის მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიის სპეციალურ მომართავში, რომელიც აკადემიამ გამოუგზავნა „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას“ ფრესკების გამოყენასთან დაკავშირებით.

„მატერიალური კულტურის ისტორიის სახ. აკადემიის მოვალეობად მიიჩნია, — აღნიშნულია მომართავში, — აცნობოს ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებას ქართული ფრესკებით მიღებული მეტად კეთილსაზრველი შთაბეჭდილებების შესახებ, აგრეთვე მადლობა მოახსენოს იმ დიდი შრომისათვის, რაც საზოგადოებამ გასწია ქართული ხელოვნების უძეიფესესი ძეგლების შენარჩუნებისათვის.

მატერიალური კულტურის ისტ. სახ. აკადემიის მიზანშეწონილად მიიჩნია, თუ საზოგადოება გააცნოს აკადემიას მის მომავალ შრომებსაც; ასევე სასურველია საზოგადოებამ მოაწიოს ფრესკების გამოყენა როგორც საბჭოთა კავშირის შიგნით, ისე საზღვარგარეთაც, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ხელოვნებისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის“¹.

ლენინგრადის შემდეგ ასეთივე წარმატება მდებარე ქართული ფრესკების გამოყენას მოსკოვის სახვითი ხელოვნების აკადემიაშიც. ეს გამოყენა აქ მოეწყო იმავე წლის 3 და 4 მაისის 2.

როგორც საზოგადოების წევრი პ. პირიანაშვილი იკონებს, ფრესკების გამოყენა საზოგადოებას შემდეგ მოუწია საზღვარგარეთაც, ბერლინში³.

ამ პერიოდში საზოგადოების გამგეობში შედიოდნენ: ივ. გომარეთელი, გ. ელიაშვილი, იპ. ვარაზიანი (მდივანი), მიხ. ოთ. ზანდუკელი (თავრის მოადგილე), კ. მარჩანიშვილი (პრეზიდენტის წევრი), პ. მირიანაშვილი, კ. მელენიუტოვსკის, გ. ეორდანი (თავრე), ზ. ფალიაშვილი, პროფ. ილ. ჩანდერი (პრეზ. წევრი), პროფ. ი. შარლემანი, და სხვ.⁴

ამ დროისათვის (1926—1928 წწ.) საზოგადოებაში ირიცხებოდა 500-ზე მეტი საპატიო, ნამდვილი და დამხმარე წევრი.

საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო ქართული ეროვნული მუსიკის განვითარების საქმეს. პ. მირიანაშვილის გადმოცემით, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში“ ჩაყარა საფუძველი ეროვნულ ოპერას. მის მიერ საზოგადოების კრებებზე პირველად ყოფილა საჩაროდ წყაობელი ზ. ფალიაშვილის ოპერა „ახესალომი და ეთერის“ ლიბრეტო და მოსმენილი ფალიაშვილის მიერ შესრულებული ნაწევრები ამ ოპერიდან². შემდეგში საზოგადოებამ დიდი შრომა გასწია „ახესალომი და ეთერის“ სცენაზე დასადგმელად.

საზოგადოება დიდ დახმარებას უწევდა კომპ. კ. მელენიუტოვსკის ოპერა „ამირანის“ დაწერისას. ნაწევრები ამ ოპერიდან რამდენჯერმე იქნა შესრულებული საზოგადოების საჯარო კრებებზე.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებების, უფა-ცხოვრების მეცნიერულ შესწავლას.

ყვე კიდევ მოსკოვში სწავლის პერიოდში წრის წევრები დაინტერესებული იყვნენ ამ საკითხებით და წრის სხდომებზე ხშირად გამოქმნდა აშგვარი სასათის მოხსენებები და რეფერატები. პირველი მოხსენება წრეში გააკეთა გ. ეორდანიამ. მოხსენებაში მოცემული იყო „რუსეთის პრავდას“ და ვახტანგ VI კანონების შედარებითი ანალიზი³.

„ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ სხდომებზე ხშირად იკითხებოდა საინტერესო შინაარსის ეთნოგრაფიული მოხსენებები გ. ეორდანის („ქორწინება სამეგრელოში“, „სისხლის აღება და ვასამართლება სვანეთში“, „ხალხი და მისი ადათ-ჩვეულებანი“), ნიკ. ნათაძის („ზოგიერთი ადათ-ჩვეულებანი ქიზიყ-კახეთში“), პ. კობახიას („სისხლის სამართლის კანონმდებლობა საქართველოში მეფე ვახტანგ VI კანონთა კრებულის მიხედვით“)⁴ და სხვების მიერ.

საზოგადოება ეწეოდა სავაჭარო საქმე-

1 ცსათ. ფ. 2094, საქ. 87.
2 იქვე.
3 ცსათ. ფ. 1813, საქ. 387.

1 იქვე, საქ. 78.
2 ცსათ. ფ. 1813, საქ. 10.
3 ცსათ. ფ. 2094, საქ. 2.
4 საქ. საქ. № 10.

საც. მის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული იქნა ცალკე წიგნაკებად საზოგადოების საჯარო კრებებზე წაკითხული მოხსენებები: ივ. გომართელის „აკაი“ (1915 წ.), ივ. გომართელისა და ჯ. აბაშიძის „ორი სიტყვა“ (1915 წ.), იმ. ვართაგაიას „მ. ჯავახიშვილის შემოქმედება“ (1928 წ.), მელანიას „გიორგი და გედრქა“ (1915 წ.), პ. შირიანაშვილის „გახსოვდეს წერა-ლაპარაკის დროს“ (1915 წ.), და სხვა I.


საზოგადოებას განზრახული ჰქონდა ქართული ლიტერატურის და ისტორიის შემსწავლელი სისტემატური კურსების გახსნა, წიგნების გამოცემა ხალხური შემოქმედებიდან და საბავშვო ლიტერატურიდან, ასევე საზოგადოების საჯარო კრებებზე წაკითხული მოხსენებების სერიალი გამოცემა, ქართული ლიტერატურის უცხო ენებზე თარგმნა და სხვა, მაგრამ ამ განზრახვის სისტრულში მოყვანა საზოგადოებას ვერ მოუხდა იმის გამო, რომ ამგვარი საქმიანობა დაეკი-

სრა საბჭოთა სათანადო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. 1928 წელს საზოგადოებამ არსებობა შეწყვიტა.

ამგვარად, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოება“ თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდა ქართული კულტურის განვითარების საქმეს. მან მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას XX საუკუნის პირველ მეოთხედში. როგორც შემდეგ ამ საზოგადოების წევრი შ. დადიანი წერდა, „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ“ თავის დროზე ისეთი პოპულარობა მოიპოვა და ისეთი დიდი როლი ითამაშა, რომ თავისი მორალური მნიშვნელობით გაუტოლდა იმ დროის ქართულ დიდ საზოგადოებრივ დაწესებულებას, როგორც წერა-კითხვის საზოგადოება იყო.“¹

¹ სახ. ანგარიში, 1916 წ.

¹ ცსთ, ფონ. 1813, სპ. 378.



ფაურის მზის ნაბიჯები

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ლიტერატორები-
სა და კრიტიკოსების მიერ არა ერთხელ აღნიშ-
ნულა (კერძო საუბრებში, საჯარო გამოსვ-
ლებსა და პრესაშიც), რომ ახალი თაობის პოე-
ტების ნაწერებში, წმინდა ტექნიკური მიღწე-
ვების ფონზე, აზრობრივ-ემოციური ელემენტის
ერთგვარი გამოფიტვა შეინიშნება. და-
ბეჭდილი ლექსების მომეტებულ ნაწილს (ეს
ყველა ლექსსა და პოეტს არ ეხება) ემოციუ-
რი გულგრილობის, დაქუცმაცებული ყოფითი
წერილობისა და ერთფეროვანი, პოეტური
ლირებულების არმქონე განსვითი ტონალობის
ბეჭედი აჩის. ძნელი სათქმელია რამ გამოიწვი-
ა ეს. ცხადი ისაა, რომ მკითხველებს ამგვარი ლე-
ქსები ვერ მიანიჭებს პოეზიის სიხარულს.

ამ ლექსებში თითქოს გამორიცხულია თა-
ნამედროვე ადამიანისათვის საინტერესო უზარ-
მაზარი ქვეყანა, წრფელი და მტკიცეული
განცდის მრავალფეროვანი სამყარო. მიხედავ,
საესებით მცდარად, თუმცა ძალიან ხშირად, ინ-
ტელექტუალური გვზით მომართულ მსოფლმე-
გრძნობას ასახელებენ. მაგრამ უნდა ითქვას,
რომ „პოეტს, რომელიც აზროვნებს, ძალეძს
ახლის ემოციური ექვივალენტის გამოხატვა...
ყოველი დიდი პოეზია ქმნის ცხოვრების ხედ-
ვის ილუზიას... ყოველი სრულყოფილი ემო-
ცია ინტელექტუალური გააზრებისაყენ მის-
წარაფის“ (თომას ელიოტი). ამავე მოვლენას
უკავშირებენ აგრეთვე თეთრი და თავისუფა-
ლი ლექსის მოჭარბებასაც ჩვენს პოეზიაში. ზე-
მოთაღნიშნული პოეტური ასთენიურობის ფეს-
ვი, მე ვფიქრობ, თავად შემოქმედის შინადაყა-
როშია საძიებელი და არა მის გარეთ, მით უმ-
ეტეს, განცდის განსაზიერების მხატვრულ მე-
თოდში. ეს უკანასკნელი ყოველი ქუშიარი-
ტი შემოქმედისათვის მისივე შინაგანი ბუ-
ნების თავისებურებიდან გამომდინარეობს. თა-
ვისუფალი მტკიცით თუ ტრადიციული სტრო-
ფიკით და რითმით დაწერილ ამ ერთმანეთის
მსგავსს, აზრობრივად და ემოციურად ღუნე,
ხოლო ზოგჯერ ფურტურო ლექსებში მოჩვენები-

თი შემართებისა და ხალისიანი განწყობი-
ლების, ტექნიკური ოსტატობისა და ხშირად
ბრწყინეალების წიაღში მხოლოდ მათი აეტო-
რების უნიათო ფიქრს, მოწყენილობასა და
შემოქმედებით სიძაბუნეს კერეტს პოეზიის
მოყვარული ვიშორებ, ეს არ ეხება ლექსის
მწერალთა უმრავლესობას, მაგრამ დაბეჭდილი
ლექსების უმეტესობას — კ.

ამ უარსაყოფი მოვლენის მთავარი ნიშანია
პოეტური ხედვის არაფრისმთქმელი ზოგადო-
ბა, უნიშნადო აბსტრაქტულობა, რომელიც
ყველაზე უკეთ სათქმელის ფაქტიურ უქონლო-
ბასა ან მისდამი თავად პოეტის გულგრილ,
სიმძიფრესა და შინაგან დაძაბულობას მოკლე-
ბულ, მიმართებაში ცნურდება. ხოლო პოე-
ზია თვითონ არის ცივი და მშრალი აბსტრაქცი-
ების დაძლევის საშეალება. იგი კონკრეტული,
ცინცხალი პიროვნული განცდის გამლანებაა.

შთაბეჭდილების ცხოველყოფილი უშეალო-
ბით აღბეჭდილი ის ლექსები, რომლებიც ამ
უვეშიური პროდუქციის ფონზე დრო და დრო
გაილეგებენ ზოლზე, შემდეგ ერთ წიგნად ერთ-
დებთან და მკითხველისათვის ცხადი ხდება მათ
შიღმა მიმალული პოეტური ნათელხილვის აზ-
რო...

ნოემბრის თვეში, როტესაც ხეზე
თავს ველარ იქერს ხმელი ფოთოლი... —
მე დავიბადა...

მაგრამ მზის ნაცელად ხმელი ფოთოლი
ბზინავდა მალა,
და მხედ იმიტომ მოჩანდა მხოლოდ,
რომ ტრიალებდა შავი ცის ფონზე...

„ამ ფოთოლს „ქუჩის მტვერი აყრია“ და გამ-
ვლელთა „ნაფხურები“ ეტყობა. მაგრამ თუ
კარგად დავაყვირებთ, „ყვითელი ფოთოლები
დახატულ“ პოეტის სახეს დავიანახეთ. ეს პო-
ეტი გახლავთ ბესიკ ხარანელი, რომლის ლე-
ქსების ყრბული ამასწინათ გამოაქვეყნა „საბ-
ქოთა საქართველოში“.

არსებობს ერთი შეუვალი ფაქტი და ის უსათუოდ ღუნდა გაითვალისწინოს პოეტმა, თუკი მას სურს რაიმეს მიადწიოს პოეტური სარბივლზე, — ეს არის XX საუკუნის ქართული პოეზიის უკვე ამოკლებული მიღწევები. ახლის ქმნა და ახლებურად თქმა უადრეს სიმწერეს წარმოადგენდა ყოველ დროში, მით უმეტეს მაშინ, როცა უყოფელი ახალი პოეტური ტალანტი გარდევალი ავტორებლობის ძალით ეკვე არსებული დიდი და მრავალმხრივ დიფერენცირებული, სტილურად დახვეწილი, ფართო დიაპაზონის მქონე პოეზიის წინაშე აღმონდებდა. ასეთ სიტუაციაში პირველქმნილი ძალისილებით ან სახელს მორჭმელი პოეტური სამყაროს შექმნა არამც თუ წარმოდგენილად მწელია, რაც მხოლოდ დიდი ნიჭით ცხებულ ზელოვანს ზეღუფილება, არამედ მცირე მასშტაბის საკეთარი პოეტური თვალთახედვის გაიყოფინებაც კი უადრესად საძნელი და დიდ შემოქმედებით ძალისხმევასთან დაკავშირებული საქმეა. ახალგაზრდა შემოქმედის უპირველესი ამოცანა ამ რთული გარემოცვის ფონზე შეაფასოს და მასთან მიმართებაში მოიაზროს თავისი შემოქმედებით შესაძლებლობის განვითარება.

ბესიკ ზარანაულის ლექსების წიგნის მთავარი ღირსება, ჩემი აზრით, ის არის, რომ იგი არსებითად, მისთვის გამოინაგნებული და ორგანულად ვანცდილი პოეტური სამყაროს ბუნებრივი საზღვრებიდან არ ვადის (თუმცა უნდა ითქვას: ზოგჯერ, როცა იგი ცდილობს ამის გაკეთებას, მოსწოდებულ მარცხს განიცდის), და რაც უმთავრესია, ეს სამყარო მოძიებულა ქართულ პოეზიაში უკვე ცნობილი ან გაკვეთილი საზრისების, მრავალგზის „გასინჯული“ თვალთახედვისა და გადაღებული ინტონაციების გამორიცხვის მეშვეობით...

რისთვისღა ესინჯავთ ამ ქადოსნურ, ლეთაებრივ სიზმრებს, თუ თვალს ვაკახელთ და ქვეყანა ისევ ის არის...

პოეტის ცდილობს ამ „ლეთაებრივი სიზმრების“ ანუ შინაგანი თვალის შუქზე განჭვრეტოს ქვეყანა. მაგრამ ამ გზაზე თანამედროვე ზელოვანს შეიძლება ერთი დაბრკოლება გადაეღობოს: პირველების შინაგანი ვათიშელობა, მისი სტესტანციური ბირთვის განწილულობა, პოეტისათვის ნიშანდობლივი ერთიანი პერსონების და შრომისა და წერტილმართობა. იპოვნური „ხაი-ეუს“ მსგავსად ვახსნილ ხილვამ ამ საშინროების ხატი ზუსტად აქვს დაკვირილი ბესიკ ხარანაულს:

მეჩვენა, თითქოს ხრიკი ზეგანზე შეფხვნილიყენენ ბლომად ქვისმთლენი და ჩემს დარდს ღინჯად აქუცმაცებდნენ.

„ქვისმთლენი“ აქ კარგად არის მონახული. პირველების ეს შინაგანი ბირთვი მარტოვე მტყუნებით დაუშლელი, მტკიცე უნდა იყოს. იგი შეიძლება მხოლოდ „ხრიკი ზეგანზე“ ე. ი. აზრობრივი და ემოციური სიღარიბის ატმოსფეროში დაქუცმაცდეს. ისიც ცხადია, რომ „დარდი“ ერთერთი ასპექტია პირველების ყოფიერებისა, რომ დადრისაგან გაარტყელი ყატი სიხარულისგანაც გაპარცულია.

საინტერესოა პოეტის დამოკიდებულება ურბანული და ტექნიკური გარემოცვისადმი. ამ უკანასკნელით რომანტიკული აღფრთოვანება დიდხანია უკუგდებულა. იგი ბევრ შემთხვევაში უნდობლობასა და შიშს იწყევს, როგორც ისეთი რამ, რაც შესაძლოა, აღარ დაემორჩილოს ადამიანის კონტროლს და ვალატიონის თქმისებრ, „ცხელი თითებით თვითონვე დაადაროს ის, ვინც მას სული შთაბერა“. ბესიკ ზარანაულის ხილვამ ქალაქი ზოგჯერ ურბანული ემსგავსება:

სწორედ ისევე ღორების კოლტმა ტყეში რომ ივრანოს ავი ამინდი და წამოვიდეს სოფლისკენ ვიშით და დააყენოს შარაზე მტვერი — ცხვირიწამაბული მანქანებით სავსეა ქუჩა...

პოეტისათვის საშინროების შემეცველია მანქანური ტვილიზაციის „ემშორება“, რაც ეკვანტელური „ღორების კოლტით“ შესანიშნავად აქვს მიჩიშენებული. და აქვე მის გულში („ქალაქის პარკი“) თანამედროვე ადამიანისთვის ნიშანდობლივად აღტაცებას იწყევს „შუა ქალაქში, გზის პირზე ნათობი“ ბალახის ღანახვა, რომელიც დიდი ქალაქის მკვიდრისათვის გაუცხოებელი სამყაროს ნატეხივით ეღვარება:

თქვენ აქ რა გინდათ ტყბილო სურნელო, კიანჭველებო, ეტაკალებო, შენ აქ რა გინდა მწვანე ქათობო, ხაწირის კალთას როგორ შეგაკრა, ნეტა ვინ იყო ის დალოცული...

ტექნიკური პეისაჟის მიმართ ბუნების ადამიანურ უპირატესობას ბესიკ ზარანაული კარგად გამოხატავს ლექსით „ატმის ზე ქარხნის უბოში“. აყვავებულმა ატმის ხემ „ურცოლა მოპვეჯარა რკინა-ბეტონს“, მან „გადიბირა დიდი ფანჯრები და აშწეხები მისკენ ილტვიან, სურთ ატმის ძირში იტირონ ტყბილად“. მათ არ ახლავთ საკეთარი არსებობა. აონმზილი აწეხები ამ ლექსში საყოდავნი და უსუსურნი არიან. მათ თითქოს ბუნების პირვანდელ საშინროუნდათ დაბრუნება, საიდანაც ისინი ადამიანის ნებისყოფამ გამოშვიგა. და იგივე ატმის ზე

მაკედია, ბერეკ იერემო,
დასდევდა სიღარიბის ჯოხი.
მიწაიმიც დაილოცებინა —
შიშველნი შავიმაღნეს ზორცინი...

ბესიკ ხარანაულის ამ პირველ წიგნში „ფშა-
ური მზის“ ანუ პოეტის უველანზე ცხოველი
და პირვანდელი შთაბეჭდილებების რიტმითა
დაკერალი. საგულისხმოა, რომ ამავე დროს,
ეს წიგნი პირველი ლირიკული კრებულია თა-
ველან ბოლომდე ურითმო, თავისუფალი რიტ-
მებით დაწერილი და აქ ორიოდ სიტყვა
უნდა ითქვას: მისწრაფი, რომ თავისუფალი
ლექსი ვერ გვგვება ქართული პოეზიის ტრადი-
ციას, მაგრამ ავთენტურიათ ის, რომ ჰველ-
ანის პირველი თავისუფალი ლექსით, „წყობილი
სიტყვით“ არის თარგმნილი და დაწერილი
ჰქონდა ადამიანის ბერეკ ადგილი და ქართული
რელიგიური პოეზიის ზოგიერთი ნაწარმოე-
ბი, — ეს ერთი. მეორე, — ხანგრძლივ ქრო-
ნოლოგიურ პერიოდში არსებული ვაბატონე-
ბული ტრადიციის დასაბამი, მანამდე არარ-
სებელი ახალი მსოფლმხედველობისა თუ პო-
ეტური კულტურის თავდაპირველი წყაროე-
ბიდან იღებდა მუდამ სათავეს. რაიმე — სუ-
ლერითა რა, — ჯერ უნდა აღმოცენდეს, ორ-
განულად შეუთვისდეს უკვე არსებულს მთლი-
ან კომპლექსს და მისადაბამე დადგინდეს,
რომ მერე ტრადიციად იქცეს. წინააღმდეგ

შემთხვევაში უკვე არსებულ ზღაპრულ-
ბა და ფუფუნერციად გადაიქცევა ტრადი-
ციული, ხშირად ფარავს იმ დასაბამს, სრულყოფი-
ლად თვითონ ამოზარდა და რასთანაც უნდა იქცე-
ნაყარობით ცდილობს ხალხმე ესა თუ ის პოეტი
ახლებური ხატისა თუ სალექსო ფორმის შექმ-
ნას. ის, რაც საყოველთაოდ მისაწვდომი და
ცნობილია, არავის შინაგან მონაპოვად არ
იქცევა, რაი ეს უნაინსკენლი მხოლოდ თვი-
თონ უნდა შექმნა.

სიმაართლეს მოკლებული არ არის ის აზრი,
რომ ბოლო წლებში თავისუფალი ლექსი
უნებოების თავშესაფარად იქცა. მაგრამ უნდა
შეგნიშნოთ: წინათაც და ახლაც რითმთან ლექ-
სისაც არა ნაყლებ მოხერხებულად აფარებდა
და აფარებს თავს უნებობა. ლექსის ფორ-
მა აქ არაფერ შეაშია, ყოველ ფორმას პოეტის
ინტუიცია ამართლებს, თუკი ის პირველქმნი-
ლი უშუალოდ შეისახმს ზორცს.

ბესიკ ხარანაულის ლექსებში მხოლოდ ზო-
გან გვხვდება ამ ინტუიციისაგან თუ შინაგანი
ხილვისაგან დაცული სიტყვიერი მღვიმეები.
მისი წიგნი პოეტური შთაგონების სიახლის სა-
სიამოვნო სურნელითაა გააღწეოლი და ეს
სურნელი პოეტის მიერ ცხოველად განცდილ
ბავშვობის სიზმრებს ფშავის მზესა და მიწას
ასდის.

თავაზ ჩხენკელი

„ახალი ფილოსოფიის ისტორია“

სარკენიზო წიგნის ავტორის პროფ. კ. ბაქ-
რაძის მეცნიერული კვლევა-ძიებების სფერო ფი-
ლოსოფიაში მრავალმხრივია. მის კალამს ეკუ-
თვნის გამოკვლევები ფილოსოფიის ისტორიის,
ლოგიკის, დიალექტიკური და ისტორიული მატ-
ერიალიზმის ურთულეს პრობლემებზე.

კ. ბაქრაძე როგორც ფილოსოფიის ისტორი-
ის დიდი სპეციალისტი, ცნობილია, არა მარტო
საბჭოთა კავშირში არამედ მის ფარგლებს გა-
რეთაც. მის დიდი ღვაწლი მიუძღვის ფილოსო-
ფიის ისტორიის რიგი უმნიშვნელოვანესი
პრობლემების დამუშავებაში. ამ მხრივ მებრტ-
სიანტრატუსის ისეთი მონოგრაფიული გამოკვლე-
ვები, როგორიცაა: „დიალექტიკის პრობლემა
გერმანულ იდეალიზმში“, „სისტემა და მეთო-
დი ჰეგელის ფილოსოფიაში“ „ნარკვევები უახ-
ლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილო-
სოფიის ისტორიიდან“, „ეკსისტენციალიზმი“,
პროფ. კ. ბაქრაძის ღვაწლი ფილოსოფიის
ისტორიის დარგში კიდევ უფრო მნიშვნელოვან-

ნი ვახდა სარკენიზო წიგნით „ახალი ფილო-
სოფიის ისტორია“. ახალი ფილოსოფიის ისტო-
რია ფილოსოფიის ისტორიის უმნიშვნელოვანე-
სი ნაწილია:

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ფილოსოფი-
ურ ლიტერატურაში არსებობს ფილოსოფიის
ისტორიის ორი სხვადასხვა დროს გამოხული
კოლექტიური ნაშრომი „ფილოსოფიის ისტო-
რია“, არსებობს კიდევ ფილოსოფიის ისტორი-
ის ორი კურსი, სადაც, რა თქმა უნდა, ახალი
ფილოსოფიის ისტორიაც არის შესული. მაგ-
რამ ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში ახა-
ლი ფილოსოფიის ისტორია ცალკე კურსის სა-
ხით და ისიც ერთი ავტორის მიერ დაწერილი
დღემდე არ შექმნილა. ამ მხრივ სარკენიზო
წიგნი პირველია. იგი გამოირჩევა იმითაც, რომ
ფილოსოფოსები, რომლებიც სარკენიზო წიგ-
ნშია განხილული ისე ვრცლად და მრავალი არ-
გუმენით საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატუ-
რაში დღემდე არსებული ფილოსოფიის ისტო-
რიაში არ არის მოცემული. ეს ცხადყოფს თუ
რა დიდი ტვირთი ასწია კ. ბაქრაძემ ახალი ფი-
ლოსოფიის ისტორიის გამოკვებით.

კ. ბაქრაძე, ახალი ფილოსოფიის ისტორია,
თ. ბ. უ. 1969.

კ. ბაქრაძის ნაშრომი ყველა დღემდე გამოქვეყნებული მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზე აგებული ფილოსოფიის ისტორიის კურსისაგან იმით განსხვავდება, რომ მასში მოცემულია არა მხოლოდ ის, რაც უდავოდ გაკრიტიკებული უნდა იქნეს, არამედ ძირითადი შეინარსა ფილოსოფიური სისტემებისა და ამის საფუძველზეა მოცემული იმანენტური კრიტიკაც. ყოველივე ეს წარმოდგენილია იმიტომ, რომ ავტორის მიერ შედგენილსა და გათვლილს წინებულ, რომ წარსულის ფილოსოფიურ სისტემებში, როგორც მდებარე უნდა იყოს ისინი, ყოველთვის არის კუმშირების ელემენტები, რომლებიც შემდგომი დროის ფილოსოფიურმა სისტემებმა გადაამუშავეს და შემოიხანეს. ახალი ფილოსოფიის ისტორიის ასეთი მეთოდით გადმოცემა მდებარე მასალას იძლევა ცალკეულ ფილოსოფოსთა შესახებ, რითაც იგი უფრო მიმზიდველი, საინტერესო ხდება მკითხველისათვის, ამით დაძლეულია გადმოცემის ის სიმშრალე, რომელიც სამწუხაროდ დღემდე ახლავს ფილოსოფიის ისტორიის სახელმძღვანელო კურსებს.

კ. ბაქრაძის ახალი ფილოსოფიის ისტორია ჩვენში დღემდე გამოცემული ფილოსოფიის ისტორიებისაგან იშთავე განსხვავდება, რომ მასში არ არის წარსულის ფილოსოფიურ სისტემათა შელამაზებულად გადმოცემის არავითარი კვდა; სარეცენზიო წიგნი საპირთლიანად არის ნათქვამი „რასაც ვერ ვხედავ“. ამა თუ იმ ფილოსოფოსის ნააზრებში წინ უნდა წამოვიწიოთ მისი ის აზრები, რომლებიც პროგრესიულია, ის დადებითი შარცელები, რომლებიც საფუძვლად დაედო მეცნიერებისა და ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას. მაგრამ ეს როდენი ნიშნავს, რომ ფილოსოფოსის ნააზრებში არ აღენიშნება ის მდებარე, უპროფიტი, რომელიც შემდგომში თავიდან მოიპოვებს როგორც უეპარჯისა. ფილოსოფიის ისტორიას, ასევე როგორც საერთოდ ისტორიას, არ სწირდება არც გალამაზება და არც დამახინჩება“. წარსულის ფილოსოფიური ნააზრების გალამაზებისა და დამახინჩების გამო კ. ბაქრაძე სრულად საპირთლიანად საუფედრობს, როგორც ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიკოსებს, ასევე ჩვენშიც ფილოსოფიის ისტორიის ზოგჯერ ავტორს. „ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიკოსებმა კარგა ხანია შემოიღეს გარკვეული მეთოდი, რომლის მიხედვით საკეთარი თვალსაზრისის გასამართლებლად ფილოსოფიის ისტორიაში წინაპრებს ეძებენ და მათ თავის თვალსაზრისს მიჰყვებიან: გამოდის ისე, თითქოს ფილოსოფიის ისტორია მათი თვალსაზრისის განვითარებას წარმოადგენდა“. ამ მდებარე მეთოდმა, როგორც ნიშნავს ადინიშვილი, ჩვენშიც მოყოლია ფეხი. ჩვენს ფილოსოფიის ისტორიებში, როცა მარტიალში წარმომადგენელთა თვალსაზრისი

ფასდება ხშირად მიმართავენ მთა შელამაზებას, აჩვენებენ მხოლოდ დადებითს და ყოველგვარ გადახვევს მარტიალშიდან მინჩევენ უმნიშვნელოდ და შემთხვევითად. მარტიალში წარმომადგენლების თვალსაზრისის ასეთ გადმოცემას, რა თქმა უნდა, დადებითი არაფერი არ მოიქვს არც იმ ფილოსოფოსებისათვის, რომელთა მიმართ ამის ჩადიან და არც მარქსისტულ-მარტიალისტური ფილოსოფოსებისა. მარტიალისტური ფილოსოფია, რა თქმა უნდა, არ წარმოშობილა ფილოსოფიური აზრის განვითარების გვერდით და მისგან დამოუკიდებლად, იგი წინაპრობის მეცნიერებათა, მათ შორის ფილოსოფიის, განვითარების შედეგია, მაგრამ ამავე დროს იგი მანამდე არსებული ფილოსოფიისაგან არსებობდა განსხვავებულია, ვადარებელია ფილოსოფიაში. მარქსისტული ფილოსოფია არის მეცნიერული, დაღმტყურ-მარტიალისტური ფილოსოფია. სწორედ იმიტომ, მარტიალში შესახებ ახალ ფილოსოფიაში კ. ბაქრაძე მართლიანად წერს „ის ვარემოება, რომ ჩვენ მარტიალში თვალსაზრისს ვიცავთ, არ გვაძლევს უფლებას ვუდალოთ იმიტომ, რომ მარტიალისტური ფილოსოფიისაგან განსხვავებულია, მაგრამ იგი ფუნდამენტური გამოკლევას წარმოადგენს. კ. ბაქრაძეს ყველგან გამოყენებული ჰქვს პირველ-წერაობები და გამოკლევები. ნაშრომი წარმოადგენს ახალი ფილოსოფიის ისტორიის გარკვეული პერიოდის ვაშლი და დაწერილებით უტრს, ამდენადაც სარეცენზიო წიგნი სახელმძღვანელოა, ავტორი ზედმეფენით მარტიალ და ნათლად გადმოცემა ფილოსოფიურ სისტემათა შეინარსს და თანაც ყველგან გვაძლევს ძირითადი ცნებების განსაზღვრებებს. სარეცენზიო წიგნი კ. ბაქრაძის მიერ ცალკეული ფილოსოფიური სისტემების გადმოცემისა და კრიტიკის დროს წარმოდგენილია ახალი, ორიგინალური ინტერპრეტაციები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილოსოფიური სისტემების შრავალი საკითხის ორიგინალური ინტერპრეტაცია და გადმოწერა. ჩვენ აქედან, მხოლოდ ორიოდ საკითხს შევხვებით:

კ. ბაქრაძის ახალი ფილოსოფიის ისტორიის პირველი ტომი იწყება აღორძინების ხანის ფილოსოფოსებით და მთავრდება კანტის ფილოსოფიური მოძღვრების განხილვით. ავტორის თქმით, ნაშრომი ძირითადად განხილულია ფილოსოფიურ მიმართლებათა გნოლოგური და ონტოლოგური პრობლემები. წიგნი მართალია, განუთქვნილია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის, მაგრამ იგი ფუნდამენტურ გამოკლევას წარმოადგენს. კ. ბაქრაძეს ყველგან გამოყენებული ჰქვს პირველ-წერაობები და გამოკლევები. ნაშრომი წარმოადგენს ახალი ფილოსოფიის ისტორიის გარკვეული პერიოდის ვაშლი და დაწერილებით უტრს, ამდენადაც სარეცენზიო წიგნი სახელმძღვანელოა, ავტორი ზედმეფენით მარტიალ და ნათლად გადმოცემა ფილოსოფიურ სისტემათა შეინარსს და თანაც ყველგან გვაძლევს ძირითადი ცნებების განსაზღვრებებს. სარეცენზიო წიგნი კ. ბაქრაძის მიერ ცალკეული ფილოსოფიური სისტემების გადმოცემისა და კრიტიკის დროს წარმოდგენილია ახალი, ორიგინალური ინტერპრეტაციები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილოსოფიური სისტემების შრავალი საკითხის ორიგინალური ინტერპრეტაცია და გადმოწერა. ჩვენ აქედან, მხოლოდ ორიოდ საკითხს შევხვებით:



კ. ბაქრაძის ნაშრომში „ახალი ფილოსოფიის ისტორია“ განხილულია რა ჯ. ლოკის ფილოსოფიური სისტემა, დასაბუთებულად არის წარმოდგენილი, რომ თუ ახალი ფილოსოფიის დასაწყისი ხასიათდებოდა მეთოდის პრობლემის აღმოჩენა-განვითარებით, ლოკის, როგორც ფილოსოფოსის, მნიშვნელობა პირველ რიგში იმაშია, რომ მან ფილოსოფიური საკითხების განხილვისას შემეცნების თეორია პირველ ადგილზე დააყენა. ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია, რომ ლოკის მოძღვრებაში მეორადი თვისებების შესახებ არსებობენ განსხვავებული შეხედულებანი. ლოკის მიერ აღიარებული მეორადი თვისებები, როგორცია ფერა, ზეგრა და სხვ. არ არის თვით საგნებში, სუბიექტური ხასიათის მქონეა, სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი მეორადი თვისებების იდეალისტურ ინტერპრეტაციას, კ. ბაქრაძე ახაბუთებს, რომ ლოკი, აღიარებს რა მეორადი თვისებების სუბიექტურობას, ამით მატერიალისტურ თვალსაზრისს არ უარყოფს და არ იცავს იდეალიზმს. მეორადი თვისებები გამოწვეულია იმავე წესით, როგორც პირველადი თვისებები, ე. ი. მეორადი თვისებების გამოწვევები მიზეზები ობიექტურად არსებობენ. „იდეალიზმთან გვეუკნებოდა საქმე, ლოკს რომ ეთქვა, მეორადი თვისებები არ არის გამოწვეული რეალური, მატერიალური საგნებით და მოცულებით“. ლოკის არათანმიმდევრობას, მსოფლმხედველობას მატერიალისტური ტენდენციებიდან იდეალისტურსა და სექტიკურთ თვალსაზრისისათვის ადგილის დამოძიებას, კ. ბაქრაძე იმაში ზედვს, რომ ლოკის მიხედვით კუმშობრივება არის საგანთან თანხმობა კი არ არის, არამედ მხოლოდ ორი იდეის თანხმობა, შემდეგ, ლოკის მიხედვით არ არსებობს შეცნეობა სხეულების შესახებ: მეცნიერული ფილოსოფია ფიზიკური სხეულების შესახებ ყოველთვის ჩვენი გონების საზღვრების მიღმაა. იდეალიზმი შელაყენდება იმაშიც, რომ ლოკის მიხედვით „საგანთა კუმშობრივი შემეცნება ნიშნავს საგანთა არსების, ზოგადის აღმოჩენას; მაგრამ საგანთა არსებას აღაშიანის გონება / ვერ წუდება, ხოლო რაც შეეხება ზოგადს, ის არ არსებობს რეალურ სინამდვილეში. იგი მხოლოდ ჩვენი გონების კონცეფციაა, რომელსაც სინამდვილეში არაფერი შეესაბამება“.

ენობლია, რომ სპინოზას ფილოსოფიური სისტემა შინაგანი წინააღმდეგობების მქონეა. ამიტომაც ამ ფილოსოფიური სისტემის გაგებაზე არსებობს აზრთა სხვაობა, ცალკეული საკითხების უამრავი ინტერპრეტაცია, ყოველივე ეს ართულებს ამ სისტემის გაგებას და წინააღმდეგობრივი მხარეების მილიანობაში გადმოცემს, ამის გამო სპინოზას გადმოცემის დროს, განსაკუთრებით სახელმწიფანელ

კერსებში, ირჩევენ იოლ ხერხს, ე. ი. ვინც სპინოზას ფილოსოფიურ სისტემას მატერიალურების პოზიციებიდან ალაგებს, ზედმეტად დღეებს არ უთმობს, ანდა სრულიად უგულვებელყოფს, სპინოზას სისტემაში ან ინტერპრეტაციაში საწინააღმდეგო არგუმენტებს და, პირაქით, კ. ბაქრაძე გადმოცემის ასეთ ცალმხრივ ხერხს არ მიმართავს, იგი აჩვენებს ამ სისტემის გაგების ყველა სიძნელეს. განსაკუთრებით ეს სპინოზას სისტემის ონტოლოგიური საკითხების განხილვის დროს ჩანს. ავტორი მიიღის დასკვნამდე, რომ სპინოზა პანთეისტიკა, რაც დამატებულად ამის არგუმენტატორია.

ნაშრომში მოცემულია სპინოზას ფილოსოფიური სისტემის რიგი საკითხების სრულიად ახალი ინტერპრეტაცია, დავასახელებთ მხოლოდ ერთს. მაგალითად სპინოზას დებულება „იდეათა წესრიგი და კავშირი ისეთივეა, როგორც საგანთა წესრიგი და კავშირი“ — განსხვავებული ინტერპრეტაციათა ობიექტი გახდა, ზოგიერთი აქედან ასკენის, რომ ეს დებულება ასახულებს სპინოზას შატერიალისტრობას, რადგან იდეებს განსაზღვრავს საგნებით, ზოგიერთი კი ამ დებულებით სპინოზას იდეალისტრობას ამტკიცებს. კ. ბაქრაძის ინტერპრეტაციას მოცემულ დებულებაში სრულიად არ ცდის საკითხი იმის შესახებ, თუ რა არა განსაზღვრავს — იდეა საგანს, თუ საგანი იდეას, რაც გარკვევით არის ცხადყოფილი ისევ სპინოზას დამოწმებით. ავტორი სპინოზას დასახელებული დებულების შემდეგ ინტერპრეტაციას იძლევა: ღმერთში ანუ ბუნებაში ყოველ მატერიალურს შეესაბამება გაკვეთილი სულოერი და პირაქით, ყოველ სულოერს — მატერიალური, რაც ვრცელი ახსნა-განმარტებითაა დასაბუთებული.

კ. ბაქრაძის ნაშრომში „ახალი ფილოსოფიის ისტორია“ მოცემულია ბერკლისა და იუმის ფილოსოფიის ვრცელი და მრავალმხრივი ანალიზი. მათ წინააღმდეგ მრავალი არგუმენტაცია წამოყენებულია, რიგი არგუმენტებისა სრულიად ახალია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე არგუმენტი ბერკლის ნომინალიზმის საწინააღმდეგოდ. მეტად საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული აგრეთვე ბერკლის იდეალიზმის შესახებ.

ახალი ფილოსოფიის ზოგიერთი ფილოსოფიური სისტემის განხილვის დროს, სარეცენზიო წიგნში სამართლიანად არის უარყოფილი შეხედულება, რომელიც ხშირად გვხვდება ფილოსოფიის ისტორიებში, სახელდობრ, ახალი მეცნიერებისა და ფილოსოფიის წარმომადგენლები ლოკიას უარყოფდნენ. მაგალითად, ვილი-ლუი, დეკარტი და სხვ. ვილილუი უარყოფდა ლოკიას, როგორც სინამდვილის, ბუნების მოვლენების შემეცნების მეთოდს (ასე იყო გავე-

ბული შუა საუკუნეებში არისტოტელეს ლოგიკა, მისი აზრით დასაბუთებას ჩვენ ვსწავლობთ მათემატიკურ წიგნებში. კ. ბაქრაძის ინტერპრეტაციით ეს ლოგიკის უარყოფას კი არ წარმოადგენს, არამედ ნამდვილად საქმის არსებით აღწერას, ლოგიკა არ არის ბუნების შესწავლის მეთოდი, ლოგიკა დასაბუთების თეორიას წარმოადგენს.

რაც შეეხება კანტის ფილოსოფიური სისტემის განხილვას, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე დაწერილი ფილოსოფიის ისტორიის მარჯნისებურ პრინციპებზე აგებულ არც ერთ სახელმძღვანელო კურსში იგი ასე ვრცლად და ღრმად არ არის განხილული. მრავალი მნიშვნელოვანი და ორიგინალური დანკვნა გამოტანილი კანტის ფილოსოფიური სისტემის განხილვის დროს. მაგრამ ყოველივე ეს იმდენად სპეციფიკური პრობლემებია, რომ ცალკე მსჯელობის საგანს შეადგენს.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც:

1. ნაშრომში ემპირისტების განხილვის დროს კარგად არის გაანალიზებული მატერიალისტური და იდეალისტური მიმართულება ემპირიზმში, მაგრამ რაციონალისტების განხილვისას არაფერია ნათქვამი იმაზე, შეიძლება თუ არა აქაც, ორი მიმართულების გამსხვავება, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი ამის შესახებ, რომ

არსებობენ მატერიალისტური და იდეალისტური რაციონალიზმის წარმომადგენლები.
 2. ვრცლად არის განხილული სპინოზას ფილოსოფიური სისტემის ონტოლოგიური საკითხები, მაგრამ ამას ვერ ვიტყვიტ გნოსეოლოგიური საკითხებზე. უკეთესი იქნებოდა მათი უფრო ვრცლად წარმოდგენა, მაშინ როცა თვით კ. ბაქრაძის თქმითაც გნოსეოლოგიურ საკითხებს სპინოზა მრავალ შრომაში ეხება.

3. რამდენადაც სარტენური ნაშრომში ფილოსოფიური სისტემების განხილვის დროს ერთ-ერთ ძირითად საკითხად მიიწველია გნოსეოლოგიური საკითხები, კარგი იქნებოდა გარკვეული ადგილი დამოიბოდა ლოგიკის ზოგიერთ გნოსეოლოგიურ საკითხსაც ცალკეულ ფილოსოფიურ სისტემებთან კავშირში (განსაკუთრებით ჰობსი, ლაიბნიცი). მით უმეტეს როცა სარტენური შრომის ავტორს ამის დიდი შესაძლებლობა ჰქონდა, რამდენადაც ლოგიკაში მრავალ საკითხზე აქვს მას საკუთარი კონცეფციები და თეორია.

4. ნაშრომი უდავოდ მოიგებდა რომ მას წინასიტყვაობა ან შესავალი ნაწილი ჰქონოდა. სარტენური წიგნი ფილოსოფიურ ლიტერატურაში უდავოდ მნიშვნელოვანი შენაშენია. იგი ფილოსოფიის ისტორიის გარკვეულ პერიოდისადმი შემოქმედებითად მიდგომის ნიმუშია.

ბ. ურიდია,

საინტერესო ნაშრომი

გიორგი ციციშვილის 523 გვერდიანი ნაშრომი, გარდა წინასიტყვაობისა და შესავალისა, შეიცავს ოთხ თავს: „მ. გორკი საქართველოში და მისი ურთიერთობა ქართველ მოღვაწეებთან“, „მ. გორკის მხატვრული პროზის შეფასება ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და პუბლიცისტის მიერ“, „მ. გორკის პიესები საქართველოს თეატრების სცენაზე და მათი შეფასება თეატრალური კრიტიკის მიერ“ და „მ. გორკის პირველი ქართველი მთარგმნელები“. ასეთია საკითხების ის წრე, რომელსაც შეეხება წარმოდგენილი ნაშრომი.

საესებოთ მართალია მკვლევარი, როდესაც აღნიშნავს, რომ ქართველ საზოგადოებრიობასთან, მდიდარ და თვითმყოფად ქართულ კულტურასთან მ. გორკის ურთიერთობის ისტორია საკითხთა რთულ წყებას მოიცავს. ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის პროცესი ყოველთვის ორმხრივია, მას ორი ასპექტი აქვს.

ამ პრობლემის ერთი მხარეა იმ კეთილმყოფელი გავლენის ვათვალისწინება, რომელიც საქართველომ მოახდინა მ. გორკის პიროვნების და შემოქმედების ჩამოყალიბებაზე და მეორე კი იმ შემოქმედების დადგენა, რომელიც მ. გორკიმ თავის მხრით მოახდინა მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე.

წარმოდგენილი ნაშრომი მთლიანად შეეხება ამ პრობლემის პირველ მხარეს, იმას, თუ რა გავლენა იქონია საქართველომ, მისმა ხალხმა და ბუნებამ მ. გორკის პიროვნებისა და შემოქმედების ჩამოყალიბებაზე, ისიც ერთი მონაცემთაზე — რევოლუციამდელ პერიოდში.

ნაშრომი იწყება მ. გორკის თბილისში ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდის დაწვრილებით აღწერით. მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს მომენტი თავისებური გასაღებია მომდევნო ქვეთავებში გადმოცემული მასალის უკეთ გასაგებად და გასააზრებლად. მ. გორკი თბილისში დაუბლოვდა, დაუკავშირდა ქართველ და რუს რევოლუციონერებს, გახდა მათი წრის აქტიური წევრი. თბილისში შეხვდა იგი იმ გულისხმიერ

გიორგი ციციშვილი „ქართველი საზოგადოებრიობა და მაქსიმ გორკი“ (რევოლუციამდელი პერიოდი), „საბუკოა საქართველო“, 1960 წ.

აღმიაწესებს, რომლებმაც ხელი შეუწვეს მის გასვლას ლიტერატურის დიდ სარბიულზე.

გ. ციციშვილი ვრცლად და დამაჯერებლად მსჯელობს მ. გორაკის „ჩემი თანამგზავრის“ შესახებ. ეს ნაწარმოებთა ქართულ საზოგადოებრიობაში აზრთა სხვადასხვაობისა და კამათის საგნად იყო გამომდარი დიდი ხნის განმავლობაში.

ნაშრომში საგანგებოდ არის მსჯელობა და მოტანილია ახალი ცნობები, თუ როგორ ზრუნავდა მ. გორაკი ქართული მწერლების ნაწარმოებთა რუსულ ენაზე გამოცემისათვის.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია მ. გორაკის პროზის შეფასება ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და პუბლიცისტის მიერ. მართებულია გ. ციციშვილის მოსაზრება, რომ ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და პუბლიცისტის დამოკიდებულება მ. გორაკისა და მისი შემოქმედებისადმი მრავალმხრივ არის სხეურობად.

მ. გორაკის შემოქმედება ესაა მხატვრულ ლიტერატურაში ახალი ეპოქის — სოციალისტური რეალიზმის ეპოქის დასაწყისი. მ. გორაკის შემოქმედება არის XX საუკუნის მიერ წაოყენებული პრობლემა ეპიკური ეპანტების როლისა და მნიშვნელობის შესახებ ახალ ეთაპრებაში. მ. გორაკის შემოქმედება ესაა ლიტერატურის იდეურობის ხალხურობისა და პარტიულობის კარდინალური საკითხთა მხატვრული რეალიზაციის გზებისა და საშუალებების ნათელყოფის კლასიკური ნიმუში. მ. გორაკის შემოქმედება ესაა ახალი ადამიანის, სოციალისტური ეპოქის ადამიანის ფორმირების ისტორია. მ. გორაკის შემოქმედება ესაა ახალი მსოფლმხედველობის ახალ მხატვრულ მეთოდთან ურთიერთობის რთული კომპლექსი“ (გვ. 238). შემდეგ შევლევარი განაგრძობს: „უნდა წინასწარ ითქვას, რომ ქართული საზოგადოებრიობა და, კერძოდ, სალიტერატურო კრიტიკა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონითაც, საზოგადოებრივ მოვლედებში ჩახედულობითაც, პროფესიული კრიტიკულ ანალიზის უნარიითაც და მხატვრული ოსტატობის საკითხებში ორენტირებუთაც მომზადებული შეხვდა XX საუკუნის მიერ მოტანილ სიახლეებსა და დროზე აუღო ალღო იმ დიდ ძებნებსა და მოსალოდნელ გარდაქმნებს, რაც ახალი დროის ისტორიამ, ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლის პროლეტარულმა ეტაპმა მხატვრული მწერლობისა და სალიტერატურო კრიტიკის წინაშე დააყენა“ (გვ. 239). ქართულ სალიტერატურო კრიტიკისა და პუბლიცისტკაში მ. გორაკის შემოქმედებისადმი ცხოველი ინტერესი მანამდე შეინიშნებოდა, სანამ მისი მხატვრული ნაწარმოებები ქართულად ითარგმნებოდა. თბილისის რუსული და ქართული პრესა ადრევე გამოეხმაურა მ. გორაკის ნაწარმოებებს.

მ. გორაკის შემოქმედების შესახებ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული სტატიები აწვევს დროს განიხილავდა ჩემი სალიტერატურო კრიტიკის ახალ, მაღალ საფეხურს. ასეთია, კერძოდ, შირი ჩიტაძისა და ივანე გამარათელის საუკლისმოკრიტიკული წერილები. მ. გორაკის შემოქმედების ირგვლივ სხვათა წერილებიც გამოქვეყნდა „ცნობის ფურცელში“, „ივერიაში“, „ჩვენ გაზეთში“, „ახალ გზაში“.

ნაშრომის მესამე თავი შეეხება საქართველოს თეატრების სცენაზე მ. გორაკის პიესების დადგმას და თეატრალური კრიტიკის მიერ მათს შეფასებას. ცნობილია, რომ მ. გორაკის დრამატურგია რევოლუციამდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესის საგანი იყო. დიდი რუსი მწერლის პიესები ქართულ მხედრებებს, განსაკუთრებით დემოკრატიულ ფენებს, მხეზაყად უყვართ. ქართული სალიტერატურო თუ თეატრალური კრიტიკა შეუწელებელი ინტერესით ხედებოდა სახელოვანი მწერლის ყოველ ახალ დრამატულ ქმნილებას, მისი პიესების ყოველ ახალ დადგმას.

მ. გორაკის ქართულ თეატრთან კავშირი მართოდენ მისი პიესების საქართველოს თეატრებში დადგმის ისტორიით როდი ამოიწურებოდა. იგი, როგორც თავის ორგანულ ნაწილს, მოიცავს ქართულ თეატრალურ მოღვაწეთა მ. გორაკისთან ურთიერთობის ისტორიასაც: „ქართული თეატრის, ისევე როგორც ქართული სალიტერატურო და თეატრალური კრიტიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დროზე დაინახეს მ. გორაკის დრამატურგის უმნიშვნელოვანესი მხარეები, დროზე შეიღწეს მისი ნოვატარული ხასიათი, მისი დიდი მხატვრული და საზოგადოებრივ-აღმწიფლობითი მნიშვნელობა“ (გვ. 414). „დღეს რუსული სალიტერატურო კრიტიკაც აღიარებს, რომ მ. გორაკის დრამატურგისა და მისი ეპიკების გაგებაში რევოლუციამდელი ქართული კრიტიკა ერთგვარი პირველი დადგა იმ სწორ გზას, რომელსაც ახლა ყველა იზიარებს და რეაგულირებს. მ. გორაკის შემოქმედების კრიტიკული გააზრების სფეროში საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციის წარმოადგენს“ (გვ. 416). მ. გორაკის პიესებსა და მათ დადგმებს ეხმარებოდა ვახ. „ივერია“, „სახალხო გაზეთი“. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მ. გორაკის, როგორც დრამატურგის, კავშირი და ურთიერთობა ქართულ საზოგადოებრიობასთან მართო მისი პიესების საქართველოს თეატრებში დადგმით არ ამოიწურებოდა. ნაკლებ საინტერესო და მრავალმეტყველი არც მისი ქართულ თეატრალურ მოღვაწეთთან ურთიერთობა იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ. გორაკის გულისათვი მეგობრობა კოტე მარჯანიშვილთან, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა.

კ. მარჯანიშვილმა რუსეთის სხვადასხვა ქა-

ლაში (უფა, ირეუტსკი, რივა) განახორციელა მ. გორკის პეესების დადგმა, რასაც ყოველთვის მოწონებით ზედმოდა სსოგადობერიობა, პრესა, კრიტიკა. მ. გორკის ქართულ მოღვაწეებთან ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია მისი შეგობრობა ლადო მუსხიშვილთან, აღწქანდრე წუწუნავასა და ვასო არაბიძესთან. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი მეთაურობდა ქართველ სტუდენტთა იმ რაზმს, რომელიც პირველი რევოლუციის წლებში იცავდა მ. გორკის შაფარზელოთა თვდაზმებისაგან.

გ. ციციშვილის ნაშრომის ბოლო, მეოთხე თავი შეეხება მ. გორკის ნაწარმოებთა პირველ ქართველ მთარგმნელებს.

თუმცა მ. გორკის შესახებ საკმაოდ არსებობს ქართველ მკვლევართა ნაშრომები, დღემდე ასეთი ვრცელი, ფაქტებით მდიდარი, დამატებებით გამოკვლევა მაინც არ გვევლინა. ამ მხრივ გ. ციციშვილმა დიდი საქმე გააკეთა. წიგნი მხოლოდ რევოლუციამდე პერიოდს მოიცავს და პირველი ნაწილია განზრახული ფართო შრომისა.

არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ მკვლევარი მ. გორკის შემოქმედების ღრმა, სფერულიან ცოდნას ამჟღავნებს. ამიტომ არის, რომ იგი ასწორებს იმ შეცდომებს, რაც გვხვდებოდა ზოგიერთ რეცენზიაში მ. გორკის პიესების მოქმედ პირთა დასახელებისა თუ დახასიათებისას. (იხ. გვ. 342, 343, 429, 481—482). გ. ციციშვილი ასწორებს აგრეთვე დამახინჯებულ ვეარებს (მაგალითად, გეორიშვილი — ვიენაშვილის მაგივრად, გვ. 213). აღვნიშნავ, რომ ცნობილი მხატვარი ვასნეოვი მტხეთაში 1903 წელს კი არ იყო, როგორც მოგვიანებით მ. გორკი შეცდომით ასახელებდა, არამედ—1900 წელს, (გვ. 123).

ნაშრომში გვხვდება მრავალი მანამდე უცნობი სახელი, რომელთაც ერთგვარი როლი შეასრულეს მ. გორკის შემოქმედებითს ცხოვრებაში. აეტორი არ კმაყოფილება მარტოოდენ მათი სახელებისა და გვარების ჩამოთვლით, არამედ საკმაოდ ვრცელ იძლევა მათს ბიოგრაფიებსაც, რითაც ამდიდრებს გამოკვლევას.

გოორგი ციციშვილის გამოკვლევა რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევა ძიების სფეროს მნიშვნელოვანი შენაძინია, განსაკუთრებით კი გორკის მკოდნობისა.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნა სარეცენზიო ნაშრომზე:

1. ჩვენი აზრით, სადისერტაციო ნაშრომის

შესავლ ნაწილში უფრო ვრცელად უნდა ყოფილიყო დახასიათებული მ. გორკის როგორც ნოვატორი, განსაზღვრულყოფილი მოქმედებელი რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაში.

2. მეოთხე თავი—მ. გორკის პირველი ქართული მთარგმნელები ძალზე კონსპექტურია. 488 გვერდის სწოლოში მკვლევარი შენიშნავს: „ავტორს განზრახული აქვს მ. გორკის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის საკითხებს უფრო სრული სახით შეეხოს საპკოთა პერიოდში შესრულებული თარგმანების განხილვის დროს“. თუ ეს ასეა, მაშინ აღარ იყო საჭირო მეოთხე თავის წარმოდგენა, რადგანაც იგი ძალზე მოკლე და სქემატურია.

3. გამოკვლევაში გ. ციციშვილი წერს: „1925 წელს ა. ე. ბოგდანოვიჩის შეკითხვაზე განაგრძობს თუ არა გორკი „ჩემი უნივერსიტეტის“ წერას, მწერალმა ასე უპასუხა. ა. კალოფინის, აღნასიევის და ლანინის შესახებ ბევრი მაქვს დაწერილი, მაგრამ — ედვად, არ გამოაქვეყნებ, ეგება მოხერხდეს მათი გადაკეთება—და დასძინეს: „ამ წლების შესახებ კიდევ ბევრი შემიძლია დაწერო, მაგრამ შეგნებულად ჩაიბრუნე თავი, რადგან განზრახული მაქვს დაწერო რაღაც მსგავსი ქრონიკისა, დაწყებული 80-იანი წლებით და მოყოლებული 918-მდე. უკვე ვწერ“. მ. გორკის ამ სიტყვების შემდეგ ჩვენი მკვლევარი ასკვნის: „აქედან აშკარაა, რომ მ. გორკის ფართო და სრულად გარკვეული ჩანაფაქტი ჰქონია იმ წლების აღწერისა, როდესაც იგი თბილისში ცხოვრობდა. უდაუოა, რომ ამ მოგონებაში თბილისური პერიოდი ჭეროვან ასახვას პოუვებდა, რამდენადაც მწერლის ცხოვრებაში მან ცენტრალური ადგილი დაიკავა. მაგრამ ამ ჩანაფაქტის განმარტაცილებას სხვადასხვა გარემოება შეუშალა ხელი და მ. გორკის არ დასცალდა მისი სისტრულეში მოყვანა“. (გვ. 17). ჩვენი აზრით, ეს ნაწარმოები, რომელიც იწყებოდა 80-იანი წლებით, იყო „კლიმ სამგინი“. წარმოდგენილ გამოკვლევაში ეს ნაწარმოები ამ განაწესში არც კია ნახსენები.

4. რატომ არაფერს ლაპარაკობს მკვლევარი მ. გორკის ევდომებისეულ თარგმანებზე? მ. გორკის ცნობილი „შეგარდნის სიმღერა“, რომელიც ქართულ ენაზე 1899 წელს ითარგმნა, ჩვენი დაკვირვებით, იროდიონ ევდომების თარგმანად უნდა ჩაითვალოს.

ეს შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებს ამ საყურადღებო გამოკვლევას ღირსებას და მნიშვნელობას.

შალვა რაბინიძე

უკრაინული „მნათობის“ 1969 წლის ნომრების უნაწარსი

მოთხრობები, რომანები, პიესები, ნაკრებები.

- შუაჩიძე ვასტონი — ფრანგული ჩანაწერები. ნარკვევი № 5, 6
 გამსახურდია კონსტანტინე — იტორიზმები, აზრები და სხარტული გამონათქვამები. № 12
 გეგეშიძე გურამი — დევნილი. მოთხრობა. № 9
 გელაძე აკაკი — მოთხრობები... № 2, მურზაყანის მახვილი. ისტორიული მინიატურა. № 12
 გოგოლაძე თენგიზი — ვაჟკაცსა გული რკინისა. მოთხრობა. № 4
 გენაძე აკაკი — გაქვავებული მზე. მოთხრობა. № 3, მუზარადში ამოსული ყვავილი. რომანი.
 № 7, 8, 9, 10.
 გურგენიძე ვ. — შესხეთ-წავახეთის ეკონომიური და კულტურული განვითარება. ნარკვევი № 3
 ებანოიძე ალექსანდრე — ლამე და დღია. მოთხრობა № 1
 იოსელიანი იაკობი — საბედისწერო ნაღმი. მოთხრობა № 1
 კასრაძე ქართლოსი — ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე. ნარკვევი. № 5
 ლომიძე ანდრო — ქალაქი ვარდების ტყეში. მოთხრობა № 10
 მაისურაძე ელიზბარი — ვაჟკაცსა გული რკინისა... მხატვრული ნარკვევი. № 12
 მარგლაშვილი მხეილი — ბერძენის ჩრდილში. დრამატული ეპოპეა. № 1
 მარგლაშვილი ლადო — ყაზახი. რომანი. წიგნი მეორე. № 6, 7, 8, 9, 10, 11, 12
 პაუსტოვსკი კ. — ოქროს ვარდი. თარგ. გურამ გოგიაშვილისა № 3
 პეტროვი დ. — ძმები გრუნინოვები. თავები რომანიდან. თარგმანი რ. ორჯონიკიძისა. № 1
 ქავერაძე იროდიონი — გაფრენილი ნიტი. მოთხრობა. № 5
 ქეთელაური სულხანი — ხარის ცრემლი. მოთხრობა. № 7
 ქორჭია როდიონი — ნაკობაძე. ისტორიული პეესა. № 7
 ურჭუმეშვილი ვანო — ფერიცვალება. რომანი. № 1, 2, 3, 4, 5
 ჩანაჩიძე როდამი — ინდიელი. მოთხრობა. № 6
 ჩიქვანი გრიგოლი — რიგითი რიაშენცევი. ოდიშური მოთხრობებიდან. № 10
 ჩხეიძე ზორისი — ვიშკართან. მოთხრობა. № 5
 ჩხეიძე ოთარი — შავი ყოხი. ეტრული. № 6
 შექშიანი ულიამი — მეფე ლირი. პეესა. თარგმ. ზვიად გამსახურდიასი. № 8
 ჩანგულაშვილი თეიმურაზი — შუა აზიის გზებზე. ნარკვევი. № 4
 ჯაფარიძე სიმონი — მოთხრობები. № 1
 წევრავა სიმონი — ასკანელი ქალიშვილი. ნარკვევი. № 6
 ზერგანი მირონი — მთების სიმღერა. მოთხრობა. № 6; ზღვები გვიხმობენ მეგობრებო. მოთხრობა. № 11
 ზვედურელი გიორგი — სენტიმენტალური შემთხვევა. ფრანტული ცხოვრებიდან. № 6; ეპეი. ფრანტული ცხოვრებიდან. № 12

ლექსები და პოემები



- აბაშიძე ირაკლი — ლექსები. № 6; ლექსი. № 10
 ბერანდე — სახელოვანი მოკეთე. ლექსი. თარგმ. შხია ზეთაგურისა. № 8
 ბულგარული პოეზია — თარგმ. მუხრან შაქავერიანისა, № 2, № 12
 ბოლქვაძე ზაური — ლექსები, № 9
 გაბრიჩიძე ნელი — ლექსები. № 1; ლექსები. № 4
 გაგუა ზუტა — ლექსები. № 7
 გიგური გიორგი — ლექსები. № 4
 გოთე იოჰან ვოლფგანგი — ლექსები. თარგმ. აკაკი გელოვანისა. № 8
 ეკელი იონა — ლექსები. № 7
 ვერლენი პოლი — სენტიმენტალური საუბარი. ლექსი. თარგმ. გიორგი ქავთარაძისა. № 7
 თევზაძე ანდრო — ლექსები. № 3
 თუმანიანი ოვანესი — ლექსები, თარგმ. რევაზ მარგვიანისა. № 7; ლექსები. თარგმ. სტეფანე მხარგრძელისა. № 9
 იაპონური პოეზია — თარგმანი მურმან ლებანიძისა. № 12
 ივარდავა დილარი — ლექსები. № 4
 კაქუშაძე თენგიზი — ლექსები. № 9
 კალანდია გენო — ლექსები. № 7
 კამანაძე გიორგი — ლექსები. № 4
 კვიციანი ემზარი — ლექსები. № 4
 ლებანიძე მურმანი — ლექსები. № 11
 ლუკონი მიხეილი — აუცილებლობა. ლექსი. თარგმ. ოთარ ქელიძისა. № 10
 მარიჭანი — ლექსი. № 10
 მირნელი მირიანი — ლექსები. № 5
 ნონეშვილი იოსები — ლექსები. № 6
 ნიშინაიძე შოთა — ლექსები. № 2
 სულაბერიძე ლადო — ლექსები. № 3; ლექსები. № 8
 სტურუა ღია — ლექსები. № 4
 ფორჩხიძე შალვა — ლექსები. № 1; ლექსები. № 9
 ფოცხიშვილი მორისი — ლექსები. № 3
 ფხოველი ჭარჭი — ლექსები. № 3
 ქელიძე მიხეილი — ლექსები. № 1; ლექსები. № 9
 ქურდიანი ემელიანი — ლექსები. № 6
 შანშიაშვილი სანდრო — ლექსები. № 3; ჩემი ბილიკი უნაყოფოდ არ მოთელია. ლექსი. № 11
 შერაზადიშვილი ზაქარია — ბარაკონმა... ნიკორწმინდამ. ლექსი. № 6
 ჩაკვიანი ჭანსუდი — ლექსები. № 3; ლექსები. № 12
 ჩაჩავა ნიკოლოზი — ლექსები. № 7
 ჩიქოვანი სიმონი — გამოუქვეყნებელი ლექსებიდან. № 5
 კელიძე ოთარი — ლექსები. № 8
 ჰილაძე ოთარი — ახალი ლექსები. № 11
 ჭავჭავაძე ვახტანგი — ლექსები. № 5
 ჭანგულაშვილი თეიმურაზი — ლექსები. № 1
 ჭანელიძე ჭანო — ლექსები. № 2

- ბახტაძე ალექსანდრე — ვ. ი. ლენინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ. № 5
- ბაბალაშვილი ივ. — ვ. ი. ლენინის შთავრებებითა და მითითებით იქმნებოდა. № 5
- ვის თავდადებული ქართველი მეომრები. № 12
- ბრეგაძე ვაჟაფიანი — ვ. ი. ლენინი და მხატვრული შემოქმედების პრობლემები. № 7
- გოზალიშვილი შალვა — ლენინის სახე ქართულ საბჭოთა პოეზიაში. № 10
- გოზალიშვილი შალვა, გოზალიშვილი გულნარა — ვ. ი. ლენინის სახე ქართულ პროზასა და დრამატურგიაში. № 11
- კილაშერიანი შვიკი — ვ. ი. ლენინი და მარქსისტული ფილოსოფია საბჭოთა საქართველოში (1921-1936 წლებში). № 2
- ლიჭოყელი ი. — საქართველოს მთიანეთში ლენინური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიიდან. № 8
- მეგრელიშვილი გაბრიელი — ვ. ი. ლენინი და თანამედროვე იმპერიალისტური მილიტარიზმი. № 3
- მეფელია კონსტანტინე — ლენინი „მოსკოვის უწყებანისა“ და „ნოვოე ვრემისა“ რედაქტორთა მოღვაწეობის თაობაზე. № 4
- ქუთათელაძე ვახტანგი — ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპი. № 7
- ღურჭკია ა. — ვ. ი. ლენინი სამშობლოსა და პატრიოტიზმის აზრის შესახებ. № 11
- უორანაშვილი გურამი — ვ. ი. ლენინი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. № 12
- შამელაშვილი რ. — ვ. ი. ლენინის შეხედულებანი ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე. № 6
- შანიძე ვარლამი — ლენინური ეროვნული პროგრამა და ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. № 9
- ჭიბლაძე დიმიტრი — სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმა და მისი შემდგომი განვითარება პარტიის მიერ. № 11
- ჭინჭელაშვილი მიხეილი — ლენინური მოძღვრება მეშათა კლასისა და გლეხობის კავშირზე. № 8

ჩვენს იუბილარი

მილოცვები ირაკლი აბაშიძეს

საკავშირო მწერალთა კავშირის მოლოცვა: გამახურდია კონსტანტინე, ტიხონოვი ნიკოლოზი, კლდიაშვილი სერგო, სურკოვი ალ., შკლოვსკი ვიქტორი, შენგელაია დემნა, მიხაილოვი ს., ლუკონინი მ., მედვიროვი ა., ბოროდინი სერგეი, სოლოუხინი ვ., ტურკოვი ა., პალეცისი ი., ვოზნესენსკი ა., მდივანი გ., ფორჩხიძე შალვა — სიტყვა 'გულსა. № 11.

შაბტები, მოგონებები, წარსულიდან

- აკობაშვილი ვერხო — მოგონებანი გოგლაზე. № 2
- ავალიანი გიორგი — პრობოროვის კლდე. № 3
- ასათიანი ლევანი — უბის წიგნაკიდან. № 8
- არჩევანიძე ივ. — ორი ქართველი ბავშვის თავგადასავალი. № 9
- ბაქრაძე დავითი — ფერფლში გადარჩენილი სიცოცხლე. № 3
- კუნცეცოვი ნ. გ. — მოსკოვის კედლებთან. № 2
- მეტრეველი როინი — ერთი ფურცელი ფეოდალური საქართველოს შინაკლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან. № 4
- მიგუა ალექსანდრე — იონა მეუნარავია. № 9



ჩაჩანიძე ვასო — მირზა ფათალი ახუნდოვი და გრიგოლ ორბელიანი. № 2
 ჭაფარიძე რევაზი — ადამიანის მორჩილი ზღა. № 8,9

კრიტიკა, ლიტერატურისმცოდნეობა, მემორიება, პუბლიცისტიკა, ხელოვნება

- ავღაანი ლადო — „წითელი ღრუბლები“. № 11
 აბდუშელიშვილი შალვა — ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური გენეზისი. № 7
 არეღაძე ბონდო — მხოლოდ რეპლიკა. № 9
 ბარაშიძე რ. — იდეოლოგიური ბრძოლები ადრეულ საუკუნეების საქართველოში. № 10
 ბაქრაძე აკაკი — სიბრძნე სიცილისა. № 2; გმირობის აპოლოგია. № 6
 ბერიძე ფილიპე — ხიბლი „შვიდდგური მუზისა“ № 4; „ესთეტიკური ლაბირინთი“ და მისი ვა-
 სალები. № 11
 ბერიძე როლანდი — ქართული ლექსის მივგნებელი საზომები. № 8
 ბერიტაშვილი ივანე — მეხსიერების საკითხისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციის შე-
 დგებები. № 5
 ბურჯანაძე ქეთევანი — აკაკი წერეთელი თარგმანის შესახებ. № 6
 გავგოშიძე შ. — პრესის თავისუფლების პრობლემისათვის. № 6
 გაწერელია აკაკი — ქართული ვერსიფიკაციისა და ჰიმნოგრაფიის საკითხები. № 1
 გოგოლაძე თენგიზი — კრიტიკა თუ?... № 6
 გოზალიშვილი შალვა — ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელოვანი წინაპარი და თანამედროვე. № 2
 გრიშაშვილი იოსები — ფსევდონიმებისა და კრიპტოგრაფების ამოხსნისათვის. № 5
 დემურბანაშვილი სოლომონი — რევაზ ინანიშვილის „საღამო ხანის ჩანაწერები“. № 9; რამდენიმე
 სიტყვა ლადო ავღაანის „ახალ ჰორიზონტზე“. № 10
 დუდუჩაძე მამია — რამდენიმე შენიშვნა ნიკო ფირცხვანიშვილის შემოქმედების თაობაზე. № 10
 ვარდოსანიძე ვივი — „ჩემი მავნიტური არე“. № 3; კრიტიკული აზროვნების მაღალი დონისათ-
 ვისი № 5; კრიტიკა-მეზობლი, შთამბავონებელი, დამამკვიდრებელი. № 6
 ზურაბაშვილი ავლია — პერსონოლოგიური პრობლემები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. № 5
 თოფურია აკაკი — დაე, ცისკარივით ანათებდეს. № 5
 თურნავა სერგო — ქართული საბჭოთა პროზა ფრანგულ ენაზე. № 5
 იოვანაშვილი დიმიტრი — კომედიის ეპარობრივი სპექტივის ზოგიერთი საკითხი. № 5
 კიკაბერიშვილი თენგიზი — ხატოვანი მებრძვლემა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში“. № 11
 კინწურაშვილი კორნელი — დავით ჩუბინაშვილი და ქართველი საზოგადოებრიობა. № 10
 კუსტაშვილი რუსუდანი — გალაკტიონის შემოქმედისა და შემოქმედების შესახებ. № 6.
 ლეიშვილი სოლომონი — ვაჟა ფშაველას უცნობი პუბლიცისტური წერილების სერია „იე-
 რისი“ (1889-1893 წწ.). ფურცლებზე. № 1
 ლოლაშვილი ივანე — დამატებანი და გასწორებანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა „დაკარ-
 ვული“ ღეღნების აღმოჩენის გამო. № 7
 ლომაშვილი ჯიბო — „შე, რუსთველი, ხელობითა...“ № 4
 მარგველაშვილი გიორგი — საუკუნეთა მიჯნაზე. № 12
 მადრაძე ვალერიანი — ცნობები მესხურ ხალხურ სიმღერებზე. № 11
 მიწველაძე რევაზი — „ცისკრის“ პოეტური მოსაუბლი. № 6; პოეზია და „ლიტერატურული სა-
 ქართველო“. № 12
 მუშუდუანი ა. — საქართველოს მუშათა კლასის როლი კავკასიის დაცემაში. № 2
 მუქელიშვილი ჭ. — ჭოისის ადრინდელი შემოქმედება. № 6
 ნატროშვილი გიორგი — უდაბნოში დაწერილი წიგნი. № 12
 ნადირაძე გიორგი — ნიკოლოზ ურბნელი. № 10



- პაპუაშვილი უშანგი — თავდაცვის ორგანიზაცია მე-18 საუკუნის ქართლის სამეფოში. № 8
- ძვანია ვახტანგი — ილია ჭავჭავაძის ერთი წერილის გამო. № 3
- ელენტი ბესარიონი — სამშობლოს ჩქეჭობის მკვლელობა. № 12
- სურგუცივი იური — „გაძნობა, ქვეული ელვადობა...“ № 5
- ტაბაღა ილია — ურდვევი კავშირის 25 წელი. № 2; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული. № 9
- ფორჩიხე შალვა — ეპოქის კვლადეველი. № 7
- ქუშიშვილი დიმიტრი — ეფენისტყაოსანში „დიონოსის“ და „დიონოსის“ საკითხისათვის. № 8
- შალაშვილი ვიორჯი — გასათვალისწინებელი შენიშვნები. № 6
- შანძე გ. — შთაბეჭდილებათა გამაძლიერებელი კომპოზიციების დაწერილობისათვის. № 9
- უახუშიშვილი ს., დონდუა ვარლამი, დუმბაძე შამია, მეგრულიშვილი იოსები, ბადრიძე შოთა — რუსთაველზე კლერკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ. № 11
- შარაძე გურამი — გრიგოლ ორბელიანის ერთი გამოუქვეყნებელი წერილი. № 7
- შენგელია მიხეილი — ვილგამეშისა და ამირანიანის ურთიერთობის საკითხისათვის. № 9
- შოთაშვილი ნოდარი — ეფენისტყაოსანის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ. № 11
- ჩაკვაძე დავითი — აკაკის ორი ისტორიული პოემა. № 4
- ჩხვიძე ირმა — „მთვარის მოტაცების“ თავისებურება. № 4
- ჭიჭინაძე სერა — სოლომონ იორდანიშვილი. № 4
- ქუმბურძიძე ქუმბური — ნიკოლოზ ბარათაშვილი და 60-იანი წლების ქართული კრიტიკა. № 6
- ნიწთიბიძე ელვაქა — კორნელი კეკელიძე და ბიზანტოლოგი-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები. № 11
- ჩაფარიძე რევაზი — რაც მტრობას დაუწვრთვია. № 12
- ჭინორია ოთარი — „მოძღვრების არსი და ღირებულება თომას შინის „დოქტორ ფაუსტუსის“ მიხედვით. № 3
- ქობულაძე ს. — ოვანეს თემანიანი და თბილისის უნივერსიტეტი. № 9

გ ა შ მ ს ა ტ ბ მ ვ ა რ ი

- ახაშიძე ირაკლი — აუწონლად მძიმე დანაკლისი. № 1
- აკოიელი ფატი — თბილისის უნივერსიტეტის პირველი ფილოსოფიური სემინარი პროფ. შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით. № 1
- უახუშიშვილი სიმონი — ქართული მეცნიერების განვითარების ახალი ეტაპი. № 1

წიგნების მიმოხილვა

- გონალიშვილი შალვა — „ლიტერატურული წერილები“ № 6
- ზონენაშვილი ბედა, ჩიჩუა ოთარი — ესთეტიკური აღზრდის თეორიული საფუძვლები. № 7
- № 11
- თუხარელი დ. — ახალი ნაშრომები რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობათა დარგში. № 2
- იოანიშვილი ვ. — კოლექტური ნაშრომი თუშების შესახებ. № 5
- კოჭლავაშვილი ა. — საინტერესო გამოკვლევა. № 3
- მუჭირი ალექსანდრე — „ნ. ბარათაშვილის ეპოქა“. № 8
- ნუცუბიძე შალვა** — „ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან“. № 8
- რადიანი შალვა — საჭირო ნაშრომი. № 9
- სულაბერიძე შოთა — „გაგუთის ძეგლები“. № 2
- ფაღავა კონსტანტინე — მეგობრობის ქრესტომათია. № 2

- დღონდი შ. — რომანი, რომლის გმირია შრომაში აღზრდილი ახალგაზრდა. № 8
- ყაუხჩიშვილი სიმონი — ქართული ისტორიოგრაფიის მორიგი წარმატება. **მეცნიერული
ზიგზაგოვანი**
- შანიძე აკაკი — მრულე სარკვეში დანახული. № 5
- შარაშიძე ჭ. — პირველი ნაბიჯები სიახლის ძებნაში. № 7
- წიბახაშვილი გ. — მაქსიმ გორკის თხზულებანი ქართულ ენაზე. № 2
- პელაძე შერი — ორიგინალური გამოკვლევა ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესახებ.
№ 3
- ჭაფარიძე ბეგანი — ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელი. № 5



შეცდომების გასწორება

ქართული „მნათობის“ 1969 წლის მეფერთმეტე ნომერში (გვ. 149) დაბეჭდილია კოლექტიური წერილი „რუსთაველზე კლერიკალური თეატრისაზრისის წინააღმდეგ“. ამ წერილს დართული აქვს დაუნომრავი შენიშვნა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს წერილის შინაარსთან. თავის დროზე ეს შენიშვნა ამოღებული იყო რედაქციის მიერ, მაგრამ სამწუხარო გაუგებრობის გამო აღმოჩნდა დაბეჭდილ ტექსტში.

ამავე ნომერში, 118-ე გვერდზე პირველი სვეტის მე-6 სტრიქონი (ბოლოდან) უნდა იკითგებოდეს: **თულ პოეზიაში მკვიდრად გადგა თავისი მო..**

119-ე გვერდზე მეორე სვეტის მე-12 სტრიქონი (ბოლოდან) — **ამბობს პოეტი და ზოგში ძველი წყაღადობა**

ფან 80 333.

6. 9/27

И Н Д Е К С

761/28/

საქართველოს
საბჭოთაო კავშირი

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ